სათნადო

2021 №1 (39)

ბედნიერება

(გიორგი სხირტლაძეს და ეკა ბაგალიშვილს)

ბედნიერების, სიხარულის
წლები გქონოდეთ,
ასი წელს იცოცხლეთ,
უფრო მეტხანს თუ არ გეყოფათ...
ერთი წლის მერე,
ბავშვის ტირილს გამაგონებდეთ და...
ფუძის საძირკველს
გაგვიმრავლებთ, უკვე გეტყობათ!!!

გულნაზ ხარაიშვილი

ეთერ ჭელიძე

მიხმობს ჩემი სავანე!!!

მიხმობს ჩემი სოფელი
ციხე კოშკის საუფლო,
მზე, ფიფქებით მთოველი,
გზა, წუთის-ცალ საწუთრო...
მიხმობს მუხის ფესვებში
ლენკვერიდან ნაჟური,
ქალი, მსგავსი ლერწმების
მზერა, ქორებრ ვაჟური...
მიხმობს ჩემი მურყმელი
მამაპაპის საძვალე,
სადაც ახლა სულები
პატრონობენ ნაზვავებს!
ჩემი ქორულდაშიდან
აფრენილი არწივი,
ნანგრევებზე იანვრის
განგებისგან ნაწვიმი...
ჩემი ჯილა მეძახის
გვარის ცრემლის ნამცვრევი,
თითო ნეკნის ტკივილი
თითო ცრემლის ნამსხვრევი...
ღამე უთენებელი...
ბინდის შემოქოთება...
ჰაგრალს ხარის ღმუილი
სოფლის მწარე გოდება...
მიხმობს სიმარტოვეში
წელთა ჩუმი გნიასი,
მონატრების ცეცხლი მჭირს
სულს მიქრიოლებს ნიავი...
ისტორიის ფურცელი
საუკუნო წიგნიდან,
ზედ ნაწვეთი კურცხლები,
დარდისგან და ფიქრისგან!
ჩემი სალოცავები
სოფლის ბჭედ და დარაჯად,
ო, რამდენჯერ ჩაუცვამთ
ღამის თეთრი ფარაჯა.
სიდიადე მურყვამის
დახავსებულ გვირგინით,
თავისებურ სიფიცხით,
თავისებურ სიმტკიცით!
ცისარტყელას მკლავებში
გოლიათო მდუმარევ,
უფლის თეთრი ქოხიდან
შენი მგზავრი მიმრავლე!!!

პატარა ანგელოზები

ერეკლე კაკალაშვილი

ყველაფერი ვარო - მზეც, მთვარეც და ცისარტყელაც...

ნუციკო ჯანჯღავა

ბებოს სული

ბილიკ-ბილიკ ნატერფალებს გიკოცნიდი
ღიმილ-ღიმილ შენს აჩრდილთან დავრბოდი,
პატარ-პატარ სიყვარულებს გიტყორცნიდი
გულ-გულ მხოლოდ მიყვარხარო, ვამბობდი.
ნაწილ-ნაწილ შემოენთე სიყვარულად
ჩუმ-ჩუმელად გრძნობას შენთან ვტოვებდი,
ზაფხულ-ზაფხულ ცეცხლოვან მზედ მოდიოდი
და ზამთრამდე ისევ ჩემთან რჩებოდი.
მერე ისევ მოდიოდა გაზაფხული
ყვავილობდი, როგორც ნორჩი ატმის ხე,
ასე ფერებ-ფერებაში გამეზარდე
და მომავლის ოცნებებსაც ამიხდენ.
და ყოველთვის მოვა ჩვენთან გაზაფხული!

ნანა მომცელიძე

ილია სიხარულიძის ბედნიერი ოჯახი

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2021 / 1 / (39)

თბილისი
2021



წმინდა გიორგის მკვდრეთით აღდგინება

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**



წმინდა გიორგის კირის ორმოში წამების სცენა

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**



წმინდა გიორგი. ტყვეთა განთავისუფლება

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**



მამა გაბრიელ

***

მამა გაბრიელ შენით ვსულდგმულობ,
შენით ჩავიცვი, მადლის სამოსი...
თავდახრილი ვარ, კი არ ვდიდგულობ,
მაცვია ლექსის ტანისამოსი.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

რომ ყველაფერი კარგად იქნება

უწმინდესს და უნეტარეს ილია II-ს

წმინდა სამების მადლი გამშვენებს,
ხატ-სალოცავად გაქვს ან-ბანია...
რა დაგაძინებს, რა მოგახვენებს,
მთელი ქვეყანა შენ გაბარია.

ვიცით ცხოვრება მეტად რთულია,
დროც ამინდივით ხშირად იცვლება.
შენ გვამწყალობებ ბრძენო ილია,
„რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

როცა სამშობლო გასაჭირშია,
მამულის ბედი მრუდედ იხრება.
მყის გვაიმედებს შენი სიტყვები:
„რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

ღვთისმოსაობით, წმინდა ლოცვებით,
ზეციდან მადლი ჩამოიფრქვევა,
შენი სიბრძნით და უფლის წყალობით,
გვწამს, „ყველაფერი კარგად იქნება“.

ლამზირა შეყილაძე



* * *

თუ, გაზაფხულს, ხშირად ქარი აატირებს,
მზის განათბობს, შეუყინავს ლოყებს,
მოძალადეს, თავმდაბლობით გავაფრთხილებ,
დიდ ქარს, იქნებ, ქარიშხალიც მოყვეს...
და თუ, მაინც არ დაამდა, ეს, საწუთრო,
იმედები, უიმედოდ მიწვა...
მიწავ, ჩემო, მადლიანო, ღვთით ნაკურთხო,
არ იდარდო, ხვთისმშობელი გიცავს!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

მაყვალა გონაშვილი

დიდებას ეძებ?

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინღა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სიწმინდეს
ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თეთრად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი
და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე – დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა – რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნებიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა „სანამდის?“
გულზე გვაწევს, მძიმე ლოდივით
როს ერის მამას ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღაღადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინღა შემრისხავს?!

ეს მე ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბროწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

ის, ვინც შენ გსურდა

არ უწერიათ დამშვიდება შეშლილ ქალაქებს,
არც შეშფოთებულ პოლიტიკოსებს,
არჩევნების წინ ხალხზე მზრუნველებს,
მშვიდობისათვის დაწყებულ ომებს,
სხვათა ომებში დაღუპულ გმირებს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
არ უწერიათ დამშვიდება დაცლილ სოფლებს
და
დამშრალ წყაროებს, დამშრალ ცრემლებს,
სიმწრისაგან გამშრალ ბაგეებს,
მათ ვისაც ომმა ჩამოუჭკნო ბავშვობის ია,
მამებს, რომლებიც უმწეობით დაპატარავდნენ,
დედებს, რომლებსაც რძე დაუშრათ, მკნავანა
შვილებს
აწოვეს ბოღმა, უნანავეს ,,შურისძიება“!

არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება
საშოვარზე გაქცეულ ქალებს
ცოლის იმედად დარჩენილ კაცებს,
კომპიუტერში დაკარგულ შვილებს,
რწმენადაკარგულ თაობებს და უთაო
ლიდერს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
ეს ვინ გამოჩნდა, ვინ ამაღლდა
ზეცის თავანზე?
ანგელოზია? სატანუსია?
ან იქნებ სულაც
სხვა პლანეტის მოქალაქეა?
ის არის, ვისაც შენ ელოდი,
ის, ვინც შენ გსურდა,
რადგან ცხოვრება იმას გვაძლევს,
რასაც ვეძებდით,
რადგან სამყარო ისეთია,
როგორსაც ვხედავთ!

შენს საუფლოში

გადამიარეს გულზე წვიმებმა,
სიმარტოვეში ჭკნება აპრილიც,
რად მახსენდები ასეთი ელდით?
სიზმრის ახდენას რატომ დამპირდი?
ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში,
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.
სულ სხვანაირად თენდება დილა,
სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს,
იმ ნისლებივით ჩამოვიღვრები,
ღმერთი შენს ხილვას თუკი მაღირსებს.

იმ ტკივილისთვის, იმ სიშორისთვის,
იმ სიგიჟისთვის გიხდი მადლობას,
მოდი, გააღე გალიის კარი
და გამახსენე ახალგაზრდობა.
იცი, რა ტანჯვა გამოვიარე?!
მთელი წელია ვცხოვრობ ულექსოდ,
მოდი, მომხვიე მხრებზე ხელები
და გამაცოცხლე, სულზე უტკბესო,
წუთივით წავა წუთისოფელი,
მალე ვიქცევით უსულო ქვებად,
შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
რომელიც ახლა სხვის ჭერქვეშ ქრება.

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეცი შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე:
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასმეერთე ღამე გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

სიტყვის „საწოვარა“

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო
და არც „ჯორჯია“
ჩემი სამშობლო, ჩემი
მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი
ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს ზღვა კი არა
ჩემი გულია.
და რახანია შეხსნილი მაქვს
მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ
ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა –
დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი
ნარდით ერთობა.
და პირდაფჩენილ ხალხის მასას,
ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი“,
„ხალხთა ერთობა“,
„ადამიანთა უფლებები“,
„დემოკრატია“
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა
ათი პარტია.
მთავარ როლისთვის ლიდერები
შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს
გმირის მანტიას.
ტირის ქალწული
ქორწილამდე დაქვრივებული
ბავშვებს აცვიათ
მეორადი ტანზე ჭინჭები.
და ვირტუალურ სამყაროში
სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ
ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ,
ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი
სუნი აქვს შმორის.
ვდგევარ დაღლილი სიმართლის და
სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და
სიცოცხლეს შორის
ღმერთო, შენ მიხსნი,
კიდევ... ჩემი ძველი ფესვები
მე რა გამტეხავს
სანამ ჩემი ზეცა მახურავს.
როგორ ვასმინო მე სიმღერა
ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას გადაქცეულს
ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა
ოღონდ ამშორდეს მგელობა!“

ეთერ ჭელიძე

***

არც რას ვითხოვ, არც რა მსურს
ყინულს ვალღობ თითებით
ლექსის ნაპერწკალები
ვერ მავსებენ რითმებით.
გზა-გზა ვხვდები კაეშანს
მზერას ცივს და გათოშილს,
მუზა დამიავადდა
ბილიკს მისდევს აძენძილს.
ცალყბა ღიმილს ვეჩვევით
ერთ-ურთს ვუმზერთ იქედნურ,
მოსაკითხად ვერ ვიცლით
აქეთურს და იქეთურს.
წელიწადის ყველა დრო
ზამთარს როგორ დავუთმო,
ღმერთო, ძალა მომეცი
მოყვასს სული გავუთბო.
დავანახო სიკეთის
ნაპერწკალთა ზეიმი,
მერე თუნდ დამადევნე
სიკვდილს ვარდის ხეივნით...

***

ისე გადავღალე მოთვალთვალე
გზაც ავურიე და კვალიც,
ჩემი სინნანულიც გადავმალე
ჩემი ნაცრემლარი დარდიც.
ჩემი ერთგულებაც დავუმტკიცე
გულიც შევთავაზე ხიდად,
ჩემი სიყვარულით გავაოცე,
სწუხდა, ავკაცობას სწუხდა...

***

მოღვენთილი მომყვა კვალში
ღამე ქარის მათრახებით,
გზას ვიკვლევდი ქარბუქ-ხევში
გზა კი იყო ნათახვები.
ვიწრო შემხვდა აზრის შარა,
მეჩხერ იყო სიტყვა რითმის,
სულის ქოხზე ახდილ ყავარს
აწვიმს, ათოვს, ყალბი სიტყვით...
ვეძებ ბორანს ზღვაში
გამსვლელს
ქვირითს მოყრილ ნაპირს ვეძებ,
თითქოს ვშველი სულის შიმშილს
დამღას ბედის კვერთხის ნაჭდევს
და გვირაბის ბოლო ნათელს
მოვდევ ქართა წიაღიდან,
შეშლილ წვიმებს ღამე ნათევს,
ვესაგზლები ლიახვიდან...

წარსულს გაუჩნდა ბზარი...

რაა ღირებული ნეტავ,
რასაც ელტვი და გიყვარს,
რაც მუდამ იყო შენში
გრძნობად, ოცნებად, სიტყვად...
რაა, ისეთი ნეტავ,
რაც მოგონებად გექცა,
მწუხრი რომელიც გსეტყვავს
სიტყვა, რაც უნდა გეთქვა...
ან სილაჟვარდის ფერში
სიშლეგე გჭირდა ფერთა,
როცა დუმილი ხვნეშის
ღამის დადაღულ მკერდდთან...
რაა ნეტავ ისეთი
რის თქმასაც ვეღარ ბედავ,
დრო გააჭენე ღირსებით
გრძნობამ მონისლა ხედვა!...
რაა ნეტავ ისეთი
რაც სინანულით გკეცავს,
შენი სევდების მღვიმეში
ვით მატყლი, ფიქრებს ჩეჩავს!
ნეტავ რაა ისეთი
გულს ამჩნევია ბზარად!...
კვალი დატოვე სიკეთის
სხვა? სხვა ჩაავლი არაო!

ცრუ პატრიოტებს!..

ვერ ვილოცებ მე იმ ხატთან
თქვენ რომ ლოცულობთ,
ვერ დავუნთებ სანთელს იმას
თქვენ რომ აღმერთებთ,
ბევრს არაფერს, ღმერთო ჩემო
მცირედს მოვითხოვ,
ერთმანეთი შეაყვარე
ბედკრულ ქართველებს!

***

შემოდგომის ფერდობს მიჰყვებოდა
კაცი, რომელიც
უსიერ ტყეთა ფოთოლცვენის
ქოხში ცხოვრობდა,
ბარდნიდა მეტწილ ფერშემხმარი
ფოთოლცვენები
მაშინაც, როცა ბედსგუობდა
ან ბობოქრობდა...
კაცი, რომელიც უკვალავ გზას
სხვას უკვალავდა,
ჯანღ გადაკრული მთის შვილობით
ცად მაღლდებოდა,
ცისარტყელების ირაოზე
ჰკრავდა კამარას
და წვა სულისა, არ იცოდა
სად მთავრდებოდა.

***

ეგება შემომათენდეს
დილა, სამშობლოს, მზიანი...
პაპისეულად აძგერდეს
ეს გული ოხერ ტიალი,
დაიჭრაჭუნოს გუთანმა
გადააბრუნოს ყანები,
მოწეულ პურის მარცვალმა
დააფრთხოს ირგვლივ
სვავები,
გამაძლიერე უფალო
მზევსხივმფინარე სავალო,
შემომიტეხე ბილიკი
დარდო უკვალოდ მავალო!
ეს დაბეგრილი საწუთრო
ძველებურ გავამზიანოთ,
ღიმილი მომნატრებია
სიცოცხლე ავახმიანოთ,
ბარდნალა ლაღი ფიფქები
ხვავრიელ ჩამომითოვლე
მომისაკლისე მზის დედავ
იმედით შემომიქროლეთ!...

შენა ხარ ღვთაება...

დედას

შენს ღიმილს ზაფხულის სურნელი ასდიოდა
შენს კაბას მოჩითულს ზამბახ-იებით,,
მზისკენ სამზირალი ლანდი გასდიოდა
მარგალიტებად ასხმული მძივების..
შენ ბაგეს მზე უხვი სხივებით კოცნიდა,
წამწამთა ჩეროში ცა გარინდულიყო,
შენ თავად ვიდოდი სიკეთის ლოცვიდან
გულიდან გულამდე გზა გადებულიყო...
შენ თავად იყავი წვიმაც და ნათებაც,
მთვარესთან შერწყმული მნათობი ვენერა,
სიყვარულისთვის ანთებულ სანთლებად
ღმერთებთან მავალი, ლოცვა და ვედრება...
შენა ხარ სამზეო, დედა და ბებია,
შვილი და მეუღლე, შარაც და გზაწვრილიც,
შენა ხარ ღვთაება, სამყაროს ხედი და
ადამის ნეკნიდან შექმნილი ქალწული...
შენა ხარ სიკეთე, ბურჯიც და ამაგი
სამშობლოს სიწმინდის დროშაც და მანდილიც,
მწყურვალის წყარო და მაშვრალის წამალი,
ქალობის დიდება...ქალობით დაღლილი..

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

წრფე

ოკეანე რომ აწყდება ნაპირს,
ოკეანე რომ ჯეგირს დალეწავს,
არ ვარ სიმშვიდის დამცველი მაშინც,
მეტადაც მინდა ხმალის ალესვა.

ჩემი გულია ლურჯი ქედები,
ჩემი გულია აი ეს ზეცა,
ტალღები – გულის შემოქმედება...
პოეზიაა ის, რისიც მე მწამს...

და მე ვარ მეფე, და ვარ არავინ,
სულ მაღლა მდგომი, სულ ქვევით ვრჩები,
დამაქვს ტკივილი გულშემზარავი,
ტკივილი, ჩემი ვეება ფრთები...

ფრენის სურვილით ინთება სივრცე,
სივრცეს ათეთრებს სინათლე შორი...

* * *

რკინისბორკილებდადებული,
დამწყვდეული რკინის საკანში,
მცირე სარკმლიდან
ცას უმზერდა.

ყველას ტუსაღი ეგონა იგი,
მაგრამ ის კაცი,
ცით აღვსებული,
ღრუბელთ გუმბათზე დააბიჯებდა –
ფიქრების ძალით...

გადავა

გადავა, წვიმა გადავა, მარი,
აუცილებლად, წვიმა, გადავა;
ცხოვრება იქნებ დილეგი არი,
და მე არ ვიცი, ახლა, სადა ვარ.
იქნება შენ ხარ ფერადი ქარი,
ქარში შრიალებს ობოლი პალმა,
იქნებ აანთო ამ გულში კვარი,
იქნება გრძნობა იცოდეს ქარმა.
თუკი ფიქრია მთავარი, მარი,
მაშინ ფიქრების სასახლეს ვაგებ,
და შენი სახე ლოცვაა მთვარის,
და ჩემი გული – გამტყდარი სარკე.
გადავა, წვიმა გადავა, მარი;
აუცილებლად, წვიმა, გადავა;
თუკი შენა ხარ ფერადი ქარი,
რომ დავიკარგო ქარში, მზადა ვარ.
მარადისობა იქნება მკვდარი,
მგზავრი ზღაპარში თუ ვერ გადავა...

სინათლის მოძრაობა სულში

მე შენ გისმენდი
ჩუმად და დიდხანს,
ცა თოვლს მიჰქონდა,
ვით „წყალს ნაფოტი“.

ცას ადარებდი
ჭაღარა მიხაკს,
თუმცა კი –
თოვლზე ლაპარაკობდი.

ისე აღწერდი თოვლს,
როგორც ვივალდს.

ისე აღწერდი თოვლს,
როგორც მოცარტს...

ახლაც ფიფქები
ჩემს ირგვლივ ცვივა,
ფიფქები –
შენი ლამაზი ლოცვა.

ხოდა, ბარათი
თუ მოვა შენთან,
თუ მოვა შენთან
ჩემი ბარათი,
მას გამოვატან

ფიფქების სევდას, –
იმ სიტყვებს,
რასაც შენ გიმალავდი, –

რომ „მე მიყვარხარ,
და ნუღა სტირი,
დიდ მარტოობის
ნუ ხარ მძევალი“...
მე ვუმზერ თეთრ ბაღს,
და ბაღის იქით
ცად აზიდულა
თეთრი მწვერვალი.

პოეზიუმი

შეცნობის სურვილს,
ყოველივეს შეცნობის სურვილს,
ეს თოვლი, ახლა,
დააფარებს უთეთრეს რიდეს,
თუმც იტევს სიბრძნეს
ღვინისაგან აღსავსე ჭური...
გამოცლი ჭიქას,
და ფიქრებში ნახულობ იმდენს

ჭეშმარიტებას, რომ ვერც ხვდები –
რა არის სწორი,
რომ იკარგები
იასამნით მოფენილ გზებზე...
ეგებ ყვავილნი
მირაჟია სპეტაკი თოვლის,
ან ის ქალია,
ფერადების ზღვაში რომ ეძებ,

ან ის აზრია,
რომ დაგისყლდა ასჯერ, ათასჯერ,
ან შენი სული არის იქნებ,
ვით ჩემი მგზავრი,
ან ის მტერია,
რომ შეიპყარ, თუმც – არ დასაჯე,
ან მოკეთეა...
და მოაღო „კარები“, კარვის,

თოვლ-ქარმა, ახლა
ჰიმალაის მწვერვალებს უმზერ,
ირეალობას
ცხადზე უფრო ცხადადაც ხედავ...
და მარტოობა ასვენია
გაყინულ გულზე
და ზმანებები არ შორდება
პოეტის ცხედარს...

ზეცის თაღიდან
მკრთალ მუსიკად ეშვება თოვლი...

ეს ნაწერი

ცხოვრება –
აი ყველაზე უფრო
დიდი ტყუილი,
უდიდესი, თვითმოტყუებაც.
ადამიანებმა
ყველაფერი იღონეს იმისათვის,
ასე რომ იყოს...
და რა აზრი აქვს იმას,
ეს ლექსია თუ ჩანაწერი,
რაღაც ხომ არის,
აზრიანი ან უაზრო,
მაგრამ – რაღაც, რომელიც
მყოფობს, არსებობს ან –
არ არსებობს...

* * *

მარადისობა,
სამ დღეში ჩატეული.
კაცი მოკვდა,
როგორც დამნაშავე.
კაცი დაბრუნდა,
როგორც ღმერთი.

მისი საფლავის ლოდი

ახლა ფანტელები მოდის.
მე, დიდი განცდები,
გულში მჭირს.
და მესმის საფლავის ლოდის,
ზედ რომ ამოკაწრეს
გუშინწინ:

მისი დაბადება არ გვახსოვს,
და მისი სიკვდილიც
არ იქნება,
უყურეთ ცარიელ საფლავსო,
როგორც მარადიულ
დაფიქრებას...

კახა გაციკაძე

გრძნობა – როგორც სამყარო

გრძნობები იწვის სამყაროდ თქმული,
და უამრავი ვულკანის მიღმა,
მაინც არსებობს პატარა გული,
რომელსაც უვლის პატარა წვიმა.

ქართა თარეშებს რა დააწყნარებს,
ფიქრი კვლავ ეტრფის ციურ მირაჟებს,
თვით ოკეანეც მხოლოდ წვეთია, –
პოეტის ერთი ცრემლის წინაშე.

ტაძართ გუმბათებს მზის ცეცხლი ათოვს,
სამყაროს ველებს ბოლო არ უჩანს,
სიკეთის თითო წამიც კი მახსოვს,
ფერად ზმანებად გულს რომ დაურჩა.

ვერ ვხსნი განცდათა ამგვარ სიმაღლეს,
უფლისკენ სწრაფვა ჯადოსნურია,
მაწვიმს სიკვდილის დიდი სინათლე,
და პოეზია ღმერთის გულია!

ცაზე ოცნება აირეკლება,
ვით კაცის დარდი – ლამაზ ლოცვაზე,
მილიარდი მზეც დაიფერფლება,
პოეტის გულის ცეცხლის კოცონზე.

ქართა თარეშებს რა დააწყნარებს,
ფიქრი კვლავ ეტრფის ციურ მირაჟებს,
თვით უკვდავებაც მუხლმოყრილია
უდიადესი გრძნობის წინაშე...

ურითმო ლექსი – როგორც პოეტური წერილი

როცა ფიქრები დაიბადნენ, იყავი ხილვა,
და გზებმა ამოწურეს თავის თავი,
შეჩერდნენ შენს თვალებთან...
თითები ჩუმად ჰყვებოდნენ
ამბავს – მოფერებაზე.
ჰყვებოდნენ შეხებით,
და თმის ღერებზე გეწერა ლექსები,
უამრავი ლექსი – თმის ფურცლებზე,
როგორც პოემა, რომელიც
უნდა ფურცლო
და უსასრულოდ უნდა იკითხო...
მფარავ ოცნებით,
მფარავ, როგორც თეთრი თოვლი,
მთას მაღალს, ცისკენ წასულს...
და მაღლა, მზის გულში,
სიცხისა და სიცივის აბსოლუტში,
უკვე მთელს ტანზე გაწერ ლექსებს
და ხარ შემოსილი ლექსთა ბრილიანტებით
და თვალს მჭრის ნათება საოცარი...
მერე კი თითები ჰყვებოდნენ ამბავს,
ამბავს – მოფერებაზე...
როცა ფიქრები დაიბადნენ, იყავი გრძნობა...
ჩვენ დასაბამიდან ვარსებობთ...

გედები

სისხლიან გედებს ვერ იტევს ტბა.
რა შემზარავი სანახავია, –
დაჭრილი გედი სისხლში რომ ცურავს
და არაფერი არ ძალუძს სხვა...
რა ხდება? რატომ არიან ტბაში
სულ სისხლიანი გედები ნეტავ?
– აქ იდუმალი სამყაროა სიყვარულების,
მწარედ, მრისხანედ, მოურჩენელად რომ
დაჭრა ბედმა...
და სიყვარულიც შენდამი, კარგო,
ასე ძლიერი რომ იყო ჩემში,
გადაქცეულა სისხლიან გედად... –
ამაში ბრალი კი შენ მიგიძღვის.
ვეღარ მოარჩენს აწ მის ჭრილობას
ვერც სიყარული, მოფერება, სითბო-ალერსი...
ის შეუერთდა, ტბაში, დაჭრილ,
სისხლიან გედებს...
იქ იდუმალი სამყაროა სიყვარულების...

გიორგი ზუხბაია (ზუხბა)

ჩემი გულწრფელი ნიავი

ნიავი არის საოცრად ტკბილი,
როს ოცნებები ფრენას ცდილობენ,
და ის ჰგავს ფუნჯის გასმას ტილოზე
ან – ამოსუნთქვას ნამიან დილის.
ვგრძნობ, რომ სიცოცხლე ლამობს გაქრობას,
ნიავი დაჰქრის, როს ცა აქეზებს,
როს მარმარილოს მდუმარ ბაგეზე,
უცებ, რატომღაც, გრძნობ მოძრაობას.
და სიხარული თუმც არის უკვე,
აქ მაინც სევდა, სევდა თუ არის...
ჩემი გულწრფელი ნიავი დაჰქრის,
ეხლება ყვავილთ სიმწვანის გულმკერდს.
ბუნებაც, როგორც ადამიანი,
ნიავს აჰყვება ღელვით უფრქვევით,
იგი იმდენად არის გულწრფელი,
რომ შეუძლია იყოს ნიავი.
თუმც იგი, უცებ, ნაზი ქალია,
ან – ჩვილის თმების კულულთა თრთოლვა...
ის დაჰქრის ასე ნატვრად და ბროლად,
რადგან წრფელია, რადგან მკრთალია.
იგი უშურვლად ახლოა სულთან,
ანუ იმდენად არის გულწრფელი,
რომ შეუძლია არ იყოს სულაც...
და მაინც ჰქროდეს...

სონ-სონეტები

ცისარტყელას კაბა

ვიყავ უხილავ წვიმის შემსწრები,
სივრცე კამკამით იყო ნაფენი,
წვიმის წვეთები – როგორც ძაფები,
სხივები – როგორც რბილი ნემსები.

მერე წვეთებმა მზერა დალოცეს,
იყო მეორე წამი აისის,
წვეთები ნელა და თან თავისით
სხივთა ყუნწებში ფრთხილად გაცოცდნენ.

ცა ინთქმებოდა სილურჯის ნაბვით,
ღრუბლის ჩუქურთმებს სიზმარი ეცნათ,
მაშინ სინათლემ, ვით ჩუმმა თერძმა,
დაიწო შექმნა შვიდფერი კაბის.

სხივების ცურვას გზნებას ვატყობდი,
მთელი სინედლით ღვიოდა არე,
მე ვუცქეროდი უშორეს ჰაერს,
და ვღელდებოდი სანახაობით.

სივრცის მხრეებიდან დაეშვა დაბლა
თხელი შლეიფის მზე-სიეულე,
და ცოტა ხანში, სივრცის სხეულზე,
გადაფერადდა უთქმელი კაბა.

ფერებმა არე დაფლეს გულამდი,
თვალს უსაზღვრობის ხილვა ეღირსა...
ეს კაბა იყო ცისარტყელისა...
შემოსილიყო, სივრცე, უფალით...

თავაწყვეტილი გრძნობები

ზეცა მიქცერის, როგორც მეგობარს,
სულს ვარქმევ კაცში უფალის დუმილს,
როდესაც მიწას მოსწყდება სული,
იგი ზეცამდე ქროლვას ენდობა,

ამიტომ ანგრევს ყოველგვარ წესებს
და თავაწყვეტილ გრძნობებს ეძლევა,
სივრცეს სიშორე აღარ ელევა,
აღქმას, ამისას, ვერავინ შეძლებს,

და გარდიღვრება სულ სხვა დაისით
სული, რომელიც სახიერია,
რადგან წესრიგი სულის მტერია,
ხოლო ქაოსი – მისი საწყისი,
საწყისი ანუ – უსაწყისობა...

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

მე გამოვყვები აპრილის ქარებს

მე გამოვყვები აპრილის ქარებს,
გულს რომ გააღებს ზამთარ-შენამზერს,
მე ავაჟღერებ აპრილის ქნარებს,
როცა სიცოცხლე ადის მწვერვალზე.
როცა კვირტები ანთებს მომავალს,
როცა ტყავს იძრობს მკაცრი სიძველე,
როცა მთა-გორებს ფუნჯი მოხატავს,
იმედის სხივი როცა იელვებს.
მწვანის შრიალთა იდუმალებით,
ჩავთვლი, რომ ბედი ისევ მეახლა,
ციურ ვარსკვლავთა გამონათებით
დავიბადები მაშინ ხელახლა...

სანთლით საძებნი გახდა ღიმილი

ცამ გადაიკრა შავი პირბადე,
მზის სხივში ჟონავს სისხლის წვეთები,
სინდისი გუშინ ჯვარზე გააკრეს,
სიბრძნე დამარხეს ეშმას ბნელეთში.

საწუთრო ბორგავს თავის ვნებებში,
ჩაკვდა იმედი, დაცხრა ყოველი,
იმედწამხდარი, როგორც ვერნერი,
გულქვაობისგან სიკვდილს მოველი.

ქარი ასკდება დახშულ დარაბებს,
გაანჩხლებული კივის უზნეოდ,
ხმა დაეკარგათ სამრეკლოს ზარებს,
სიკვდილი როკავს უხმოდ, უენოდ.

არავის ესმის ხმა და ღაღადი,
სანთლით საძებნი გახდა ღიმილი,
ნებადართული დიდი ღალატით,
კარიდან კარზე დაძრწის სიკვდილი.

ვიღაც აგროვებს გადამწვარ დღეებს,
დროს ვერ აფასებს რომ დაენანოს,
კოცონზე აყრის ნარჩენ ბულულებს,
რომ ცეცხლი კვლავაც ააელვაროს.

ვნახე სამყარო იმედჩამქრალი,
ვნებადაცლილი და დამაშვრალი,
სისხლგაყინული და ცრემლდამშრალი,
უფლის წინაშე მუხლზე დამდგარი.

ვგრძნობ, სივრცეები დაპატარავდა,
ახლა, ვაფხიზლებ ჩემს თავს თანდათან,
ო, ღმერთო ჩემო, ო, ღმერთო ჩემო,
იმედის ზეცა არ დამიბნელო...

გაზაფხული მოგილოცე დედა

როცა მთებზე თოვლი დნობას იწყებს,
ნაკადული ააჟღერებს ჩქერებს,
მარტი გაშლის აელვებულ კვირტებს,-
ჩამოუვლის გზებზე გამდგარ ტყემლებს.

ყოჩივარდა თავს დაუხრის იელს,
ვაზის ლერწი ვერ იკავებს ცრემლებს,
სადღაც ჩიტი ჩამოსჭყივლებს შვილებს,
გადაუვლის ჟრუანტელი ველებს.

ცისარტყელა ტყეს შემოხვევს ხელებს,
თვალს აუხელს ჭრელაჭრულა ფერებს;
გადმოაფენს ზურმუხტისფერ ფარდებს,-
დედამიწაც გახსნის გულის კარებს.

ეს ფუსფუსი - სიყვარული ენა
აამღერებს ცისთვალას და ქედანს;
მეც ავკინძე ერთი იის შეკვრა -
გაზაფხული მოგილოცე დედა.

ვინ ხართ ასეთნი ...

ღმერთო, იხსენი საქართველო
შინაური და გარეული მტრებისაგან

თქვენ ხართ ორგულნი, მტრებზე მეტად მოღალატენი,
თქვენ კვლავ დახვრიტავთ, სისასტიკით, ზვიადს, ილიას,
ძმა-სისხლიერზე ინადირებთ როგორც კაენი,
მიზეზი მტრობის თქვენს რიგებში არ დაილია...

რით არ დასრულდა თქვენი გესლი, თქვენი სისინი,
თქვენ გენატრებათ საქართველო სისხლით ნაღები,
თქვენს ნაოხარზე მტრები ხარობს, მტრები იცინის,
მე კი სამშობლო მეღუპება - სახნავ-სათესი.

წარწყმენდილია თქვენი აზრი, თქვენი არსება,
სისხლი გიყივით მოღალატის - შადიმანური,
რად არ მოგწყინდათ საწყაულის ბოღმით ავსება,
რამ გაგიყინათ, მოგიწამლათ სისხლი ქართული.

თქვენთვის უცხოა საღი აზრი, საღი კამათი,
თუმცა, ახერხებთ საჩლუნგეთი გადაგვამტეროთ,
ამის ნიჭი გაქვთ, მერწმუნება ყველა ამაში,
რომ, საბოლოოდ, მომავალი გააცამტვეროთ.

ჩასაფრებული ელოდებით ქვეყნის დაქცევას,
უბედურების შავი ტალღა რომ ააღელვოთ,
თქვენ ელოდებით დედა ბოძის - ბურჯის წაქცევას,
რომ საბოლოოდ საქართველოს მზე ჩაასვენოთ.

მინდა ავაგო ერთგულების მყარი შენობა,
დამერწმუნებით, რომ ქართული მიყვარს ყოველი,
თქვენც გაპატიებთ, ამისათვის მე მაქვს შენდობა,
თუ ვინმეს სჯერა, რომ ოდესმე გამოსწორდებით...

ედუარდ უგულავა

წესი წესია

მივწვდი წარსულის სახელურს,
ფიქრი ვიგემე უმი და
მთვარე გადმომყვა გაქცეულს
ამ გიჟურ საუკუნიდან.
ლოცვა არც სხვისი, არც ჩემი,
არ წამიღია იმედად,
ქალაქს ღამეში დარჩენილს
ნერვები უციმციმებდა.
სულ მალე მთებს ავუყევი,
ვიარე გზები საურმე.
ძაღლზე ერთგული ულაყი
ოცნებებს ვაბედაურე.
მერე სასმენელს მადლივით
მისწვდა არაგვის სიმღერა,
მიწვა დაღლილი ნადირი,
ცისკარმა ისინდისფერა.
მზე ჩაეშალა ზოლებად
ალიონს, სიზმარგაუცრელს.
წინ შეხვედრილმა ტოლებმა
მხრები მიკოცნეს და უცებ
დაღმართში ბიჭი გაიქცა,
მოდენა ხარი _ ნიკორა.
ხარს ხმალს უღერენ, წამიც და
თავი მიწაზე მიგორავს.
ივსება უცნობ იმედით
გული, ფსკერამდე დამშრალი,
როგორც ეს ქვაბი სპილენძის
სისხლიან მოსახარშავით.
და მითბობს რახის სისველე
ფიქრს და დარდისგან ვიცლები.
ქაფქაფა ლუდით მივსებენ
ხის კათხებს ძმადნაფიცები.
ცოტაც და ღრუბლებძნებიან
ზეცას დაისი დაისრავს.
ისინი მთისას ჰყვებიან,
მე ამბავს ვამბობ ბარისას.
ღალატში მუდამ უმეცარს,
კათხა მისხლტება ხელიდან,
ისეთ მზერას ვგრძნობ უეცრად,
თითქოს ტყვია მკრეს ცხელი და
ჯერ უძრავად ვარ, მიხედვას
არ ვცდილობ, მაგრამ ცდუნება
ნერვებს მიფატრავს, ისე ვარ,
ნელ-ნელა თავს ვაბრუნებ და
ღმერთმანი, ასე ვინ შემშლის,
სხვა ვინ ამირევს გონებას,
ეს შენ ხარ, ვისაც სიზმრებში
გიმზერდი მთელი ცხოვრება.
ცხელა, ნიავი არ იძვრის,
თუ ეჭვი მზარავს საზარი, _
ნეტა, ხომ არ ხარ მასპინძლის
ან და, ან _ ცოლი, ან _ რძალი.
ეს ფიქრი მიჭერს საცეცებს
და სინამდვილეს მიმუნჯებს,
ვწრიალებ, ვცდილობ გავექცე
შენი თვალების სილურჯეს,
მაგრამ შენ შენსას არ იშლი,
ცეცხლოვან მზერას მაფეთებ,
გველი დამიდის ძვალ-რბილში,
ვნება მიბზარავს საფეთქლებს.
ეჭვი იწევა ცერზე და
გაჭირდა ღამის თენება,
სიმთვრალეს ვიმიზეზებ და
მივდივარ მოსასვენებლად.
უცნობ სიმშვიდეს დავეძებ,
დაღლილს ძლივს მიჭერს მუხლები.

ჭრაქს ვაქრობ და მგლის ტყავებზე
ვემხობი ტანგაუხდელი.
დრო კი... რა ნელა გადის დრო,
ქცეული უცხო ბოდვებად,
ფხიზლობს სიჩუმე, მაინც ვგრძნობ,
რომ ვიღაც მიახლოვდება.
ლოდინს სიმშვიდით ვერ ვივსებ,
მყინავს ხორციან-ძვლიანად,
ბებუთს ვეხები, ეს ისე,
შეჩვეული ვარ იარაღს...
თავიდან, როგორც ნარ-ეკალს
ტანზე ისე ვგრძნობ შეხებას...
ეს შენ ხარ, შენი ბაგე მწვავს,
შენი ხელები მეხვევა.
სურნელი შენი სინორჩის
უკვე გონებას მიბრმავებს,
თავბრუ მეხვევა, გიკოცნი
გაველურებულ სინაზეს.
და მაინც, ღალატს უჩვევი,
ფიქრს ვერ ვიშორებ წყლულიანს,
არადა, შენი ტუჩები
წყაროს წყალივით მწყურია.
გული სხვას ფიქრობს ალალი,
ფარად ვერ ფარობს ღამესა,
ხრიალებს: წესი არ არის...
_ გადი, გამშორდი, გამეცა.
უეცრად ისე მკაცრდები,
ზარსა სცემ ღამის ბინადართ,
ფრთხებიან შავი ლანდები,
ხმაში გერევა რკინა და
ამბობ: _ მებნია, მეწადა
შენი კოცნები მძივებად,
ის, რაც მოხდება, ჩვენ გარდა,
სხვას არვის ეცოდინება.
და თუ ხელსა მკრავ, იცოდე,
ეჭვებში ღამენათევარს,
ვფიცავ, წაგართმევ სიცოცხლეს,
გაქცევ ძაღლების სათრევად.
ამბობ და უკვე მეც ვამჩნევ,
მოსისხლის მზერით მიმზერ და
თავს მშვიდად ვუყრი ჩემს სათქმელს,
ღიმი გადამდის პირზე და
უკვე წარბები შეჰყარა
მთვარემ, ოცნების სამელნემ,
_ სულ მალე მძინარ ქვეყანას
მზე გააღვიძებს და მერე
როგორც წესგამტეხს და ორგულს
ცილი დამწამე, თუ გინდა,
დილით ეზოში გამოსულს
წყალს ნუ დამისხამ თუნგიდან.
აჩვენო სახე ნაკაწრი,
ხალხს სასეიროდ შეკრებილს,
მომცვივდეს ქალი და კაცი,
ქვებით მიმტვრიონ ნეკნები.
შენ კი მიცქერდე ამაყად,
ბედს არასოდეს მორჩილი
და შენს ფეხებთან დამაკლან,
ხატს შესაწირავ ყოჩივით.
მე არ ვიგლოვებ სიცოცხლეს,
სიცრუის ნებით დატორილს,
ოღონდაც გულმა იცოდეს
სიმართლე თავის პატრონის.
თორემ მე მკვდარსაც მესვრიან,
ქვებს, თმახუჭუჭა ბალღები;
და მაინც, წესი წესია,
წესს საით ეღალატების?!.



გერონტი მესხი

იბერთა მოდგმავ!

ტონის მიმცემი ძირძველ ტომებში,
მამულის სვე-ბედს გადაგებული.
გამობრძმედილი ფიცხელ ომებში,
რწმენისთვის გულ- და თავდადებული.
მახვილი გედგა კვალში სატანის,
ჩქეფდა ნაჭდევი ღრმა და სისხლმდენი.
რაც შენ ბრძოლა გაქვს გადანატანი,
მტერს ღვარძლი სწვავდა ასჯერ იმდენი.
მტრისგან თესილა აქ სიტყვა ,,შუღლი",
აქ, სად სამშობლო დგას თავზე მაღლა.
სინქრონიზება ხმალის და უღლის
თანშეზრდილია ქართველში ახლაც.
ბევრ ხალხთან ისე გადასდე ხიდი,
ზოგს საკუთართან არ ჰქონდა გზები...
როცა შენ ღვთიურ ანა-ბანს ჰქმნიდი,
პირველ სამოსელს ირგებდნენ სხვები.
შენი ღაღადი აღწევდა ცამდე, –
უფალს სატახტო სადგომად რომ აქვს...
შენ როცა ღვთიურ ვაზის წვენს სვამდი,
სხვას ცხარე რახი უწვავდა სტომაქს...
იბერთა მოდგმავ!.. მამულზე სწორდი!..
ერს სხვას ვერ ნახავ მსგავსი ბედისას.
ჩვენ ხომ ნიადაგ ორ ძუძუს ვწოვდით:
ერთს სამშობლოსას, ერთს კი-დედისას!
შენ გაქვს სამოთხე, სულ წინ რომელზეც
იშვა და იწყო სიცოცხლემ რწევა,
თუმც, ,,ამირანი" იქცა ,,პრომეთედ",
,,ზეზვა და მზია" – ,,ადამ და ევად"...
მემატიანევ, შენც მათთვის წერე,
შეღმართს ვინც სძლიოს-ვაჟმა, თუ ქალმა.
იბერია ხომ შეღმართის მერე
გაბრწყინებისთვის შექმნა უფალმა...

2014წ.

ზღვა მღერის

ზღვა ღელავს, როგორც პატარა ქალი,
პაემანზე რომ პირველად მიდის.
ზღვას დასტრიალებს ფიქრების რკალი,
ზღვაზე ფართე და ათასჯერ მშვიდი.
ზღვა ღელავს...
არა, სიმღერას მღერის,
ზღვა სიყვარულზე უმღერის წყვილებს.
დამდგარა მისი სიმღერის ჯერიც, –
ზღვის სიხარული გაინაწილეთ.
ნაპირს მივყვები...
ზღვა შხეფებს მესვრის,
ერთია ზღვის და მაგ თვალთა ფერი.
ყური დაუგდეთ!..
სიმღერა გესმით?
– დიახ, ზღვა მღერის!..

1971 წ.

კაცობის პროვოკაცია

არ დაიჯეროთ ჩემი სიკვდილი,
მე კვლავ ვსულდგმულობ მტრების ჯინაზე.
არც უძლური ვარ, არც ფერმიხდილი-
არც დაჰკლებიათ გრძნობებს სინაზე.
ჩემი გაქრობა ვინაც დაგეგმა
ჭორით, ჩაშვებით, ამბის მიტანით,
ვინაც ჩამითქვა წესის აგება
მიქელას ცელთან ჩოქვით მიყვანით,
ვინაც წამართვა, რაც კი გამაჩნდა,
შემიჯანჯღარა რწმენის აურა,
ის ჩემს სიკვდილთან თვითონ დამარცხდა,
მე კი გაქრობა გამიხმაურა.
ვინც სხვას წაუჭერს კვდომის მარწუხებს,
თავს ბუმერანგი დაესხმის კრული.
იმ სულის ქონას, მას რომ აწუხებს,
მე მირჩევნია, არ მქონდეს სული.
აცალეთ მაგ სულს, ცოტაც აცალეთ,
ყოვლადძლიერი განსჯის უფალი.
იმგვარ შენაძენს, მას რომ აწვალებს,
მე მირჩევნია, ვიყო უფულო.
მეგობარს ჰგავდა... მყავდა... არც მყავდა...
ეჰ, მოხდეს ბარემ, მოხდეს, რაც არის.
ჩემი კაცობა უფრო გამყარდა,
ის კი არის და... უფრო არც არის.
რაც იყო, იყო...
დამაგვიანდა...
მაგ ნაგვის ურნას
მიკვირს, არ ცლიან...
მე ისევ ისე კაცი მქვიან და
მას კი...
კაცობის პროვოკაცია!..

2007წ

ისევ ბაფთით დადიხარ

თუკი გიყვარდი,
იმ ძველ გრძნობას ნუ დამამადლი
და ერთხელ კიდევ დამენახვე,
არ თქვა უარი,
ვინძლო, გამრიგემ განიკითხოს
ცოდვა და მადლი,
და მეც განმსაჯოს,
ჩემი წვლილი ბრალში თუ არი.
ჩვენ დროშიც ავცდით
ერთმანეთს და
ავცდით შარაზეც,
მერე სივრცეშიც...
დაშორებაც ხვედრია ორის...
მთა აიზიდა
ჩვენ ორს შუა
გრძელი შხარაზე
და ყინვა დასცა
დაჭრილ სივრცეს
მე და შენს შორის.
...და შეერიათ ფიქრებს გვალვა,
რომლის გამოც წვიმს...
ისე ბრწყინავდი ბოლო ზარზე,
დავეცი ლოცვად...
გთხოვ, კიდევ ერთხელ ჩაიარო
სკოლის გამოსწვრივ,
ბაფთა არ გინდა,
მაინც გადგას,
დადიხარ როცა...
2013 წ.

კაცი კაცური

თუ გატანჯულხარ,
ძმაო ჩემო,
სხვათა დარდებით?
მოგიტაცნია ციდან ცეცხლი
ძმათა სახსნელად?
ან, გაგიკაფავს, შიშველ ხელით,
ეკალ–ბარდები
უღრანს რჩენილი ხორციელის
გადასარჩენად?!.
...თუკი შენს მიერ გახედნილი
ულაყი ცხენით
გაავლე ხნული,
სადაც ფეხი ჯერ არ დაუდგამთ,
თუ ხმალს, ამოწვდილს,
არ გაექეც
სიმართლის მთქმელი
და ეგ სიმართლე ვერ დაჩრდილა
სიტყვამ აუგმა;
თუ ცოტნე არ ხარ,
ცოტნედ კი გცნო
ქვეყანამ ბოლოს,
არც ამირანი,
თუმც მოჰგვარე ხალხს ცეცხლი ციდან,
თუ კი იწამე,
რაც ჯერ მცირემ იწამა მხოლოდ,
და შეეწირე,
და მერე კი გაკურთხეს წმინდად.
თუ ნაწამებმა სულმა გამცნო
დალხენის ფასი,
თუ დაჰგმე გზები განცხრომისკენ,
გზები მაცდური,
თუ სიკვდილამდე
კიდევ ერთხელ
არ მოკვდი კაცი,
კაცი ყოფილხარ, მაშინ, კაცური!
1978 წ.

ლამაზი ქალი

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისთვის,
წამში გასცემს მისი მზერა ფარული.
სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის,
მზითევია, სკივრში გადამალული.
ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა
და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე,
სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა,
ფიქრიც, მზერაც მის მხარეს რომ გაგექცეს.
და თუ სუნთქვაც აგიჩქარა მშვენებამ,
ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი,
ყველა ქალი შენად მოგეჩვენება,
შეგაშფოთებს შიში მათი დაკარგვის.
სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე-ცას,
გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს შურიანს.
...თვალს, თუ კვლავ სხვა ლამაზისკენ გაგექცა,
ნუ დასძრახავ,
წყალი თვალსაც სწყურია!..

2015 წ.

ხათუნა ჩიტაძე

ცივა და...

ტონდოს მსგავსი ღრუბელი,
ცრემლიანი წვიმები,
ტალახი და წურბელი,
მაინც მიწის შვილები.
დაღლილობა უძილო!
მონატრება მაისის,
ოცნებები უძირო,
უაისო დაისი!
გაცრეცილი დილა და
უშენობა ტვირთია!
იცი, როგორ მტკივა და
არაერთხელ მითქვია...
იმედები შეშლილი,
სიცივე და სისველე,
ხეები კი შიშველი,
ვერაფერი „ვიშველე!“
ზამთრის ღამე უშენოდ
გნელზე უფრო გნელია,
საქმეც რჩება უხელო,
როცა ფიქრი ძნელია!
მოწყენილი დილა და...
იცი, როგორ მტკივა და...
ზეცას სევდა ცვივა და...
მცივა.....
და.....

2015 წ.

გაპატიებდი

მარტის თვალებს, ფახულას,
ხან მზე უდგას, ხან თოვლი,
ეს სხივები ფარულად
ნაწვიმარზე კრთის თრთოლვით!
გაზაფხულის სურნელი,
ეზო-ჰაერს იხუტებს.
მონატრებულს, სულელი
მარტი, – წარსულს იბრუნებს!
მიწის შვილებს გულები
დასასკდომად მზადა აქვთ,
სიხარული, ულევი,
ამ გაზაფხულს თან დააქვს.
... და მეც ეზოს შევხარი,
მიწა ფეთქავს იებით!..
წარბი ვეღარ შევკარი,-
წყენას გაპატიებდი!

2015 წ

ჩემს მომავალ პაწაწას!

ცაზე ატლასია ღრუბლის
და გარხატის მზე,
ჩემს მოლოდინსა და სურვილს
მიმზიანებს მზე!
თუ სიზმარში ამედევნე,
ან ფიქრები მწვავს!
შენ, ნამცეცავ, უდარდელო,
შენზე დარდი მკლავს!
უფლის მადლი და მომავლის
სიხარული მერგო!
რა ვქნა,
ლექსს თუ კვლავაც დაწერს
შენზე, შენი ბებო!

2015 წ.

წითელ პარასკევს

ჩვენი ცხოვრება –
სისხლის ქარბუქი,
წითელ პარასკევს დგება ვედრება!
უფლის ჯვარცმით და
ღვთიურ დასტურით,
ცრემლი და მადლი
ერთად დედდება.

2015 წ.

ახლა

მხრებზე აპრილი სანდო სურნელით
და მზის ციალით მშვიდად მეხება,
თეთრი ფურცლების ცვენა, სულ ნელი,
ისე საამოდ გულზე მეხლება...
ეს გაზაფხულიც ისევ სხვა თვალით,
კვლავ სხვა ფერებით, ფერხთით მეგება,
ბედნიერება, – უფრო სხვაგვარი,
არც თუ ტყუილად მოდის, მერგება!
მზის წნულები და ნამზეურები,
გარშემო ზღვად და მთებად მარტყია,
ამ სურათების მწკრივი, ულევი,
სულ ჩემი სულის ციდა ბარტყია!
გაზაფხულია! ოცნება მელის,
მოლოდინები გადაიკარგა,
ქუჩაში მტვრის და მზის ქარი მღერის,-
ჩემი სურათი კვლავ დაიქარგა!

აპრილია და ტკბილი სურნელი,
მხრებზე მეხება სიო, სულ ნელი...
2015 წ.

პაატას

ცხოვრება ერთი მადლის მუჭია!
ცხოვრება! – ძნელი და თან ადვილი,
მტკივა, იმედი როცა ფუჭია,
როცა სიკვდილი გვერდით დაგვიდის!
ვიცი, ტიალო, რომ გზა ერთია,
ყველას თვალები შენი ხედია,
და ჰორიზონტზე მზე და მახვილი
ერთი ბოლო და ერთი ბედია.
ახლა, ეს გული ტკივილით დამაქვს,
ახლა სიცივე ისე მოვირგე,
ადრეც და ახლაც ვუყურებ დრამას,
და კიდევ ერთხელ ვხდები მორიგე!
როცა სივრცეებს ვეღარ შეიგრძნობ,
როცა თვალები მზერას დაკარგავს,
შენს თავსაც როცა ვეღარ შეიცნობ-
მე ისე მტკივა შენი დაკარგვა!
2015 წ

იოანეს ბებიკოსაგან

ცისკარი შობა მაისმა
და დილამ – ჩვენი ოქროს მზე,
ამ სულის ლურჯმა აისმა,
გადაინაცვლა ზენიტზე!
პატარავ, ისე ტკბილი ხარ,
სიცოცხლე შენით ზეიმობს,
დე, დედამიწამ სულ აღმა
გატაროს და გასეირნოს!
ზეცას ღიმილი ამოსცდა,
იმედის დღე დგას, მარადი,
ეს მზრუნველობა და ლოცვა
ამინ! – მარადჟამს გფარავდეს!
შენს სუნთქვას თავთით ვდარაჯობ,
ჩემი მრწამსით და ქალობით,
დღეს შენმა მზემ გამაოცა,
უფალმა – თავის წყალობით!
2015წ

gazafxuli
(ექსპრომტი ფეისბუქისათვის)

ბედნიერება მოდის იებად,
ყაყაჩოებად და ენძელებად,
– არ მეძნელება!

და ყვყვილებით დათოვლილ გვირგვინს,
ვერვინ ამომგლეჯს ამ გულ-მკერდიდან,
– ვერც ფესვებიდან!

რა დრო გასულა.....
ან რა გასულა?
ახლაა ჟამი,
არც რა გასრულდა!

და ჩემი მრწამსის ამ შუა გზაზე
ვიწყებ შეცნობას,
ვიწყებ ძიებას,
და ყველა უცნობ ყვავილების
კვლავ მოძიებას!
2015წ.

მალვინა ჭელიძე

* * *

და რამდენი დარდი ვზიდე,
ამ დროების გადამკიდე....
როს უფალი ძალას მატებს,
სიმშვიდეში ღამეს ვათევ.
ეს დრო ისე გამეპარა
გული სევდით დამეღალა.
ზეცის თაღზე მიდგმულ კიბეს,
სიმშვიდით და რიდით მივდევ.
დრო... სიყალბის გაყრის ნაცარს,
ერთგულების ეძებ მარცვალს.
მოიშორე ცრუ და ფლიდი...
გახდი უფრო მხნე და მშვიდი.
რაც არ უნდა ქარი ქროდეს,
სუსხიანი იყოს დარი,
შორეული მონატრების....
მოგონების მომდევს ჯარი.
ხან მზის სხივებს ეფიცხები,
ხან ღრუბელი მიმოფანტე....
ხან წვიმაში გალუპული
წაიქეცი ,დაენარცხე.
ყველა დარდს და ყველა ტკივილს,
ჩაურაზე გულის კარი,
სიმშვიდე და უფლის რწმენა
გულში უხმოდ ჩაიკარი.
მიაპობდი ღამის ტალღებს ,
ოცნებების იყავ მგზავრი,
იდუმალი მონატრება....
იყო შენი თანამგზავრი.
დრომ გაცვითა ყველა გრძნობა,
შეიცვალა დარდის ფერი...
გზას გინათებს მთვარის შუქი
იდუმალი ყველაფერი.
დამაქროლებს სადღაც ქარი...
ღამის ჩრდილში ბილიკის მივდევ,
დაღლილი და სევდიანი
ამ ცხოვრების გადამკიდე.
დრომ თავისი წაიღო და....
მიიხურა უხმოდ კარი,
შემიყვარდა სიმარტოვე...
გახდა ჩემი თანამგზავრი.
.ყველა დარდს და ყველა ტკივილს,
ჩაურაზე გულის კარი,
ხვითის რწმენა და სიყვარული,
გულში უხმოდ ჩავიკარი.
მარადიულ სიყვარულით
გაუღია ზეცის კარი,
ტირის ქალი უბედობას
ვაი მისი ცოდვის ბრალი....
და გოლგოთას გზაზე მავალს
ღმერთის რწმენა იცავს
ამინ.....
სათნოებით,სიმარტოვის....
სევდიანი ვწერე ბწკალი....
ღმერთო ყველა დაიფარე ,
ყველა.... ჩემი საფიცარი.
ღამე იყო სევდიანი,წვიმიანი
თანაც წყნარი,
მიყვარს დილა მშვიდობისა და
სიყვარულის საწინდარი....
ფიქრები და თეთრი ღამე
გახდა ,ჩემი თანამგზავრი,
ხან დავხოხავ,ხან დაფრინავ
და რამდენის ტვირთი ვზიდე,
ღმერთო ყველა დაიფარე
ამ ცხოვრების გადამკიდე.
.....10....02....2021

მზია ელიაძე

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ

პატარა იყო, მთლად ბავშვი,
ქალიშვილიც კი არ ერქვა,
როცა შეიტყო ღვთის ცაში
ასვლა, მიწიდან აფრენა!..
ჰოდა დაკარგა სიმშვიდე
სხეულ-სულ-გული უშფოთავს...
მიზნად დასახა სიწმინდე
ნიავი კულულს ულოკავს!..
დატოვა სახლი, მამისა –
არ ვიცით; ქოხი, სასახლე...
მრავალი ღამე ნატვრისა
აუხდა, ეძებს ქართველთ ერს!..
მოდის, მოიწევს წინდაწინ
მისი მეგზური – ქარ-ყინვა...
ჰა, მიეძინა ფიქრდაღლილს;
ფიქრში აღმოხდა ოჰ, გმინვა!..
– ნუ შეშინდები, ძვირფასო!
დედა ვარ, დედა, სამყაროს...
ჩემს წილხვედრ, ნეტარ სამშობლოს;
გაბარებ, ხელში, საბადოს!..
იქ სიწმინდეა, დიადი,
სისპეტაკეა სულისა.
ხალხიც ამაყი, ზვიადი;
რწმენა სწყურიათ უფლისა!..
ჯვარი დამცავი ფარია,
ყველგან მეგზური, ვით ღმერთი,
გადაუხდელი ფასია
შენთვის – კოლხ-იბერთ დიდ გენის!..
გამოეღვიძა, ვაზის რტოს
ჯვარი ეკავა ძვირფასი...
არ დაუკარგავს წამით დრო
შეჰკრა კულულით, მზის დარი!..
შემოახვაი დალალი,
მკერდს მიიხუტა სინაზით
და შემოვიდა ამალით
მცირედით, მაინც სილაღით!..
იესოს კვართი, მცხეთაში
ელის, რამდენი ხანია.
ერთად ავიღოთ სევანში,
ავაგიზგიზოთ ალია!
შემოვაბრუნოთ რწმენისკენ
ერი, რჩეული დედისა!
სხეული-სულ-გულით ღმერთისკენ;
ხვედრია, მათი ბედია...
მუხლზე დაემხო გოგონა,
ღმერთს მადლი უძღვნა გულთა:
– აღსრულდეს ნება უფლისა;
სიკეთე ჰქონდეთ, სულის ხსნა!..
შემოიარა მამული,
მტკაველ-გოჯობით აზომა.
სიტყვა დათესა ნატრული,
ქრისტე ჩვენს სულში აცხონა!..
მამული, ჩვენი ირჩია
სამარადჟამო სავანედ;
მკერდს ქართლის მიწა იბნია,
იქ დაიმკვიდრა სამარეც!
მისი ამაგი, სიკეთე
აუწონავი განძია,
ნინოა ჩვენი სიწმინდე,
მარადიული წამის!..
მის სიახლოვეს ყოფნა კი
თვალს საოცნებო ნამია...
დიდება უფალს! რომ ამით
ერს მადლი უხვად აფრქვია!..

13.11.2021წ.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ
(თეიმურაზ წიკლაურს)
02.02.2021

ზეციდან მოფრინდი არწივის მართვედ და
კოლხ-იბერთ მიწაზე დაბუმბლ-დაფრთიანდი..
ნიწაპართ ნატერფალს ეფერე, მართე და
რა სათნოს, საამოდ ამღერდ-ახმიანდი!..
ვამაყობ, ვატარებ შენს გენს და ხორცს და სისხლს,
ვლოცავ ჩვენს წინაპართ ამ დიდი ძღვნისთვის.

* * *

ერში აღარ დარჩა, შენი სიკეთისთვის
კაცი, არ ელოცოს მგოსნის სიცოცხლისთვის!
... უფალსაც ხომ უყვარს რჩეული შვილები,
ჰოდა შეგარჩია კაშკაშა ვარსკვლავი...
სპეტაკი ცხოვრებით სამოთხედ იქნები
მთის შვილო, არწივო, სიწმინდევ, მარადის.

---

* საბადო – აქ; ძვირფასი განძი

ეთერი ზარიძე

ნუ ეკითხებით

ნუ ეკითხებით საქართველოს,
რამე თუ უჭირს,
აღარც სმენა აქვს, აღარც ენა,
არც თვალი უჭრის.

ნუ ეკითხებით,დაანებეთ თავი
სიყალბეს,
მის მტრებთან ერთად არ იქნებით,
ის რომ გიყვარდეთ.

მის სახელს ურცხვად ეფარებით,
ეშმას ადიდებთ,
თქვენი ნიჭი და ქართველობა
ფულზე გაყიდეთ.

ემეგობრებით ყველა თავხედს,
ყველა მაფიას...
მათი წყალობით წერთ
საკუთარ ბიოგრაფიას.

მატყუარებო,თვალთმაქცებო,
გხიბლავთ დიდება
თქვენ საქართველო არ გადარდებთ
და არც გჭირდებათ.

ხოდა იყუჩეთ!ვერაგებო!გამყიდველებო!
სიტყვით ერთგულნო, საქმით მტრებო,
ქცევით გველებო.

ემეგობრებით ყველა თავხედს,
ყველა მაფიას...
მათი წყალობით წერთ საკუთარ
ბიოგრაფიას.

* დროა *

დროა გონებას მოვუხმოთ,
გვეყოფა ყალბი თამაში,
მამულს რომ მივეპატრონოთ
ცუდი რა არის ამაში?

მტერთან ენას რად იჩლექავ
ახალი დროის ქართველო?
შენი მრწამსი და ღირსება
რად გინდა ფეხით გათელო?

სიტყვა სხვა გაქვს და აზრი სხვა,
ქცევა სხვა, გული დედალი,
სჯობს სულ არიყოს ამქვეყნად
კაცი, მხდალი და ცვედანი.

ვიცი, რომ არწივის ადგილს
ვერ დაიკავებს ქედანი,
მტერს თუ კუთვნილს არ მივუზღავთ,
მაშ რისთვის გვზრდიან დედანი?

დროა გონებას მოვუხმოთ
და ავისრულოთ მიზანი,
თორემ ჩვენს კუთვნილ მიწაზე
მალე გავხდებით ხიზანი.

თვალთმაქცი ყოფა

ეს რა ცხოვრება მოგვკერძა ზენამ,
გადაგვხდა ბევრი გადასახადი,
გვერგო ტკივილი და ჭირთა თმენა
ვიდრე წკვარამ გზას გადავლახავდით.

ვეომებოდით დარდსა და სევდას,
მომავლის იმედს ველოდით კრძალვით,
მაგრამ სატანა მუდამ თან გვდევდა,
გზას გვიღობავდა ბოროტი ძალით.

თვალთმაქც ყოფასთან ომი გვაქვს ისევ,
ვერ გავექეცით ქვეყნის ავსულებს,
ჩვენს ხარჯზე ვიღაცჯიბეებს ივსებს,
მტრების დაკვეთას ურცხვად ასრულებს.

გაქრა ქართული სინდის-ნამუსი,
ზნეობა ყველას ფეხზე ჰკიდია...
დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მამულში
ღირსებას უკვე ფულზე ჰყიდიან.

არ ველოდი

ამ შეხვედრას არ ველოდი
მონა გავხდი ორი დარდის
სიყვარულის ანგელოზი
ამამაღლებს მეცხრე ცამდის.
მაგრამ შიში ფრთებს მიკვეცავს
შიში ცეცხლზე უარესი,
გაანათებს ღამის ზეცას
მაგ გიშრისფერ თვალთა კვესი.

დავალ დარდით ანათრთოლი
და შენი ხმა შორით მესმის,
გახდა გულის თანატოლი
შენი ხვევნა და ალერსი.
ერთი ტრფობის ლაღი მითი,
ერთიც მკაცრი სინამდვილე
შენთან განშორების შიში
სამარამდის მიმაცილებს.

ვერ დაიბრუნებ

დღევანდელი დღე არ დატოვო უსიხარულოდ
თორემ არ იცი,ხვალინდელი როგორი მოვა,
თავს ნუ დაისჯი უმეგობროდ,უსიყვარულოდ,
თორემ მოგიწევს გარდასულზე დარდი და გლოვა.
სწრაფად გაირბენს ნაოცნებარ დღეთა მარულა,
ვერ დაიბრუნებ სიყმაწვილის ლამაზ აპრილებს,
ვეღარ გიშველის ტირილი და გვემა ფარულად,
სასოწარკვეთა დაგჯაბნის და გაგინაპირებს.
ჩემს შეგონებას ყური უგდე,იყავ კეთილი,
ავი ზრახვები არ გაივლო არასდროს გულში,
კარგად გახსოვდეს,ნუ იქნები კარჩაკეტილი,
იმას მოიმკი,რა მარცვალიც ჩააგდე ხნულში.
ქვეყნად ერთი დღეც არ დატოვო უსიხარულოდ,
კარგად გახსოვდეს,არაფერი არის უცვლელი,
თუ გაგიფრინდა ტკბილი წლები უსიყვარულოდ,
დარდით და გლოვით ვეღარაფერს ვეღარ უშველი.

ვით გავძლო

გულში მზე ჩაგსახლებია,
თვალში ვარსკვლავნი კრთებიან...
ვით გავძლო,ვით არ გაკოცო,
ასე მწველსა და ვნებიანს.
გიშრის თმის უსიერი ტყე
ლამაზ შუბლს დასჩრდილებია,
ნებით გავმხვდარვარ შენი ტყვე,
ხვეწნა არ დამჭირვებია.
შენი ტუჩების ბადაგი
გულს ცეცხლად შემომნთებია,
არის წუთები ნანატრი,
ხსოვნას რომ შემორჩებიან.

სად დამეკარგე

ის სევდიანი მზერა
და სანატრელი ხმა,
ფარული ტრფობის მზე და
შავი თვალების ზღვა.
რად არ მოდიხარ ჩემთან?
სად დამეკარგე,სად?
ისმის ჩურჩული ხეთა,
ფიქრი მიიწევს ცად.
ისევ მარტო ვარ ახლაც
და მენატრები კვლავ...
მაგ სიახლოვით ვცოცხლობ,
შენი სიშორე მკლავს.

ლალი ჩიმჩიური

* * *

მოდი გაზაფხულო მოდი,
ლაჟვარდოვანი ფერების გამით.
ურმულითა და რეროთი მოდი.
გულს გაათბობ და სულს გაანათებ.
მოდი გაზაფხულო მოდი.
ქართული მიწის სურნელით მოდი.
მთაში დეკა, ხომ მწვანე
მდელოზე გაშხვართულა
და კეკლუც ქალივით,
მზეს თავს აწონებს.
ბუნებამ თითქოს გამოიძინა
გაიღვიძა და ცაში აიჭრა.
ეს სილამაზე მხოლოდ, იქ არის.
შორეულ ჩემს სამშობლოში,
ცხრა მთისა და ცხრა ზღის, გადაღმა.
შენ გიგალობდნენ, მუდამ
მგოსნები ხოტბას გასხავდნენ,
ჩემო ქვეყანავ შენგან წასულნი შორს,
იმ ქანაანის უცხო მხარეში.
რა რიგ დიდია ეს მონატრება,
შენს უბეს ასე მოწყურებული.
მოდი გაზაფხულო მოდი.
მრავალჟამიერით ივერიონზე მოდი,
დიდებითა და შარავანდედით მოდი!

იტალია

* * *

ამ ლექსს ყველა ემიგრანტს ვუძღვნი,
ქალს, დედას, შვილს, რომელიც
გულით დიდ ტკივილს ზიდავს.

ემიგრანტის გზა ეკალ ბარდია,
მუდამ თან მდევი ვარამ დარდია.
თქვენ არ გივლიათ ეკლიან გზაზე,
როცა ღაწვებზე ცრემლი გასკდება.
როცა ბაგეზე ყალბი ღიმილი,
გაცრეცილ სახეს შეყინებია.
რადგან არავის არ სურს შენი ტირილი.
მონატრება კი გულში ჩაგიკლავს,
შენი დარდი და ჯვარი საზიდი.
უძილო ღამე დაგთენებია და რამდენი დღე,
ნაცრისფრად დაგღამებია.
მომაკვდავ დედას.
სარეცელს ტოვებ,
ამაგდარ დედას ვერ უჭირისუფლებ.
უნახავ საფლავს ვერ დაემხობი,
ვერ დაიტირებ, ცხარე ცრემლებით.
სანთელ საკმეველს ვერ აუნთებ და
ტაბლა კვერებით, სულს ვერ უხსენებ.
და იცით რატომ?
სხვის მიწაზე ხარ უცხო მხარეში,
სხვის სახლში ცხოვრობ.
თქვენ ემიგრანტის
მძიმე ჯვარით არ გაგივლიათ,
ვარდის მაგივრად ეკლიან გზაზე,
თან წაღებული მალული დარდით!

იტალია

* * *

ავდარის შემდეგ, დარი დადგება,
ცის კამარაზე, შვიდფეროვანი
ცისარტყელა გადაეკვრება.
და ცხრათვალა მზე გამოანათებს,
ეს სევდიანი ფიქრებიც წავლენ
და სიხარული დაისადგურებს.
გული გათბება, სული გალღვება,
ავდარის შემდეგ, დარი დადგება.
სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე დგება.

იტალია

* * *

ცას, დამჩნევია პირქუში სევდა.
მოღუშულა და შეუკრავს პირი.
ტახტი დაუდგავს, ზედ, დიადემა.
მომზადებულა ცივი ზამთრისთვის.
ისევ გაწვიმდა და მოდის წვიმა,
ამ წვიმასავით მოდის ეს მუზა.
ნაღველითა და კაეშანებით.
ეხეთქებუან წვიმის წვეთები,
ფანჯრის დარაბებს,
მდუმართ დარაზულს.
მარცვალ მარცვლებად,
გაბნეულა ჩემი სიტყვები,
ხეზე მეწამულ ბროწეულივით.
ქრიზანთემები გაჟღენთილა,
წვიმის წვეთებით.
ნაზად უღიმის ეამბორება
შხაპუნა წვიმას!

იტალია

* * *

რა გააზამთრებს, როცა გაზაფხულს, ელი
იმედით.
ღიმილი უნდა სძლევდეს კაეშანს.
სიყვარული,კი ვერაგ სიძულვილს.
რა გააზამთრებს, ამ ცის ქვეშეთში,
როცა სიკვდილი როკავს და ხარობს.
რა გააზამთრებს, ამ ზამთარს ნეტა.
როცა სიცოცხლე, ასე ლაღია.
და შორს გაზაფხულს ისევ ვიხილავთ,
აღმოსავლეთით აისს, ამოსულს!

იტალია

* * *

ახლა ჩემს ღაწვებს ნაოჭი ფარავს.
ერთ დროს ბრწყინვალე თვალებს,
ციმციმას.
ოხ,ეს უბედური დრო როგორ აქრობს.
ეს სიბერეც,ხომ ნელ ნელა მითრევს.
და გონებასაც ასე რომ მირევს.
როგორ მიყვარხართ ჩემო შვილებო.
ეს ცხოვრებაც,ხომ უკუღმა მიდის.
თქვენთან ყოფნას, რომ აღარ მაცლის.
ნეტავ გავუძლებ მე ამ წამებას?
გულში ჩავიკლავ ფიქრებს და.
დარდებს ასე სევდიანს.
ვიდრე იფეთქავს გული სხეულში.
და ჩემს ძარღვებში სისხლი მჩქეფარე.

იტალია

* * *

ახლა ჩემს ღაწვებს ნაოჭი ფარავს.
ერთ დროს ბრწყინვალე თვალებს,
ციმციმას. ოხ,ეს უბედური დრო როგორ
აქრობს.
ეს სიბერეც,ხომ ნელ ნელა მითრევს.
და გონებასაც ასე რომ მირევს.
როგორ მიყვარხართ ჩემო შვილებო.
ეს ცხოვრებაც,ხომ უკუღმა მიდის.
თქვენთან ყოფნას,რომ აღარ მაცლის.
ნეტავ გავუძლებ მე ამ წამებას?
გულში ჩავიკლავ ფიქრებს და.
დარდებს ასე სევდიანს.
ვიდრე იფეთქავს გული სხეულში.
და ჩემს ძარღვებში სისხლი მჩქეფარე.

იტალია

* * *

მიყვარს ეს თვე,მშვენიერი.
ხავერდოვან ელფერს აძლევს.
ზღვას, ხმელეთს და მთასა და ბარს.
ხავერდოვან სექტემბრის თვეს.
წვიმიანს და ტალახიანს.
შემოდგომის პირველ ამ თვეს.
ხვავიანს და ბარაქიანს.
სოფლად უკვე შემოსულა.
სექტემბერი ჩადგა რიგში.
ვაშლი, მსხალი და ყურძენი.
ხარობს გული ხარობს სული.
შემოდგომის ამ ლამაზ თვეს.
მიყვარს ეს თვე ხავერდივით.
ფერს რომ იცვლის.
ხან, რომ მზეა ხანაც წვიმს და ტალახია!..

02 09 2020, იტალია.

* * *

აღარც გათოვდა, რომ ჩაახშოს ტკივილი სულის.
აღარც გაწვიმდა,რომ არ კიოდეს სული ეული.
აქ ამ მიწაზე,დავიწყებიათ ურთიერთ ნდობა და სიყვარული.
აღარ გათენდა პირქუში ღამე,რომ არ კიოდეს სული ეული.
ო, ღმერთო ჩემო, მოყვასი ჩემი როგორ არ მინდა გაშიშვლდეს სული.
სადღაც გათენდა დადგა ნათელი,
წყვდიადის შემდეგ, დგება სინათლე.
აღარც გათოვდა,რომ ჩაახშოს ტკივილი სულის.
და გაატანოს ფიქრები ეული სულის.
აქ ამ ქალაქში დაუკარგიათ მოყვასის რწმენა,
მინდა ვიხილო ჩემი მოყვასი,
სული რომ ქონდეს განათებული,
რწმენა, იმედი, და სიყვარული.

27.11.2019. იტალია

* * *

მე, რომ ლექსად ვიღვრები.
ეს იმ ფიქრთა კრებულია,
ჩემს სულში,რომ ზამთარია,
ესიმ ფიქრთა მარულაა.
ჩემს გულში,რომ იზაფხულებს,
ეს იმ ბედის ტკივილია,
გულს იარად, რომ ამჩნევია.
თურმე შემიყვარდა, ისე ვერ გავიგე.
ჩუმად მიმეპარა, როგორც გაზაფხული
ეს უჩინარი,გრძნობა სიყვარული.
გავმიჯნურებულვარ,გულში შემიყინვია.
ისე, როგორც ძახველს ზამთრის ყინვა.
გულში ჩამიკლია, ნაზი სიყვარული.
გულს ვერ უბრძანებ, თავად მბრძანებელსო.
ღმერთებს შევავედრებ, გრძნობას მარადიულს.
ვისაც ყვარებია ისევ ეყვარება.
წრფელი სიყვარულით, გამიჯნურებულა.

იტალია

* * *

ქალი ამაყი
ქალი თავნება
ქალი ფარული
და იდუმალი
ქალი ევაა
და სერაფიმა
ზოგჯერ მორცხვი
და ზოგჯერ აშარი.
რომანტიული
და ეჭვიანი
ფანატიკოსი.
ყველა ქალსა ყავს
მისი კუმირი.
ქალს ვერ გაუგებ
ქარიშხალია.
ხან თავქარიანს
და ხან ნაღვლიანს.
ხან აისბერგი
და მოდრეიფე
ცივი ყინული.
ქალი დედა და
ქალი ქალია.
ქალი მარტოდ
ბევრს აიტანს,
და ცხოვრების გზას
ეულადაც გაიტანს.
ქალი მუდამ ძლიერი
და ნაღვლიანი.
ხან კეკლუცი ხან კი
მძიმედ დარდიანი.
და თუ გაცხარდა
დემონი ხდება.
ქალი მაინც ქალია
ხან ცბიერი
ხან კი ჩვილი.
და მტირალი.
ქალი მუდამ ამაყი
და დარდიანი.
ქალი დედა დაზუნველი
ქალი ევას ნაშიერი,
ქალი მარტო ქალია თუ
ამ ცხოვრების დარდი
მანდი!

იტალია

მარი კუბლაშვილი

ლოგიკური დასასრული

აღარ ეკარება□ □ ილი აღარც ფიქრებს
და ალიონამდე სასიზმრე□ ს □ ევრ□ ები,
□ ამე ფანჯრებიდან სუნთქვას ისე მირევს,
□ ი□ ქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ □ ემ□ ი ამბავს რჩები.

ისე მეჩვენები ახლა სასაცილოდ,
რომ არც □ ველებური არ მაქვს ამბიცია,
ყველა მოგონება ისე გავაცილო,
□ ი□ ქოს კარგის მეტი არა განმიცდია.

პულსი □ ენელდა და □ ემკენ ნისლი იწევს,
უფრო ადვილია ახლა გადარჩენა,
ბოლოს დანებება მაინც ისე გვიწევს,
რომ აღარც კი გვიღირს წასვლა ან დარჩენა.

მოდის □ ირისუფლად წვიმა უცნაური,
აი, ლოგიკური მესმის დასასრული,
აღარც სიყვარული, არც გულის ხმაური,
აღარც სევდისფერი ფიქრის აღსასრული.

ზუსტად ისეთია ახლა დღეც და □ ამეც,
როგორც გაურკვეველ მძიმე აზრთა წყობა,
მაშინ არ მინდოდა მეთქვა ბევრი რამე.
ახლა აღარც დროა და აღარც განწყობა.

ვინატროთ

შევუერთდები უცხო ფერებს, მისტიურ ზეცის
და გავიხსენებ შეშლილივით რატომ გეძებდი,
რაც შენ გტანჯავდა, მტანჯავს ახლა სწორედ რომ მეც (
უკვე მბეზრდები...

ისევ ვიღიმი, არც საყვედურს არავის ვეტყვი,
ოდესმე მაინც ყველაფერი მონახავს საშველს,
აი ესაა განაჩენი იმის, რაც ვერ ვთქვით,
სასჯელი და ჩვენ...

ახლა ვინატროთ უკვდავებად, უკვე ბოლოჯერ,
როგორც ლამაზად დავიბადეთ- ისე ვკვდებოდეთ,
მივდიოდეთ და უსასრულო ბილიკის ბოლოს
ისევ ვხვდებოდეთ...

არ ვიცი თუ ისევ დავდგები ფეხზე და
თუ ისევ ვიწამებ აპრილის ტკბილ ზღაპრებს,
როდიდან ვუკრძალავ გულს შენთან შეხებას,
ჩავიცვი სიცივე, დღეებს რომ მიმძაფრებს.

როდისმე, თუ მაინც შემხვდება გზასავალს
ნამდვილი გრძნობების მზისებრი ნათელი,
მეც ვიტყვი, რომ ჩემთვის ფეთქავდი და
სავალს
სიმშვიდის სულ მენთო ციმციმა სანთელი.

მე მხოლოდ ცხოვრების მცირედი გავიგე,
არ იყო დრო, არც გზა, არც ვინმე გამგები,
ბრმა თვალით სასტიკი მახე თუ დავიგე,
მტკიოდეს, ხომ იცი, ხმის არ ვარ გამღები.

შემოფლეთს იმედებს სისავსე მთვარის და
მოვივლი ღამიან ქუჩებს და მოგიხმობ,
დღეს ჩემთან აპრილის ზღაპრები არის და
არ მიკვირს, თუ ისევ ჩვენს თავზე
მომითხრობს.

ხომ ხდება, ხანდახან, მზე ისევ ამოდის,
ხომ არის უიღბლოს ბედი რომ ეწევა,
ხომ ხდება ხანდახან ის, რაც არ გამოგდის,
სწავლობ და გზა და გზა ღვთის მადლი გეწევა.

ვბრუნდები, იქ სადაც სიცოცხლე იწყება,
ვიგონებ, რა იყო იმ ზღაპრის არსი და
მე როგორც ყოველთვის მსურს არდავიწყება,
რაც დარჩა უაზრო, ორპირი ფარსიდან.

შემშალეს იქნება ამდენმა ფიქრებმა,
ვინ იცის, სიცივე დამტოვებს ფერმიხდილს,
გულიდან ყოველი ბრმა სიტყვა მიქრება,
რადგანაც ვერც ერთის აზრს დღემდე ვერ
მივხვდი.

არ ვიცი თუ ისევ დავდგები ფეხზე და
თუ ისევ ვიწამებ აპრილის ტკბილ ზღაპრებს,
როდიდან ვუკრძალავ ჩემს გულთან შეხებას,
სიყვარულს, დღეებს რომ უმზეოდ
მიმძაფრებს.

იქნებ ბოლო არის

იქნებ ბოლო არის ჩემთვის დღეს ეს ლექსი,
იქნებ ბოლო სიტყვა ჩემი მიზანს ასცდეს,
ვიცი, შორი არის თვით ნოემბრის ექვსი,
ჩემი დაბადება, სამყაროს რომ გასცდეს.
თითქოს კვალში უდგას ღამეს აჩრდილები,
ისევ უთვისტომო მტანჯავს აპათია,
ვცდილობ დავაძინო სულში ტკივილები,
დროს რომ მოგონებამ ვეღარ აპატია.
ცოტას მოვითმენ და ალბათ გაზაფხული
ისევ გააცოცხლებს იმ ცეცხლისფერ ვარდებს,
მე რომ მიყვარდა და ბედით დაზაფრული
მხოლოდ მათ ვანდობდი ჩემი გულის დარდებს.
ახლა თვალს ვხუჭავ და ისე ვაკვირდები,
იისფერი თოვლის და მზის ტანდემია...
და თუ ბოლო არის, მაშინ ავტირდები,
რომ ვერ დავამარცხე სულში პანდემია.
თითქოს კვალში უდგას ღამეს აჩრდილები,
ისევ უთვისტომო მტანჯავს აპათია,
ვცდილობ დავაძინო ძველი ტკივილები,
დროს რომ მოგონებამ ვეღარ აპატია.

გამიჭირდება მარტოს ალბათ ამ გზების გავლა,
უმზეო დღეთა უღიმღამოდ გადაგორება,
ახლა ვიხსენებ თუ რამდენი მსაჯული მყავდა,
ღიმილიანი არც ერთი დღე არ მაგონდება.
ვერ დავალაგე სიცოცხლესთან ჩემი გეგმები,
სუიციდამდე ზოგჯერ მხოლოდ ნაბიჯი რჩება,
მინდა თუ არა ეკალ-ბარდში მაინც ვებმები
და სასწაულს ჰგავს მერამდენედ ეს გადარჩენა.
გამბედაობა აღარ მყოფნის გულახდილობის,
ვაი, რომ ისევ უბადრუკობს წამი ყოველი,
თუმც გალავნებად შემოვლებულ ყველა პირობის
სიცოცხლეშივე ასრულებას მაინც მოველი.
და შემომაცვდა ქალამნებიც რკინის გზადაგზა,
აღარც იმედი, აღარც რწმენა საკუთარ თავის,
აღარ არსებობს მობრუნების ზოგჯერ არასგზა,
ვერ შევიფარე გულში ღმერთო მე მქნელი ავის.
ვიტყვი და დავწერ, აი ძალა რის შემრჩა მარტო,
გავცვლი სიცოცხლეს უკანასკნელ სტრიქონში
ლექსის,
გამიჭირდება ზუსტად ვიცი, ამიტომ გნატრობ,
თუმცა ხმაური ტკივილების შენ აღარ გესმის.
მინდა თუ არა, ვინაიდან მქვია ძლიერი,
მე არჩევანი ბოლოს ისევ სიცოცხლის მრჩება,
სასოწარკვეთილს მაინც შემრჩა ძველი იერი
და სასწაულს ჰგავს მერამდენედ ეს გადარჩენა.

მე ვარ ის ერთი

საით გეძებო სულო ჩემო, საით გეძებო,
ნუთუ ტყუილად მომიხმია უფალი ღმერთი?!
გზააბნეული, არეული... როგორც გენებოთ...
მე ვარ ის ერთი.
ქაოსი გარეთ, ქაოსი შიგნით, მუდამ ხმაური,
და მაღლა ცამდე აზიდული ოცნების კიბე,
თუ ვარ ეული, არვის მსგავსი და უცნაური,
ვტყუივარ კიდევ?
დავანთხევ მელანს, მასზე კარგად არავინ მიცნობს,
სავსეა ქუჩა, მე კი მაინც ვერავის ვამჩნევ,
ყველაზე უკეთ, როცა მტკივა კალამი მისნობს,
ყველაფერს მაჩვევს...
საით გეძებო სულო ჩემო, საით გეძებო,
ალბათ გიპოვი და შენამდე მომიყვანს ღმერთი,
გზააბნეული, არეული... როგორც გენებოთ...
მე ვარ ის ერთი.

ნუ გიკვირს

ნაბიჯებს არ ვითვლი და უცხო ქალაქში,
აჩრდილებს ქუჩაში უაზროდ დავყავარ,
არც ერთხელ, არასდროს შენ ჩემთან არ დარჩი
და ახლა არც შენს გულს მე ახლოს არ ვყავარ.
არ მინდა წვიმდეს და ოცნებებს ათოვდეს,
არ მინდა მეასედ ახლიდან დავეცე,
და სანამ ეს ღამე ფიქრებსაც დათმობდეს,
არ მომცე უფლება სიცოცხლეს გავექცე.
მე ახლა ვუყვები ღამეებს შენზე და
მოვუხმობ წარსულის ლანდებს და აჩრდილებს,
ისეა გრძნობები ქარივით აშლილი,
რომ არარსებობა შენიც კი დაჩრდილეს.
ნაბიჯებს არ ვითვლი და უცხო ქალაქში,
ქუჩაში აჩრდილებს უაზროდ დავყავარ,
რადგანაც არასდროს შენ ჩემთან არ დარჩი,
ნუ გიკვირს თუ ახლა შენს გვერდით არ გყავარ!

არავინ იცის

არავინ იცის
სად იწყება ან სად მთავრდება,
ჩემი ფიქრები, შუაღამის
ჩვეული ბოდვა...
ვინ იცის გული
საგულედან რატომ ვარდება,
ვინ იცის, ჩემში რამდენია ,,კეთილი ცოდვა".
მაშ რატომ ანგრევს ქარი ღამეს,
ნერვებდაწყვეტილს,
იქნებ გავგიჟდი... ვაზვიადებ... ანდაც ვიგონებ...
რადგან არ ვიცი სად და როგორ
დავუსვამ წერტილს,
სჯობს აღსარება ჩავაბარო
ისევ სტრიქონებს!

დეკემბრის თოვლი

ალბათ დეკემბრის ცივი თოვლი მიშველის ახლა,
ცრემლის ჩანჩქერებს ლოლოებად თვალზე დაჰკიდებს,
და ნოემბერმა დარდად რაც კი შემომისახლა,
გაატანს ძველ წელს, ყოველ დღისთვის საგზლად აჰკიდებს.
მე კი დავუცდი შენით გამთბარ ყველა საღამოს,
თეთრად დათოვლილ შენს ჭაღარას თვალს შევაგებებ,
არ მივცემ ნებას უშენობის წლებმა დამღალონ, წლებმა,
რომლებიც ჩვენს წინაშე პასუხს აგებენ.
მიდი, ითოვე, დეკემბერო, იქნებ გამართო,
და არც გაყინულ ცრემლს ვიდარდებ, დავხუჭავ თვალებს,
წერილებს, დღემდე რომ ვაგზავნი უმისამართოდ,
შემოვიგროვებ და შენს თვალწინ გავატან ქარებს.
შენ მოგაბარებ წარსულს, რადგან არად მარგია,
არ მწამს უვადო ავდრის, კიდევ უვადო ფიცის,
და ის მზე, შარშან რომ ბრწყინავდა, ახლა დარდია,
გაქრა! როდემდე? გეფიცებით, არავინ იცის.

არ შემიძლია

გავრითმავ ახლა უღიმღამო ამინდის ფიქრებს,
შევისისხლხორცებ შენზე ფიქრით ჟამთა სიავეს,
ვცდილობ გავათბო სუსხიანი დღეები იქნებ,
თუმცაღა ტკივილს ეს სიცივე უფრო მიამებს.

და რა იქნება მორჩეს ღამეც დარდთა რიგებას,
ნუ მეტყვის იმას, რასაც ჩემთვის სიგიჟე ჰქვია,
ვეცდები, მაგრამ ამინდებთან შემორიგება,
თანაც უშენოდ, მე არაფრით არ შემიძლია.

🖤

როგორ აცივდა... ნოემბერი ამბებს მიყვება,
ახლა ქუჩებში სიო ყვითელ ფოთლებს აქუჩებს,
ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ ფერად ირთვება ღამე,
რომელიც შემოაცვდა თითქოს ბრმა ქუჩებს.
ვაგლახ, რომ დღემდე შენი რწმენა ისევ მომყვება,
და ძველებურად მოწიწებით გიხსნი სიყვარულს,
ამოვხსნა იქნებ საიდუმლო, მთვარე რომ ჰყვება,
გროშად არ ფასობს სიტყვა თუ ვერ მჩუქნის სიხარულს.
ნუ მეძებ, სადაც უსასრულო მოჩანს სამყარო,
ახლოს ვარ, მხოლოდ შენ შენს გულში მიპოვო უნდა,
მალე დაისთან მზის სხივები უნდა გავყარო,
მალე, სადამდის ყველაფერი ისევ გახუნდა.
ვირჩენ იარებს, ვცდილობ თავი გადავირჩინო,
მიკვირს, ტყუილად რად ხმიანობს გული ბედკრული,
და დამაშვრალი ვძარცვავ ფიქრებს, რომ დავირჩინო
მხოლოდ ღიმილი, უცნაური... სუნთქვაშეკრული...
აცივდა, ჩემი ნოემბერი სურვილებს მიკლავს,
მერე რა, სიო ყვითელ ფოთლებს თუ კვლავ აქუჩებს,
ვინმემ რა იცის, ჰო, რა იცის, დღემდე რომ ის მკლავს,
რასაც ვერასდროს ვერ ვუყვები მე ამ ბრმა ქუჩებს.

მამუკა ოჩიაური

ჩემო სწორფერო

დავბერებულვარ სწორფერო,
დრომ მძიმე ტალღით გამგალა,
ნაერთფერები ორფერობს,
ცაზე ეს მთვარეც ნამგალა.

არ უწერია სიბერე
მხოლოდ გულია უღლელი,
იმ ბოლო წუთებს ვიბევებ,
რაზეც დგას ყოფის უღელი.

მაგრამ სხეულმა დაკარგა
ძველი სისხარტე ყმაწვილთა,
არ დაანგრია, დაქარგა
სავალ გზას რაიც აწვიმდა.

ახლა გავცქერი დარდიან,
ცრემლმორეული თვალებით
ის დღენი, როგორ დადიან
შავ-თეთრი მოსასხამებით.

ეხ, სიყმაწვილის დღეები
სულმოუთქმელად გავლილი,
ჩასვენებული მზეები
ცის თაღზე ავლილ-ჩავლილი.

შენ სიყმაწვილის თბილ ფერთა
ბინადარიხარ ბოლომდე,
წასულ ,გაფრენილ იმ დღეთა
სადამდე უნდა ვგლოვობდე.

დავბერებულვარ სწორფერო,
წლებმა უგულოდ გამგალა,
ნაერთფერები ორფერობს
ცაზე ეს მთვარეც ნამგალა!

ფუფალას სევდა

("ფუფალას" და " შიოლას" ლექსად
გაბაასების წაკითხვის შემდეგ)
ვითომ შეგეშვა, უმისობამ დარდებს უფარა
ყოფა – ცხოვრება დაგიმშვიდა, გაგიიოლა
ახლა სადა ხარ სადა ჭკნები ნეტავ ფუფალა
დაუბერები დროს რად შერჩა შენი შიოლა.

რად არ მოვიდა შეგეშველა, წლები ტვირთია
მძიმე ტვირთია სატარებლად, ბარგი მძიმე და
იქნებ შიოლაც მოგონილი ტკბილი მითია
და გულდათუთქულს მითი ჩუმად გისამძიმრებდა.

ცივდება ნელა ძლივს გამთბარი გული ეული,
დაუსრულებლად ელოდები სახემცინარე,
შიოლა ვითომ შენი ვნებით გადარეული,
შორს დარჩა, როგორც დაშრეტილი ცელქი მდინარე.

გულზე მოგეშვა უმისობამ დარდებს უფარა,
მარტო დარჩენილს არსებობა გაგიიოლა
კენტად დამრჩალი დროს შემორჩი დღემდე
ფუფალა,
დაუბერები, ოცნებებში დარჩა შიოლა.

მამულო როგორ გიწამლო

ცივ ზამთრის დღეში მესამედ,
სივრცე გაივსო ქარებით
ძველ ადათს გამოვესალმეთ,
უფსკრულში მივექანებით.

მიმბაძველობით სნეულნი
ავმა დრომ, დღემდე გვატარა
ფიტულად გვექცა სხეული,
მოძმედ გაგვიხდა სატანა.

და გაყალბებულ გუშინდელს,
მასწავლის მამათმავალი
ამას რომ ვინმე უშლიდეს
გულმწუხარეა არავინ.

სულ დაცლილია სოფლები,
ხატისკარს შამბი ედება
დავმრჩალვართ მწირი ობლები,
ვით მიატოვეს დედებმა.

ვაიმე ჩემო ქვეყანავ,
ათასი ტანჯვის მნახევლო
რა ჯანღი გადაგეფარა,
ბარო ,ველო და მთა, ხევო.

ქვეყნის ომებში ნაჩეხი,
ბევრი გვყავს ვაჟი მაგარი,
რა ვუყო ვენახს აჩეხილს,
მუხას მუმლი სპობს მზაკვარი.

მამულო როგორ გიწამლო,
მტერი რომ შემოგვესია ვდუმდით,
გაყიდეს მიწა რომ...
ვერ დავიცავით მესია.

სულგაყიდულთა, ცვედანთა
გახშირდა ქვეყნად თარეში,
წინაპრებს, – მაგარ მხედართა,
როგორ ჩავხედოთ თვალებში.

როგორ გავზარდოთ შვილები,
გადავირჩინოთ სულები
დაღუპვის ზღვართან მივედით,
მოძმისგან განწირულები.

მამულო ნაჭრევიანო,
არ გიღალატოს სხეულმა
მე მშვიდად როგორ ვიარო,
ამ ამბით გადარეულმა.

მაგრამ იმედი ხვალისა
არ გამქრობია არაოდეს,
მსურს ამ კურთხეულ მიწაზე,
მუდამ ქართველი ხარობდეს.

ისევ დაირწეს აკვანი,
ჩვილს ჰყავდეს დედაც,
მამაცა მტერი დაგვიპყრობს მზაკვარი,
გულმა თუ არ იმამაცა.

თუ არ ლაპლაპებს ხმალ-ხანჯლის,
დაჟანგებული პირები,
სამყაროს ორომტრიალში,
თუ შეცბი ,გაიწირები.

ერო ამაყო ძლიერო,
რა სენი შემოგჩვევია
მგლის ფერო, ჩვენო იერო
რად შეგიცვლია ფერია.

რად დაივიწყე წინაპრის,
საქმენი საგმირონია,
სარწმუნოების სინათლის
ჩაქრობა, კარგი გგონია.

მამულო სხეულშიშველო,
ამ შავბნელ დროში მყოფელო,
იქნება რამე გვიშველო,
მარიამ – ქრისტეს მშობელო!

ემიგრანტი დედის წერილი შვილს

როგორ გაზრდილხარ, სულ პატარა დაგტოვე შვილო,
როცა ტიტინით მხოლოდ დედას იძახდი მაშინ,
ახლა შორს მყოფი ყოველღამით ვფიქრობ და ვთვლი რომ,
ძნელია როცა უდედობით იზრდება ბავშვი.

გაზრდილხარ შვილო, საულვაშეც გამუქდა ვხედავ,
ჯერ უმამობა, შემდეგ დედაც წავიდა შორეთს,
შენით ამომდის ყოველ დილით სიამის მზე და
სულის სიმშვიდე სამუდამოდ მე შენში ვპოვე.

ბებოს შვილი ხარ , დედის სითბო ვიცი გაკლია,
დედა შორსაა ათას ტანჯვის გადანაყარი,
ობლად იზრდები ეს სულისთვის დიდი ნაკლია,
გულში მუდამჟამს ჩაუქრობი დარდის მაყალი.

მეც მომემატა მიმქრალ წელთა წვა და ტკივილი,
თვალებს დააკლდა ელვარება, ხედვა,
სინათლე რამდენი ღამე გავათენე ჩუმი ტირილით,
ჩემი სიკვდილი ღმერთმა იცის ბევრჯერ ვინატრე.

ერთი თხოვნა მაქვს ,თუმცა ბებო გეტყოდა ამას,
მე მშობელი ვარ და სათქმელიც ჩემი ვალია,
პატივი ეცი შენს დედიკოს,დაღუპულ მამას
მოხუც ბებიას, შენს გაზრდაში დრო რომ გალია.

ერიდე ღალატს, არამ ლუკმას,ავსა და ბოროტს,
ვაჟკაცი იყავ, კარგ საქმეში გამოკვეთილი,
დაიმახსოვრე გამოჩნდება ცხოვრების ბოლოს –
მამა უფლისგან გაიმარჯვებს მუდამ კეთილი.

ხო, ჩემო შვილო გეწამლება შორიდან დედა,
დედის იმედო, ჩაუქრობო ჩემო სანთელო
მე ყოველღამით სიზმარეთში გნატრობ და გხედავ,
ვცდილობ ფიქრებით გაბზარული გული ვამთელო.

მე გულით მჯერა, დაიმსხვრევა ერთ დღეს ხუნდები,
ჩამოვალ შენთან ,ბედმა კარგი თუ გაიმეტა,
ჩემო ვაჟკაცო, მოვალ მაგრა ჩაგეხუტები
მომენატრეო, ყურში გეტყვი გეწამლოს დედა!

მოხუცი მართა

ნასახლარებში დასახლდა ქარი,
კერაში არყი წამოიმართა
სევდიან ხმაზე ჭრიალებს კარი,
სოფელს ასოფლებს მოხუცი მართა.

არავინ შერჩა მოხუცს დამხმარე,
გვერდში მდგომი და წყლის შემომტანი,
ბაღში მსხალია თითქმის გამხმარი,
შორს ბეჭით იჭერს ცის უღელს მთანი.

ქმარი და შვილი მოუკვდა მართას,
დაუძინები მასპინძლობს დილას
და მთელი ღამე მოხუცი ართავს,
დარდის და მატყლის გაუცვეთ ფთილას.

ვერ შეელია ამოსვლას გორზე,
მიდის მეგზურად მიჰყვება ქარი,
როცა მზე დგება თეთრ მთათა თხორზე,
საფლავებს უვლის მოხუცი ქალი.

მერე დაღლილი ეშვება თავქვე,
ყიოში სახლის გადადის ზღურბლზე
მოქუფრულია მოხუცის სახე,
შემოსწოლია დარდები გულზე.

არც მეზობელი, არც ხმის გამცემი
უძილარს ბევრი მოესწო დილა,
გული კი თითქოს შოლტით ნაცემი,
მშიერ მგელივით ყმუის და სტკივა.

ნასახლარებში დასახლდა ქარი,
კერაში არყი წამოიმართა
სოფელს არ ტოვებს ეს გმირი ქალი,
სოფელს ასოფლებს მოხუცი მართა.

კოდორის ხეობა

ქართველთა გოლგოთა გზა არის კოდორის,
მე მესმის ლანდების მოთქმა და გოდება,
ბუნებას აეგო ზვავების გოდოლი,
ბევრი რამ მიამბეს უენო ლოდებმა.

დრო იყო ამ გზაზე სიკვდილი ზეობდა,
ეშმაკი ხარხარით იკლებდა გზა-შარას,
ცოდვა-ბრალს მოეცვა კოდორის ხეობა,
ჯავშანი ჩაეცვა ქვაბჩარას, აჟარას.

აი აქ ვიღაცას სციოდა ღამეში,
აქ დედას პატარამ საჭმელი მოსთხოვა,
ზღვა ხალხი მიჰყვება გზა-შარას დამეწყრილს,
ფიქრობენ რაღა ვქნათ თუ კიდევ მოთოვა.

სხეულით ათბობენ უმწეო პატარებს,
სხეულმაც დაკარგა სითბო და ნუგეში,
ნახევრად გაყინულ ბავშვს დედა ატარებს
და ბავშვის უგრძნობი ხელი აქვს უბეში.

დაბინდდა, დაღლილ ხალხს იმედი უქრება,
ფიქრობენ უფალო ეს ტანჯვა გვაკმარე,
ცისკრის ჟამს ვიღაცას გოგონა უკვდება,
იმასაც ნამქერში გაუჭრეს სამარე.

სიცივე, შიმშილი და გზები სავალი,
რად ტანჯავ უფალო ნეტავი ვიცოდეთ,
დარდებით დასერილ გულს თუ აქვს წამალი,
ან ფასი შვილმკვდარი მშობლების სიცოცხლეს.

უდედო პატარა მამამ მხრით ატარა
ცოტაც და გადავა ამ უღვთო "პერევალს"
პატარას არ ძალუძს სიცივის ატანა,
მამა გრძნობს ბავშვის ტანს სიცივე ერევა.

ნელ-ნელა მოეშვა პატარას სხეული,
ჩამოსვა სასწრაფოდ ჩახედა თვალებში,
შვილმკვდარი მამის ხმა, – ხმა გადარეულის,
მეხივით გაისმა ამ წყეულ ღამეში.

უფალო ვლოცულობ დაღუპულ ხალხისთვის,
დარჩენილთ მიეცი ჯანი და მხნეობა,
აქ სტუმრად მოსული ხევსური კაცისთვის,
დარჩება გოლგოთად კოდორის ხეობა!

მე ვარ ქართველი

მე ვარ ქართველი საქართველოდან,
არც ევროპელი, არც აზიელი
მოვდივარ ბებერ ფესვის ღეროდან,
რომელსაც ჰქვია კავკასიელი.

არ მესწავლება პატივისცემა,
დედის და მამის ,ცოლის და შვილის
ველს ავსებს ჩემი ცხენების რემა,
შრიალებს ყანა ხორბლის თუ სვილის.

ძველზე ძველია ჩემი ანბანი,
მაცხოვარია ჩემი მესია,
გული სილაღით მუდამ გამთბარი
მამული მუდამ უმთავრესია.

ჩემი სისხლია მიწა ქართული,
ჩემი სულია ზეცა კრიალა,
საამოდ გენში მაქვს ჩახლართული
მტერთან მახვილი, ძმასთან ფიალა.

და არასოდეს არ მესწავლება,
თავს უპატრონონ დაე საკუთარს,
ყველას მოუწევს იმ ჯვრის ტარება,
უფალმა ღმერთმა რაიც აკუთვნა.

შემეშვი, წადი ნუ მინგრევ იმას,
რაც წინაპარმა მე დამიტოვა გულს
ნუ ამომგლეჯ მბორგავს და მტკივანს,
ხომ ხედავ ჩემში დარდმა ითოვა.

წაულეკავი შემომრჩა დღემდე,
ჯერ შეურყვნელი მე ქართველობა,
როდემდე უნდა გულმშვიდად ვთვლემდეთ,
არ უნდა მოვსპოთ მტერთა მცდელობა?!

რატომ წარმტაცე ქართული მიწა,
რად დამიხოცე ურიცხვი ხალხი,
რად გაიკვირვე მამულს თუ ვიცავ,
ცა შემინისლე შავბნელი თალხით.

მოვა დრო ვიცი დაუვიწყარი,
ღვთისმშობლისა და გიორგის მხარეს,
აროს გასწირავს მჯერა უფალი,
მტერს არ დაუთმობს ამ არემარეს.

მე ვარ ქართველი საქართველოდან,
არც აზიელი ,არც ევროპელი
მოვდივარ ბებერ ფესვის ღეროდან
და ბრძოლის ველზეც საამოდ ვმღერი.

შემეშვი, წადი, ამ ღვთის ჩეროდან
ჩემი მიწიდან აიღე ხელი,
მოვდივარ ბებერ ფესვის ღეროდან,
მე ქართველი ვარ – კავკასიელი!!

ცხოვრების შარა

უდარდელი ხარ, როცა ბავშვი მიჰყვები შარას
მომავალია გაფენილი ფეხთა წინარე
გულით ენდობი და ეყრდნობი დედას და მამას,
უმზერ მომავალს ბავშვურ გულით სახემცინარე.

მერე კი წლები დაუთვლელად გაგეპარება,
წინაღობებით აივსება შარა სავალი
სხეულს არ ძალუძს წლოვანების ტვირთად ტარება,
გიჭირს და მოხუცს გეხმარება შთამომავალი!

ვერ შეელიე

ვერ შეელიე არაგვს და „იმას“
ყოველღამ ფიქრთან მოგდის ცილობა,
ვინ იცის „იმას“ ღრმა ძილით სძინავს,
შენ კი კვლავ გტანჯავს ეგ უძილობა.

ვინ იცის „იმას“ არც ახსენდები,
შენ კი გასტეხე ღამის წკვარამი,
ვერ ამჩნევს როგორ ლაღობ,
მშვენდები და იმის გარდა არ გსურს არავინ.

დღემდე გული ხომ უმისოდ ფეთქავს,
მიმწუხრის ცაზე მნათობს რომ გავხარ,
როგორ გინდოდა შენთვის რომ ეთქვა,
როგორ უნდიხარ,როგორ უყვარხარ.

მაგრამ სადაა შენი ტოლები,
ვერ შეგამჩნია, ვაი სვე – ბედო,
რაღამ დაუვსო ასე თოლები,
არ სურს მეგზურად რომ დაებედო.

ვერ შეელიე ფიქრების წვიმას,
გულზე გატყვია ტრფობის ჭრილობა
ვინ იცის იმას ღრმა ძილით სძინავს,
შენ კი კვლავ გტანჯავს ეგ უძილობა.

* * *

იცი?!
رომ ახლა აცივდა მთაში,
რომ ქარაფებზე ნისლია თეთრი
ვიარე ბევრი დავსველდი გზაში,
უშენოდ ყოფნის დღეებსაც ვერ ვთვლი.

იცი?!
رომ ზამთრის სუნი დგას ველზე,
ჯერ არ დამდგარი ამ ზამთრის სუნი,
მე ვფიქრობ ,ვფიქრობ იმ ყველაფერზე,
გულში დამრჩალის და გარდასულის.

იცი?
მზე თითქოს ცაზე დამდგარი,
გაციებულა სითბოს მიმცემი
მთათა კალთებზე წვება ზამთარი,
წითლად ირთვება კენტი ცირცელი.

ზამთარი მოდის აცივდა მთაში
და ქარაფებზე ნისლია თეთრი,
ვიარე ბევრი დავსველდი გზაში,
უშენოდ ყოდნის დღეებსაც ვერ ვთვლი.

ჯაბა შუბითიძე

♥ ♥ ♥

ისევ ისეა ეს ცხოვრება,
თეთრი, შავი და ჩალის ფერებით
წინა სიცოცხლის განმეორება
სიკეთითა და ძალმომრეობით.

საქართველოა ჩვენი სამშობლო
იყო, არის და მუდამ იქნება!
ქვეყანავ ძველო, ძლიერ ლამაზო
დღეს გამიტაცა შენზე ფიქრებმა.

-დედაო ღვთისავ კვლავ დაგვიფარე
ჩვენი საუნჯე მიწა ქართველის,
მშვიდობის კალთა გადმოგვაფარე,
თავს აგვარიდე დღე განსაცდელის..

აქ წმინდა ნინო ჯვარს ატარებდა
და მირიანი გაქრისტიანდა,
ფარნავაზ მეფემ წიგნი აკურთხა,
ერი დროშის ქვეშ გაერთიანდა.

ნანა დედოფლის სასწაულია,
რომ გაც და გაიმ მთაზე დაეცა,
სადღაც შუშანიკს მოვკარი თვალი
განაწამები ვარსქენს გაექცა.

იმართებოდა და ინთებოდა,
ტაძრის გუმბათი უკუნით ბნელში,
აბო ტფილელის გოდება მესმის
და გოგირდოვან წყლების ჭაობში
მეფე ვახტანგი ხოხობს მშვილდს ესვრის.

სამეფო ქალაქს ტახტი ამშვენებს
წმინდა მამები, ხორც წამებულნი
ქვეყნის სიყვარულს ისევ აგრძელებს,
მეფე დემეტრე თავდადებული.

როცა ქვეყანა ვითარდებოდა
შორს დაგვიყარეს ვერაგი ხმები
ქართლში მონღოლი მათარეშობდა
კახეთს იკლებდა მტერნი ლეკები.

ბაგრატოვანთა მეფის გვირგვინი
მეფიდან მეფეს გადადიოდა
საუკუნეებს ითვლიდა ხანა,
რომ მეთერთმეტე იწურებოდა..

და მოგვევლინა მხსნელად დავითი
დიდგორის ბრძოლა გადაგვიხადა,
ოცდათექვსმეტ წელს ბრძოლით დავითვლი
ქვეყნის აღმასვლა გადმოგვაბარა..

კვლავ მოდიოდა ცეცხლი, მახვილი,
ისრების წვიმა ველებს ცელავდა,
ცხრა ძმა გმირულად ომში გაზრდილი,
მტრისგან მოკლული მაინც ღელავდა..

მთებს ამაგრებდა ვინმე ქართლოსი
მტერში არ იყო მჯობნი მკლავისა
მზე ანათებდა აქ სამთავროსი
ზარები რეკდა მაღლა ლომისას...

მუხლჩაუხრელი შრომით და ბრძოლით,
ქვეყანა წელში იმართებოდა,
იბადებოდა ტყუპი ქალ-ვაჟი
სიონს და გელათს ინათლებოდა.

ქართველი კაცის ფიქრი, ოცნება:
შვილების ზრდა და ერის სიდიდე
თუმცა მათ შორის ბოროტნიც იყვნენ,
რადგან იუდავ ქრისტე გაყიდე...

შინაურ მტრების ცოდვის ბრალია,
რომ ბევრი ციხე შიგნიდან გატყდა,
-ამილახვარო რას სჩადი! შესდექ!
მოძმეთა შორის ომი რად ატყდა?!

გადაგვიარა დიდმა თურქობამ,
ქართლის ველებზე თელა ყაყაჩო,
დედაწულებით და ქარავნებით
ოსმალთა ნეხვის სუნმა დაგვახჩო.

არ გვეშვებოდნენ არც ერთ წელს მტერნი,
გვლეჯდნენ, გვიწვავდნენ, წარუტაცნიათ,
დღისით სოფელში გაისმა ხმანი,
ხვიჩა და გოჩა გაუტაცნიათ.

რაც ჩამოვთვალე განა ეს არიის?!.
მარტო ვერ მოვთვლი ქართველთ სიმდიდრეს,
აქ დადიანი მზის გულში იჯდა
აქ სააკაძე მწარედ ატირეს.

ვზივარ და ვფურცლავ ვეფხისტყაოსანს,
წარმომიდგება თვალწინ ის ერა,
შოთა რუსთაველს მსოფლიო ეტრფის,
ვერავინ შეძლო მსგავსის დაწერა...

მიყვარს რომ ვუსმენ ჩონგურის სიმებს,
ნახატით გვატკბობს პაპა ნიკალა,
თავს გადმოჰყურებს მტკვარს ქართლის დედა,
ახალ დინებას გზა გაუკვალა..

და ისევ ისეა ეს ცხოვრება:
თეთრი, შავი და ჩალის ფერებით
წინა ცხოვრების გამეორება
სიყვარულით და პატიოსნებით...

საქართველოა ჩვენი სამშობლო,
სხვა მხარე არვინ არ დაიჯეროთ,
დიდება იმ ჩვენ დიად წინაპრებს
ჩემი თავი კი თქვენ გენაცვალოთ!!!

♥ ♥ ♥

იცი? წუხელ უცნაურად წვიმდა..
ბებომ თეთრი მომიქსოვა წინდა,
სხვებიც მქონდა, მაგრამ მაინც ქსოვდა,
თანდათან კი წვიმა უფრო თოვდა.
სითბო იყო, ბუხარს კვამლი მიჰყვებოდა
მაღლა,
სიყვარულით გვითბებოდა გული,
ბებოს ოდნავ ეტყობოდა დაღლა,
წარბზე ჰქონდა ძილი დამალული.
იხსენებდა ძველ დროების ამბებს,
ზოგი ადრე ჰქონდა ნაამბობი,
სათუთად რომ მიკეცავდა საბნებს,
განა ძილში ამას მე ვერ ვგრძნობდიი?!

დრო გავიდა.. მენატრება კოცნა,
მინდა ყელზე შემოვხვიო ხელი,
სამწუხაროდ დრომ არ იცის მოცდა,
მაგრამ მაინც ბებოს კოცნას ველი.
და იმ დილით უჩვეულოდ თოვდა,
იცვლებოდა ფანტელები სველი,
სასთუმალთან თეთრი წინდა დამხვდა,
ახლაც თან მაქვს ისევ ჩაუცმელი.
თუკი მკითხავ რად არ ვიცმეევ?
გეტყვი, რადგან ადრე ბევრი მსგავსი მქონდა,
ყველა გაცვდა აღარ დამრჩა მეტი,
ბებო არ მყავს წინდას ქსოვაც მორჩა.

ნუკრი ლობჟანიძე

* * *

ეს რა გვჭირს, რა დღეში ჩავვარდით,
ვის ვთხოვოთ საშველი დღეიდან,
სამართალს არავინ კითხულობს,
ყველა სხვის დაკრულზე ვმღერივართ.
ნელ-ნელა გვაჩვევენ სხვის წესებს,
ქართული გენი და ჯილაგი,
უნდათ რომ ხელიდან წაგგვლიჯონ,
გუშინ სხვა ქართველნი ვიყავით!!!
სხვა სისხლი გვიდუღდა მკერდში
და სხვა სითბოს გაცემა ვიცოდით,
დღეს კი, დღეს რა ჭირი გვეტაკა,
ხალისიც არა გვაქვს სიცოცხლის.
ათასჯერ ხმალ-შუბით ნაომარს,
წინაპრის რიდს ვეღარ ვაფასებთ,
დიდგორის, მარაბდის მეომარს,
თუნდაც დღეს შინდისის ვაჟკაცებს!
აღარ გვაქვს ის რიდი, ის ჟინი,
წინაპრებს როგორიც სჩვეოდათ,
სასმისიც ვერ შევსვით ისეთი,
ქართულიც ვერ ვქენით დღეობა...
ვაზის და ჭურ-მარნის სამშობლო,
უწესოდ, ურწმუნოდ ვაქციეთ,
აღარც დიდოსტატი არა გვყავს,
არც ვდარდობთ ჩვენს ასეთ საქციელს.
ვერ ვქენით დავითის,
თამარის დროშისქვეშ შეგვექმნა ყიჟინა,
ამიტომ ვმარცხდებით ამ დროსთან,
ამიტომ დავმარცხდით ბირთვისთან!
ხმალი ჩაგებულებს ქარქაშში,
სიტყვის უფლებაც კი არა გვაქვს,
ლამის სულ შეგვჭამოს ურჯულომ
და გადამთიელთა თართაშშმა...
მიწის და პურ-ღვინის მოყვარულთ,
მივაგდეთ მიწაც და პურ-ღვინოც,
არავინ კითხულობს თუ რა გვჭირს,
ყველა თავის გულში ღიღინობს.
გვიშველე უფალო, გვიხსენი
გვაცილე დემონი ამდენი,
გვასწავლე გატანა ერთურთის
გვაჩვენე სავალი ნათელი!!!
10. 01 2021.

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს,
უთქვამს წინაპარს ჩვენსას,
ვდგევარ ლოდინით დაღლილი
და წლებს მხრებიდან ვბერტყავ...
გაგვიფერმკრთალდა სამშობლო,
საფლავებს ვეღარ ვითვლით,
ზოგი დაღლილი წასულა,
ზოგიც მსუბუქად მიდის!
არც დაღონება არ გვშველის,
ვერც ლხინით ვშვრებით რამეს,
თუ არ გივარგა მარჯვენი,
ვერ გაიწალდავ საქმეს!...
ბევრს არ უმართლებს ცხოვრება,
ბევრს ზღვა წვეთად არ უღირს,
რამდენი მტერი გვყოლია
და რამდენს ვხედავთ უღირსს...
ამ ცოდვით მძიმე მიწაზე,
ვინ რას ბოდავს და როშავს,
აბობოქრებულ მორევში,
ცოდვილთა სული ბორგავს.
სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს,
უნდა წახვიდე შორს და
უნდა იცხოვრო ისეთად,
არვინ მოგკითხოს ცოდვა.

06. 02. 2021.

* * *

ჯიშით ქართულით, ფესვით ქართულით,
დასაბამიდან მოვდივართ ასე,
ვერ მოგვერევა და ვერ წაგვაქცევს,
უფლის გვირგვინი გვახურავს თავზე!
ბევრჯერ განსაცდელს ჩავხედეთ თვალში,
ბევრჯერ ვარესი სენიც გვინახავს,
გვყიდდნენ ბაზრებზე, გვყიდდნენ ცალცალკე,
მაგრამ ქართული სული გვიცავდა...
ზღვა გვაქვს ლურჯი და ცა გვაქვს კამკამა,
ზურმუხტ ლაჟვარდა მთა მთაზე მდგარი,
შეხედეთ მთებზე დაწოლილ ღრუბლებს,
შეხედეთ როგორ ღუღუნებს ქარი.
აქ ყველა ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ,
წინაპრის სისხლით მოკირწყლულ ბექობს,
ვერ მოგვერევა, ვერ მოგვერევა,
რადგან ჩვენს სულში უფალი მეფობს!

30. 03. 2020.

* * *

ამდენ უსამართლობაში,
ნეტავ თუა საშველი,
ყველა ტყუის და ამიტომ,
არ გვყავს სუფთა მმართველი.
ყველა თავის ტყუილს გვახვევს,
სიმართლეში გვასაღებს,
ღმერთო როდის გვეღირსება
ის რაც გვინდა აქამდე!
რით ვუშველოთ ამ ქვეყანას,
რა გვჭირს, აზრზე მოვიდეთ,
რაც ვიყავით, რაც ვაკეთეთ,
სწორედ დღეს ის მოვიმკეთ!!!
არც ფსოუზე ვჭავრობთ უკვე,
არც გარეჯი გვადარდებს,
პარლამენტის სკამებისთვის,
ლამის ომი გაჩაღდეს...
ყველა თითქოს მართალია,
ამ დროს ყველა მოლაყბე.
არც იციან რამდენს შია,
რამდენს ლუკმა მოპარეს.
ეს რა ხდება ნეტავ ჩვენს თავს,
გვიხსენ მადლით ცხებულო,
საქართველო გვიდღეგრძელე,
მზისებრ გაბრწყინებულო!!!

04.12.2020

* * *

ფუძის ანგელოზო, სულის ანგელოზო,
იქნებ დაგვიფარო გვედრი,
ყველა განსაცდელი აგვარიდე,
ფეხზე დაგვაყენე ერი!
ისე არ გაგვწირო თვალით ვერ ვხედავდეთ,
ბრმად არ გაგვატარო გზები,
თორემ ჩამოგვექცა, თორემ გაგვებზარა
თავზე რომ გვახურავს ჭერი...
ბერი აღარ ბერობს, ერი აღარ ერობს,
ეს რა გვემართება ნეტავ,
ჩვენი გასახედნი ურა კვიცი,
ვიღაც უჩინარმა ხედნა!
თვალი აგვიხილე, გული გაგვიმაგრე,
მტერს არ შეგვატავო მარტოდ,
ეს რა გვემართება, რატომ ვერ შევძელით,
ჩვენ ჩვენი ქვეყანა ვმართოთ.
ისევ გვათქმევინე სიტყვა ვაჟკაცური,
ისევ წაგვიყვანე გარეჯს,
თორემ ყველა მხრიდან მტერი არ ისვენებს,
მტკაველ მტკაველ მიწას გვართმევს!
ფუძის ანგელოზო იქნებ შეგვიწყალო,
ერი ძირძველი და სათნო,
თორემ დავიღალეთ ყველას ფერებაში,
იქნებ მიგვიხედო წალკოტს!!!

08. 06. 2020.

* * *

დაბადების თარიღი- ათასცხრაას სამოცდა,
დაბადების ადგილი- ჯრია ჩემი სამოთხე,
როგორ უცებ გაფრინდა ჩვენი ახალგაზრდობა,
სკოლის მერხი მგონია სწორედ გუშინ დავტოვეთ!
გვირბენია რამდენი, ბავშვურ გრძნობით დავმთვრალვართ,
ტყე-ღრე შემოგვივლია ათასგვარი ფიქრებით,
სახლში მისულს გვტუქსავდნენ, რატომ დაგვაგვიანდა,
გვიყვებოდნენ ზღაპრებს და გვაშინებდნენ ჭინკებით...
აუ როგორ გაფრინდა სანატრელი ის წლები,
წყაროს თავზე მიგდებულ მთვარის შუქზე ვლაღობდით,
ის ერთობა წავიდა, ის ბავშვობა გაფრინდა,
გადავსულვართ უჩუმრად მართლაც ეხლა სხვა დროში!
მენატრება წარსული, სულში, გულში ჩარჩენილს
ვერავინ და ვერაფერს შეუძლია წაშალოს,
ყვირილას პირს რამდენჯერ ამოვსვრილვართ ქვიშაში,
და რამდენჯერ ხელებით გვიზელია აყალო...
მოგვივლია ფეხდაფეხ ჯორსამეთის სერები,
წაბლზე წასულს რამდენჯერ ტყეში დათვიც გვინახავს,
ჩვენისთანა წარსული, ჩვენისთანა ქართული,
ნეტავ ვინმეს ოდესმე დავიჯერო უნახავს?!
დედის ალერსს ყოველთვის ახლდა მწარე სიტყვებიც,
მენატრება ის დრო და მენატრება წარსული,
ეხლა იმის ფიქრში ვართ რომ არავინ წაგვართვას,
მიწა და სალოცავი ჩვენი წმინდა ქართული!
დაილოცოს მიყვარხარ, დაილოცოს მომწონხარ,
ჩემო ოქროს ზურმუხტო, მიწავ ბევრის მოწამევ,
ისევ შენთვის, შენს გამო უნდა ბევრი ვიღვაწოთ,
რომ არავინ არ ვიყოთ სულ მთლად სხვისი მოსწავლე!!! 13.11. 2020.

ირინა ფერაძე

*

დაპატარავდა სამშობლო,
თითქმის აღარ ჩანს რუქაზე,
ნერწყვს ყლაპავს მთელი მსოფლიო,
ამ ერთ, პატარა ლუკმაზე.
დამიცოტავდა ქართული,
,,ღმერთების ენად" ცნობილი
და დედის ,,ნანა", უტკბესი,
პირმშოსთან ერთად შობილი.
არ უნდა გვავიწყდებოდეს
ფიცი, ოდითგან აღთქმული,
დიდგორის ველზე, ვაჟკაცთა,
გმირობა ჯერარნახული.
ვერ გაიშალა ძლიერად,
სიცოცხლის ნერგი, კეთილი,
,,ფაროსანათა" ,,ურდოსგან",
ტკივილით გადაზნექილი.
უცხო მხარეში გაისმის:
,,სხვა საქართველო სად არის?"
ამ ერის შვილმა ვერ ნახა,
თავისი ქვეყნის სადარი...
პაატას მოჭრილი თავივით,
ქართველს ასტკივდა ფესვები,
დღეს შიგნით გვჭამენ ყვავები,
ალესილი აქვთ ეშვები.
ქართულ მიწა-წყალს, დაკარგულს,
მირონი დასდის ცრემლებად,
ღვთისმშობლის კალთა ნაკურთხი,
მამულს ცად შემოევლება.

*

მარადიულზე ფიქრი, ვიცი, განაჩენია...
აგრძელებს ღამე, ოცნებების ,,ნამუსის ახდას",
ნეტავ დამთავრდეს, იდუმალი, ეს მისტერია,
ველი სიმშვიდეს, ბურუსში, რომ გაუჩინარდა.

შემიცოტავდნენ მეგობრები, როგორც სჩვევიათ,
ალბათ ვეღარ ვარ, საიმედო, სანდო, ,, პლაცდარმი",
საუკუნეც რომ მომეპაროს, მტრების ჯინაზე,
არ გამიქრება სიყვარული, მყარი, მათდამი...

დედამიწა კი, აჩქარებულ ნაბიჯებს ითვლის,
უგუნურთათვის, ყოველივე კარგიც-ავია...
,,უსიყვარულოდ ვიცხოვრეო", რომელი იტყვის,
ვის როგორ ესმის, ეს ცხოვრება, საკითხავია...

ზოგისთვის ალბათ თავდადება-ერთი თეთრია,
(ასეთი ხალხის გაგება და ,,არ-განსჯა" მიჭირს...)
ვისთვის თირკმელის გადანერგვაც არაფერია,
თუ ადამიანს, ერთგულების, მართლა აქვს ნიჭი.

*

წვიმს და... ისევ გარეთ მიხმობს, ყვავილების ,,თოვა",
დადის ნაზი გაზაფხული, სიყვარულის გროვად...

მწვანე ფერი, შეუცვლელი, დასდებია ველებს,
მზის სხივები, აკინძული, გულშიც გაიელვებს...

აღარ მოსჩანს ცის სილურჯე, იმედების ფერი,
ნუთუ, ჩემს წილ, ნანატრ სითბოს, სულ ტყუილად
ველი?...

აპრილს ცრემლი ვერ შევუშრეთ, ნიადაგი დალბა,
ამიტომაც, შემომაცვდა, საპატარძლო კაბა...

ია

ბუჩქის ძირას, გაიღვიძა იამ,
ლურჯ თვალებში, აკიაფდა შუქი...
ყოჩივარდას, გაუღიმა, მორცხვად
და საბანი გადაიძრო მუქი...

თვალმახარა, ულამაზეს, ყვავილს,
ფაქიზ მკერდზე, მზეც სხვაგვარად ჰკოცნის,
თითქოს, ჩვილ ბავშვს, ეფერება თბილად,
სიცივისგან, რომ დაიცვას, ნორჩი...

სხვა მისიაც დააკისრა, ერმა,
გაზაფხულის და სიცოცხლის მაცნეს...
რომ შეუძღვეს, ცოდნის საუფლოში
და ანბანი შეაყვაროს, ბავშვებს...

*

უფალო, მადლობას გწირავ,
რაც ვნახე, რაც კი, ვიხილე,
რამდენიც გამეღიმა და...
რამდენიც, ცრემლით ვიტირე.

მოვაგორებდი, ჩემს წილ ქვას,
წისქვილის დოლაბს, თავზეო,
რომელიც დარდებს მიფქვავდა,
თეთრ ფქვილს, მიცვლიდა შავზეო.

თითიდან გამოვიწურე,
,,ასაკდამჯდარი" ქალიო,
რომელსაც აღარ სწყურია,
უმიზნოდ ხეტიალიო.

სიმშვიდეს ეძებს, თუნდ ანცი,
გოგო უხტება ტყავშიო,
კისკისებს, უხმოდ ანიშნებს,
,,ვიცეკვებ, ხელებს გავშლიო" .

მეცოტავება, განვლილი,
დრო დამიკარგავს, ბევრიო,
არ გამიზომოთ, მანძილი,
ჯერ კიდევ, გასავლელიო.

ხევსურულ მოტივებზე...

ვაჟი:
შამამეფეთა ქალაი,
თოლები ამიბრიალა,
ძარღვს ჩაჰყვა ცხელებ-ცხელებით,
ჩემში, უცეცხლოდ იალა...

ქალი:
ჩამაირა ხევსურმა,
ბილიკზე ჭენებ-ჭენებით,
შამიპყრო გულის კანკალმა,
ფიქრებ მამსტაცა მწველები.

ვაჟი:
ვერ დამაჩოქა ვაჟკაცი,
ამ წუთისოფლის ტრიალმა,
მაგრამ, გამხადა ბეჩავი,
ამ გრძნობამ, ოხერ-ტიალმა.

ქალი:
დეკას ვაყარე ცრემლები,
სულ მდუღარ სისხლით ავივსე,
სიზმრადაც არ მამასვენა,
უმისოდ, ვერ ვიმაისე.

ვაჟი:
ჭიუხებს გარდავეკიდე,
არ მშველის ჟიპიტაური,
მაჰკალით, ერთი მიჯნური,
სნეული, ,,არ აქაური"...

ქალი:
მამწყინდა უგუნებობით,
უაზროდ, გარეთ წანწალი,
ან დამფალთ, თოვლის ნამქერით,
ან მქმენით, მისი წაწალი.

ვაჟი:
მავსტაცებ ფშაველთ მზექალას,
მთაში, რომ დავდგათ კარავი,
მინდ, ქორწილ გადავიხადა,
მე, ის და... მეტი არავინ...

*

გამოგიწოდე სიკეთის ხელი,
შენ კი, ჩამიდე, ურცხვად, ქვა მუჭში,
ნუ მაიძულებ, ადამიანო,
გამოვიკეტო, მე, ჩემს ნაჭუჭში.

ერთად, ათასი, მუზა მესტუმრა
და ხელიც, უცებ, მომხვია, შიშმა.
მე თუ მოვკვდები, ისე მოვკვდები,
რომ ვინმეს მუზად, ხელახლა ვიშვა.

ლეილა ვადაჭკორია

ფერისცვალება

გვენატრება დღეები
ნათელი და დიადი,
ახლა მთელ დედამიწას
მორევია წყვდიადი.
იქნებ ჩვენი ბოღმით და
შურით აღარ დავღალოთ,
როცა ფერისცვალებას
ელოდება სამყარო.
...მაინც ცოდვებს ვერა ვთმობთ
დამძიმებულ სულისას,
ნუთუ ვეღარ იმძლავრა
გრძნობამ სინანულისამ.

ბედი

შენამდე რომ მოვსულიყავ
შორი გზა გამოვიარე,
შენზე ოცნებით გავუძელ
რამდენ ქარიშხლის იარებს.
მერე მზე შემომეშველა,
მერე ვარსკვლავთა ციალი,
მინდვრად ყვავილთა სურნელი,
ლამაზმანების ცქრიალი;
იეშხეს, რა იკეკლუცეს,
მდელო დაღალეს თარეშით,
მზერა მაინც ვერ მომტაცეს
სულ შენა მყავდი თვალებში.
უფალს რა გულით შევთხოვე,
თავს ზევით ძალა არ არი,
სულ რომ არ ელი გიავდრებს
თურმე თუ ბედი არ არის.

უდრეკი კაცი

ყინვით დამზრალი ქარბუქმა
აწამა გამორჩეულად,
მაინც ვერ ნახეს მწუხარი
ღიმილს არ გადაჩვეულა.
– არაფრით გატყდა ყინვაო
ჩვენს გაჩენას კი წყევლიან,
ხედავ? კვლავ ზენიტს ესწრაფვის
თითქოს არც არა სტკენია.
– ყინვამ თქვა ტყუილ ვეცადეთ
უდრეკი კაცის გენია,
მტერმა რომ ვერა გახედნა
იქეთ ადინა წვენია.

პაექრობა

შემბრალებიხარ სიკვდილო
დადიხარ ცელის ამარა,
დედამიწაზე ვერ მკვიდრობ
ვერც ცაში შეკრავ კამარას.
- ვიცი, რომ გძულვარ სიცოცხლევ,
ვითომ სულ არა გიცნობდე,
კაცად სიკვდილი ჯობია
ზოგ არაკაცის სიცოცხლეს.
ეჰ, მართალი ხარ სიკვდილო
სული მიფრინავს ზევითა,
ზოგი ვარსკვლავად იქცევა
მერე შენც ტკბები ცქერითა.
სიცოცხლეს ხსოვნა აცოცხლებს
ზოგს მოკლე, ზოგსა გრძელია,
ხსოვნაში გადაითვლება
კაცის სიცოცხლის დღენია.

ცოდვა

მეც ამ მიწაზე ვიზარდე
როგორც პატარა იამა,
მზის სხივმა გული გამითბო,
ნანა მიმღერა ნიავმა.
მეც ამ მდელოზე ვხარობდი,
ამ მთებმა დამაფრთიანა,
შენ კი ფესვიდან მომგლიჯე
ნაკუწ-ნაკუწ, თუ მთლიანად.
მის შემდეგ სევდას ვერ ვძლიე,
სიმწირის ცრემლები მასველებს,
ვერც შენ იხარებ სხვის ფესვზე
ცოდვები არ მოგასვენებს.

დედის ნატვრა

ერთ წამში დარდმა დამტოვა,
გნახე ჯანმრთელი, ლაღი,
მოდი და გადაბრიალდა
ჩვენი ეზო და ბაღი.
ჩინარმა ჩურჩულს უმატა,
განათდა ოდა-სახლი,
თუმცა დაკაცდი, შვილო,
ჩემთვის მაინც ხარ ბალღი.
ამ მოკლე წუთისოფელში
რა უნდა დავიჩივლო,
ოღონდაც ჩემი ნაგრამი
ხშირ-ხშირად გნახოთ, შვილო.

სიჩუმეს ვირჩევ

მე ისევ ვირჩევ სიჩუმეს,
სხვის ჭორებს ხომ არ ავყვები,
ვიცი, რომ ყველა სიტყვაში
ჩადებულია ნაღმები.
ბუდეს რომ ქორი გადუფრენს
გაირინდება ბარტყები.

* * *

ყველა განწირულს
შენ უკმევ იმედს,
არა გწამს, ვიცი
შვილთა გარჩევა,
შენ ერთს თუ შეგთხოვ
უფალო ისევ,
სულიერების
გადასარჩენად.

მე მოვალ შენთან.

ადრე, თუ გვიან,
უსათუოდ მე მოვალ
შენთან,
იქნება მაშინ
მონატრების სიგიჟემ
შეგძრას,
და იქნებ მაშინ,
მაშინ მაინც, მითხრა
სიმართლე,
რომ შეცდი ჩემთან
რომ ინანე,
თავს არ იმართლებ.
მე კი იმდენად
ბედნიერი ვიქნები
მაშინ,
ვით, ჩინ დაკარგულს
დამიბრუნდეს სინათლე
თვალში.

* * *

რას იზამ,
ზოგჯერ ბრძენისაც
არ ესმით ისე,
დროულად,
სანამ თავად
არ გამოცდის,
აზრადაც რომ არ
მოუვა.

დედულეთი

იცი? როგორ მომენატრე
ჩემი სოფლის ეზო-ყურევ,
ბავშვობაში შენ მჩუქნიდი
სიხარულს და სითბოს ულევს.
ვიცი, შენც რომ გენატრები,
დედულეთო, ჩემო ტკბილო,
ვიცი, გულში ჩამიკრავ და
თან ალერსით მეტყვი, შვილო.
ახლა შორით გეფერები
ვხედავ ჩინარს, მაყვლის ბუჩქებს...
შენში იშვა ჩემი სული,
დღესაც შენს სამყაროს ვუსმენ.
შენც ხომ იცი რა ლაღი ვარ
დედულეთო, შენს უბეში,
ყველა ტკივილს დამიამებს
შენი სითბო და ნუგეში.

ნიკა ფუხაშვილი

დიალოგი

გაუშვით ყველა გრძნობა თუ გრძნობების პატრონმა
დაიმსახურა,
მიყვარდეს რატომ რაში მჭირდება?
ახლა სიძულვილმა ყველგან დაისადგურა,
ვისუნთქო რატომ რაში მჭირდება?
ბოროტმა ექომ ისევ ამითვალწუნა,
და უზნეობით გაშლილი ხელი გამილაწუნა!
ვიცოცხლო რატომ რაში მჭირდება?
-ქალი ნახე ლამაზი და შეიყვარე!
რატომ რაში მჭირდება?
მომბეზრდა აზრ დაკარგული ერთფეროვნება
და მითხარ სად ვეძიო ნატიფი ხელოვნება
-მრავლფეროვნება გსურს?
სურვილები რაში მჭირდება?
ისინი ვერ ათბობენ ერთუთის გულს
არა თქვენი "სურვილები" არ მჭირდება
-მემგონი ის მაჭარი ხართ, რომელიც ჯერ არ დადუღებულა
იცით რა შინაგან ეგოს ვეჭიდავები და არ მსურს დადუღება
მითხარით ეს რატომ რაში მჭრირდება?
შორს წამიყვანეს უკვე დიდიხნით ფიქრებმა,
აზრ დაკარგულმა რითმებმა,
-მაშ მითხარი რა გჭირდება ?
დრო! დრო მჭირდება...
რადგან ეს ისაა რაც მინდა მქონდეს და არ მაქვს,
-და რატომ ჩივიხარ რომ არ გაქვს?
რადგან ჩვენივე ხელით ვითხრით სამარხს,
-შემდეგი სიანსი როდის დავნიშნოთ?
რატომ რაში მჭირდება?
რადგან ჩემი გამოჯანმთელება აღნიშნოთ?
რატომ რაში გჭირდებათ?
-მაშ მითხარი როგორ მოვიქცეთ?
როგორ? სიძულვილი შორს გავრიყოთ!
-კარგი ახლა თქვენ მოგისმენთ ,
ბინდია და მოდი გავრინდოთ,
-რატომ ეს რაში გჭირდება?
შენ თქვი მოგისმენო და კითხვებს სვამ?
- უკაცრავად, მომიტევეთ
არმისმენ და სახლში, რომ მიხვალ სამშობლოს სადღერგძელოს შესვამ!
- კი მაგრამ რაშუაშია სამშობლო თქვენთან?
ჩემთან? მე ვარ სამშობლო შენი,
შენ ხარ სამშობლო ჩემი,
ჩემი იყო და იქნება,
ყელში ამოვიდა არაფრის მთქმელი ლანძღვა-გინება,

- პატრიოტი ადამიანი ყოფილხართ!
პატრიოტობა თქვენთვის მომინდია,
- სასიამოვნოა ნიკა თქვენთან საუბარი...
გარეთ გაიხედე ნახე როგორი ამინდია?
- ცივი,
არა ეს დაღვრემილი შავი ამინდია,
ასეთები ვართ ჩვენ...
და ეს საიდუმლო თქვენთვის გამინდია.
ნახვამდის...
მოიცადეთ!

ავტორი: 12/16/2020

* * *

ისევ ვიმშვიდებ თავს,
რომ შევძლებ და გავცდები ამ ოთახის
კედლებს,
ვერ გხედავ, მაგრამ გრძნობ როგორც
ქარს,
რომელიც მსუსხავს და მიყინავს ხელებს,
თურმე ცხოვრება ფილმს ჰგავს,
სადაც ყოველი ამოსუნთქვა შეიცავს
დრამას,
სცენარი თითქოს შენს ჭკუაზე მიგყავს,
მაგრამ ხვდები სხვები არ გაცდიან ამას,
რთულია გრძნობდე მე ვგრძნობ რასაც,
ხედავდე ყველას და თან იყო შორს,
მაგრამ ეს გრძნობა იმედს არ კარგავს,
ამ უჰაერო სივრცეს შენი ღიმილი სპობს,
ხანდახან ვფიქრობ თუ რა რთულია,
ამ ცივ კედლებში ადამიანი,
ყველა კედელი გამართულია
მაგრამ არც ერთი სამართლიანი,
ყველა კარებიც გადამიკეტეს,
ყველა განსაცდელს ვატარებ გულით,
ადრე თუ გვიან ჩამოინგრევა ცივი
კედლებიც კი გამართული,
თავისუფლება დღეს ისე შორია,
ზოგჯერ ვფიქრობ ვერ გავძლებ მეტს,
მაგრამ მჯერა ან უბრალოდ ასე მგონია,
დადგება დღე როდესაც მეც გავშლი
ფრთებს
ვიცი ვერ წავშლი დროს,
ვერც ავცდები წარსულს
მაგრამ დავხატავ მომავლის გზებს,
ყველაფერს ფერადს, არც შავს და არც
მუქს,
დავიგვიანე მაგრამ,
ეს სულ არარაობას სჯობს,
გპირდები ვიცოცხლებ სანამ,
ამ უჰაერო სივრცეს ეგ ღიმილი სპობს.
20/01/2018

* * *

ცხოვრებას თითქოს არ ჰქონდა აზრი,
გაზაფხულივით მოხვედი ჩემში,
გადავიბერტყე გრძნობიდან მტვერი,
რომ ვინახავდი ამდენხანს სხვენში,
შემომეჩვივნენ ლამაზი ფრაზები,
შენამდე მუდამ ციოდა გულში,
ნუშის კვირტივით აყვავდა გრძნობა,
ზაფხულივით რომ გამითბი სულში,
შემოდგომაა, ცოტა აცივდა
ხალიჩად აფენს ტყე თავის ფოთლებს,
შენი ფერია ეს მონატრება, რომ
მაცლევინებს ღვინის ფერ ბოთლებს,
შემოდგომის ფრად შემომაზამთრდა,
გაზაფხულის მოვიდა რიგი,
თოვლივით სუფთა სიზმრებში გხედავ,
სადაც შენ ნი ხარ
მეკიდევ იგი.
17/11/2015

ეკატერინე ნადირაშვილი

ფიქრმა გამითენა ეს ღამეც,
გონმა გულს ახსენა ტკივილით,
დავიწყებული სიყვარული,
უცებ გადაშალა წიგნივით.
მეგონა ნიავს გავატანე,
მეგონა, წიგნი დავხურე.
მაგრამ, ვაი რომ ვერ წავშალე,
წარსულში ვერ გადავაგორე.
ვერ მოგწყვიტე გულიდან ვარდი,
ამ გულს დასობიხარ ეკლებად.
თავს სულ მახსენებ, ვერ გითხარი,
მძივივით ფიქრები მებნევა.
გეტყვი რომ ჩემი სამყარო ხარ,
ვერა გთმობ, ჩემიდან ვერა გშლი
შემომიღე გულის კარი და
სულში ჩამისახლდი მარადის ...

2021.08.02

შენი თვალები მზის სხივებს მაფენს,
თბილ სამოსელით შემმოსავს უცბად.
ჰო ეგ თვალები მზერისას მაბნევს,
ფიქრის უნარსაც მტაცებს უეცრად.
ჰო ეგ თვალები ციმციმა ვარსკვლავს
მაგონებს მართლა ერთი შეხედვით,
სურვილს მიღვიძებს მე ღამე ვიყო
და ერთ სარეცელს ვიყობდეთ თვლემით.
შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს,
შენი ფერია ირგვლივ ყოველი,
მუზაც კი მსტუმრობს როცა გიმზერ
შენ ულამაზესი ეპითეტებით.
შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს...

2021.4.02.

ჩემო სურამო

გაზაფხული შემოგვიღებს გულის დარაბს,
თებერვალმა მოგვახარა ხეში წყალით.
ვხედავ, აგერ ენძელებსაც გაეღვიძათ
და გვიმზერენ ულამაზეს ფერის თვალით.
სულს გაგვითბობს აგვენთება გული მართლა,
ააცეკვებს ალიონზე ფერად აისს.
პოეტს მუზა ესტუმრა და დაწერს ახლა,
მხატვარი კი თავის ფუნჯით ხატავს დაისს.
გაზაფხული მობრძანდაო გვამცნობს იაც.
ქორწილია! მახარობლად მოიჩქარის.
მზის სხივები, მკერდს საკინძეს შეუხსნის
და გულის ფიცარს დააკვდება ლამაზ ბაგით.
ცისფერ თვალით იმზირება ცა კი ახლა,
მგოსანი კი მზეს უტყდება სიყვარულში
გაზაფხული ჩემს გულის კარს აღებს ახლა
და მეღვრება შარბათივით თითქოს სულში..

2021.02.10.

ჩემო საქართველოვ

ჩემო საქართველოვ!
ნატანჯ, ნაწამებო,
მტერმა ვერ გაგთელა
შენ მაინც,
რადგან, ოდითგანვე
ალგეთს ლეკვი გყავდა
ფარ-ხმლით,
მუზარადით ნაზარდი.
ცხრა ძმა ხერხეულიძენი
როცა წარსულსა ჰყავს
ოჰ, იმ ქვეყანას რა წაშლის!?
ანდა ანწუხელიძის მსგავსად
ვინ იტყოდა სიცოცხლე
შენთვის შემიწირავს...
იყავ მშობლიურო მარადის.
ხოდა მატიანე ისევ იწერება,
გმირ დედის ამაგს რა წაშლის!?
დღეს ხომ საქართველო
მათით სულდგმულობს და
ამით ვიამაყოთ მარადის.

2021.02.11.

🖤
შენ მზე ხარ ჩემთვის ხან
და ხან ისე გამოანათებ,
ხან კი დაგჯაბნის ღრუბელი
და გშთანთქავს მთლიანად,
ხან წერილს მომწერ,
ფერად,ფერად,
მაყრი ბარათებს,
ხან დადუმდები და
ამ გულსაც ისე მიღარავ.
ხან არწივივით დამიფარავ
ძლიერი ფრთებით,
ხან კი შეხვედრას გაურბიხარ
მიზეზს მითარჯავ.
ოჰ, როგორ მინდა
დღე გათენდეს ციებ ცხელების
და სიყვარულმა გადმოჩქეფოს
ჩანჩქერის მსგავსად..
შენ მზე ხარ ჩემთვის,
ხან და ხან ისე გამოანათებ,
ხან ვარსკვლავი ხარ,
წყვდიად ცაზე მიმობნეული.
ხანც ვარდი ხარ
ოჰ სურნელებას
რა რიგად აფრქვევ,
ხან კი ამ გულის
„დარდი მანდი“
და უნდობელი. ექსპრომტად.

2021. 01 28.

გინდა გამკიცხე

გინდა გამკიცხე,
გინდა დამძრახე,
მე შენს კარებთან,
ჰო, მაინც მოვალ,
გულანთებული,
ლოყებ წითელი,
ხო, ცეცხლის ალი
მეკიდოს თუნდაც,
მაგრამ ვაი,
რომ შენ ვერ შეამჩნევ
მე ჩემს თავშივე
ვივნები უცბად და
მაინც გეტყვი
მე შენ მიყვარხარ
კარს მიღმა შეგთხოვ
ნუ დამტოვ მწუხარს,
ნატრულს ნუ მიშვებ
სამსალა დაცლილს
გულის კარები გამიღე უმალ.
გინდა გამკიცხე,
გინდა დამძრახე,
მე შენს კარებთან
იცი რომ მოვალ...

ექსპრომტი.

მოლოდინმა ოჰ ეს გული გადაღალა

მოლოდინმა ოჰ ეს გული გადაღალა,
იმედების ფიალაც კი გამოვცალე.
დარაბიდან გზას გავცქერი მომლოდინე,
ერთ ხანობას უცხო პირსაც მიგამგვანე.
სად გამქრალხარ იმედები დამელია,
ნუთუ ასე ქვად იქეცი აგვიანებ,
მე კი მხოლოდ ოცნებებით ვიკვებები
მხოლოდ მათი არსებობა მაფრთიანებს.
ლოდინს ისევ ვაგრძელებ და გელოდებ,
იმედს ვიტოვ რომ გულის კარს შემომიღებ.
იცი ახლა?! იმ გზით ისევ გელოდები,
იმ წითელი თაიგულით მოხვალ ისევ.
მოლოდინმა ოჰ ეს გული გადაღალა.

2021. 12. 01.

ბედნიერებას ელევა წამი,
გზა ჯვარედინთან გზები იყოფა.
მოდი ახლა და ისევ მითხარი,
რომ, სიყვარული არ დალეულა,
როგორც წლების წინ გზის გასაყართან,
იმედის სხივი მაბნიე გულთან
მერე წახვედი ისე დამტოვე
შემოდგომის და ზამთრის საყართან.
ლოდინმა უკვე დაღარა გული,
იმედის თასი დაცალა უცბად.
მოდი, მე გელი ისევ იმ ადგილს,
სადაც დამტოვე, გზის გასაყართან.
ბედნიერებას ელევა წამი,
წამზომი უკვე ჩართულა თუმცა,
მოდი ახლა და ისევ მითხარი,
რომ, ისევ მეტრფი შენ ძველებურად..
მე ისევ გელი ისევ იმ ადგილს,
ბედნიერების წამის საყართან.
ნაწვიმარ, ნათოვ და ფიფქულ ადგილს.
გაყრის წუთის და წამის საყართან.

ექსპრომტად. 2021.01.29.

მე ჩემს მოყვასს გულით ვეტრფი იცი

მე ჩემს მოყვასს გულით ვეტრფი იცი!?
იმასაც კი ვეტრფი ვინც, რომ მიმტრო,
მე ყველაში კეთილ მარცვალს ვხედავ,
სიძულვილი ჩემს სულს ვერ დაიპყრობს.
გულში ადგილს სიძულვილს ვერ ვუთმობ,
თვალი ყველას სიყვარულით უმზერს.
მე სიცოცხლეს ვეტრფი, მართლა ვეტრფი,
,,წუთისოფლის სტუმრები ვართ ისეც" დავტკბეთ,
ვკოცნოთ, მოვეფეროთ ერთურთს,
მტრობა, შუღლი, გავატანოთ ნიავს.
მზის სხივები დავაბნიოთ გულზე
ჩვენთვის ვისაც გული უტკენია.
მე ჩემს მოყვასს გულით ვეტრფი იცი?!
იმასაც კი ვეტრფი ვინც, რომ მიმტრო.
მე ყველაში კეთილ მარცვალს ვხედავ,
სიძულვილი ჩემს სულს ვერ დაიპყრობს.

ექსპრომტი
2021.01.14.

იზა ჭკადუა

* * *

ატმის კვირტობას, ან, ცათა თოვას
როცა მიწაში ფესვს უხმობს ფესვი,
ვმკითხაობ „მოვა? არ მოვა? მოვა?“
„არ მოვა!“ ქარი ჩამძახის გესლით.
ისე ვით წვიმა, ისე ვით სიო,
წყვდიადს რომ ახლავს და თავს რომ მესხმის,
წუთს ვწირავ წამს და წამი ბევრს ცდილობს,
რომ წუთებს შორის დაირღვეს წესი.
ვმკითხაობ „მოვა? არ მოვა? მოვა?“
„მოვა! ჰო, ალბათ!.. ის არა....
ცრემლი.“

* * *

კარებთან ქარი სიმშვიდეს აპობს
და მზისფერ ღადარს მპირდება დილა,
შემინდე, თუ ხმა დასცდება ამბორს,
შემინდე, თუ ვერ ვიქნები ფრთხილად..
დასცდება სითბო მორგებულ სიტყვას,
ამიჯანყდება დუმილის წამი,
მირჩიე სულო, აგრერიგ წმინდა,-
ოცნებას ..
რისთვის ვუქციო მხარი..

* * *

შარაგზაზე იწვა ბინდი,
მთაში ნისლი ჩამდგარიყო,
ტყის შუაგულს კარავს ვშლიდი,
სად იყო და სად არ იყო..
მზე მკლავებზე მომეთბუნა,
ნატვრა ჩემი ყურად იღო,
მერე წვიმაც მომესხურა,
მერე წვიმამ გადაიღო..
ცამ, - თითქოსდა დაიწია,
მზე, - თითქოსდა ჩემთან იყო,
სული აღარ მიტიროდა,
გული ისე გამთბარიყო..

* * *

გზა ილევა და სიტყვანი,
შეჭირვებანი სხვათა,
ხელი ცდუნდა და მისანი,
გული წუხდა და წახდა.
ვაზს დაეკიდა მტევანი,
ბალახს ცრემლები ცვართა,
ნავის მშურდა და მენავის,
ზღვაი მსურდა და..
არ მთა..

* * *

არის ნესტი მიწის, მსურს სურნელი ვარდთა,
აღარავინ მიცდის, ამ გზის გასაყართან...
და ვათრთოლებ თითებს, ჰო, ამ დარდსაც ვიტან,
რაც ნაღველი ვზიდე სულ მეყოფა ტვირთად.
ახლა ვხედავ უკან მოხედვაც კი მიმძიმს,
სულ ტყუილად, ფუჭად, ვერ დავიწყებ სიცილს.
ღრუბელს ვესვრი გუნდას, ფეხქვეშ მიწა იძვრის,
მზე ამოვა, მაგრამ მოლოდინი მიმძიმს.



გიგი თეთრაძე

ღამე ათენე ფიქრისა და ოცნების ძირას,
არ შეიყვარო, ანდა გიყვარდეს, ვინც გულით გიყვარს,
ალიონს შეხვდი, მზეს თვალებში ურცხვად ჩახედე,
გადი მინდვრებზე, საქართველოს მთებს გადახედე,
ყური დაუგდე შენი ქვეყნის ჩურჩულს და სუნთქვას,
მის გულის ცემას არა აქვს ბოლო, წინაპართ უთქვამთ,
ამაყად გადი სისხლით მორწყულ ქართულ მიწაზე,
ფესვებს უფრთხილდი,მოეფერე ამ უზენაესს!
არ შეიყვარო, ანდა გიყვარდეს ვინც გულით გიყვარს,
ღამე ათიე ფიქრისა და ოცნების ძირას.

31.07.18

ვედრება

ღმერთო ნუ გამაამაყებ,
სულში სინანული მათოვე,
ყველაფრის კეთებას დავიწყებ
კაცად მოსვლისას რაც მთხოვე.

მე ამ ცხოვრების ბილიკებს,
უფალო შენთვის შევკაზმავ,
ჭირში მყოფს ლუკმას გავუწვდი,
არავის ღირსებას შევლახავ.

ქრისტეს შეგნებით ვიცხოვრებ,
საფიქრალს შენსკენ მოვმართავ,
სიკეთის მარცვლებს დავთესავ,
მერე, რომ ნაყოფი მოგართვა.

კაცი დღეს ცოცხლობს წუთობით,
ხვალინდელისა რა იცის,
ყველას სიკეთე მოჰმადლე,
ცოდვილ მიწაზე ვინც იწვის.

ღმერთო ნუ გამაამაყებ,
სულში სინანული მათოვე,
ყველაფრის კეთებას დავიწყებ,
კაცად მოსვლისას რაც მთხოვე.

28.08.2020

პოეტი

მე სხვანაირად მიფეთქავს გული
და სხვანაირი ფიქრი მაწუხებს,
ფიქრთა წერაა ჩემი სასჯელი,
ვერ გავექეცი ლექსის მარწუხებს.
პოეტი რაა, ვაზის ცრემლია,
სიმართლეს რითმებად აწყობს,
ის ხომ დიადი გაელვებაა,
წარსულისაგან აშენებს აწმყოს. .
ათასი ფიქრი ირევა თავში,
უფალიც ალბათ პოეტი იყო,
როცა მოვიდა ჩვენს ცხოვრებაში,
ოღონდ, სიდიდით დაჩრდილულიყო.
თუკი სხვის ტკივილს საკუთრად აქცევ,
ამ სატკივარის ხდები მტვირთველი,
შენ ულექსოდაც გქვია პოეტი,
ხარ პოეზიის ტვირთის მზიდველი.
მე სხვანაირად მიფეთქავს გული
მე სხვანაირი ფიქრი მაწუხებს,
ფიქრთა წერაა ჯილდოც, სასჯელიც,
ვერ გავექეცი ლექსის მარწუხებს.

28.01.2021

რამაზი ვეფხიშვილის ხსოვნას

წავიდნენ,გაქრნენ ის დღეები,ბავშვობის წლები,
გულის ტკივილით გიხსნებ ახლა,
ვიცი ფიქრებში და ოცნებებში დარჩები ჩემში,
შენ კი შორსა ხარ, ლურჯ ცაზე მაღლა.

სევდიან თვალებს,ცრემლით დანამულს,
არ უწერია სამყაროს ნახვა,
რატომ ჩააქრე სიცოცხლის სანთელი,
ღმერთს არ უნდოდა დღეს შენი წასვლა.

ახლა კი დგახარ სასუფევლის კართან,
და თვალცრემლიანი უფალს ელოდები,
აგერ აფრენილან ბედის ყორნები და
ისე გაიფრენენ როგორც აპრილები,

დგახარ, ფიქრობ არაფერზე,
შემწეობას ითხოვ დიდი ღრმა თვალებით,
ცრემლი სევდიანი ლოყებს შეაშრა და
ქვევით იყურები შენ ღრმა მწუხარებით.

ასე გაფრენილან ოცნების დღეები,
რაღა დააბრუნებს იმ დროს გარდასულს,
ტკივლი კვლავაც ტკივილად დარჩება,
შენ ისევ ალბათ ჩვენთან ყოფნა გსურს.

სევდიან თვალებს,ცრემლით დანამულს,
აღარ უწერია სამყაროს ნახვა,
რატომ ჩააქრე სიცოცხლის სანთელი,
ღმერთს არ უნდოდა დღეს შენი წასვლა!

30.4.16

ლალი ევლალია პერპერიდი

საჟამოს ავან ჩავანი

.....797.....

შემოქმედს ცოდვების შენდობას ვთხოვ
ცად ლოცვად მაქვს ხელი აწვდილი,
ძალზედ მენება ამხდენოდა გულის წადილი.

ვეძიე მაგრამ ეჰ ამ საწუთროდ ვერ ვჰპოვე
შველა, რადგან ამჟამად დედამიწად ვაი რომ ბნელა,
ბედს არ შევჩივი რადგან მით არ მეწვევა შველა.

უნდა შევეგუოთ სხვა გზა არ არის წარმავალია
წუთი სოფლად უკლებლივ ყველა,
რწნენით ავანთოთ ჩვენში ლამპარი
უსამართლოებისგან თუ გულში ბნელა.

საჟამოს

ავან ჩავანი შენ ხარ მხატვარი...
ჩემი სამყაროს,უფერულ ფერთა,
თავად ვერ გეტყვი,
ეს გულები რამ შეაერთა.

უკვდავ გრძნობებით
მწველი გრძნობა
გამიჩნდა გულში,
ასე მგონია ერთურთისთვის
ერთად,ვიქმენით,
გაერთიანდა, გამთლიანდა
ჩვენი სამყარო,
ერთი სულია ორ სხეულში,
ერთი მიზნებით.
ის ვიცი მხოლოდ,
უსასრულოდ მწადია შენთან,
ვირჩევ შენთან წამს,
სხვებთან ყოფნის თუნდაც
საათებს,
შენ დამიხატე
და მომეცი გრძნობის
ფერები,
და ეს სამყარო
უცნაურად გამილამაზე..

საჯამოს ავან ჩავანი
.....105.....

როგორ გვინდა რომ დრო გავაჩეროთ
და სიკვდილმა რომ ცოტაც გვაცალოს,
როგორ არ გვინდა სიცოცხლის თასი
გაილიოს და გამოიცალოს.

მზე ჩაესვენოს,ჩამოდგეს ბინდი,
გაუფერულდეს,ფერი იცვალოს,
დასრულდეს, მორჩეს, შევწვიტოთ
სუნთქვა და ხორცი სულს რომ შემოეცალოს.

მაგრამ ასეა რაც ცოცხლობს კვდება,
ეს არის სოფლის,გენგების ნება,
ვერავინ შეცვალის, ასეა ოდეს,
რაც ცოცხლობს ხარობს და ბოლოს ჭკნება.

საჭამოს ავან ჩავანი
.....900.....

გულიდან ვარამს აღმოვფხრი და გავატან ქარებს,
და მჭმუნვარებას არ ავყვები სამარდჟამოს,
სულ არ მაშინებს რომ ოდესმე დავხუჭავ თვალებს,
და ბოლოს ჩემ წილს ამოვავსებ მყინვარ სამარეს.

მე კარგად ვიცი,
რომ მუდმივი არაფერია,
რაც იბადება ყველაფერი
ოდესღაც კვდება,
იმან იდარდობს ვინც ცოცხლობს და
არ იცის რისთვის,
და ვაი იმას, ვინც ცოცხლებში
წერია მკვდრებთან.

ისიც ვიფიქროთ,
ვალი არის აღსასრულის ჟამს,
უსამართლობას ჟამთა დენა
როდი გვახანებს,
ჩვენ თავად ვირჩევთ,
საბოლოო სად დავივანებთ,
ჯოჯოხეთში თუ,
ვესტუმრებით სამოთხის ბაღებს.

საჭამოს ავან ჩავანი
.....102.....

სიკეთე ვიქმნათ წუთისოფელში,
არ დავიღამოთ ცოდვით თვალები,
რომ არ გვქეჯნიდეს შემდგომ
სინდისი,
თავაწეულნი ვიყოთ ლაღები.

მწადია რწმენით რომ მოვიარო,
ამ წუთისოფლის იალაღები,
შევკრა კამარა როგორც ფრთოსანმა,
ავიჭრა ზეცად სილაჟვარდეში.

მიწაზე მყოფმა ისე ვიაროთ,
არ მოვუმრავლოთ შვილებს ვალები,
ვუარყოთ წუთის ავლა დიდება,
გარდავიცვალოთ, დარჩეს სახელი.

საჭამოს ავან ჩავანი
.....103.....

ჩემი განსჯით, შეჩვენებით
ნეტავ ვინ რა მოიგო,
ვისგანაც არ მოველოდი
მავალს ფეხი დამიდო.
ხელიც კი მკრა „მეგობრულად“
მე ხუმრობა მეგონა
რადგან ჩემგან ეჭვი მოძმის
ვერ ვიახლე, მეშორა.
დრო გავიდა დაანგრია
ფლიდთა ცრუთა ნაშენი,
ბევრი ბოლოს მიხვდა მაგრამ
თითზე კბენა არ შველის..
ბევრს ნიღაბი შეეზარდა ისე
გაითავისა,
სხვათა სახეს ვერ ელევა
ვეღარ ჰპოვობს თავისას.
მაგრამ ყველა წარმოდგენა
ბოლოს მაინც მთავრდება..
მსახიობი ბოლოს რჩება
მარტო უკან ფარდებთან..

საჭამოს ავან ჩავანი

.....854.....

დეე მსურს რომ გული გაგიხაროთ,
ჩემო სულის,გულის,ვარდო!
მინდა თქვენთან ახლოს ვიყო,
თქვენს კალთას თავი ჩავრგო.
ღმერთს უყვარხართ თქვენთან არი,
არ იდარდოთ დედაც კარგო!
მუდამ ასე მხნედ იყავით,
გთხოვთ იმედი არ დაკარგოთ!
მსურს მალამოდ გადავიქცე,
თქვენს სევდიან გულს რომ ვარგო,
თქვენს სულიერ სამყაროში
ყოჩივარდა, ია, დავრგო.

თუ მუდამ ერთად ვიქნებით

თუ მუდამ ერთად ვიქნებით
არასადროს გაგვიჭირდება,
გამგები ნათქვამს გაიგებს,
თუ კარგად დაუკვირდება.
მწირი ამ ყოფის მწირობით,
უფრო და უფრო მწირდება,
სხვისი აბუჩად ამგდები,
ბოლოსვე თავად მცირდება.
ყოველი ქცევა სათქმელი
მისი შედეგით მტკიცდება,
სიკეთის სწორად გაცემით,
მადლი მრავლობს და იზრდება.
არა მართებულ გაცემით,
სიკეთე უქმად იქმნება,
შედეგს არ გაძლევს, არც არგებს,
მარცვალს სთეს კლდეზე იყრება.
უსაქმურადა ყიალით ჩვენი არსი
ვით ტუფლი სოფლად გაცვდება,
იხსომე რაც გვაწერია წუხილიდ
ის არ აგვცდება.
განგებულობა რაც არის
ვერ შეაჩერებ მოხდება,
თუ მიზანს კარგად ვუმიზნებთ
უთუოდ მიზანს მოხვდება.
ეს ყოფა ოხერტიალი
უფრო და უფრო ჭირდება,
ამდენ ჩაგრულის შემყურე,
გული კვნეს, ამიტირდება.
მრავალი განსაცდელის დროს,
ჩვენ თანადგომა გვჭირდება,
არ შევუშინდეთ შავ ღრუბლებს,
იწვიმებს? გადაიყრება.
დღეს თუ ტირიხარ რა უშავს
ხვალე ღიმილიც იქნება,
ღმერთის მადლით და კურთხევით,
მალე მზეც ამობრწინდება.
ვინც მოყვასს გვერდში არ უდგას,
არსობა გაუჭირდება,
არა ფული და ქონება
ჩვენ სიყვარული გვჭირდება.
მადლი დავთესოთ, ვამრავლოთ,
სანამ დრო არის იქნება,
სწორად გავლიოთ ცხოვრება,
ვიდრემდე გაგვიფრინდება.
ბოროტი დიდხანს ვერ ზეობს,
მისი დრო სოფლად მცირდება,
ჭეშმარიდების ვარსკვლავი,
ზეცაზედ ამობრწყინდება.
ღვთის მოსავთათვის, ტანჯულთვის,
სამოთხის კარი იღება,
მკელი მომკავს და აიღებს
თავთავი ირგვლივ იყრება.
მოვა უფალი დაგვიხანის,
ეშმა ქვესკნელად ინთქმევა,
მარადიული სიცოცხლე,
და არსებობა იწყება..

ჩემს სულიერ დედას

ჩემ სულიერი დედისთვის,
მადლობას ვწირავ ზენასა,
 გფარავდეთ უკუნისამდე,
სულს ნუ მოაკლებს ლხენასა,
თქვენს არსებობით ვიხარი,
გულიც ეცემა ლხენასა,
თქვენი შესამკი სიტყვები
ვერ ძალს აღმოსთქვას ენამა.

თქვენით მიხარის არსობა,
ცად ვიწყებ აღმაფრენასა,
სკდებიან გრძნობის კვირტები
მაღლის ხმით ვიწყებ მღერასა.
თქვენ ირგვლივ სითბოს ასხივებთ,
გულში ღრმად იკრავთ ყველასა,
ამიტო თქვენ გიწოდებენ,
ყოველ სულდგმულის დედასა.

მეამაყებით დედილო წმინდა
სული გაქვთ ნამდვილი,
თქვენებრ სიკეთეს იქმიან,
საწუთროდ მხოლოდ მართლები
დალოცვილ იყოს ეგ უბე
მრავალი შვილის გამზრდელი,
გფარავდეთ მაღალი ღმერთი,
გიკურთხოთ თავზე მანდილი.

რომ ჩაგეხუტო ბავშვივით,
ეს არის ჩემი წადილი,
რითმებს გადმოვცემ გრძნობებით,
მადლიერებით აღვსილი,
გულები ძალზეა ახლოა,
გვაშორებს მხოლოდ მანძილი,
მიყვარხართ მეამაყებით,
ჭეშმარიტი ხართ ნამდვილი.

როდის გიხილავთ მე იმდროს
მოთმენით დაველოდები,
მინდა რომ გულში ჩაგეკრათ
ჩამოგხსნათ, დარდის ლოდები,
მინდა ბავშვივით მოგიყვეთ
ჩემი ცხოვრების ავ კარგი,
დედილო არ გაგშორდები,
თქვენთან ვიქნები მარადის.

თქვენ დედის სითბო მაჩუქეთ,
თქვენში ვგრძნობ წმინდა სულია,
თქვენს გაკეთებულ
სიკეთეს არა აქვს დასასრულია,
მინდა ხარობდეს მარადის
ეგ თქვენი თბილი გულია,
ჩვენი კავშირი მუდმივი,
უკვდავი, სიყვარულია.

სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარიბჭე

.....ცნება 1.....

.....თავი 9.....

ცხოვრება ბრძოლაა არსებობისათვის

ცხოვრება ბრძოლაა, სიკეთისა და ბოროტებისა,
გამარჯვებული ის რჩება არა ვინც ძლიერია და
ღონიერი,არამედ ვინც არის გონიერი,
ხვთისნიერი და ბილომდის დამთმობი,
ღმრთის სიყვარულით ყოველგვარი განსაცდელისა.
ვიცხოვროთ აწმყოთი და არა წარსულით,
არ დავკარგოთ მომავლის იმედი,
არასოდეს იფიქროთ რომ უმნიშვნელო
ხართ ამ სამყაროში, რომ არაფერი გამოგდით,
არ გაგიღიმათ იღბალმა, გვახსოვდეს დასასრული რაიმის
რაღაც ახლის დასაწყისია, ჩვენ ჩვენს ცხოვრებაზე ვსწავლობთ,
ყოველი განსაცდელი კი გვაახლოვებს ღმერთს,
რომელიც ჩვენში სიცარიელეს ავსებს

და მით ვემგვანებით ახალშობილს.
მთავარი არა ამქვეყნიური წარმატებაა,
არამედ, წმინდა წიგნებთან მიახლოვება
და რელიგიაში ზრდაა, შესმენა მით ხმა უფლისა მღაღადებლისა,
აი ეს არის მიზანი წარმატებისა,
არა ქონება ავლადიდება, არამედ მოვიპოვოთ ცოდნა,
რომელიც გვჭირდება ჭეშმარიტების მიმავალ გზაზე,
ფული ოქრო,ვერცხლი,ქონება კი ვერარას წაგვადგება,
ქონება ავლადიდება მაშინ არის სარგო
როდესაც მას სწორ გზას მივცემთ,
გავხარჯავთ და გავიღებთ სიკეთის სამრავლებლად,
აი ამ შემთხვევაში ქონებას შეუძლია სიკეთის მოტანა,
ყოველი გაცემისას ის მცირდება,
მადლი და წყალობა კი გაცემით იზრდება
და ზრდის ჩვენს შინაგანს,
უსარგებლოა ქონების ქონა გაცემის გარეშე,
ხეს ემსგავსება რომელიც ფუჭია და უნაყოფოა.
ვიყოთ მადლიანი და მხნე ყოველგვარ განსაცდელისას,
მოწყალე და მწყალობელი
ღმერთი ყოველგვარ განსაცდელს გადაგვალახვინებს,
მის მოსავთათვის მისი წყალობა დიდზე დიდია,
არ შევუშინდეთ განსაცდელს,
ვიდგეთ მტკიცედ ჩვენი იარაღი ჩვენი რწმენაა
ბოროტების წინააღმდეგ,
გვახსოვდეს რწმენის შემცირებით ჩვენ ვსუსტდებით,
არ გავახაროთ ბოროტი ძალა არ გავანელოთ რწმენა,
თორე მით ავღმოვჩნდებით წაგებულთა რიცხვებში,
რომლებმაც იმიერს ამიერი ავლადიდება ღრეობა ამჯობინა,
დავიმახაოვროთ სამყაროს ბრძოლა
არა ჩვენი ბრძოლაა, არამედ უფლის ბოროტ ძალასთან,
ვიდგეთ მყარად ჩვენი იარაღი რწმენაა,
ბოროტების წინააღმდეგ უკუნითი უკუნისამდე,
ვიყოთ მტკიცე და შეუპოვარი, ხანდახან რთულია წინ ვიაროთ
მაგრამ არა შეუძლებელი,
არ ავირჩიოთ იოლი გზა, ცხოვრება რთულია,
ჩვენ გამოსაცდელად მოვევლინეთ,
ხშირად ტკივილი ცდება დათმენის ამტანობის ზღვარს,
შესაძლებლობას, მაგრამ გვახსოვდეს არაფერია შეუძლებელი,
არასოდეს დავნებდეთ რადგან ცხოვრება ბრძოლაა არსებობისათვის,
გინდა იარსო? – იბრძოლე!
რწმენა გადაგალახვინებთ ყოველგვარ დაბრკოლებას,
ჩვენი რწმენით და სიმტკიცით ყოველგვარ ბარიერს გადავლახავთ,
უზენაესი ყოველგვარ დაბრკოლებას გადაგვალახვინებს,
მთავარია ჩვენ ადამთ მოდგმა ვიყოთ მყარად მტკიცედ ჩვენს რელიგიაში.

უშენოდ ჩემში ბინდია

ჩემთან როცა ხარ... რა ხდება?
ჩემში სიცოცხლე ახლდება,
ჩემი ნანატრი ოცნება
მწამს რომ უფალით ახდება,
უსაზღვრო სიყვარულისგან
გულში გრძნობები მღერიან,
უშენოდ მზეც კი არ მზეობს,
მზიანი დღეც კი ბნელია.

შენით მიხარის არსობა
უშენოდ ძალზედ ძნელია,
რათ გიხარია სიცოცხლე?
რითი ხარ ბედნიერია?
მითხარი გულახდილი ხარ?
მე შენთან ვარ გულწრფელია,
მინდა რომ ვიყოთ მარადის,
ერთი მთელ,განუყრელია.

შენ ღმერთს მიენდე, გამაგრდი!
იყავ დამთმობი,ბრძენია,
გახსოვდეს სამოთხისაკენ
სავალი ძალზედ ძნელია,
მე შენითა ვარ ვსულდგმულობ,
ამ სოფლად ბედნიერია,
თუ გამიღიმებ მზე მათბობს,
წახვალ ღრუბლები დგებიან.

შენი ღიმილი მახარებს,
მომხვიე მხრებზე ხელია,
ვიტყვი არავის დავუთმობ
ჩემი მარადის ჩემია,
ეს გრძნობა შენთვის რას ნიშნავს?
ჩემში იმედის მჩენია,
ვგრძნობ როცა ჩემთან ახლოს ხარ
შიში არარის მჩვევია.

ვადიდოთ გულით უფალი
ჩვენი საჟამოდ მრჩენია,
ადამისათვის მეწყვილე
შემოქმედს გაუჩენია,
შენით არსობა მიხარის,
გულის იმედის მჩენია,
შენ რომ არ იყო ვერ ვიტყვი,
ამ მიწას რა დამრჩენია.

პასუხი კითხვებზე ქალბატონ თამარ დადიანს...

....რა საჭიროა მზე, როცა ხავსი მოსდებია მიწას?

პასუხი: ხავსი მოედო ცოდვებით მიწას,
ღმერთი მზის სხივით გულს გვითბობს
გვიცავს, რომ არ გამეფდეს ირგვლივ ბნელეთი,
სულის საზარი ელეთ-მელეთი.

რა საჭიროა წვიმა, როცა ცრემლები ღმერთის დარია?

პასუხი: მოვიდა წვიმა ქვეყნად უფალის ნებით,
რათა წალეკოს სოფლად ცოდვები,
წარეცხოს ყველა უსამართლობა
ქვეშევრდომნი და ეშმის მონები,
ადამთა მოდგმავ დავიღუპებით,
ღმერთს ნურასოდეს განვეშორებით.

რა საჭიროა ღამე, როცა სევდა მარადიულია?

პასუხი: ბნელში ნათელი რით დაიმალოს?
ჭეშმარიტებამ ბოლოს იალოს,
საბრალო არის არა ტანჯული,
არამედ უქმად ვინც დაყიალობს.

რა საჭიროა ღიმილი, როცა სიცოცხლე არვის მოუხარია?

პასუხი: როცა თენდება და მზე ამოდის
სხივებს რომ მოჰფენს მთელ არემარეს
ვერ დავიჯერებ როდესაც სუნთქავ
ცოცხალი რომ ხარ რომ არ გახარებს..
ეკლიან გზას რომ სოფლად გავივლით,
ღირსად ვიაროთ, ჩვენი ვალია,
სამოთხის კარებს თუკი შევაღებთ
განა არ არის ეს სახარია?
შენ მხარში როცა შენ მოყვასს იგრძნობ,
უღონოდ რომ ხარ,ერთობ,ძალიან,
ან როცა თავად უდგები მხარში,
არ მითხრა ეს რომ არ გიხარია.

რა საჭიროა რამე, როცა კაცობრიობა ცოცხლად მკვდარია???

პასუხი: ჩენ თვითონ ვაგდებთ თავს ამ ყოფაში,
საყვედურით კი უფალს ვყვედრივართ,
ჩვენი საქმენის შედეგს ვიმკით და
ბრალეული კი თურმე ღმერთია?
თუკი ჩვენ ვნებებს თავში ვერ ვიჭერთ
და ჩვენ სურვილებს თუ ვერ ველევით
ვინ დააშავა? ჩვენ თუ უფალმა?
თუ დავუჯერო ამას ვერ ვხვდებით.
როცა ჩავდივართ და არ გვადარდებს
და შედეგებსაც რომ არ ვჩივივართ,
ჩვენი ქმედება თავადვე განგვსჯის,
ჩვენ ვართ მსაჯულნი, ჩვენი თავისა.
უცოდველებიც მოჰყვება წარღვნას,
როცა უფალი მოავლენს კვლავაც,
უსამართლოებთან საუბარი უსამართლობაზე,
საუბედუროთ აღარც ღირს დავად,
გონდახშულია ცოდვისგან და იქნება მარად,
ამით დაისჯენ შემოქმედისგან და
დავნაშავენი თვითონა თავად.
თქვენ გამძლეობა გიბოძოს ღმერთმა,
სიკეთის მქმნელო,უკვდავო სულო,
მე თქენთან ერთად ჭეშმარიტება
მსურს რომ ვიწამო და აღვასრულო...

მარი ბიბილური

ვაჟა ფშაველას

ვერ მოგედრები ფშაველო,
ამ ჩემის ბლაგვი კალმითა,
მაგრამ თამამად ვიტყვი რომ
მოგგავარ ერთი რამითა,
მეც, შენებრ მიყვარს სამშობლო,
მეც შენებრ, მასზე ვდუდუნებ,
მეც შენებრ თვალცრემლიანი,
მის გაჭირვებას ვუყურებ.
მეც შენებრ მეწვის მგოსანო,
ჭრილობა ნაიარევი,
დაკოდილ გულით დავდივარ,
სხვის მიწას დავიარები.
შენ ერთი რამით მჯობიხარ,
გქონდა ნალესი კალამი,
სიტყვა-პასუხი გიჭრიდა,
ფასობდა შენი სალამი.
მე, ერთი გლეხის ქალი ვარ,
სხვის მიწის ტყვე და ხიზანი,
სამშობლოს მიწა მეღირსოს,
ესაა ჩემი მიზანი.
– შენ კი ამაშიც მაჯობე,
სამშობლოს მიწა გაყრია,
ჩემს ალაგს დაეპატრონა,
მტერი უჯიშო-ავყია.
მაინც ამაყად დავდივარ,
შენს მიწა-წყალზე გაზრდილი,
ამ მხრებზე კვლავ მაფენია,
ჩემი ქართული მანდილი.
ჯერ ვერას მაკლებს დროება,
სისხლი დამიდის მთიელის,
ღვთივკურთხეული მიწიდან,
მსურს მოვსპოთ მტერი ცბიერი.
ამით, ხომ მაინც გემგვანე,
მეც შენებრ ვიბრძვი კალმითა,
თუმც, თავს ვერავის ვაწონებ,
ჩემს ღარიბული სალმითა.

2019.

******

აღარც ქალი ვარ და აღარც დედა,
არც სამშობლო მაქვს, აღარც მამული,
დავდივარ დამაქვს ფიქრი და სევდა,
გულის კუთხეში გადამალული.

დღეს პოეზიას შემოვეხიზნე ჩემს გრძნობებს,
ტკივილს, ჩემს კალამს ვანდობ,
– ოჰ, ღმერთო ჩემო! შემომეხიდე...
თორემ ამ ყოფას ძალიან ვდარდობ.

მომეცი ძალა, ჭირთა თმენისა,
გული ალალი და არ მოძულე,
ცხოვრება მომეც სულის ლხენისა,
ჩამომაშორე მტერი-მოშურნე.

სული მომმადლე ალალი-სუფთა,
და მომიტევე მოკვდავს ცოდვები,
– მაკმარე ღმერთო! ყველა შეცდომა,
და შემიბრალე, თუ გეცოდები?!

მე ხომ ცხოვრება, სხვაგვარად მსურდა,
შვილიშვილებთან, შვილებთან ყოფნა.
და .... თუ ეს ფიქრი არ ამისრულდა,
მაშ რა ფასი აქვს, ამ ქვეყნად ყოფნას.

სად არ მატარა, ბედმა ტიალმა,
სულის შემძვრელი, მაქვს აგონია,
იყო, სიცოცხლით, სიკეთით სავსე და
ემიგრანტი.... გაგიგონიათ?!!!!!

– რა ვქნა?!– ეს იყო ნება უფლისა,
ასე დამსაჯა, როგორც ღამურა,
ღვთიური მიწა დავთმე უღირსმა,
სამშობლოს კარიც წინ მომეხურა.

მას შემდეგ ასე, წუწუნით დავალ,
მოვირგე ყალბი სახე მცინარი,
და როცა ამა სოფლიდან გავალ,
თქვენც გამაცილეთ დაუტირალი...

აღარ მიგლოვოთ, მაკმარეთ ცრემლი,
არ დამისველოთ ცივი სამარე,
იმხიარულეთ, იბედნიერეთ
და ჩემს მამულში დამასამარეთ!

მილანი
2020

*****

ლამაზ მოველ, ლამაზად წავალ,
გლეხის გაზრდილი, გლეხად მოვკვდები,
თუ უფალს უნდა გოლგოთას ავალ,
და ცხოვრებასაც მაშინ მოვრჩები.

– აბა რად მოველ, თუ არ ვიგემე,
ის ტკივილები რაც უფალს ვარგე,
გული ტკივილით თუ არ ვიჯერე,
ჩემი ცოდვები მე თუ არ დავგმე.

წავიღებ ჩემს ჯვარს, უფლისგან ნაკურთხს,
და უფალს ჩემი ცრემლით ფეხს დავბან,
უფალთან დავცლი ცოდვისგან ამ გულს,
უცხო მიწაზე ნაგვემს და ნატანჯს.

მომბეზრდა უკვე ფუჭი ლაყბობა,
წერა იქ სადაც არავინ გისმენს,
წავიღებ კალამს უფლისგან ნაკურთხს
და მოწიწებით უფალსვე მივცემ.

******

არ ვიცი რატომ მეშინია ოქტომბრის ქარის,
გული მიკვდება როცა ხეებს ფოთლები სცივათ,
გულგატეხილი და ძლიერი, მთისგულა ქალი,
ძირს დაცვენილი ფოთლებივით ვკვნესი და ვგმინავ...

მაშინებს ზამთრის დაუნდობელ დღეთა სიმკაცრე,
ქარი, სიცივე, წვიმები და ქარტეხილები,
თუ გადავურჩი, ზაფხულამდ ე თუკი მივაღწევ,
აღარ მადარდებს ღამე შიშით გატეხილები....

გამოზაფხულზე ტყის ფოთლლთა შრიალი შემშლის,
ავჟღურტულდები ნაზამთრალი ვითარც ბეღურა,
ღვთიურ მდელოზე ამ დანესტილ ლექსებსაც გავშლი,
წამოვუწვები ძველ ნაბადზე ისევ გლეხურად.

დაღლილ გულს ჩემი საქართველოს მზეს მივაფიცხებ,
გვირილებს მოვფენ წინაპართა ხავსმოსხმულ საფლავს,
ამ ყველა ტკივკლს და მონობას გადავივიწყებ,
აღარასოდეს დამიძახებენ უცხოელს-საწყალს.

19.10 .2020
მილანი

******

როგორ დავადუმო კალამი,
როგორ ავუკრალო სიმართლე,
ვიდრე მიხელია თვალები
უფალმა კი მიბოძა სინათლე.
როგორ ვემეგობრო სიყალბეს,
როცა უფლისგან მაქვს წყალობა,
როგორ მივეჩვიო სიყრუეს,
როცა უფლის მესმის გალობა.
მე ვერ ვუღალატებ,
მართლის მთქმელს,
არც დამიდუმდება კალამი,
ხმამაღლა ვიტყვი ჩემს სათქმელს
არ შემედაოს არავინ!

*****

თავს არ მანებებს სიკვდილზე ფიქრი,
თითქოს და შვებას მასში დავეძებ,
ბნელ ლაბირინთში ფიქრებით მივქრი და
შეშინებულ თვალებს ვაცეცებ...
ამიყოლია დროთა ტკივილმა,
სულშეხუთული დავეძებ ჰაერს,
გამომაფხიზლა სულის კივილმა,
სამყარო მოჰგავს იმ გულქვა კაენს.
ძმა-ძმას არ ინდობს..... დედის თვალზებზე
გლოვა, ცრემლი და სევდა კიაფობს,
სიკვდილს დავეძებ გზის გასაყარზე სიკვდილს....
რომელიც ამ გზას მიაპობს.

15.10.2020.

******

ჩაგიხედიათ ოდესმე ვინმეს,
ემიგრანტების მტირალ თვალებში,
– ან, მისი გულის ძგერა გსმენიათ,
დარდებისაგან ღამენათევის?!
ან, მასთან ერთად
ფიქრით დაღლილხართ,
მარტო რომ ტირის უკუნ ღამეში...
– ოდესმე, ვინმე დაფიქრებულხართ,
როგორ გავებით ასეთ მახეში?!
– გინახავთ ქალი, შეყვარებული
უსიყვარულოდ როგორ ბერდება?!
გინახავთ წლები შვილებზე დარდით,
როგორ ილევა, როგორ ბნელდება..
– გაგიცინიათ გილ-გახლეჩილებს,
გულ-მოკლულებს და გულებ-დარდიანს,
– იცით, საბრალო ემიგრანტები,
სხვის სახლში როგორ უხმოდ დადიან?!
– მითხარით, რად გინდათ ეგ საქართველო,
ან, ეგ სკამები, ოქრო ფულები,
წახვალთ იმ ქვეყნად და თან გაგყვებად,
ქვად ჩაკირული ცივი გულები.
ჩვენ კი სამშობლოს ეს სიყვარული,
ჯოჯოხეთიდან ედემს გაგვიყვანს,
და თუ სამშობლო არ ვგვეღირსება,
უფალი ჩვენს სულს ზეცად წაიყვანს.

მილანი. 2017.

******

მომენატრა ალისფერი გარიჟრაჟი,
და სურნელი დაკოჟრილი მთების,
სიო ანცი, როგორც ქალი და გიჟმაჟი,
სიყვარულში გალეული წლები...
მომენატრა, ფეხშიშველმა ნამიანზე,
დავირბინო ჩემი ფუძე-კერა,
ჩემს კრუხ-წიწილს სამუდამოდ მოვაშორო,
უცხო მხრიდან, მოფრენილი ძერა.
მერე მდელო მონატრების ცრემლით ვბანო,
დილის ნამის სურნელებით დავტკბე,
ჩემი ერი ისევ ისე თბილი ვნახო,
წინაპრების დავუბრუნო სახე.
ძველებურად, კვლავ ვუმღერო შვილიშვილებს,
ბზარი რომ არ გამერიოს ხმაში.
ღვთიურ მამულს, მოვეფერო, როგორც დედას,
მონატრებულ თბილ-ჭაღარა თმაში.
მოვუშუშო, იარები-ჭრილობები,
ჩემი ცრემლით ჩამოვრეცხო ლაქა,
დილის მადლით მოვუქარგო ჭილოფები,
ერთი წუთით, რომ არც ვიგრძნო დაღლა.
დილით მეხრეს გავყვე ისევ გუთნის დედად,
თბილი ლოცვით დავაპურო ყანა,
– აბა, მითხარ რა ვინატრო უკეთესი,
უფრო კარგი, ვიდრე ეს ქვეყანა?!

17.10.2018.
მილანი 00/58

*****

მივდღეხვალიობ... მივუყვები გაცრეცილ სოფელს,
ფეხს ვერ ვაბიჯებ ცოდვისაგან დაფლეთილ მიწას,
ცრემლიან თვალებს მიმოვავლებ ამ სოფლად მყოფებს,
იქნებ მე მაინც მივაღწიო დასახულ მიზანს.
ისე დამღალა ამ ქაოსმა, ბედთან ჭიდილმა..
ეკლიან გზებზე ფეხშიშველმა ბევრი ვიარე,
გზის გასაყართან გამუდმებით ეშმა მიცდიდა,
და ეს ცხოვრებაც, სულ ბრძოლებში გამოვიარე....
წყალთან შევჩერდი, მსურდა მწყურვალს წყურვილის მოკვლა,
წყალიც არ იყო ისე სუფთა, ისე კამკამა...
მეც გამიჭირდა ბებერ ძვლების ღრჭიალიალით მოხრა,
ცოდვილ სხეულის წყლის პირამდე სულით დატანა.
მივდღეხვალიობ... მივუყვები ცოდვილ შარა-გზას,
შიშველ ფეხებით სულ გავკაფე ეკალ-ბარდები....
ძნელი ყოფილა, ცოდვილ სულით სცადო აღმასვლა....
ახვალ და ისევ სიმძიმისგან მიწას ვარდები.

16.10.2020.

ირაკლი გოცირიძე

დრო...

დრო- ყველას გვძარცვას თანდათან,
თმაში გვიჩნდება ჭაღარა,
თვალები ვეღარ ციმციმებს,
თუ გული სევდამ დაღარა...
....
წამი-წამს მისდევს,წუთი-წუთს,
დროს-არაფრად არ ვაგდებდი,
„ბედის ბორბალი ტრიალებს“,
რა ჩქარა მიდის – „და ვბერდი“...

უფალმა გაგაძლიეროთ,
გიმრავლოთ გვარიშვილები,
მრავალჟამიერ გახაროთ
შვილებით-შვილთაშვილებით

* * *

...არვის გვინდობს სიკვდილი,
„ალესილ“ ცელს ატრიალებს,
გვედრით უფალო შეგვინდე!
ვეღარ ვიშუშებთ იარებს...
...
სანამ ამ ქვეყნად მეფობს სიცოცხლე,
მანამ ქართულად სიტყვა ითქმება,
„სალაღობო“ და თემოს ნამღერი
მრავალჟამიერ-მარად იქნება!..
„...დაუკარით, არწივების ასაფრენი“

* * *

... რომც გახდე პარლამენტარი,
„პრემიერი“ თუ „სარდალი“
თუ სულერთია დღეს თქენთვის,
კანონი, მტყუან-მართალი,
სულით თუ არ ხართ ძლიერი,
გული თუ არ გაქვთ მაგარი,
დაგვეღუპება სამშობლო,
ჩვენი ხსნა მართლა არ არი...
გულწრფელმა თუ თქვით სიტყვები,
სახალხოდ – „ძნელშესადარი?.“
გულში გაქვთ დიდი ტკივილი?
გზას ეძებთ, ფიქრობთ სად არი?!...
სამშობლო-ედემს სადარი,
მსგავსი ქვეყნად რომ არ არი,
მუხანათურად წაგგვლიჯეს –
სიმართლე იცით სად არი?!
მამულს შეაკვდნენ კ ა ც ე ბ ი!!!
თქვენც დაგრჩათ გულში იარა?
ველზე სიკვდილი არჩიეს,
შინ გამოქცევა კი არა!!..
დედის თვალებში გინახავთ
რა გლოვა გამოიარა?..
შესძლებთ? ივარგოთ, გაგვიძღვეთ,
„ტაძრის გზა“ იცით სად არი?!..
მონანიება, შენდობა,
„მოყმის და ვეფხის“ – სადარი,
უფლის ს ი ტ ყ ვ ი თ რომ გვატაროს,
ასეთი კ ა ც ი აქ არი?!!

თუ გვინდა

... თუ გვინდა, რომ ისევ ერი გვერქვას,
რომ არ ვიყოთ ასე დაჩაგრული,
უფალი უნდა ვადიდოთ ერთად!
აღარ გვეყო საუკუნე „რული?!“...
არ ვემონოთ „ვერცხლს“ გამოწვდილს
სხვების,
ერთად შეკვრა თუმცა არის რთული,
ერთი მიზნით გავძლიერდეთ სულით,
ვძლევთ სატანას, მუდამ იყოს კრული!

* * *

რა ვქნათ, ან რითი გიშველოთ,
„მავთულ“ – „ეკლებში“ გაბმულო,
უძღებ შვილების ქიშპობით,
გულდაკაწრულო მამულო...
აღარ ინდობენ ერთმანეთს:
„ქოცებია“ – თუ „ნაცები“
სუყველა შენი შვილი ვართ,
ბოლოს, შენ რჩები „ნაცემი“...
საპარლამენტო დარბაზი
„არენად“ გადააქციეს,
ყელში სწვდებიან ერთმანეთს,
სინდისს – ზურგი შეაქციეს...
ერისკაცობენ, გვმოძღვრავენ,
პირჯვარს კი იწერენ ყველა,
ფულის მონები არიან,
ყალბია ამათი რწმენა...
განა – ესენი არ იყვნენ?
ტაძარს კარები უნგრიეს,
მრევლი მიწაზე ათრიეს,
ცხვირ-პირი რომ ჩაუმტვრიეს?!...
„ეს მოსამართლე“ არ იყო
ციხეები რო გაავსო?...
უბრძანეს – დაუყოვნებლივ
სამართალს დანა – დაასო...
როდემდე უნდა ვუყუროთ,
არ გვეყო ამათ ატანა?!

და მაინც:

... ღვთისბოძებული მცენარის,
ვაზის მადლის–გამგებლებს,
მომვლელებს–გამამრავლებლებს,
ათასი წლებით ნაფერებს,
მტრისგან აჩეხილ ვენახის ჯიუტად,
ისევ დამრგველებს!..
ქვეყნისთვისთვის თავდადედბულებს,
ქრიტიანობის დამცველებს,
მშრომელებს, ჭირდათმენილებს,
უთვალავ ომის მნახველებს,
მუმლივით შემოსეული მტრისგან
„დიდ-გორის“ დამდგმელებს!!
მრავალხმიანი გალობის მაინც,
ლამაზად ნამღერლებს,
უფალი მადლს არ მოგვაკლებს,
მრავალჟამიერ – ქართველებს💚💚💚💚
2020..

* * *

უფალო, შენ დაგვიფარე,
ლაღობს, დაგვცინის – სატანა...
სიხარბეს არ აქვს „საზღვარი“
მიჰყიდ-მოჰყიდეს ყოველი,
თავზე დაგვადგა მტრის ჯარი,
კარგს, აღარაფერს მოველი...
დასკდომაზე გვაქვს გულები,
დაგლეჯილი გვაქვს ნერვები,
თავი წამოჰყვეს „გიურზებმა“
გარეჯს გვართმევენ „გველები“...
რა ვქნათ,ან როგორ გიშველოთ,
მკერდში დაჭრილო მამულო,
უგნურ შვილების ღალატით
მრავალჯერ სისხლდანამულო...

...
შემოგვეჩვია სიკვდილი,
ალესილ ცელს ატრიალებს,
უფალო, შენ დაგვიფარე!
ვეღარ ვიშუშებთ იარებს...

...
ყველაფერს ხომ აქვს ,,საზღვარი"
შენს თვალწინ ხდება ყოველი,
ცოდვებით დამძიმებული,
შენდობას – შველას მოველი+

* * *

... თუ გვინდა, რომ ისევ ერი გვერქვას,
რომ არ ვიყოთ ასე დაჩაგრული,
უფალი უნდა ვადიდოთ ერთად!
აღარ გვეყო საუკუნე ,,რული?!"...
არ ვემონოთ ,,ვერცხლს"
გამოწვდილს სხვების,
ერთად შეკვრა
თუმცა არის რთული,
ერთი მიზნით
გავძლიერდეთ სულით,
ვძლევთ სატანას,
მუდამ იყოს კრული!

რა ვქნათ

... რა ვქნათ, ან რითი გიშველოთ,
„მავთულ“ – „ეკლებში“ გაბმულო,
უძღებ შვილების ქიშპობით,
გულდაკაწრულო მამულო...
აღარ ინდობენ ერთმანეთს:
„ქოცებია“ – თუ „ნაცები“
სუყველა შენი შვილი ვართ,
ბოლოს, შენ რჩები „ნაცემი“...
საპარლამენტო დარბაზი
„არენად“ გადააქციეს,
ყელში სწვდებიან ერთმანეთს,
სინდისს – ზურგი შეაქციეს...
ერისკაცობენ, გვმოძღვრავენ,
პირჯვარს კი იწერენ ყველა,
ფულის მონები არიან,
ყალბია ამათი რწმენა...
განა – ესენი არ იყვნენ?
ტაძარს კარები უნგრიეს,
მრევლი მიწაზე ათრიეს,
ცხვირ-პირი რომ ჩაუმტვრიეს?!...
„ეს მოსამართლე" არ იყო
ციხეები რო გაავსო?...
უბრძანეს-დაუყოვნებლივ
სამართალს დანა – დაასო...
როდემდე უნდა ვუყუროთ,
არ გვეყო ამათ ატანა?!
უფალო, შენ დაგვიფარე,
ლაღობს, დაგვცინის – სატანა...
სიხარბეს არ აქვს „საზღვარი“
მიჰყიდ-მოჰყიდეს ყოველი,
თავზე დაგვადგა მტრის ჯარი,
კარგს, აღარაფერს მოველი...
დასკდომაზე გვაქვს გულები,
დაგლეჯილი გვაქვს ნერვები,
თავი წამოჰყვეს „გიურზებმა“
გარეჯს გვართმევენ „გველები“...
რა ვქნათ, ან როგორ გიშველოთ,
მკერდში დაჭრილო მამულო,
უგნურ შვილების ღალატით
მრავალჯერ სისხლდანამულო...
...შემოგვეჩვია სიკვდილი,
ალესილ ცელს ატრიალებს,
უფალო,შენ დაგვიფარე!
ვეღარ ვიშუშებთ იარებს...
... ყველაფერს ხომ აქვს „საზღვარი“
შენს თვალწინ ხდება ყოველი,
ცოდვებით დამძიმებული,
შენდობას-შველას მოველი.

...
არა ვარ ,,გმირი-რაინდი"
არც ,,მოძღვარი " და ,,ტარიგი"
კ ა ც ი ვარ-ადამიანი,
რატომ გგონივართ,,არიფი"

...
მომბეზრდა ეს სპექტაკლები,
"დათვი" არ არის ,,მელია,,
უნიჭო მსახიობების
ყურება მართლა ძნელია...

...
ძაღლივით ვყეფავ ხანდახან,
ნამუსმა სული დალია?!
,,ტყე შეუნახე შვილებსა,
,,მამა ხარ - შენი ვალია!!"

+
ქრისტეს ტაძრის მოამაგევ,
სხვა ერისას არ მჩაგვრელო,
ქვრივ-ობლების მეპატრონევ,
გააბრწყინე საქართველო+
უფლის რწმენით,წიგნით,სიბრძნით,
მოქმედებდი და იარე,
მადლსა ჰფენდი ყველა მხარეს,
მეფევ,სადაც გაიარე...
მტერი ყველგან დაამარცხე,
სადაც მისწვდი ამოჰკაფე-
უღირსებიც მოაშორე,
ტაძრებიდან გამოჰყარე...
ომი-ბევრი გადიხადე,
საარაკო სასახელო,
სიცოცხლესაც არ ზოგავდი,
გაძლიერდა საქართველო...
კბილთაღრჭენით გიმზეროდენ,
საამაყოდ +სანაქებოს,
შეიკრიბნენ როგორც "მუმლნი"
ცეცხლით მოსდგნენ საქართველოს...
მტრების რჩეული სარდალი-
,,ილღაზ"ისე გააცურე,
ხეობაში შეიტყუე,
"ხმალი გაამამაცურე"
სამი ცხენი გამოგიკლეს,
ფიცი მაინც აღასრულე,
მტრისგან დადგი თ ,,დიდი გორი"
მეოთხეთი დაუსრულე!
არც მანამდე,არც მას მერე,
არ ყოფილა,არსად თქმულა,
მცირე ლაშქარს --უთვალავთან
ომი-ასე დაესრულა!..
გაღიარეს პირველ მეფედ!
ვინც შესძლო და შეასრულა!
საუკუნეებს გაუძლო,
რაც უშენე საქართველოს,
აშენებდი გორს და გელათს,
ულამაზესს-სასახელოს,
შენი მადლი დღესაც ჰფარავს
დავით წმინდავ+საქართველოს+💚💚💚💚💚

* * *
კვლავ ერთად დავრჩით პირისპირ,
მე და თებერვლის ღამე,
ნუ მემალები ღრუბლებში
მთვარევ, მიამბე რამე...
უკვე რამდენი ხანია
გარიჟრაჟს ვხვდებით ერთად,
გამოდი,გამოანათე_
თავი არ ვიგრძნო კენტად...
ხომ გახსოვს ჩემი ბავშობა,
ის ბედნიერი წლები,
ახალგაზრდობა,,ანცობა"
მეღიმება და ვტკბები...
დრო-როგორ სწრაფად გავიდა,
გზადაგზა ,,ვკარგე ძმები"
ვუძლებ ცხოვრების ქარიშხლებს,
მოგონებებით ვთბები...
ნუ მემალები ღრუბლებში,
მინდა გიამბო რამე,
როდესაც ცაზე არ სჩანხარ-
სევდას მგვრის ზამთრის ღამე...
P-S ბევრს გემახსოვრებათ ასეთი
ფოტოები,ნივთები,,სიგელ.-გურჯები"...😊😊
მეც ვიყავი ,,კარგი ბიჭი"
რაღაცაშიც მქონდა ნიჭი...
წლები ისე სწრაფად ჰქროდა,
ვერც გავიგე--- დამათოვდა...😊😊💚
17-02-2020...
გახსენით-გაიხსენეთ💚

ლია შენგელიძე

ქვეყნად სიკეთე რომ მეგულება...

სიცოცხლისათვის ვუხმობთ სიკეთეს,
უკეთურობით გული მკვდარია.
ბევრი მყოლია სიტყვით მოკეთე
და დამივიწყეს კარგა ხანია.
ზოგს მე სიტყვითაც ვერ ვუმკურნალე,
ისე, უბრალოდ, მთვლიდა ალალად.
ჩემში შეიცნო გული მხურვალე,
თავად დამედო სულის წამალად.
სულ მისხალ-მისხალ ავწონე მადლი
ჩემი და შენი, ჩვენი და თქვენი,
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ, გავზომე ადლით,
რაც მიპოვია სანთლით და რწმენით.
მარტოდ დარჩენის არა მაქვს შიში.
სული სულს იცნობს, გულს კი-გონება.
არ ღირს ცხოვრება ვაით და ვიშით,
ქვეყნად სიკეთე რომ მეგულება.

მწვანე ფოთოლი

მწვანე ფოთოლი, სიცოცხლისფერი,
ბუნების ერთი ნაზი ფურცელი,
ვით საპატარძლო, კეკლუცი, მწველი,
მზეს მოკრძალებით ისე უცქერის.
დასთამაშებენ სხივები თავზე,
ნეფიონივით უმზერენ ურცხვად,
მწვანე ფოთოლი დაიჭერს მზერას,
მინაბავს თვალებს, თავს დახრის მორცხვად.
წამოუქროლებს ნიავი მხრებზე
და საცეკვაოდ გაიწვევს მერე,
აშრიალდება ფოთოლი ხეზე,
ცად ასაფრენად გაიწვდის ხელებს.

დაგმანული გვაქვს გონების კარი

გაბლანტებულა ქართული სისხლი,
ძარღვებში მდორედ მიედინება.
მთებს დასწოლია მორუხო ნისლი,
შენელებულა მტკვარის დინება.
გაყიდულები ოცდაათ ვერცხლად
გადამთიელებს ვუდგავართ მხარში,
ხნულში ვაგდივართ ერთ ცოდვილ
ბელტად,
უნაყოფობა რომ მოსდევს კვალში.
აღარც ,,ჩაკრულო“, აღარც ,,ურმული“,
გაჯაზებულა ქვეყანა ძველი,
ხმამიღებულა კახელ-გურული,
მაღალ ნოტებზე გაჰკივის მტერი.
სხვის თვალში ბეწვის მოძებნა გვინდა,
ერთი ანდაზის თქმისა არ იყოს...
მოყვასს გავაძროთ ფეხიდან წინდა,
მოწილეობით მტერთან გავიყოთ.
ცოდვილს ცოდვები სხვისი ამძიმებს,
ადამს ემდურის, ევას ამცირებს,
საკუთარ დედას ურცხვად აგინებს,
ავი ქმედებით გულს სტკენს, ატირებს.
უნდობლობამ და ეჭვმა იმძლავრა,
მართალი კაცის გაქრა ხსენება,
ზოგმა ნიღაბი სახეს იფარა,
ზოგიც ,, გაკერპდა“, მოგეხსენებათ.
ტყვიას ტყვიაზე ვესვრით ილიას,
ღვარძლით, ბეზღობით, დრო გაილია.
ზედაზენს კერპებს დაუდგათ დარი,
სვეტიცხოველში მწუხარებს ზარი.
ბაზალეთს აკვანს ვეძებთ ამაოდ,
სიმდაწყვეტილა აკაკის ქნარი,
თერგში კალმახი აღარ ბანაობს,
ვაჟას ოდაში დაღმუის ქარი.
რუსთველის სიბრძნის აღარვის სჯერა,
გალაკტიონსაც გამოჰკრეს სარმა.
გავაცამტვერეთ ფუძე და კერა,
ვეღარ გაუძლო ფარმა და ხმალმა.
ლაზარეს ენას წაუხდა ნირი,
აღარსად ისმის წმინდა ქართული,
ღვთისმშობლის ხატი უმანკო ჩვილით,
უცხოეთშია გადაკარგული.
დაგმანული გვაქვს გონების კარი,
ვაგლახ, დაგვიდგა დრო შესაზარი.
ვერ ატრიალებს მლოცველი ენას,
გაუფასურდა ღვთის მიმართ რწმენა.

დ ე დ ი!

გულში რომ მიხუტებ,
მგონია, ბავშვი ვარ,
გულში რომ გიხუტებ,
ტკივილად ვიღვრები.
დედი, იცოდე , რომ
შენ ჩემი დარდი ხარ,
შენა ხარ ჩემი მზე
და ჩემი ფიქრები.
ერთად გვიკრეფია
ციდან ვარსკვლავები,
ერთად წაგვიკითხავს
ლექსი თუ ზღაპარი,
დაცემულს მშველოდა
შენი მხარ- მკლავები,
გადაგვიტანია რამდენი
ზამთარი...
შენ ხარ მეგობარი,
ამ სულის მოცალე,
შენით არ ვყოფილვარ
უბრალო ხიზანი.
ზნეობის, სინათლის,
სიმართლის მოფარე-
იყო და იქნება
ცხოვრების მიზანი.
რამდენი ავსული
გზად გადაგვდგომია,
ბევრჯერ გვითმენია
უგვანთ ახირება.
არასდროს გვინატრია,
არასდროს გვდომებია,
საბრალო სულების
მეტი გაჭირვება.
დედაშვილობაზე
აღარას მოვყვები...
სამყაროს მე შენით
ჩავწვდი და ვერგები.
გვიან, თუმცა, მივხვდი,
ჯანსაღი ფესვიდან,
როგორ იზრდებიან
მორალის ნერგები!..

გახსოვდეს!

თქმა იოლია, იცხოვრო
მავანთა ნება- სურვილით,
გშიოდეს- მოკვდე მშიერი,
გწყუროდეს- მოკვდე წყურვილით...
გზა, იოლია, გაიგნო
ეკალ- ბარდებთან ბრძოლაში,
ენით მოგაშთონ მოშურნეთ,
მუდმივ სამიზნედ სროლაში...
ცდა ამაოა, თუ სხვათა
ნაბიჯებს ითვლი ნიადაგ,
რჯულის კანონს თუ არ მისდევ,
სიზიფეს შრომას მიაგავს...
დრო დაკარგულად ითვლება,
თუ აწმყო შენში მცდარია,
რაც ქვეყნად ცოცხლად ითვლება,
შენს არსებაში მკვდარია...
სიხარულს ვერსად იპოვი,
თუ გულს გაწირავ დარდისთვის,
გზად ეკალს არ მოიშორებ
სურნელოვანი ვარდისთვის...
სიყვარულუზიარებელს
თუ სიძულვილმა წასძლია,
გახსოვდეს, მტრის სიყვარულიც
უფლისმიერი მადლია!

ამქვეყნიური ორომტრიალი

მისჩერებია ბრიყვი ამბიონს,
ზოგჯერ თვალს სტაცებს მოძღვრის ოლარი...
ბოთლი მოუდგამს გვერდით სარდიონს,
წამხდარა კაკალ კაცის მორალი.
ბებრის ეზოში ყივის მამალი
ხმის ჩახლეჩვამდე, შუადღის ფონზე...
სოფლის თავს, ხეწვრილს, ბუდობს ალალი,
დაგეშილია მეზობელ ქორზე...
შიმშილით კუჭი უხმებათ ძაღლებს,
აღარსად ისმის ყეფა და ღრენა,
დავიწყებიათ კნავილი კატებს,
აქა-იქ ისმის ბულბულის სტვენა.
მიხოს ჯავრი სჭირს უფრო გოგიას,
რატომ?.. თვითონაც ვერ გაუგია,
ერთად დადიან მარო და მართა,
ვიდრე ერთ-ერთი მოადენს ზღართანს...
დაქრის მანქანა აღმართ- დაღმართში...
ვერ ჩაერევი ვერსად კამათში...
კარგს გააკეთებს ვინმე, ბანძია,
ავს გააკეთებს, მისაბაძია.
გადის ცხოვრება დროთა ჭრიალში,
ხან სიჩუმეში, ხანაც- ღრიალში.,
სად ცოცხალ- მკვდართა არის წრიალი,
ამქვეყნიური ორომტრიალი.

მასიზმრა, კიდევ მასიზმრა!

წვიმის წვეთებმა მომძებნეს,
უსახლკარო და ეული,
ამაცახცახეს შველივით,
სამოსელძონძადქცეული.
აღარ ვიცოდი, რა მექნა,
სად გავქცეოდი მე წვიმას,
ვტიროდი ობოლ ბავშვივით,
ლოყებზე ცრემლი მეწვიმა.
თვალი შემავლო უცნობმა,
ჭაღარამ, სახეღიმილამ,
ხელი მომკიდა შვილივით,
ალერსით შემომღიმილა,
სახლს მიმიყვანა, ჩამაცვა
ტანისამოსი ახალი,
ააგიზგიზა ბუხარი,
მიამბო ძველი ზღაპარი,
დამაპურა და მაძინა,
საწოლი იყო მზისდარი,
გამომეღვიძა, ყოფილა
თურმე ლამაზი სიზმარი.
მაშინ პატარა ვიყავი,
ახლაც კი მახსოვს დღესავით,
უცნობი სახეღიმილა
და მადლიანი მზესავით.
მასიზმრა, კიდევ მასიზმრა,
ბავშვობის ტკბილი ზმანება,
რომ ღვთისნიერი მოხუცის
სახე კვლავ ნახოს თვალებმა.

ნანა მომცელიძე – ფილოლოგი, იურისტი, მწერალი, მხატვარი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი.

გულნაზ ხარაიშვილს

მინდა რომ გაჩუქო მინდვრის ყვავილები
მინდა დაგავიწყო ცუდი რაც გქონია,
მინდა ამოვშალო შენი ტკივილები
ისევ აგიმღერო თეთრი მაგნოლია.
ყველას ეფერები შენი ღიმილებით
ყველას ის აღირსე რაც კი არ ქონიათ,
ყველას დაავიწყე დარდი,ტკივილები
და ამას ვერ გრძნობდნენ იცი არ მგონია.
რკინის ქალი გქვია ჩემი თვალთახედვით
ბევრი სიყვარულიც,სითბოც გაგიცია,
ისე შემიყვარდი,ხედავ გავთავხედდი
ჩემი სიყვარული შენთვის მომიცია.
მინდა რომ გაჩუქო მინდვრის ყვავილები
მინდა დაგავიწყო ცუდი რაც გქონია,
მინდა ამოვშალო შენი ტკივილები
ისევ აგიმღერო თეთრი მაგნოლია.

მე ხომ კვლავ მე ვარ

ქვეცნობიერში გაბნეული ჩუმი ფიქრები
ჩუმი ზმანება აწ გარდასულ ცხოვრების წლებთან,
მე ხომ კვლავ მე ვარ და ყოველთვის ასე ვიქნები
სხვის ზეგავლენას რა ხელი აქვს,რა უნდა ჩემთან.
მე ხომ კვლავ მე ვარ,სიყვარულით სავსე ვგროვდები
უკიდეგანო მირაჟებში ვეძებ დასაყრდენს,
ფიქრებს დავლეწავ და სივრცეში დაგელოდები
აგიფერადებ გვირილების მდელოს ასაფრენს.
მე ხომ კვლავ მე ვარ,არავისთვის არ ვარ მარტივი
ჩემი ფიქრები მომავლისა უკვე ჭრელია,
როცა უყვარხარ მონატრებაც არის ხანგრძლივი
ამაზე დიდი საგანძური სხვა რომელია.
მე ხომ კვლავ მე ვარ, სიკვდილამდე ეს მე ვიქნები
შენში დავთესავ მონატრების უზომო მარცვალს,
შენით იწყება და მთავრდება ჩემი ფიქრები
სხვა მონატრების და ფიქრების არ ვიცი,არ მწამს.

ფასი დაკარგა

სიკეთის მარცვალს, სამწუხაროდ,აღარ აქვს ფესვი
სიკეთის მთესველს მოუცელეს ჯეჯილი მწვანე,
ირგვლივ ინთხევა ბოროტება, შუღლი და გესლი
და ითესება პურის ყანა მწკლარტე და მწარე.
მე ვერ გავიგე სხვათა ბოღმის და შურის არსი
მე ვერ გავიგე რატომ ებრძვით საკუთარ მოყვასს,
მე ვერ გავიგე რად არ იცით სიცოცხლის ფასი
თქვენი შემყურე ჩემი სული ოხრავს და ბორგავს.
ფასი დაკარგა სიყვარულმაც,სულმაც და გულმაც
სიტყვები გაცვდა,გაფერმკრთალდა გრძნობები ანცი,
ეს სიმარტოვე დამებედა, მუდმივი ურვაც
დავიდგამ ბალღამს და პირამდე გავსებულს დავცლი.
სიკეთის მარცვალს,სამწუხაროდ,აღარ აქვს ფესვი
სიკეთის მთესველს მოუცელეს ჯეჯილი მწვანე,
ირგვლივ ინთხევა ბოროტება, შუღლი და გესლი
და ითესება პურის ყანა მწკლარტე და მწარე.

უფალი მოგცემს ხელს

ცეცხლი გვიტოვებს ფერფლს
ტკივილი მხოლოდ ცრემლს,
სადღაც სიმშვიდე თვლემს
ნუ ელი სხვისგან ბევრს.
ყველა თავისას წერს
იკმაყოფილებს მეს,
თუ დაიჩაგრე დღეს
ხვალ სხვა ჩაგჭიდებს ხელს.
და უერთდები წრეს
რა გელოდება დღეს,
თუ გადაივლი მთებს
მაშინ მიწვდები მზეს.
არ უბოროტო სხვებს
არ ეპირფერო მტერს,
არ განეშორო ერს
პატივი ეცი ბერს.
გულით მიმართე ღმერთს
მიენდე მხოლოდ ერთს,
თუ არ ამწარებ სხვებს
უფალი მოგცემს ხელს.

გავაძლიეროთ სიყვარული

როგორც არასდროს,ისე მინდა სულის სიმშვიდე
როგორც არასდროს,ისე მინდა ვუყვარდეთ უფალს,
როგორც არასდროს,ისე მინდა წამებს ვითვლიდეთ
და სიყვარულით ვამარცხებდეთ ფლიდსა და უხამსს.
როგორც არასდროს,ისე მინდა აკვანს რომ ვთლიდეთ
რომ საქართველოს გაუმრავლდეს ისევ ქართველი,
ო,როგორ მინდა ღვინით სავსე ფიალას ვცლიდეთ
ეკლესიაში რომ დავანთოთ წმინდა სანთელი.
მე კი ეს მინდა, მაგრამ ჯერი დაუდგათ მავანთ
ქართული გენის წარყვნისათვის იღებენ ქრთამებს,
ქართველო ხალხო,ასეთ ქართველთ ნამუსი არ აქვთ
არ ედარდებათ მომავალი,ყიდიან თავებს.
დღეს საქართველოს თეთრის ნაცვლად თალხი აცვია
დღეს საქართველოს ცისფერების ერევა ფერი,
საქართველოში იმართება ბევრი აქცია
და იყიდება ყველაფერი,ხარხარებს მტერი.
მოდით ძლიერი ჯაჭვი შევკრათ ერთიანობის
გავაძლიეროთ სიყვარული,სითბო და რწმენა,
ერთად დავლიოთ სადღეგრძელო კვლავ მთლიანობის
მხოლოდ სიმართლე გადაგვარჩენს ქართველებს,მჯერა.

ცრუ

ცრუ დაპირება,ცრუ ცხოვრება,ცრუ სიყვარული
ცრუ ღიმილები მიმორბიან ზღაპრულ მდელოში,
სადღაც, შორს მოჩანს რეალობა მზეს მიმალული
ზღაპრის გმირივით ვარ გართხმული, ფიქრით ჩეროში.
სადღაც,კლდის ქიმზე ღამის ფიქრში თვლემს ბუკიოტი
არ კივის,რადგან მიიძინა ირგვლივ ყოველმა,
აღარ ჭაჭანებს არენაზე არც იდიოტი
ჭკვიანს რა უნდა,ვინ გაუძლოს,ანდა რომელმა.
ფიქრის ბურუსში გაეხვია მამალი მთვარეც
ცრუ ღიმილებით გადაღლილი იძინებს სახლში,
აღარ აფიქრებს უკუნეთი,სიშავე,ღამეც
და აღარც მოსდის რეალობა ამჯერად თავში.
მე კი მეგონა,ღამე მაინც მეტყოდა რამეს
მე კი მეგონა,მთვარის შუქი მომხვევდა დალალს,
ცრუ დაპირებას, ცრუ სიყვარულს ვეტყოდი მთვარეს
მაგრამ ვხვდები,რომ ისიც ცრუა და გული არ აქვს.
ცრუ დაპირება,ცრუ ცხოვრება,ცრუ სიყვარული
ცრუ ღიმილები მიმორბიან ზღაპრულ მდელოში,
სადღაც,შორს მოჩანს რეალობა მზეს მიმალული
ზღაპრის გმირივით ვარ გართხმული, ფიქრით ჩეროში.

მრავალწერტილი

მხოლოდ სიტყვა და იქვე წერტილი
დროსა და სივრცეს ვუპირებთ შთანთქმას,
მოდით,დავუსვათ მრავალწერტილი
ფიცად დათქვამი სიტყვების არ მწამს.

გზები ივსება დღევანდელობით
სიტყვა ტყდება და დრო იფურცლება,
ფიქრს შევაგებე თითქოს ერთობით
სიტყვა, მრწამსი და ღვთის ათი მცნება.

არ შემიძლია სიტყვების დაძვრა
და ვერც დუმილი შევძელი თითქოს,
ამდენ ტყუილში სიმართლე გაქრა
წერტილს ვუსვამ და ჩემს გულში ვფიქრობ.

მძიმე ყოფილა სიმართლის ხვედრი
წერტილის დასმაც ყოფილა მძიმე,
ტყუილს ვაღმერთებთ,სიმართლეს ვყვედრით
თვალწარმტაც წალკოტს ვარჩიეთ მღვიმე.

ნიკა ჭიკაიძე

ყველა ფერი

ვუამბობ მცხეთის ცას ბიბლიურ წერილზე
და სულში ამოვა დღეს ქრისტესფერი მზე.
დროს გადავეხვევი და ღვინოს დავისხამ,
შევმოსავ სამყაროს კვლავ ფიროსმანისფრად.
ვინც იგრძნობს ეპოქის ტკივილს და
გულისთქმას,
აგინთებს ლექსებით ცას საუკუნისფრად.
მწყინს, ჯვარზე გაკრული დღეს რომ არ მიხსენი,
გწამს ათასწლეული შენც ხომალდისფერი...
შორს მიაქვთ ნაღველი ზღვებს ნოეს თილისმად,
მე ვხედავ სამყაროს დღეს პოეზიისფრად...

ეპოქა და ადამიანი

ღმერთებმა ლექსის შექმნა შემთხოვეს,
მომავლის ჯილდოდ მხვდება წარსული.
არასდროს აკლდა სმენა ბეთჰოვენს -
სამყარო იყო სმენადახშული!
ქარმა მსოფლიოს სევდა მობეროს,
ცას პოეზიის რითმად ჩავბარდი.
ვიდრე ართმევდი ხედვას ჰომეროსს,
შენ, დედამიწავ, ვით არ დაბრმავდი?!
მზეს ამოვყვები აღმოსავლეთით,
რომ მარადმწვანე სხივად ჩამოვდგე.
თუკი ჯოჯოხეთს არ გრძნობ დანტეთი,
როგორ იხილავ თვალით სამოთხეს!
მოჩანს ღრუბელი - ზეცის ნარინჯი,
დღეს უკანონოდ იქნებ არ ვმსჯელობ -
და ბედნიერი იყო და ვინჩი,
ან ღვთაებრივი მიქელანჯელო!
ჭირს ხელოვანის ბედის განდობა,
თავი უღმერთოდ ვისთან ვიტყუოთ!
რისთვის მოიჭრა ყური ვან - გოგმა,
მაშინ, მსოფლიოვ, ნუღარ კითხულობ!
შენ რომანტიკულ ჰანგებს შემოთოვ,
ზეცა დიდებით დგას დახუნძლული,
მერე უფალი ბრძანებს: ლერმონტოვ,
სიკვდილი შენთან გახდა უძლური!
პეტროპოლისთან თეთრი ცა იდგა,
დრო ცვალებადი გახდა მარტივით,
ვერ დაიბრუნა ღმერთი ცვაიგმა,
ჯეკ ლონდონივით წახდა მარტინი.
როცა ეპოქის გვერდით არა ხარ,
დროება ჯერ არ გკადრებს არაფერს,
მაშინაც, თუკი - ბედის თანახმად,
"მერნით" ქართულ სულს ცამდე განაფენ!..

2018

გული

მაქვს გაყოფილი გული ნახევრად -
სევდით ღიმილის გარდამსახველი:
ერთს პოეზია ჰქვია სახელად,
მეორეს ჰქვია შენი სახელი.
დროც კი ოცნების მაღალ ღმერთივით
დგას სიყვარულის ფერად საზღვრამდი,
ხან ცრემლი მოსდის წვიმის წვეთივით,
ხან მზის სხივივით ადგას ლაჟვარდი.
ჩვენ სიყვარული გამოვიგონეთ,
რადგან ცხოვრება ჩანდა ერთფერი,
ჯერ სიტყვასავით ლექსად გიპოვნე,
მერე კი, სულის ხატად შეგქმენი.
და როცა წმინდა გრძნობას ვემთხვიეთ,
მაშინ ორივე კარგად ვხვდებოდით,
რადგან ოცნება გვხდიდა ბედნიერს,
ჩვენ ერთმანეთსაც აღარ ვწყდებოდით.
მაგრამ... იმ წყვილთა ნაწილს ვემგვანეთ,
ვინც მწუხარებით წარსულს იხსენებს,
და თუ შეგვყარა წლებმა ერთმანეთს,
დრომ დაგვაშორა მალე ისევე.
დღეს კი ეს გული კვლავ გამთლიანდა
და ხელმეორედ ვიდრე გაგიცნობ,
ახლა შენს ხსოვნას ლექსად მივმართავ,
რომ დარჩე ჩემში სამარადისოდ!..

2019

პოეზიის ხომალდი

ცა ვარსკვლავებს გადაეგო,
დღე და ღამე სრულდება,
თეთრ ნისლებში სათარეშოდ
მთვარე აბრეშუმდება.
სიზმარივით ამოძრავდა
ვარსკვლავების გზავნილი:
მზე ალიონს ამოქარგავს
ცაზე ფიროსმანივით!
თვალს ცრემლები გადათრგუნავს
უკანასკნელ ბრძოლამდი,
გარდასახულ ზღვას გასცურავს
პოეზიის ხომალდი.
სულს მწვერვალი მეათასედ
ვარსკვლავივით მიაგნებს,
მთვარე ზეცას მოათავსებს,
თეთრად ააციაგებს.
საუკუნეს გადასცდება
ხელოვნების სიმკვეთრე,
საიდანაც აღტაცება
გრიგალივით იფეთქებს.
წამის წამით ვერ დამძრახავს
უხმო ცეცხლთა იერი,
ქვესკნელს ზეცად გარდასახავს
გრძნობის დასალიერი...
დე, სიკვდილმა გამიმეტოს,
ცეცხლის ენა გამანდოს,
რომ გრიგალმა საიმქვეყნოდ
სულ სხვა ძალით აღმანთოს,
რომ დიდებით საიქიოს გზა -
აღსავლის კარამდე,
გულმა გრძნობით გაიკვლიოს,
ბედს არ გაუთამამდეს...
უჩვეულო აღმაფრენა
მსურს სივრცეში ვეძიო,
ვგრძნობ, ცეცხლივით
ფერმკრთალდება გული უპოეზიოდ,
ვგრძნობ, ვერავინ გაანელებს
ამ გულს ათასწლობამდი,
ვგრძნობ, დაიტევს ზღვას
და ხმელეთს პოეზიის ხომალდი,
ვგრძნობ, გაარღვევს
შეუცნობელს ოკეანის დინება,
ვგრძნობ, მისწვდება მიუწვდომელს
ვნების სრულყოფილება.
თუ ამ რწმენით ცას განიბნევ,
აღასრულებ ღვთის ნებებს,
ოცნებასაც ვერ გაივლებ
გულში განსაცვიფრებელს...
ცა ვარსკვლავებს გადაეგო,
დღე და ღამე მთავრდება,
თეთრ ნისლებში სათარეშოდ
მთვარე ფიროსმანდება!

2015

რომანტიკულ წიგნს

მე მივდივარ მშვიდ ქალაქში,
მელის გოგო გულწრფელი.
რომანტიკულ წიგნს გადაშლის
ზეცის თეთრი ფურცელი.
თვალს მზის სხივი მოადგება -
წყვილ თაფლისფერ სამოთხეს.
მოვდივარ და, მონატრება
აჩრდილივით თან მომდევს.
გულის ცეცხლით ავენთებით,
სულში სითბო ითოვებს.
მახსოვს, თვალით დაგეძებდი
და მაშინვე გიპოვე. შემდეგ...
მინდა, ეს წუთები მუდამ შენთან ვახსენო:
ჩვენ ერთმანეთს ვეხუტებით და
დროც აღარ არსებობს.
მშვიდმა მზერამ მზე მომფინა,
გიმზერ შავთმებჩამოშლილს,
თითქოს მარტო ჩვენ ორნი ვართ,
ორნი ამ სამყაროში...
რომ გკოცნიდი თვალამღვრეულს,
მე შენს სუნთქვას ვჩემობდი:
იასამნის სუნით სხეულს,
ტუჩებს - ვარდის გემოთი.
სულს წვიმებით ტანასხმული
მოსავს სევდის მშვენება.
ჩვენ ხომ იმ დღის დასასრული
მაშინ არცერთს გვენება.
წმინდა გრძნობით დანათრობი მინდა,
ცა კვლავ განათდეს,
მე ხომ მაშინ ჩემი გოგო,
ჩემი "ბავშვი" გავათბე.
ახლაც სულის მშვიდ ტაძარში
შენი სუნთქვა ჩამესმის...
რომანტიკულ წიგნს გადაშლის
ცა სევდიან ღამეში.

2018

ნონა გაგნიძე

* * *

შეუჩერებელ წლებში,
ჩამოიშალა გრძნობა,
მოთმინებებში შევსვი,
ფიქრი,სურვილთა ხროვა.
ალბათ აღარ ღირს გწამდეს,
სიცოცხლის მწვანე ფერის,
ნისლად დადებულ აწმყოს,
ვეღარც ვერავინ შველის.
კალაპოტებზე მხეთქავს,
გამხეცებული წლები,
ცრემლში მასველებს სევდა,
ნესტისგან ვეღარ ვშრები.

* * *

ბოლო წუთამდე ვბრძოლობ ჩემი
ნათესის მოსავლიანობაზე...
უამინდობას ქოლგას ვაშველებ,
ვმარგლავ რომ ბოღმამ არ გამითელოს,
სიბრაზეს ვდევნი, ღიმილს ვაშენებ,
დათმენით ისევ ვიპარავ წუთებს ,
გავწმინდო ნაგვით სავსე ჰაერი
  და თუ პასუხი შურს მადლში ურევს,
გავწყვიტავ ისე,გადავაშენებ.
ფერებას სულაც არ ვარ ჩვეული,
სხვის შეცდომებზე ვიტყავებ ხელებს,
არ მინდა ვიყო ვინმეს რჩეული,
აღარ ვაპირებ ვუცადო დღეებს.
დამთავრდეს უნდა! გაწყვეტილი გზის
გაშენება,
ბევრი რამ მსურდა,მაგრამ მომიწევს აქ
გაჩერება,
არავინ მძულდა,სიყვარული მქონდა
ძლიერი,
ბევრმა გამხადა უმართებულო
გადამთიელი.ნ.გ

* * *

მატარებლის რელსებზე ვერ ვპოულობ
მისამართს,
სიარულით დაჩვეულს ,ნერვებს ფიქრი
მიწამლავს,
იმ პატარა მზეების გაჩერებას დავეძებ,
დასუსტებულ სიცოცხლეს,სიყვარულს
რომ ვამატებ.
კარებს გასაღები აქვს დაკარგული
სადღაცა,
დროს ვერ დაველოდები,უნამუსოდ
გამძარცვა.
არ ილევა დღეები,წლებად
გვირგვინდებიან,
კალენდარიც არ მინდა,არც ციფრების
დანახვა,
არეული თვეები ერთნაირად
მხვდებიან.
ხან მცივა და ხან მცხელა,
სხვას ვერაფერს ვგებულობ,
სული საჭირო საზრდოს კარგავს,
ვერა ღებულობს.ნ.გ.

* * *

მკვდარია სივრცე ...
უჩინარმა ქვათა ლოდებმა დაკეტა
გზები,
მოთმენა მიწევს...
მოწყვეტილი ყვავილივით ნაფოტზე
ვჭკნები.
სადაა სახლი,
სადაა ფუძე,
სად დავეკარგე გულღია ღიმილს,
საქმე ისაა ,რომ ვეღარ ვუძლებ,
ამ მკვდარ სამყაროს ,უცნაურ
ტკივილს.ნ.გ.

* * *

ტკბილ განცდებს ,თუკი დაგიტოვებს
დრო გულს შრამებად,
სულში გაჩენილ სიცარიელით რა
გეყვარება,
საშიშ ფრენებით გადაღლილი
ცხოვრებას ებრძვი,
ბევრჯერ მომდგარი გაგშრობია
სურვილზე ნერწყვი.
ვის მოუყვები რომ გაგიგოს ტკივილი
ძვლების,
გტკივა მაშინაც მოურჩენლად ,
როდესაც წვები,
დაწერილი გაქვს უთვალავი საცავად
ჯვრები,
გაწელილია მოსაწყენი ,ნაყვედრი
წლები.ნ.გ.

* * *

უხილავ წერტილს ვერა ვპოულობ ,რომ
დავამთავრო მე ჩემი გვერდი.
რაღაც შევცვალო,დრო გამოვნახო
გადასაფურცლად,
სიჟანგე ადევს ჩაშვებულ ღუზას,
ოცნება მქონდა,მაგრამ წლებმა
ირონიით გადამაფურთხა,
დღეებმა ისევ გადამცვალა აისის
ჩრდილთან,
ხელს უნამუსოდ ჩამომართმევს ,
გამრიყავს ბინდთან,
დავმძიმდი... ჩემს სულს
განსაცდელებით უკვე ვერ ვიცავ,
რაღას მიშველის დახეთქილი,
მოურწყავი ,გამშრალი მიწა!

* * *

ცდუნების ხარჯზე მოპარულ მზერით,
წუთებში გხატავს ბედნიერება.
პირქუშ სამყაროს ფარდების იქით,
ყვავის ისევე მშვენიერება.

მარტო ჟღერადი ტკივილის მიღმა,
იმედი სევდით დადის მწუხარე,
სითეთრეს სულში ფერები უნდა,
ჩრდილებს ოცნება დაასუფთავებს.

შუქი ჩადგება ნარეკლი მზისგან,
გაბედე გულო ,ნატვრის ახდენა,
დაე! გრძნობების დაგვრჩეს სიცოცხლე,
სევდა და დარდი მალე გაქრება.ნ.გ .

ედემს გადაშლილს, ჯოჯოხეთად
გიქცევს სიცოცხლე,
სულ ძიებაში დაგატარებს გზებზე
სევდიანს,
კურთხეული ხარ თუ სიმძიმეს,ჯვარს
გაუძელი,
მადლ გადასხმული ბედისწერაც,
ღმერთის ხელია.ნ.გ .

* * *

იაფ გრძნობებით დახატულმა
სამყარომ მომკლა,
მოვალეობა ჯაჭვშებმული მატარებს
წლები,
და ვის ადარდებს თუ რა მიღირს
თავისუფლება,
დამძიმებული სხვების ტვირთით
ვშრები თუ ვხმები.
თუ წყაროს წყალი მენატრება,ცივი
ანკარა,
დროს არ მაძლევენ ,მოსაძებნად
ცოცხალი სიტყვის,
დაღლილ-დაქანცულს გაურკვევლად
რა მეყვარება,
აზრიც არ ააქვს უსიცოცხლოდ ვინ ან
რას იტყვის.ნ.გ.

* * *

სადაა ლხინები,
სადაა გრძნობები,
სიცოცხლე მუხთალი დროების მონაა,
დავკარგეთ დღეები ლამაზი
ცხოვრების ,
სიბერეს ისედაც სიმძიმის წონა აქვს.
დარდები ნისლებათ ქარებში ნაყარი,
ჩრდილებმა მზეებზე ქსელები გააბეს,
ცხოვრება რაც გვქონდა, ნეტავი სად
არის?
სამოთხის კარები ღორებმა გააღეს.
დათხარეს ,დაჩიჩქნეს მიწა და ჯეჯილი,
დაკბეჩილ ვაშლებში მატლები
დაძვრება,
ნაყოფს აღარ გვაძლევს საუფლო
ხეხილი,
სანთელი ბჟუტავს და ნელ -ნელა
ჩაქვრება! / ნონა გაგნიძე/

* * *

სიცოცხლეს ვარდის შვენის ფერები,
რა სიბნელეა,აანთეთ შუქი.
მე სიყვარული მომაქვს ხელებით,
სითბო ,სიკეთე ნანატრი ქუჩის.
იმ ალუბლების გაყვავილებას,
უამრავ წელში, ისევ რომ ვნატრობ,
მინდა სამყაროს დაპატიჟება,
და რომ ვერ შევძლო,ამასა ვდარდობ.
აანთეთ შუქი!
ვერ ვხედავ ძარღვებს,
სინდისს რომ გვიჭამს ,იმ ჩრდილებს
წავშლი,
ყალბი სიჩქარე გაფიტავს მიწას,
ღირსებას კაცში უღმერთოდ დაცლის!

* * *

სიკვდილი მოდის ,არარაობად
აქცევს ყველაფერს,
ადამიანი შრომობს ,ოცნებობს, შორს
დგას რწმენამდე.
მეტის სურვილით შეპყრობილი
სასუქი ხდება,
ისე ბევრდება სიცრუეში ,თვითონ
ვერც ხვდება.
ისე ლამაზად გამოუდის შავს ერქვას
თეთრი,
თეთრის ღირსებას ადევნებული
ყველაფერს ებრძვის,
ატაცებული ბრძენთა სიტყვებს
გააშაირებს,
თავის სიყალბეს ლელოს ბოლომდე
გაატანინებს!ნ.გ.

* * *

ვიცოდი ხატვა,დამავიწყდა ხაზების
გასმა,
მინდოდა დარგვა სიკეთის ხესი.
ვარდის ფურცლებით გრძნობების
ქარგვა,
და შესრულება ღვთიური წესის.
მშვიდობით! იმ გზას ,რაც რომ დავტოვე,
დავეხეტები სამოთხის გარეთ,
კეთილი გულის სამადლო სითბო,
შეცდომით უცხო მხარეში ვყარე.
ვერც ცა დავხატე საკუთარ ხელით,
ხე კი ფესვებით ქოთანში ჩავრგე,
მშობელ მიწამდე,ვეღარ ვეწევი,
გროშების ფასად ,სიმძიმე მაწევს.
შენ ერთადერთი გულისტრფიალი,
დამრჩი მამულო და ვეღარ გნახე,
კვლავ მოვალ შენთან გზად მოწიალი,
თუნდ ცის კიდემდე დამიგონ მახე.ნ.გ.

* * *

ჩემ უდაბნო სულს ,მორწყავს ლოცვები,
მკვეთრი ფერებით შუქი ენთება,
როცა დაღლილი საქმეს მოვრჩები ,
განმარტოებით ფიქრი მეწყება.
ვათვინიერებ წამოშლილ ნერვებს,
აღსარებები გონებას სწყდება,
დაჩოქილი ვარ და ფეხზე ვდგები,
დაკეტილ კარში წარსული მრჩება.
დავრჩით მე და შენ ჩემო აჩრდილო,
შეხვედრა ჩემთან როგორ გიმძიმდა,
მეოხო გულო ხიდად გაწვდილო,
გამომიყვანე ლაბირინთიდან.
გამომიყვანე,ვიგრძნო სიცოცხლე,
ორქიდეამ რომ მომტაცოს მზერა,
შეწყვეტილ წვიმის ,ნასველებ გზებზე,
ალმასებივით ნამი რომ ზვერავს.

* * *

განვსაზღვრო წლები,
ჩამწკრივებული , შემომჯდარი ძაფზე ფიქრები,
ვჯდები თუ ვდგები,
შევახსენო თავს არ მოვმკვდარვარ,
ამეკვიატა უღიმღამო ღამის სიზმრები,
გაურკვეველმა მოძრაობებმა თითქოს მომწამლა.
მოვხვიო მკლავი ისევ ოცნებას ,
დავმალო სადმე?
საადა შუქი ,
სადაა სითბო რაც მასში ჩავდე.
გაყინულ აზრებს,გადამრავლებულს გავეპარები,
მინდა ჩავკეტო სიყალბისგან მჭიდროდ კარები.
სულ აღარ მესმის ეკლესიის დილის ზარები,
მინდოდა გულით რომ ამენთო სანთლები ცისკარს,
მეყოფა, სული დამეღალა წინ ვეღარ მიმყავს,
სამყაროს მზერა გაცვეთილი სახეში მირტყავს.
დავკეტე კარი,მაინც ვერ ვხედავ მშობლიურ მიწას,
ძნელია სუნთქვა, დაბერებული უშნო ზამთარის,
სადაა თოვლი ,სადაა ყინვა,
გაასუფთავოს ცივმა ამინდმა ,
დედამიწა,უფლის ტაძარი! ნ.გ.



გიორგი კუბლაშვილი
(იმპერატორი)

ნაპირზე ისევ შუქურა მოსჩანს

დღეს საით ქრიან ნეტავ ქარები?
მომდგარ ხომალდებს იღებს ნაპირი.
თვალები გიშერს შენადარები,
კვლავაც სიშორით იყო დაღლილი.
შემომირეკა სულში ქაოსი,
დემონმა ჩემში ჩასახლებულმა.
ვიგრძენ სიჩუმე სასაფლაოსი
სიკვდილზე ასე შეყვარებულმა.
სდუმდა სიონის ყველა ზარი
და მტკვარში ანკესებს ძუა სწყდებოდათ.
სკლეროზიანის შესადარისად,
სიკეთე ყველას ავიწყდებოდათ.
კვლავ გაჰკიოდნენ მიკიოტები,
ტურები ისევ ჰბაძავდნენ ქვრივებს.
იდგნენ გარყვნილი მისიონრები
და დასცინოდნენ ხელგაწვდილ მშივრებს.
არ იყო რწმენა, ჯვარი და ხატი,
გამხდარ სხეულებს ვლანდავდი შუქზე.
სჩანდა მეტეხი, როგორც ნახატი
და დედის კოცნას ვნატრობდი შუბლზე.
ლოთები ისევ არაყში ჰკლავდნენ,
დარდსა და წუხილს, ნაღვლისფერ დროში.
ეშმა და ღმერთი ერთმანეთს ჰგავდნენ,
ათქვეფილები ამ გახრწნილ ბრბოში.
ნაწვიმარ ცრემლით სჩნდებოდა ზღვები,
ვეღარ ვუძლებდი ყველაფრის თმენას.
გასიებული ღიპებით მღვდლები,
ვგრძნობდი მართმევდნენ თანდათან რწმენას.
და მერე არყით ნაჟღენთი სულით,
მომინდებოდა დათმობა მიწის.
იღბალით ჩემით, განაწამებით,
მსდიოდა ცრემლი, მხურვალი სიმწრის.
დაბურულ ტყიდან მოვარდნილ ლანდებს,
თან მოჰყვებოდა სიმხდალე ჩემი.
აღარ დავეძებ, აღარ მადარდებს,
გამოტანილი დღეს განაჩენი.
მომაკვდავთ თვალებს იმედებს ვფენდი,
ვხნავდი და ვთესდი დასისხლულ მიწას.
ვიქნიე ხმალიც არც გზად შევჩერდი,
მაგრამ ვერასდროს ვაღწევდი მიზანს.
ახლა მაქვს გრძნობა, მოვა ჯალათი,
მოვა და ყველა ოცნებას მოჰკლავს,
მაგრამ სიცოცხლის დიდი გარანტი,
ნაპირზე ისევ შუქურა მოსჩანს!!!

****

ღვთისა რჩეულის რჩეულო,
სისხლით მორწყულო მიწაო.
ნინოს ჯვარს შევედრებულო,
მყვარებელ გიორგისაო.
ფესვთ ვაზის დაძარღვებულო,
სამშობლოვ რუსთველისაო.
გიცავს ვახტანგი, დავითი
და ლოცვა თამარისაო.
გამოკვეთილო ვარძიათ,
მნახველო დიდგორისაო.
ჩუქურთმავ ნიკორწმინდისავ,
დარბაზო გეგუთისაო.
წითლად ნაღებო მდინარევ,
მახვილით მომხვდურისაო.
მყარო, ბებერო ხერთვისო,
ბალადავ ვეფხვ–მოყმისაო.
ტყვევ, გაყიდულო სტამბულსა,
ჩუმ ნატვრავ მამლუქისაო.
კახ–ფერეიდანს ახარებს,
ამოსვლა შენი მზისაო.
ასიათასი მოწამის,
სისხლით შეღებვა მტკვრისაო.
ცხრაჯერ მოკლული დედაის,
დროშის არ დახრავ ძირსაო.
ბრძოლაში გამოჭედილო,
მხნედ მყოფო გასაჭირსაო.
ლოცვაში ამაღლებულო,
არას მოშურნევ სხვისაო.
ჩემს ლეშის მიმბარებელო,
გნატრულობ, ცრემლი მდისაო.
ღვთისა რჩეულის რჩეულო,
სისხლით მორწყულო მიწაო.

* * *

არ შეგრცხვეს, პაპაშენს თოხი თუ ეჭირა,
წელზე კი ეკიდა პირბასრი ფრანგული.
ნერვებმა უმტყუნა და უფალს შესჩივლა,
მიწა გაგვითელა მომხვდურმა ქართული.
არ შეგრცხვეს, ქალები ძუძუებს იკვეთდნენ,
ვაჟკაცთა გვერდი-გვერდ მტერი რომ ეკაფათ.
ჩოხები მრავალჯერ სისხლისფრად შეღებეს,
სურვილის, შვილები ბრძოლაში ეწაფნათ.
მე იმის მცხვენია, მტკივა და მაფიქრებს,
დღეს ვიღა დაგვიცავს? ან და ვის მოვთხოვო?
როდესაც სატანა სარეცელს გაიგებს და
როცა ახლოს ხარ გარყვნილო სოდომო.
მე იმის მცხვენია, როცა ძმა ძმას ესვრის,
როდესაც ჰყიდიან დასისხლულ ტრამალებს.
მე იმის მცხვენია, არავის არ ესმის,
შიმშილით ნერწყვები ადგებათ პატარებს.
იტირეთ, იგლოვეთ, ჩაიცვით ძაძები,
გმირ ძმათა საფლავებს ნათელი ეფინოს.
სისხლი რომ ადუღდეს, დაგვისკდეს ძარღვები,
გული? გული კი არავის ეტკინოს.
ილოცეთ, ილოცეთ, მხურვალეთ ილოცეთ,
წერეთ და ადიდეთ, წმინდანთა ხატები.
მხოლოდ თქვენს გულისთვის, უფალო,
სამშობლოვ, დავანთებ სანთლებს
და მუხლებზე დავდგები!!!

თანამედროვე "ადამიანი" მიმართავს უფალს

მტვრისგან შექმნილი, ვაცალმტვერებ ახლა ყველაფერს,
თეატრს ვქმნი, მერე ჩემს ხელშია როლის მორგება.
მხატვარიც მე ვარ, უკითხავად ვარჩევ ყველა ფერს,
მიზანი ერთი! განდიდება, მეტის მოგება.
ვეღარ იტევენ საკიდები, ნიღბებს ჩემეულს,
დასტად მიწყვია, გასაწირთა გვარ-სახელები.
ვეთაყვანები პირველობას, ამოჩემებულს,
ზეცას მიხედე! აქ მიწაზე ნუ ჩაერევი!
აქ მე ვქმნი წესებს, კანონებსაც ვირგებ მშვენივრად,
მადლიერი მყავს, დამშეული "ბრბო" თითო გროშის.
ისტორიაში, როგორც გმირი ისე შევდივარ,
ვწამლავ მომავალს იმედად, რომ შენს სახელს მოშლის.
განმადიდებენ! დაგეცემა მათ თვალში ფასი,
სისხლის გუბეებს შენეული მზე ვერ დააშრობს.
სანთლის დანთებას ერჩივნებათ ერთი ნაფასი მოსაწევი,
რომ ეშმაკს თავი გაუთანაბრონ. ახლაც აქ ვდგავარ,
გაქნილ ბრბოში გარჩევა გიჭირს,
მასკარადია დედამიწის ავანსცენაზე.
ყველა ჩემნაირს, მოწყენილი სახე აქვს დინჯის,
რეჟისორები თავადავართ ამ კარნავალზე.
იაფ მწერალთა ნაწერებით ვშთანთქეთ ბიბლია,
"ადამიანმა" გაგიყავი, შევძელ სამყარო.
"გიყვარდეთ ყველა" მეცინება.
რა ცინიზმია, თვლას ვსწავლობთ ცხრამდე,
ათი მცნებით რომ არ დაგვღალო.
იქნებ ეშმაც კი მოგეჩვენოს თავაზიანი,
დღეს ისე ძლიერ სასტიკი ვარ "ა დ ა მ ი ა ნ ი"!!!

******

ყინვა დამიხრავს მუხლებს,
ნამქერს მომაყრის ქარი.
ოო თურმე რამდენს უძლებს,
ცივ სამარეში მკვდარი.
მათოვს გულზე და დნება,
შენი ცრემლებით გამთბარს,
მოზღვავებული ვნება,
წინ ეღობება ზამთარს.
ცრემლი გაშრება თვალზე,
ნაოჭს თავშალში მალავ
და ჩემს დაფარულ კვალზე,
შენს კვალს დატოვებ ქალავ.
დრო ახლოვდება ძილის,
როდის გვეძინა ბოლოს?
ქარი ბორგავს და იბრძვის,
ხვალ ალბათ კიდევ მოთოვს.
მოხვალ გათოშილ ხელით,
სანთელს დამინთებ გულზე.
თითქოს და ვინმეს ველით,
თითქოს დროც გადაფურცლე.
გატყობ არ გინდა დათმო,
ჩემი საფლავის ზღურბლი.
არც არა მითხრა არც ხო,
კოცნებს ფიფქებად გჩუქნი.
შინ გელოდება დედა,
აცრემლებული თვალით.
აკმარე ჩემი სევდა
და ნუ მომიკლავ ჯავრით.
გაზაფხულს ისევ მოდი,
ნორჩი იების დარო.
სულ მოთმინებას მთხოვდი,
შენ რაღად ჩქარობ ქალო?
ბედისწერაა ჩემი,
კმაყოფილი ვარ თუმცა.
ყოველ გაზაფხულს ჩნდები
და კვლავ იწყება ფურცვლა.
კალენდრის განვლილ დღეთა,
სულ ერთი წელი? არც კი.
მაგრამ აღებულს ერთად,
საუკუნის აქვს ფასი.
ყინვა დამიხრავს მუხლებს,
ნამქერს მომაყრის ქარი.
ოო თურმე რამდენს უძლებს,
მკვდარი და ცოცხალ-მკვდარი.

01.12.2017

ნელი სანებლიძე

იცოცხლო ლექსში..

📖📚
რა სიჩუმეა, ჩემო ლექსო,
რა ჰარმონია..
ვმეგობრობ შენთან, სითბო,
შენი, შემგებებია..

აღსარებაა, რაც მითქვამს
და გამიბედია..
ფერმკრთალი მთვარე გულზე,
სევდად გადმომფენია,

საიდუმლოთა ზიარებით,
სულს შეხებია..
სარკმელში, ცრემლი,
სხივმდინარე, დაუდენია..

ლოცვა,სულ-დაღლილს,
სინანულად აღმოხდენია..
ის აღარც მახსოვს, ცუდი
ვინმეს -- ჩაუდენია?

შეუნდოს ღმერთმა,
შემინდია თუ უტკენია..
რა კარგი არის სიყვარული,
რომ შემძლებია,

არავინ არ მძულს,
უფრო მეტიც – შემცოდებია..
დავბადებულვარ,
ანგელოსი შემგებებია,

ადამიანი გიყვარდესო,
მომფერებია..
ცოდვა-მადლი,კი ევას
მოდგმით, დამბედებია..

ამდევნებია, ფიქრთა
ტევრში, ჩამძინებია
და ხილვა-სიზმრით,
სხვა სიცოცხლე,

დამდევნებია,
რაც დღემდე მაკრთობს.
საპასუხოც, შემჩერებია
და ასე დავალ, ხან ღიმილით,
ზოგჯერ სევდითაც..

რა სიჩუმეა,
რა სინაზე რა ჰარმონია..
📖ღამის სტროფებში,
სავსე მთვარე-

შემფერებია..
ისუნთქო ბწკარში,
იცოცხლო ლექსში,
უსამანოო, უკვდავ
სულის – საჩუქარია..

📚 15.01.21 წ.

ძველ ახალწელს მახსენებს...

ვერაფერს ვერ ვაწყობ, ფიქრებთან,
თავისით მესტუმრა, სიზმრებით..
ვერაფერს უბრძანებ, გულსა და
თავისთვის ფრთხიალებს, ჩიტივით..
ეს განცდაც მოასკდა ფანჯარას-
ბეღურას სევდიან, ჭიკჭიკით..
არაფერს მოვითხოვ, არაფერს..
შემცინოს ვარსკვლავმა, ახალ წლის..
ფიფქების სითეთრე მიბიძგებს –
გავფრინდე, იმ უცხო ადგილზე,
სადაც, რომ არ ფიქრობ, ტკივილზე..
სადაც რომ თავად ხარ – სიმშვიდე..
ეს განცდაც მოსულა, იქედან,
სადაც, რომ ეშვება, სილურჯედ,
ფიქრები, ფიფქები, ფიქრებად –
შენში ვარ- შენივე ვიქნები..
გიცნობდი, ვიცოდი, მახსოვდი –
ამადაც მეძახი ნისლებში,
სიზმრებად შემოსულ ხილვებში..
ზეცაში დაწერილ, სიტყვებში..
მდუმარებაში ხმაურობს,
ის რაც ვიცოდი წარსულში..
სამყაროს ხნისაა, ეს განცდა –
ვბრუნდები ისევე სიზმრებში..

მახსოვხარ.. სულში მაქვს,
სინათლით-განდობით, იმედი-შენდობის..

მწამს.. მჯერა..

ზღვა სინანულის სურვილი გიხმობს,
ფიქრით ნაღვენთი ხატის წინ იდგე,
ნატრობდე სულში გენთოს ნათელი,
სისუსტეს შენსას თავს არ უხრიდე..
ქარი ქრის მთებში, თოვს და
თეთრდება, მოგონებები დაიბარდნება..
უღონო ხდება სიცოცხლე თითქოს,
როცა ტკივილად მოიაზრება..
როს აღარ მოჩანს არსად, საშველი-სულს
მტრედისფერი ფრთები ესხმება,
და უთავბოლო მიწის ფიქრები,
ღრუბლისფერ ნისლში ჩაიკარგება..
დაიხატება სურათი მზისფერ
და ჩემი გული გაფერადდება,
ადამ და ევას შთამომავლები
ახალ სივრცეებს ეზიარება..
რაც დაკარგული გვგონია ზოგჯერ,
სულ ყველაფერი, გადაფასდება,
გადათელილი, სიყვარულის არსს,
ზეცის ღირსება, დაუბრუნდება..

ვიტოვებ იმედს, მწამს,
კვლავაც მჯერა, ყოველი სიტყვა,
სიბრძნე და ბგერა,
უფლის წიაღში, რომ დაიწერა..
19.12 2020 წ..

იმედად მინდა

თუ მოგენატრო ახედე ზეცას..
იქ, ნისლში არის, ჩემი ადგილი..
მიწაზე ყოფნა, ძნელზეა ძნელი..
მებრძვის,პასუხს მთხოვს, ირგვლივ-ყოველი..

რომ, თავგანწირვა, ყოველდღე კვდება..
მართალი ნებით, მართლად შობილი..

მინდა, იმედად, შემომნათოდეს,
მზის სხივი, მთვარით, კეთილშობილი..

ვფიცავ არ მინდა, ცრემლების დენა,
სახეს რომ სერავს, ფერდაკარგული..
სულგრძელობით ვარ, შეპყრობილი
და მიწის ცქერით, მელევა სული..

და ...
დამაშვრალა სიტყვა

გულისტკენა არასოდეს არის კარგი, მაგრამ
ჯერაც არ მქონია, ასე დიდი უცხო დარდი..
დარდი მიწის.. ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის,
ჩემი კუთხის – მთავარ არსის..

გამეღვიძა ცრემლით თვალში და
სულიერ გასავალში -- კარი დამხვდა
ჩაკეტილი, ბოქლომით და დიდი კლიტით..
ჩემი ფიქრის და ოცნების გასახედში,
არსად მზე და არსად სხივი..
დამაშვრალა, სიტყვა თითქმის..

ცრემლებს ვებრძვი და შენ
გებრძვი, შენ რომ გული,
ამატკივე.. სევდა ისე ჩამახვიე,
ისევ ისე დამაბნიე-ცოდვავ,
ჩემო და ტკივილო, ყველა
საწყისს მაზიარე..
ჩემს გულს მაინც ვერ
ვუმტყუნე და სიზმრებში,
დავიმალე..

იქ, ხომ მაინც მინათებენ მზე
და მთვარე-ჩემი მთვარე..
სული ლაღობს, სული ხარობს
ხარობს მზე და ჩემი მხარე..
ხარობს ერი, არ არს მტერი
და სიცოცხლეს ახლით იკრებს,
ჩემი ხალხი, გასახარი..
სიზმარს ცხადში ველოდები
ღვთისმშობელო შენ შეგხარი
და გამირბის, ცისკენ თვალი,
თვალი მისკენ, მისაპყარი..
გონება და ნება ჩემი,
გული ფეთქავს,აჩემებით..
სამივენი ერთ არს იყოს,
იყოს სულის, აღმომჩენი..

გიორგობაა

შემოთენება 24 გიორგობისთვისა..

ჩემს დაბადებას სიხარული
ახლდა უთუოდ..
აზიდულ მთებში ვიზრდებოდი
ცხრა ჯვარის მადლით...
ადამიანად თავს რომ გრძნობდი
ყველაფერს უდრის..
ყველაზე მეტად ფასდებოდა,
ნამუსის ქუდიც...

დედა და მამა.. თქვენს სახელზე
ბევრჯერ ყაყაჩო, სისხლის
წვეთებად დამმჩნევია სულზე
ტკივილით..
რამდენიც გინდა რწმენა მქონდეს
თქვენთან შეხვედრის..
გულს ვერ ვიბრუნებ სევდის
ნისლით განაკვირვები..
არის წამი და არის ზეცა თვალუწვდენელი..
ფიქრებს მიამებს -- საიმედოდ სულთქმა,
მშველელი..
ადამიანის მოსვლა არის
სიხარული და წასვლა იმ ქვეყნის
სიცოცხლეა, მარადიული...

ჰოდა... ცხოვრებას და ამ ყოფის
უსაშველობას,
ვერ გაწვდენია წუთისოფლის – სევდა
ნაღველი..
და მაინც.....
იმედია ადამიანში –
ყოვლისმომცველი..

24

დაღლილა....

.....

ასდის ცას ორთქლი – დედამიწის დაღლილა
ცქერით..
ყანყალებს ღერძი
ცოდვისნაყარ, კვირტების ფერით..

სისხლად ინთხევა
რაც ვერ იქნა მონელებული..
ღმერთის მონართმევ
სილამაზეს ელევა – სული..

გაბაცდა მთვარე,
გააყვითლა – ზღვა სიყვარულის
დავდივართ ხორცით
ნაგვემი და გვიმზერს უფალი..

ამოდის მზეი – უცოდველი
ვითარცა ბავშვი
ახლით იწყება დღე
და ვხდებით თავისუფალი..

უსასრულობის ჯაჭვითა ვართ
მიბმულ-შეკრული, გვინდა
არ გვინდა ერთმანეთზე
გადაჯაჭვული..
.....
რამდენი რამე
გაგვხდომია წუხილ ვარამი..
სულია ჩვენდა სანუგეშოდ,
ზეცით – სავალი..

ცის ცრემლები..

შუაღამით აკაკუნდა წვიმა..
სულში უცხოდ აწრიალა სევდა,
გამახსენა უნაპირო დღენი,
შევიგრძენი, უცნაური დაღლა..
ზმანებებიც უფერული ვნახე
შეშფოთებულს გამეღვიძა უცებ.....
ქარი ურცხვად, გამალებით შლიდა,
ტკივილებით, გაყვითლებულ ფურცლებს..
.....
ცის ცრემლებმა თქეშით გადაშალა,
ყველა განცდა,რაცკი, სულს დააჩნდა..
ბოლო ფურცელს, გავაყოლე მზერა,
ღალატი კი, ვერ შევძელი ვერა,
უცაბედად, შევაჩერე სუნთქვა
და მომინდა, ისევ ლექსის წერა..
.....
ბოლოს ფიქრმა, ასე გადაწყვიტა,
ახალ სტრიქონს „გულში ჩავაქარგო“
უკვდავი და უსასრულო, სიტყვა..

თეა გურგენიძე

მალე...

მალე ჭრელ ფოთლებად დასცვივა
შემოდგომას ოცნებები,
მალე ცაც შეიცვლის ფერს,
მალე ისე, ისე მაგრად მოგეხვევი,
ალი ავარდება მზეს.
ვიცი, ისევ ძველებურად დგახარ კართან და
ისევ ძველებურად გამოჰყურებ გზას,
მე კი ჩუმად მოვალ შენი ნატრული და
კალთაში ჩაგიდებ თავს.
მერე ჩაძინებულს, ასე ახლობელი,
მთრთოლავი ხელებით ნაზად ჩამიწნავ თმებს
და ისე ერთ ღამე ბევრად გადაწონის
ათას გათენებულ დღეს.

* * *

შენს ღიმილს გაჰყვა ჩემი ბავშვობა,
შენი ორღობის ბოლოს შეჩერდა
და დამელოდა, იქნებ მომესწრო
ამ ცხოვრებასთან ცოტა შეჩვევა.
შენს ღიმილს გაჰყვა ჩემი ბავშვობა,
იმ ჩამონგრეულ კედლებში გაქრა
და როგორც იქნა, მეც დავიჯერე,
რომ, რა ხანია, პატარა არ ვარ.
ო, რა ძნელია თავის დაღწევა
იმ ზღაპრებიდან, შენ რომ ჰყვებოდი.
მეც მოვუყვები პატარებს როცა,
ამბავს დავიწყებ ჩემი ბებოთი
და ნასახლარსაც მოვინახულებ,
ჩემი სიანცის ციცქნა საყუდელს.
მერე ამოვალ, და შენ კი არა,
ჩემს ტკბილ ბავშობას
სანთელს დავუნთებ.

* * *

...პაემანი ცის კართან...
ღრუბლებიდან ავკრიფე
ჩემი წილი სევდა და
გული ფიქრით ვალხინე,
ადრე რომ ვერ ბედავდა...
ღრუბელ-ღრუბელ ვიფრინე,
ოცნებები მღლიდა და
ვერ გავბედე, ვერ შევძელ,
მეთქვა, როგორ მიყვარხარ...
ღრუბელს და მზეს გავანდე
საიდუმლო, რაც მქონდა...
მზე კი არა, შენ იყავ,
ყინვაში რომ მათბობდა...
ღრუბლებიდან ავკრიფე
იმედების წვეთები...
ხვალ?.. ხვალ არა, უთუოდ,
ზეგ ცის კართან შეგხვდები...

* * *

არ გინდა მკითხო, როგორ ვარ ახლა?!
დარდებთან მარტომ როგორ გავძელი...
ჩვევას რა ვუთხრა, ძვირფასო, თორემ,
აბა, შენ რომ ქალს მოენატრები...
არ გინდა მკითხო, კარზე მომდგარი,
ზამთარი ჩუმად რაზე საუბრობს?...
არ გამიმხილა მარტოს სათქმელი,
ყური დაუგდე, იქნებ გაუგო...
არ გინდა მკითხო, როგორ ვარ ახლა,
ვითვლი თუ არა ცაზე ვარსკვლავებს...
სათოვლე ღრუბლებს შერევიან და
მე მონატრების შხამით მწამლავენ.

* * *

დღეს უცხოს ეცვა კაბა შენფერი,
დაგოგმანებდა ქუჩაში ლაღად
და შევკრთი, რადგან სრულიად უცხო,
სხივებციმციმა თვალებით გგავდა.
ვერ ეტეოდა გულში ოცნება...
კოცონი გენთო თვალებში თითქოს
და ლალისფერად გახსნილ ბაგეზე
ჩამოგეღვარა ღიმილი ღვინოდ...
აჰყვა ფიქრები ცისკენ ნიავს და
ხეზე ფოთლებმა დაიწყეს თრთოლვა...
მზეს უხუჭავდა თვალებს საღამო
და გადარჩენას ამაოდ მთხოვდა...

მე მაინც მოვალ

მე მაინც მოვალ. მოვალ და გეტყვი,
როგორი ფერი აქვთ დილით ღრუბლებს.
იმდენ სიხარულს გაჩუქებ ერთად,
ვარსკვლავებს შენი თვალების შურდეს.
მე მაინც მოვალ, მოვალ და ჩუმად
მოგიტან ფიქრთა საოცარ ასხმას,
რომ ვერ შეგბედოს თვალის შევლება,
ქვეყნად მავალმა ვერცერთმა ქალმა.
მე მაინც მოვალ, როგორც ღვარცოფი,
ან ნოემბრისპირს თოვლის ფიფქები,
მერე სიცოცხლით დავთვრები უღვთოდ
და... შენს ხელებში გარდავიცვლები.

რა მიყვარს იცი?

რა მიყვარს იცი?.. შენ რომ პირზე დაიბნევ ღიმილს
და გაზაფხულის გარიჟრაჟი გიდგას თვალებში,
ბედნიერების წუთებს როცა შენს თვალში ვითვლი...
როცა ახლოს ხარ, შემოგცქერი და მენატრები...
რა მიყვარს იცი?.. დაჟინებულ მზერას რომ ისხლეტს
შენი თვალები და მზესავით სხივით თამაშობს,
მაშინ მე მუჭებს ბედნიერი წუთებით ვივსებ
და აღარ ვცდილობ სიყვარული გულში დავმალო...
რა მიყვარს იცი?.. შენს ღიმილში დამწვარი ზეცა,
როცა შენთან მყოფს შემომნატრის მთელი სამყარო...
ახლა... ამ გრძნობის თითო ფურცელს სათუთად ვკეცავ
და მოგონების სკივრში ვმალავ, რომ არ გამთვალონ...

* * *

დავდივარ... ბალახებს ეტკინათ სხეული,
დავდივარ... გზებია საოცრად ლამაზი...
და სანამ სიცოცხლე ასეთი კარგია
და სანამ სულ ბოლო ფურცელსაც გადავშლი,
მინდა, რომ გახელილ თვალებით შევხედო
სამყაროს, რომელიც ესოდენ ჭრელია
და მშვიდად წავიდე, იქ, სადაც ნათელი
ამ ქვეყნის ავბედით უკუნზე მეტია...
წასვლამდე ორიოდ ოცნებას ავიხდენ,
ოცნების გარეშე სიცოცხლე რა არის?!
მე თქვენგან ო, იმდენ სიყვარულს წავიღებ...
არ შემეშინდება იმქვეყნად არაფრის!
დავდივარ... ბალახებს ეტკინათ სხეული,
გაშლილა ყაყაჩო მინდვრებში ხალიჩად.
ისე ლამაზია სამყარო, წყეული,
დღეს უკვე წასვლასაც ადვილად ავიტან!

გზაში–

ოღონდ წვიმამ არ მოგისწროს გზაში,
არ ჩაშალოს თმებში ცრემლის მძივი
და სათქმელი ჩავატიო წამში,
შენს სულში რომ გაანათებს მზისწილ.
ოღონდ წვიმამ არ მოგისწროს გზაში,
შემოასწრო კარში პირველ წვეთებს,
გეფიცები, ხელებს ფართოდ გავშლი,
თვით ნიავი წამოგიყვანს ჩემსკენ.
ოღონდ წვიმამ არ მოგისწროს გზაში,
ოღონდ ვნახო შენს თვალებში მზე და
მოგონების ყველა ფურცელს წავშლი,
რაც აქამდე მაშორებდა შენთან.

* * *

დილის ყვავილები კისკისებენ,
ჩუმად ჩურჩულებენ ქართან.
ქარიც ეშმაკურად ეფერებათ,
ჰყვება სიყვარულის ზღაპარს.
ციცქნა ყვავილები მაგონებენ
ახლად თვალახელილ გოგოს.
მინდა შევუძახო: – ნუ ენდობი,
ქარი ქარია და მოგსპობს...
თეთრი ყვავილები კისკისებენ,
ნებით დაუკარგავთ თავი,
უკვე მოსდებიათ გულისგულში
მწველი სიყვარულის ალი...
ო, რა ეშმაკურად იღიმება,
აბამს აბლაბუდას ქარი,
აქეთ –დილის ყვავილს ეტანება,
იქით– ვარდზე რჩება თვალი.
განა თავად უნდა?! ბუნებაა,
ზოგჯერ სინდისსაც კი კარგავს...
ყვავილს?.. ყვავილს მართებს დაფიქრება!
ქარი?.. ქარია და რა ქნას?!

* * *

წვიმს ჩემო ახლა ისე ლამაზად...
ქვები ბრწყინავენ ბრილიანტივით.
გული ოცნებამ ისევ დაღალა
და მის დაკორტნას ცდილობს არწივი.
ისევ იელვა სადღაც ღრუბლებში,
ისევ ზუზუნებს ქარი აშარი...
ჩემი ფიქრები ისევ გელიან
და გული, დარდთან ფიცვერცხლნაჭამი.

* * *

უშენოდ სიცოცხლე
მზე ჩადის...
ბინდია ქუჩაში...
მაკლიხარ და მერე, როგორ...
სადა ხარ, რა უცებ დამტოვე,
მე, შენზე მლოცველი გოგო?!
უშენოდ იტირა ბეღურამ,
უშენოდ ნისლია გაშლილი.
ან შენთან სიცოცხლით დამატკბე,
ან შენგან სადღაც, შორს გამიშვი.

...თოლიგე– ჩემოთვალისჩინო...

აგრემც შენ ჩემ თვალებ შემოგევლოს,
ბნელში გემსახურონ კელაპტრებად...
ისე ამირიე გზა და კვალი,
შენთვის არც სიცოცხლე მენანება.
მთაში წაგიყვანდი, ჩემ ნებ იყოს,
ცისკე გატარებდი ბილიკებით,
ღრუბლებს გავყვებოდით აღმა–დაღმა,
ბარში მდელოებზე ვიწვიმებდით,
მერე, მთის წვერზე რომ დავბრუნდებით,
ღრუბლის პაწაწინა ნაფლეთებად,
მზისკენ ხელს გავიწვდი ღიმილით და
გული სიამაყით ამევსება.
ლურჯი მთის კალთებზე მოგიკრეფავ
ჩემს სულს, ყვალილებზე ნაციმციმებს.
მერე?..
რაღას ვჩივი თვალისჩინო?!
მერე სამუდამოდ მივიძინებ!

* * *

შენ ჩემი თვალების სხივი ხარ,
კაშკაშით წყვდიადს რომ აშინებ.
ზოგჯერ თუ ღიმილით დამათრობ,
ზოგჯერ ხომ უწყალოდ მატირებ.
შენ ჩემი ზაფხულის დილა ხარ,
ცისკარზე პირველი ნათება.
აცადე ნაპერწკალს აალდეს,
მაცადე ჩირაღდნად ანთება.
შენ ჩემი თვალების სხივი ხარ
და მინდა თვალები დავხუჭო,
რომ სხივი გულამდე ჩავიდეს,
რომ სითბო არავის გავუყო.

* * *

სიცოცხლე სიკვდილზე მაფიქრებს,
ქარები ტირიან სარკმელთან...
რად მიჭერ, გამიშვი წავიდე,
ერთხელ ხომ ამის დროც დადგება...
და სანამ ტკბილია სიცოცხლე
და სანამ გონება საღია.
გამიშვი, მეც მინდა შევიგრძნო,
სამოთხე რაოდენ კარგია...

* * *

მეოცნებე?.,.. არა! უფრო შეშლილი ვარ,
ვაღიარებ შენს წინაშე ალალად!
უშენობამ?.... არა კარგო, დამიჯერე,
შენთან ყოფნამ დამღალა.
მზისფერ დილას შეეპარა ნისლისფერი...
ქალი არა, ახლა მხოლოდ დარდი ვარ...
ის წარსული, წლების იქით, სადღაც დამრჩა....
წლების აქეთ აჩრდილივით დავდივარ!

გადახტი!

გადახტი!... სარკმელი ღიაა, აიშე!
გადახტი!... იძახის ათასი ხმა და
შენ ნაზი დარდები, ფერადი ქვებივით,
მზისფერი თვალებით, მორჩილად დაგაქვს.
გადახტი!... დასრულდეს ეგება სიცოცხლე
და ბოლო მოეღოს დარდსა და ვარამს.
გადახტი!.... იცოდე, სიცოცხლის დასასრულს
უფალი დაგხვდება იმქვეყნის კართან...
გადახტი!... ხტუნავენ პაწია ჭინკები...
ანგელოზს ცრემლებით ევსება თვალი...
ვერავინ გაიგებს, ამ მძიმე დარდებმა,
თუ როგორ დაგღალეს პატარა ქალი...
გადახტი!... სარკმელი ღიაა, აიშე!
უფალმა შენ ბედი გარგუნა ობლის!...
წამიც და... თვალებში სხივები გენთება
და... სიკვდილს სიცოცხლის წყურვილი ჯობნის!

* * *

რძისფერი კვამლი შავ ღრუბლებში გადაიხლართა, აწვიმს აივნებს...
ტირის ეს ზეცა გარდაუცვლელად დაკრძალულ სულებს... შენ რა გატირებს?..
იწვის ცისკარი, მოდებია ალი გარიჟრაჟს, ღამე კანკალებს...
ვითვლი სარკმელთან ქალის ცრემლივით სხივციმციმა, ციცქნა ვარსკვლავებს...
ხელზე მიწყვია ოცნებები შიშისაგან ათრთოლებული, ვდგევარ დაღლილი
და მახვევს სამოსს მონაცრისფროს ხელის კანკალით შენი აჩრდილი...

მაკოცე

მაკოცე... ვაშლები სირცხვილით დაწითლდნენ,
სიომ ეს ამბავი ქვეყანას მოსდო.
გამიშვი... მე ლამის ბავშვივით ავტირდე
და შენ კი იცინი როგორ.
ლოყები ეწვებათ ვაშლებს ჩემს მაგივრად,
კისკისებს ბუჩქებში რაკრაკა წყარო...
ლამაზი სიზმარი რა მწარედ ამიხდა,
მთლად გადამრიე და დამტოვე მარტო.

* * *

მოინადირა არწივმა შველი...
დღე იყო თითქოს სიკვდილით სავსე...
შეგროვილიყვნენ კაცები გზისპირს
და შვლის თვალების ხსოვნისას სვამდნენ...
დღე იყო სავსე დარდით და ურვით
მზე მიბნედილი თითქოს ქრებოდა...
ჩამომტვრეოდა ნაპირი დუმილს
და სიშორეში იკარგებოდა.....

* * *

შენამდე ვარსკვლავთა ბილიკებს მოვყვები,
შენამდე რაოდენ შორია...
მე მაინც ჯიუტად მოვიწევ ზეცაში,
მანდ, კართან დამხვდები მგონია.
სიზმართა ფერხულში ჩაება ოცნებაც,
ცაც უწინდელივით კაშკაშა ლურჯია.
რიჟრაჟზე სიზმრები, ზეცა და ცისკარი,
საოცარ იმედებს მჩუქნიან.
მთებს შორის აისი იღვიძებს ნელ–ნელა,
სიცოცხლე თვალების ციმციმით მიღიმის.
გული თუ ოცნებას აჰყვება ერთხელაც,
რა მოხდეს, ვინ იცის?!

* * *

პეპელასავით ნაზი მაქვს ფრთები,
დავიღუპები ხელს თუ შემახებ
და ჩემი სულის ნაგლოვი ლექსი
ვეღარ მიაღწევს მერე მწვერვალებს.

* * *

ერთი პოეტი გოგო

სიყვარულს სანთლად აგიმთებ,
შენთვის ყველაფერს ავიტან.
სიცოცხლეს გროშად დავთმობდი,
არც ის გროშები არ მინდა,
ოღონდ შენს თვალში ვხედავდე
ბედნიერების ჩიღაღდანს!
ერთი პოეტი გოგო ვარ
აბა, მე შენთვის ვინა ვარ?!

აპრილი ლურჯ თვალებს ნაბავს

აპრილი ლურჯ თვალებს ნაბავს,
ქალივით მორცხვია დღე
და როგორც ყოველთვის, ლამაზ
ყვავილებს სარკმელთან ვდებ...
ყვავილის ფურცლებში ვეძებ
შენამდე მომავალ გზას.
ცა ტირის... დაკარგულ დღეებს
ვითვლი და კონებად ვკრავ..

მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე

ქართან ომში

ქართან ომში ოფლი ვღვარე,
სისხლიც ვღვარე ქართან ომში,
ქართან ჩუმად ვიმწუხარე
და ხმამაღლა ვიხარხარე,
გარდასახვა განვიცადე, თითქოს რომში,
ხელშეკრულებას ვაფორმებ ვატიკანთან,
ქართან ომი მოვიგე და
იქ დავმარცხდი,
სადაც მოძმე შემომაკვდა.
გული უცებ ამიჩვილდა,
და ვტირივარ მუხლის ჩოქვით,
ქარი ამას არ იზამდა,
სისხლს არ დაღვრის ქარი მოძმის.
ჩემს ერს ვკითხვა: რას ვერ ვიყოფთ,
რას ვსარგებლობთ ძმათა ომით?
ჩვენს მტერს ხომ არ ვაძლიერებთ,
ავი ზრახვა თავში ასე რატომ მოგვდის?

მატერია და იდეა

კანტი ამბობს სული არის პირველადი
და იესოც, კაცი ღმერთად დანაბადი
მეც ასე მწამს და სუსტი ხმით ამას ვიტყვი
და სიტყვასაც აქვს თავისი მისამართი.
ამ აზრს ისე ჩავეჭიდე, ვითარც ერქვანს,
გულისთქმაა არა მხოლოდ ფანატიზმი.
ახლა, ამ წამს, რომ მე სული ამომართვას.
სულს და სხეულს გზა ექნება თავთავისი.
სული ქვეყნად რას არ უდგას მკვდარია და
რაც მკვდარია ესე იგი არ არსებობს,
სხეულს ვმარხავთ, სული ცოცხლობს მარადისით,
რაც აქ ხდება განსაზღვრული არის ზემოთ.

თუ ჩაგეძინა

წამით დუმილი, გარინდება, დრო ფერმიხდილი,
წამსვე გუგუნი უმძლავრესი, ხმა შემზარავი,
მოგონებებზე დაფენილი წარსულის ჩრდილი,
თვალწინ ტრიალებს მოკვეთილი პაატას თავის.
ისევ ღალატი? რა, არა, ეს იყო გუშინ,
დღეს სულ სხვა დროა, რა გაკრთომებს ბოლოსდაბოლოს,
თავს არვინ მოგვკვეთს, მტერი მხოლოდ გვიმიზნებს გულში,
გზა-გზა ვერაგთა ტაშისცემა რომ გაიყოლოს.
თუ ჩაგეძინა სხვა გახდება სენი ბატონი,
თვალს რომ გაახელ შეგაშფოთებს მისი ნამუსრი,
თუ სულა გახსოვს, გაიხსენე იქვე კატონიც,
სიმაღლისათვის არ დაკარგო სინდის-ნამუსი.

დროს რა შევთხოვო ჭორფლიან

ცა წვიმად ჩამოიცალა,
მე ცრემლად ვიწურები,
ველის ყვავილო ცისთვალა
შენ საით იყურები.
დროს რა შევთხოვო ჭორფლიანს,
გზის გაგნებაა გრძელი,
ყოჩივარდები მორბიან,
ფეხს ითრევს ენძელები.
არ ვიცი რაღა ვიფიქრო
ახლა, ამ დილიასისხამ,
დღეს ლექსმაც სისხლი გამიშრო,
მექცევა დანასისხლად.
პანთეონს მზერას ვადევნებ,
იქ მკვდრები სახლდებიან,
რაღაც თუ მაინც გავბედე
გზებს ბორკავს პანდემია.

ლია პეტრიაშვილი

თოვლის მოლოდინში....

თოვლი მოსულა ჩემს სამშობლოში...
თეთრი ქათიბი მოუცვამს მთა-- ბარს,
შორიდან ვტკბები იმ სისპეტაკით...
ნოსტალგია მჭირს, თოვლით გულგამთბარს.
დიდი ხანია ველი მეც ზამთარს,
ბურუსიან და სუსხიან ცარგვალს...
ყინვაში გარეთ ცალ ფეხზე ხტუნვას,
თან თოვლის გუნდას, პატარას და მრგვალს.
უმწიკვლო ფიფქის ცხვირზე დაცემას,
და ემოციას-- ყიჟინის მაგვარს,
თოვლზე დაცემულ კაცის გინებას...
ყინვას ულანძღავს-- ჯილაგსა და გვარს!
ოჰ! როგორ მიყვარს, როგორ მოველი,
უმისამართოდ თოვლში სიარულს,
ფეხს შევანელებ ლამპიონებთან,
ფიფქების ცქერა მომგვრის სიხარულს.
მერე, შევადრი თეთრ არემარეს,
უბიწო გოგოს მორცხვ სიქალწულეს...
რა ჟრიამული გაგვქონდა უწინ---
ჭაბუკებსა და ლერწამ ქალწულებს...
პირველი თოვლის პირველ პაემნებს....
გაყინულ თოვლზე წაქცევის შიშით,
ჩახუტებები გულისფანცქალით...
წაქცეულების ვაი და ვიშით.
ჩემს სამშობლოში... თოვლი მოსულა,
რა უცნაურად მიძგერს ეს გული...
მოდით ფიფქებო, ამივსეთ ლხენით,
სულის ბაღნარი... დარდებდარგული...



13 თებერვალი 2020 წ.

სევდის ფიფქები

სულის ბაღში, აყვავებულ ვარდებს ვუვლი...
ფრთხილად იყოს, ვისაც მასთან სურს შეხება,
სულთან მისვლას განურჩევლად ყველას ვუშლი,
მინდა შევძლო, ოცნებების კვლავ შენება.
არ ვყრი ფარ-- ხმალს, გაშმაგებით ვებრძვი დემონს,
ჩემს ზღაპრებში პერსონაჟებს სულ გამოვცვლი!
ზუსტად ვიცი,სიყვარულში შევცვლი ,,დეკორს",
გრძნობის ტესტში, სათითაო გმირს გამოვცდი!
ყველა სევდას ფიფქად ვაქცევ, გაგაოცებს....
დაგადევნებ გარეთ გასულს, თავს დაგათოვს,
ღაწვის თავზე დაგადნება და გაკოცებს,
გაგახსენებს ნაოცნებარს და გაგათბობს....
სინანული აგაცრემლებს დანანებით,
,,არტემონის" ცრემლებს დაღვრი შერცხვენილი,
სიყვარულში ვერ მოიგებ, დახანებით,
დრო გავა და დარდებს მოქსოვ ...შეევერცხლილი.
სულის ღობეს შემოგიწნავ მონატრებით,
გარს, ჩემს სურნელს ნისლებივით შემოგახვევ,
სასთუმალთან ,სიზმარს მოვკლავ მოლანდებით....
უძილობის სამეფოში, თავბრუს დაგხვევ.
წვიმის წვეთებს გაგიყინავ, სეტყვად გიქცევ,
ხოშკაკალას წამოგიშენ არ-- დაზოგვით....
ჩვილად ქცეულ, ყველა გრძნობის აკვანს გირწევ,
არ დავინდობ უნდილ გრძნობებს, მკაცრ გაროზგვით!
ნაზ ღიმილში დაგანახებ ჯიუტ ძალას,
არ მჩვევია სწორი გზიდან გადახვევა,
დაგახვედრებ გულის კარებს მიუსავალს:--
ვეღარ შესძლო-- წინაღობის გადარღვევა.
სულის ბაღში, კვლავ ყვავილობს თეთრი ვარდი,
მაგრამ მუზა, აღარ ლექსობს ისევ შენთვის,
ათას ფუთად შეგიგროვე გულის დარდი:--
ნიაღვრობს და ქარიშხლიან ზღვის გულს ერთვის...
შეგპირდები: ჩამოგათოვ სევდას ფიფქად,
მდუღარე ცრემლს რომ გაუხსნა გასავალი...
თუ გაგილღო გაყინული გული -- ფიქრად,
გაუკვალე ცრემლთა წყაროს გზა და კვალი....

22 იანვარი 2021 წ.

მე და ,,ეგო"

ფრთამოტეხილი თრთის ზამთრის ღამე,
სიცივე აფენს თოვლის თეთრ საბანს,
რიჟრაჟი აისს იპოვის სადმე,
იებს აპკურებს მზის პირის ნაბანს.
გაშმაგებული ვიბრძვი ,,ჩემს" ომში,
საკუთარ ,,ეგოს" მარცხი ვაგემო,
ვინც რომ , მართალი იყოს ჩვენ ორში,
ტახტს ვთმობ...,,მეფობა" მისი ვაქვეყნო!
აბა, რა ვუყო ამ ბობოქარ სულს,
სიამაყე რომ ცხენიდან ძირს მცემს,
ათრევს ფიქრები დაკონკებულ ჩულს,
თავხედ სურვილებს, პასუხს არ გასცემს!
იქნებ ზამთარმა გრძნობა გაყინოს,
ვეღარ აწამოს საწამებელი...
გინდ, გაზაფხულზე გარეთ გაფინოს---
ჭორის დროშები...საამებელი.
რა გადიზამთრებს, ამდენ საფიქრალს,
იქნებ, თბილისში თოვლიც მოვიდა....
ფიფქებზე ფიქრი აშლის სატირალს,
მაგრამ ცრემლები გულთან მორიგდა.
არ დავანებებ გულს და გონებას,
განუწყვეტელი დუელი ჰქონდეს,
რით ვერ იყოფენ აზრთა ,,ქონებას",
გონება უნდა უცილოდ სჯობდეს!
ვერვინ დამინგრევს, ვერ გადალახავს,
ჩემი აზრების ურყევ ჯებირებს,
ობოლ კნუტივით მსჯის-- გასალახავს,
ბედის ფორტუნა ამ ჩემს ურჩ ,,ჯიბრებს" !
თუ თოვს თბილისში, ახლა კარგია,
მოვისურვებდი ფეხით სიარულს,
თოვლმა ფანტელი თუ თმას მაბნია,
მაშინ მნახავდნენ თვალებ-- მხიარულს.

12 იანვარი 2021 წ.

სად მიხვალ ქარო...

ქარო სად მიხვალ, სად გეჩქარება,
დაუნდობლად და თავპირის მტვრევით,
ნუთუ ხეები არ გენანება...
ფოთლებს რომ სტაცებ, ტოტების მსხვრევით....
არავის ნათქვამს არ აგდებ არად,
არც ხათრითა და არც შეგონებით,
რატომ გგონია იქნები მარად,
ყველას ძალუმად რად ეკონები?!
იქნება გიცდის პატარა სიო,
ყოჩივარდებთან ალერსით მთვრალი,
არ გაუბრაზდე, არ გააქციო,
მხოლოდ კეკლუცობს , არა აქვს ბრალი.
ქარო იქნება მიხვალ სატრფოსთან,
ხელი დაგრია ნახვის სურვილმა,
სული მოითქვა გულის საზრდოსთან....
აღარ იქროლო ფიქრ-- დაბურვილმა.
გაჩერდი ერთ წამს, რამე მირჩიე,
მინდა გაგანდო გულისტკივილი,
მესაიდუმლედ შენ აგირჩიე,
გამიქრე სევდის მოთქმით ტირილი.
მოდი მესტუმრე, შემომიქროლე,
ამიფრიალე კაბის კალთები,
ახალისე და შემომითრთოლე,
ნაწნავს შებმული თეთრი ბაფთები....

5 დეკემბერი 2020 წ.

სანთლად ვანთივარ

წმინდა კელაპტრად ვანთივარ თრთოლვით,
ვდნები... ვილევი, მაგრამ არ ვქრები,
მდუღარე განცდებს ვიგრილებ თოვლით,
ფიფქთა ფარფატში ოცნებით ვკრთები.
ღმერთის წინაშე გულწრფელი ვდგევარ,
ვანთივარ შმაგი, მკაცრი სიმართლით,
მთლად უნუგეშო, ეულ მწირს ვგევარ,
უფლის ხელსა ვგრძნობ , თავზე სინათლით.
ვანთივარ, ვდნები სევდის ღველფებად....
სხვადასხვა ჯიშის, ზნის უცხო სული---
გარს მეხვევიან ბოროტ ელფებად
და უჩხრიალებთ ხელთ ,,ვერცხლის ფული".
გაქცევა მსურდა იმათ გვერდიდან,
იესოსავით მაძგერეს შუბი...
მდის სისხლი უხვად, დაჭრილ ფერდიდან
და გამიტეხეს მართალს ქვით შუბლი!
გოლგოთა ასჯერ გადამატარეს,
ვერ შემირცხვინეს მაინც სახელი,
თავზე ნაგავიც გადამაყარეს,
ვერ დაიყენეს, თუმცა საშველი.
ჩემთან ღმერთია, არ მტოვებს მარტო,
ვინც იბრძვის ჩემთან, ის ღმერთსაც ებრძვის,
წავიდნენ, სანამ გზა არის ფართო,
მერე წვრილდება და უფსკრულს ერთვის.
მე ღმერთისა ვარ და მიცავს მადლი,
სიკეთეს მაძლევს, სიკეთის გამცემს,
ქარაფს მივყვები ფიქრებით-- მართლით,
ვიცი სიმართლე მე ძირს არ დამცემს.
სხვა თუ იოლად მიჰყვება მის გზას,
მე საგოლგოთე სატანჯველს ვზიდავ,
ფეხქვეშ არავინ დამიყრის მე ბზას,
უფლის სიკეთის ნათელში ვზივარ.
ვიდრე ვენთები კეთილ სურნელად,
ვერვინ გაბედავს სული მიბეროს,
თუ გამოჩნდება ვინმე მსურველად,
ქებას არ მოვთხოვ, მე რომ მიმღეროს.
დამტოვეთ მარტო, ჩემთვის ეულად,
ჩუმად ჩამოვდნე ფიქრთა სევდებად,
რომ გადავკეცო სულის ხვეულად,
დამრჩეს სიცოცხლის ხიბლი.... ლექსებად.

16 სექტემბერი 2020 წ.

ქალი თუ გქვია...

ქალი თუ გქვია, უნდა კრეფდე ვარსკვლავებს ცაზე,
ქარიზმატული სიტყვით ადნო გულთა ყინული,
გთხოვდნენ-- დაგადგან სადედოფლო გვირგვინი თავზე,
წყურვილს აღძრავდეს, მაგ თვალების წყაროს ბინული.
ქალი თუ გქვია, შენში უნდა ეძინოს ვულკანს,
მძინარე ვეფხვი, ჩანდეს--- მშვიდი სახის ნაკვთებში,
ანეტარებდე შენი სულის, არჩეულ ,,სულთანს",
მამულს უზრდიდე, სიყვარულით ბავშვებს აკვნებში.
ქალი თუ გქვია, ერთგულების სარტყელი გერტყას,
სატრფოს წინაშე, იკეკლუცე ქალურ სინაზით,
ბრიყვთა სიბრიყვის, უგუნურთა--- მებრძოლი გერქვას,
ლამაზ თვალთაგან , შეაფრქვიე რისხვა სიბრაზით!
ქალი თუ გქვია, უნდა გერქვას სულ გაზაფხული,
ასხივო სითბო, სიხარული სავსე ღირსებით,
არვის აჩვენო, თუ ოდესმე ხარ დაზაფრული,
დამალე, როცა სიყვარულით ორნი ივსებით.
ქალი თუ გქვია და სიყვარულს ვინმე გართმევდეს,
ვეფხვად იქეცი, არ დაუთმო გულის ნატრული,
იყავ ქალღმერთი სატრფოსათვის, გუნდრუკს გაკმევდეს,
სულში ესახლე ანგელოსად --- უფლის ნათლული....
ქალი თუ გქვია, იყვავილე ყოველ ცისმარე,
გინდ დაგათოვოს წლებმა თმებში, ფიფქთა სითეთრით,
რასაც უფალი ძღვენს გიბოძებს, იგი იკმარე,
ნამდვილი ქალი, სიყვარულით ცოცხლობს... სიკეთით.

3 დეკემბერი 2020 წ.

ნანა ჩარკვიანი

ქარი,წვიმა და მზე

გზააბნეული,
ჩემს ბაღში რად
დაბორიალობ.
ლაწანით
ხეებს ეხეთქები,
ვარდსაც არ ინდობ.
იქნებ,
წვიმაზე ეჭვიანობ,
უყვარსო ფიქრობ.
ჩემს სულში
ხელებს აფათურებ,
და შიში მიპყრობს.
რად დააყენე,
თავდაყირა,
ეზო და, ბაღი.
რაც თავი მახსოვს,
სულ იყავი,
გიჟი და შმაგი.
ყელსა და მხრებზე,
უნებართვოდ
მომეხვეოდი,
ჩამჩურჩულებდი,
სხვებზე მეტად,
რომ შენ გიყვარდი.
ქარო,დაოკდი,
ნუ ხარ ურჩი,
ნუ ხარ აშარი,
ქარის სიტყვები
რა სანდოა,
წაიღებს ქარი.
შენ რა ხელი გაქვს,
არ გეკუთვნის,
სხვისია ქალი.
მას წვიმა უყვარს,
წვიმას ეტრფის.
წვიმისფერია,
ქალი და წვიმა,
ცრემლებად,რომ
დაიღვრებიან,
ნუთუ ვერ ხვდები,
არ ხარ მისი
შესაფერია.
ქალი და წვიმა,
ერთ სონეტას,
ერთხმად მღერიან.
დუელში იწვევს
წვიმას,შლეგი,
ორპირი ქარი.
ორთაბრძოლას კი,
შეაჩერებს,
მანდილი ქალის.
მერე,იწვიმებს
ისე,როგორც
ქალის ცრემლები
ქალს ხომ არცერთი,
დასაკარგად
არ ემეტებით.
ქარი ჩადგება,
გზას იპოვის
ხელის ცეცებით.
ქალს კი,ეხლა მხრებს
უსველებენ
წვიმის წვეთები.
ლამაზ თვალ წამწამს
ეკიდება,
წრფელი ცრემლები.
ქარი იღიმის
იქედნურად,
კვლავაც შევხვდებით.
იკლო წვიმამ და,
გაანათა,მზემ
ცისა კარი.
ვიღას ახსოვდა,
ან წვიმა და,
ან,ავი ქარი.
ცისარტყელებმა
აიტაცა,ცაში
ნარნარით და,
მის ფერებში
გაეხვია პატარა ქალი.

ასწლოვანი ნაძვი.

აიწყვიტა ქარმა,
წამოვიდა თქეში.
შევაფარე თავი,
ტოტებგაშლილ ხეში.
სხვანაირად წვიმს
და ქარიც
ოხვრით კვნესის.
შეყუჟული ხის ქვეშ,
ნოსტალგიას ვებრძვი.
მობუზულ წიწილას,
უდედოთ,სივრცეში.
შევადარე თავი,
ამ ჩაკარგულ მთებში.
ხემ კი,მიმასპინძლა,
მოიხარა მხრებში.
ამარიდა წვიმა,
მომეფერა თმებში.
ალბათ ფიქრობს ისიც
უცხოს ხედავს ჩემში.
აქ საიდან მოვხვდი,
ამ ბუმბერაზ მთებში.
დავუყევი ფრთხილად,
მოსველებულ გზებში.
ტოტების სურნელი,
ჩამრჩენოდა თმებში.
თითქოს გამოვნახეთ
ნდობა ერთმანეთში.
გქონდეს იმედიო,
წვიმასა და მზეში.
მეც მადლობა ვუთხარ,
როგორც ვიცით ჩვენში.
ასწლოვანი ნაძვი
დგას ამაყად მთებში.

დარდი ხარ ჩემი

სულს დასჩენია,
ნაიარევი,
ისე,
ღიმილმაც
ვეღარ დაჰფარა.
ყველას ჰგონია,
რომ ვარ ძლიერი,
მაგრამ,ქალი ვარ
სუსტი,პატარა.
შენზე,დარდმა და
შენგან,
შორს ყოფნამ
შემომაჩვია,
თმაში ჭაღარა.
ჩემო მამულო!
დარდი ხარ ჩემი,
ნაოჭმაც შუბლი
ლამის დაჰფარა.
მონატრებამ და
შენმა სურვილმა,
ვერაფრით
თავი,
ვეღარ დამალა.
არ ვიცი,ასე,
თავდავიწყებით
ჩემი სამშობლო
რამ შემაყვარა.
დაუსრულებლად
შენზე ვლოცულობ,
შენი მშვენება,
კვლავ,რომ მანახა.
ეხლა მხრებს გაწევს
მძიმე,უღელი,
არ მინდა,შენი
ცრემლის დანახვა.
აყვავებული,
ჩემი სამშობლო,
დედაო ღვთისავ
რომ დამანახა.
ქართველი ერის
ლაღი ღიმილი,
იმედი,რწმენა
სითბო მანახა.
სულს დასჩენია
ნაიარევი და
მონატრების,
ბოლო არა სჩანს.
ყველა დარდი,
და, ყველა ტკივილი,
გულსა და თვალებს
მაინც დააჩნდა.
მიმოფანტული
ემიგრანტების,
შენს უბეს მინდა
ერთად დანახვა.
შენი ტაძრები,
სიწმინდეები
ფეხშუშველი,რომ
შემომატარა.

არ ვიმჩნევ, ასაკს

არ ვიმჩნევ ასაკს
მაგრამ,არ იცის
ადამიანის,
წლებმა დანდობა.
თოვლის ფიფქივით,
ჩამადნა ხელში,
და უცეფ,გაქრა
ახალგაზრდობა.
არ ვიმჩნევ ასაკს,
მაგრამ ჩემს თმაში,
ჭაღარა,ზოგჯერ
ისე მაოცებს.
გულდაწყვეტილი
ვუცქერ სარკეში,
თვალთან გაჩენილ
მცირე ნაოჭებს.
არ ვიმჩნევ ასაკს,
ბავშვური ჟინი,
ზოგჯერ სიგიჟის
ჩამომიქროლებს.
გადავარდები
მოგონებებში
და გავიხსენებ,
ბავშვებს
ჩემს ტოლებს.
წარსული წლები,
ასე ძვირფასი,
სულში ნაკვალევს
წარუშლელს ტოვებს.
არ ვიმჩნევ ასაკს,
წლების მატება,
გინდა,არ გინდა
სხეულს ატყვია.
სული კი, რჩება,
მაინც უცვლელი,
წლების მატება
არც გულს ამჩნია.
არ ვიმჩნევ ასაკს,
ვკეკლუცობ ისევ,
მინდა,ჩავუდგე
სიბერეს ჯიბრში.
ყველა ასაკში
ყვავილობს მაინც
ქალი,თუ არის
ქართული ჯიშის
და,მე ვამაყობ,
ჩემი ფესვებით,
საქართველოში,
ქართველად ვიშვი.

მე ვიწყებ„ბრძოლას".

მე ვიწყებ ბრძოლას
მიყვარხარ,
მარტო არ ჰყოფნის
მამულს.
შევკრიბავ ყველას,
უცხო მხარეში,
ჩემსავით წასულს.
და, დავიბრუნებთ
ჩვენს მიწებს
ქართულს.
ყველა გამყიდველს
კი,
მოვსთხოვთ პასუხს.
ნეტავ რა გახდა,
ეს ერთი მუჭა
საქართველო,
რომ ვერ პატრონობთ.
რამდენი,წელი
უმოქმედოთ
გადააგოროთ.
სამშობლოს ხარჯზე,
თქვენ ფულები
უნდა აგროვოთ,

მშიერ- მწყურვალი
ხალხი გინდათ,
რომ დაამონოთ.
ახალგაზრდები,
პლანით
გინდათ, რომ
დააბოლოთ.
ერის ღირსება,
ამბიციებს
გადააყოლოთ.
მე ვიწყებ ბრძოლას,
სიტყვა მიჭრის,
ხმალზე ბასრია.
ჩემი ქვეყნისთვის,
სხვა,სიმდიდრე,
არ გამაჩნია.
ვერ დავაგროვე,
ვერც ქონება,
არცა მაქვს ფული.
მაგრამ,
სამშობლოს
სიყვარულით,
მიფეთქავს გული.

მე ვიწყებ ბრძოლას,
იბერია,კვლავ,
რომ წამოდგეს.
შინაური თუ, გარეული
წიწკნის,აოხრებს.
უმექმედობა,
ჩემი ერის
მართლა მაოცებს.
ნუთუ,დანებდით,
შეეჩვიეთ ყველგან
ქაოსებს.
მე ვიწყებ ბრძოლას,
გაჩუმება,არის
ღალატი.
უნდა დამთავრდეს,
უსამართლოთ,
მათი ფარფაში.
კაცის,სიკვდილი
და მიჩქმალვაც,
არის თამაში.
დროა დავრეკოთ,
ყველა მხრიდან
ზარი განგაშის.

მონატრებით დავიღალე

შენზე ფიქრში,
მზე ჩავიდა
დასალიერს,
გული ისე,
გავუშალე
ვით,სულიერს.
ნოსტალგია
მომეძალა
ცრემლი ვღვარე.
მერამდენედ
ავედდევნე
ჩამავალ მზეს და,
გავანდე,
როგორ ძლიერ
მომენატრე.
მზემ,უმწეოდ
აიკეცა ნაწნავები,
დამიკოცნა,დანამული
წამწამები.
ცას იმედად

ამოცურდა ბადრი
მთვარე.
მას შევჩივლე,
უშენოდ,რომ
დავიღალე.
სული მქონდა,
მონატრებით
ნაწამები,
შევაშინე
ცის კალთებზე
უდარდელად
შემომსხდარი
ვარსკვლავები.
ვის მივანდო,ვინ
მოგიტანს
ჩემს სიყვარულს.
გულში, ჩუმად,
ხელუხლებლად
გადანახულს.
იქნებ ქარმა,

მოგიტანოს
ის სურნელი,
ორივესთვის
ნაცნობი და
სასურველი.
იქნებ დილამ
კვლავ ჩაიცვას
თეთრი კაბა.
დაიხუროს
კოჭებამდე
გრძელი ფატა.
მზის სხივებმა,
მოგვილოცოს
გათენება,
როგორც ადრე,
მერამდენედ
მახსენდება.
განთიადის
სიხარულით
შეგებება.

ნიავი

ბროლის ყელს
შემოგეხვევა,
მთით
მონაბერი ნიავი.
ჩამოუქროლებს
შენს ბაღში,
ყვავილებს
შრიალ -შრიალით.
ბაგეზეც გეამბორება,
განა შლეგივით,
სინაზით.
ვინძლო
ქარმა არ გაიგოს,
თავსაც მოიკლავს
სიბრაზით.
გადაგიღეღავს
გულის პირს,
აგიფრიალებს
მაქმანებს.
მოგეპარება,
კოცნაში
დაგიღლის
თვალებს,
დამფრთხალებს.
მთით მონაბერი
ნიავი,
ფეხქვეშ დაგიფენს
ყვავილებს.
ჩურჩულით გეტყვის
,,მიყვარხარ,
შენს მოტაცებას
ვაპირებ".
ფრთხილად იყავი
ნიავო,
აშარი ქარი
გაგიგებს.
ჩემს თავს არ
დასთმობს იცოდე
და სადმე,
მახეს დაგიგებს.

რა ლამაზია

რა ლამაზია ზეცა,
რა ლამაზია მთები.
გადმოდენილი
კლდიდან,
მჩქეფარე ჩანჩქერები.
რა ლამაზია,ბაღი,
ყელყელა გვირილები.
ტყეში ხეების ჯერი,
ბილიკიც,როგორ
ჰშვენის.
ქალაქის შუაგულში,
ქუჩაში გოგო მღერის.
ყური დატკბება სმენით,
თვალები მისი ცქერით.
რა ლამაზია კოშკი,
იქ მისასვლელი გზები.
რა ლამაზია,ზღვა და
ტალღებს სილურჯე
ჰშვენით.
ზოგჯერ სიმშვიდით
გვხიბლავს,
ზოგჯერ
ტალღების ღელვით.
სადღაც ჰორიზონტს მიღმა,
სჩანს,რომ მიცურავს გემი.
დაფარფატებენ ზღვაზე,
უსტვენენ თოლიები.
რა ლამაზია ზღვაში,
სჩანს,მთვარის სილუეტი.
ცას ბრწყინალებას
მატებს
ვარსკვლავი,თვალის
მჭრელი.
რა,ლამაზია დილა,
მზის ამოსვლა,
რომ ჰშვენის,
მაგნოლიების,ჩრიდილში,
დაფენილ დალალებით.
და,მოწიწებით გზებზე
თავს ხრიან ტირიფები.
მთას შეფენილი ვაზი,
გადაპენტილი ზვრები.
ვუცქერ,მომწონს და
მხიბლავს,
მაგრამ არ არის ჩემი.
რამდენჯერ მინატრია,
რომ ეხლა მომცა ფრთები,
ერთხელაც ჩავისუნთქო,
ნაზი სურნელი შენი.
მამულო, საყვარელო,
რა,ძლიერ მენატრები!...

დაგეძებდი...

დაგეძებდა,
ეს თვალები
დღისით.
დაგეძებდა ჩემი სული
ბინდში.
სიზმარივით,
შორეული,იყავ,
სიზმარივით გაიფანტე
ნისლში.
დაგეძებდი,
ვაცეცებდი ხელებს,
სად წახვედი,
ვერაფრით ვერ მივხვდი.
გეძახოდი,
მთა,იხმობდა ექოს,
შემეპარა,მე
დაკარგვის შიში.
სამყარო,რომ
მოიარო ფეხით,
ბოლოს მაინც,
ჩემთან მოხვალ ვიცი.
გულის გულში,კი
გაკრთება ეჭვი,
მაგრამ მაინც,
საყვედურს არ ვიტყვი.
მთვარის წვერზე,
ჩამოვკიდე გული,
თუ გიყვარვარ,
იმარჯვე და მისწვდი.
დამიკრიფე,
ცაზე ვარსკვლავები,
გადავმალავ,
სიყვარულის სკივრში.
ეს ბილიკი,
ტაძართან თუ მიდის,
ერთგულების,
კვლავაც,
დავდოთ ფიცი.
არასოდეს,
მიმატოვო მარტო,
არასოდეს,
გაიფანტო ნისლში.

ვარდივით ქალი ასწლოვანი ნაძვი.

ქალო,ნარნარო,
ვარდის სადარო.
შენზე გიჟდება,
მთელი სამყარო.
ყელზე,შეიბი
შავი გიშერი,
შურიანებმა,
რომ არ
გაგთვალონ.
ვარდს თუ,
უგალობს,
მხოლოდ ბულბული,
შენ შემოგნატრის,
ყველა სულდგმული.
ვისთვის,ბაღი ხარ
გადაფურჩქნული,
ვისთვის კი,გიდევს
გულზე ურდული.
ვაჟები,შენზე

ჭკუას კარგავენ,
გარს გახვევია,
ვარდის სურნელი.
ზოგჯერ,ჭკვიანსაც
შეშლი ჭკუიდან,
დაჭკვიანდება,
ზოგჯერ სულელი.
ასე მაცდური,
ღიმილი გშვენის,
კლავთ,ბაგე მწველი
და სასურველი.
ვარდების ბაღში,
ფოთლებს არხევს,
თავხედობს ქარი.
კაცის გულში კი,
სიმებს არხევს,
ვარდივით ქალი.
ვარდებს,ლამაზად
მოუქარგავთ,
ეზო და ბაღი.
ქალი,მშვენება,
არის კაცის,
ფუძის და სახლის.

შეჩერდით...!

გიორგი მოკლეს,
მოკლეს დათო,
მოკლეს თამარი.
ლუკა,გაწირეს,
ვერ იპოვა
გამოსავალი.
შეუბრალებლად,
ჩაგვიცხრილეს,
მოკლეს
არჩილიც.
არ მოასვენებს,
მკვლელებს,
მაინც მათი
აჩრდილი.
შეჩერდით!!!
გეყოთ
ძმათა სისხლი
რით ვერ იკმარეთ.
ასეთი მძიმე
ცოდვით
ხომ,თქვენც ვერ
გაიხარებთ.
რა დაგემართათ
მოყვასი რად,
გადაიყვარეთ.

საიდან მოდის,
ეს სიავე,
ბოლოს ინანებთ.
და,თუ მოკალი
გეყოს მაშინ
გამბედაობა.
ვინმეს ჭირდება
მატყუარა,
მკვლელი
თაობა?!
ვინც ხელს
გაფარებთ
ისიც არის
არარაობა.
მათი სულები,
ვინც მოკალით,
დაგელოდებათ,
მათ,ხომ უფალმა
ფრთები მისცათ
ანგელოზებად.
როცა, შეხვდებით,
ვერ გიშველით,
ბიძა და მამა.
აქ მოაგვაროთ,
სასიკეთოთ,
იქნება დავა.
მკვლელი,
ზეცაში,უსათუოდ
ჯოჯოხეთს წავა.
კარგად,
დაფიქრდით
ვიდრე,ძმაზე
აღმართოთ ხელი,
მსაჯული არის,
ქრისტე,ღმერთი
უფალი,ჩვენი.
გეყოთ კაცობა
ტურებივით
ნუ იმალებით.
იქნებ,გეშველოთ
ლოცვითა და
მონანიებით.

მწველი ზაფხული

ამოანათებს
ივლისის დილა,
ამოიჭრება დილით
მზის სხივი.
აბრდღვიალდება,
ლამაზ ყელკისერს
შემოხვეული,
ალმასის მძივი.
რაღაც გაქვს ხიბლი,
შეუცნობელი,
კდემამოსილი,
ნაზი,ქალური.
აელვარებულ
დასიცხულ ბაგეს,
მზის ალერსისგან
ასდის ალმური.
თვალებში მაინც
ჩაბუდებული
დგას,მონატრება,
სევდა ფარული.
სიყვარული კი,
მხოლოდ იმ ერთის
გულის კუნჭულში
გადამალული.
ივლისის მზე კი,
გწვავს და გეხვევა,
სხივები,მხრებზე
გეფინებიან.
მოგონებები,
გარდასულ დღეთა,
ნაძვების ჩრდილში
გელოდებიან.
როდის დადგება
ისე ზაფხული,
შენი სითბო, რომ
გაათბობს სნეულს
და,როგორც წყაროს
სუფთას,,ანკარას
დაეწაფება,
სანატრელ სხეულს.

გულო ჩადექ საგულეს

დარდითა და ფიქრებით,
ვიცი გულო დაგღალე.
ოღონდ არ მიღალატო,
ცოტაც კიდევ მაცალე.
ზოგჯერ თავს, რომ მახსენებს,
ეკალივით ჩხვლეტები.
ტკივილისთვის,სევდისთვის,
მართლა არ მემეტები.
რა ვქნა,რომ მენატრება
სამშობლო და ფესვები.
გულში ვმალავ ყველაფერს,
გულში ჩავიკეტები.
სიყვარულის გარეშე,
წუთით არა მტოვებდი.
ორგულობას,სიავეს
ადგილს არ უტოვებდი.
რომ არ გამიბოროტდი,
მიხარია ძალიან,
ასე რომ გადაგღალე,
მართლა ჩემი ბრალია.
ალბათ გულსაც უხდება,
ზოგჯერ დარდის გადაყრა.
თორემ გულში ჩახვევამ,.
ბევრს,,ინფარქტი" დამართა.
არც სიკეთეს გიწუნებ,
უგულობას,ვერ გკადრებ.
ბევრჯერ გაჭირვებაშიც,
იმედებით ამავსე.
ამ ბოლო დროს მაშინებ,
ფორიაქობ,დაგტუქსე.
ჩვენი ქვეყნის მიწაზე,
ერთად უნდა დავბრუნდეთ.
მოდი გულო გავლაღდეთ,
გულის კარიც გავაღოთ.
დარდი,ჯავრი ნაღველი,
ცხრა მთას იქეთ გავფანტოთ.
გულო,ჩადექ საგულეს,
არ გაბედო ღალატი.
მგრძნობიარე,ყოფილხარ
ამას რად მიმალავდი.
ბევრჯერ დაგვითმენია
გასაჭირი დუმილით.
სიყვარული აგავსებს კვლავ,
სიცოცხლის სურვილით.

ლამზირა შეყილაძე

* * *

წუთისოფელო, რადა ხარ ძუნწი,
რად გენანება ჩვენთვის სიცოცხლე.
ეხ წლებო, ნეტავ საით მიდიხართ,
ან საით მიგაქვთ ჩვენი სინორჩე?

შენი ქვეყნის სუნთქვას უსმენ

ჩვენს უკეთილშობილეს და
უთბილეს თანამემამულეს
ქ-ნ ბელა ბერკემერ-მახარაძეს

სულში ოქროს ჩიტი გიკრთის,
გულით დაგაქვს მზე და მთვარე.
ჟრუანტელად ტანში გივლის,
საქართველოს ყველა მხარე.

შენი ქვეყნის სუნთქვას უსმენ,
არ აკარებ დარდს და ნამქერს.
ღამით ციურ მნათობს უნთებ,
ატკბობ შენი ქვეყნის კვარცხლბეკს.

დედამიწის ყვავილი ხარ,
ტკბილ ჰანგებში აქსოვ სათქმელს.
ბულბულივით რტოზე ზიხარ,
სულში ამოდ გვიღვრი ჰანგებს.

სამშობლოსთვის სანთლად დნები,
შორით ეტრფი ნატრულ მთა-ველს.
მკერდში გიზის ცის მნათობი,
სულში ჩიტი გიფრთხიალებს.

შენს სამშობლოს ღმერთს ავედრებ,
დიდ შემოქმედს, მადლის მთოველს.
ძალისხმევას არ იშურებ,
ღმერთს უგალობ საგალობელს.

დამწვარ ოცნებებს ვესამძიმრები

ჩამოწვა ღამის შლეგი წყვდიადი,
მახრჩობს სიცოცხლე დაუთმობელი.
შორს ჰორიზონტი მოსჩანს მზიანი,
მტანჯავს სიშორე სულთა მპყრობელი.

“მივაცოდვილებ ავგზას წვალებით”
მიქრის ცხოვრება ნაღველჩაღვრილი.
საწუთრო მიმზერს მგლური თვალებით,
შემომმღავიან წლები ჩავლილი.

ახლა სიშორე დგას მარტოსული,
ნაღვლიან თვალებს შემომაფეთებს.
ვდგევარ წყვიადში სულ-გაძარცვული
და ტანზე ვიხევ სულის ნაფლეთებს.

ჩამოღვარდგაფებს ველური ხმებით,
თავაწყვეტილი დრო ნაწვიმები...
ვიწვი მხურვალე სიცოცხლის ცეცხლით,
დამწვარ ოცნებებს ვესამძიმრები...

დგანან ხეები დამწუხრებული,
როგორც საღამო შებინდებისას.
ვარ დარდით სავსე გარინდებული,
ვითარც დუმილი მწუხარებისა.

არც არასოდეს მიღალატნია

ჩემი ლურჯთვალა სამშობლოს ცაზე
ცივი ქარი და შავი ნისლია...
ცრემლი, რომელიც არ შრეგა თვალზე,
ჩემი წინაპრის ცხელი სისხლია.

ჩემო მამულო, ვერ დაგიცავი,
ვერ მოგიქსოვე ჯაჭვის პერანგი.
ცრუ და ორგული ვერ შევიცანი,
ვერ მოგაშორე მტერი ვერაგი.

ვერ გამოვტაცე ნესტანი ქაჯებს,
გული მიკვდება, გარეჯს ვერ ვიცავ.
მკერდზე სამშობლოს ხატება მაწევს,
ხეზე მიჯაჭვულ ამირანს გფიცავ.

ვერ გამიგია, სულისდგმავ ჩემო,
ჩვენი ერთობა რად არის ძნიად.
თუ ვერ შეგწირე გმირულად თავი,
არც არასოდეს მიღალატნია.

ღმერთმა გიწოდა ადამიანი

რა საბრალო ხარ, ადამიანო,
გულში ბოღმა და შური გქონია...
ხარბი თვალებით რასაც მისწვდები,
სუყველაფერი შენი გგონია.

სხვის სამოსახლოს თვალებით ზომავ,
გლეხკაცის ნაშრომს ებღაუჭები.
ავკაცობისთვის დღე და ღამ ბორგავ,
ვერ დაიოკე გული უძღები.

ყველა მორიგდა ძაღლი თუ კატა,
ლომი, მგელი და ტურა, მელია...
შენ რაც გაწუხებს, ადამიანო,
სიკვდილზე უფრო მძიმე სენია.

ეშმაკის ცივი ზრახვები დაგაქვს,
ფეხები აცა-ბაცა გატარებს.
შენს ქვეყნად ყოფნას რაღა ფასი აქვს,
სხვისი სიცოცხლე თუ არ გახარებს.

ღმერთმა გიწოდა ადამიანი...
ღვთიური მადლით ხარ შემოსილი.
რად ვერ შეიგნე, ადამიანო,
რომ სტუმრადა ხარ ქვეყნად მოსული!

მღლის წუთისოფლის აურზაური,
მთელი ცხოვრება დემონებს ვებრძვი.
სადღაც მივყავარ ცრუ მატარებელს,
საკუთარ ძვლების რახრახი მესმის.

სიზმარში წარსულ აჩრდილებს ვხედავ,
დაღლილი დედა დარდის ძაფს ართავს...
გადახსნილი აქვს ვენები აწმყოს
და მომავალი ქვითინებს კართან.

მამას მომავლის დარდი აწვალებს,
მოღალატეებს თვალებით კვესავს...
და ისევ მტრისთვის ფარ-ხმალს ამზადებს,
დედა ნაომარ, ძველ შინელს კემსავს.

ძილში ჩამესმა გმირების კვნესა,
სევდა და ცრემლი მომადგა თვალზე,
ახლა დავდივარ საფლავებს შუა
და მამის შინელს მე ვირგებ ტანზე...

კარდენახიდან ამოდიადდი

დიდ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს
იოსებ ნონეშვილს

გამღელვარებდა სამშობლოს აწმყო,
გულს გიჯანღავდა მისი წარსული,
სამკვიდროები ვიწრო და ფართო,
ფიქრი და სევდა, ჟამ გარდასული.

გულით დაგქონდა სამშობლოს ბედი,
აიძულებდი გულს გამძლეობას.
აწმყოს წინაპრის ღვაწებით სჭედდი,
უფრთხილდებოდი შთამომავლობას.

ისე გერჩოდა გული ზვიადი,
მამულის გამო მტრის ჯარს დაძლევდი.
კარდანახიდან ამოდიადდი...
ვაზის ძირში რომ აკვანს არწევდი.

მხნე, რაინდული სულისკვეთებით,
გაღვთივკაცებდა "მხრები ფართონი".
და ღირსეულად დააბიჯებდი,
წმინდა სულის და გულის პატრონი.

შენს ღმერთს და ხელებს როცა ვკითხულობ,
მეამაყება, რომ ვარ ქართველი...
დედამიწაზე მზესავით დადის,
ღვთივკურთხეული შენი სახელი.

ნინო უძილაური

ცად ლოდინი

რა საჭიროა
ხმამაღლა ვთქვა გულის ძახილი,
ერთადერთი ხარ, უხილავო,
უსიტყვოდ მთქმელი,
შენზე ვლოცულობ...
ქვეყნად თვალი რაც გავახილე,
და წყალობასაც აწ შენგან ველი.

შემომციცინებს,
ძირს დაყრილი ფოთოლთა ჯარი,
რომელიც მალე იქცევა ბორცვად...
მათი სული კი,
სამოთხის კარით,
ცად ამაღლდება,
ღვთისადმი ლოცვად.

დამაბედე

დამაბედე ანთებული ჩირაღდანი,
ძველებურად მტკვარი, ტივი და არღანი,
ნათელი გზა, უღალატო სიყვარული
და მაჩუქე ტრფობით გული დადაგული.

დამაბედე ოცნებების ასრულება,
მზის ქალაქში სეირნობა სხივთა გემით,
რომ მოვქარგო სურვილები ათასფერი
და დავაწყო საჩუქრები ნაირფერი.

დამაბედე ბედნიერი სახეები,
ელვისფერი ღიმილი და სასოება,
სიყვარული დამაბედე გულისფერი,
სინატიფე, სიმშვიდე და სათნოება.

გამითენე დღე მზიანი, ვარდთა ფერი,
და წყალობა დამაბედე... ღმერთის ფერი.

02.01.2021

როგორც ამბორი

ჩემს ნატერფალზე თუ გაივლით...
სრულად მიხვდებით,
რომ სიყვარულში დავიფერფლე,
როგორც ამბორი...
რომ ვნებას ისე ვერ ჩააქრობს ციდან წვეთები,
როგორც სანთელი, მოღვენთილი ტრფობის
ამბობით.

ისტორიაა დაწერილი სიყვარულისთვის,
თვით სიყვარულმა გამოძერწა ჩემი სახება...
გრძნობა დამშრალი,
დაფერფლილი სიცოცხლისათვის,
ამ ნატერფალზე
ნაკვალევად აისახება.

მოპარული კოცნა

ახლაც ვიხსენებ მოპარულ კოცნას,
ახლაც ვიხსენებ მთვარიან ღამეს,
ვეჭიდავები ჩემში შენს ყოფნას
და უშენობას, ასე რომ მანგრევს,

წლები მისდევენ ერთმანეთს როკვით,
თმა იცვლის ფერს და ქრება სინაზე,
შენამდე ბილიკს მოვყვები ჩოქვით,
გამანძილებულს ტრფობის ჯინაზე.

ისევ მოპარულ კოცნას მახსენებს,
ვარსკვლავთ ტრფიალი ბინდისფერ ღამის,
ჩემში შეცდომად რომ ვერ გიპოვე,
გნატრობ...უშენოდ ავტირდე ლამის.

მეკვლევ

შემოადგი მეკვლევ ფეხი,
დამილოცე საქართველო,
მერე ჩემი ოდა- სახლი,
ბაღ ვენახი, მთა და მდელო,
ბადიში და მონაგარი,
მოყვარე და მტერიც ერთდროს...
დღეს ზეიმობს სიყვარული,
სიყვარული ჩვენს გულს ვერ თმობს,
ბედნიერი წელიწადი
გვითენდება... ომერთი ომერთობს..

ვარდისფერი ტუჩები

კოცნა სწყურიათ ვარდისფერ ტუჩებს,
კოცნა სწყურიათ თაფლისფერ თვალთა,
დოგმა ვერ იტანს თამამთ და ურჩებს,
ტაბუდადებულ დროს როცა მართავს.

თავისუფლება არ კარგავს გემოს,
თავისუფლება აგრძელებს სუნთქვას,
ჩემს სამყაროში დაგმალე ჩემო,
გეჩურჩულები გულს რაც რომ სურს თქვას.

კოცნა სწყურიათ ვარდისფერ ტუჩებს
და გემოს ვნებით დაგემოვნება,
წრფელი გრძნობები იქ ვერ იურჩებს,
სადაც გონება გულს ემონება.

მეცოტავება სამყარო

მეცოტავება სამყარო,
ჟამთა უამურ ფიქრებით...
გულს ჯავრი როგორ გავყარო,
ვიდრე უფალთან ვიქნები.

ღრუბლებს ჩავკიდე ხელი და
მივყვები წვიმის ნაკვალევს...
ქარი ფოთლებსაც აშლიდა...
ღალატს ამ ქვეყნად რა დალევს.

ამიტომ დამიცოტავდა,
ერთ დროს უსაზღვრო სამყარო...
უნდა გავუძლო ცოტაც და
გულს ჯავრი უნდა ავყარო.

22.01.2021

შორენა გაბელაშვილი

"ანი და ჰოე"

ღიმილიც არაა სრულყოფილი.. გაიგე, ჩემო..
გადაიარე, სადაც გინდა ცხრა მთა და მდელო..
თავად მთებიც კი იშლებიან და ნისლი ფარავს
გონებას,
როცა ემსგავსება ეს ხალხი ფარას!
დავიწყებასაც მიეცემა ის ბავშვი გულში...
როგორც მარცვლები გაბნეული პირვანდელ ხნულში..
ხელახლა გინდა გაიზარდო, იყავი უკვე!
გამხდარხარ მწირი საფიქრალის შენ ლუკმა მსუყე..
მოეშვი, გარე მიზეზებში ნუ ჰპოვებ შვებას..
ნურავის ნუღარ დააბრალებ თავგასულ ვნებას..
გულის გალავანს მოაშორე ეგ სიმარტოვე..

"ადამიანი იგივე რჩება"

სიცარიელე, გონის სვენება,
არასდროს იყოს ამის ხსენება!
უმოქმედობის მწარე მარწუხებს,
გაექცევი და მაინც გაწუხებს..
მდარე, მდუმარე მდელოს ჭაობი,
მთის მორბენალი მარდი მდინარე;
საკუთარ თავთან ხშირად ვდავობდი:
რა გზაა, რაც მე გამოვიარე?!
ზოგჯერ ბილიკზე ფეხი გისხლტება,
და გეფანტება ნისლად ფიქრები;
თითქოს და ნება შენი გიქრება,
თუ ბედისწერას ანდე მიზნები..
გწამს ის, რაც გჯერა, თუ გარწევს ქარი?
და ლერწამვით ვერ დგახარ მყარად?
გაღელლვებს მხოლოდ შენივე თავი,
თუ შეგიძლია დგომა სხვის ფარად?
თუნდაც მეფობდეს დროება ფუჭი,
იპყრობდეს სხვისი ფეხის ხმა, ვნება;
თუ თავის "ეგოს" თავად განაგებს,
ადამიანი იგივე რჩება!

"ღამე"

ცივა ისე, როგორც გუშინ;
შენ კი დგახარ სახლის კართან.
იფიტება დღე და უკვე ბნელა,
ჩამოვუშვი ფარდა.. რა ფერია,
ღამე როცა, გენანება წასვლა მისი;
თითქოს, შენი არის მხოლოდ
და შენს იქით- არავისი!
შემოგსალტავს შავ-თეთრ მკლავებს,
თან გაფიქრებს როგორც პლატონს;
ხანაც, ისე გაგაგიჟებს,
ვით ოდესღაც უფროს კატონს..
გათვლევინებს ზეცის ხალებს,
თუ ერთხელაც დაყრი ფარ-ხმალს!
ან ბავშვივით აგატირებს,
და მოგაყრის მერე ხარხარს!
ცივა ახლაც, ღამე როკვით,
კვლავ აავსებს სევდით ბარძიმს..
რა დრო არის? რით გავუძლო..
ასე შორ და მოკლე მანძილს!

შენ...

შენ, როცა ღამით შეიხსნი ღილებს,
სახეზე ნიღბის ნაკვალევს წაშლი,
ისე მშვიდდება ჩვენი სამყარო,
ვით დედის მკერდზე მძინარე ბავშვი..
როდესაც გიმზერ, ვგრძნობ რომ გეცვლება,
სუნთქვის რითმები თანდათან ხმაში..
მე_ შოკოლადის სულ ერთი ფილა,
შენ კი ტალღები მოლურჯო ზღვაში..

გათოშილ თითებს დაუვით სითბო,
სითბო, ჩეული ამბორის სუნთქვას,
გარეთ წვიმს, მალე მოაყრის დიდ თოვლს,
და შეამცივნებს მოწყენილ თუთას...
სარკმლიდან ვუმზერ ქუჩას, ქარიანს,
შემომაპარებ კვლავ თითებს თმაში.
ისე ტკბილია შენი მკლავები,
ვით დედის მკერდზე მძინარე ბავშვი...

"ნიკალა"

იყო და თითქოს, არა იყო რა,
მზემ მთელი სითბო თან გაიყოლა..
გზად მიდიოდა ღამით ნიკალა,
იმ დღეს ბახუსი არ გაიკარა.
არც სიყვარული და არც ოთახი,
როგორ სტკიოდა ბედის სიელმე..
და აწამებდა ბუნებით მდიდარს,
ამ წუთისოფლის სიცარიელე!
ბოლო გროშებით ნაყიდ თაიგულს,
ალბათ თითებში ჭმუჭნიდა, როცა,
ვეღარ შეიგრძნო კარების მიღმა,
იმ ერთადერთის ღვთიური კოცნა...
გრძნობას, რომელიც ებრძოდა მანძილს,
და თეთრ ფერებში ხატავდა ნიკო,
იმ ქალის სახე კვლავ ტანში გასცრის,
თითქოს იყო და თან არა იყო..

"მშვიდია დილა"

მშვიდია დილა.. ჩემი თვალები,
სულის სარკედ რომ გახსნის დარაბებს,
არ მოისურვებს სხვას მეტს არაფერს,
მოხვიე მაგრად შენი მკლავები!
ქარმა მატარა ექოს იმედად,
სული მიბერა და შემიკედლა როგორ იაო;
ავი ღრუბელი კი მომძახოდა,
რომ სიყვარულში სიხარული არ რა ყრიაო..
მაგრამ აბა რის მაქნისია შავი ღრუბელი?!
ყური არ ვუგდე, არ ვუჯერე უიმედობას;
ჩამოვეხსენი იმ უღმერთოს,
ვით ცრუ მეგობარს;
და სიყვარულმა მომაფქვია
მუსი სურნელი..
მომწონს ეს სენი,
ძლიერი და განუკურნელი!

"გმირები"

ირგვლივ ხმაური, დუღილი სუნთქვის,
და მეომართა ჩუმი განცდები:
ჩემი სამშობლოს მიწას ვიცავ და
უფალო, ნუთუ, მაინც ვმარცხდები?!
ზე წამოიჭრა დაჭრილი ლომი,
ენანებოდა მიწაც და ზეცაც..
ომწაგებულიც არ ყრიდა ფარ-ხმალს,
და ვაჟკაცობა ბოლომდე ეცვა..
ძირს, სისხლიანი იწვნენ ბიჭები,
და არემარეს კვლავ მზე ათბობდა,
დაჭრილთ, თვალებში ედგათ ნისლები,
ახსენდებოდათ თანაც ბავშვობა..
და დედა ტკბილი.. ის ჩახუტება,
რომ უშუშებდათ ყველა იარებს..
მერე კი ფიქრი: ჩემო სამშობლოვ,
ეს გზა სულ შენთვის გამოვიარე..
და თუნდაც, მოვკვდე ჩემი ქვეყნისთვის,
მე ვარ ქართველი! – ჩემი ვალია!
დარდად მიმყვება დედის თვალები
თორემ, სიცოცხლე ერთი წამია...

ანამარია ლილუაშვილი

შობა

ქრისტეშობა თენდებაო
აგალობდა ანგელოზთა გუნდი
ცაზე მთვარე აკაშკაშდა
დაიხურა ვარსკვლავების ქუდი
დაიბადა სიყვარული,
ღმერთს ქალწულმა გაუჩინა
შვილი.
აგისრულდეთ ყველა ნატვრა
და გულები მუდამ გქონდეთ
თბილი.

ბედნიერი ახალი წელი

ძველმა წელმა აიკეცა
კალთები
და წარსულის შეიბურა
ზეწარში
უამრავი გაიყოლა დარდები
დამორცხვილმა გაიხურა კარი.
ახალი წლის მობრძანებას
უწყებენ
ცას ფერადად მოფეფანტული
სხივები
მოდის ახალ იმედების
მომტანი
ხვავ -ბარაქით დატვირთული
ხურჯნით
ჯანმრთელობა დღეგრძელობა
გვქონოდეს,
მატება და გამრავლება ერის,
დაიფარე ღმერთო შენი
ხელებით
და მოგვეცი გაბრწყინება
ქვეყნის.

ცოტა რამ კმარა

პატარა გული გამლღვალა და
სითბოს დაეძებს
თუ მას იპოვი და ჩაიკრავ
გულში ფარულად,
ახლის დაწყებით მიხვდები
რომ ძველი დასრულდა,
უერთგულე და ნურას იზამ
მისგან მალულად.
და ,ამ ყველაფერს არ
სჭირდება ფილოსოფია,
უბრალოება და სიმართლე
ყველას სჯობია.
აღდგები რწმენით და სიძველე
წამში იმსხვრევა.
და სიხარული მომავალშიც
შენთან იქნება.
გულს გაეყრება უაზრობა,
დარდი წარსულის,
და შეუძლებელს შეძლებ
ძალით ცამდე ასული.
მთებსაც გადადგამს ორი ხელი
ერთად აწვდილი
ერთი გაგებით ყველაფერი
არის ადვილი.

გაზაფხულდა, დათბა გულში

თებერვალი იწურება
ძალას კარგავს ზამთრის სუსხი
ჰაერს სითბო შეეპარვია
დასტყობია ხეებს კვირტი.
ენძელა და ყოჩივარდა
ამოსულა ბუჩქის ძირში
ია ია გაფურჩქნულა
შემორჩენილ თოვლის
ფიფქში.
ჰაერს ათას სურნელ ნარევს
ელექსირი შეჰყავს სისხლში.
ჩიტებს ლხინი გაუმართავთ
ამღერებენ სიმებს ბაღში.
თეთრს ფერები ენაცვლება
გაზაფხულდა, დათბა გულში.
სხეულს ძალა ემატება
და სიამე დგება სულში.

გურამი ძიას

წუხელ თვალ წინ მედგა,
სიახლოვეს ვგრძნობდი.
მონატრება კლავდა თითქოს
მისი ხალხის.
ყველას გადმოგვწვდა და
ყველას მოგვეფერა
ასე გაიქარვა დარდი და
ტკივილი.
ისევ ჩვენთანა ხარ,
ბრწყინავი თვალებით
სულიც რომ შიგ ჩანდა
სუფთა და ანკარა.
ღმერთმა აგირჩია მის
დასთა რიგებში
იფრინე ზეცაში! არ გეძებ
სადა ხარ.

იწამეთ იგრძნობთ

ქარმა მომტაცა ზღვა ფიქრები
ზეცას ატარა
სევდა გულისა მიმოფანტა
ღრუბლებს ადარა.
მთვარის სხივებმა შემოსერეს
სარკმლის მინები,
და ამომიშრეს თვალზე
ცრემლი დანადინები.
ადექ ილოცე ,დრო არა გაქვს
ძირს დაცემისა,
რწმენით იმედით დაიბრუნე
დრო მოლხენისა.
ძარღვში ჩუხჩუხებს
წინაპრების სისხლი ამაყი,
მათი მომსპობი სნეულება
ქვეყნად არ არი.
ქარო დაჰბერე გააქარწყლე
სევდა გოდება,
ჩვენი სულები შიშის აჩრდილს
არ ემონება.
იწამეთ! იგრძნობთ მთებს
გადადგამს თქვენი ძალები.
უფალს დანებდით და
სიმართლეს ნუ ემალებით.

ქ. გულნაზ ხარაიშვილს

კელაპტარს გინთებ
ყოველთვის გულში
სამაგალითო
ლიდერობისთვის.
ამბობ და საქმით მეტსაც
ასრულებ.
დამშეულ სულებს ლაღად
აპურებ.
მინდა რომ უფლის ხელი და
მადლი
და ღვთისმშობლის
გფარავდეთ მადლი.

ქარის ძალა

ქარმა ძალა მოიკრიბა შეარყია კიდით კიდე
ხეს ტოტები აუწეწა
არავისი არ აქვს რიდე.
რასაც მიწვდა მიმოფანტა
ეომება შემხვედრ ნივთებს
მოქუფრულ ცას გადახედა
დაერია სწრაფად ღრუბლლებს.
ხმას გამოსცემს შიშის მომგვრელს
ირგვლივ ყველას ჩხუბში იწვევს.
შერკინებას ვინც კი ბედავს
სახალისო ბრძოლას იწყებს.
ქანცგამწყვეტი მებრძოლია
მთლად მოგებულს არვის უშვებს.
საომარი ხერხები აქვს
მასთან ბრძოლას არვის ურჩევ
დაჰქრის ფერხულს მართავს ყველგან
დაღლილობას სულ არ იმჩნევს.
ამ ომსა და ამ ცეკვაში
შეუმჩნევლად მსხვერპლსაც ირჩევს.
ქარის ძალა გამოსცადეთ
დაგღლის მაგრამ ხელსაც გიწვდის
მის ქმედების აზრს რომ ჩაწვდე
ნახე როგორ შედეგს იმკის.

მაყვალა გერმანოზაშვილი

მზემ სხივი გამომიგზავნა

ზამთრის სუსხიან ამ დილით
მზემ სხივი გამომიგზავნა...
მომელამუნა მზიურით,
გულს გაზაფხული მახარა...
მზე რა თანაბრად არიგებს;
სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს...
დედამიწაზე არ სტოვებს
ყინვით დაზაფრულ სულიერს...
ხო და, მზესავით მეც მინდა,
სიყვარული რომ ვარიგო...
ჩემი ლექსებით მკითხველში
სიკეთით დავისადგურო...
გავამზიანო, გავათბო,
გულში ყინული გავულხო...
ია-ვარდების სურნელით
სულის სანთელი აღვუნთო...
თვალს სიკაშკაშე შევმატო,
სულიდან გამონაშუქი...
არ მიეკაროს მათ გულებს
სიავე, ბოღმა და შური...
ზამთრის სუსხიან ამ დილით
მზემ სხივი გამომიგზავნა...
მომელამუნა მზიურით,
გულს გაზაფხული მახარა...

21. 01. 2021 წ.

* * *

ბროწეულებს თავი ჩამოეხრჩოთ ხეზე,
ძოწს ბროლება შერეოდა ღია ვარდისფერზე,
ცას თვალები დანისლოდა, ისხდნენ მთების წვერზე,
ლალის ცრემლი ჩამოსვლოდათ დნობილ ყინულებზე.

9. 03. 2014 წ

ოდითგანვე

ოდითგანვე ჩვენს პატარა საქართველოს,
ღვთისმშობელის წილხვედრ კუთხეს, სამოთხისას...
უამრავი მტერი თვლიდა სათავისოდ,
და ცდილობდნენ ქართველები გაეჟლიტათ...
ბარბაროსი მტერი ჯარად ესეოდა,
ერის შვილნი, ქართველთ რაზმი, გულადების...
უშიშარად ალესილ ხმლით უხვდებოდა,
იფარავდნენ ციდან წინაპართ სულები...
დედაღვთისას ლოცვისა და კალთის მადლი
ლამპარივით წინ უძღოდათ მამულიშვილთ...
"ჰკა მაგასო!" გაისმოდა შიშის ზარი,
მცირე გუნდი ამარცხებდა მრავალ მომხვდურთ...
ბევრი მამულს ვაჟკაცურად თავს სწირავდა,
ბრძოლის ველზე სისხლის ტბაში იხრჩობოდა...
ისტორია მათ სახელებს აკინძავდა,
თეთრ ფურცლებზე ოქროს კალმით ინახავდა ...
პურობა და ნადიმობა, ქართველთ წესი,
მშვიდობის დროს ტრადიციით იშლებოდა...
თავგანწირულთ სადღეგრძელოს წარმოსთქვამდნენ,
ფეხზე დგომით პატივს სცემდნენ მათ დიდებას...
გმირ წინაპრებს ცოცხლად უნდა გაუმარჯოს,
არ კვდებიან, ბრძოლით დაღლილთ ჩაეძინათ...
ქართველთ გულს და გონებაში მარად ცოცხლობს,
მათ სახელებს დიდება და გამარჯვება...

ვმუსაიფობდი მე ჩემს მუზებთან

ვდგავარ სარკმელთან, გავცქერი არეს,
მუზებმა მთებზე ამაფრთიანეს...
გადმომახედეს მაღლიდან დაბლა,
ქვეყნის მთა-ბარი შემომატარეს...
ჯვრებით მოფენილ ქართლის მაღლობნი;
ეკლესიებით და მონასტრებით...
ძალას მაძლევდა, მავსებდა რწმენით,
ცასა და მიწას შორის ფრთოსნობის...
მნათობნი მაღლით გადმოგვყურებდნენ,
მზე და მთოვარე ერთურთს უბნობდნენ...
ვმუსაიფობდი მე ჩემს მუზებთან,
სამყაროს გულის ძგერას ვიწერდით...
ზენა ქარს ციდან დანაბარები
მოჰქონდა, გულში იდებდა ბინას...
ქვენა ქარი კი მიწვევდა დაბლა,
ეგებ მიწაზე ფეხი დამედგა...
ვდგავარ სარკმელთან, გავცქერი არეს,
მუზებმა მხრებზე ფრთები შემასხეს...
ღრუბლების ზემოთ ამაფრთიანეს,
ქვემოთ ჩამოსვლა აღარ მაცალეს...
მაყვალა გერმანოზაშვილი

29. 01. 2021 წ.

ერი ჰმადლობდა უფალსა

ზეციურ ნადიმს ვწვეოდი,
არ ვიცი, ჟამი რა იყო...
საუკუნენი ერთ დროში,
ერთ წუთში ჩატეულიყო...
მხრებს გამომსხმოდა ფრთეები,
დავფრენდი მაღლა ცაშია...
აქატისფერი ღრუბლები
მეფინა ფიანდაზებად...
მარჯვნივ ანგელოზ, ფრთიანი,
ციური, ბივრიტისთვალა,
სამოთხის ბაღში, მზიანი,
მაწვევდა ამბროზიასა...
სულის თვალები ანაზდად
სჭვრეტდა ნათელსა ცისკარსა...
ანთებულიყო მზის დარად,
სრულ საქართველო მოჩანდა...
დასში აღმოვჩნდი ფრთოსანთა,
ანგელოზების კრებულში...
ამინაშატი გამოჩნდა,
ილერკოს, ოქროსფერებში...
მზის სხივებივით ნათობდა,
ღვთაებით გამონაშუქი...
დავიწყეთ ლოცვა-გალობა,
ვადიდეთ უფალი-ღმერთი...
მივკედლებოდი სიმაღლეს,
ეკლესიისა გუმბათსა...
სრულ საქართველოს ტაძარში
ერი ჰმადლობდა უფალსა...
წმინდა მარიამ გვლოცავდა,
გვფარვიდა თავის კალთასა...
თეთრცხენოსანი გიორგი
იცავდა ჩვენს ქვეყანასა...
წმინდა ქეთევან დედოფალს
გამრთელებოდა ჭრილობა...
ნინო წმინდა და თამარი
სიხარულის ცრემლს
გვაფრქვევდა...
მეფე დავითი, წმინდანის
შარავანდედით მოსილი,
გვირგვინს ადგამდა მშობელ ერს
დიდგორით გამარჯვებული...
შოთა, გვმოძღვრავდა,
რუსთველი,
ჩინებულ "ვეფხისტყაოსნით...
გვიანდერძებდა ქართველ ერს
სიცოცხლეს უფლის განგებით...
წიწამურიდან ილია
უვნებლად წამომდგარიყო...
სრულ საქართველოს ლოცავდა,
ვინმე არ გამორჩენიყო...
ყველა წმინდანი, უკლებლივ,
ანთებულიყო კელაპტრად,
განსაცდელის ჟამს ქართველ ერს
მოვლენილიყვნენ მფარველად...
უფლის ცრემლები ეპკურა
გადამწვარ დედამიწასა...
სენით და ცეცხლით
ავლადქმნილს,
ჩავარდნილს აგონიასა...
ღრუბელთა გული მოელბო,
ზენაარისა ცრემლებსა...
კარი გულისა გაეღოთ,
ცვარსა დაეწყო დინება...
ცამ დედამიწა აკურთხა,
ცოდვის ბილწება გარეცხა...
ნაკურთხი წყალი ასხურა,
ხანძრის მურისგან განწმინდა...
ზეციურ ნადიმს ვწვეოდი,
არ ვიცი ჟამი რა იყო...
საუკუნენი ერთ დროში,
ერთს წუთში ჩატეულიყო...
მივკედლებოდი სიმაღლეს,
ეკლესიისა გუმბათსა...
სრულ საქართველოს ტაძარში
ერი ჰმადლობდა უფალსა...

17. 01. 2021 წ.

ძლიერ მტკივა აფხაზეთის იარა

ძლიერ მტკივა აფხაზეთის იარა,
შავ ზღვას ძმათა სისხლმა გადაუარა...
დარდმა დღემდე ვეღარ გამოიდარა,
თუმცა ბევრმა წელმა გადაიარა...
ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომებით
გამარჯვებას ნურც ერთ მხარეს მოველით...
მტერი ჩვენი გვამარაგებს ჭურვებით,
ერთურთს გვთიშავს, თავად ნაყოფს მოელის...
ღმერთო, ჩემო! აგვიხილე თვალები!
მოგვანიჭე მიტევების უნარი!
სიყვარული დაგვიბრუნებს ერთობას,
შურს და მტრობას ერთად ვუთხრათ უარი!

გულის სარკმელი

თუმცა მჭრის თვალთა, ნათელი,
მზის სხივთან ვბედავ თამაშსა...
მთიდან წამოსულ ნისლების
ვეალერსები ცრემლსაცა...
ნაამბორალი რომა ვარ
ზენაარიდან ნიავის...
ეკლესიების ზარების
გულში რეკვა რომ გაისმის...
ჩემში რომ სრულად შემოდის
ბუნება მრავალფერებით...
სამყაროს რომ არ გამყაროს,
მცდელობა არის სარკმელის...

06. 12. 2020 წ.

ბედისწერაა

განგების ნება, ვიცი, მუდამ შეუმცდარია...
ბედისწერაა, ახლა რომ ფურცელს ლექსი ატყვია...
გული მკარნახობს, გულში უფალი ჩამსახლებია...
უფლის ნება და ჩემი ნება თანხმობაშია....

10. 01. 2021 წ.

დიდება ქვეყნის გამჩენსა

დღის თვალი დანისლულიყო,
მოღუშულიყო ქვეყანა...
ცის თაღი შეღებილიყო,
ფარდაგად, ნაცრისფერადა...
სარკმელიც ჩარაზულიყო,
ვერ ვიხედვიდი ცისადა...
მარტო ჩნდა დედამიწაი,
თავზე მზე დარად არ ადგა...
მზის სხივი მენატრებოდა,
გულისა გასახარადა...
ვაჰ, მე-ო, გულის ხმამ მითხრა,
გულის ხმამ, სხვა ხმამ კი არა...
თითქოს გაიღო სარკმელი,
თვალისა გასახელადა...
გულისხმა მისწვდა ცის თაღსა,
ცის თაღსა, გუმბათიანსა...
ღრუბლის ქულაჯა გახია,
სხივმა, ნათელმა, მზიანმა...
გული გამითბო, სანთელი
ამინთო, ამიბრიალა...
დიდება ქვეყნის გამჩენსა!
ფიქრებს რომ მიგებს ფრთიანსა...
ავდარის აღარ მეშინის,
უფლისგან გულდარიანსა...

24. 12. 2017 წ.

როგორ იქნება?!

"ერთი მეც შემოვუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა"...
[მუხრანული]
ყივჩაღს ქართული სული ჩაუდგა
ქართველმა ქალმა, თვალებმაყვალამ...
დაუნდობელი მხეცური გული
ქრისტეს ნათელით გაუცისკროვნა...
გული მონანულ ცრემლად უქცია,
ხორცის ჭრილობა-სულის იარად...
ყივჩაღის ცრემლი, ნისლებს ქართლისას,
უერთდებოდა ცის გასაყართან...
ათას წლის მერე ზენა სოფლიდან
ნანობს ყივჩაღი ყივჩაღად მოსვლას...
"მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა"...
სისხლის ცრემლები ცის გუმბათიდან
მოდის, მოწვიმავს ყაყაჩოებად...
ქართლის მინდვრების სისხლის გუბეში
ჯვარცმული ქრისტე ამონთებულა...
ნანობს ყივჩაღი ტაძრების ნგრევას,
მცხეთაში სვეტიცხოვლის შელახვას...
წმინდა მიწაზე ნაბიჯის დადგმას,
თვის დაბადებას სწყევლის და მოთქვამს...
სულის თვალის წინ ქართველი ქალი
ნელი შებერვით უმშრალებს ცრემლსა...
უფალს ავედრებს ხელაპყრობილი
ცოდვილ ყივჩაღის შემცოდე სულსა...
მოდის და მოდის მდინარე ცრემლის
უცხო ტომელის ლღობილ გულიდან...
მის სხეულიდან გამოდის მხეცი,
თავს ეფინება მადლი უფლისა...
თვალნი და ხელნი ცისკენ მიილტვის,
თითქოს სიმძიმე სადღაც დატოვა...
ღმერთმა შეუნდო მონანულ კაცსა,
ჩვენ არ შევუნდოთ, როგორ იქნება?!

15. 11. 2017 წ.

თამარ ჯაჭვაძე

არ მომანატრო

აიშლებიან ღრუბლებივით
ფიქრები სეტყვის,
ვინატრებ; ჯვარცმულს
მხრებით ჯვარი გადავუფარო...
პური ხორცია, ღვინო ჩემი სისხლია მეტყვი...
იესოს ხორცი როგორ უნდა ვჭამო უფალო?!

ღვინოს ვერ დავლევ, თუკი მართლა შენი სისხლია
მე სისხლისმსმელი როდი შემქმნეს, მისხენ იესო...
უფლის სადიდებ ლექსში სული გადამისხია,
არ თქვათ, ლექსებმა პოეტს სული განუგნიესო.

ძალი მომეცი, რომ; შევუნდო მოყვასს ყოველი,
რისხვის ქარიშხლის შეჩერება შემაძლებინო...
არ მომანატრო სამშობლოში, მეტს არ მოველი,
წინაპრის სიხლით გაჟღენთილი პური და ღვინო.

"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ნუ ეძებთ

საქართველოში ყველა პოეტობს
ბავშვმაც აიღო ხელში კალამი...
ვის გულსაც გრძნობის ცეცხლი მოედო,
ვინც ლექსად იწვის, ყველას სალამი!
  სიყვარული რომ ლექსად აქციოს
იმ ერთი კაცის გენიას ნატრობს...
და დედამიწა სულისცეცებით
დაეძებს "ვეფხისტყაოსნის" ავტორს.
  სარკოფაგებში ასწლეულები
წვანან და დუმილს აფახულებენ,
"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ეძებენ
იერუსალიმის გაზაფხულები.
  ინდოეთიდან მოდის მერცხალი
ქართულ მიწაზე ბუდის მთხოვნელი...
"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ეძებენ
მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი.
  მადლი სცხებია ბერის მარჯვენას
ვინაც ჩააწნა სიტყვაში სული...
ვინც პირველ გუთანს კვალი აჩვენა
და გაატარა ეტრატზე ხნული.
  ვინც უკვდავების დაიწყო წერა,
მელანში გულის სისხლი ერია...
"ვეფხისტყაოსნის" ავტორს ნუ ეძებთ
მისი ავტორი მთელი ერია.

სიზმრის ნაპრალები ამივსე

გაფრინდა ბავშვობის ზღაპარი
ღამდება სიცოცხლე უშენო...
სიბერის კარებთან ატუზულ
სიყვარულს ნეტა რა ვუშველო?!
  ფიქრების ლაშქარი ავყარო?!
მოგდევ და ფიქრებშიც მიქრები...
ისევ ცარიელი სამყარო,
ისევ ცარიელი სიზმრები.
  ქარია და ქარებს ვაბრალებ
იმედის ფოთლების გაქრობას.
გზას ვუთმობ მეტოქე გაზაფხულს,
ჩვენს შორის ვინ აღარ დაქროდა...
  რაღა ამ სიყვარულს მტაცებენ
ქარები ფოთლებისტაცია...
როდესაც ამქვეყნად ამდენი,
ლამაზი ქალი და კაცია!
  მე მღალავს უცნობი ცა ისევ,
ერთად რა ლამაზად ვივლიდით...
სიზმრის ნაპრალები ამივსე
შენი სევდიანი ღიმილით.

გარეჯის გზაზე

კლდეში ნათალი დავლოცე ქვები,
მაჩურჩულებდა ციხე წარსულთან...
აქ რამდენ ქართველს ჩაუვლია და
უსასრულობის გზაზე წასულა!
ცა იღლიაში ამოიჩარა,
ზამთარს მისტირის ქარი ხველებით...
დედის სხენივით მსუყეა ჭალა
და სწოვენ მიწას უცხო ხეები.
რომ ეპატრონოს გაქუცულ მთა-ბარს,
ვაზმა ჩაიცვა მწვანე ფარაჯა.
ოდესღაც დიდი კახეთის ამბარს
ივრის ჭალები ედგნენ დარაჯად.
აქ რამდენ მომხვდურს ედგა კარავი,
რამდენჯერ ლეწეს სისხლ-ხორცის კალო,
მესმის გოდების ხმა შემზარზვი,
პარტახის კვალი როგორ წავშალო?!
უდაბნოს ღრუბლის ჩრდილი დაეცა,
ხრიოკს და მწყურვალე მთაგორიანს,
დღესაც აჩნია ბერების სისხლი
მიწას... და უცხოს ჟანგი ჰგონია.
მოჯარებულან კლდეების ჭვრეტად,
და ჩემი ძვლების ხილვით ტკბებიან...
და მთის უბეში ასე წვეთ-წვეთად
ცრემლის ნაჟური – ვისთვის ტბებია!
კლდეში ნათალი დავკოცნე ქვები,
მაზიარებდა ციხე წარსულთან...
აქ შეჯავშნული რომ იდგნენ მთები,
თუ მთაკაცები... საით წასულან?!

ჩემო პატარა ნინო

შვილიშვილს

ჩემო ჯიშო და იმედო,
ჩემო სისხლო და გენო,
ჩემი სიცოცხლის აზრი ხარ
და სიყვარულის გემო.

შენი ტირილიც მახარებს,
შენი ღიმილის მადლიც...
მთელ დედამიწას იწონი
ეს ორიოდე ადლი.

სიბერის კართან მომისწარ,
სიცოცხლე გადმომისხი...
შენში დუღს მარადიული
ჩემი ქართული სისხლი.

რაც გულში გრძნობა ვადუღე,
მსურს ლექსად მაღვრევინო...
ჩამკიდე ტკბილი თითები,
ჩემო პატარა ნინო.

იცოცხლე ჩემო ყვავილო,
სულ გაზაფხული გენთოს...
შენ გამიხარე ეს გოგო,
შენ დამილოცე ღმერთო!

ვერ იძინებს დედა

დაბინავდა ჩვენი სოფლის თავში,
გზას აქედან უკეთესად ხედავს...
იგვიანებს შორს წასული ბავშვი...
საფლავშიაც ვერ იძინებს დედა.

გადაგეკრა თვალზე ფიქრის ნისლი...
ცრემლიანი წუთისოფლის გზაზე,
მე თმასავით გაგითეთრე სისხლი,
შენ მლოცავდი სიყვარულით სავსე.

ჩაგეძინა ჩემი აკვნის თავზე
და ძილშიაც იავნანას მღერი...
დედი, ხომ არ გაგიცივდა მხარი,
დედი, ხომ არ დაგეღალა ხელი?!

ერთგულება ყამირ მიწას ხევდა,
მადლის მარცვლით ივსებოდა ხნული...
დაღალულა სევდისფერი დედა,
საფლავშიაც ბორგავს დედის გული.

მოლოდინმა შორს წასული შვილის
მეც დამღალა, თმაჭაღარა ბავშვი...
დედი, შენთან დასვენება მინდა
ამოვირბენ ჩვენი სოფლის თავში.

გერმანე საზანოელი

******

ჩემს გენთან ერთად ღამეს ათევდა,
ჩემი სადარდოს მკრთალი ოცნებაც,
საათის ხმაშიც წამებად ვფიქრობ,
მზე მსტომრონს, მაგრამ რა ვერ გათენდა!

*****

მესმის ამ ცის ქვეშ წესია წასვლაც
და მაინც როგორ რთულია ცრემლიც,
სიცოცხლის შუქის ფერია მწამს, კვლავ,
რომელსაც წრეთა სხივების მზე შლის!

თოვს

ფიფქებო რაშით,
სწორედ რომ მაშინ,
მოფრინავთ ციდან,
სულშიც რომ სცრის და
ადნებით მიწას,
სწორედ რომ იმ წამს,
ადნებით ბაგეს,
სტროფებით ნაგებს.
ყველამ გიცქიროს,
თითქოს ცის მირონს.
ვიმწვანოთ ისევ;
ხმით წამს რომ გვივსებთ.
გვიყვებით ხარბად,
მთვარისფერ ამბავს,
როდის ან ვინ თმობს,
სიცივის სითბოს.
ბედად გვქმნით მხნელებს,
დედამიწელებს.
ქარებო მუქის
სიმშვიდით ნუ ჰქრით,
ფანტელნი შუქით,
სიცოცხლეს გვჩუქნის!

დარდი

სახლიდან ისე შორსა ვარ
როგორც ზაფხულის მთვარე,
წვავს ბედისწერაც მოსავალს,
ხსნის გუთნის დედის ხარებს.
თითქოს მუხლები მეტკინა,
თითქოს მომძლავრდა ქარიც,
მოვდივარ ხელში მიჭირავს
გული თოხის და ბარის.
ხშირად მაწვალებს რაშობა,
გუთნისდედობა აბდლის,
განსხვისებული კაცობით
გასხვაფერება მადლის.
ყვავები ჩრდილავს მოსავალს,
ნალიც გაუცვდა ხარებს,
სახლიდან ისე შორსა ვარ
როგორც ზაფხულის მთვარე!

ვერ მოველ

დიდი ხანია ვფიქრობ,
შენთან ვერ მოველ დღესაც,
მაგრამ შენს დაღლილ თვალებს,
ვერ დავემალე ვერსად.
ჰგავხარ ვარსკვლავთა ციმციმს,
და მზევ, საგულის ფეთქვას,
პოეტიც კი არ ვიცი
შენზედ ლექსი რომ ვერ თქვას.
ვიცი გიყვარვარ თბილო,
ვიცი სიზმარშიც მხედავ
და ამიტომაც კარგო
მე ტრფობის წერილს ვხვევ და....
შენს მათრობელა თვალებს
ვერ გავექეცი ვერსად,
როგორ მინდოდა მოსვლა,
მაინც ვერ მოველ დღესაც!

ცამდე

მოდი, უსაზღვრო კოსმოსში
მზის სხივებს ავყვეთ მინდა,
იქ მე ჰაერი კი არა
მზეც დამელევა ბინდად.
გესმის? მხატვრობას დავიწყებ,
ხელოვნებასთან შებმას,
მხოლოდ შენ გამაძლებინებ,
მხოლოდ შენ მომგვრი შვებას.
ყანად სიყვარულს დავთესავთ,
აღმოცენდება მშვილდად,
გაიშლება და დათბება,
დედამიწამდე მშვიდად.
გავაფერადოთ ვარსკვლავნიც,
არ უნდა ჩაქრეს ლამფაც,
მარადისობის სილაღეც
მოვაოქროვოთ დაფად.
მოვკლათ თვითონვე სიკვდილიც,
მოვკლათ ბზარებიც ხმათა,
უსასრულობის სიმაღლით
შეკრთეს ხმაურიც ხმალთა
და თუკი წვიმად წამოვა
ბრმა კოსმიური ცეცხლი,
ცეცხლისგან შენ დამიფარავ,
ცეცხლი საღ გულებს ვერც ცლის.
ცეცხლი კი არა ვიშლები,
ვით ხნულის ირგვლივ ფეტვი,
ანდა რა ცეცხლი იქნება
შენს ნაზ ტუჩებზე მეტი.
სატრფიალოა მანძილიც
გვალვის დროიდან ცვრამდე,
ხელით გატარებ ყოველდღე,
ფერად მიწიდან ცამდე!

ქვრივ-ობოლი

დედის კალთა, ოქროს გრდემლი,
დღეში ოკეანე ცრემლის,
მკერდზე შვილი უმამო და
დარდებს ღამეს უამბობდა.
ქალი არა, იყო ცეცხლი,
ოჯახისთვის ოქრო-ვერცხლი,
გულში მხოლოდ ერთი აზრი,
აღზრდა მომავალი ვაზის.
დრო გავიდა, არა მის წილ,
ვაჟი გაქრა, ოცი წლის წინ,
სახლი მყარად, დედა ავად,
ბიჭს უგზავნის ნიავს ამბად,
ჩასიძებულს მის გულს ორფას,
კარგად ვარო, ვუძლებ ყოფას,
კაცს უნდოდა მშობლის გვერდით,
მას აბამდა თოკი ბედის,
ტყის სოფელში ჩაქრა დარი,
ქალი უპატრონოდ მკვდარი.
არც კი უთქვამს, რისთვის გზარდე,
პირმშოს ამეფებდა ცამდე.
დედის თვალზე ცრემლი ხმელი,
შვილს კი ცხრა მთით ცოლი ელის.
გააცია ყოფამ ალთას,
დაივიწყა დედის ბალთაც,
დედის კალთაც, ოქროს გრდემლიც,
სადღაც ოკეანეც ცრემლის,
თავთან შვილი უმამო და
დედა ლოცვას უამბობდა!

*****

მოდიხარ რითმებად, უზადოვ,
მზის სხივო, საგულის ფრიალო,
მაღლა მთებს სიმღერა ვუმზადოთ,
თვით ენავ, სტრიქონთა ტრფიალო!



მამა ამირან ამირანაშვილი

ვეფხვი

მოგეხსენებათ ქმნილება ღმერთის,
ულამაზესი ბრძანდება ვეფხვი.
არ ემონება ის კაცის ნებას,
ამიტომ ირჩევს უღრან ბუნებას.
    რუსთველმა მიჯნურს არგუნა ბედად,
    მოფერებითი დახრჩობა ვეფხვის,
    შემდეგ შემოსვა მისი ტყავისგან,
    უძლეველ გმირად დარჩენა ჩვენთვის.
ხალხმა შეგვიქმნა „ვეფხვი და მოყმე“,
ძეგლი დავუდგით ხალხის იდეას,
ორი შვილმკვდარი ტიროდა მწარედ,
მივუსამძიმროთ ორივე დედას...
    დღეს მძიმე რისხვა დაატყდა ქალაქს,
    მეწყერმა შთანთქა ლომი და კაცი,
    შემოესივნენ ვეფხვები ქუჩას
    შეიარაღდა მთელი ქალაქი.
შიშმა მოიცვა მთელი ქვეყანა,
ქუჩაში ვეღარ გამოდის ბავშვი...
დღეს მოყმის დედა მარტო შვილს ტირის,
იმ ვეფხვის დედამ რაღა ქნას მაშინ?!

ამირანი

კავკასიონის ციცაბო კლდეებს
შემორჩა მძიმე ჯაჭვების კვალი,
როცა ეხები ამ ჯაჭვის ნაგლეჯს,
გაგახსენდება მამულის ვალი.

მაშინ ვრწმუნდები, ქართველმა ხალხმა
მხსნელად გიწამა, კლდეს მიჯაჭვული,
ღმერთის ნაშობი, უკვდავი გმირი,
დაუძლეველი, გოლიათური.

ერი მოგენდო მებრძოლ ამირანს,
ბოროტს და ავსულს რომ ამარცხებდი.
სადილად ბუღა კამეჩს შეჭამდი,
ერთ-ორ ქვევრ ღვინოს დააყოლებდი.

კავკასიონზე ვერვინ შემოდგა,
ყველა მომხვდური იქცა მიწადა,
ბადრი, უსუპი, თვით ამირანი
ყველამ იცოდა, ამ მთებს იცავდა.

შენი სახელი დღესაც მამხნევებს,
შენგან ვისწავლე ძმობა კაცური,
როდესაც მიჭირს, მუდამ მამხნევებ,
შენი ძალით ვარ მუდამ დაცული.

მკერდით დაიცავ, მშობლიურ მიწას,
როცა უმიზნო ტყვიას ახლიან...
შენი ნათლია საქართველოა,
კავკასიონი შენი სახლია,

ღამე და ძილი

ფართო სარკმლიდან მთვარე მიცქერის,
ერთია მთვარე, მეც ხომ ვარ ერთი,
თვალში თვალს მიყრის და მეკითხება:
„არ დამიმალო, შენ თუ გყავს ღმერთი“?

ვინ მოიგონა ღამე და ძილი,
ან სიყვარული წმინდათა წმინდა.
დიახ, გამიჩნდა მე სალოცავი,
დღე და ღამ მასზე ვილოცო მინდა.

ალბათ შენცა ხარ შეყვარებული,
ბნელ ღამეებს რომ ათენებ თეთრად,
შენ უსასრულოდ ძალგიძს ლოდინი,
მე კი, მითხარი, ვინა ვარ შენთან?

ყოველთვის ვჩქარობთ ადამის ძენი,
და მცირე დროში მოვასწროთ გვინდა:
შობა, აღდგომა და გამრავლება,
თუ წმინდა ევაც გვერდით დაგვიდგა.

შენ მალე ნახავ, ჩემი ბუდიდან
შემოგესმება ჟრურტული ტკბილი,
მთვარევ, ერთსა გთხოვ, კაცობრიობას
რომ თავის დროზე გაუფრთხო ძილი.

მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა
(XXI საუკუნე)

უარვყავ თავი, ავიღე ჯვარი,
ყველა დავტოვე, შევუდექ უფალს...
კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით,
მუდმივად ვლოცავ ერს, თავისუფალს.
ძვირად დაგვიჯდა თავისუფლება,
თავზე დაგვატყდა მძიმე ომები.
გულანთებულნი მტერს დავუდექით,
ეწირებოდნენ ბრძოლას ლომები.
დღესაც ვერ გაძღნენ სისხლისმსმელები
ყოველი მხრიდან ისევ გვიტევენ,
ისევ გაისმის ტანკის გრუხუნი,
ყოფილ მოყვარეს მტრებად გვისევენ.
შემოდგომაზე მოვა რუსეთი,
ქართული სისხლით პირს გაისველებს...
ვითომ ძმად მოდის თურქი-ოსმალო,
ჩვენს დამონებას ფიქრობს ისევე.
ტაო-კლარჯეთი აღარ იკმარეს,
დღეს აჭარასაც თავისად თვლიან...
მუხაჯირობას შეახსენებენ
დიდ კავკასიონს თვალებთოვლიანს.
აქეთ არაბი შემოგვესია
შაჰინ-შახების სისხლი და ხორცი,
ჰიჯაბის ნიღბით აქ გრიალებენ,
საკუთარ სახლში ჩვენ გავხდით მორცხვნი...
სულ-ხორციანად გაგვაღატაკეს,
გაგვამათხოვრეს, არ გვთვლიან ხალხად,
მტრის გაყოლას რომ სიკვდილს არჩევდნენ,
იმ ქალთა მოდგმა აქციეს ხასად.
ვინ იღებს კანონს განადგურების?
საზღვრები გახსნეს, - ვის გსურთ გაქცევა?!
ერო და ბერო, გავერთიანდეთ,
მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა!
ყინვასთან გამოთხოვება
ჩემი პირადი ცხოვრების გარდა,
ბუნებაც მკაცრად მიმასპინძლდება...
სულს მიხუთავენ ორივე ერთად,
ხვალაც, არ ვიცი, ვინ რას მპირდება.
სუსხიან ზამთარს ვერ გავექეცი,
მთელი სიმკაცრით ჩამიგდო ხელში...
ვერავითარი ძალა ვერ გიხსნის,
თუ გაეხლართე ამ ბნელ მახეში.
სიბნელისა და სიცივის გარდა,
ჯერ ვერაფერს ვგრძნობ, მე, ამ მხარეში.
ვინც კი თბილ სიტყვას დღეს შემომაწევს,
შემოვინახავ სულის არეში.
გული მძიმდება და მოთმინების
უკვე ივსება ყველა ფიალა,
ნელა გადიან თებერვლის დღენი
და ორმაგდება მწვავე იარა.
გაზაფხულს ველი და დღეებს ვითვლი,
იქნებ სხივებმა მოათბოს სუსხი,
გაყინულ სისხლსაც აამოძრავებს
და დაამდება ტკივილი უხვი.
ქართულ გაზაფხულს წელს ვერ ვინატრებ,
ვაზის გაკვირტვას, ბუდის შენებას,
ატმებისა და ტყემლის ყვავილებს...
აქ ვინ მოიყვანს იმათ მშვენებას?!
აი, მარტის დღე აქაც მოვიდა,
მერცხალი იწყებს ბუდის შენებას,
ყინვა გაალღო და გაგვახარა,
ვინღა დაეძებს იმის მშვენებას.
ასე რომ, ალბათ, ამ გაზაფხულზე,
ბევრი ოცნება ჩაივლის ფუჭად...
ჩემი თბილისი, მწვანე ჭადრები,
ჩემი სოფელი და ძველი ქუჩაც...
არ მომილოცავთ დაბადების დღეს,
ოცდაოთხ აპრილს ვიჯდები მარტო,
ფიქრის ფანჯარა გამოვაღე და...
თქვენ მახსენდებით, მხოლოდ თქვენ გნატრობთ.
კიდევ მოვლიან გაზაფხულები
და აყვავდება ატამი, ვაზი,
ერთად შევხვდებით მრავალ გაზაფხულს,
მხარს დამიმშვენებს ქალი, ლამაზი.
და მაშინ ვიტყვი: ჩემო ცხოვრებავ,
ტკბილი ყოფილხარ და თანაც მკაცრი...
ერთი წლის ჯარმა როგორ დამაფრთხო
და შემაშინა ამხელა კაცი!..
კვლავ შევუდგები ბუდის შენებას,
პატარა კუთხეს მოვძებნი მყუდროდ,
რომ ჩემს ოცნებას ფრთები შევასხა,
რომ მომავალი არ დამემდუროს.

ასპინძა

ეწირებოდნენ შენს მიწა-წყალს ძველო ასპინძავ,
შენი წარსული ჩვენი ერის დიდი განძია...
სულის საუნჯედ, შენს მიწაზე დაღვრილმა სისხლმა,
შემოგვინახა შოთას სიბრძნე, ძეგლი ვარძია.

დიდი თამარი აქ უძღვოდა ივერთა ჯარებს,
ქალაქი კლდეში დიდ სასახლედ გადააქცია,
თამარის სიბრძნით იმარჯვებდა დროშა ჯვარცმული,
დედოფლის ეშხმა რუსთაველი ხელად აქცია.

მიჯნურ პოეტმა თავის სისხლში ნაწები კალმით,
მოჰქარგა ლექსი, უკვდავება სიყვარულისა,
დიდმა მიჯნურმა მოკრძალებით მიართვა მეფეს,
ეს უდიდესი აღზევება წრფელი გულისა...

შენს მაღალ მთებში გაიზარდა, ალბათ, ის ვეფხვი,
ტარიელმა რომ მოფერებით, ხელით დაახრჩო...
და ვეფხვის ტყავში გახვეული, გმირი მიჯნური,
წყლის პირას, ქვაბში პოულობდა სულიერ სარჩოს...

შენი წარსული ჭირ-ვარამზე გადადიოდა,
აქ იწრთობოდა ხმალი ქართულ რაინდობისა,
აქ აღმოცენდა იდეალი მიჯნურობაზე,
შენვე მოგვეცი მაგალითი მეგობრობისა.

დღესაც უდგახარ საქართველოს ფოლადის ფარად,
შენი მახვილით იგმირება ჩვენი მტრის გული...
დაგბედებოდეს მშვიდობა და ბედნიერება,
უკვდავი იყოს ასპინძა და სიტყვა ქართული.

გივი სიხარულიძე

შემომადნი

ვეღარ გამიგია, მძულხარ,
თუ მიყვარხარ, ისე მომრევია გესლი.
ხანა ხარ ნაყოფი ედემის ხისა
და - ხანაც სიძულვილის თესლი.
ისიც კი ვიფიქრე, სამოთხის ჩიტი ხარ,
მე კი ვარ დემონი ზეცის.
მე უკვე ნასროლი თოვლის გუნდა ვარ
და შენ ფიფქი შერჩენილი ხელში.
ერთხელ მოგიძღვენი მცხუნვარე კოცნა და
თითქოს ჩავიფერფლე ცეცხლში.
არც შენ იყავი ყინულის ნატეხი და
ლამის შემომადნი ხელში.

დროის ათვლა

დროის ათვლა, ჩემო, შენით დავიწყე,
ნაღდად ვიცი შენზევე დამთავრდება,
ვერ გავიგე წუთისოფლის ანბანი,
სად იწყება და ან სადღა მთავრდება.
შენ, ჩემსგულში შემოჭრილო გრიგალო,
ვეღა რვხვდები საით გაგაგრიალო,
დამიმსხვრიე გულის შუშაბანდები,
გიჟად ვიქეც გამიჩინე დარდები,
არც ია ხარ, და არც მისი დობილი,
ენძელა ხარ მინდვრის ღელვით შობილი,
მე სიო ვარ, ძლიერ ქართა ძმობილი,
შენს სიყვარულს ალალად მინდობილი.

პარიზული ჩანახატი

ვინ ბოდავს _ თბილისი მეორე პარიზია,
ალბათ გააფრინა მაგრად.
თბილისი პარიზს მიამგვანო? _
ვერ უნდა იყო კარგად.
პარიზი _ დიდი მუზეუმი,
ვნებების ქალაქი ბაღში,
ისტორია, წარსული, ახალი...
უცბად აგემღვრევა თავში.
ვეღარ გაგიგია, რა ხდება,
იქცევი როგორც ბავშვი,
ხან ტოროლასავით დაფრინავ
და, ხან გალობ, როგორც შაშვი.
შენთვის ყველაფერი გახსნილია,
თითქოს პრობლემების გზა ხსნილია,
პარიზის ქუჩებს გადახედავ და
ფრანგთა ისტორიის მზა ფირია.
თვითონ შენობებიც გეფერება:
ოპერა, ლუვრი, ეიფელი...
აღარაფერი დაგრჩენია,
ზეცისკენ აღმართო ხელი.
როცა ემიგრანტი ქართველები
ირჩევდნენ პარიზს თუ სტამბულს,
იესო უკვე ამაგრებდა
ძაფს საფრანგეთისკენ გაბმულს.
ალბათ გული ვერ გაუძლებდა
ჭირ-ვარამს, გოდებას, გზას რთულს,
მარტო პარიზმა უთანაგრძნო
ქართველს, სამშობლოს ნატრულს.
ალბათ თბილისსაც მოეფერა,
ობლად მიტოვებულს მათგან.
პარიზმაც იგემა მრავალჯერ დამარცხება,
მაგრამ პარიზულად აღსდგა.
ჩემო თბილისო, ყველასთვის სანატრელო,
იცოდე, არავის ჰგავხარ,
ობლად მიტოვებულ, დაჩაგრულ ქართველებს
მხოლოდ ერთადერთი გვყავხარ.
ტყუილად არ შეგარქვა მეფემან ქართველთა
თბილისი _ უთბილეს ქალაქს.
აქ ყველას ერთნაირად უყვარხარ,
პოეტს, დალაქს თუ მხატვარს.
ერთ ნაკლსაც ვერავინ გიპოვნის,
აბანოთუბნიდან ნანახს,
ეს ყველამ ბრწყინვალედ იცის და
არავის დავუწყებ კარნახს.

მანანა კორძახია

"მოულოდნელად"

მოულოდნელად როგორც გამოვჩნდი ისე გავქრები უცებ...
რადგან სევდაა ჩემი გზამკვლეცი, და თითქოს თავად
ვუმზერ.....
ქარვისფერი გზა შემოდგომისა ელამუნება მიწას,
და ახლა სურნელს არამიწიერს ნიავი ჰფანტავს ყველგან.
მომყვება კვლავაც დაუსრულებლად ფიქრთა ლაშქარის ექო,
და შეუცნობელ ცხოვრების სიმთა ხმები ჩამესმის თითქოს....
მოულოდნელად შენს ცხოვრებაში შემოვიჭერი "ვინძლო",
როგორც ნიავი მოგესალბუნე ახლა სხვა გზები მიხმობს...
გავქრები ისე ვით გაელვება როგორც გამოვჩნდი შენთვის,

13 დეკემბერი, 2020·

ქეთი ატენელს"

მინდა რომ გგავდე დღითა და ღამით შენი თვალები მაგონებს ცისკარს,
აისი მუდამ იმედით მავსებს, როცა შენ მყავხარ არ მომწყინდება.
მინდა რომ გგავდე დღითა და ღამით შენისთანებმა იარონ ყველგან,
და როცა ზეცა მოიქუფრება, შენი თვალები გაათბობს მიწას.
მერე რაა რომ გულის სარქველი აუარებელ ტკივილებს იტანს,
მერე რაა რომ სულში გიწვიმის, შენ სიყვარულის აბჯარი გიცავს.
მინდა რომ გგავდე დღითა და ღამით, შენი თვალები მაგონებს მზის დარს,
"შენისთანები" გვიმრავლოს ღმერთმა, ატენის ქალოვ: იცოცხლე დიდხანს.

2017 წ.

დავით იოსებაშვილი

,,დედა-გულნაზი"

ქალი-დედა,
ქალი-პოეტი,
ქალი-სევდა,
ქალი-სიკეთე.
ქალი-ტალანტი,
ქალი-სინაზე,
ქალი-მებრძოლი,
ქალი-ბევრჯერ აღმსდგარი ფერფლისგან.
ქალი-ფრესკის იგავ -თავალებით...
ქალი-გულით ბევრის დამტევით...
ქალი-ფეხადგმული ლექსი ქართული..
ქალი-რომელსაც მზე დააქვს პეშვით გამთბობი..
ქალი-გულნაზი ,დიდებული ჩრდილი წარსულის.
ქალი-ერის დედაბოძი და დიდი იმედი...
ქალი-რომლის ნატერფლზე ხარობს ია.-ედემის..
ქალი-ისეთი ღვთიური,ერთი ნახვით რომ
შეიყვარებ.

ჯვარი გწერია

(დავით იოსებაშვილს)

დროს დაელოდე, ანკესი კი წყალში ჩაუშვი...
რადგან გინდოდა, მომავალთან გასაუბრება,
და თუ კი დავით, შენს დედობილს გულს გადაუშლი,
აღარ მოხდება, პაპის ურმის გადაბრუნება.
არვარ მეხოტბე, შვილო, ქების ეს ყველამ იცის,
და სულ უჩუმრად, ცრემლის ყანწი ახლაც დავცალე.
ჩამსაფრებია ბედისწერა, თითქოს და მიცდის,
უიმედობას სული მაინც არ ვანაცვალე.
არ გეთანხმები, რაც დაწერე, შენ შვილო დავით,
ქებას, თან ამდენს, წინაპრებიც არ მოსწრებია.
თუმც გამეხარდა, შენი ლექსი დავიდე თავით,
დაგლოცავ შვილო, ასი წელი ჯვარი გწერია!!!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სული ვარ

სული ვარ, ფიფქად, ცად მოფარფატე,
სევდით და დარდით ნაფანცქალები...
ახლა შენს მხრებზე ჩამოვიფანტე,
არ დაგჭიედება, ხელთათმანები.
ცრემლად დავლღვები,გაგახსენდები,
ოდეს, რომ მკერდდზე გეხუტებოდი,
მოგეფერები, ნუ შეშინდები,
რად დაიჯერე, რომ მოვკვდებოდი???

ვინც გინდა იყოთ

თუ კოკასავით გატყდეთ, დაიფშვნეთ,
ჩემთვის ერთია, გთხოვთ, რომ გამიგოთ...
სულ უიმედოთ, არ დაიმშეთ და...
გული ფარდაგად მინდა დაგიგოთ.
რათ მინდა ყოფნა,თუნდაც სიცოცხლე,
მაისის თვეს, რომ ისევ მარტობდეს,
ღმერთო, ეს ხალხი გამომიცოცხლე,
ცოცხალი, სიკვდილს აღარ ნატრობდეს!!!

ჰა, წაიღეთ

სიყვარული, სულ გზადაგზა დავარიგე,
სიძლვილის ვერ ვისწავლე, ანი -ბანი,
სულ, რომ მომკლათ,
ხალხთ მოძულედ ვერ ვივარგებ
მადლმოსილად,დროა უკვე შემიცანით.
მთელი გრძნობით,სათითაოდ მოგეფერეთ,
დედა პოეტს ყოველთვის აქვს გული წმინდა,
მადლის პარკი სიყვარულით შეგიკერეთ
ჰა, წაიღეთ, თორემ წლები გამიფრინდა.

ცისარტყელა

ვიყავ, ნაზი ცისარტყელა,ნაირ- ნაირ ფერით...
დრომ მე ბედი დამიწყევლა,მიტომ ვეღარ მღერი.
ბავშობაში თორემ ადრე,ალბათ კიდევ გახსოვთ,
ვაყრუებდი არემარეს,მოგონება მასხრობს.
ვცეკვავდი და თან მღეროდი, ქართულს, ოსურს, სხვასაც...
დედობაში არ ველოდი, სისხლიც რატომ წამსკდა.
იმ წარსულით ვცოცხლობ ისევ, მოგონება ცელქობს,
ცისარტყელა ციდან მიცქერს, ხმები შერჩა ექოს!

ნეტავ პოეტო

(ირინოლა ფერაძეს)

შექმნან ლექსები
დაინახონ სულის ნარნარი,
შექმნან სიმღერა,
გალობებით დილა გათენდეს,
ირინოლათი გამოცოცხლდეს,
გულის ბაღნარი,
ნეტავ პოეტო,
ტრადიციებს, გადამირჩენდე!!!

ნუ აჯეჯილებ

მთლად ასე არა...უნდა დავფიქრდე,
ხშირად ვსაუბრობ მე ჩემს ასაკთან,
არ მინდა ისე, ცაში გავფრინდე,
ერი თუ, უცხოდ ალაპარაკდა.
გარდაცვლილების შევქმენ ტომები,
გავავუკვდავე გაღმა გასულნი...
წიგნით, ლექსით და ზოგი შრომებით,
სული არ არის არსად წასული.
სიმდირე სხვისთვის,არ ვიცი რაა,
სიკეთის თესვა,ჩემი ჰობია,
სული და ლექსი,გულის მთაა და...
გამეხარდება, თუ კი მჯობიან.
,,ჟარგონულ," სიტყვებს,ნუ გამაგონებთ,
ვლოცავ, ვინც წმინდა ქართულს აღმერთებს,
მივდევ კიწკიწა,წმინდა ვაგონებს,
და დედაენის სიტყვებს დავეძებ.
ყველგან სიკეთის ყანა დავთესე...
გზადაგზა ვაწყობ რკინის ჯებირებს...
ჭრიჭინობელა, მისპობს ნათესებს,
ღმერთო, ჩემს ახლოს ნუ აჯეჯილებ!

:::::::::

ვინ რატომ მიყვარს,
არ შემეკითხო,
ვცოცხლობ, ქართული სულით...
არც არასოდეს არ განმიკითხო,
დედა ვარ, მადლშემოსილი.

=კ :· ო :· ლ :· ი :· ბ :· რ :· ი=

ჩიტი ვარ, ციცქნა კოლიბრი, გული მაქვს მზე და თბილი...
არ დავაწესე შეჯიბრი, არ ავიტკივე კბილი.
ჩემით მოვმართე გემი და... სიკეთის მარცვალს ვთესავ.
სხვისი ტკივილიც მესმის და...რაც ვიყავ, ის ვარ დღესაც.
ვერავინ მამჩნევს, არ ვწივი, მე ვარ „კოლიბრი“ ჩიტი,
ვერ მამჩნევს დიდი არწივი,რომ ვარ, არასდროს იტყვის.
თავდაბალი ვარ, კეთილი,პატარა ტანის ციცქნა,
ცეცხლში ვარ გამობრძნედილი,ბედიც სატანად იქცა.
არ გავბოროტდი, შვილებო,ვიარე სულ სწორ გზაზე,
ცად მყავხართ მამიშვილებო,ბედია მუდამ შარზე.
ჩემი იმედი ღმერთია,მამშვიდებს თბილი სიტყვა,
შვილი? ეს, ერთად ერთია,ჩემიც და სხვისიც მიყვარს!!!

რაჭულ ყვავილზე

რაჭველებთან შევიარე, მთაში,
ვეახელი ლობჟანიძე ეთერს...
იქვე მომხვდა, სილამაზე თვალში,
შველიც კვნეტდა, სადღაც თოთო ნეკერს.
სილამაზეს დავაკვირდი მაგრამ,
ვერ ვიცანი, ჩემთვის უცხო იყო,
გავიფიქრე, არც ერთ ყვავილს არ გავს,
თავმომწონედ მარტოდ დამდგარიყო.
ვინ პატრონობს, არ აწუხებს ქარი???
დატრიალობს,თავზე ღრუბლის ფენა,
ეს, ყვავილი შენია თუ, ეთერ.
ამ, ბუნების, ჰავამ დაამშვენა?
გაიღიმა პოეტმა და მითხრა,
მოგეწონა?შენი იყოს კარგო,
ლამაზია, პოეტს მოგაკითხა.
შენ გაჩუქე, სულიერი საზრდო!!!

ჩამოთოვა

დიდი მთების ფანტელების ეშხით,
ბარში ვძებნე, წმინდა ფიფიქთა თოვა,
ხელს მიქნევდა, ჭირხლ- ნახორხლი ვერხვი,
მთაშიც ჩქარა გაზაფხული მოვა.
გამახარა, მისმა ოპტიმიზმმა
და ტოტებზე შეპუდრულმა ფიფქმა,
გულით რადგან იქით გაიხიზნა,
ალბათ ვერხვი,ხორბალს იქ ჩამოფქვავს.
ზღაპარეთში ვეახლები იმ მთას,
ფანტელებით რომ ათოვდა არწივს,
ტყის მინდორთან
ვინატრებდი მართლა,
რომ დავკრიფო,ტკბილი მწიფე მარწყვი.
თუმცა ახლაც იქით მიწევს გული,
სუფთა ფიფქის ალერს მართლა რა სჯობს...
აქ, დარდით მაქვს გული გამოხრული,
მთებში წლები უნდა გამოვხარჯო!!!

ფიფქი მიწას არ ეხება

იანვარი მიილია,
თებერვალი აღებს კარებს.
ყველგან ისევ ტკივილია,
ნეტავ კვლავ თუ დაიდარებს.
დედამიწას არ ეხვევა,
საბანი და ვეძებ დევნილს ...
ფიფქი მიწას არ ეხება,
მთებს ვუყურებ
ჩამოსევდილს.
ყველაფერი ხდება ბედით,
აირია ცა და მიწა,
ლოდინს უკვე შევაბერდი,
თოვლის ფერი დამავიწყდა!

იქ, სიმდიდრეა

ტალკის ქვების მიწის საბადოებს,
ოსურ- ქართულ ნაფეხური დარჩა,
რა გამოლევს, უკვე სადარდებელს,
მეგობრობა, გაქრა, გაფარჩაკდა.
ფრონის წყალი,სევდით გასუსულა,
დოლომეტის ქვები, ყვება ამბავს...
შინდის კვირტი, მაინც გამოსულა,
შიშნარევი თვალებს, ოდნავ ნაბავს.
კლდეთა ფენებს, კვლავ აქვს ის სიმდირე,
მგელი ტორავს ოს- ქართველის მიწებს,
ის, სიკეთით რაღას გამაკვირვებს...
ოღონდ ჩვენსკენ, ნუღარ გადმოიწევს!!!

კახრანი

კახრანის ტყეს ვინატრებდი ისევ,
კახრანის ველს, ჯონჯოლს, ტყეთა სავსეს.
ახლა მთები რა შორიდან მიცქერს,
გველის, ცრემლი ჟონავს, ხეთა ხავსებს.
მინდვრის წყალი ელის ქართველს,
ოსებს,
დარდობს მთებიც, რომ ბატონობს მგელი,
ცდილობს, სისხლი ჩვენი მხეცმა შესვას,
ამ დროს მიწა, ოს და ქრთველს ელის.
ისევ ის, დრო მახსენდება ტკბილად.
სიყვარული, მასპინძლობა, ერთად,
მგელს ეს მტრობა, დაუჯდება ძვირად,
ღმერთმა, თუ კვლავ, ისევ შეგვაერთა!!!

ჩემი ღიღილო

ბილიკებს გავყევ, ყვავილს დავეძებ,
ყვავილს ქორფას და ციცქნა ღიღილოს...
თვალი მოვავლე, ლამაზ ხავერდებს,
ნაცარ ქათამა ღიღინ - ღინობს,
ბაბუაწვერას ხელი შევახე,
სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტა,
ჩემი ღიღილო ვერსად ვერ ვნახე,
ცვენა დაიწყო, ხიდან ტყის პანტამ.
ხეს ავხედე და თვალს არ ვუჯერებ,
ჩემი ღიღილო, ტოტზე შემჯდარა...
თავინახე და ალარ ვიჯერებ

მომენატრე

მომენატრე, რა ძალიან მომენატრე,
დარდის ცრემლი წისქვილის ქვას ააბრუნებს,
ბედისწერას ძმაო წელში გადავამტრევ...
გავმაგრდები,ურემი არ გადაბრუნდეს.
გავიხსენებ ჩვენს ბავშობას ძირულის პირს,
მდინარეში ბანაობას...თევზის ჭერას,
იმ დროების გახსენება ძმაო მიღირს,
ვცდულობ ისევ მოვაცოცხლო გულის კერა.
დამირეკე, შემეკითხე,როგორ ვუძლებ,
ძმაო, შვილის, ან მეუღლის ყოფნას ცაში,
ლამის ღრუბლის, ფარფატა გზებს გამოუძღვე,
თუ მოგაგნოთ, შემეგებეთ ერთად მაშინ!!!

გადავთოვლე

შიშით თრთოლვამ ამიტანა საღამოჟამს,
ვბუტბუტებდი და ვლოცავდი ჩუმად ყველას...
დარდებს გულში ღმერთო, ნუღარ გამოჟონავ,
რაღაც ძალით, თიქოს ვიღაც მომეშველა.
იმედებით შევაფეთე ზეცას თვალი,
ღმერთო, გვედრი, დაამშვიდე, დედამიწა,
სიყვარულით მომავალი არის მთვრალი,
მე ტკივილი წამიერად დამავიწყდა.
გადავთოვლე ფიქრის ნიჩბით დარდის თოვლი,
მზის სხივებიც მომაწოდებს ალბათ სითბოს,
ამ ამბავმა ლექსის ენით მონაყოლმა,
ეგებ დარდი, სანახევროდ გამითიბოს.

მერცხლები

მერცხლებო, ნუ იგვიანებთ, არ შეგაშინოთ სიცივემ...
სახლო, შენც გაგანიავებ, იქნებ მზეც ამოციცინდეს.
გრძელ აივანზე ჟღურტულით,ჩიტმა დაჩეკოს ბარტყები,
მეც გავხსანა გულის ურდული,სანამდის სულ არ გავტყდები.
გამოვიტანო ფანდური, ვიმღერო, ამყვეს მერცხლები...
შევკაზმო ნიგვზით დანდური, დავაცხო მჭადი ცხელ-ცხელი.
მიმოუძახო მეზობლებს, იზოს, მანანას, ნაილის,
გაუმასპინძლდე ახლობლებს, თუ ვინმე გზაზე გაივლის.
სანამ იყივლებს მამალი, დავაცხო თონის პურები,
ერთად ყოფნაა წამალი, რომ აჭრიალდეს ურმები!!!

კიდევ გიშველი

როცა სხვაზე იბოღმები წლობით,
იქნებ არ ღირს ანდა შენვე ცდები...
თუ წყრომაა, შენი სულის ჰობი,
კვლავ გიშველი, თუ ბრმად ჩავარდები!

ჰო, ვაპატიე

ყველას ერთგული თუმცა ვარ, მაგრამ...
ჩემი ერთგული მხოლოდ ღმერთია,
მარტო ვარ, დარდი,ადვილად გამხრავს,
ტკივილი გულის შენაერთია.
ბევრჯერ ვლოცულობ მათთვის, რომლებმაც...
არაფრისათვის, გული მატკინეს,
მე ვაპატიე, როგორც მშობელმა,
ეხლაც ვერ ვხვდები, რისთვის მატირეს.
და მაინც გულო, არ დაიდარდო,
ტკივილი მთვარეს უნდა გავანდო,
მთვარევ, მირჩიე სხივით დავადნო,
თუ სამუდამოდ ტაბუ დავადო?

ცა თავზე რომ მეხურა

გულიც შენ გეკუთვნის ჩემო,
ფიქრიც დატრიალობს შენთან..
სხვა თუ უღიმღამოდ გჩემობს,
გულით ვარ, ჩემს სისხლ- გენთან.
ჩემი იმერეთის მტვერი,
მოცვის ყვავილი და მარწყვის,
ზამთარით დაუკარგავს ფერი,
ახლა ტკივილები აწვიმს.
ხვანის ხის ტოტების შრიალს,
შოპენს ვადარებდი მუდამ,
შმაგი, კლდის ღელეთა ღრიალს,
მოგონებებში ვბუდნავ.
თოვლი ქათქათა და თეთრი,
ძირულის გაყინულო ენავ,
გჯეროდოს შენა ხარ ჩემთვის,
მამა და დედა ენა.
ლამაზად მოვლილო ეზო,
გიცავს მთა მეფურად,
იქნება მეც შემაქეზო,
ცა თავზე რომ მეხურა!

არწივი

(თემურ წიკლარს)

ფანჯრები, გააღეთ ზეცაში,სული სხეულიდან გავიდა...
ჟამთასვლის დროის კეცვაში, დაბლა მარცვალივით ჩავიდა.
აპრილის ჯეჯილად იფეთქებს, ამოვა ხვავსა და ბარაქად...
თუ მუხად ამოიხეთქებს, იმ, მართვეს არწივი დააქვით!

წამიყვანე უშგულში
(ეთერ ჭელიძეს)

გულში უნდა ჩაგისვა, ვით პატარა ბეღურა.
სითბო თუ ქნა მაისმა, გიმასპინძლებ გლეხურად.
წაგიყვანო სოფელში, გავიხსენოთ ბავშობა,
სოკო ვძებნოთ ფოთლებში, სხივით მზე რომ აშრობდა.
ხვანში სულ სხვა ხალხია, ტყის ბუნებაც იღვიძებს...
მთა კი გრძნობის არხია,მკვდარსაც გამოაღვიძებს.
სანაცვლოდ კი უშგულში,წამიყვანე ეთერი,
ვძებნოთ სულის უფრსკულში...ლექსი თოთო ნეკერის.

დამაგვიანდა
(ეთერ ჭელიძეს)

დამაგვიანდა, მაგრამ შენზე ვლოცულობ ეთერ,
შენა ხარ ჩემი სამრეკლო და გულის ედემი,
ეთერ ჯობიხარ, თავნება და აფოფრილ ვერძებს,
უნდა გჯეროდეთ, ასეთია ქალი ეთერი.
საქართველისთვის, რეალური ამორძალია,
შეუპოვარი, ნიჭიერი, სანდო კედელი...
სვანეთის მთებში გამოზრდილი ეს ის ქალია,
თავის შვილივით რომ ლოცავენ ბევრი დედბი.
რა საბრალოა, ვისაც მისი სულის არ ჯერა,
რადგანაც ვხედავ, ბევრი არის ურწმუნო თომა...
პოეტმა ქალმა, თუ ღილივით გულს დაგიკერათ,
მისი ჰობია, მეგობართან ბოლომდე დგომა.
დამაგვიანდა,მოფერება იუბილარო,
შენ საამებლად, სულით ბოროტს კლავი მოვკვეთე...
მე გადავიხდი, ერთგულების ბოლო ირაოს,
სიკვდილამდე ვარ, შემოგფიცავ, შენი მოკეთე!

ხვთაება არდი

ნეტავ თუ არ ვესიზმრები იას,
მის ნაზ სურნელს, დღე და ღამე
ვნატრობ...
ადრიანად ავედევნე ნიავს,
გული ისევ, ქარმა არ დამფატროს.
ნატვრის ხეზე შევახვიე ბაბთა,
და ვინატრე, სიამაგის ფასი...
გაზაფხულიზე სინანული არ ვთქვა...
გამოვცალო, სიყვარულის თასი.
სიმდირეა, ჩემთვის ტყის ენძელა,
ია-ია შროშანი და ვარდი,
მათი ნახვა, დღეს თუ გამიძნელდა,
ხვალ მანახებს,მწამს ხვთაება არდი!

გაყინულ დროში

ლამაზ საყურეს ატარებს თხილი,
საკმაოდ გრძელს და ყვითელ
კუნწულებს...
მთის ღელეები იწყებენ ჭიხვინს,
არ ეგუება თევზი წურბელებს.
მწვანემ დაფარა ტყე და ბილიკი,
ქარი სიბნელეს,საცერში ცხრილავს,
ღრუბელს მოწყინდა,ქარის ქილიკი,
ცის სასახლეში დაიწყო ხვრინვა.
დღის სამყაროში მეც გაზაფხულის,
ვამოგზაურე სული ცისკართან,
მიწა მაქვს ჩემი ხელით დახნული,
ცათა სულებო ყველა მიყვარხართ!

შენი გულისთვის

შენი გულისთვის, რას არ შევძლებ,ჩემო პატარავ,
შენით თენდება დილა ჩემთვის,სხივის ალერსით...
სულ გელოდები ღიას ვტოვებ, სახლის ფანჯარას,
შენ გამიმრავლე, სახლის ყურე არემარესი.!!!

წიწილა

წლები გზრდიდი წიწილა, კაკა--ბაბას გჩუქნიდი...
მზე რომ ზეცამ იშვილა, იმ დროს, გულში გფუთბიდი.
არ, გაკლებდი არაფერს, თუ კი რამე შემეძლო,
შევებრძოლე ქარაფებს... ყინვისთვის რომ გაგეძლო.
შენ იყავი უენო, წიპწიპობდი გზადაგზა...
ახლაც სხვებს არ მიენდო, თუ დაგჭირდე მზადავარ!

ულექსოდ

ვერ დავიძინე ულექსოდ და უცებ მოდის გზავნილი...
ზოგი ძალიან მაქებს და ბევრია გვერდით გავლილი.
ეს ჩემი სულის ჭურჭელი, არის სიკეთის მარცვალი...
ხე გახდა ძირმოუჭრელი და არა მუხის ნაცვალი.
ფიქრობს მომავალს რა მისცეს,ფული თუ სკამზე ოცნება,
ანდა სულ ფრენა ცის სივრცეს, ან ფუჭად დროის მოცდენა.
სულელს საერთოდ არ სჯიან,ჯობია გონით მავანი,
ძირის ფესვიდან განსჯიან, ვინ არის შთამომავალი!!!

სიზმარი

არ გაგიკვირდეთ, ის რასაც ვიტყვი,
სიზმრად ვიხილე, ზღვათა ფოფინი...
ცას ვნახე ბევრი, სულელიც, ბრიყვიც,
ვნახე, უფლისგან უარყოფილიც.
შევშფოთდი, ნუთუ არავინ კვდება,
სამოთხეც იყო,სადღაც შორეთში,
სიკეთის მქნელი, ალბათ იქ, ხვდება.
ბოროტი რჩება კუპრის მორევში!

სიყვარული

სულ მწირ სითბოს, სიტყვით მაინც ველოდები,
ცრემლებს ვიწმენდ, თვალებიდან
გამოჟონილს...
გულზე მაწევს ტკივილების ის, ლოდები,
ყველას ტკივილს, ერთიანად გადაწონის.
ველოდები, შრომის შედეგს, განა ოქროს...
ბრმამაც მინდა დაინახოს დასანახი...
სადღაც სკივრში, რატომ უნდა შევინახო,
მე შევქმენი, სიყვარულის ალმანახი.
პერსონაჟი ყველა არის,წმინდა სულის,
ამტანობით, ერთი ორს თუ გამოვარჩევ,
სიმშვიდეა, დღე არ არის, ქაოსური,
სიყვარულით სიცოცხლესაც გადაარჩენთ!

სულის საკვები

ღირს კვლავ სიცოცხლე, როცა სხვას აამებ...
სულის საკვებად, მზეს ჩაუსახლებ...
და სამერმისოდ,სიცოცხლის იმედს,
საკმეველვით, გულზე დააკმევ!!!

სიძულვილი

მუჭით გამარჯობა მითხარი,ძვლებმა რახარუხი
დაიწყო...
ეს დროა უკითხავი თუ, კოსმოსმა დედამიწა
დაიპყრო.
დაღამდა... მე კვლავ, ძილს ვაფხიზლებ...
გეძახი...წარსულო, ქათათვეს...
ვერ გნახე, საით გაგახიზნეს,
ისევ შენი სითბოთი დამათბე.
ეს რა უხიაგო დრო არის,
დედა შვილს ფიქრით ეხვევა...
სიყვარულს, თვალი ვერ მოვკარი,
გული-გულს აღარ ეხება.
მუჭი ლიდერობს ქუჩაშიც,
ნათესავს ვუყურებ შორიდან,
მიდის დრო, ჩურჩვა-- ჩურჩვაში,
ერთი გადარჩება ორიდან.

ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი !!!

სამუდამოდ

ამ დღემ უნდა, მაგრძნობინოს შვება გულის,
რადგან ბევრი, სიკეთე მსურს გავაკეთო...
საქართველოვ, ტკივილით ხარ დანაღმული,
ბევრჯერ ვფიქრობ,ამ წვიმებში რა ვაკეთო.
მაგრამ ისევ შევავედრებ მამულს უფალს,
იმ წუთშივე, მემატება, ძალა თითქოს,
მოვესწრები, ჩემს სამშობლოს თავისუფალს
და წინასწარ, გული რატომ გავითუთქო.
რწმენის სამოს შემოვიცმევ,სასიცოცხლოდ,
რა სჯობს იმას, ვინმეს გულს, რომ გავახარებ,
ჩემში ვცდილობ, პესიმიზმი გამოვრიცხო,
სანამ ძალმიძს, ეშმას როგორ ვახარხარებ...
უნდა შევძლო, ხალხში კვირტი გავაღვიძო,
თბილი სიტყვა, მივაშველო სულის საზრდოდ,
პესიმიზმო, შენ რომ აღარ გაიბღინძო,
სამუდამოდ,ხრამში უნდა გადაგაგდო!!!

ალბატროსივით

შენ რომ გეტკინა, ვერ ავიტანე,
ვიფიქრე, სითბოს, მალამოს მივცემ...
არც დაიჯერო, გადავიტანე,
სევდის თვალები შორიდან მიცქერს.
შენი ცრემლების ზღვაში შევცურე,
ჩემს წინ ცურავდნენ დარდის გედები...
მერე კვლავ, ფრთები ავაფათურე,
გადაიშალა მთათა ქედები...
ამ საოცრებით გაკვირვებული,
სიტყვის მალამო მოგეც დარდიანს,
ქარი დაქროდა გაავებული
და ის ღრუბლები, ვის არ ბარდნიან...
ალბატროსივით შევინავარდე,
თუმცა არ იყო ფრენა ადვილი,
ბედის ღრუბლები, ვეღარ იავდრებს,
რადგან იფეთქებს, რწმენის აპრილი!

ველოდები

ველოდები ,,სურპრიზს“ისეთს,
ვარსკვლავების ცვენას სახლში...
ცას ქათქათას, ლურჯს და რძისფერს,
დავისვენებ მხოლოდ მაშინ.
გაქრეს მტრობის ბატონობა,
ხარმა მიწა გამომიხნას,
იმ წლის არ მსურს მოგონება,
იმედი რომ გამომისხლა.
აბიბინდეს, აფოფინდეს,
ჯეჯილივით, ძმების სახლი...
მოფორება კვლავ მომინდეს,
ფიქრის კედელს თავს, რომ ვახლი.
მომიკითხოს მოყვარემ და...
მტერი დამხვდეს ქედმოხრილი,
მგზავრს მოკითხვას ვაბარებ და...
ყველასთან ვარ ვალმოხდილი.
თვალი როგორ მეცოდება,
სიმწრის ცრემლი აღარ წამსკდეს,
დარდი დამრჩეს მოგონებად,
მეც ამაგი დამიფასდეს.
როდის უნდა გავიხარო,
ერთხელ იგრძნოს შვება გულმა...
მეც მსურს გადავიხარხარო,
დარდმა გული გამომგულა.
ხარის წელო, შეგაგებებ,
გოზინაყს და ტკბილეულებს...
შენ კი უფალს შემავედრე,
რომ ნათელი ქონდეს სულებს.
ჯეჯილივით როგორც ყანა,
გამიმრავლდეს, აქ, ყოველი...
ვინც რომ ღმერთი ათაყვანა,
დაიფარავს ხვთიშობელი!

მიყვარს

მე, ცა მიყვარს, ცა, ლურჯი და მშვიდი,
ღამის მთვარე, ვარსკვლავების ცვენა...
გული მიყვარს,იმ დიდ ცაზე დიდი,
დარდი გზა-გზა, თუ არ ამედევნა.
მიყვარს ცვარი, ვერხვის რტოთა კვირტის,
მუხის ხე და ვაზი ქართულ ჯიშის...
ჩემს გოჯ მიწას, როცა დავაკვირდი,
მტრის ბანაკში აგრძელება ვიშვიშს.
ვწუხ ჩემს ხელში, როგორ გარდიცვალა,
მამული და გავაგრძელე გლოვა,
ესეც ამ დრომ ისე ინაცვალა...
ნეტავ ჩვენთან აღარასდროს მოვა???

დუმილი

დუმილში მეტი დარდია,
თუ ამბობ, გულიდან გეშვება...
ქუჩაში დუმილით დადიან,
დარდიანს, სახლის გზაც ეშლება!!!

მატრონე

თუ, მგზავრობის, დროს ამიდი წახდეს,
და უცებ იგრძნო, არ ჩანს სინათლე...
თუ, გაგიჭირდა, წინ უნდა დაგხვდე,
ჭექა-ქუხილში, გზა გაგინათდეს.
ქარიშხალმა თუ თოვლში მიგნამქრა,
ღმერთს შევთხოვ, სხივით ყინვა გაელღოს,
შემხედე, მადლის სიტყვებს გიქარგავ,
არადა უფრსკულს პირი დაეღო.
გადაგარჩინე, მაშინ როდესაც,
სხვის ნაყიდ სახლკარს დაეპატრონე,
დაფიქრდებოდე,იქნებ ოდესღაც,
გაიჯეჯილე, ჩემო მატრონე.
ერთხელ კი თოვლში მოხვდი ბეჩავი,
არა და იმ დღეს, სითბოს ელოდი...
ქარი გაავდა, თმების მჩეჩავი,
გიშველე, შარში გაეხვეოდი.
თუ სასწაული,შენს თვალწინ მოხდეს,
მუხლი უჭრის და გასწრებს ხნიერი...
შურით მატრონა არ უნდა მოკვდე,
არც შეიცვალო სახის იერი.
ხან წვიმებია, ტალახი გხვდება,
ასეა, მუდამ ვერ იბატონებ,
ზოგი უაზროდ,სხვის შურით კვდება,
უნდა სიკეთე, თესო მატრონე,!!!

შეგისრულდება

მზეს დაემალე, კანს თუ დაგფუფქავს,
ყინვაც სულ არის, გულის მხუთავი...
თუ სიტყვას, იტყვი, აღარ გადათქვა,
სიმართლე ყველას, პირში უთხარი.
ჩავლილ მდინარეს, ვერ დაეწევი,
არ მობრუნდება გასული წელი...
და თუ სულ მარტო უღელს ეწევი,
უფლისგან რწმენით, თუ შველას ელი...
აუცილებლად გაზაფხულდება,
გაგიკვირდება,ხეთა კვირტობა,
ყველა ოცნება, შეგისრულდება,
დრომ თუ კი უკან, ჩამოგიტოვა!!!

ასეთებია

მდინარის ტალღას, ნუ გაყვები უმისამართოდ,
ბრმად სიარულის გამართლება სადა ყოფილა...
მე კი პირიქით, ჩემი გემი უნდა გავმართო,
სიკეთის თესვით, ჩემი გული დაკმაყოფილდა.
თვალს არ დახუჭავს, ჩემი სულის ლამპიონები...
მონობის უღელს, არასოდეს მხრებს არ დაიდგამს...
ასეთებია, ხარის ჯიშის, მაყრიონები.
თუ დამარცხდება, კვლავ სიცოცხლეს, იწყებს თავიდან.

არ დავიჯერებ

თმის ღერებივით, ბევრია ის რაც,
მამაკაცების გულს, რომ გაცელავს,
ფერი არ ადევს ქართველ მამაკაცს,
თითქოს გამხდარა,ყველა ცალხელა.
განმკითხველები, მომრავლდნენ მათი,
რა მაქნისიას, სიტყვით ამკობენ...
ვგრძნობ, მათ ტკივილს და მაქვს ყველას ხათრი,
დარდით როგორც ხეს, გულს რომ აპობენ.
არ დავიჯერებ, რომ არ უყვარდეთ,
ცოლი, შვილი და ან ნათესავი,
სადარდებელი, ვგრძნობ, რომ ადარდებთ,
გზადაგზა მისდევთ, სიტყვის მგესლავი.
დრომ დააჩლუნგა,ჯიშით ქართველი,
იქნებ ცოტახნით ცოტა იკმაროთ,
მთავარი არის იყოთ ჯამრთელი,
მთავარი არის, გრძბობით იხაროთ!!!

რატომ

რად გაიბუტეთ კვირტებო,
თქვენთვის,ხომ თოვლი დავადნე,
სულის სამოთხის გვრიტებო,
მწუხრის მიზეზი, გამანდეთ.
მითხარით რად არ იშლებით,
რისთვის კანკალებთ, რატომ თრთით...
ვის უცდით ასე შიშვლები,
სადარდებელი ამოთქვით.
სითბო გაჩუქეთ, იმდენი,
მეგონა გაგახარებდით,
თქვენთვის, ყველაფერს ვითმენდი
და ყინვას არ გაკარებდით.
გიცდით და... ახლა თქვენ გაზრდას,
მოვესწრო... არა მგონია,
ზეცაც ძალიან, გაბრაზდა,
დღეს კოსმიური ომია!

განა მე შევჭამ???

ვაშლის ხის ტოტებს, ხელი მოვკიდე
და მწიფე,ნაყოფს კრეფა დაუწყე,
ხეს ბოლო ვაშლი,შევაწყვიტე და ...
ვდარდობ, ბარაქა, ხომ არ გავუწყვე?
განა მე შევჭამ??? სხვისთვის მჭირდება,
ხილი ტკბილი და სოფლის ნუგბარი...
ჩიტი ბუდეში თუ მოფრინდება,
თავი არ იგრძნოს, როგორც სტუმარი.
დავტრაილდები, სუფრას გაუშლი,
ნაირ-ნარებს მივართმევ წამში,
თუ გაფრენა სურს როგორ დაუშლი,
ჩიტის ბუდეში, ჩემს ლოგინს გავშლი!!!

სულ წაიღეთ

თქვენ არ გეტკინოთ გული არავის,
მე ისეც ვიცი არ მომირჩება.
დავრჩები ასე, სევდის კარავი,
სანამ სიცოცხლე, გადამირჩება.
გააცამტვერეთ, უიმედობა,
გაიზაფხულეთ, სულ რომ ციოდეს,
ყველამ შეირგეთ, ტკბილი დედობა,
სახლიდან კვამლი ამოდიოდეს.
სიმდიდრე, მხოლოდ შვილებია და...
შვილიშვილები, სულის წალკოტი...
სიხარულია მამიშვილები,
ფეხშიშველა, რომ ერთად დარბოდით.
თუ გადავრჩები, უკვე არ ვიცი,
ვცდილობ ვაჯობო, დროის ვამპირებს...
ფიქრით კვლავ, ჭრელი კაბა ჩავიცვი
და ბედთან ბრძოლას,ისევ ვაპირებ!!!

ვიცი ტყვიას მესვრიან

მინდა ყვალას, დავანათლო სიკეთე,
ამირჩიონ, ბოროტებმა ნათლიად...
გული ჩემი, რწმენით გამოვიკეთე,
სიავქალით,ნუღარასდროს დათლიან.
რომ იცოდნონ, რას ვგრძნობ, რასაც განვიცდი,
ყველა კრძალვით, გზას დამითმობს ქუჩაში,
მათხოვრისთვის, ჩემს ქურქს წამში გავიხდი,
უკანასკნელ თეთრს მოვძებნი უჯრაში.
დავაპურებ, გამოვკითხავ სადარდელს,
იმედს გზაში, გავაყოლებ, საგზალად,
მთელი ქვეყნის, სატკივარი მადარდებს,
მინდა მადლი დავარიგო გზადაზა.
ამიტომ მსურს, ვიყო ბევრის ნათლია,
გამოვკაფო, სადაც ეკლის ფესვია,
ამ სიკეთეს, ხვთის გზავნილად არ თვლიან,
ბოროტები მანც, ტყვიას მესვრიან!!!

ჭადრის ხის ტოტებში

მთვარე გაჩხირულა, ჭადრის დიდ ტოტებში,
კოდალამ ხეს დაჭრა გული.
ჩიტი აწრიპინდა, სევდის ხმის ნოტებში,
ხეს გლოვობს, გულდაფატრული...
ირგვლივ სიჩუმეა, ღამე გაისუსა,
დღე ელოდება ცისკარს...
თუ კი ყვავილებიც ყინვამ მომისუსხა,
მაშინ როგორ შევსვამ ცის ნამს...
გასწი, შენ კოდალავ, ვიწყებ წასვლის ათვლებს,
ისეც შორს მოგისვრის ეს დრო...
ღმერთო, ღვთის სიკეთე ყველას დაანათლე
რომ მე კვლავ ვიღაცას ვენდო!!!

გულის სამოსასხლოში

გულში ხართ, როგორც თბილი ზაფხული,
ემიგრანტებო, გმირნო ივერთა,
დრო ჩაიკირა გამოქვაბულში,
დრომ ძვირფასებო, ვერ იგიორგა.
მად ყოფნას სტირით დღეს ისე, როგორც,
ყინვა რომ ტირის მზის სხივის ცრემლით...
წლებს შეაბერდა, რამდენი გოგო,
მაინც დადიან, ქართული კლდემით.
ზოგს სამკურნალო, ფული უნდოდა,
დის სიცოცხლე, რომ გადაერჩინა,
ზოგში ტკივილი, ჩუმად ბუდობდა,
რაღაც მიზეზით, წასვლა ერჩივნა.
დარდის მდინარემ, აღარ დაიკლო,
მე კი სუნთქვაც კი მესმის ახლოში.
ლია, ნონა და ჩემო მაიკო,
აქ, მყავხართ, გულის სამოსახლოში!

გამოვასახლებ

თუ გაგიჭირდეს შემეხმიანე ...
შენს საიმედოდ მუდამ მიგულე,
მოსვლას არასდროს დაგიგვიანებ,
მტრებმა ეგ გული, გამოგიგულეს..
დაუფიქრებლად, მართალს, ვმფარველობ,
შვილო, შენნაირს გულით დავიცავ...
ისე დინჯი ხარ, მართლაც მთა-ველობ,
დარდის სამოსელს ნუღარ ჩაიცვამ.
აჰა, წაიღე ეს გასაღები,
სულის და შენში შემომასახლე,
სანამ ფიფქივით, სულ არ დალღვები,
მტერს მაგ გულიდან გამოვასახლებ.

ჰოდა...

დღეს სიყვარულის, სანთელს ავანთებ,
რადგან ის წელი, თოვდა და წვიმდა,
მზე სხვანაირად გამოანათებს,
შავი ღრუბლები, გადაიწმინდა.
დღეს მე მოვისმენ საგალობელსაც,
ავაგალობებ გუგულს, ნაღვლიანს,
ერთგულებისთვის, ვიღებ ნობელსაც,
გული დარდისგან, რადგან დამღლია.
დღეს გაცოცხლდება, მკდრეთით ისინი,
ვინც რომ უდროვოდ, ცაში წავიდა,
ხვალის იმედით მაინც ვიცინი,
ჰოდა სიცოცხლეს, ვიწყებ თავიდან.

გამოიღო

ხელოვნების კლდის კარები გამოიღო,
თავისთავად, უშფოთველად, უწვალებლად...
სევდის ქარმა, ქვა და ღორღი წამოიღო...
მე ჩამთვალა, სევდამ თავის ახლობელად.
და მის შემდეგ იწერება პოემები,
შინაურად დავფათურობ სევდის სახლში,
შემორაგვა სიხარული ღობეებით,
სიძლიერე, დაინახა პოეტ ქალში.
ჩემი მეყო, დამანებოს ახლა თავი,
მზის სახლს ვეძებ, გამომიშროს სამოსები,
ჩავალაგე ჩემოდანი, მიცდის ნავი,
ვუმკურნალებ, გულს ბედისგან ჩამოსერილს!

ბედი ჩემი ნათესავი

წელს, დღე მისდევს, წუთისოფლის შარა-გზაზე,
უკან რჩება, ჩემი ყოფნის ანარეკლი...
ბევრჯერ ვფიქრობ, ღმერთი ხომ არ გავაბრაზე,
ბედმა მკაწრა, აკაციის დიდი ეკლით.
მოვეფერე, დაუყვავე სხვა რა მრქნა,
სიმწრით, ტუჩის მონაკვნეტი არ დამიცხრა...
მადლის თესვა, ჯოჯოხეთის ცეცხლად მექცა,
შვილთან ერთად, მამიშვილნიც გამომიცრა.
ასე ვცოცხლობ, გულს ნაჩხვლეტი ქინძისთავით,
დარდიანი გავაგრძელებ ბრძოლით ჭიდილს...
დაიღლება, -ბედი- ჩემი ნათესავი,
მოვწყინდები...არ ვაპირებ, რადგან სიკვდილს!

და იმედმა

გული როცა ცოცხალია, სურვილი აქვს,
რომ საამოდ გამოთენდეს ცისკრის დილა,
აციმციმდა,ვარსკვლავები ამ საღამოს,
და იმედმა, ისევ - ისევ გაიცინა.
ძველმა წელმა, სიალალით გამიღიმა,
ყველა დარდი, მზის სხივებით გააფიცხა...
ხვანის მთებში, ჩემ ბავშობამ იღიღინა,
ცრემლის წვიმა გააშრო და გადაფაცხა.
უნდა ვლოცო, ეს ქვეყანა ძველებურად ...
გაიხარეთ,ყველამ ერთად განურჩევლად.
არ შეგცივდეს,ოცნებების ჩიტ-ბეღურა,
თორემ გული, აღარასდროს მომირჩება.
რწმენის მზის სხივს,ყველას ისე დაგირიგებთ,
ისე გავყოფ, ნაწილ- ნაწილ, კონა- კონა,
დარდს რაც კი გაგვთ, დავფანტავ და გაგარიდებთ,
სიკეთე კი, ბოროტებას გადაწონავს!!!

სიყვარული

სიყვარული, ყვავილია მათრობელა,
ია არის, ენძელა და თოვლის ფიფქი,
ახალგაზრდებს, ნუ გონიათ ორცხობელა,
ბრძნულ ოჯახის შექმნას უნდა დრო და ფიქრი.
სიყვარული ფუძე არის ერთიანი,
ცოლი, ქმარი, შვილები და შვილიშვილი.
სიყვარული, ნუ გახადეთ ერთვიანი,
მოუარეთ, გაამრავლეთ, შვილთაშვილი.
სიყვარული დააპურთ, დააღვინეთ,
მაჭარივით ნუ იჭრებით, სისხამ დილით,
სიყვარული, გრძნობის ცეცხლით გააღვიეთ ...
შეისწავლეთ, სიყვარულის გაკვეთილი.
ყვავილივით სიყვარული თუ ჩამოჭკნა,
გაიხსენეთ ადრინდელი ტრფობის ალი...
ქალის გული სამართებლით არ ჩამოჭრათ,
მოღალატეს გამოფუფქაბს, ცოდვის ალი!

გასულ ზაფხულში

რომ მოვინდომო, კიდევ გადავხნავ,
მიწას უყსა და მარცვალს დავთესავ...
გასულ ზაფხულში, გვალვით გადახმა,
ვერ შევახვედრე, პური ნათესავს.
რომ მოვინდომო, დიდ მთებს დავიპყრობ,
სადაც არავის, ფეხი დაუდგავს,
მგელს გაავებულს, ხელით შევიბყრობ...
მისი ლეში კი,კვლავ მხეცს გაგუდავს.
ჩემს ძალას ისევ, ჩემში ჩავახშობ,
მხოლოდ სანაცვლოდ,თქვენთვის იდაროს...
მე, მწუხრის ცრემლებს გავაშრობ,
ჩემი გულისთვის, რომ არ იდარდოთ!!!

რატომ გგონია

ყველა ბოროტი, როგორ გგონია,
დაფიქრდი, რწმენით, საყდარს ეწვიე...
დღეს კოსმიური, ბრძოლის ომია,
სიკეთის ტოტი გადმოიწიე.
რატომ აღიქვამ, ცხელ მზეს ღრუბლებად,
ნისლებს დაეძებ, სულის საკვებად...
ოცი წელია, ვარ ცალუღელა,
ბედმაც ისრებით დამსერ-- დამკეპა.
ნაკლს ჩემში ვეძებ, სხვასთან კი არა,
გავცემ და სხისგან თეთრიც არ მინდა....
თაზე გრიგალმა გადამიარა,
მთელი სიცოცხლე, წვიმდა და წვიმდა.
დავრჩი ისეთი, რაც ადრე ვიყავ,
მომავლისათვის, ვარ გაკვეთილი,
ბეჩავს არასდროს გვერდზე არ ვრიყავ,
მტისთვის გზები მაქვს გადაკეტილი!!!

ჩაყორნისფედა

ღამეს, დღის ცოლად, მოუნდა შერთვა,
გადაიწითლა მზემაც ლოყები.
გამოვფხიზლდებით თანდათან ცოტას,
თუ ცა და მიწა, გახდნენ მოყვრები.
შებინდებისას, ღამე დაღონდა,
ჩაყორნისფერდა... ზეცა კვლავ შავად,
ღრუბლის ლაშქარი, თუ კვლავ გაღორდა,
ღამე კვლავ კენტად ზეცაში წავა!!!

სიყალბე

ვერ ვპატიობ, ქურდს და ცბიერს,
სულის ცელვას, უნამუსოდ.
რომ შეიცვლის სახის იერს,
რომ არ უჭირს საამისოდ.
სულით მახინჯს, ვერ ვპატიობ,
ცბიერობით, რომ მიყენებს...
სიყალბით სურს რომ მატიროს,
ცდილობს დიდ გზას გამიყენოს.
ან რა შეცვლის სულით მახინჯს,
მელასავით კვალს, რომ წაშლის...
წაშლის თავის ნათხაპნ ნაბიჯს,
ქარაქუცა ფრთებს რომ გაშლის.
მელა, მელად დაიბადა,
მე თუ ბრმა ვარ... რა ქნას მელამ,
მელიები არსად ვარგა...
მიუხურეთ კარი ყველამ.

წელიწადო

იანვარო, შვება მომეც,
გულში ყინვა დაფათურობს...
დარდით ნუღარ გამაოცებ,
აღარ მირტყა რკინის ურო.
თებერვალში მზის სხივებით,
ააკვირტე ტყის შინდები...
ჩამომკიდე, გულს მძივები,
ავდარს ნუ შეუშინდები.
მარტში ატმის სურნელებით,
დამათვრე და დამაამე,
ირგვლივ ნაზი ენძელები,
ბუჩქის ძირში გადამალე.
ცხელ ზაფხულში, ზღვის პირებზე,
ხალხმრავლობა, იყოს მუდამ...
დავინახო ის პირიმზე,
ვის შეხვედრა ამ გულს უნდა.
იპატარძლოს შვილიშვილმა,
სიძეს ვეძებ სულით მდიდარს...
ადრე დარდმა თუ მიშვილა,
დამშვიდება მეც ხომ მინდა???

ამიმზიანებს

მოვაკალოვე, ფიქრის გორა, როგორ ხორბალი,
გავანიავე, გამოვცხრილე, დღე კვლავ ლოდინში,
დავატრიალე, წლები, როგორც დიდი ბორბალი
და გამოვნაყე, დღის წუთები ფიქრის როდინში.
დაკეტილია, ცხრაკლიტული ადევს, ხვალის დღეს,
არა იმედი, არსაიდან ისმის სიმღერა
და მე ჯიუტად, ცის ფანჯრების კარი გავაღე,
დედამიწაზე, უსამართლოს კარი იღება.
ბოლოს ისევე, ფრთხილად დაბლა ჩამოვტრიალდი,
კენჭი ვესროლე, სიჩუმეს და შევეხმიანე...
ქუჩის ბოლოში,ისევ იყო ორომტრიალი
და მაქვს იმედი მზე ხვალის დღეს ამიმზიანებს!!!

იბუტები

იბუტები იანვარო, არ ხალისობ,
ბუნებასაც თოვლი რატომ ენანება.
თავის დროზე, დრომაც უნდა იმაისოს,
ფანტელები რად არ ცვივა მანანებად.
ხარმა უნდა იჯირითოს, ხარის წელში
და ფლოქვების, თქაფათქუფში გამოვფხიზლდე...
გაზაფხულმა იყვავილოს ფერი-ფერში,
რომ მერცხლები, აივანზე შემოფრინდეს.

ყოჩივარდა

ალბათ ყოჩივარდას ვგავარ მართლაც...
მათოვს ყინვაა და მშვიდად მძინავს,
ბედმა გაძლეობაც დამანათლა,
ბედმა გულისპირიც გამიყინა.
მხედავთ, გავახილე მშვიდად თვალი,
თუმცა სევდა გულზე მაფარია,
ღვინით კიარა და დარდით ნამთვრალს
თქვენით სიცოცხლე კვლავ მიხარია.
მაისს ველოდები, სურნელიანს,
ვარდის კოკრები, რომ აფეთქდება...
იას ველოდები, ლურჯთვალიანს,
მწვანე ფოთლებით რომ დამშვენდება !!!

ბედმა

ზღვა ქვიშად, რომ გადაიქცეს,
ოქროსა და პურის მარცვალად...
სხვა დამასწრებს, რომც გავიქცე,
ჩემთვის ბედი არის ჯვარცმა.
ვწვალობ სულ რთულ პირობებში,
ჯაფით თავი გავაწვალე...
ცბიერება ცხოვრებაში,
კვლავ ვერაფრით ვერ ვისწავლე.
ლაქუც-ლაქუც, ღუღუნ-ღუღუნ,
წყვილ-წყვილებად დადის ბევრი...
ბედთან ვიწყებ, ბევრჯერ ბურდღუნს,
მინდა მქონდეს დიდი ქვევრი.
განა რამეს ვითხოვ ისეთს,
ან ვოცნებობ, მზის სასახლეს.
ოი, რამდენ ტკივილს ვითმენ,
როგორ მინდა შორს დავსახლდე.
მარტო ვიყო უღრან მთებში,
მსურს მესმოდეს, მთების ენა.
ზოგჯერ, დავრჩე მარტო ჩემში,
და ვისწავლო ჭირთა თმენა.
დღისით შეშა მოვაგროვო,
გავთბე ღამით ფიჩხის ცეცხლით...
სულ ცოტა ხნით დრომ მადროვოს,
არ მჭირდება ოქრო, ვერცხლი.
ცისკრის დილამ გამიცინოს,
ავყვე სხივის ლამაზ მაყრებს...
მათთან ერთად მეც ვიფრინო,
სამუდამოდ ცას არ გავყვე.
და თუ ზოგჯერ ბარს ვეწვიო,
შარას არსად ვიღანღალო...
გული ისეც დარდით მეწვის,
სტუმრობით არ დაიღალოთ!!!

* * *

ბევრი უმარცვლებო თავთავია,
ზოგს კი ყვავილი აქვს შხამიანი...
ბევრი ურჯულო და აფთარია,
ბორგავს, ისე როგორც დარიალი!!!

მაინც ვიცინი

უსიცოცხლოა, იანვარი, თითქოს მთრალია,
უღიმღამოა, უჟმურია, ისევ საწუთრო,
ნეტავ და როგორ,გაგვითენებს, ღმერთი თებერვალს,
სევდით ნაწვიმო,ჩემო მიწავ, როგორ შეგფუთო.
შემომზიანდი, განთიადო, შუქის ციმციმით,
თორემ ეს სეტყვა,დაუნდობლად თავს დამტრიალობს,
დარდის თავშალი მახურია მაინც ვიცინი,
 უიმედობა, ჩემით უნდა გავატრიალო!!!

ველოდები

ველოდები „სურპრიზს“ ისეთს,
ვარსკვლავების ცვენას სახლში...
ცას ქათქათას, ლურჯს და რძისფერს,
დავისვენებ მხოლოდ მაშინ.
გაქრეს მტრობის ბატონობა,
ხარმა მიწა გამომიხნას,
იმ წლის არ მსურს მოგონება,
იმედი რომ გამომისხლა.
აბიბინდეს, აფოფინდეს,
ჯეჯილივით, ძმების სახლი...
მოფორება კვლავ მომინდეს,
ფიქრის კედელს თავს, რომ ვახლი.
სავსე იყოს მარგალიტით,
ცოტა ოქროც შეურიოს...
და დროც იყოს განაფილტრი,
ხალხი არ გადამირიოს.
ბედობის დღეს გავახარებ,
ოქროს მივცემ, ქვრივს და ობლებს...
ღარიბს გადავახარხარებ,
ცრემლს შევუშრობ მტირალ მშობლებს.
ბედმა სული დამიტოვოს,
უმწიკლო და სულ მთლად სუფთა...
მდიდრებს ჩემს თავს გავუტოლებ,
სხვაზე სწრაფად გავშლი სუფრას!!!.
მომიკითხოს მოყვარემ და...
მტერი დამხვდეს ქედმოხრილი,
მგზავრს მოკითხვას ვაბარებ და...
ყველასთან ვარ ვალმოხდილი.
თვალი როგორ მეცოდება,
სიმწრის ცრემლი აღარ წამსკდეს,
დარდი დამრჩეს მოგონებად,
მეც ამაგი დამიფასდეს.
როდის უნდა გავიხარო,
ერთხელ იგრძნოს შვება გულმა...
მეც მსურს გადავიხარხარო,
დარდმა გული გამომგულა.
ხარის წელო, შეგაგებებ,
გოზინაყს და ტკბილეულებს...
შენ კი უფალს შემავედრე,
რომ ნათელი ქონდეს სულებს.
ჯეჯილივით როგორც ყანა,
გამიმრავლდეს, აქ, ყოველი...
ვინც რომ ღმერთი ათაყვანა,
დაიფარავს ხვთიშობელი!

* * *

მოგილოცავთ, გიორგობას ყველას ერთად,
სათითაოდ ლექსი როგორ დამეწერა,
ჯამრთელობა, სიყვარული, იყოს თქვენთან,
ღვთის ხატებთან თქვენთვის პირჯვარს გადვიწერავ.
გადღიგრძელებთ, შვილებივით ჩემიანნო,
დაგლოცავთ და ღვთის საჩუქრად დაგიგულებთ...
ვწუხ! ეს წელი, მსოფლიოში ჟინიანობს,
საქართველოს, ყველამ ერთად უერთგულეთ!

ლექსის ჯიხვი

(მამუკა ოჩიაურს)

მიძრღვნილ ლექსებს, არ მითვლიან,
ლექსი მიძღვნით თურმე ცუდობს,
მაშ, ჩემს გზებზე ნუ ივლიან,
კეთილები ჩემთან ბუდობს.
გავაკეთე საბუდარი,
დღეც და ღამეც დავფოფინობ,
ჩემი არის საკუთარი,
ლუკმას ყველას ვამყოფინებ.
ზოგი არის გენიოსი,
ზოგი ახლა იწყებს ტიტინს...
თავს დამყურებს ელიოზი,
მოსწონს თითქმის რასაც ვიტყვი.
მე ვატარებ გაკვეთილებს,
სიყვარულზე, თემატურად...
ზოგსაც ვიღებ ვარკეთილელს,
ლექსს ამბობენ ვაჟკაცურად .
ხვალ მივიღებ ერთ კარგ ვაჟკაცს,
საბუდრიდან აფრენილა...
დააჩოქებს ვატყობ ას კაცსს,
ლექსით ვიცნობ შარშანდლიდან.
მოვუსმინე, ლექსის ყივილს,
თითქოს ცემდა რკინის ურუოს...
მჯერა მომგვრის სახეს ღიმილს,
შვილად მინდა, რომ უყურო.
ყველას ვჩემობ, ქართველ შვილებს,
ვაძლიერებ გულის ტიხარს...
მამუკასაც მე ვიშვილებ
და მოვნათლავ, ლექსის ჯიხვად!

ბარბარობა

ბარბარობას მოგილოცავთ, დღეს აღარ წვიმს,
მსურს სიკეთე,მიმოვფანტო, ირგვლივმყოფთა,
მთელი გულით, ერთგულებას გადმოგაწვდით,
თუ რამე მაქს, ნამცეც- ნამცეც დაიყოფა.
უნდა ვლოცო,საზღვრებს იქით დაფანტული...
ბედისწერავ, გული აღარ დამირთვილო.
დედის ნატვრით, შვილს გული აქვს დაფატრული,
შორს გამხდარა,ერთი დიდი საქრთველო!!!

გამითენდეს

გამითენდეს, ისეთი დღე გამითენდეს,
მზე წვდებოდეს, ჩამოსევდილ ჩემს ფანჯარას,
სანამ ქარი, კვლავ დიდ ცოდვას ჩაიდენდეს,
სანამ ზეცამ თოვლი საბნად დამაფარა.
აზეიმდეს, აცისკარდეს, დილა მშვიდად,
გავახილო, გადაღლი თვალი, მზესთან,
თოვლს მივაკვლევ, ნაფეხურებს ქარი შლიდა,
არ მინდა, რომ ვიკამათო დეკემბერთან.
ბედისწერის წისქვილებთან, მაქვს ბრძოლები,
საზღვარი აქვს ამ ყველაფერს, ან როდემდე?
შემიმცირდეს, დარდიანი ეს როლები,
შეიძლება? ქარიშხალო, სულ მომდევდე?

წიფელო

ზამთრის სუსხში და ქარში,
წიფელო, რატომ შიშვლდები,
დგახარ, ყინვის დროს კარში,
და ზამთარს არ უშინდები .
გაზაფხულზე შენ თითონ,
კაბებს, იკერავ ფერადს,
მინდა, რომ ცეცხლი დაგინთო
.და მოგრთო ათასფერად.
რომ არ მაწუხებ არ ნიშნავს,
შენ არ გჭირდები კარგო,
მთის წყაროებიც დაგიშრა,
ან ნერგი რისთვის დავრგო.
ითმენ უჩუმრად, გიყურებ,
არ ითხოვ გულის საბანს...
ქარის დროს წამოიყვირებ,
ტოტებს ცრემლებით დაბან.
სამეგობროდ , ხელს გიწვდი,
კაბებსაც შეგიკერავ,
მთელი მსოფლიოს ვალს გიხდი,
მე მოგრთავ ათასფერად.
გამოგაზამთრებ ძვრფასო,
და მოგიცოცხლებ იებს,
გთხოვ ტანი არ გაიძარცვო,
არ გაუბრაზდე იმედს.!!!

მადლის თავშალი

მადლის თავშალი ისევ მოვირგე,
ისევ გავშალე გულის კარავი.
თუკი რამე მაქვს უხვად ვარიგებ,
დარდი გამიხდა დაუფარავი.
მოდით წაიღეთ გულის წამალი,
იცით? უხვად მაქვს, თბილი სიტყვები...
ჩემი სიტყვაა, წრფელი, ალალი,
არ არის დროის განაბრიყვები.
რამდენი რამე უნდა დავწერო,
გარდაცვლილებზე, უნდა ვიზრუნო...
წლებო, დარდებით გამონაცრელო,
სიცოცხლე ჩვენით გავიფირუზოთ!

კოვიდი

ყველა თავისი ბედისწერით მიდის,
განვიცდი, სევდა რით ავწონო,
ცისა და დედამიწის ხიდში,
კოვიდი რატომ ბატონობს???

არ მომერიდოთ

დარდის გულისთვის, არ მომერიდოთ,
სევდა ბედისგან თითქოს დამჩემდა...
ჩემი გოლგოთა, მე უნდა ვზიდო,
ბოლოს არავინ აქ არ დარჩება.
მე ,,ცისკარელი,, მიტომ დავირქვი,
ფიქრით ზეცაში დავხეტიალობ,
ჩემით იმედი ისევ დავიფქვი,
ქარს ჩემი ძალით გავატრიალებ.
მე ისევ, მე ვარ, მადლის გამცემი,
სანამ მეც ცაში გავემგაზავრები,
თუმცა ბედისგან ძალზე ნაცემი,
გული მისგან მაქვს განაბზარები.
არ, მომერიდოთ, თუ კი დაგჭირდეთ,
გავიზიარებ, მე თქვენ დარდებსაც...
დედაბოძივით ხელი ჩამჭიდეთ,
გაგიმზიანებთ გულის ავდრებსაც.
არ, მომერიდო, მტერო, უგულო,
მე სიძულვილი, რაა არ ვიცი,
კვლავ რომ ეს გული გამომიგულო,
გზის ბილიკებზე მაინც დაგიცდი.
ჰოდა, ისა ვარ, რაც ადრე ვიყავ,
სანამ ვიცოცხლებ არ შევიცვლები,
თუმცა ამ ბედმა, მცემა, გამრიყა,
მე არასოდეს გარდავიცვლები!!!

დეიდაშვილი

(ანერი შუკაკიძეს)

დედმამიშვილი, დეიდაშვილი,
სულის და ხორცის ნაწილებია,
საყვარელია მამიდაშვილი,
ყველანი სულის არწივებია .
ანერი ჩემი დაიკო არის,
ასე გაგვზარდეს, ჩვენმა დედებმა,
ერთმანეთისთვის ღია გვაქვს კარი...
ეს, სიყვარული არც დაბერდება.
ასე გადავცევთ შთამომავლობას,
რომ ლუკმას ვყოფდით ნაწილ- ნაწილად,
არ ვკითხულობდით წარმომავლობას,
ცხოვრება ასე გაგვიადვილდა.
უფროსი და კი ეს, მე ვიყავი,
პარადი სოფლის თავად მიმყავდა.
ვერ გადიფრენდა შიშით ჭილყვავი,
ბღლარძა- ბღლურძუნი
მე არ მიყვარდა.
ანერი ჩემი კოხტა, ნაფცქია,
ლამაზი იყო როგორც ფერია,
ის ჩითის კაბა შვილს რომ აცვია,
ჩემი დეიდას, შენაკერია.
თვალწინ დამიდგა მისი ბავშობა,
ალალი იყო მართლაც გულწრფელი...
ადრე იცოდნენ, ნაღდი მაშვლობა...
ქალს ასდიოდა იის სურნელი.
ჩემმა ანერიმ შექმნა ოჯახი,
კარგი თბილი და ყველას საქები...
სიყვარულს ყოფნის ერთი ოთახი,
ის არ იქმნება სხვისი დაკვეთით.
იუბულე აქვს დღეს ჩემს დაიკოს,
ჩემთვის პატარა, სხვისთვის დიდია...
მისმა გუჯიკომ წაღვლი აიკლო,
სანათესაოს გზა და ხიდია.

საფულე

წვიმს და ნაბიჯებს ავუჩქარე,
ვსველდები, ქოლგაც არა მაქვს,
საფულე ვნახე და დავიხარე,
მდიდრის დაკარგულს არა გავს.
გავხსენი, უცებ და...რას ვხედავ,
თანხაა, თანაც რამდენი,
ამას მე არასდროს გავბედავ,
ფული საფულეში ჩავდევი.
მივჩხრიკ- მოვჩხრიკე, საბუთები,
ფურცელზე ვიპოვნე ნომერი,
ფიქრებით დიდ ქუჩას გაუყევი,
ვინ იცის პატრონი მიმელის.
დავრეკე, ქალის ხამამ მიპასუხა,
ვინ გნებავთ? ხმაზე ვერ გიცანი...
ტანში გამცრა და დამსუსხა,
მგონი პატრონიც ის არის.
იცით? საფულე ვიპოვნე,
რაო, ხმა შეწყდა აკივლდა,
იქ, მქონდა რაც ოდეს ვიშოვნე,
წაიღე, მე უკვე არ მინდა.
სად გნახო? ფულს როგორ ავიღებ,
და ქალის თბილ სიტყვებს ვიშორებ...
რას ამბობ, მადლი მე გავიღე.
ჩათვალე შენ ბევრი იშოვნე.
მივედი, ქალს ეცვა ძონძები,
დამჭკნარი ტუჩები უთრთოდა...
ღვთითაა ეს ნაბოძები,
ეს უფალს შენთვის უნდოდა.
პენსია წლებით რომ ვაგროვე,
ეს ფული მე თითონ დავტოვე,
არა ვარ თანამედროვე,
მე ახლა სულ ჩქარე დამთოვებს.
ეს, შვილო, უფალმა გაჩუქა,
წაიღე დახარჯე, შეირგე,
მე უკვე დარდებმა გამქურდა,
მადლს რად ვცემ, ამას ვერ გაიგებ!

დეკემბერი

დეკემბერია, ნისლებში ჩაფლული,
სევდის ფერებით ირთობა სამყარო.
საქართველოა, ღმერთების ნათლული,
ქართველო, ფარხმალი არასდროს დაყაროთ.
იმედის ფთილები მე უნდა დავართა,
მოვქსოვო, ლამაზი წინდები ყველასთვის,
იმედი თვით ზეცას ძალათი წავართვა,
სანაცვლოდ სიმშვიდე, თითეულს მოგთხოვოთ.
სიყვარულს, ჩავაქსოვ, პიჯაკის ხალათში,
ფთილებით თბილ ქურქსაც,მოვქსოვ და დავქარგავ,
სიყვარსულს ჩავაწყობ, სათუთად კალათში,
ღვთის იმედს ქართველნო, ნურასდროს, დაკარგავთ!

მაპატიეთ

მაპატიეთ, თუ კი ზოგჯერ
შვილიშვილის ფიქრთან ვიყო,
ტკბილი სიტყვა სხვისთვის ვზოგე,
ყველა მინდა კარგად იყვნონ.
ჩემი გულის საძველეა,
ბევრჯერ თავის ლუკმას მიყოფს,
თბილია და იმედია,
ასი წელი კარგად იყოს.
რა არ იცის, რას არ შექმნის,
დარდის გულის წამალია,
საქმეშია ყველგან ,,შეფი,,
მოიცალოს, მთავარია.
დღევანდელ დღეს დაიბადა,
თეთრი ფრთილა, ნაზი გოგო,
გაიზარდა, გადიბარდნა,
ჭკვიანია თანაც როგორ.
კეთილია გამმეტია,
ზრდილობით და ნიჭით სავსე.
გულში მიტომ დამეტია...
როცა მიჭირს წამალს მასმევს.

იმედი

იმედით იცოცხლე, დიდო და პატარავ,
იმედით შეავსეთ, ყოფითი დღეები...
იმედმა მე თვითონ აქამდე მაატარა,
ამ იმედს ღვთის რწმენით, უღელში შევები.
და გირჩევთ, ნამდვილად ასეა საჭირო,
სისუსტეს, თან ახლავს, გლოვათა სამყარო...
იფრინე, იმედის გუგულის არწივო,
თქვენ ჩემო, ჯიშის და ფესვების ნაყარნო.
დღეს ისევ მომინდა იმედით აგავსოთ,
საერთოდ არავინ, არ მინდა შეშინდეთ,
ცრემლების ავდრებით, გული არ დაახრჩოთ,
თუ, ცურვა არ იცით, წყალში არ შეხვიდეთ!

მე ამ გზაზე დავდივარ

სიყვარულის მთაველებს,
ბღუჯა-ბღუჯა ვარიგებ...
ღობეს ისე გავავლებ,
ეკლებს არსად დაგიგებთ.
მე ამ გზაზე დავდივარ
და თუ მოგწონთ მომყევით,
გზიდან არ გადავდივარ,
ვეძებ, არ ჩანს მოყვრები.
როგორ მიყვარს იები,
შროშანი და ტყის ვარდი,
ხვანის ტყეთა მთიები,
მთების ეკალ- ბარდებიც.
ის ეკლები ჯობია,
სულით მახინჯს ყოველთვის,
არ პატიჟობ მორბიან,
და აქვთ მიეთ- მოეთი!

რამდენს ჯობიხარ

(განთავისუფლდეს ლევანი)

ვერ მოგიწონებ თუმც იმ საქციელს,
რაც უკვე შენი თვალებით ნახე...
ის დღე ტკივილად გადააქციე,
შენს თავს თვითონვე დაუგე მახე.
რად არ ფიქრობდი გამზრდელ დედაზე,
რომელსაც შენთვის უთენებია,
შეუნახია შენთვის ზედაშე...
ლოდინში ჩაცმულს მიძინებია.
თუმცა გამართლებ ალალო ბიჭო,
უბოროტო და გულით ალმასო.
დედის წინ თუ კვლავ გადააბიჯებ,
ვერ გაიცილებ ბინძურ ტალახსო.
პროტესტის ნიშად თავი გაწირე,
ყველას სათქმელი ერთმა წარმოთქვი,
სიტყვით აჯობე ვითომ არწივებს,
ხალხის სათქმელი, რისკით გამოფქვი.
თავისუფლებას მოგცემდი მაგრამ,
რამე ფასი აქვს, განა ამ სიტყვას...
ჩემს სათქმელს აგერ,
თეთრ ბოძზე ვაკრავ,
მართლის
მთქმელები ძალიან მიყვარს.

ის წარსული

(ნანა მომცელიძეს)

სიყვარულის მარგალიტებს გაჩუქებ,
ერთგულებას გზაში საგზლად გაგატან.
შეგიკერავ, ხელით ლამაზ ბაჩუჩებს,
დარდს რაც გქონდა, ბუმბულივით გავფანტავ.
შენს გზას მოვფენ, მზეთა სხივებს საუნჯედ,
დაგილოცავ, ნაბიჯს ბედნიერებით,
ის, წარსული, დაივიწყე, გარუჯე,
გაატარე წლები ფერებ-ფერებით.
ასე კარგი დედამ, როგორ გაგზარდა,
ნაკლი ვძებნე, შენში ვერსად ვერ ვნახე,
დღეს თუ კი დრო, უბედობით გაბრაზდა,
ხვალ მეუღლე, დიდ სიყვარულს განახებს.
უფლის შვილო, განძო, მარგალიტისავ,
სილამაზით გაზაფხულის სადარო...
დედო ზარო, სულით გალაქტისავ...
ქალღმერთს მინდა ნანა, რომ შეგადარო!

მწირი ბარგი

მერე რაა, ბედი მჯობნის,
მერე რაა, ბრმაც ბევრია ...
ყველგან არის მჯობნის- მჯობნი,
განა ყველაგან სულ მღერიან.
არ მაჯობონ, ღმერთმაც ნუ ქნას,
და მე ვიყო, მარტო კარგი...
მარტო ვმართავ, სიკეთის ნავს
და შიგ მიდევს მწირი ბარგი.
გონი ჩემი საკუთრება,
მკლავი ჩემი ნიჩბისათვის...
სისხლი თუ არ გათეთრდება,
არ დავზოგავ, ლუკმას სხვისთვის.
დავისაჯე ადრეც თუმცა,
არ ავყევი უმადურებს ...
ჩემი გული არის სუფთა,
არ ავყევი სხვის დუდუკებს.

მერე რაა, გულში დამჭრეს,
ეგონათ რომ მოვკვდებოდი,
ჯაგანივით ბევრჯერ ამჭრეს,
მათი ტოლი არ ვხდებოდი.
ჩაიარა, წყლის მდინარემ,
ამღვრეულ მტკვარს თევზიც გაყვა.
არ ვიყავი მე მძინარე,
თევზს მიდევდა ტურა მაყრად.
რა გამოლევს, მგელს და მელას,
ან მაჩვსა და ანდა ტურას.
კვლავ სიკეთე ვთესოთ ყველამ,
არ ვიცხოვროთ სხვის მაცდურად.
ვახმარ მაჯას, სიკეთის ნავს...
და ჯერ დაღლა არ მეტყობა.
ნაპირზე კი ნერგებს დავრგავ,
ჩემს მომავალს თუ ეყოფა!

ხურდას დაეძებ?

მშვიდათ ცხოვრება, არის სიცოცხლე,
დილის მზეა და ღამის ვარსკვლავი,
ხარბო, ხარივით ამოიცოხნე,
თითქოს იყავი იმ დღის საკლავი.
შენი ცხოვრება ფორიაქია,
გაქ და მიილტვი რომ კვლავ იშოვნო.
შენთვის ფულები გულის არხია...
ხურდას დაეძებ ძირს, რომ იპოვნო.
დაფიქრდი გახდი უფლის მმოსავი,
ვინც გინდა იყო, ჩემთვის ერთია.

გინდაც ვაჭარი, გინდაც მგოსანი,
მდიდარი მხოლოდ დიდი ღმერთია.
ნიჭით ტრაბახობ? ეგ უფლისაა,
ფული იშოვე? ეგეც მისია...
ბოლო სასახლე მხოლოდ ხისაა,
სურათი შენი დიდი ქვისია.
ქონება გინდა? მოგცეს უფალმა,
მილიონები თავზე იყარე...
მე ჩემი ერის ჭირუსუფალმა,
შენნაირები ვერ შევიყვარე.

ემიგრანტის ნატვრა

ნეტავ როდის გათენდება დილა,
საქართველოს ზეცა, რომ ვიხილო...
ქართული მზე სხვანაირად ბრწყინავს,
მონატრება, როგორ დავითმინო.
ეხ! რა იცის მამიკომ და დედამ,
რას განიცდი, როგორ მინდა ვნახო,
სიზმარშიაც საქართველოს ვხედავ,
მინდა მიწებს ჩემი ხელი ვახლო.
მოვეფერო წყაროს, პაპის სახლთან,
ვუჩურჩულო, რომ ვარ მისი წიბო...
ემიგრანტი, ფიქრებს ძილშიც ვხლართავ,
საქართველო, ყველა მხარეს მიჯობს.
პაპის საფლავს, ია-იებს დავრგავ,
ლამაზ ვარდებს გულზე გავუხარებ...
შევიყვარებ ქართულ ჯიშს და ნაგრამს,
დავიწყებას ფიქრს არ გავაკარებ.
საქართველოს მიწა არის ჩემთვის,
ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტის თვლები,
გული რას გრძნობს,ბავშვი ვარ და ვერ ვთქვი,
მენატრება, საქართველოს მთები.

სიმარტოვე

* * *

გავათენეთ ერთად ღამე,
მე და ღამემ საუბარში.
ისიც ყვება დარდის დრამებს,
დავრჩით სიტყვით ბარიბარში.
მეც ცოდვა ვარ, ღამემ მითხრა,
გაურბიან ჩემთან ყოფნას,
საიდუმლო ვერსად მითქვამს,
და ამიტომ, ხშირად ვშფოთავ.
შემეცოდა რაღა მექნა,
მარტოდ ფიქრთან ვერ დავტოვე.
ღამეც იქცა ერთ თბილ ლექსად,

შეხედეთ სურათს

(ხატია ცოტნიაშვილს)

შეხედეთ სურათს, მის თვალებში ჩაიძირებით,
გულის სარკმელისულ ღია ააქვს, სხვათა საამოდ...
გაზაფხულია, ულამაზეს დღის აპრილებით,
ამით მე მოვრჩი ხატიაზე უკვე სათქმელი!

ფიქრით გადავწვდი

წარსულს გადავწვდი, იქნებ ლექსიც შემომეწეროს,
ძირულის პირას, ჩამოვჩექი, ვძერწე ბავშობა,
ეხ! როგორ მინდა, წარსულს მაინც ჯვარი ესწეროს,
ვეღარ ვიხილე, ამავ დროში კაიკაცობა.
გადაბილიკდა, ორგულობით მწვანე ბილიკი,
აქ, უმწიკლობით დაგათრობდა თეთრი ვარდები...
ეს ადრე იყო, ბავშობაში, არვის ქილიკი,
კვლავ რომ მოვესწრო, ხელმეორედ დავიბადები.
იყო ბავშობა, ერთგულება, გულის ჩურჩული,
ფერშეწითლებით, გულისწორი წერილს გაძლევდა,
ასეთი გრძნობა,ახლა არის გამორიცხული,
ზეცას რცხვენია, დღეს პლანეტა მიტომ დაბნელდა.

ფიქრის ზაფხული

სიო არ იძვრის, თვით ბუნება გარინდებულა,
რვა საათია, ნუთუ ძინავს დარდის საწუთროს...
აქ, ჩემს ძარღვებში, სისხლი ისე ადიდებულა,
გულს ჩამომფხაჭნის, რადგან ღამე ცუდად ფათურობს.
„დილის მშვიდობა“ მივულოცო ხალხს, მზის ფერებით,
ფიქრის ზაფხული, ნაზამთრ სხეულს, რწმენით დაჩემდა...
და ჩემი ლექსი, ყველა სტროფი, ეს ნაწერები,
მომავლისათვის, სულის საზრდოდ, ვიცი დარჩება!!!.

ათინათი

გულის კარებს გამოგიღებ, შემოდი და იჯირითე...
მადლის სამოსს თუ წაიღებ, მოგიხდება ღვთის პირიმზე.
ჩემს შვილების მესაძირკვლევ, წიბოვ, სისხლო, ფესვთა ჯიშო,
დარდი რაც გაქვს ამოძირკვე,წარსულ ცრემლსაც გამოგიშრობ.
გზას გაგიკვლევ, პოეზიის, „ათინათი“ გიმფარველებს...
ლექსი სუსტიც ლამაზია,ლექსით მუდამ იმთაველებ.
ნაბიჯ-ნაბიჯ წინ-წინ ივლი, უკვდავებას მოიპოვებ,
წლებს გათელავ ლამაზ იღბლით, განძს მომავალს დაუტოვებ!

მთამ ჩამძახა

მთის გორაზე, მთვარე ზლაზვნით ამოგორდა,
გააშუქა ღეელები მისევდილი...
ძირულა კი გაშმაგებით გამორბოდა,
თითქოს იყო, უცხო მხრიდან მოდევნილი.
მთამ ჩასძახა, ასე ჩქარა, სად გარბიხარ,
დამშვიდდი და დააწყნარე ეგ ტალღები,
შენ კი მზეო, მწვერვალებზე რად დადიხარ,
შენი ასე მცხუნვარებით, მეც გავხმები.
მთვარემ ოდნავ გაუღიმა მიწიერებს,
ხმის ჩურჩულით, სულ სიმშვიდით რჩევაც მისცა.
ნახეთ გლეხი,ფესვებს როგორ აფხვიერებს,
უშეცდომოდ ერთგულებაც დაამტკიცა.
მაშ სად გარბის, ეს ძირულა გაშმაგებით,
ემატება სიძულვილის ნაკადები,
მიწიერნო, რწმენის გზას თუ დაადგებით,
წმინდა სულით, უფალს შვილად ჩაბარდებით!!!

წმინდა გიორგი

როცა საქართველოს უჭირდა,
მაშინ შენ გვიხსენი უფალო.
ეს, დღე იმ დღეებსაც უდრიდა,
ყველა ბრძენია და სულთანობს...
=====
წმინადა გიორგი გვიხსენი!!!

* * *

სევდის გუნდა,
აღარ მომხვდეს,
თოვლის ფიფქმა
იფარფატოს,
დარდი გაქრეს,
აღარ მქონდეს...
გული აღარ
დამეფატროს!!!

მტკივა ემიგრანტი ქალები
(მარი ბიბილურს)

როცა მონატრება იტირებს,
როცა გულს,
დაჯაბნის ცრემლები,
მერე იღმუვლებს და იყვირებს,
მაშინ ამწვანდება ველები.
ჰოდა, გაიხარე პოეტო,
თუ; კი გაგიბრწყინე თვალები,
ნეტავ, ყური გულთან მიგედო,
მტკივა, ემიგრანტი ქალები.

ცისკრის კარები

ცას ღრუბლის ფენა,
ეალერსება,
თეთრი ქათქათა
ფრთილის თითებით,
მთვარეს გულმკერდზე
გადაესვენა,
ქართან ნაბრძოლი
განაფითრები.
მზემაც კალთები
უცებ გაუთბო, გამოიავდრებს,
თეთრი ღრუბელი,
ქარს ერთ ფთილასაც
აღარ დაუთმობს,
გავარვარდება
გულის ღუმელი.
გამოიღება
ცისკრის კარები , სიმშვიდის დედა,
ნანას იმღერებს...
,, პაპის პაპების,, ნაიარებით,
ცა მიწას აღარ გადაიმტერებს!

თვით განგება

თვით განგება მიმანიშნებს,
გზის ბილიკი
როგორ ვძებნო...
მგელმა, რომ არ შემაშინოს
სამოსი არ დამეძენძოს.
თუ ბილიკი შემხვდა ვიწრო,
ეკლებს სამოსს ავარიდებ,
ფეხი უნდა ფეხს აუწყო,
გზიდან რომ გადავიდე!!!

ვცდილობ

ზოგჯერ ვცდილობ,
თვალი ავარიდო,
იმ, რეალურ,
დღეებს, მწუხარების...
ტკივილებო, მწარე,
დიდზე-დიდო,
გაგექეცი,
მომდევ გამწარებით.
ხან ძმებო და
მერე, ქმარო, შვილო,
დათასაც, რომ
ბედისწერა, მიწვდა...
რა გიშველო,
გულო, ძალზე თბილო,
სად გავიქცე,
დასვენება მინდა.
რა ბრალი მაქვს,
ანდა რა შევცოდე,
ნუთუ ჯვარცმა,
აღარ უნდა მეყოს,
ან, რად მინდა,
რომ ვაშენებ ოდებს,
უსამართლოდ,
ბედისწერა მეფობს.
ჩემი გელა
მეყოფოდა, ბეჩავს,
ტკივილად და
ჟამ-ბედისწრის, ხსოვნად,
შრომის შემდეგ,
ხელში ცრემლი შემრჩა,
არ გავხდები,
მაინც ბედის მონა.

რომ შემეძლოს

(კახა ბაციკაძეს)

რომ შემოძლოს,
შეგიქმნიდი სულის ედემს...
შვილო, ისეთს შენს ნიჭს,
ფრთები გაეშალოს...
მე რაც გავჩდი, იმ დღიდანვე
სწორ გზებს ვეძებ...
არ მაქვს ძალა, წასვლა
ჩემგან დაგიშალო.

სად კახა და სადაც
კიდევ პოლიტიკა,
სულის საზრდოს,
მად ვერასგზით ვესად ნახავ...
ეგ, არ არის,
ლექსი ანდა, რომატიკა,
თუ, დაბრუნდი, ჩემთან
შენს სკამს შევინახავ!!!

ბედისწერის ვალი

ყველა ერის დედას
გულით ვლოცავ,
რომ დედის დღეს,
სიხარული ქონდეთ...
იავნანა მიჯობს,
შოპენს, მოცარტს,
დედას შვილი
ღმერთო, არ დაშორდეს.
შიმშილობდეს, თუნდაც
ლუკმა აკლდეს,
მაინც ტკბილად
გაათევენ ღამეს...
დედის გული
დარდით არ აალდეს,
გათენდესო,
არ ითვლიდეს წამებს.
დედის ცრემლებს,
სხვა სიმწარე ახლავს,
ვერც ახვსნი და
ენით როგორ ვიტყვი,
სულ უჩუმრად,
დარდებს ხშირად ვმალავ...
სიზმარში ვარ,
მე ბავშვივით ბრიყვი.
მესიზმრება, შემოაღო კარი,
როგორ ხარო,
მკითხა დაღონებით...
ცრემლებს ღვრიდა,
ირგვლივ მთა და ბარი,
შორს მირბოდნენ,
სადღაც ვაგონები.
გამეღვიძა, ტკივილებით ნავნებს,
რეალობას გაუსწორე თვალი...
ვუფრთხილდები,
ირგვლივ ჩემისთანებს...
გადვიხადე, ბწდისწერის ვალი!

საქართველოში წვიმაა

ღმერთო, დაამშვიდე ქვეყანა,
სიმშვიდემ დაისადგუროს...
ფულმა არ ამაქაქანა,
ჯავრმა არ გამანადგუროს.
ღმერთო, სიყვარული ასწავლე,
მტერსა და მოყვარეს ერთად,
განცდები ვერც კი დავთვალე,
ან სიტყვა ვისთან მეთქვა.
ღმერთო, უშველე იმედს და...
ლამის ძაფივით გაწყდეს,
თავი ბალიშზე მიდევს და...
არ მინდა ცუდ ფიქრს ავყვე.
სუყველა კარგად ამყოფე,
არ გაარჩიო რჯული,
ეზოში ძაღლი აყეფდეს,
ალალი თბილი გულით.
ვწუხ! სიძულვილი ბატონობს,
დამისაკუთრა სევდამ,
არ მინდა დამეპატრონოს,
დამშვიდდე როგორც დედა.
მარტოდ მე არა უფალო,
მსოფლიო იყოს კარგად,
აქ, ბოროტება სულთანობს
და ფეხიც მოიმაგრა.
შენზე ძლიერი ვინაა,
შენ გვიპატრონე ღმერთო,
საქართველოში წვიმაა,
გვიშველე ერთადერთო!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

დიდებულ უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილავო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს იღწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართვლის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.

1973წ.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მუავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

შენნაირები არა კვდებიან

(გურამ ჭავჭანიძეს)

შენნაირები ცაში ფრინავენ,
შენნაირები არა კვდებიან.
ზოგიც ცოცხლები აქვე გმინავენ,
და სამოთხეში არა ხვდებიან.
კეთილო გურამ, ცაშიც იყავი,
კაპოეტივით ფრინავდი ყველგან,
გვერდი მე აქაც გამოგიყავი,
ის უკვდავება უშენოდ ღელავს.
წინა დღის გეგმას რად უღალატე,
რად მომატყუე მოვალო შენთან,
ღონისძიების გეგმები მანდე,
თურმე ჯდებიდი სიკდილის გემთან.
აქ იტრიალებს ჯერ შენი სული,
და ჩემს ჟურნალშიც შემოანათებს...
ზეცაში არ ხარ ჯერ გადასული,
თამთა შენს თავთან დიდ სანთლებს ანთებს.
სულ ერთი თვე და კვლავ მოფრინდება,
დაბადების დღე, შენ რომ გიყვარდა...
ჩვენი ნურას დროს მოგერიდება,
თუ შენი სული ღვთით ცას მიბარდა.
ააღუღუნე ზეცა სიმღერით,
ააჭიკჭიკე ცა უსასრულო,
მომგონებლები დაგრჩა იმდენი,
ღმერთმა არასდროს არც დაასრულოს.
ე, ამას ქვია კაცურ ცხოვრება,
მეგობრობის და გრძნობების კაცო...
მოხდება შენი განმეორება,
ახლაც ლექსები ცეკვავს და ანცობს.
მერე რა, რომ წლებით დიდი ხარ,
ჩემი შვილი ხარ აკადემიის.
მე ხომ დედიკო, გურამ შენიც ვარ,
მტერი ვარ მხოლოდ ამ პანდემიის.
ქალი კი არა, ღმერთი ხარ ღმერთი,
რამდენჯერ ჩემთვის გითქვია გურამ,
დიდი რწმენა მაქვს გულში მე ერთი,
პოეტი ცაში არ მიდის მდგმურად.
ცას გელოდება სიცოცხლის წყარო...
გელოდება და შესვი პეშვებით. ..
როგორც პოეტმა მსურს გაიხარო,
მარადილი წლების შევსებით.

ლეილა გაფრინდაშვილი

ისეთი მხნე, სალისიანი, მიზანსწრაფული იყო, იმდენი სამომავლო გეგმები ჰქონდა, მიჭირს წარმოდგენა იმისა, რომ ჩვენთან აღარ არის. გურამ ჭავჭანიძე-თბილისის ტრუბადური, ღირსეული ქართველი, ნიჭიერებით, ცოდნით, გამორჩეული ხასიათით, სიყვარულით ავსებდა ყველას, ვინც კი მისი საახლობლო სივრცის მოზიარე იყო. ლექსს წაიკითხავდა და იმდენ გრძნობას, ემოციას ჩააქსოვდა, დარბაზში ცეცხლს დაანთებდა. როიალს მიუჯდებოდა და ისე აგიყოლიებდა, სიცოცხლის ხალისს შეგმატებდა! სულ ფუსფუსში იყო, მუდამ სამომავლო გეგმები ჰქონდა და ახორციელებდა კიდეც. ახლაც ემზადებოდა მოახლოებული დაბადების დღისთვის. ვაი, რომ არ დასცალდა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანთან მეგობრობა მეც მერგო წილად. რამდენი გასახსენებელი დაგვიტოვა სამეგობროს. დღეს მთელი არქივი გადავათვალიერე. პოეზიის საღამოები, შემდეგ კი ქართული სუფრები და ლამაზად მოლხენა. ნიკო ბაღაშვილის გადაღებული ფილმები, წიგნები, ფეისზე გამოქვეყნებული ლექსები. ერთგან მის ლექსზე ასეთი კომენტარი მიმიწერია: სიყვარულია მისი მისია, ჩვენი გურამი მარადისია! ამ ისე, უეცრად მიწერილმა კომენტარმა დღეს განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. მართლაც, მარადისი და დაუვიწყარი ხარ, ჩემო კარგო მეგობარო, არა მარტო ჩემთვის, მთელი ქალაქისთვის. ისიც ვიცი, როგორი მამა და ბაბუა იყავი. თითქოს უდედობასაც უვსებდი შვილებს, რაც მართლა იშვიათია.ბევრი საუკეთესო დეტალი მსმენია და ამიტომ ვწერ ამ სიტყვებს ასე გაბედულად და ხმამაღლა! ძალიან ბევრი კარგი რამ დამრჩა სათქმელი, ფურცლები რომ ვერ დაიტევს. მჯერა, სადაც ჩვენ, შენი მეგობრები შევიკრიბებით, შენი სპეტაკი სულიც მუდამ იქნება ჩვენთან. გზანათელი და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა! ვიცი, ეს წერილი ადგილს დაიმკვიდრებს ჟურნალ „ათინათში“. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო, ჯანმრთელობა, შემოქმედებითი წარმატებები არ ვუსურვო ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რომელიც მთელი გულით და მონდომებით იტვირთებს ხოლმე, უკვდავყოს შენნაირი ღირსეული ადამიანები.

ნელი გიუნაშვილი

გ უ რ ა მ ჭ ა ვ ჭ ა ნ ი ძ ე ს

ლ ე ქ ს ი ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა
მწერალთა კავშირისა და ჯუმბერ ლეჟავას
სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს,
მეცნიერს, პოეტს

გაგასხივოსნა ლამაზმა ენამ,
ლექსმა ლამაზმა, შენ აგამღერა,
და სიმღერებმა, ღიღინ-ღიღინში,
დაგაღვინა და არ დაგაბერა.
შენ პოეზიის წიაღში ცხოვრობ
ლექსები შენი სიხარულია,
სიყვარულს უძღვნი, ლამაზ სიმღერებს,
შენი ცხოვრებაც სიყვარულია.
შენი თბილისი და შენი მტკვარი,
არის ზღაპარი ამქვეყნიური,
ყველას ხიბლია და საფიცარი,
ადგილი წმინდა და ზეციური.

უსიყვარულოდ ვერ გაძლებ ვერა,
შენ სიყვარულის შეგყრია სენი,
და, რომ იცოცხლო, უნდა გიყვარდეს,
უნდა გიყვარდეს, მოყვასი შენი.

ამ ლ ე ქ ს ი თ გ ე მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ი
ბატონო გურამ. დიდი სიყვარული დატო-
ვე მეგობრებში და შენს ახლობლებში.
ღირსეულო ადამიანო მარად იცოცხლებ
ჩვენს გულებში. ნათელი და სანთელი
შენს უკვდავ და ლამაზ სულს.

ქეთი მინაძე (1972-2020)

წავიდა იმქვეყნად პოეტი ქეთი მინაძე, ჩემი ბავშვობის მეგობარი. ისე მოულოდნელად წავიდა, გაოცება ძლივს მოვასწარი... და მერე მოვიდა ის ტკივილი, რომელიც მხოლოდ ახლობელი ადამიანის განშორებით იბადება.

ბავშვობიდანვე გამორჩეული თავისი ნიჭიერებით, მუდამ იქცევდა საზოგადოების ყურადღებას. კითხულობდნენ მის ლექსებს და უკვირდათ ბავშვის ასეთი აზროვნება. ის კი იღიმებოდა და სევდიანი თვალებით მათთვის შეუცნობი სამყაროსკენ იცქირებოდა.

წავიდა ქეთი... წავიდა, მაგრამ დაგვიტოვა ნამდვილი ლექსები, ჭეშმარიტი პოეზიით ნასაზრდოები.

ედუარდ უგულავა

* * *

როცა უღელს ცალი ელი,
მოვდიოდე მე შინ ოდეს,
რატომ უნდა ცარიელი
თავსასთუმლის მეშინოდეს?....

მანდ ჩემი გზა თუა, რელსო?
ცრემლი სველი წამწამებს დევს,
რატომ უნდა უალერსო
შავი ღამე მაწამებდეს?...

გულის ეკალს გავუცვლი ნარს,
ვდიე ვერც ამ, ვერც იმ მოდებს,
რატომ უნდა გაუცინარს
ქვეყნად ყველა მეცინოდეს?...

ამ ახოდან იმ ახომდე,
ზამთრის პირმშოს მარტი მრევდეს,
რატომ უნდა მთვარეს ვხმობდე,
და მზის მოსვლა მატირებდეს?....

მე მინდოდა ყოფნა არც რად,
გავატანო დარდი მომდენს,
რატომ ძარღვში სისხლის ნაცვლად
შიში უნდა დამდიოდეს?...

გაჩენიდან, თქვი რომ მდევ და,
შავო ღამევ, ეშვი მომდე,
რად, სიცოცხლევ, მტკიოდე და
შენ, სიკვდილო, მეშინოდე???

26.04.2020

* * *

დღეს შევაჩერე მზერა ფარჩებთან,
გული ველური სხვამ აგიენოს,
მე სიკვდილამდე დუმილს ვარჩევ და
არ გადაგიხდი სამაგიეროს....
მსურს გავუფრთხილდე იღბალს დანარბევს,
ვერ ვარჩევ " ვითომ სხივს" ნამდვილიდან,
საგულდაგულოდ ვკეტავ დარაბებს,
ასე ვიქცევი სისხამ დილიდან....
ვშიშობ ნაფაზად არ გამაბოლო,
ყოფილი უცებ შემარქვი აქვე,
ვერ მოვუძებნე თავი და ბოლო
მას, რასაც დღემდე შენ აქიაქე...
გულმა სიცრუის ბევრი სვა აბი,
ასე პირშავად, არა, ვინ მწყევლა?!
დღეს შევაჩვენე ყველა საბაბი,
რომელიც შენ თავს არ მავიწყებდა....
რა დრო გავიდა ნეტავი ხსნიდან
თვალის...ამივსო სილამ დილიდან,
მე ისევ ზღაპრის კარიბჭეს ვხსნი და
ვიღაც დამცინის სინამდვილიდან....
ჭეშმარიტებას რა ხნის წინ გავცდით,
შენ ხომ წარსული მომე კადრებად,
გული სავსე მაქ ისეთი განცდით,
მხოლოდ მაისებს რომ ეკადრებათ....
დღეს შევაჩერე მზერა ფარჩებთან,
გული ველური სხვამ აგიენოს,
მე სიკვდილამდე დუმილს ვარჩევ და
არ გადაგიხდი სამაგიეროს....

14.06.2020.

* * *

სულ ვგრძნობ ვიღაცა უნდა მოვიდეს,
მაგრამ არ ვიცი როდის და რატომ,
ძველი ხურჯინი ბეჭზე მოვიდე,
დროა დავტოვო ბაქანი მარტო...

უსიხარულოდ ვერ ვცოცხლობ, ვერ ვძლებ,
მფშვინავ გულისპირს ღილად ავაწყდი,
ყველა გამვლელში ვიღაცას ვეძებ,
მაგრამ იმ თვალებს ვერსად წავაწყდი...

რამდენჯერ სუნთქვა გამჩერებია,
მგონი მოვიდა! მგონი ის არი!
ბევრი მოსულა, დამჩერებია,
მაგრამ ვერავინ დასცა ისარი...

ქარო, მარაო შენ მომე ხეთა,
სულია ხანჯლის ნაქარქაშები,
რამდენჯერ გულში შემომეხეთქა
ვნების და გრძნობის ცრუ განგაშები...

ამათაც დარდი ვერ მილიონ მე
მყავს ოცნებები, მონათ, ყრუები,
სადღაც მივდივარ, მემილიონედ
ბედის და სიზმრის მონატყუები...

არ მსურს შევჩერდე, თუნდაც წამით, მე,
შხამით გულსავსე მათარა მიცდის,
ვიცი სადღაცა უნდა წავიდე,
რად, ანდა რატომ მართლა არ ვიცი...

ახლა, ეს ფიქრი კვლავ ცრემლს მომიდენს,
არ ვიცი რა ღირს: ლხინი, თუ გლოვა,
ნეტავ, ის, ვინაც უნდა მოვიდეს,
სანამ მე წავალ მანამ თუ მოვა???

18.09.2017.

* * *

ღამე მწუხრის დადგა მშვენი,
ცაზე მთვარე ამოცურდა,
გამიკვირდა, რადგან შენი
სიყვარული არ მომწყურდა....
სული სანამ უნდა ვგვემო?
დილა ნისლის ნარმას ქსოვდა,
მოვიწყინე, რადგან გემო
შენი კოცნის არ მახსოვდა....
დასერილმა დანით ათგან
გულმა, შენთან ნახანებმა,
მოინდომა წასვლა, რადგან
არ ეღირსა გახარება....
წაუშლია ნამს ფერები,
ტანს ეკალი არ მაყრია,
რადგან შენი ნაფერები
კანი უკვე ამაყია....
მოიკიდა ზურგზე ქვა მთამ,
ყრუ იყო და ავი არე,
მე ის შარა გუშინ ქართან
შენს გარეშე ავიარე....
ბეჭედივით დასვა დარი,
მზის იცილებს ნამტვრევს ველი,
ბილიკიც კი არსად არი
სადმე ჩვენი დამტეველი....
რა მასწავლა ამ დრომ შენზე?
რომ ტყუილად მიალია,
ახლა იმ ძველ სადროშეზე
სულ სხვა ალმის ფრიალია....
არ ჭირდება ბევრი ფიცი,
ოქროს გიყვარს შენც დარია,
თითქოს ის ხარ, მაგრამ იცი?
შენში ღმერთიც შემცდარია....

20.06.2020.

* * *

ცხოვრებამ დიდი ვერც რამე მიყო,
ან ბედისწერას სად ავუხირდი?
ყოველ ნაბიჯზე ღალატი იყო,
არც კი ვიცოდი ამად თუ ვღირდი....
სულს სამყაროსთან გაურღვევ ბჭედ ვთვლი,
იმ მაცდურ სურვილს დავიშენ ვნებად,
ის, რასაც მთელი ცხოვრება ვჭვრეტდი,
არ ნაღირება თვალის შევლებად....
იქნება სწორად ვერ შემაფასეს,
მე ჩემი წილი ცის ლოჟა მყოფნის,
ისიც არ ვიცი რად შურდათ ასე
ფრთებდათუთქული ფარვანად მყოფის....

31.05.2020.

* * *

სიყვარულს მწარე განძად დავათრევ
შეშინებული ასე როდიდან,
არ ვიცი ღამეს ვისთან გავათევ,
ნათელი არ ჩანს არც ერთ ოდიდან....
შეპატიჟება არც კი უთხრეს შინ,
ტრფობის არ ასვეს ავი აბებმა,
ერთ ცხელ და ლამაზ გულის კუთხეში
მონდოდა მისი დაბინავება....
მომაქვს, ორივე ზღვართან მივედით,
მივერეკებით, მივდენით უარს,
ყველას თვალებში ვუცქერ იმედით,
ვინმე ამისი მტვირთველი თუა....

21.06.2020.

***

ეხ, რა ხანია
გადაგვექცა
მთვარის ალი მტვრად,
ახლა წადი და
კიდევ ერთხელ
მსახურთ ანიშნე,
რომ შეაჩერონ
წამწამებთან
ფერთა პალიტრა
და მომიტანონ
თეთრი მოვი
საყურთბალიშე....
მაინც მოვალ და
სიტყვებს მზისებრ
მოვიტან თბილებს,
იქნებ ნისლებმა
დამწყევლონ და
არ გამათხოვონ,
ახლა წადი და
ალუჩებთან
მოითათბირე
თუ დაითანხმებ,
სადედოფლო
კაბა მათხოვონ....
არ მაპატიებს
ქუჩა- ქუჩა ხმაურს
მარტი მე,
ერთი ბრძანებაც
გაიგონე კვლავ
ბატონიდან:
ახლა წადი და
ცისარტყელას
გაუადვილე
გზა ჩემს ლხინამდე
დაწყებული
კაბადონიდან....
დაბადებიდან
რომ მიყვარდა
დღემდე ის ცა მრევს,
იქნება ბაღში
ვარდის ბუჩქი
ვერ აბარაქო,
ახლა წადი და
ბულბულების
ენა ისწავლე,
რომ სიყვარულზე
უშეცდომოდ
მელაპარაკო...

16.05.2020.

* * *

სუნთქვას ვატარებ კისერში ღვთის წილ,
აი, რა იცის ფიქრების მოშლამ,
ვერსად გხედავდი, სულ ცოტა ხნის წინ
ჩემ ხელისგულზე გიპოვა ბოშამ....
დამტოვა ისევ ღრუბლის მიღმა ცამ,
(ეს სისასტიკე ახ, მოგაქ ჩინად?)
არსად ჩანდი და მერე ვიღაცამ
ყავის ნალექში აღმოგაჩინა....
გული მატკინა – ღმერთს ვუთხარ, იმ ყმამ,
(რატომ ვერ ვარყევ, ალბათ გიკვირთ, ხელს)
შენ დაკარგული სტრიქონი იყავ
და ჩემს თვალებში ამოგიკითხეს...
ყოველთვის უშლის სიცოცხლეს ქვა ხეს,
ტკბილი ცხოვრების მოკლეა ეშვი,
ზღველამ წაგიღო და მერე გნახეს
ჩემი ვნებების ოკეანეში....
გეტყვი სიმართლეს აქვე, ახლავე,
ქარი სუყველა სამარხს ამოთხრის
როცა მოკვდები, ვერსად გნახავენ
ჩიტი იქნები ჩემი სამოთხის...

17.06.2020.

* * *

მე ვერ მოგიძღვნი
შემშლელ მაჯამებს,
ფარჩა მივეცი
და მოვიც ოხრებს,
შხამი, რომელიც
შენ შემაჭამე
დღემდე ვერაფრით
ამოვიცოხნე....

არ თქვა მიზეზი
შემოსვლისა ჯერ,
წანწალი ჩემსას
ქარს ნაჭირება,
სასჯელს, რომელიც
შენ მიმისაჯე,
ვერ მოვუხერხე
გასაჩივრება...

სიმართლე უნდა
გითხრა, გამაგრდი,
თუმც ყველა სიტყვა
ახლა აუტს გავს,
გვირგვინს ეკლისას
შენ რომ დამადგი,
უკვე გულამდე
ფესვი დაუდგამს...

თითქოს მოვბეზრდით,
ასე ჩანს, ღმერთებს,
გათენდეს სიზმრის გამო
ნურც მალე,
სარკეს, რომელსაც
მაშინ ჩავხედე
დღემდე კარდი ვერ
გამოვუცვალე....

შემოიტანა უცხო
ერა ვინ?
დღეს მომეჩვენე
შემშლელად მცირე,
ვერ გაუძლებდა
ალბათ ვერავინ
ტკივილს, რომელსაც
შენ შემაჩვიე....

მე ვერ მოგიძღვნი
შემშლელ მაჯამებს,
ფარჩა მივეცი
და მოვიც ოხრებს,
შხამი, რომელიც
შენ შემაჭამე
დღემდე ვერაფრით
ამოვიცოხნე....

02.04.2020

* * *

სიუხვე მქონდა მე გენთა,
(ჟღერდა ანდა " მი", ან " სოლ-რე")
ლექსი ვიყავ თუ ლეგენდა,
რატომ არ დამიმახსოვრე...
აწი ვინც მიხსნის, ვარ მისი,
გული ვკალ და ვისად ვხურე,
შენი ტრფიალი არ ვიცი
რატომ ვერ დავიმსახურე....
ახლა ამ მთასაც ბარად ვთვლი,
ცრემლში საღამო ვატარე,
გუშინ იმ მტრედს, ის ბარათი
რატომ არ გამოატანე....
ღრუბელს მივრეკავ მანდილით,
მზის მეტი არ მომინდა რა,

მან ჩვენს ოთახში ამ დილით
რატომ ვერ გამოიდარა?
იქნებ ლოცვები შენ პირს დის,
(ვერ ვიტყვი: წამო, აყოვნე)
მოვის კაბას რომ შემპირდი
ხელს რად არ წამოაყოლე?....
გვერდი ვაქციე ბაღს ავლით,
შორს წვიმის ჩანს მძივებია,
გელოდი, მერე აღსავლის
კარებთან ჩამძინებია....
ყველაფერს მწარედ განვიცდი,
უიღბლო ვყავარ მას ერთი:
ღმერთს, მე კი დღემდე არ ვიცი
რა დავაშავე ასეთი....

26.06.2020.

გურა-ანგურა
გურამ გელდევანიშვილი

გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება

ხმა ხმიანობს ხანგამძლე და ხნიერი,
ხელეურიც ხელდახელად იკვრის,
ეს, ცხოვრება მსრბოლი, წამიერი
ხანმოკლეა და ეს მეტად მიკვირს.

ხე იზრდება, ხვიარები გვეხვევა,
ხელისგულზე ფეთქავს ხვითოს გული,
გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება,
არსობაა წრფელად შენასკული.

ხიბლნაყური ჩქერალები ხვივიან,
თეთრ ჩაფხუტებს ჩამოეხათ კალთა,
ჭიუხები მეცხრე ცაზე ჰკიდია,
არა, ძმაო! უფრო, უფრო მაღლა.

რა მხარგძელი ხეობები გვქონია,
ხელთუქმნელი, ხუროთმოძღვრის ძალით,
ცად ლივლივებს ვნება, თუ ძელქორია,
აპა, რავა! ჰყეფს დროების ქარი.

ხეკორძულას ხელადები ივსება,
სვეტიხცოველს წვეთს მირონი წმინდა,
ხმა დაირის ბროლის ცვარად იმსხვრევა
და სიცოცხლე ამისათვის გვინდა.

ხეივნების დახვავებას ვუმზერთ,
ფერხისებიტ ხვიხვინებენ დრონი,
დავიძახოთ; კაცი-კაცი ქუდზე,
სიკეთისთვის, სიკეთისთვის ბრძოლნი.

ეხის ჭალას ხითხითებენ დევნი,
მაჭახელას ჭახჭახებენ შაშვნი,
სალაღობოდ დაუკარი ერთი...
და მომგვარეთ ცეცხლოვანი რაში.

ხელთ მომეცით ქნარი, ქნარის სიმზე
დავახვავო სიმღერების წყება,
ვინმე მესხი სიმღერებით გვიმზერს,
ჯვარს ეევდრა დაიჩოქა მცხეთას.

საქართველოვ! – ღაღადებდა ბერი,
ცრემლი-ცრემლი ნიაღვრებად სჩქეფდა,
აღმიდგინე ჯიში-ერი, ერი!
კვლავ ერთობით მარადისში ღმერთთან

სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი

მე თქვენ გეკუთვნით სულით და გულით, მე, თქვენ გეკუთვნით,
როგორც ამ კუთხით და ცით ნაკურთხი გამოვლინება,
კოსმიურ გზებით, ნისლეულით შემონაბერი,
დე, ეს იცოდნენ წვიმის ღვარად წამოშლილებმა
დე, ეს იცოდნენ სასწაულის მაუწყებლებმა,
როგორც ენება ღვთაებრივსა, ისე დამაწყო,
წრფელ მელოდიად გადმომფანტა, ათას ფერებად.
და მოწყალების შემოქმედი ხელი დამადო.
არც რას ვიგონებ, არცა რას ვთხზავ, არც რას ვარაკობ,
მხოლოდ დამათრო გრძნეულებამ მრავალსახეთი,
ვიცი, იმ გორით გამიტყვილებს, სადაც დამათოვს,
სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი.

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3-10 ტომსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№ 18-37 ნომრებში

დიადი ლაშქრობიდან დაბრუნება

განერიდა მტანჯველ სიზმრებს
გაეღვიძა სისხამ დილით,
ცრემლს ვერ მალავს კანიკეი,
დედის ტირილს აჰყვა ჩვილიც.
რაღაც ავი წინაგრძნობით
გული უცემს გამალებით,
მოსთქვამს: – ღმერთო, სად არიან
უშიშარი მეომრები?
რუხი მოზვერი მესიზმრა,
დასერილი ჰქონდა ფერდი,
ნუთუ ქვეყნად აღარ არის
გულმამაცი ალმანბეტი?
რად ვიხილე წუხელ სიზმრად
შევარდენი ფრთებდაჭრილი?
ვაი, თუ მოკლეს ჩუბაკი,
უშიშარი, გმირთა გმირი.
თითქოს მეხი დასცემოდა
მიწაზე ეგდო ჭადარი,
ვაი, თუ მოკლეს სირგაკი
დაუყენეს საწყალს თვალი?
რად მესიზმრა ოქროს ტახტი
დაცემული, დამტვრელი?
ალბათ მოკლეს ერ-მანასის
სანაქებო ბედაური.
უცხენოდ დარჩენილ მანასს
ვიცი, ელის მონის ხვედრი,
ღმერთო, ავ ბედს აგვაცილე,
ღმერთო, დაგვიფარე, გვედრი.
მისი მხსნელად დაბადება
ღმერთო, იყო შენი ნება,
თუკი მოკვდა ჩემი ქმარი
ჩვენს ხალხს რაღა ეშველება?
თუ არ მოვა გამარჯვებით
თავის რჩეულ მხედრიონით,
ხანობისთვის გვარებს შორის
ისევ დაიწყება ომი.
მე ბედშავს რა ბედი მელის?
დარდმა დამრია ხელია,
ძმები: კობეში, აბიკე,
მანასის სიკვდილს ელიან.
ერთი სული აქვთ ჩაიგდონ
ხელთ ტახტი და განძეული,
ჯერ პატარაა მემკვიდრე,
როგორ დავიმშვიდო გული?
თუ მანასი დაიღუპა
ხალხს ერთობა არ ექნება,
მშობლიური ჩვენი მხარე
ისევ გაუდაბურდება.
ბიძია ბაკაი, შენ გთხოვ,
ჩინეთისკენ გაემგზავრე,
დამიბრუნე ერ-მანასი,
მკვდარი გული გამიხარე.
გატან მერანს, ტაიბურდულს,
მალი არის, როგორც ქარი,
სიკვდილისგან დაიხსენი
ჩემი საყვარელი ქმარი.
ერ-მანასთან ატანს წერილს
სევდიანი დედოფალი.
ერ-ბაკაი რჩეულ რაზმით
ჩინეთისკენ მიიჩქარის.

. . . .

ოცდაათი დღე და ღამე
ხან ბაკაის მიჰქრის რაზმი,

ჩინეთამდე გზაა შორი,
აღარ შერჩათ ცხენებს ქანცი.
ეს ყვითელი მდინარეა,
ეძახიან მას ხუანხეს,
მეომრებმა ხშირი ტყე და
ვარსკვლავები დაინახეს.
განა მართლა ხეებია,
შუბებია ჩინელების,
ვარსკვლავები რომ ეგონათ,
ანათებენ კოცონები.
გათენებას ელის მტერი
ყირგიზების დასახოცად,
უნდა იჩქარო ბაკაი,
არ ეგების ახლა მოცდა.
თუ დაგფარავს, ღამის ბინდი,
უშავესი, როგორც სათი,
გადაეცი მანასს ცხენი
და კანიკეის ბარათი.
გაიარა ჩუმად ჭალა,
ცეცხლისმფრქვევი საღარათი,
და მივიდა ერ-მანასთან
ბაკაი საღსალამათი.
ცოლი წერდა: – „დაგვიბრუნდი,
მანას, სახლში გელის შვილი,“
ცრემლები ძლივს შეიკავა,
გულში ჩაიკრა წერილი.
აკ-კულას აღკაზმულობით
მანასმა შეკაზმა ცხენი,
„ო, წყეულო კონურბაი
ჩემგან დანდობას ნუ ელი!“
ჩემი ძმების სისხლს ავიღებ,
პირში სული მიდგას ვიდრე,
ისე გაგიხდი საქმეს, რომ
დაბადებას იწყევლიდე.
დამიფარავს ბნელი ღამე,
დაგაცხრები, როგორც ქორი,
ცისკენ აღმართა მანასმა
მოელვარე ზულპუკორი.[1]
მალე ერ-მანასის ხმალი
მტრების სისხლით დაიცვარა,
ამოჟლიტა ჩინელები
გაღვიძება არც აცალა.
კვნესის ხმა და შეძახილი
ერთმანეთში აირია,
ვინ დაითვლის, თუ რამდენი
მოკლული ან დაჭრილია.
წამოვიდა სისხლის წვიმა,
დაჩეხილთა დადგა გორა,
დღემდე არვის უნახია
ასეთი სასტიკი ბრძოლა.
დიდმა ტკივილმა მანასი
გააშმაგა, გაამხეცა,
ბეიჟინისკენ გაქუსლა
ხან კონურმა, გულნამცეცამ.
თავის ხანთან ერთად ქალაქს
შეაფარა თავი რაზმმაც
და კონურმა ალაყაფის
კარი მტკიცედ გადარაზა.
რკინის კარიბჭის შემტვრევას
ჯარი სულ ამაოდ ცდილობს,
გადაწყვიტეს ბეიჟინი
რომ ალყაში მოაქციონ.
და შიმშილით გამოსცადონ
ჩინელების მოთმინება.
ამ დროს ციდან ხმა ასმინა
მანასს თავად შემოქმედმა:
„ყური მიგდე ერ-მანასო,
არას გარგებს სიმამაცე,
ერთი ქალაქის აღებით
ჩინეთს როგორ დაამარცხებ?
ვერაფერი ვერ დააკლო
მას ვერც წარღვნამ და ვერც მტერმა,
ვერ შეძლო აქ დამკვიდრება
თვით მრისხანე ისკანდერმა“.
ბობოქარი ერ-მანასი
შეაჩერა უცხო ძალამ
„მშობელ მხარეს დავუბრუნდეთ,
უკან დავიხიოთ!“ – ბრძანა.

. . .

დამარცხებული ჯარები
ბრუნდებიან სარ-არკაში,
ტაჯიკებიც იჩქარიან
მონატრებულ ბუხარაში.
მანასს ბრძოლის ველზე დარჩა
თავისი ერთგული რაში,
განისვენებს ბუზბურჩაკიც
იქ, სიკვდილის ხეობაში.
ახალგაზრდა ბოკმურუნმაც
ჩინეთში დალია სული,
ათასობით ფალავანი

[1]ზულპუკორი – ბასრი ხმალი.

იქ დაეცა დაისრული.
ძირს დაეშვა ყველა დროშა,
ზეცა შავად შეიბურა,
დანამული თვალებიდან
ცრემლი არვინ მოიწურა.
როს ჩინეთის გასცდნენ კედელს,
დააღწიეს თავი მახეს,
მეომრებმა მათ კვალდაკვალ
ალმას ცხენი დაინახეს.
უნაგირზე გაწოლილი
მხედარი შენიშნეს ცხენზე,
ალმას ფოლადის ჯავშანი
ოქროსავით ბრწყინავს მზეზე.
„ნუთუ შენ ხარ, ალმანბეტო?
დამიბრუნდი შენ ცოცხალი?
მადლსა გწირავ კოკე-თენგირ!
დაგელოცოს სამართალი!“
სიხარულმა მანასს წამით
ჭრილობებიც დაავიწყა,
სარალასთან მიიჭრა და
უნაგირზე მკვდარი იწვა.
არ მიიღო მშობლიურმა
მიწამ, იუცხოვა მკვდარიც,
სიცოცხლეშიც განდევნილი,
სიცოცხლეშიც ამბოკარი.
არ მიიღო ალმანბეტი
საფლავებმა წინაპართა
და სამარე გაუთხარეს
იქვე, ჩინეთის საზღვართან.
საფლავის ბორცვთან სარალა
მიწას სიმწრით უშენს ტორებს.
ცრემლი გაუშრა ერ-მანასს,
ვერ ერევა დარდის მორევს.
უმეგობროდ დარჩა სოფლად,
როგორ გაიმაგროს გული,
უკან მოსდევს ქარავანი
განძეულით დატვირთული.
„ნუთუ ამ ნაგავისათვის
გადავიქეცი კაცი მხეცად,
ნუთუ მიღირს ძმათა სისხლი
ნაალაფარ ოქრო-ვერცხლად?
გამარჯვების ნაცვლად ჩემს ხალხს
მე სიცოცხლე გავუმწარე!“
– ასე მოსთქვამდა მანასი, –
„კოკე თენგირ, შემიწყალე!“
ხელი მოხვია ბაკაიმ:
„ძმაო, გაიმაგრე გული!
მკვდარს ვერც ცრემლით გააცოცხლებ
და ვერც ბედის საყვედურით“.
ერ-მანასმა სამშობლოში
გააგზავნა მალემსრბოლი,
უნდა აცნობონ ყირგიზებს,
თუ როგორ დამთავრდა ომი.
ცოლს ბარათი გაუგზავნა:
„შენი ნახვა მენატრება
ბრძოლაში დავკარგე ძმები,
მალე ჩემი მზეც ჩაქრება.
ბეჭში მძიმედ დაჭრილი ვარ,
გვედრი, ვაჟთან ერთად დამხვდი,
დამარცხებულს ბოღმით სავსეს
არად მიღირს ხანის ტახტი“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

Evlalia Perperidi

AUFSTIEG UND FALL DER ZEIT

346

Eine widerliche Höhle erwartet
den Ungehorsamen gegenüber Gott,
Die Klarheit ist jedem verborgen.
Trotzdem gehorchen viele nicht
dem Gesetz und so wurde
Ihr Weg zur Höhle geschaffen.
Viele haben Sünden begangen,
Die im Lande nicht verborgen werden konnten.
Zu diesem Zeitpunkt wird niemand
für unschuldig befunden..
man kann heute niemanden finden
der nicht gesündigt hat.

801

Wer ist für unsere Sünden vor Gott
verantwortlich?
Ich fühle , dass die Zeit kommt.
Die Quele der Sünde wurde gebacken**.**
Nirgendwo kann jemand rennen, um sich zu
verstecken.
Wenn dies der Fall ist,
Beginnt das Abendmahl ..
Bevor die Zeit abgelaufen ist
Dem Herrn zu geben, was ihm gebührt.
Caesar muss gegeben werden, was ihm gehört

Denke daran,. Gebet ist die Medizin der Seele,
Verschüttern Sie keine Körner
Zur Aussaat auf den Felsen.
Möge Gott alle abdecken,
Die dies tun und verstehen
Diejenigen, die ein Ohr haben,
Um zuzuhören, wenn sie nicht taub sind.
Und wer ein Schaf ist ,
Wird dem Hirten folgen
Denn das Heil ,die Aussuchung
Der Falschen und Gerechten ist nahe.

804

Ich denke, das Leben ist Schach
In seinen Händen sind wir alle Bauern
/sehen wir alle aus , wie Bauern./
Jemand spielt Schach und Matt
Und dann verteilt die Spulen auf dem Brett.
Es geht mein ganzes Leben
lang so weiter
Ich muss mich für Schwarz und Weiβ entscheiden
/.ich muss Schwarz und Weiss wählen./
Um das Ziel und das Ergebnis zu erreichen.
Wir müssen etwas dafür tun. ‘
Es gibt ein Leben, indem uns jemand sagt
Schach oder sagt, dass iemand uns bedroht.
Also, wir müssen gut / sorgfälltig überlegen,
Bevor wir un s an die Tafel setzen wollen/

854

Lass mich dein Herz freuen,
Meine Seele, meine Herzenswunsch,
Die Rose meines Herzens.
Ich möchte dir nahe sein,
Meinen Kopf in deinen Schoss legen.
Mach dir keine Sorgen
Gott liebt dich, ist bei dir
Mutters Schatz/Favorit,
Sei immer so ermutigend
Sie müssen nicht die Hoffnung verlieren /
Bitte verzweifeln Sie nicht
Ich möchte es in Salbe verwandeln,
Die zu deinem traurigen Herzen passt .
Ich möchte in deiner spirituellen Welt
Schneeglöckchen und Pfeilchen pflanzen.

900

Ich werde das Elend.aus meinen Herzen entfernen ,
Die Winde werden meine Trauer wegnehmen.
Ich hab keine Angst vor dem Schiksal des Todes
Dass ich irgendwann /jemals meiene Augen schliessen werde.
Ich werde nur meinen Teil des Gletschergrabes füllen
Er wird dieses Ende für diejenigen feiern,
Die nie wieder begraben werden.
Wann wird sich aber
Die Ungerechtigkeit des Zeitenkrieges,
die Ungerechtigkeit der Kämpfe
solcher Zeiten enden?

საბავშვო განყოფილება

ნათია დაშნიანი

ციყვი და ბაჭია

ცას სიხარულით ეწია –
ციყვმა იპოვა კაკალი,
ერთი სული აქვს შესანსლოს,
მიაქვს თათების კანკალით.
სოროდან უცქერს ბაჭია,

ამბობს ყურების ცანცარით:
ვაი თუ დღესაც ტყუილად
ქექა მიწა და ნაცარი.
სტაფილოს ვაჭმევ, შიმშილით
არსად წაიქცეს საწყალი,
მან რომ კაკალი იპოვა,
იქნება საღი არც არი.

სეტი

ძაღლს ვუთხარი: ჩემო სეტი
დამიდექი მარდად გვერდით,
ბურთიც გვაქვს და მოედანიც,
სხვა რა გვინდა ამის მეტი?!

აბა ჩქარა! აბა მალე!
სად დავარდეს უთვალთვალე,
დამიჯერე და ძვალს შენთვის
დავაბარებ მამას ხვალე.
კუდის ქნევით შემეხვეწა:
დღეს სირბილით ნუღარ დამღლი,
ვისროლე და... ბურთთან ერთად
დაიკარგა ჩემი ძაღლი.

დათუნიები

დედა ტუქსავს დათუნიებს,
თაფლის ჭამით გართულებს,
ხან ბურდღუნით უჯავრდება,
ხან თათს წაუთათუნებს.

როდის უნდა გაიზარდოთ,
დამიფასოთ ამაგი?!
რა გიქნიათ?! – შეგისანსლავთ
თაფლის მთელი მარაგი!

ვერ გავბედეთ, ვერ გითხარით,
დედი, რომ არ გეჯავრა,
ერთი ქილა გავსინჯეთ და
ყველა შემოგვეჭამა.

მელა ფენეკი

პატარა და დიდყურა
ტირის მელა ფენეკი,
უალერსებს დედიკო,
ეკითხება ფერებით:
– რა გატირებს პატარავ,
ჩემო ყურებპარტყუნა?
– ამოდენა ყურები
მელაკუდას რად უნდა?
– საჰარის მზეს სხვაგვარად
როგორ გადავურჩებით?
რადგან ჩვენთან არ ხარობს
ხეები და ბუჩქები,
უდაბნოში ვბინადრობთ,
საკვებს გარეთ დავეძებთ,
ამ ყურებით, ძვირფასო,
სიცხეს უნდა გავექცეთ.

პეპელა

მიყვარს, როდესაც ფრთებს გაშლი,
დღესაც რამდენი გდიე,
შემოჩვევიხარ ჩემს ბაღში
ენძელებსა და იებს.
ვინ მოგიტანა ამბავი –
მე რომ გელოდი დიდხანს?
ეს კაბა, კოპლებიანი
ვინ შეგიკერა, მითხარ!
ბადით არ დაგედევნები,
არც სხვას დაგიგებ მახეს,
ერთსა გთხოვ, ნუ დამზარდები,
ხვალაც მოდი და მნახე.

ლელა კობერიძე-ჭიაურელი

ქაოსი

ზოგი შტერია, ზოგი მტერია,
ზოგი უვიცი, ზოგი მკვლელია,
ზოგში შურია, ზოგში კი ღვარძლი,
ზოგში ბოღმაა, ზოგში კი ფარსი.
ზოგი ავია, ზოგი ქაჯია,
ზოგი გოიმი, ზოგი პრანჭია,
ზოგში ეშმაკია, ზოგში ნაღველი,
ზოგში ცინიზმი, ზოგშიც ნაგვემი.
ზოგი უიღბლო, ზოგი ბარაბა
ზოგი იუდა ზოგი მარაზმა.
ზოგში სიყალბე ზოგში ჭაობი,
ზოგში გუბე და ზოგში ქაოსი.
ზოგი ბნელია, ზოგი მგელია,
ზოგი უბრალო ზოგი მწველია.
ზოგი კარგია ზოგიც თამამი
ზოგი ტკბილია ზოგი ალალი.
ზოგში გულია, ზოგში ნათელი
ზოგში მზის სხივი, ზოგში სანთელი.
ზოგი თბილია, ზოგიც ამყოლი,
ზოგი კეთილი და ზოგიც დამყოლი,
ზოგში იმედია, ზოგში ხალისი,
ზოგში ოცნებაა, ზოგში მაისი.
ზოგი ლამაზია, ზოგი ტანადია,
ზოგი მშვენებაა, ზოგი ნანატრია,
ზოგი ერთგულია, ზოგი სანდობი,
ზოგი საყვარელი, ზოგიც მარტონი.
ზოგში სიყვარული, ზოგში
სიხარული,
ზოგში ნეტარება, ზოგში სიარული.
მერე ამაშია თურმე სინანული,
ბოლოს ზეცაშია სული მხიარული.

03.01.2021 წ.

* * *

ვერხვის ფოთოლს აშრიალებს ქარი
წყაროს წყალთან ჩამომდგარა ქალი,
თიხის დოქით მოიყუდა წყალი
დაისველა გულმკერდი თუ მხარი.
ფეხშიშველი ჩამოუყვა მდინარეს
მიშრიალებს თხელი კაბით მცინარე,
ვნების თვალი გააყოლეს ხელად
ბრგე ვაჯკაცი გამოუჩნდა მცველად.

მიყვებიან წყვილი წმინდა მდინარეს
ქვა-ქვიშაზე ცეკვავს ქალი ბრწყინვალედ,
ხავსიანზე აუცურდათ ფეხი და
ერთად შესვეს ცივი წყალი პეშვითა.
ვერხვის პოთოლს აშრიალებს ქარი
(იმ) ბრგე ვაჟკაცმა წაიყვანა ქალი,
სიყვარულში ვერ მოღალეს ქნარი
სიბერეში დაუხუჭავთ თვალი.
ვერხვის ფოთოლს აშრიალებს ქარი.

<< ს ი ო >>

ნელა-ნელა დაჰქრის სიო
შემოსულა მაისიო,
გაზაფხულმა მოიტანა
სიცოცხლე და ხალისიო.
რა საამოდ დაჰქრის სიო
ადრე დგება ცელქი გიო,
ისეთია მზესაც ასწრებს
რომ დახატოს აისიო.
ნელა-ნელა დაჰქრის სიო
დავლურს უვლის ჩვენი შიო,
ცაში ტოროლები სტვევენ
ზღვაზე ჩნდება დაისიო.
რა საამოდ დაჰქრის სიო
სიცოცხლეს აქვს ხალისიო,
წელიწადის ყველა დროს
აქვს სილამაზე თავისიო.
ნელა-ნელა დაფქრის სიო
შემოსულა მაისიო,
გაზაფხულმა მოიტანა
სიმწვანე და ხალისიო.

მართვე

იგავ-არაკი

მზე ამოვიდა, გაბრწყინდა
კავკასიონის თავზე,
ღრუბლები ციდან გაფანტა
სხივი გაშალა ფართედ.
არწივმაც ჩამოიქროლა
ბუდეს მოსწყვიტა მართვე,
სამყაროს გადაახედა მთებს,
ტყეებსა თუ ბარდებს.
დიდრონი ფრთები გაშალა
ფრენაც ასწავლა მალე,
ბუნება შეაცნობინა ცას
შეუერთდნენ მარჯვედ.
ფრენა ასწავლა და მერე
დროებას როგორ გაჰყვეს,
ნადირობა და თვითრჩენა
ბუდისგან შორს და გარეთ.
ტრადიციული ჩვევები თვის
კანონს რომ არ ასცდეს,
არ შეითვისოს უცხო რამ
რაც მის ჯიშს დაამარცხებს.
ესაა ბუნების წესი და
ვერ წაუხვალ სადმე,
არწივი მაგალითია,
ადამიანთა კვალზე.

10.01.2021 წ.
ათენი.

დ ა რ ი გ ე ბ ა

შენ ჩემო სულის ვარსკვლავო
შვილო ნანატრო ბედითა,
ეს დარიგება მიიღე შენი
მშობელი დედისგან.
– რომ გაიღვიძებ დილითა
კმაყოფილი ხარ ძილითა,
უფალს მადლობა შესწირე
პირს რომ დაიბან დილითა.
– პირჯვარი გადაისახე
წაივარჯიშე ტვინითა,
მერე იმ საქმეს შეუდექ
რაც დაისახე შიგნითა.
– არ მოჰყვე ცხოვრების წუწუნს
ნურც მოექცევი ჯიბრითა,
სწავლის დროს რასაც შეიძენ
ის მოგეცემა სინითა.
– ყველა ნეგატივს ერიდე
გაბერილს ბოღმის ტიკითა,
საპირისპირო აკეთე
სიმღერითა და ლხინითა.
ღმერთი შეისმენს შენს
ლოცვას საქმეს,
რომელსაც იმკი და
უფალი წყალობას მოგცემს
წარმატების და წინსვლისას.

კ ა ლ ა თ ი

ერთხელ პაპამ წნელი მოჭრა
დააგროვა მარაგი,
მერე ტყავიც გააცალა
რომ დაეწნა კალათი.
წნელი ბევრგან დაამაგრა
გადაგრიხა კანაფი,
ერთმანეთში გადახლართა,
გააკეთა კალათი.
შვილიშვილმა პაპას უთხრა
ეს რა საქმე გიქნია!
შინდის წნელი თუ თხილისა
რატომ გადმოგიწყვია?
პაპას ტკბილად ჩაეცინა
მიაწოდა კალათი,
ყვავილებით გაავსე და
მოატარე ქალაქი.
პაპი ! პაპი! ამიხსენი
ეს კალათი ვისია?
ვისია და მისია
შენ და შენი ძმისია.

23.01.2021წ.
ათენი

ს ა ქ ა ნ ე ლ ა

დიდ ეზოში კაკლის ხეზე
ჩამობმულა საქანელა,
იქვე მყოფმა ფრინველებმა
მოინდომეს გაქანება.
უცებ ხის ტოტზე შემოსხდნენ
ვარიები, მტრედები,
იქვე ტბიდან გადმოფრინდნენ
გრძელკისერა გედები.
ამ ყიჟინას ტყის მცხოვრებმა
თვალი მოჰკრა მელიამ,
ვარიების დანახვაზე
გული გადაელია.

ჩუმა-ჩუმად მიეპარა
ნუგბარს არჩევს გემრიელს,
ზოგს რომ ჩუმად მოიტაცებს
შინ წაუღებს მელიებს.
დარჩენილებს გადასანსლავს
შემოჯდება ხის ტოტზე,
საქანელასგააქანებს
მიზეზს გამოიგონებს.
გრძელი კუდით გადახვეტავს
ძირს დაფენილ ბუმბულებს,
ვითომიქაც არაფერი
გაკვირვებით უყურებს.

20.01.2021წ. ათენი

წიწილა და ყვინჩილა

წია-წია, წიწილო
პაწაწინა გვრიტინო,
კრუხს გვერდიდან არ მოშორდე
საფრთხე რომ აიცილო.
წია-წია, წიწილო
გულყვითელა ყვინჩილო,
ყოყლოჩინობას ერიდე
მურასთან არ გიჩივლონ.
წიწილამ და ყვინჩილამ
ნაგავზე ჩაირბინა,
ერთი დიდი ჭიაყელა
ორივემ დაიჭირა.
გასწიეს და გამოსწიეს
საცოდავი ჭიაყელა,
იქ ყვინჩილამ გაიმარჯვა
სუსტს ზიანი მიაყენა.
ასე არის ბუნებაში
ძლიერსა აქვს მეტიო,
სუსტი დამარცხებულია
ასეთია ბედიო.

25.01.2021წ.
ათენი

მდინარე

ეს მდინარე რაკ-რაკა
მოჩუხჩუხებს ჩქარ-ჩქარა,
გზად ქვიშაში გაიფილტრა
წყარი გახდა ანკარა.
სანამ გარემოს მოედო
ფლორამ თავი დახარა,
მათ წყურვილი მოუკლა
და კვირტად გამოაყარა.
ფესვებს სიგრილე შესძინა
ნერგმაც ტანი აჰყარა,
წყალი სიცოცხლის დედაა
ყინვაა თუ თაკარა.
მერე ძვრებში გადაეშვა
ჯეჯილსა თუ ყანასა,
ირგვლივ სიცოცხლე მოჰფინა
ნერგებსა თუ ბალახსა.

კმაყოფილი წანარ-ნარდა
მთიდან ჩამოდენილი,
გზაში ბევრი რამ გადახდა
საქმედ გამოვლენილი.
ისევ გრძელი გზა განაგრძო,
ტყე-ღრე, მდელო იარა,
ხან აორთქლდა, ხან გამოჩნდა
ნაპრალებშიც იარა.
სიკეთის მდინარე ჰქვია
სიმარტოვის კი არა,
იარა და იარა,
წვიმად ჩამოიარა,
ბოლოს ზღვაში ჩაესვენა
ის მდინარე მთლიანად.

20.01.2021წ. ათენი

პროზა

რეზო ადამია



პაემანი სიკვდილთან
ტერენტი გრანელი

გაგრძელება
დასაწყისი №10 ანთოლოგიაში

გრანელის შემფასებელთა ხმა – მან მე ამანთო და სულიერად შემძრა, – რასაც ნიშნავს, საგრძნობლად შემცვალა: დიახ! უცნაურობაა...

მითქვამს და ვიტყვი – სრულიად ახალი, უცხო და ხილვებ-იდუმალ აზრების მოსვლა, ფეხმძიმე კეთილი ქალის სამართლიან ცხოვრებას მიაგავს, დიდი ტკივილებით განცდა-შიშით და მოახლოებული საამო მოლოდინით – შობა და ბოლოს სიხარულ-სიამოვნება. უთუოდ სულიერ-ხორციელი ტკივილიდან მოდის ბევრი რამე საინტერესო და სამომავლოც. ქრისტიანობაც ხომ მსგავსი სახეა ყოველივე ამისა, ღრმა რწმენა, წვალებ-წამებით მოვიდა ჩვენამდე და ამჟამად და მომავალშიც მსხვერპლს მოითხოვს უსაზღვროს, რომელმაც თავის საწყისებთან ეშმაკეული წარმართობა დაამხო. ვსვამ კითხვას ნათელი, ბნელიდან ხომ არ იშვება? აქ კი თავადვე მიძნელდება პასუხის გაცემა...

იშვიათად, მაგრამ საბედნიეროდ არიან ადამიანები თავის ქვეყანას და ხალხს შეწირულები, აგრეთვე გახლავთ მათგან ნაწილი უფალს და ეკლესიას. გრანელი ოთხივეს ერთდროულად, უკანასკნელი ნერვის წვეთამდე გახლდათ უერთგულეს მსხვერპლად თვით მიბრძანება, რომელიც წარმოადგენდა მძიმე ჯვარს. ამიტომაც ის არ განიცდიდა მატერიალური სიღარიბის სულიერ მცირედ ზეწოლასაც, რომელიც მგოსანს მთელი სიცოცხლე თან სდევდა. გრანელი სამაგალითო და უერთგულესი ბერი იყო სიწმინდისა და ცაანკარა პოეზიისა.

შემოქმედებითი და სულიერად უმდიდრესი, მატერიალურად გაშიშვლებული, მაინც ამაყად დაიარებოდა...

ეკლესია-მონასტრებში ბევრ წმინდანად შერაცხულს შეამკობდა ამდაგვარი ნათელი გაჩენა. მათთან ერთად მიწიერ და ზეციურ დატვირთვას ბოლოს და მართლაც ვერ გაუძლო და მარტოდმყოფს სიკვდილი დაეხმარა იმ კოსმოსური განუსაზღვრელი სიდიადისკენ გადასვლაში, რომელსაც მე კი არა, მგონი ბოლომდე ვერავინ ვერ მისწვდება... აქედან გამომდინარე შეგვიძლია გაბედული აზრნი დავადგინოთ, რომ ყოველგვარი ზეციურ-ღვთიური, აუწონავი ტვირთია და დიდ ზნეობრივ განძ-სიმძიმეს წარმოადგენს, რითაც ნელ წრიულ ასტრონომიულ წვაში და კოსმიურად უახლოეს მძაფრ წიოკ-აგონიაშია. თავდადებულ დიდ მსახურ მზე-მნათობში უსაზღვროდ მაღალი ტემპერატურა ფეთქავს და ზეაღმატებულად ითუთქება. ვაი ჩემო „მზეო“! რა დღეში ხარ და როგორი ბედი გიწია სამყაროების უზარმაზარმა კანონმდებლობამ. სამწუხაროდ შენს მზიურ უსაზღვრო გონებამდე ადამიანი ვერასოდეს ვერ ამაღლდება. მაცხოვარიც შენ გგავს სიკეთევ. მანათობელო!

პირდაპირ საოცრებაა, დღენიადაგ პლანეტა იწვის, რითაც ირგვლივ უსასრულო სიცოცხლე ჩქეფს...

მიუკარება მზეო და უახლოესო! მეზობელი ანდრომედეს გალაქტიკიდან რა მძაფრი სხივთ მტყორცნელი ულამაზეს ვარსკვლავად იხილვები ალბათ?!

„პუბლიკა ყოველთვის მზადაა ტაშისცემით შეეგებოს ფეიერვერკებს, მაგრამ არა მზის ამოსვლას“. ფრიდრიხ ჰებელი. აი, აქაა ჩვენეული გონების დაბნელება, კოსმოსს – მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს მოსწყვიტა ხედვა-გააზრება ადამიანმა და მხოლოდ მიწას დაჰყურებს: ამდაგვარ საუკუნეთა ღვთივ კოსმიურ განდგომას, რამდენიმე უნიკალური ლექცია მიუძღვნა გენიალურმა რუდოლფ შტაინერმა.

ადამიანებმა სიკეთესთან ერთად ნგრევა-ომები და ბოროტება ხომ არ მოიზიდეს კოსმოს-ვარსკვლავეთიდან? თითქოსდა უადგილო და უმძიმესი შეკითხვაა, მაგრამ...

ჩვენ, მუდმივად ცნობისმოყვარეობის მოლოდინის და სიახლეთა ხილვების ფიქრ-განცდე-

ბის ზღვა-ოკეანეში ვიმყოფებით, აი და ესაა წუთისოფლის ცხოვრება სივრცისეული მოძრავი მრავალფერადოვნებით. კოსმოსის მუდმივობაში არსებულმა განუსაზღვრელმა მეხსიერება-სიცოცხლის უხილაობამ ეტყობა მძიმედ დაუშავა სამყაროს მთავარს, მან კი კანონიერად დასაჯა ის გარკვეული დროით, და მეხსიერება, ჩაასახლა ხორციელად გარდაქმნილნი. დიდი გამოცდა წვალების პლანეტაში: არაა გასაკვირი ასეც რომ იყოს... მერმე ურყევად დაკანონდა: წვალებით და უღარიბესად დაიბადოს (უსასრულობიდან არაფერი გაჰყვეს). მიწიერი სასჯელის მოხდის შემდეგ გამოეთხოვოს სამშობლო პლანეტას და მერმე გამოცხადდეს სამყაროს უზენაესის წინაშე ისევ გარდაუვალი წამებით, ტკივილებით, განცდებით, უღონო შიშველ-გაძარცული და უძლური და კვლავ სივრცის მეხსიერებად დარჩეს... დაახლოებით ამდაგვარი უკიდეგანო გარემოს ცვალებადი წესრიგის წინაშე ვდგავართ აწ, მოვლენილი ადამიანები...

„სად ვიქნებით სიკვდილის შემდეგ? სადაც არიან ჯერ არშობილნი“. ლუციუს ანეუს სენეკა – აქაა გამჟღავნებული ადამიანთა სივრცობრივი ფორმა უხილაობისა.

როდესაც მგოსნის ირგვლივ ქვეყანა ნიღაბასხმული დაიარებოდა და დღენიადაგ დადის, ტერენტი გრანელი სულ-გონება-გულ გახსნილი კოსმოსივით იერმოშიშვლებული და ნიავივით სუფთა ხატული დაბრძანდებოდა ხოლმე და კიდევაც მთელი სოფლის თუ ერის ავ-კარგი სიდუხჭირე სევდა-ურვა თუ შეჭირვებულობის ფორმები უნიღბოდ ტრიალებდა მართალი მგოსნის ალალი ინსტინქტის წარმოსახვათა სულში და გონებაში, ყოველივე ეს თითქმის სტიქიური წვალების მომგვრელი იყო, შედარებით მოჩვენებით სრულიად თავისუფალ სივრცეში.

უსასრულობის და კოსმიური უხილაობის სამყაროს უბეში იწვის მზეები და გაუთავებელ ცეცხლის ალში იდაგება, ხოლო საშუალო-პატარა თუ გიგანტი პლანეტები უსიცოცხლობისგან გულმძიმედ მდუმარებენ და სხვა მანათობელ ვარსკვლავებზე და მზეებზე არიან დამოკიდებულნი ყოველივე კოსმოგენურ ჭეშმარიტს, იდუმალ ზეციურს გრანელი ზემგრძნობიარებით კოსმოსცნობიერებით უმწვავესად გრძნობდა და სევდის მომგვრელ პოეტურ საკვირველებად განიცდიდა; რითაც იბადებოდა პოეზიის შედევრები.

პლანეტებს მოჩვენებითი ნიღბები არ გააჩნიათ და ნებისმიერნი კოსმოსმიერ სივრცეში რენტგენულ-მაგნიტური ზეგავლენითი მოძრაობით პირისპირ წმიდად გახსნილები არიან.

ადამიანი ათასობით და მილიონობით წელია თანმიმდევრულად თავის გონებრივ-ფსიქოლოგიურ და სულიერ პორტრეტს გამორჩეული გენიით ხატავს-ძერწავს-აქანდაკებს ქმნის კულტებს და შეუჩერებლივ ეძებს თავის ნაღდ სულიერ-შინაგან ფსიქოლოგიურ მართალ ნატურას და საერთოდ რაცაა მოძიებულ-მიგნებული ქვეყნად არსებულისა რელიგიებიდან, მეცნიერებიდან, ფილოსოფიიდან, ხელოვნებიდან და უკეთური სიბინძურიდან დაწყებული, ასევე მრავალი შეუსწავლელი საოცრებების ჩათვლით ყველაფერი თვითონაა თავად, რაც კოსმიურმა ზეძალამ სტიქიურად თუ გენეტიკურად თანდათანობით ჩაღვარა მასში და პარალელურად ყოველივეს მოძრაობა ღრმა შეჭირვების მომგვრელია გარემოში და მისთვის. რათა მათგან აღვსილი საშინელი და ურთულესი ფორმები უმწვავესი ტრაგიკული ურთიერთწინააღდეგობებითაა სავსე... საბედნიეროდ ქვეყნად ნათელ პარალელურად, მრავალი ბუნებრივი სიკეთე დადის და ივლის, ხოლო მათში გარკვეული ნაწილი მხოლოდ ნასწავლი მითითებებით არსებობენ, რომელნიც ბეწვის ხიდზე გადიან...

თქვენზე მინდობილი ჩვეულებრივი და თავისუფალი მწერალი, ამდაგვარ აზრებს რომ ვამხელ სიმწრის წნეხში მომწყვდეული უღონოდ ვწრიალებ და რატომღაც სიკვდილზე ფიქრი, დარდი და შიში სიამაყით მიქრება; რათა ყველგან მყოფი ჭეშმარიტება პირადულსაც გაპოვნინებს, ანუ უფრო გააქტიურებულ აზრთ ძიებმცდელობაში ხარ...

კაცობრიობის ნებისმიერი დარგის გენიოსები თუმც ადამიანები არიან, მაგრამ ჩვეულებრივი ნიღბით ვერ დადიან რათა ყოველგვარ ხელოვნურობას ამსხვრევს მათი უფლისმიერი უდრეკი დიადური ნიჭის გამოსხივება ღვთიურ-შემოქმედებითი დაუდგრომლობა და ყველგანმზირალი სულიერ-გონებრივი სიმძლავრე.

უიმედობის უკანასკნელი ღამეა სევდაჩაძირული: ტერენტი საბოლოოდ ამ ქვეყნად ყოველთაგან და ყველაფრისგან სულმწარედ განიძარცვა, მხოლოდ ჯვარი შერჩა კეთილი-უახლოესი; მერმე ერთ ადგილზე ფიქრებით გარინდულს გული აუჩუყდა უცხოდ, სიმწრით ნეკა თითის ფრჩხილთან იკბინა და ტანთ მელანქოლიურმა უჩვეულო სიცივემ დაუარა, სითბოსგან იგრძნო, რომ სისხლმა იდინა მის პატარა სხეულიდან, შემდეგ გულმკერდიდან ჯვარი ჩამოიხსნა, ხისა ჰქონდა ბზისგან გამოჭრილი, ძველისძველი.

პატიოსანი, წამებული და კეთილი, ღვთიური სახება, თავის გაურყვნელ სისხლში განბანა და გულის მხარეს ჯიბეში ჩაასვენა...

გარკვეულ წუთებში, ქარის შემდგომ მზის ჩასვლასავით დამთავრდა, მგოსნის ამქვეყნიური წამებული ცხოვრება, და რაღაც განსხვავებული დროის წარმოუდგენელ შუალედში, ქარწარტაცებული მომწვანო ცისფერი ღრუბელივით უცხო მხარეში შეაღწია; თითქმის სხვა ვიღაცად, ანუ ჩვენთვის გაურკვევლობად გარდაისახა და პიროვნებითი მეობის შეცნობაც შეწყდა, რათა მიწიერი ადამიანი უკვე წაშალეს...

მთებსშუა მომწყვდეული ბინდისფერი მგოსანი, მოწყდა მშობლიურ გარემოს და უმძაფრესი სიზმარივით გაქრა – შეერწყა კოსმიურ მთლიანს და დაგვიტოვა ცნობისმოყვარეობითი ჟინით სავსე გაურკვევლობა. წარმოიდგინეთ მეგობრებო რა ხდებოდა და, სასწაული! ამ დროს გრანელის, ფილოსოფიურ-პლანეტარიუმის დანისლული სიცოცხლე-სიკვდილის ვარსკვლავთ სხივებით განბანილმა ლექსებმა, მართალ, მარადიულ შემოქმედებით დამოუკიდებლობას მიაღწიეს და მიწიერიდან განიწმინდნენ ყოველთა მიმზიდველ – წმიდანის სულიერ პლანეტარიუმის სულმხურვალე პოეზიად. ეს ყველაფერი ხდებოდა დროის და სივრცის სასწაულებრივსა და მიუდგომელ ქმედებაში. იმ დღეს, დაუდგენელი მიმართულებითი ცხელი ქარი ამოვარდა თურმე, და მრავალთ გუნება აუფორიაქა. გაკვირვებული ღრმად განსწავლული ასტროლოგები ასე ხსნიდა, ვარსკვლავების მოძრაობამ არეული მოქმედებით ზენიტს მიაღწიაო და უთუოდ ვიღაც გამორჩეულ პიროვნებას გენეტიკურად შეეხოო პლანეტების ამდაგვარი გადაადგილებები თუ კოსმიური ჭარბი და ვრცელი ბუნებრივი ემოციებიო...

კეთილო მკითხველო, ნდობით მოგმართავთ, ყოველივე ამას შეთხზულად თუ წარმოდგენით არ ვწერ, ამავ დროს მეორედ ვცდილობ ღრმად დავასურათო, რომ ნამდვილად აგრე მომხდარა და მომსწრეების თუ მომგონებელთა ფაქტმართალი გადმოცემებიდან ვსარგებლობ. მსხვერპლდაავადებითი მგოსანი ამქვეყნიური განცდებწვალების მქონე, დამატებული უკეთური თანამემამულეებისგან მიყენებული წამება, მტრული დაუნდობლობა, შეურაცხყოფა, დევნა, შური და განწირვა, აი რა სახის უბედურებები დევნიდა ისედაც ავი დროისგან ფიზიკურად თუ სულიერად განადგურებულსა და უსაზღვროდ განმარტოებულ პოეტს. უმეტესობა ჩვეულებრივი ადამიანებისა ამქვეყნად მიახლოებით მაგდაგვარად ცხოვრობენ და არსებობენ, მაგრამ გარემოსათვის ნაკლებად შესამჩნევ მნიშვნელოვანია; ხოლო მოწოდებით ხელოვანის, განსაკუთრებით პოეტის, მწერალთ, ფერმწერის, მოქანდაკეთ, არქიტექტორთა დიდ მეცნიერთ და კომპოზიტორთა შემოქმედებითი ცხოვრება სრულიად სხვაა, რათა ღმერთი და უშუალოდ ვარსკვლავეთია მათში მთავარმოქმედი და ზესამყაროსეული მრავალშინაარსიანი დიადურ-ბრძნული გამოსხივება გამოდის, რომელიც ჩვენ კი არა, უსათუოდ საუკუნეებს და ათასწლეულებსაც სულიერ-გონებრივ მკურნალად წვდება.

თბილისში და სრულიად საქართველოში ჩემთან ერთად მრავალი მძიმედ და გულთან ახლოს მიტანით განიცდის ტერენტი გრანელის, ცხოვრება-ურთულეს გრძნობა-განწყობილებით მოწამეობრივ შემოქმედებას. პირადად უფალს შევთხოვ, სულიერად შემიმსუბუქოს, ამ ფორმის თუ სახის დაუოკებელი განცდები...

დევნილ-შეწირულის და განგებ შექმნილი ტრაგედიის მეორე დღეს მედდამ, ახლად მოსვენებულ მკვდრებში რომელმაც მოულოდნელად იცნო გრანელი, ა იქვე მყოფთ შეატყობინა ეს კაცი ხომ მარტოხელა მიტოვებული პოეტია? თბილისის ღამის ქუჩების და სასაფლაოების ხშირი სტუმარი!? მერმე ჯვარი რომ აღმოაჩინა გამხმარსისხლიანი, გაუკვირდა მიცვალებულს ჭრილობის კვალი არ აჩნდა სხეულზე არც დაბეჟილობისა, შეიძლება მოწამლეს, მაგრამ სისხლი საიდან? როგორ? ჯვარი პატიოსანი განწირული პოეტისა ისევ დააბრუნა თავის ადგილას და ალალი ცრემლები მოიწმინდა. კეთილ-მედდა ახალგაზრდა გოგოს, შეეცოდა და გააკვირვა ბედით უცნაური მგოსნის ამდაგვარმა ტრაგიკულმა და უპატრონობის შემზარავმა სურათმა.

მედდის მბრძანებლურ-თხოვნითი დაბალი ხმა გაისმა: მიცვალებული მხოლოდ სასვენიაში გაამწესეთ და ახლავე ვაცნობოთ მწერალთა კავშირსო...

პოეტის უმანკო სისხლით განბანილი ჯვარი მიაცილებდა, უკეთურთაგან და ყველასგან გაქცეულ დევნილს, ურწმუნოთაგან მიტოვებულ გრძნეულს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №№28-38-ში)

დაახლოებით ივნისის თვეში ბაზალეთის ტბის სანაპიროზე თქვენ გაიცანით უზბეკეთიდან თვითნებურად ჩამოსული სუსტი ნებისყოფის ქალიშვილი, რომელსაც თბილისში მაცხოვრებელი რუსის გოგონა ახლდა. შენ ორივენი რესტორანში მიიპატიჟე და წინააღმდეგობასაც არ წაწყვეტებიხართ. შემდეგ ძმას ტელეფონით დაუკავშირდით და იმ ღამეს გვაინობამდის მოულხინეთ, შემდეგ წინასწარ გამზადებულ ცალ—ცალკე ოთახებში გაიზიარეთ ქალებთან სარეცელი, იროდის უზბეკი გოგონა არ მოეწონა და ეს უკანასკნელი შენ გერგო წილად. სამიოდე დღე დაჰყვეს გოგონებმა თქვენს ხარჯზე და კარგადაც ისამოვნეთ. ისინი წავიდნენ, მაგრამ აი უბედურება, შენ ვენერიული დაავადება აღმოგაჩნდა და ამ სენით შენი მეუღლეც დაავადდა. შეიქმნა ოჯახში უკმაყოფილება, შენი მეუღლე საავადმყოფოში მოათავსეს, შენ კი კერძო მკურნალობა აირჩიე, შენმა მეუღლემ არ დათმო ოჯახის წაბილწვა და განქორწინება მოითხოვა, სახალხო სასამართლომ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. შენ ყველაფერი ძმას გაანდე და ორივემ ერთად დაიწყეთ გოგონების ძებნა, რათა სამაგიერო მიგეზღოთ ოჯახის ამრევისათვის.

შენ იცოდი უზბეკი გოგონას გვარი, სახელი და მისამართი, რომელთანაც სარეცელს იყოფდი, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა, რადგან ასეთი გოგონები სწორ მისამართს არ იძლევიან. შენი ძმა კი შენზედ ჭკვიანი აღმოჩნდა, როცა მის რჩეულ რუს გოგონას ეძინა, იროდიმ პასპორტი მოპარა და მისამართი ამოიწერა. მრავალჯერ მიაკითხეთ დაქალებს ბინაზე, მაგრამ სახლში არ დაგხვდათ. იძულებული გახდი დადარაჯებოდი და აი აგვისტოს დასაწყისში გამოიჭირე კიდეც. გოგონებს შენ ყველაფერი შეახსენე, მაგრამ შენს ნაცნობობაზე უარი განაცხადეს, ამიტომ იძულებული გახდი ძალით ჩაგეჯინა ორთავენი ავტომანქანაში და ბაზალეთის ტბაზე ამოგეყვანა.

წარმატება იროდის შეატყობინე და ისიც დაუყოვნებლივ შენთან გაჩნდა. გვიან ღამემდეს იკამათეთ, ქალები უარს ამბობდნენ ვენერიულ ავადმყოფობაზედ, შენ პირველად უზბეკი გოგონა ცემე და შემდეგ თავისივე ყელსახევით მოახრჩვე, რადგან უზბეკი გოგონა მოაკალით უნდა მომკვდარიყო რუსი გოგონაც, ვინაიდან მკვლელობის მოწმის ცოცხლად დატოვება თქვენთვის ხელსაყრელი არ იყო. გოგონა ბევრს გეხვეწებოდათ, რომ არაფერს არ იყტოდა, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი დაუჯერებდა? ამიტომ ისიც გზიდან ჩამოიშორეთ. ღამით, როდესაც დარაჯსაც კი ეძინა, ნავი გამოიყვანე, გვამები ზედ მოათავსეთ და ტრაქტორის სახნისები ჩააბით წყალში რომ ჩაძირულიყო. ნავის ძრავა არ ჩაგირთავს ხმა რომ არავის გაეგონა და ნიჩბებით ტბის შუაგულში შეცურეთ, გვამები წყალში ჩაუშვით და დამშვიდებული დაბრუნდით ნავსაყუდელში იმ იმედით, რომ არავის დაუნახიხართ, მაგრამ თქვენ შეცდით, დაგინახეს და მოწმეებიც არსებობს.

– ბრავო! კარგი ზღაპარია, მაგრამ იცოდეთ ამ ზღაპრის მსხვერპლი მე არ გავხდები – წამოიყვირა მანუჩარმა.

– არა, ეს ზღაპარი არ არის, ხვალ შენს ძმასთან დაპირისპირებას მოგიწყობ და ეცადე იმართლო თავი.

– როგორ ერთ—ერთ მოწმედ ჩემი ძმა არის?

– ასე გამოდის!

– მანუჩარს თვალები გაუფართოვდა, პირველივე ცეცხლმა დაიკვესა და ნაპერწკლები დაუფრქვია. შემდეგ თანდათან ჩაიფერფლა და ჩანაცრდა სიმკაცრე.

– არ გამოვა! – თქვა მან ოდნავი დუმილის შემდეგ და დაუმატა.

– უბრძანეთ გამიყვანონ! – ზვიადაურმა მანუჩარის თხოვნა დააკმაყოფილა.

გამომძიებელმა პროკურორისაგან იროდი წიკლაურის დაპატიმრების ნებართვა გამოითხოვა და იმისი დაკითხვა მეორე დღისათვის გადადვა.

იროდი წიკლაური ავადმყოფის იერით გამოცხადდა პროკურატურაში და გამომძიებელ ზვიადაურის პირისპირ მოთენთილი ჩაჯდა სავარძელში, სულიერ აფორიაქებას ვერ შეამ-

ჩნევდით, ეტყობოდა უფრო მეტი აწუხებდა რაღაც, თვალები ჩაღამებოდა და სახე ისე ჰქონდა გაცრეცილი, რომ თაბაშირის ბიუსტს მოგაგონებდათ.

– ბატონო ეროდი – დაიწყო გამომძიებელმა – თქვენ განათლებული ადამიანი ბრძანდებით, რა თქმა უნდა იცით, თუ გამოძიებას ხელმოსაკიდი ფაქტი არ გააჩნია ბოროტმოქმედის მიმართ პროკურორისაგან დაპატიმრების ნებართვასარ გამოითხოვს. იმედი მაქვს ჩვენ როგორც კოლეგები ერთი – მეორეს გაუგებთ და შეცდომაში არ შევიყვანთ მართლმსაჯულებას.

– რა გაქვთ მხედველობაში, ბრალად რა მედება? – წყანარად წარმოთქვა ნიკლაურმა.

– რა საჭიროა შეგახსენოთ, თქვენც კარგად იცით ჩადენილი ბოროტმოქმედების არსი.

– ბოროტმოქმედება ბევრი ჩამიდენია, თითოეული კანონის ძალით მკაცრ სასჯელსაც იმსახურებს, თქვენ კი არ ვიცი რომელ დანაშაულზე შეაჩერეთ მხედველობა და აწარმოებთ გამოძიებას.

– მე ბაზალეთის ტბის ფსკერზე აღმოჩნეილი გვამების ირგვლივ ვაწარმოვებ გამოძიებას, მაგრამ საინტერესოა კიდევ რა დანაშაულებანი გაქვს ჩადენილი და ან როგორ მოასწარი უამრავი დანაშაულის ჩადენა ესოდენ ახალგაზრდა კაცმა?

– მართლაც, რომ მოვასწარი, ალბათ დღეიდან აღარც შემწევს ძალა ვიყო თაღლითი ან კეთილი. ჩემი არსებობის მცირე მონაკვეთში ბევრი ადამიანი შემიშინებია, გამომიძალავს, უდანაშაულოსათვის სასჯელიც მომირგია, დავივიწყე პატიოსნება და ბოროტებას ვეთაყვანებოდი. სწორი მეგონა ჩემ მიერ არჩეული გზა, მაგრამ ახლა როდესაც ძალზედ გვიანია, და სიცოცხლეც ისე მინდა როგორც არასდროს, ყველაფერი დამთავრებულად მეჩვენება. არ იფიქროთ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სასჯელის მეშინოდეს, ან შეღავათს ვითხოვდე მართლმსაჯულებისაგან, არა ჩემ მიერ სავალალო მხოლოდ ის არის, რომ მე ვერ მოვისმენ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ჩემს სასჯელს გამოიტანს.

– საიდან მოგდის ასეთი შავი ფიქრები, ახალგაზრდა კაცი ჯანღონით სავსე და სიკვდილზე ფიქრი რა საკადრისია?

– ვერსად ვერ დაემალები განგების ძალას და იმის გადაწყვეტილებას. ერთი კვირის წინათ დედაქალაქში ვიყავი, მინდოდა დაკარგული დიდება აღმედგინა და ჩემს რაიონში თუ არა, სხვაგან მეშოვა სამსახური სპეციალობით მიხედვით.

წერეთლის გამზირზე პირისპირ ბოშა ქალი შემომეჩეხა, გამიღიმა მართლაც კარგი რამ იყო და მეც გავუღიმე...

„ისევ ბოშა ქალი, თვალები გაუფართოვდა გამომძიებელს".

ნიკლაური კი საუბარს განაგრძობდა:

– ის მომიახლოვდა, ჩემი მარჯვენა ხელი აიღო, მტევანზე დამაცქერდა და ბოშური დამტვრეული ქართული მითხრა:

– „შენ ეროდი გქვია, ნიკლაური ხარ გვარად, ოოო" დიდი სამსახური დაგიკარგავს და ახლა ლამობ აღდგენას, მაგრამ შენ კიდევ დიდი მწუხარება მოგელის".

– ის წასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ მე მაჯაში მოვკიდე ხელი და საშუალება არ მივეცი წასულიყო.

– კიდევ მითხარი რამე. – ვუთხარი მე.

– არა, ქუჩაში არ ვმარჩიელობ. – მიპასუხა.

– მაშინ ჩემთან წამოდი, სახლში მარტო ვცხოვრობ და არც შორს ვარ აქედან – ის ცოტახანს ჩაფიქრდა და როდესაც თხოვნა გავუმეორე მითხრა:

– წავიდეთ! მხოლოდ ხელი არ მახლო, თორემ ინანებ!

ხალხმრავალ ქუჩას გავუყევი, ის უკან მომყვებოდა და ათიოდე წუთის შემდეგ ჩემი ბინის კარები შევაღე.

– როდესაც ბინა დაათვალიერა, „შენ მდიდარი არ ხარ!" – მითხრა მან, – „რაც შენ ფული გიშოვია დროსტარებისათვის მოგიხმარებია და მადლობელი კი არავინ არა გყავს", – ბოშამ ისევ აიღო ჩემი მარჯვენა ხელი, თითები გამაშლევინა, ხელის გულზე დიდხანს მიცქირა და საუბარი თუ მარჩიელობა განაგრძო:

– „თუ ყველაფერი სიმართლე გითხრა, ნუ გეწყინება, დიდი ხიფათი გელის და ვინ იცის იქნებ აიცილო თაივდან მოსალოდნელი უსიამოვნება. შენ კარგი სამსახური გქონია, ბევრ ფულს შოულობდი, მაგრამ ფულის ყადრი კი არ იცოდი, სამსახურიდან მოგხსნეს ცილისწამებისათვის. ცოდვილი ადამიანის სისხლი გაწევს კისერზე, მთავრობის სახლი გემუქრება, მაგრამ უეცრად ავადდები და საკუთარი თავის სასამართლო განაჩენს ვერ მოისმენ.

– როგორ ვკვდები? – შევეკითხე მე. მან ჩემს შეკითხვას არაფერი არ უპასუხა და მაგიდასთან ჩამოჯდა სკამზე. გადავწყვიტე გავმასპინძლებოდი. არაყი და ხილი მოვიტანე. ჭიქებში სითხე თვითონ ჩაასხა და პირველმა დალია, მეც დავლიე, საუბარი გავაგრძელეთ, მაგრამ იმისი ლაპარაკი აღერ მესმოდა, ძილმა თავი წამართვა და წამოვწექი, შიში არ მქონდა, რომ ბოშა ქალი გამქურდავდა და ჩავიძინე. დილით

კარგ გუნებაზე გამომეღვიძე, ცოტა თავი მიბრუოდა, მაგრამ ეს არაფრად ჩავთვალე და ბოშა ქალს წავეპოტინე, როდესაც სავარძელში ჩაძინებოდა. ის დაფეთებული წამოიჭრა – „ხომ გითხარი ხელი არ მახლო—მეთქი“ – დამიღრიალა მამაკაცის ხმით და ისეთი ალიყური მაჭამა, რომ დივანზე მოსხლეტით გავიშოტე, ბოშამ კარები გაიჯახუნა და წავიდა. მე დიდხანს ვისვამდი ნიკაპზე ხელს, შემდეგ ჩემი საქციელის შემრცხვა, გამეღიმა და ქუჩაში გამოვედი.

ბოშა ქალის სტუმრობიდან მესამე დღეს ბეჭის ძვლის ქვემოთ ორივე მხარეს მწვავე ტკივილები ვიგრძენი, პირველად ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ტკივილები უფრო და უფრო აუტანელი გახდა, გუშინ ექიმებს გავესინჯე, რედგენზედაც გავეშუქე და ფილტვების ორივე მხარეს უკურნებელი სენი – კიბო აღმომაჩნდა.

– კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ? – შევეკითხე ჩემს მკურნალ ექიმს და კალამი იმ ფურცელზედ დავამტვრევინე, რომელზედაც ჩემს რეცეპტს წერდა.

ექიმი მიხვდა, რომ ჩემი ჯანმრთელობის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, თვალებში შიში ჩაუდგა და ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა – „ორი კვირა, იშვიათ შემთხვევაში სამი”. – ვიცი მართლდება ბოშა ქალის წინასწარმეტყველება, ჩემი სიცოცხლის დღეები დათვლილია, მინდა ამ ქვეყნიდან გაწმენდილი სინდისით წავიდე, არ მინდა გავიყოლიო არც ერთი შეცოდება იმ ქვეყნად და არც ჩაუდენელი ბოროტებანი ვიდო კისერზედ. შემეკითხე და გიპასუხებ, მხოლოდ არ იფიქრო შენებურად, ასე იქნებოდაო, როგორც გამომძიებლებმა იციან, ჩემი პასუხი იქნება სწორი და ამომწურავი, მხოლოდ სანამ საუბარს დავიწყებდე ერთი სათხოვარი მაქვს და გთხოვთ შემისრულოთ: – „დღესვე გაანთავისუფლეთ ჩემი ძმა მანუჩარი, ამას არა აქვს მნიშვნელობა ის დამნაშავეა თუ არა, ყოველგვარ დანაშაულს მე ვიღებ ჩემს თავზე, თქვენ იმის განთავისუფლებას ვალდებულებად გაიხდით და თხოვნას შემისრულებთ იმ შემთხვევაში, თუ ის ოჯახს დაუბრუნდება და კეთილსინდისიერად აღზრდის თავის ობლებს.

– რომ მანუჩარის მეორე ნახევარმა არ მოისურვოს შერიგება?

– ის ისეთი ქალია, მოისურვებს!

– თვითონ მანუჩარმა რომ არ ისურვოს ოჯახში დაბრუნება?

– მაშინ მე ვუშოვი ადგილს შრომა—გამასწორებელ კოლონიაში!

– თქვენ ხომ კარგად იცით მართლმსაჯელების კანონი, ყველამ უნდა აგოს თავის დანაშაულზე პასუხი, რატომ დაუშვით გამონაკლისი თქვენი ძმის მიმართ? –

– ის მართლაც არ არის დამნაშავე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოროტმოქმედების ცოდნას და მის გამოუმჟღავნელობას. – მე ვიძიებდი თბილისელი არჩილ მუზაშვილის საქმეს, რომელმაც ძარცვა ჩაიდინა ჩვენს ქალაქში, პროკურორმა ამ საქმის გამოძიება მე მომანდო და მეც ოსტატურად მოვარგე მძარცველს ყაჩაღობის მუხლი. ოც ივლისს ჩემთან კაბინეტში მუზაშვილის მეუღლე მოვიდა და სასჯელის შემსუბუქება მთხოვა ქმრის მიმართ. დავინახე ახალგაზრდა ქალი და ძლიერ მომეწონა, აღუთქვი დახმარება თუ ჩემს სურვილსაც გაიზიარებდა. ქალი შეყოყმანდა, დიდხანს იტირა და ბოლოს დამთანხმდა. ეს იყო ლამარა სეფისკვერაძე და არა ვიღაც უმისამართო რუსი, როგორც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი. მას გარეთ ელოდებოდა ლამარას მეზობელი ნარგიზი ზამბახიძე, რომელიც ერთი შეხედვით მართლაც უზბეკს ჰგავდა, მაგრამ ქალიშვილი მთლად ახალგაზრდა იყო და ამასთანავე პატიოსნების განსახიერება. ლამარამ ის მოტყუებით ჩემთან წამოიყვანა, მე კი ორივე ბაზალეთის ტბაზე ავიყვანე და ჩემი ძმის ოთახში შევიყვანე, კარგი ვახშამი გავაწყვეთ და ბოლოს სინათლე გამოვრთე. ნარგიზი ჩემი ძმის სურვილს არ დაჰყვა და გაქცევით უნდოდა თავისათვის ეშველა, მაგრამ სად წაუვიდოდა ლომივით ვაჟკაცს წიწილასავით გოგონა?

დილით ნარგიზი ლოგინიდან წამოიჭრა და პერანგისამარა ტბისაკენ გაიქცა, ძლივს დავეწიეთ და დაწყნარება დავუწყეთ – „სულიერთია თავს არ ვიცოცხლება, გაიძახოდა ის”.

– რა ხლაფორთში გამხვიე – ვუთხარი ლამარას – თუ ასეთი კერკეტი იყო რისთვის მოათრევდი ჩვენთან?

– ნუ გეშინია, პირველად ყველა ასე ხტის, მაგრამ შემდეგ ერთიმეორეს ეჯიბრებიან ვინ—ვის აჯობებს – მიპასუხა ლამარამ.

– ტყუილი იმედი გვქონდა, ნარგიზი არ მშვიდდებოდა. სახეს იხოკავდა და დაკარგულ ქალწულობას დასტიროდა, ბოლოს მანუჩარი ცოლად შერთვას და დაჰპირდა და ცოტა დამშვიდდა ნარგიზი. დიდხანს ვისაუბრეთ, ტბის სანაპირო ტურისტებითა და დამსვენებლებით გაივსო, ჩვენ კი ოთახში ვიყავით გამომწყვდეულნი და ათასგვარ ანეგდოტს ვყვებოდი, რომ ნარგიზისათვის დარდი გამეფანტა.

საღამოს გოგონები დედაქალაქისაკენ გავაცილე იმ იმედით, რომ მანუჩარი მალე იქორწინებდა ნარგიზიზე.

ერთი თვის წინ რომელიღაც ტურისტისაგან მანუჩარს სიფილისი აჰკიდებია. ვიცოდი ამის შესახებ, რომ ის კერძოდ მკურნალობდა და მე მორჩენილი მეგონა. მისი მეუღლე ჯერ კიდევ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

– შენ კი გაიძახი, რომ მანუჩარი დამნაშავე არ არის? – ქალიშვილის გაუპატიურება, ვენერიული დაავადების გავრცელება, ოჯახის მიტოვება დანაშაული არ არის? – ვეღარ მოითმინა და თხრობა შეაწყვეტინა გამომძიებელმა წიკლაურს.

– ამას მე თქვენს სულის გასაწმენდად გელაპარაკებით და არა ოქმში შესატანად, როდესაც ჩვენების დასაწერად მიდგება საქმე, მე ვიცი როგორ ვილაპარაკებ.

გამომძიებელს თვალწინ წარმოუდგა მანუჩარის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, საღი თვალით გადახედა მომხდარ ვითარებას და გაისიგრძეგანა, შეიძლებოდა თუ არა ამ ადამიანის გამოსწორება, მაგრამ ჯერ მთავარი გასაგები იყო, რა მოხდა შემდეგ?

– შემდეგ კი ნარგიზი ხშირად აკითხავდა მანუჩარს – განაგრძო თხრობა წიკლაურმა – მანუჩარს კი თვალის დასანახავად შეჯავრდა ნარგიზი, აღარ იცოდა რა წყალში ჩავარდნილიყო საბრალო, აქეთ ოჯახი დაენგრა, ცოლმა განქორწინებისათვის განცხადება შეიტანა სასამართლოში, იქით ნარგიზის ვერსად ემალებოდა და რუსეთისაკენ გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ ორ აგვისტოს ნარგიზმა ლამარასთან ერთად მანუჩარს მოაკითხა სამსახურში, მანუჩარმა კი მე დამირეკა, რომ მასთან მივსულიყავი, მეც დაუყოვნებლივ ვეახლე და საღამოს მაგიდას შემოვუსხედით, როგორც ყოველთვის ნარგიზმა ხმამაღლა დაიწყო:

– ბოლოს და ბოლოს, მითხარით რას მიპირებთ, რისთვის დამღუპეთ, რას მემართლებოდით, მე ვენერიული სენით ვარ დაავადებული, იცოდეთ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ატვომანქანას ბორბლებში შევუვარდები და თუ ცოცხალი გადავრჩი, ყველაფერს მოვუყვები მდივანს.

– მე ნარგიზის მივჩერებოდი და მივხვდი ამ ქალისაგან ყველაფერი მოსლაოდნელი იყო, ყველაფერს იკისრებდა და ყველაფერს სინამდვილედ აქცევდა, რომ არ დაგიფიცო ცოტა შემეშინდა კიდეც.

მანუჩარი კი მაგრად იდგა, მე ყოვლად შემძლე ღმერთი ვეგონე და აქედან იქით ედავებოდა ნარგიზს:

– ალბათ სადღაც დაეთრევი, სიფილისი აგიკიდებია, ჩემთან მოდიხარ და ცოლობას მიპირებ, სასაცილოა მე და ჩემმა ღმერთმა. საიდან მოდიხართ ასეთი ჭკვიანები და როგორ პოულობთ ისეთ გიჟებს, როგორიც მე ვარ, აქედან გაეთრიე და აქ ამოსული ჩემმა თვალებმა არ გნახოს, თორემ ისე მიგახრჩობ, შენს კვალს თვით მამაზეციერიც ვერ მიაგნებს. – თვალების ბრიალით ეუბნებოდა მანუჩარი და თან უზარმაზარ მუშტს ურტყამდა მაგიდას.

– ასე ხომ, ძალიან კარგი – თქვა ნარგიზმა და პირველად შევნიშნე იმის ბაგეზე ღიმილი – მე ხომ დამღუპე, სიცოცხლე მომისპე, იცოდე არც შენ დაგტოვებ ცოცხალს! – მან აუღელვებლად გახსნა ჩანთა, რომელიც აქამდე მუხლებზე ჰქონდა დადებული, ვიფიქრე ცხვირსახოცს ამოიღებს—მეთქი, მაგრამ შევცდი, მის ხელში „სტეჩკინის" მარკის პისტოლეტმა იელვა. დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა, პისტოლეტი შეიმართებოდა თუ არა ტყვია მსხვერპლს მოძებნიდა, ამიტომ ჩემს წინ დადგმულ ბოთლს ხელი დავავლე და ნარგიზის გამეტებით ვუთავაზე თავში. ის სკამიანად ამოტრიალდა და ტყვიამ ჭერზე ბათქაში ჩამოანგრია.

– ეს რა ჩაიდინე მხეცო! უმჯობესი არ იყო მე მოვეკალი? – იყვირა მანუჩარმა და ნარგიზის უსიცოცხლო გვამს დააცქერდა.

– ნუ ღრიალებ, მოდი მომეხმარე! – წყნარად ვუთხარი მე.

– მკვდრის მეშინია! – ასევე წყნარად მიპასუხა მან. ფანჯარაში გადახტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ასე დამცირებულად, მარტოდ, საშიშროების წინაშე არასოდეს არ მიგრძვნია თავი – „ეს რა ჩავიდინე" – ვთქვი და ლამარა ჩავიკარი მკერდში, რადგან ახლა მხოლოდ ეს იყო ჩემი ერთადერთი ნუგეში. ასე ვიყავით რამოდენიმე წეს. „ქალი ეშმაკია" პირველად ისევ ლამარა გამოერკვა, ნუგეში მომცა და დახმარება აღმითქვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გულნაზ ხარაიშვილი

სიყვარული

სიყვარული, უფაქიზესი გრძნობაა. სიყვარული ღმერთია, რომელის სიყვარული ყველა ნებისმიერი ადამიანის სიყვარულზე დიდია. სიყვარული გულია, რომლითაც ვცოცხლობთ. სიყვარული შვილია. შვილი ჩვენი სხეულია, არასოდეს

არ უნდა შორდებოდეს მშობელს. სიყვარული დედმამიშვილია. სიყვარული შვილიშვილებია, სიყვარული გულის გარსში ჩაფლული ნათესავობაა. სიყვარული შენი საქმეა, რომელიც გიყვარს და სიყვარულით აკეთებ. სიყვარული თითეული შენს გარშემო ადამიანთა გარემოცვაა, როლის დანახვა თვალებს გიბრწყინებს. სიყვარული გარდაცვლითა სულებია, რომლებიც არსადაც არ არიან წასულნი, გულის კედლებზე სამუდამოდ არიან დარჩელინი თუ კი გიყვარდნენ, ან და იწამებ. აი, მაგალითად, ჩემი მეუღლე, შვილი, დედმამიშვილები. მთელი საახლობლო, ისე ბევრი არიან, გულში სათითაოდ, რომ შემენახა, ადგილი აღარ დამრჩებოდა მათ, გულის ფსკერზე, ერთიანად, ყველაზე თბილი ადგილი მიუჩინე და სანამ მე მიწაზე ფეხის დადგმა შემიძლია არ მოვიცილებ. სიყვარული ფიქრია, რომელსაც, ტრანსპორტი არ ჭირდება, მთავარია დაუძახე. მოვა ალალად, დაუსაყვედურებლად, არც ფულს მოგთხოვს, არც საწვავს. არც იწუწუნებს, არ შემოგაფათებს არ მცალიას თვალებს. გატარებს საზღვარგარეთ, რაიონებში, სოფლებში. გატარებს წარსულში, აწყმოშიც შეგაჭყიტებს. ფიქრს უტყუარი პროგნოზი აქვს, იშვუათად ცდება. სიყვარული, ერთი ლექსია. ლექსი, რომელიც აგატირებს, სულაც არ ააქვს მნიშვნელობა, სხვას მოეწონება თუ არა შენი ნაფიქრია. შენ აგატირა, მორჩა და გათავდა. მონატრების ცრემლი, ხომ წამალია სულისა. აქედან გამომდინარე სიყვარული ცრემლიცაა. მტერს ყავდეს უტირალი ჭირისუფალი. დარდს

ცრემლი ამშვიდებს, ჰოდა ცრემლი სიყვარულია. სიყვარული ყვავილია, აბა რაა, მისი დანახვა თვალს, რომ გაგიბრწყინებს. სიყვარული ჩემთვის სამშობლოა, საქართველოა, თითეული ადამიანია, ვინც ოდნავ მაინც მაგრძნობინებს, რომ მეც იმისი ვარ, თუნდაც ცუდი, მაგრამ, რადგან მისი ვარ, ზურგს არ შემაქცევს. სიყვარული მონატრებაა, მოინატრებ და წუთში გაგცილებს დარდის სამოსახლოს. ჩემთვის სიყვარული ღმერთია, რომელიც გულში მყავს, კიდევ და თქვენ ხართ, უფლის შვილებო!!! = =მ=ი=ყ=ვ=ა=რ=ხ=ა=რ=თ=!!!.

ღირსეული სტუმრები

2021 წლის 20 იანვარს, მსოფიოს პანდემიის მდგომარეობის გამო, ათკაციანი საღამო შედგა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში.

საერთოდ, ღონისძიების ჩატარების დროს, არავითარი შინაგანი ღელვით არ ვითრგუნები, დიდი აუდიტრიის წინაშეც. ეს მაშინ, როდესაც მოწვეულ სტუმრების ხასიათს კარგად ვიცნობ. და საერთოდ ყოველთვის გაცილებით ძნელია, ერთ სამუშაო ოთახში ჩატარებული ღონისძიება.

ოცდაათ იანვარს, დაგეგმილ ღონისძებას, ესწრებოდა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. ქალი მართლაც ლეგენდა, თავისი ხასიათით, უბრალოებით. პიროვნებით კი მართლაც დიდი და ავტორიტეტული. ამიტომ იყო, რომ მისდამი მოსაფერებელი სიტყვა ლექსით დაიწერა, რომელიც იმ მეტად მნიშვნელოვან დღეს წავიკითხე:

სინაზე გშვენის, უფლის მადლით
მირონცხებულო,
იის სურნელით გაგილეწავს,
ქალური კალო...
ყურძნის მტევანო, ფუტკრის თაფლში
ამოწებულო,
ვინ შეგედრება, სილამაზით პოეტო ქალო.
აისის ნამო, სიკეთით სავსე,
ვარდო, ბაღნარო,
რიოშო არა, მარგალიტო
და ფირუზ ლალო,
უმხურვალესი ცხელ ზაფხულის, შენ ნიავქარო,
ლომისის მადლმა გიმფარველოს პოეტო
ქალო.
იასამანო, გაზაფხულის
ასურნელებავ,
სამშობლოსათვის ერთგულო და დილისა
ცვარო,
დედო სულისავ, ნატურმოტო,
მშვენიერებავ,
ეფაქიზები ერის შვილებს,
პოეტო ქალო.
დედა ხარ დედა, ეგ, ქალობა მისაბაძია,
ოლიანდრები გიღიმიან,
შენ ცისკრის კარო.
ფული? სხვას მისცემ თუ კი უჭირთ რაც
გაბადია,
ამიტომ გლოცავ, საყვარელო
პოეტო ქალო.
ლელიანს კაფავ,
საქმისთვის კი,
ყოველთვის ჩქარობ,
ომში ნაჭედო, ნატყვიარო
ფოლადის ნალო,
ლექსის მჭედელო, ბრძოლების დროს,
სამშობლოს ფარო,
მეამაყები, დედოფალო,
პოეტო ქალო.
ქალბატონ მაყვალას უნდა დაეჯილდოვებინა,
ჩვენივე აკადემიის წევრები: ქალბატონი ეთერ
ჭელიძე, პოეტი რამოდენიმე წიგნის ავტორი.
ქალბატონი ეთერი როგორც პოეტი და
როგორც პიროვნება,მართლაც და საამაყოა,
საზოგადოებისათვის. რატომღაც, ასეთი
ქალბატონები უფრო მრჩება, უყურადღებოდ.
მაგრამ მთლად ასეც არაა, მისი მოფერება
რადგანაც დამაგვიანდა, იმიტომ იყო, რომ
მიუძღვენი ლექსი „დამაგვიანდა“
=====:.:.:.
დამაგვიანდა, მაგრამ შენზე
ვლოცულობ ეთერ,
შენახარ სულის სამრეკლო
და გულის ედემი,
ეთერ, ჯობიხარ, თავნება და
აფოფრილ ვერძებს,
უნდა გჯეროდეთ, ასეთია
ქალი ეთერი.
საქართველოსთვის,
რეალური ამორძალია,
შეუპოვარი, ნიჭიერი,
სანდო კედელი...
სვანეთის მთებში გამოზრდილი ეს, ის ქალია,
თავის შვილივით, რომ ლოცავენ ბევრი
დედები.
რა საბრალოა,
ვისაც მისი ზოგჯერ არ ჯერა,
რადგანაც ვხედავ,
ბევრი არის ურწმუნო თომა,
პოეტმა ქალმა, თუ ღილივით
გულს დაგიკერათ,

მისი ჰობია, მეგობრისთვის ბოლომდე დგომა.
დამაგვიანდა, მოფერება
უძვირფასესო,
შენ საამებლად სულით ბოროტს, კლავი
მოვკვეთე,
მე გადავიხდი ერთგულების ყველა ირაოს,
სიკვდილამდე ვარ, შემოგფიცავ, შენი მოკვეთე.

გულნაზ ხარაიშვილი, ლია ოსიაშვილი, ივერი ჭელიძე, მაყვალა გონაშვილი, ეთერ ჭელიძე, ნანა მომცელიძე, ლამზირა შეყილაძე, ხათუნა ელიაშვილი, ალექსანდრე ციხელაშვილის რძალი და მეუღლე. ლეილა ქიუტაძე, ალექსანდრე ციხელაშვილი

მოწვეული სტუმრებიდან, მეტად საპატიო სტუმარი იყო, ბატონი ივერი ჭელიძე. მის მიერ გაწეული სიკეთე უსაზღვროა, კოდორისა და სვანეთის ახალგაზრდობის მიმართ, მისი ხელშეწყობით 700 ახალგაზრდა ეზიარა, უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებას. მისვე ხელმძღვანელობით ჩატარდა, 2003 წელს, დიდი მთასვლელის ,,კლდის ვეფხვად,, წოდებული მიხეილ ხერგიანის საიუბილეო საღამო, ოპერისა და ბალეტის თეატრში.დაიწერა წიგნი ,, კაცი ლეგენდა,, ბატონი ივერი ჭელიძის სავიზიტო ბარათი, ქართული კაცური- კაცის ღირსებაა. მას ჭირთათმენის დიდი მოთმინების უნარი გააჩნია. იგი კვლავ დგას, ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში. ბატონი ივერი გახლავთ, ტერიტორიული მთლიანობის ომის მონაწილე- ვეტერანი და ვახტან გორგასალის, მეორე ხარისხის ორდენის კავალერი. სიტყვა რომ არ გამგრძელებოდა, ამ უდიდესი პიროვნების მიმართ, ლექსის ფორმულა გამოვიყენე.

ღმერთია შენში
როდესაც გახსოვს,
გარდაცვლილი და
სიცოცხლე გიყვარს,
სხვის განსაცდელზე,
არასდროს მასხრობ,
სხვისი ტკივილი
გულთან რომ მიგყავს.
სიმდიდრე არის,
იცხოვრო ისე,
მზისფერი იყოს შენი წარსული,
თუ ერს დაჭირდა
სიცოცხლე მისცე,
თუნდაც ნაბიჯი იყოს
ჯვარცმული...
სიმდიდრე არის, იყო ძლიერი,
ქებას შენს თავზე
რომ არ მოყვები...
ასაკით იყო თუნდაც ხნიერი,
მყიფე ტოტივით,

რომ არ მოტყდები.
სიძლიერეა, როცა გესვრიან,
ტყვიებს და მაინც
არ შეშინდები,
თუ გინდა გადგეს თავზე მესია,
მაინც, რომ ყვავის
შენთვის შიდები,
არ არს სიკვდილი გარდაცვალება,
ცაში მოხდება, მზეთა მზისობა,
ეს, უფლით ხდება ფერისცვალება,
სულს კი ეწვევა მარადისობა.
თქვენ საქართველოს,
შვილო ივერი,
სიკეთისათვის ბევრჯერ
შეგნისლეს,
მინდა რომ იყო სულ ბედნიერი
რწმენით სიცოცხლე
გაიმერმისე.

სვანეთის მთებივით ბუმბერაზი პიროვნება უმშვენებდა გვერდს, ბიძაშვილს, ქალბატონ ეთერ ჭელიძეს.

ქალბატონმა მაყვალამ ღვაწლმოსილის პრემია გადასცა, მხატვარს ალექსანდრე ციხელაშვილს. ბატონი ალექსანდრეს ნახატები დაცულია, მსოფლიოს სხვადასხვა მუზეიმში. იმ დღეს აკადემიას, საჩუქრად მოგვართვა, დიდი მოგზაურის,

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი. მსგავსი სილამაზის პორტრეტი, ალბათ ჯერ არ შექმნილა მოგზარზე.

დღე სასწაულებით შემოიფარგლა. აკადემია დაასაჩუქრა პოეტმა ქალბატონმა ნანა მომცელიძემ ორი ხატი მოიტანა და ორივე თავის ხელით შესრულებული. მამა გაბრიელი და წმინდა გიორგი. ხოლო დედახვთიშობელი წინა დღეებში გადმოქვცა. გაგრძელდა დაჯილდოვება, ქალბატონ ეთერ ჭელიძეს გადაეცა ,, თამარ დედოფლის ენდალმა,, ხოლო ემიგრაციაში მყოფ ჩვენი აკადემიის ვიცე პრეზიდენტს გადაეცა, ბეჟან ხარაიშვილის პრემია. საბავშო პოეტს, ლელა კობერიძე ჭიაურელს წილად ხვდა, მარიკა ბარათაშვილის პრემია. უნდა აღნიშნო ქალბატონი ლია პეტრიაშვილის ღვაწლი, საბერძნეთში. მან ჩამოაყალინა შესანიშნავი გუნდი აკადემიის და სულ ჩქარე, მისი რეკომენდაციით, აკადემიის წევრი გახდება, ახალგაზრდა პოეტი გიორგი კუბლაშვილი. მის გუნდში გაერთიანებულია, არაჩბეულებრივი პოეტი ნონა გაგნიძე, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის, აკადემიის ანთოლოგიისა და ჟურნალების გავრცელება ემიგრანტ პოეტებთან.მას გვერდს უმშვენებენ, ქალბატონი მანანა რაზმაძე და ქალბატონი ნათელა ღაჭავა.

რაც შეეხება პოეტ ხათუნა ელიაშვილს გადაეცა ნეჟან ხარაიშვილის პრემია. ღონისძიებაზე, სიტყვა წარმოთქვა, პოეტმა ლამზირა შეყილაძემ და თავისი თბილი სიტყვით დამოძღვრა, მოწვეული სტუმრები. იმ დღეს განხილული იყო ქალბატონ ეთერ ჭელიძის ლექსები. მისი ლექსენით აღფრთოვანებული პოეტი ლია ოსიაშვილი , საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ქალბატონი ეთერ ჭელიძის პოეზიის სახოტბოდ.

კიდევ იყო ჩემთის მნიშვნელოვანი, სიხარულისა და ცრემლის მომგრელი ეპიზოდი, რაზედ თავს შევიკავებ. ჩემს თავზე მე არ ვისაუბრებ.

მეწისქვილე ვარ

ყველანაირ მოსავალს ვფქვავ და ვაცხობ,მეწისქვილე ვარ, სულიერი სამყაროსი. ვემსახურები, უცნობს და ნაცნობს, ხანდახან თითს მიქნევს, ტარტაროზი. მე ხომ მეწისქვილე ვარ, რა უნდა ჩემთან, არავის არაფერს ვართმევ, ვფუსფუსებ. ამდენი დარდით, სული ძლივს შემრჩა.საერთოდ,ცუდს არავის არ ვუსურვებ. ბოროტები ღიზიანდებიან, სიკეთეს მოეშვიო, მე ცუდი ქალი ვარ, არასოდეს მიცეკვია, სხვის დაკრულზე...არ ვიბანავებ, სიბოროტის მორევში, გლეხი ვარ, მიწასაც დავბარავ გაზაფხულზე.

უცნობი ქალბატონი

ფიქრების კორიანტელმა, სხვადასხვა ასაკში მატარა. გამახსენდა ბავშობა, ყველაზე ტკბილი და უდარდელი. მობილურის ზარმა გამომაფხიზლა, ალო? გისმენთ! ქალბატონო, დაიწყო უცნობმა, მე თქვენ არ მიცნობთ, თქვენი ტელეფონი ერთ-ერთმა პოეტმა მომცა. მე გულნარა მქვია, გვარად შელია ვარ. რამოდენიმე წელია, რაც შვილი გარდამეცვალა, მეუღლე კი უფრო ადრე. კარგი შვილიშვილები მყავს, ენაცვალოთ ბებო, მაგრამ ისინიც თავის გზაზეა არიან წასული და დავრჩი ამხელა სახლში მარტო. დღე საქმით ვიღლები, საღამო არ მიყვარს, ხელსაქმით ვირთობ თავს, დაღლილს, როცა მიმეძინება, სიზმარში შვილს დავეძებ, ვერ ვნახულობ და ვიტანჯები. ვინც თქვენი ტელეფონი მომცა, ის ჩემი კლასელი იყო. ერთ მერხზე ვიჯექით, ორივე კარგად ვსწავლობდით. ერთხელ სკოლიდან სახლში, როდესაც ვბრუნდებოდით, სიყვარული ამიხსნა. მე ტირილი დავიწყე, გავიქეცი, ის ხმამაღლა გაკიოდა ჩემს სახელს, გულნარა მიყვარხარ. მეორე დღეს როცა სკოლაში მივედით გავებუტე, ხმას არ ვცემდი, მერხიც შევიცვალე. გაკვეთილი როცა დაიწყებოდა, ვხედავდი თვალს მალი-მალ ჩემსკენ გამოაპარებდა, მე ვბრაზდებოდი, მაგრამ რა მექნა გაკვეთილზე ვინ საით გაიხედავდა რა უფლება მქონდა, რომ დამეშალა. რამოდენიმე წელში სკოლაც დავამთავრეთ, ჩვენი გზები გაიყარა. მე უმაღლესი დავამთავრე, მერე სამსახურიც დავიწყე და ჩემმა აწ გარდაცვლილმა მეუღლემ მომიტაცა. რაღას ვიზამდი შევქმენი ოჯახი. თუმცა უსიყვარულოდ, მაგრამ ჩემი მეუღლის ღალატი გულშიც არასდროს გამივლია. ჩემმა ბავშობის მეგობარმა იურისტობა აირჩია და თბილისელი გოგო სიყვარულით შეირთო, ბრწყინვსლე ოჯახი აქვთ. ის, ცნობილი პოეტია, იგი არის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურიატი, ქართული პოეზიის რაინდი, ღირსების ორდერის კავალერი, ქართული კულტურის დესპანის მედლის „დიოსკურია“ 2005“-ის მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი აკადემიკოსი, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ,ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა, „ვარძიის“ „იყალთოს“ აკადემიების ნამდვული წევრი, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქე. ორმოცდაათი ათასზე მეტი ლექსის ავტორი. ძალიან გთხოვ არ შემეკითხო სახელი და გვარი. განა სიყვარული დანაშაულია? როცა, ამ ორიოდე დღის წინ შემეხმიანა, გავიხსენეთ ბავშობა ერთმანეთს ვადანაშაულებდით. თუმცა, ყველაფერი ბედის ბრალია, ვისაც რა უწერია ის გადახდება. გამოგიტყდები და მისი ხმა გამეხარდა, მე უკვე საკმაოდ დიდი ასაკის ქალს, მისი ხმის გაგონება მიხარია. მისი საუბარი სულირი საკვები გახდა ჩემთვის. ხშირად სიზმარში ვნახულობ, ისევ ბავშვები ვართ, ისევ ვცელქობთ. მე გრძელ თმებს ვატარებდი, ერთხელ ისე მომწია, სული გამიმწარა. ის სიმწარე ტკბილ მოგონებად გადაიქცა. შენ რედაქტორი ხარ, ძალიან გთხოვ, არაფერი დაწერო. უნდა გამიგო ქალბატონო, ხშირად დარდს გაურბივარ და ბავშობაში ვიძირები, იმიტომ რომ ჩემი შვილის საფლავზე კვერცხის დაგორება შევძლო და დარდმა ლოგინად არ ჩამაგდოს. და მაინც, მე გადავწყვიტე რომ უცნობი ქალბატონის ნაამბობი ფურცელისთვის გამენდო. ეს, ნამდვილი ამბავია, არაფრი არ შემითხზია.

დაგვიფარე უფალო

თებერვალია, ბუნება განაგრძობს სიცოცხლეს. ყინვისგან შეშინებული შინდის კვირტმა ნელ-ნელა გაახილა თვალები, გვერდზე გადახედა, თავის მეზობლებს: თხილს, წიფელას, მუხას, ტყის პანტას, ყველა სამეზობლო ჯერ მოიკითხა და მერე გაათვრთხულა. ჩემს ფეხის ხმას არ აყვეთ, მე გავიშლები, ავყვავდები, თქვენ თანდათან წამოიშალეთ, შეიძლება სულელმა მარტმა არ დაგინდოთ, მარტი სანდო არ არის. ის, ყინვასთან მეგობრობს, ერთ ღამეში შეიძლება, სიცოცხლე ჩაგიქროთ, ჩაგიფერფლოთ. ბევრმა დაუჯერა შინდს და ბევრმაც არა. თოვს, ღამემ ყინვის საბანი დაათვარა დედამიწას. ჯერ თებერვალის ოცდახუთია, ღმერთო, დაიფარე სამყარო, გამყინვარებისგან. აგვისტოში კი, მეტისმეტი გავარვარებული მზისგანაც ნუ, გაახმობ შენივე შექმნილ ბუნების სილამაზესს, რადგან, ბუნების გარეშე ადამიანთა სიცოცხლე, ხომ წარმოუდგენელია. დაგვიფარე უფალო!

ნელი სანებლიძე

ფაზისის აკადემიის სხდომა. ნენო

ნენო, ასე ეძახიან რაჭველ პოეტს. იმდენად თბილია ბევრჯერ დავფიქრებულვარ, ნუთუ შეიძლება ადამიანის გულიდან ამდენი სიყვარულის სიტყვები იფრქვეოდეს. იშვიათია მართლაც. ნენო ძალიან კეთილია. მის ლექსები სიყვარულის ბადაგშია ამოვლებული. რაჭის მთასავით მაღალია ნენო, მაისის ვარდივით უღაჟღაჟებს ლოყები. წითელ ტუჩებში მიმალული თეთრი კბილები ყურადღებას ითხოვს. თითქოს და გეუბნება, თუ ქალის სილამაზეს აღქმა შეგიძლიათ, შემომხედეთ და ჩემი მშვენიერება, ტილოზე გადაიტანეთო. ჩემო ნენო, მე რომ მხატვარი არ ვარ, აბა რა გიყო? ამიტომ გულში ჩაგხატე, ჩემო რაჭველო „მულუკა“ მულუკა, იმიტომ, რომ ნენო ,,რძალუკას,, მეძახის, რადგან სხირტლაძეების რძალი ვარ. ნენო, ჰოდა, მე თუ „რძალუკა“ ვარ, შენ, ჩემი ,,მულუკა, ხარ. ნენო, გულში ჩახატულ სურათს მიიღებ?

მამა ამირან ამირანაშვილი, ნელი სანებლიძე, გულნაზ ხარაიშვილი, ლამზირა შეყილაძე, გელა ლარიაშვილი, გიორგი აღნიაშვილი, ეთერ მდინარაძე, ნინელი გონგლიაშვილი, ნინელი კოდუა, ნაზი სარჯველაძე.

ინგა გოგიბერიძე

....ვინ აკერებს ჩვენს თეთრ პერანგზე ნაირფერ ღილებს? ლუბა ბებოს პერანგს 5 ღილი ჰქონდა. პირველი მაშინ მოსწყდა, მშობლებმა რომ მიატოვეს და მამიდას მიაბარეს აღსაზრდელად. მამიდა თითქოს ყველაფერს აკეთებდა, მაგრამ ეს თითქოს-არაფერიც არ იყო. არაფერიც, რადგან ხშირად ტკიოდა მუცელი სიმარტოვისგან, ხშირად ოხრავდა დედის სითბოსა და სიყვარულ-ზე. ცოტა რომ წამოიზარდა, ფერადი ძაფების ძებნა დაიწო: სად არ დაეძებდა - სოფელში, ქალაქში, მეგობრის სიყვარულში, თავგადა-სავლებში, მაღლა და დაბლა.....ყველაგან ნაცრისფერი ფერის ძაფები ხვდებოდა. მას კი წითელი უნდოდა, ისეთი წითელი როგორიც მზეა - ო, როგორ მინდა, რომ ვინმეს ვუყვარდე, ვუყვარ-დე მართალი და გიჟური სიყვარულით, რომ ჩემი სიყვარული მისთვის იყოს სიცოცხლე და მზე. დიახ მზე. რატომ გაგიკვირდათ? განა მზე არა არის ის, რის გარეშეც სიცოცხლე შეუძლებელია? და მეც მინდა, რომ მისთვის ჩემს გარეშე სიცოცხლე შეუძლებელი იყოს. განა ბევრს ვითხოვ?ფიქრობდა ლუბა ბებო და ცხოვრების გზას მიუყვებოდა. საოცრებების მოლოდინში მის პერანგს უკვე იმედგაცრუების ორი ღილი დააკლდა. ფერადი ღილების ძებნას რომ თავი გაანება სწორედ მაშინ ვარდისფერი სხივივით წამოეწია სიყვარულის მზე- განათდა, გაიფურჩქნა, დამშვენდა.... პატარა ბავშვივით შეჰხაროდნენ პირმშოს და ევლებო-დნენ თავზე. ხომ არ გგონიათ, რომ პერანგზე ამძვრალი ღილები ისევ მიუსაფრად დარჩა... არა და არა. ... ყველა ღილის დაკერება ლუბა ბებოს და იორდანე ბაბუას შვილს ერგო წილად .....მას შემდეგ ლუბა ბებოს პერანგს არცერთი ღილი არ დაკლებია. ყველა ღილი ფერადი დღეებისაგან გამოყვანილი ძაფებით იყო შეკერილი, ამიტომაც თეთრი პერანგი მალე ნაირფერი გახდა. ცხოვ-რების ლამაზი დღეებისაგან ბევრი სხვადსხვა ფერის ძაფები და ღილები იპოვა.....სიყვარული და მზე. მზე და შვილი.....და მაინც? ვინ აკერებს ჩვენს თეთრ პერანგებზე ნაირფერ ღილებს?....

P.S. ეს ჩანახატი ჩემს ბებიას და ბაბუას ეძღვნება- ვინც სიყვარულის ფასი იცოდა, ვინც 75 წელი ერთად იცხოვრა და ერთად მოკვდა, ვინც დამანახა რა არის მოყვასის სიყვარული, ვინც მასწავლა ბოლო ერთადერთი ლუკმის განაწილება სხვისთვის, ვინც შემასწავლა საკვირაო სადი-ლის ტრადიციის მნიშვნელობა და მაგრძნობინა დაუვიწყარი ყვითელი სახლეჩი ატმების სურ-ნელება, რომელიც სავსე კალათებით ჩამოჰქოდა სოფელ ორმეთიდან ბაბუას ძმას, სოკრატეს.

ცისკრის ვარსკვლავი

.....ფურცელი ორ ნაწილად გაყო- ერთ მხარეს მოკრძალებულად სულ ორი სიტყვა ჩაწერა-გოზინაყი და ნუგა, მეორე მხარეს კი ხატვას შეუდგა: ჯერ პატარა სახლი დახატა ბუხრითა და საკვამურით. საკვამურს დიდხანს უცქეროდა, აშკარად გრძნობდა დედის დამცხვარი პურებიდან და კვერებიდან ამოსულ ოხშივარს, სითბოსა და ცეცხლის უცნაურ ძალას... იმ სიცივეში უეცრად დათბა... მერე ფანჯრები დახატა, ახალი, ლამაზი, საიდანაც წვიმისა და ქარის ჩურჩულიც კი არ შემოვიდოდა.....კარის დახატვა უნდოდა მაგრამ გადაიფიქრა... ჯერ მამის ხატვა დაიწყო.... სი-ლუეტი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორიც ახსოვდა და ენატრებოდა-ბრგე, ახოვანი და ძლიე-რი..... აქაც შეყოვნდა ცოტა ხნით.. არ ეთმობოდა მისი დატოვება, მაგრამ საკვამურიდან კვამლი რომ ამოდიოდა ბუხართან დედა ხომ უნდა ყოფილიყო... ამიტომ ფრთხილად უსვამდა ფანქარს და გამოჰყავდა ნანატრი სახე, თვალები და ხელები, დედის ხელები, გამრჯე, თბილი და სათნო... მეტი სურვილი აღარ ჰქონდა... მხოლოდ კარებისკენ იცქირებოდა...კარები ყველაზე ძნელი დასახატი აღმოჩნდა - ისეთი უნდა ყოფილიყო დედა და მამა ერთად შემოსულიყვნენ, თავისუფლად... აი ,აქ კი ამოიკვნესა.

..... თავზე დასთენებოდა და ცისკრის ვარსკვლავი უღიმოდა... შეეშინდა ვაითუ ბევრი გამო-ვიდეს ჩემი სურვილებიო და ფურცელი შუაზე გადახია- იქ სადაც გოზინაყი და ნუგა ეწერა სას-წრაფოდ დაჭმუჭნა და ჯიბეში შეინახა,მეორე ნაწილი კი უბრალოდ ცისკრის ვარსკვლავს ანდო.

კოღო

უეცრად ბალახის სუნი მოვარდა.....სველი ბალახის მძაფრი სუნი.... სუნთან ერთად მოცოცავდნენ მწერები. არა, კი არ მოცოცავდენენ, მოფრინავდნენ... ხანაც კიდევ მოქროდნენ როგორც მოულოდნელი უბედურება....მწერებში კოღოს ხმას შორიდან გამოარჩევდით.... მათ

ხომ , ერთი წყვილი სიფრიფანა ფრთა აქვთ, ხოლო მეორე თავად ბზუალებად გადაუქცევიათ.... ბზუოდნენ..ამ ხმაში რაღაც საშინელი უმწეობა იგრძნობოდა, თუმცა ეს უმწეობა არაფერია იმ ხორთუმთან და საცეცებთან შედარებით , რომლებიც ყოველთვის მომზადებული აქვთ რომ დაგკბინონ, დაგკაწრონ ან კიდევ უცნობი დაავადება გადმოგადონ. ცუდი, მოუშორებელი ჭირი...ჭირი, რომლსაც ახლავს სიბნელე, ჭირი რომელსაც ახლავს ტკივილი, უმეცრება და ძალადობაც კი ....

კოღო.....უეცრად ისევ ბალახის სუნი მოვარდა და კოღო გამოჩნდა.....სველი ბალახის მძაფრი სუნი და კოღო .... სუნი შემდგარი მარცვალ -მარცვალ ნაგროვები სიკეთისა და ბოროტებისაგან, სიბნელისა და სინათლისაგან , დარისა და ნამისაგან ,მზისა და მთავრისაგან, უმწეობისაგან და კოღოებისაგან.....

და მოულოდნელად ეს ყველაფერი სხივ-სხივად აიკრიფა და თივის ზვინად შეიკრა.

თივის ზვინი და კოღო.

კოღო და თივის ზვინი.

"არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!"

#1

.....ვიხსენებ წვიმას...მძიმეს და სევდიანს....წვიმს... ფეხები მისველდება და იმ ორმოებში მეფლობა, ასფალტს რომ ამოუჭრია ჩემი ქალაქის შუაგულში.... თვალის ქუთუთოები წვიმის წვეთებისაგან მიმძიმდება. რა უცნაურია,არასდროს ყოფილა ამ ქალაქში ასეთი მძიმე წვიმა.... წვიმს ... სისველისგან და წვიმის წვეთებისაგან თავი მიმძიმდება. მხრები, ხელები, რომელიც უმოძრაო ხდება ისინიც, ფეხები მიცივდება ..მხოლოდ სურნელს ვგრძნობ, ჩემი ბებიის და ბაბუის სასაფლაოდან, იქ ამოსული ბალახებიდან და ყვავილებიდან მოფრენილს, ასეთ ახლობელს და შორეულს. ტრიალებს ეს სურნელი ქალაქში, ტრიალებს და ისევ უკან ბრუნდება სასაფლაოზე, მდუმარე წვიმაში.... იქნებ ეს ის სურნელია, აღდგომიდან აღდგომამდე ,რომ ელოდება შვილების თმებიდან ჩამოღვენთილ ნამს დედისა და მამის სასაფლაო... იქნებ ვერ მიმვხვდარვარ ვერაფერს და ეს უნახავი მეგობრის საფლავია, შორეულ ქვეყანაში მიტოვებული და მიუსაფარი... წვიმს.... არასოდეს ყოფილა ჩემს ქალაქში ასეთი მძიმე წვიმა.

#2

წვიმს..... ისევ მძიმედ. მისი სული სველია ისე, როგორც შავი ზღვის ნაპირთან მობინადრე ქალბატონის სხეული და ტანსაცმელი. ყოველი დილა ზღვასთან საუბრით იწყება .ზღვაა მისი ფიქრის დიდი ლოდი. ყოველ წამს ელოდება, იქნებ სადმე გამორიყოს მისი შვილის სხეული, რომელიც ასე უკვალოდ გაქრა , შთანთქა და წაიღო ზღვის ქარაფიანმა ტალღებმა. ისევ მძიმედ წვიმს...ეხლა მივხვდი, რამ დაამძიმა ჩემს ქალაქში ეს შხაპუნა წვიმა- დედის ცრემლებმა...იმ დედის ცრემლებმა არც სასაფლაო რომ არ უნახავს, არც ომში დაღუპული შვილის სხეული, არც ზღვაში შეცურებული გული და არც ზეცაში გაფრენილი მისი სული. წვიმს. ისევ მძიმედ....

სული კი ყველაფერს ხედავს:მზეში ეფერება დედის დაღლილ ხელებს, წვიმაში უშრობს ცრემლით დანამულ თვალებს კოცნით და თოვლში გულის სითბოს ატანს სულს.... იქნებ მიაღწიოს..იქნებ იცოცხლოს.....

#3

კი, ცოცხლობს. ცოცხლობს მძიმედ,მაგრამ მაინც ცოცხლობს. დაიღალა ლოდინით ,ზღვასთან ასე ახლოს და შორს ყოფნით. ..... მაგრამ მაინც ვერ შეიძულა შავი ზღვა. შავი, როგორც სიბნელე და ლურჯი, როგორც კამკამა ცა. წვიმს. ისევ მძიმედ. იქნებ რაიმე ამოთქვას. იქნებ რაიმე იმღეროს.იქნებ რაიმე დაწეროს და გაატანოს შავ ზღვას შვილთან, რომელსაც ელოდება აგერ უკვე რამდენი ხანია.

წვიმს ...მძიმედ... შავი ლოდივით.....

სული კი დაფრინავს მერცხალივით მსუბუქად და ჰკრავს კამარას სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე.

წვიმს.

"არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!"-

თქვენი ინგა გოგიბერიძე

მინიატურები

....ვინ აკერებს ჩვენს თეთრ პერანგზე ნაირფერ ღილებს? ლუბა ბებოს პერანგს 5 ღილი ჰქონდა. პირველი მაშინ მოსწყდა, მშობლებმა რომ მიატოვეს და მამიდას მიაბარეს აღსაზრდელად . მამიდა თითქოს ყველაფერს აკეთებდა, მაგრამ ეს თითქოს- არაფერიც არ იყო. არაფერიც, რადგან ხშირად ტკიოდა მუცელი სიმარტოვისგან, ხშირად ოხრავდა დედის სითბოსა და სიყვარულზე. ცოტა რომ წამოიზარდა, ფერადი ძაფების ძებნა დაიწო: სად არ დაეძებდა - სოფელში, ქალაქში, მეგობრის სიყვარულში, თავგადასავლებში, მაღლა და დაბლა.....ყველაგან ნაცრისფერი ფერის ძაფები ხვდებოდა. მას კი წითელი უნდოდა, ისეთი წითელი როგორიც მზეა - ო, როგორ მინდა, რომ ვინმეს ვუყვარდე, ვუყვარდე მართალი და გიჟური სიყვარულით, რომ ჩემი სიყვარული მისთვის იყოს სიცოცხლე და მზე. დიახ მზე. რატომ გაგიკვირდათ? განა მზე არა არის ის , რის გარეშეც სიცოცხლე შეუძლებელია? და მეც მინდა, რომ მისთვის ჩემს გარეშე სიცოცხლე შეუძლებელი იყოს. განა ბევრს ვითხოვ?ფიქრობდა ლუბა ბებო და ცხოვრების გზას მიუყვებოდა. საოცრებების მოლოდინში მის პერანგს უკვე იმედგაცრუების ორი ღილი დააკლდა. ფერადი ღილების ძებნას რომ თავი გაანება სწორედ მაშინ ვარდისფერი სხივივით წამოეწია სიყვარულის მზე- განათდა, გაიფურჩქნა, დამშვენდა.... პატარა ბავშვივით შეჰხაროდნენ პირმშოს და ევლებოდნენ თავზე. ხომ არ გგონიათ, რომ პერანგზე ამძვრალი ღილები ისევ მიუსაფრად დარჩა... არა და არა. ... ყველა ღილის დაკერება ლუბა ბებოს და იორდანე ბაბუას შვილს ერგო წილად .....მას შემდეგ ლუბა ბებოს პერანგს არცერთი ღილი არ დაკლებია. ყველა ღილი ფერადი დღეებისაგან გამოყვანილი ძაფებით იყო შეკერილი, ამიტომაც თეთრი პერანგი მალე ნაირფერი გახდა. ცხოვრების ლამაზი დღეებისაგან ბევრი სხვადსხვა ფერის ძაფები და ღილები იპოვა.....სიყვარული და მზე. მზე და შვილი.....და მაინც? ვინ აკერებს ჩვენს თეთრ პერანგებზე ნაირფერ ღილებს?....

P.S. ეს ჩანახატი ჩემს ბებიას და ბაბუას ეძღვნება- ვინც სიყვარულის ფასი იცოდა, ვინც 75 წელი ერთად იცხოვრა და ერთად მოკვდა, ვინც დამანახა რა არის მოყვასის სიყვარული, ვინც მასწავლა ბოლო ერთადერთი ლუკმის განაწილება სხვისთვის, ვინც შემასწავლა საკვირაო სადილის ტრადიციის მნიშვნელობა და მაგრძნობინა დაუვიწყარი ყვითელი სახლეჩი ატმების სურნელება,რომელიც სავსე კალათებით ჩამოჰქოდა სოფელ ორმეთიდან ბაბუას ძმას, სოკრატეს.

ციხეკრის ვარსკვლავი

.....ფურცელი ორ ნაწილად გაყო- ერთ მხარეს მოკრძალებულად სულ ორი სიტყვა ჩაწერა- გოზინაყი და ნუგა, მეორე მხარეს კი ხატვას შეუდგა: ჯერ პატარა სახლი დახატა ბუხრითა და საკვამურით. საკვამურს დიდხანს უცქეროდა, აშკარად გრძნობდა დედის დამცხვარი პურებიდან და კვერებიდან ამოსულ ოხშივარს, სითბოსა და ცეცხლის უცნაურ ძალას..... იმ სიცივეში უეცრად დათბა.....მერე ფანჯრები დახატა, ახალი ,ლამაზი, საიდანაც წვიმისა და ქარის ჩურჩულიც კი არ შემოვიდოდა.....კარის დახატვა უნდოდა მაგრამ გადაიფიქრა..... ჯერ მამის ხატვა დაიწყო....სილუეტი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორიც ახსოვდა და ენატრებოდა-ბრგე, ახოვანი და ძლიერი..... აქაც შეყოვნდა ცოტა ხნით..არ ეთმობოდა მისი დატოვება, მაგრამ საკვამურიდან კვამლი რომ ამოდიოდა ბუხართან დედა ხომ უნდა ყოფილიყო.... ამიტომ ფრთხილად უსვამდა ფანქარს და გამოჰყავდა ნანატრი სახე, თვალები და ხელები, დედის ხელები, გამრჯე, თბილი და სათნო..... მეტი სურვილი აღარ ჰქონდა... მხოლოდ კარებისკენ

იცქირებოდა...კარები ყველაზე ძნელი დასახატი აღმოჩნდა- ისეთი უნდა ყოფილიყო დედა და მამა ერთად შემოსულიყვნენ, თავისუფლად.....აი ,აქ კი ამოიკვნესა.

..... თავზე დასთენებოდა და ცისკრის ვარსკვლავი უღიმოდა... შეეშინდა ვაითუ ბევრი გამოვიდეს ჩემი სურვილებიო და ფურცელი შუაზე გადახია- იქ სადაც გოზინაყი და ნუგა ეწერა სასწრაფოდ დაჭმუჭნა და ჯიბეში შეინახა,მეორე ნაწილი კი უბრალოდ ცისკრის ვარსკვლავს ანდო.

კოღო

უეცრად ბალახის სუნი მოვარდა.....სველი ბალახის მძაფრი სუნი.... სუნთან ერთად მოცოცავდნენ მწერები. არა, კი არ მოცოცავდენენ, მოფრინავდნენ... ხანაც კიდევ მოქროდნენ როგორც მოულოდნელი უბედურება....მწერებში კოღოს ხმას შორიდან გამოარჩევდით.... მათ ხომ , ერთი წყვილი სიფრიფანა ფრთა აქვთ, ხოლო მეორე თავად ბზუალებად გადაუქცევიათ.... ბზუოდნენ..ამ ხმაში რაღაც საშინელი უმწეობა იგრძნობოდა, თუმცა ეს უმწეობა არაფერია იმ ხორთუმთან და საცეცებთან შედარებით , რომლებიც ყოველთვის მომზადებული აქვთ რომ დაგკბინონ, დაგკაწრონ ან კიდევ უცნობი დაავადება გადმოგადონ. ცუდი, მოუშორებელი ჭირი...ჭირი, რომლსაც ახლავს სიბნელე, ჭირი რომელსაც ახლავს ტკივილი, უმეცრება და ძალადობაც კი ....

კოღო.....უეცრად ისევ ბალახის სუნი მოვარდა და კოღო გამოჩნდა.....სველი ბალახის მძაფრი სუნი და კოღო .... სუნი შემდგარი მარცვალ -მარცვალ ნაგროვები სიკეთისა და ბოროტებისაგან, სიბნელისა და სინათლისაგან , დარისა და ნამისაგან ,მზისა და მთავრისაგან, უმწეობისაგან და კოღოებისაგან.....

და მოულოდნელად ეს ყველაფერი სხივ-სხივად აიკრიფა და თივის ზვინად შეიკრა.

თივის ზვინი და კოღო.

კოღო და თივის ზვინი.

"არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!"

№1

.....ვიხსენებ წვიმას...მძიმეს და სევდიანს....წვიმს... ფეხები მისველდება და იმ ორმოებში მეფლობა, ასფალტს რომ ამოუჭრია ჩემი ქალაქის შუაგულში.... თვალის ქუთუთოები წვიმის წვეთებისაგან მიმძიმდება. რა უცნაურია,არასდროს ყოფილა ამ ქალაქში ასეთი მძიმე წვიმა.... წვიმს ... სისველისგან და წვიმის წვეთებისაგან თავი მიმძიმდება . მხრები, ხელები, რომელიც უმოძრაო ხდება ისინიც , ფეხები მიცივდება ..მხოლოდ სურნელს ვგრძნობ, ჩემი ბებიის და ბაბუის სასაფლაოდან , იქ ამოსული ბალახებიდან და ყვავილებიდან მოფრენილს, ასეთ ახლობელს და შორეულს. ტრიალებს ეს სურნელი ქალაქში, ტრიალებს და ისევ უკან ბრუნდება სასაფლაოზე, მდუმარე წვიმაში.... იქნებ ეს ის სურნელია, აღდგომიდან აღდგომამდე ,რომ ელოდება შვილების თმებიდან ჩამოღვენთილ ნამს დედისა და მამის სასაფლაო ... იქნებ ვერ მიმვხვდარვარ ვერაფერს და ეს უნახავი მეგობრის საფლავია, შორეულ ქვეყანაში მიტოვებული და მიუსაფარი... წვიმს.... არასოდეს ყოფილა ჩემს ქალაქში ასეთი მძიმე წვიმა.

№2

წვიმს..... ისევ მძიმედ. მისი სული სველია ისე, როგორც შავი ზღვის ნაპირთან მობინადრე ქალბატონის სხეული და ტანსაცმელი. ყოველი დილა ზღვასთან საუბრით იწყება .ზღვაა მისი ფიქრის დიდი ლოდი. ყოველ წამს ელოდება, იქნებ სადმე გამორიყოს მისი შვილის სხეული,

რომელიც ასე უკვალოდ გაქრა , შთანთქა და წაიღო ზღვის ქარაფიანმა ტალღებმა. ისევ მძიმედ წვიმს...ეხლა მივხვდი, რამ დაამძიმა ჩემს ქალაქში ეს შხაპუნა წვიმა- დედის ცრემლებმა...იმ დედის ცრემლებმა არც სასაფლაო რომ არ უნახავს, არც ომში დაღუპული შვილის სხეული, არც ზღვაში შეცურებული გული და არც ზეცაში გაფრენილი მისი სული. წვიმს. ისევ მძიმედ....

სული კი ყველაფერს ხედავს:მზეში ეფერება დედის დაღლილ ხელებს, წვიმაში უშრობს ცრემლით დანამულ თვალებს კოცნით და თოვლში გულის სითბოს ატანს სულს.... იქნებ მიაღწიოს..იქნებ იცოცხლოს.....

№ 3

კი, ცოცხლობს. ცოცხლობს მძიმედ,მაგრამ მაინც ცოცხლობს. დაიღალა ლოდინით ,ზღვასთან ასე ახლოს და შორს ყოფნით. ..... მაგრამ მაინც ვერ შეიძულა შავი ზღვა. შავი, როგორც სიბნელე და ლურჯი, როგორც კამკამა ცა. წვიმს. ისევ მძიმედ. იქნებ რაიმე ამოთქვას. იქნებ რაიმე იმღეროს.იქნებ რაიმე დაწეროს და გაატანოს შავ ზღვას შვილთან, რომელსაც ელოდება აგერ უკვე რამდენი ხანია.

წვიმს ...მძიმედ... შავი ლოდივით.....

სული კი დაფრინავს მერცხალივით მსუბუქად და ჰკრავს კამარას სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე.

წვიმს.

"არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!"-

თქვენი ინგა გოგიბერიძე

გიორგი კეკელიძე

///

ორიათასიანების დასაწყისია. სტუდენტობის პროლოგი. თვეში ერთხელ ვაგზლის მოედანზე ავტობუსს ვხვდები და მძღოლს „გამოტანებულს“ ვართმევ: ჭადი, მოხარშული ქათამი და 30 ლარი. ჭადი, შებოლილი ყველი და 40 ლარი. კიდევ – დედაჩემის გრძელი წერილები, სადაც დიდწილად ჩემი ლანძღვაა, რომ უვარგისი გამოვდექი – აბა, ამდენი ხანი ტელევიზორში რაფერ არ ვჩანავარ ამფერი ნიჭიერი ბაღანა. ან ვხალტურობ, ანდა აფერი ნიჭიერი თურმე მე არ ვყოფილვარ – ეს უკანასკნელი, ეტყობა, „აგდების“ თავისებური ხერხი იყო.

ჰოდა, ეს დროა-მეთქი, ცუდი დრო, და თან შეყვარებული დამშორდა. დეპრესიების და ვალების ნაკლებობას მანამდეც არ ვუჩიოდი, მაგრამ ორივე გაორმაგდა. პირველი „მე“ მაიძულებს, დავწვე, საბანი წავიფარო და ვიფიქრო, რომ ყველაზე ბანძი ვარ. პირველი „მე“ დეპრესიების პარტიას უჭერს მხარს. მეორე მეუბნება, რომ რასაც დავპირდი, ის აუცილებლად, აუცილებლად უნდა ავასრულო. მეორე ვალების პარტიის გულშემატკივარია. და ვისესხე ასი ლარი. და დინამოზე ვიყიდე მობილური ტელეფონი, სონი-ერიკსონ რაღაცა. და გავუგზავნე.

მოვიდა ვალის გადახდის დრო. ვისთან არ მივედი, არავის ჰქონდა. არც სამსახურის კონტურები ჩანდა და არაფერი. ჩემებს იმ ოცდაათი ლარის გამოგზავნაც უჭირთ და ახლა შევუთვალო, რომ ასი მინდა, არ გამოდის. უნდა ჩავიდე და ავუხსნა. ეგებ იქ ვისესხოთ სადმე ან რამე. დავიმატე ვალად კიდევ 11 ლარი, გზის ფული, და წავედი.

ცხოვრებაში ბევრი დრამატული სცენა ყოფილა. უამრავი. მაგრამ ეს მთავართაგანია. დედაჩემმა ტირილი დაიწყო. მამაჩემმა უხმოდ შემოდო კაჭკაზე უკანასკნელი თხილი და ჩასაბარებლად წაიღო. ღამით ქვევით დავრჩი. ოდნავ ციოდა. გარეთ – გაფითრებული მთვარე და რაღაც მეჩხერი ქარი, ხან რომ დაიწუვლებს და ხან დუმს. ზევით დედაჩემი ამბობდა, რომ დაიქცა ოჯახი. მამაჩემი არაფერს ამბობდა. მეგონა, გული გამისკდებოდა. უცებ შუქი მოვიდა. ვერ ვიძინებდი. რაღაც ხომ უნდა მექნა და ძველი მაგნიტოფონი ჩავრთე. კასეტაც ინერციით ჩავდე. სულ ოდნავ, თუ მოინდომებდი – შეუმჩნევლადაც, წელავდა. ABBA. I Have A Dream. არ ვიტყუები და არც ვაპოეტურებ ამბავს – მართლა ეს ჩაირთო, ყველაფერს გეფიცებით. სიტყვები ნორმალურად არც მესმოდა, უბრალოდ ვიჯექი და ვტიროდი. ვტიროდი და თან საიდანღაც ვგრძნობდი ახალ ძალას, რომლითაც ეს სამყარო უნდა გადამელახა – უფულო, უშეყვარებულო, უიმედო მშობლებით და გაზეთში გახვეული ჭადით.

იმ დღის შემდეგ მე სახლიდან არაფერი მომითხოვია. იმ სიმღერის შემდეგ, რომელიც თავისთავად და ცალკე შეიძლება არც არაფერია, მაგრამ ფრთხილ მთავრესთან, ქართან, ოდნავ სიცივესთან და ხმებთან, მშობლების და კაჭკის ბორბლების ხმებთან ერთად ყურებში ახლაც ჩამესმის. ცხოვრება შემთხვევითობების ჯაჭვია. ასეთი შემთხვევითი და სხვისთვის გაუგებარი ბიძგებით.

საგანგებოდ არასდროს, მაგრამ როცა წავაწყდები ან თვითმფრინავის მენიუში, ან მანქანაში, ვრთავ და ვუსმენ. ვუსმენ და იქ ვბრუნდები, იმ ოთახში. და ვგრძნობ – ყველაფერი, რასაც მივაღწიე, საკუთარ თავზე შურისძიებით მოხდა და აწიც ასე იქნება. იმ უცნაური საუნდტრეკით.

///

ჩვეულ გზას ვადექი. იტალიაში წიგნები ჩავიტანე იქ მცხოვრები ქართველებისთვის. მილანიდან ფლორენციისკენ მატარებლით მომიხდა წასვლა. მანამდე ფრენა და ამბავი. შუაღამის. მოკლედ დაღლილი. დაღლა ისეთი, რომ თავს გაძალებს და გაძილებს. იტალიელები სხედან ჩემ უკან. ორი ქალი და ერთი კაცი. ეს ნიშნავს ლაპარაკს. გაძლებამდე სწრაფს. დაუსრულებელს. ხან ხმამაღალს. ხან წესებიდან გაქცეული ჯადოსნური მუსიკისმაგვარს. ეს მესმის და თან მეძინება, თან ვერ. ისინი ლაპარაკობენ, შეიძლება მოდაზე ან პიცაზე, ან უფრო – უცებ გაფუჭებულ ამინდზე და სახლში დარჩენილ საწვიმარზე. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ გვანან მამებს და წუხან, რომ არ გვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ფანჯრიდან ყრის ნაგავს. შეიძლება ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. სულერთია რაზე, მაგრამ შემართებით და შეუსვენებლად. და უცებ, ძილსა და ცხადს შორს გაჩხერილს, მეჩვენება, რომ ნატანებში, ,,კაჩალკაზე'' ვწევარ და ოდნავ ვირწევი და ეს ხალხი კი არა, ბებიაჩემი და ,,კოფეს'' დასალევად გადმოსული ორი მეზობელი ლაპარაკობს. ლაპარაკობენ ბათუმის ბაზარში ნაყიდ ტანსაცმელზე ან მანდარინზე, ან უფრო – გაფუჭებულ ამინდზე და სახლში დარჩენილ ,,ბუშლატაზე''. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ გვანან მამებს და წუხან, რომ არ გვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ჭიშკართან ყრის ნაგავს. შეიძლება ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. რატომაც არა – ,,ფიორენტინაზე'' და ,,ინტერზე''. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. და მესმის ეს ლაპარაკი და ის ლაპარაკიც და ორივე ლაპარაკი ერთია ჩემთვის, თან მატარებელში ვზივარ და თან ,,კაჩალკაზე'' ვირწევი და ეს რწევა და ლაპარაკი იტალიას და საქართველოს, ტოსკანას და გურიას ვეღარ არჩევს და აღარც არჩევს. და ვხვდები იმას, რაც სიტყვებად პათეტიკურს მიაგავს, მაგრამ არაფერია ამაზე ნამდვილი – რომ ადამიანები საშინლად ვგავართ ერთმანეთს. და სულ, სულ ვემსგავებით. რაც უნდა შორს წავიდეს მატარებლით ერთი და მეორე სულ ,,კაჩალკაზე'' დარჩეს, იქნება რაღაც გარდაუვალი და აუცილებელი წერტილი, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

///

ზაფხულის ღამეები სხვა ფიქრებს გულისხმობდნენ. მათსავით მოკლეს და არეულს. სიზმრებიც ეგეთი შეკვეცილია და უცაბედი. ამიტომაც, აგვისტოს ღამეს, სჯობდა აივანზე ვმსხდარიყავით, თხილი გვერჩია და ხმა არ ამოგვეღო. თხილის რჩევა დაკვირვებას არ მოითხოვს – ჩვენი მზერა ჰორიზონტზე დაღვრილ სილურჯეს მიშტერებია. მზერა ჯიუტია. ლურჯი – ბაცი და ცხელი, ტლანქი და ნოტიო. უსიტყვოდ და უფიქროდ ვარჩევთ. მე, ბებია და მამა. ეს წუთები სხვა ამოვარდნაა ცხოვრებიდან, მეხსიერების და ყოველდღიურობის ჯადოსნური განდევნა – უნებლიე მაგიური აქტი. თითქოს ერთად ვართ და ვეღარ ვამჩნევთ ერთმანეთს. და ვერც საკუთარ თავს ვამჩნევთ. ამ დროს მხოლოდ აგვისტო დგას და ყველა სხვა თვე იმაზე შორსაა, ვიდრე ჩვეულებრივ.

– უფ, მევითავეთ, კაი ვქენით!

ამბობს უცებ მამაჩემი და ჩვენ ვბრუნდებით. ეს მამაჩემის უმთავრესი სიტყვები იყო. ყველაფერზე ასე ამბობდა. ,,მოსათავებლი იყო და მევითავე'' – ბარვაზე, თოხნაზე, ჭამაზე და ძილზეც კი. იფიქრებდი, რაღაცის მოსწრებას ლამობსო. რომ შეეძლოს, ზუსტად ვიცი, მოვიდოდა და მეტყოდა: ,,უფ, მერე რაია, რომ მოვკტი კაცო, მოსათავებელი იყო მაი და მევითავე'' და მეც და შენც ხომ ვიცით, რომ ეს მართლა ასეა? რომ სიკვდილი მოსათავებელი ამბავია – ადრე თუ გვიან. ,,ხოდა, რას ტირით კაცო, აფერი არ მომხდარა იმფერი, მაინც ხომ მოხდებოდა და ცოტა ადრე მევითავე''.

///

ზაფხულის არდადეგებისას, თუ შენ პატარა ქალაქში ცხოვრობ და იმ პატარა ქალაქიდან, იქვე, მახლობელ სოფელში მიდიხარ დასასვენებლად, სადაც ბებია ცხოვრობს და თბილისიდან ნათესავები ჩამოდიან, აუცილებლად დგება დრო, როცა ეს ნათესავები აბარგდებიან და მარტო გტოვებენ. შენ და ბებიას.

ნათესავები მიდიან არდადეგების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, მათი გზა უფრო გრძელია და მათი ქალაქი დიდი. ამიტომაც აქ ისევ ზაფხული რჩება, ზუსტად ისეთივე მზით და ნიავით, ოღონდ უხმაურო, უადამიანო. ს აშინელებაა ზაფხულის ეს ნაწყვეტი სოფლად – უპასუხო, უექოო. იმ ნათესავების ნაფეხურები – კოკა–კოლას ბოთლები, ჩაფუშული წყლის რგოლი, ერთი–ორი შარვალი, ჩემოდანში რომ არ ჩაეტიათ და ყვითელი ჟურნალები —კიდევ უფრო ამძაფრებენ იმ დროს გაუგებარ სევდას. და მეზობლები და ბებია – ნელ–ნელა და დაზარებით რომ უახლოვდებიან შემოდგომას, ყანების ტეხა–კრეფას, ბრაზილიურ სერიალებს, კოფეების სმას.

მე ვდგები და წიგნების ოთახში შევდივარ. იქ გერმანული კატალოგია, მოდების, ტექნოლოგიების. მგონი 1993 წლის. ლამაზი ქალები. სათამაშო კომპიუტერები. ტანსაცმელი. კიდევ ბევრი რამ. უჩვეულოდ ფერადი. 1997 წელია, ამიტომაც უკვე მეათასედ ვათვალიერებ. ყველა გვერდის სურათი ვიცი და მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა.

საღამოვდება. ფარდებიდან, სისხლიანი ღამის პროლოგივით ისმის კოღოს სუსტი წუილი. მომაკვდავის პულსივით ფრთხილია ნიავი. ცხელა. ავეჟის მწერი მღერის. და მე ვგრძნობ, რომ ძალიან, ძალიან მარტო ვარ. და რომ ჩემი მეზობელი ლენაც მარტოა, სარეცხს რომ ფენს და ვაჟაც მარტოა, საქათმის კარს რომ აჭედებს და გივიც მარტოა, ჭიშკართან რომ ზის ომისმედლებიანი კიტელით და ნანაც მარტოა, წყლის მოსატანად რომ წავიდა ერთადერთ ჭაზე ნახევარ კილომეტრში. და რომ გვეშინია ამ მარტოობის, მაგრამ ვგრძნობთ, რომ არის რაღაც აუცილებელი ამ მარტოობაში და გარდაუვალი და საჭიროც. მე მენატრება ეს მარტოობა, გერმანული კატალოგით, წიგნების მოწყენილ ოთახში, ზაფხულის მომაკვდავი დღით.

მე იმ მარტოობაში დავიბადე.

///

ეს ადრეც მოვყევი: საავადმყოფოში, გარდაცვალებამდე ასე ერთი კვირით ადრე მამაჩემმა მითხრა, ევროპის ჩემპიონატს ახალ, დიდ ტელევიზორში ვნახავთო. თქვენ იცით რა არის ახალი, დიდი ტელევიზორი? გაგიმხელთ: მე და მამაჩემმა ერთ მსოფლიოს და ერთ ევროპის თამაშებს ვუყურეთ ერთად. პირველად ისეთ ტელევიზორში, თავში რომ უნდა ჩაგერტყა და ციმციმი ათი წუთით ჩერდებოდა. სახელად ,,ჰორიზონტი'' ერქვა. სიმბოლური კი იყო ეს სახელი. კარგად აჩვენებდა იმდროინდელი ჰორიზონტის ახლო საზღვარს, თუმცა მაშინ ასეთი დასაზღვრულობაც მიხაროდა. ბავშვობა უმიზეზო სიხარულების დროა და იქ მთავრდება, სადაც სიხარულის მიზეზებს ეძებ. სადაც ხვდები, რომ საზღვარი არ არსებობს, ყველა სიხარული გეცოტავება და ახალს ითხოვ. ამიტომაც ყველა სხვა ასაკში უბედურების განცდა ჭარბობს. ეს იქით იყოს და მეორე ტელევიზორი უკვე ფერადი გახლდათ, ოღონდ ხშირად დასაბომბი ეკრანით. ფერები ადვილად ბაცდებოდა და ამ საკითხის ოზურგეთელი ოსტატი, რაღაც ხელსაწყოს ადებდა და გეფიცებით, ამუქებდა. დაბომბვა ერქვა ამ ალქიმიას. მგონი ,,ტაურასი'' ერქვა. მგონი არა, ნაღდად. შუა ჩემპიონატისას, ერთ-ერთ ასეთ დაბომბვას ემსხვერპლა. მერე ჩემი ზაფხულები ოზურგეთს ასცდა. იმ წელს კიდევ ახალ, დიდი ტელევიზორში უნდა გვეყურებინა. მაგრამ უკვე ხომ გითხარით – ბავშვობა დამთავრდა. ბავშვობის მერე ძნელია ასეთი ამბების მოხერხება.

ახლა რომ ამბავს გიყვებით, ეს არ მომიყოლია. მაშინ სტუდენტი ვარ და სხვადასხვაგან ვათევ ღამეს. მეგობართან, ნათესავთან და ხან სასულიერო აკადემიის საერთო საცხოვრებელშიც კი. ამ საცხოვრებელში ჩემი მამიდაშვილი, გელა ცხოვრობს. გელა იმიტომ ცხოვრობს, რომ აკადემიის სტუდენტია. მე იმიტომ, რომ გელას ბიძაშვილი ვარ. უკვე ზაფხულია და სწავლა მორჩა. სტუდენტები და ლოგინები ერთდროულად გათავისუფლდნენ და მეც წამოვწექი ერთ–ერთ მათგანზე. ხის ლოგინი ჭრელი და ცხელი ,,ადიალათი''. თავთან ხატები მეკიდა და პატარა რადიო. ხელის რადიო. ასე ეძახდნენ. უკვე ზაფხულია და წესით გურიაში უნდა წავიდე. მეც ხომ არდადეგები მაქვს და თან მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. მამაჩემს დავპირდი, ერთად ვუყუროთ-მეთქი. ზამთარში რომ ვიყავი, მაშინ. გაუხარდა. ძალიან, ძალიან გაუხარდა. ისე, რომ შეტრიალდა და რადგან შეტრიალდა, ესე იგი თვალებში ცრემლი იგრძნო. მორცხვი კაცების ამბავია. ნაცნობი. კი, კი უეჭველი ჩამოვალ-მეთქი. უკვე ზაფხულია და შარდენზე გოგოები დასეირნობენ. თან ცალი თვალით გოგოებს დავსდევ, ცალით განცხადებებს ვკითხულობ სამსახურზე, ცალი ყურით გელასგან დოგმატიკის ამბებს ვისმენ, ცალით ცნობებს ფეხბურთელების ჯანმრთლობის შესახებ. ვფიქრობ, იმ საშინელ ტელევიზორში ყურებას, იმ კიდევ უფრო საშინელ მოწყენილობაში ალბათ სჯობს, რომ აქ დავრჩე. თან რამე სამსახურსაც მოვძებნი, თან ვინმე გოგოსაც გავიცნობ, თან ფეხბურთსაც ვუყურებ. უფრო კარგ ტელევიზორში. ამ ტელევიზორის საქმეც უცნაურად იყო, ისე როგორც ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. აჩვენებდა და ხმა არ ჰქონდა. ამ ხელის რადიოს ვრთავდით და რადიოში ვუსმენდით და ტელევიზორში ვუყურებდით. მაგრამ ხარისხი იყო უკეთესი და თან სასულიეროს ბიჭებიც გადასარევი ხალხი, ყველა სხავადასხვანაირი და ახლაც განსხვავებული გზის გამყოლი, მაგრამ მართლა ყველა გადასარევი. ვინც იმ ოთახში ცხოვრობდა. ჰოდა, ალბათ ასე ღიად ვერ ვფიქრობდი, მრცხვენოდა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც მათთან ერთად ყურება მერჩივნა და მხიარულება. ჰოდა, დავრჩი.

ჩავედი აგვისტოში. ვერც სამსახური ვიშოვე და ვერაფერი. გოგოების ამბავი კარგად არ მახსოვს და რადგან არ მახსოვს, ალბათ მანდაც ვერაფერი. მამაჩემი ბოსტანში მუშაობდა. რაფერ ხარ და ამბავი. ჩვეულებრივი კითხვები. ველოდები, როდის მკითხავს, რატომ არ ჩავედი. ველოდები. მინდა, რომ მკითხოს. არაფერს ამბობს. ვერც მე. აგრძელებს პამიდვრების აკონვას. დახრილი. ძალიან, ძალიან მინდა რომ მკითხოს, ისე რომ გული გამისკდება სადაცაა. არ არსებობს ასეთ დუმილზე უფრო საშინელი, გირჩევნია გლანძღოს და გაძაგოს დაუსრულებლად. მამაჩემი კი დახრილია და მუშაობს. მუშაობს. მუშაობს. მამაჩემი, მამაშენი და მამამისი. ისინი ოდესღაც ოცნებოდნენ რაღაც სხვაზე და უფრო მეტზე. ვიდრე პამიდვრის აკონვაა. ვიდრე გაფუჭებული ტელევიზორია. ვიდრე ფეხბურთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩამოსული შვილია. მაგრამ უცებ რაღაც მოვარდა – დრო, უიღბლობა და კიდევ რაღაც და წალეკა ეს ხალხი. მას მერე თავდახრილები მუშაობდნენ. და არაფერს გვეკითხებოდნენ და ამით ყველაფერს გვეუბნებოდნენ და ვერაფერს ვპასუხობდით.

ლია პეტრიაშვილი

დედობილი

თინიკო მოცქნაფული, პატარა გოგო იყო.სკოლის დამთავრების შემდეგ, ხან თეატრალურზე უნდოდა ჩაებარებინა, ხან ფილოლოგიურზე, მაგრამ მამამ აიჩემა სამედიცინო ინსტიტუტში უნდა ჩააბაროო. იდავეს, იკამათეს და ბოლოს გადაწყდა ფილოსოფიურზე ჩაებარებინა.

კარგი მოსწავლე იყო, მომზადებული და არც გასჭირვებია გამოცდების ჩაბარება. პირველივე წელსვე გაუმართლა და სტუდენტი გახდა.

სტუდენტობის წლები ბედნიერი და ხალისიანი ჰქონდა. მერე სიყვარულიც ეწვია. ისიც სტუდენტი იყო. პაემნები, ხელჩაკიდებული სეირნობა, ცრემლები, გაბუტვა და ისევ შერიგება – როგორც ყველა სხვა დანარჩენ შეყვარებულ წყვილს ახასიათებდათ – ყველაფერი გამოიარეს, გამოსცადეს.

დაამთავრეს სასწავლებელი, დიპლომებიც აიღეს და დიდი ხმაურისა და ოვაციების გარეშე, წყნარ გარემოში იქორწინეს. ბავშვის მოლოდინში ორმა წელმა გაიარა, მაგრამ ვერ დაფეხმძიმდა. ჩუმად დარდობდა, არავის არ უმხელდა თავის ვარამს. ქმარმა გული აიცრუა. სახლში გვიან – გვიან დაიწყო სიარული. თინიკო ამჩნევდა, მეუღლის ტანსაცმელს უცხო სუნამოს სუნი უდიოდა, მაგრამ არაფერს აგრძნობინებდა. უფრო გულჩათხრობილი გახდა. უთმენდა, რადგან შვილი ვერ აჩუქა და ყოველივე მის ასეთ საქციელს თავის უშვილობას აბრალებდა.

ერთ დღეს ქმარმა გამოუცხადა, შვილს ველოდები სხვასთან და მივდივარო. არც აურზაური აუტეხია,არც ტირილი და მოთქმა და არც კისერზე ჩამოეკიდა. როგორც უხმაუროდ დაქორწინდნენ, ისევე უხმაუროდ და აყალმაყალის გარეშე განქორწინდნენ. დაშორდნენ ერთმანეთს და თითქოს მათ შორის არც არაფერი ყოფილა....

გათხოვებაზე ფიქრიც კი არ სურდა. ან რა აზრი ჰქონდა, შვილს თუ ვერ გააჩენდა, ისევ დაენგრეოდა ოჯახი და ვეღარ გადაიტანდა – ასე ფიქრობდა თავისთავთან მარტოდ დარჩენილი.

თინიკო მუშაობდა. სახლი და სამსახური – ეს იყო მისი ყოველდღიური მარშრუტი. ზოგჯერ მეგობრები მოაკითხავდნენ, ძალით წაიყვანდნენ გასართობად და კარგა ხანს ჰყოფნიდა ასეთი დღეები.

ამასობაში მამა დაავადმყოფდა. ერთ დღესაც ხელიდან გამოეცალათ. სახლში დედა და თინიკო დარჩნენ. დრო გადიოდა. ერთხელ სახლში ორივე წყნარად იჯდა. თინიკო დედას გამოუტყდა: ბავშვის აყვანაზე ვოცნებობო. დედას არაფერი არ უთქვამს: არც უარი და არც თანხმობა. წყნარად უსმენდა. თინიკომ იფიქრა – არ მოეწონა მისი ნაფიქრი და და გული არ ატკინა,მიტომ არაფერი არ უთხრა დედამისმა.

ჩვეულებრივ გრძელდებოდა მისი ცხოვრება: სახლი – სამსახური, სამსახური – სახლი. ცხოვრება ერთობ უფერულად მიედინებოდა.

ერთ არაჩვეულებრივ დღეს, დედამისმა გამოუცხადა: – ხვალ სამსახურში ნუ წახვალ, მე და შენ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ადგილას უნდა წავიდეთ, მაგრამ მინდა სიურპრიზი იყოს და ხვალამდე ვერაფერს გეტყვი, ვიცი რომ ძალიან გაგიხარდებაო.

კი დაინტერესდა, მაგრამ რადგან სიურპრიზი იყო, როგორმე მოიცდიდა ხვალამდე.

გათენდა. სამსახურში დარეკა: დღეს შეუძლოთ ვარ და ვერ მოვალო. გამოიპრანჭნენ და წავიდნენ. აღმოჩნდნენ უდედმამო ბავშვთა სახლის წინ, შესასვლელ კართან. თინიკოს რაღაც უცნაურად აუჩქროლდა გული.

უდედმამო ბავშვთა სახლის დირექტორი თბილად შეხვდათ. ის დრო იყო, ბავშვებს შუადღის ძილით რომ ეძინათ. შეიყვანა დირექტორმა და აჩვენა მძინარე ბავშვები.

დედამისს გოგონა სურდა ეშვილებინათ, მაგრამ თინიკოს ყურადღება მიიპყრო ერთმა

ბიჭუნამ. ისე საყვარლად ეძინა, ისეთი გაბუშტული წითელი ტუჩები ჰქონდა და გამობერილი, ვარდისფრად აფერადებული ლოყები, მოუნდა გულში ჩაეკრა და ისეთი გაბრწყინებული თვალებით შეხედა დირექტორს, ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ ეს ბავშვი მოეწონა.

– ეს ბიჭუნა წლინახევრისაა. მშობლები გაცილდნენ. დედამ მიატოვა, ვიღაც კაცს გაეკიდა და წავიდა საქართველოდან. მოხუცმა ბებიამ ვერ შეძლო მისი მოვლა, აქ მოიყვანა და ჩაგვაბარა. დედამისის კი, არც გზა იციან სად არის და არც კვალიო. აქ როცა მოიყვანეს, მხოლოდ რვა თვის იყო, საოცრად საყვარელი ბავშვიაო.

დაუფიქრებლად ეს ბავშვი ირჩია. ქვეშეცნეულად უკვე შეუყვარდა. აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. ერთი სული ჰქონდა,სახლში წაეყვანა და მისი დედა გამხდარიყო.

რამოდენიმე დღეში მოაგვარეს ფორმალური მხარე და ბავშვი გულში ჩაიკრა.

– კახა, კახუნა მე შენი დედიკო ვარ – უთხრა თვალებბრიალა ბიჭუნას და დაუკოცნა გაღაჟღაჟებული ლოყები.

– დე-და – ბავშვმა დამარცვლით წარმოთქვა. ის – ის იყო ენას იდგამდა და ლაპარაკს სწავლობდა. თავის პაწაწინა ხელებს სახეზე უსმევდა და გულში ეხუტებოდა.

მოზღვავდა, მოვიდა და წალეკა თინიკო აქამდე რაღაც გამოუცნობმა გრძნობამ – დედაშვილობა რომ ჰქვია. არ არსებობდა დედამიწაზე უფრო ძლიერი, უფრო მაღალი, უფრო ზნეობრივი თუ მორალური სიყვარული,რასაც შვილის სიყვარული ერქვა.

კახუნა დღითიდღე იზრდებოდა. თინიკოს მისთვის ამოსდიოდა მზე. მან დედობა აგრძნობინა, დედობის ღირსი გახადა. ახლა სრულფასოვან ქალად გრძნობდა თავს. საუკეთესო ტანსაცმელს ყიდულობდა, ბავშვს კარგად აცმევდა. თუ რამე კარგი არსებობდა ამ ქვეყნად, ყველაფერი მხოლოდ დათუნასთვის ემეტებოდა. ფრჩხილი რომ წამოსტკენოდა, გული უკანკალებდა, ეგონა ქვეყნის დასასრული დგებოდა, შიშით გული უსკდებოდა.

დრო გადიოდა. ბიჭუნა წამოიზარდა.თინიკო სამსახურში დადიოდა, ბიჭს კი დედასთან სტოვებდა საკუთარ გულთან ერთად. სამსახურში სულ საათზე იყურებოდა, როდის დამთავრდებოდა სამუშაო საათები, როდის დაბრუნდებოდა სახლში, რომ გულში ჩაეკრა შვილი. ისეთ დედობრივ გრძნობას აფრქვევდა, ყველა აღნიშნავდა: ეს გოგო დედობისთვის არის შექმნილი, ცოდო არ არის, რომ საკუთარი შვილი არ ეყოლა, ეს ათი შვილის დედა უნდა ყოფილიყოო.

ასე თუ ისე, კახუნა სკოლაში მიიყვანეს. ბავშვი კარგად სწავლობდა. კმაყოფილი იყო დედა. ფიქრობდა, თუ ასე გააგრძელა ბოლომდე, კარგ განათლებას მივცემ და კაცი დადგება და ცხოვრებას აიწყობსო.

თვალსა და ხელს შუა გაირბინა წლებმა. თექვსმეტი წლის გახდა კახა. ბედნიერი იყო თინა, ბიჭი მოესწრო უკვე. გულით შეხაროდა თავის ჭაბუკს.

ერთ დღეს, კახუნა უხასიათოდ დაბრუნდა სახლში. სადილს პირი არ დააკარა,შეიკეტა თავის ოთახში, საწოლზე გულაღმა დაწვა და ჭერს მიაშტერდა.

თინიკომ კარები შეაღო და სთხოვა გამოსულიყო,საჭმელი ეჭამა. ბიჭმა კი აქამდე უჩვეულო უხეშობით უთხრა: – შენ მატყუარა ქალი ხარ! მითხარი, რატომ მატყუებდი, რომ ჩემი დედა იყავი! შენ არა ხარ ჩემი დედა, არა! – ბიჭს თვალები ავად უკვესოდა.....

იმ წუთას მეხის ჩამოვარდნას უფრო აიტანდა თინა, ვიდრე ამ სიტყვების გაგონებას. ქალს მუხლები მოეკვეთა.

– რას ამბობ კახა,რას ამბობ შვილო – თვალები ცრემლით აევსო ქალს.

– გეუბნები, შენ ჩემი დედა არ ხარ და არც მე ვარ შენი შვილი! – ისტერიკა ემართებოდა კახას.

– საიდან მოიტანე ასეთი რამ შვილო,მე არ გაგზარდე? მე არა ვარ შენი დედა? ამ სახლში ერთად არ ვცხოვრობთ? ვინ მოგატყუა, რას ამბობ თუ გესმის? – ხმის კანკალით მიუგო თინიკომ და ისტერიული ტირილი დაიწყო.

ბიჭი უცებ გონს მოეგო, ვერ იტანდა დედის თვალებზე ცრემლს. წამოიწია, მისწვდა გრძელი ხელებით დედას და მისი თავი გულში ჩაიხუტა.ხელისგულით მოსწმინდა ცრემლები.

– დღეს ერთი ქალი მოვიდა სკოლაში და მითხრა, რომ ჩემი ბიოლოგიური დედა იყო, რომ შენ ჩემი დედობილი ხარ და ბავშვთა სახლიდან მიშვილეო. ახლა შენ მითხარი სიმართლე, იცოდე ტყუილი არ გაბედო, თორემ სახლიდან საერთოდ წავალო!

თინას თავზარი დაეცა.

ქალს სისხლი გაეყინა ძარღვებში. ცრემლი შეიშრო,ბიჭს თვალი გაუსწორა თამამად და მკაცრად გამოსცრა კბილებში:

– იმ ქალმა, ექვსი თვის იყავი, მიგაგდო მოხუც ბებიასთან და არავინ იცოდა, სად წავიდა. ბებიამ კი საბავშვო სახლში ჩაგაბარა. უპატრონო ბავშვებთან ერთად იზრდებოდი. მე როგორც კი დაგინახე, მაშინვე შემიყვარდი და გიშვილე, გაგზარდე. არაფერი დამიკვლია.მე ვარ შენი დედა, ერთი წლიდან მე გაგზარდე. მე ვათიე ღამეები, მე ვტიროდი,როცა სიცხე გქონდა, მე ვდარდობდი გაციებული როცა იყავი.მე ვიყავი საუკეთესო დედა და საუკეთესო შვილი გავზარდე.ვინ არის ის ქალი შენთვის? მან მხოლოდ ცხრა თვე გატარა მუცლით, მოგავლინა ამ ქვეყანაზე, მერე მიგატოვა უპატრონოდ და გაუჩინარდა. მე რომ არ წამომეყვანე, იცი შენ სად იქნებოდი და როგორ გაიზრდებოდი?

ბიჭმა შუბლზე აკოცა, მაგრამ უთხრა: ტყუილს მაინც არ გაპატიებ,მე ეს უნდა მცოდნოდაო.

ბიოლოგიური დედა ჩუმად ნახულობდა ბიჭს. ის მოსკოვში ცხოვრობდა,რაღაც ბიზნესი ჰქონდა აწყობილი, ღმერთმა იცის რა და როგორი საშუალებებით, მაგრამ ეტყობოდა ფული ჰქონდა და ბიჭს ძვირფას საჩუქრებს ჩუქნიდა. თექვსმეტი წლის ბიჭის გულის მოგებას რა დიდი ძალისხმევა უნდა, თან როცა გაიგო, რომ ნაშვილები იყო და ბიოლოგიური დედა გამოუჩნდა. ტკბილი ენით მოხიბლა, ,,ბევრს" შეპირდა: კარგ ცხოვრებას, კარგ მანქანას, ფუფუნებაში ყოფნას. უთხრა: შენს მეტი შვილი არ მყავს და რაც გამაჩნია, სულ შენია. თან იცოდე,ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, ვიღაც უცხო ქალთან რატომ უნდა იყო და იცხოვროო. პატივი ვცეთ რომ გაგზარდა, დავუფასოთ ამაგი, მაგრამ იცოდე შენი ნამდვილი დედა მე ვარო.

იმდენი ელაპარაკა, მოტეხა ბიჭი და თავისკენ გადაიბირა.

ერთ დღეს,სახლის კარებზეც მიუკაკუნა თინიკოს. კარი გააღო თუ არა, თინამ მაშინვე იცნო კახუნას დედა,მსგავსება იმდენად დიდი იყო. ბიჭი დედას ძალიან ჰგავდა.

– შეიძლება შემოვიდე? თქვენთან მინდა საუბარი. ცივილიზებული ადამიანები ვართ, ვილაპარაკოთ. ორივეს გვიყვარს ერთიდაიგივე ბავშვი და ორივე მისი დედა ვართო. – მოთაფლული ხმით მოულბო თინას გული და სხვა რა გზა ჰქონდა, შემოიპატიჟა სახლში.

ბევრი ისაუბრეს, დაწვრილებით მოუყვა თინა,როგორ გაიზარდა ბიჭი,რა გადაიტანა მის გაზრდასა და აღზრდაში,რამდენი ცრემლი, შიში თუ სიხარული გამოიარა. სურათების ალბომი გადმოუღო, აჩვენა და ყოველი ფოტოსურათის ისტორია უთხრა.

ბიოლოგიურმა დედამ მადლობები უხადა.

– მადლობას რატომ მიხდი, კახა ჩემი შვილია, მე გავზარდეო – თვალი გაუსწორა თინიკომ.

– კი,ორივე დედა ვართ.მართალია, შენ გაზარდე, მაგრამ მე ხომ ცხრა თვე მუცლით ვატარე და გავაჩინე, მეც ხომ დედა ვარო. მერე ტკბილი ენით უთხრა: ნუ გეშინია, ორი დედა ჰყავდეს კახას და ორივე მისთვის ვიყოთო. მხარი მხარს მივცეთ მისი კეთილდღეობისთვისო.

იმდენი და ისეთი მოქარგული ენით ელაპარაკა, თან ისე დამაჯერებლად, დააჯერა თინა, რომ მისი გამოჩენა, არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენდა, პირიქით ეკონომიურად დაეხმარებოდა და ბიჭისთვის ყველაფერს გააკეთებდა, რაც საჭირო იქნებოდა. ათასი მადლობა უხადა, რომ მისი შვილი კარგად გაზარდა.

მოკლედ, ნელანელა ისე მოუშინაურდათ, ლამის ოჯახის წევრად გაუხდათ. თინას სთხოვა, რომ ძალიან ნანობს, ბავშვი რომ მიატოვა და ნება ითხოვა მისგან, ზოგჯერ წაეყვანა, უნდოდა ეჩვენებინა საქართველოს ყველა კუთხე კუნჭული, ერთი კვირით წაეყვანა ზღვაზე, რომ შეჩვეოდა, შეეგრძნო დედობის სიხარული.

თინას უარი არ უთქვამს.ან კი როგორ დაუშლიდა: უარი რომ ეთქვა, კახა მაინც გაჰყვებოდა და ამით თავის ზეგავლენას დაკარგავდა შვილზეც და იმ ქალზეც. ამიტომ დათმო.

დათმო და წააგო. ბიოლოგიურმა დედამ ბიჭი შეაგულიანა. როგორც კი ატესტატი აიღო, პასპორტის საქმეც მოაგვარეს. ერთ დღეს კი კახამ გამოაცხადა – მოსკოვში მივდივარო.. ცოტა ხანს ვიქნები, გავეცნობი, ვნახავ მოსკოვურ ცხოვრებას და ჩამოვალო. არ იდარდო, შენ გამზარდე, ჩემი დედა ხარ და უშენოდ როგორ გავძლებო.

თინიკომ ბევრი იტირა, იდარდა, მაგრამ ვინ იყო მისი ყურის დამგდები და შემბრალებელი.. წაავლო ხელი ბიჭს თავისმა დედამ და მოსკოვში წაიყვანა.

ყოველ დღეს ელაპარაკებოდა თავის გაზრდილ შვილს თინა, ყოველდღე სთხოვდა დაბრუნებას. ერთხელაც ტელეფონზე იმ ქალმა გასცა პასუხი. ძალიან მკაცრად ელაპარაკა: – ნუ შეაწუხე ბავშვი, ნუ ჩაგვიმწარე ცხოვრებაო. მადლობელი ვარ, შვილი რომ გამიზარდე. თუ გინდა დაასახელე თანხა და მოგცემ, როგორც ძიძას – ხელფასსო. ბავშვს ნუ ავიწროვებ, შვილი ჩემია და ჩემთან იქნებაო....

ტელეფონის ყურმილი გაუვარდა ხელიდან. ძირს, იატაკზე დაეცა და მწარედ ატირდა. თექვსმეტი წელი გაზარდა შვილი და ახლა მას ხელფასის გადახდას უპირებენ, ვითომ მისი ძიძა ყოფილიყო და მეტი არაფერი?

მერე და მერე დარეკვისას, სულ ის ქალი ესაუბრებოდა და საქმე იქამდე მივიდა,რომ საერთოდ აუკრძალა დარეკვა და ბიჭთან საუბარი. გააფრთხილა: წინააღმდეგ შემთხვევაში უჩივლებდა.

გამწარდა თინა. აღარ უნდოდა უკვე სახლში გაჩერება, ყველაფერი კახას აგონებდა და ძლიერ ტკივილს გრძნობდა გულში.

ერთ დღესაც, სასოწარკვეთილმა გაამზადა ჩემოდანი და დაემშვიდობა დედას. ემიგრაციაში წავიდა,ემიგრანტი გახდა.

პირველად ძალიან გაუჭირდა სამსახურის შოვნა. მერე ვიღაც ,,ბებოსთან" შევიდა მომვლელად. მიხვდა ეს არ იყო მისი საქმე და ვერ შეძლებდა. პატარ-პატარა სამსახურებს შოულობდა და იქ მუშაობდა. პატარა შემოსავალიც გაუჩნდა. მერე მადა გაეხსნა, უკვე მაღალხელფასიან სამსახურში შევიდა. პატარა სახარჯო ფული გაუჩნდა. გემოვნება კი ჰქონდა, იყიდა კარგი ტანსაცმელი, მოვლილი და გამოპრანჭული დადიოდა.

მერე ვიღაც გაიცნო, უცოლო კაცი. დაუახლოვდა. თინა უკვე შუახნის ქალი იყო.ხვდებოდა, რომ ბებიების მოვლა მისი საქმე არ იყო, ვერ შეძლებდა.ისევ გათხოვება ერჩია. ადგა გაჰყვა იმ კაცს ცოლად.

სხვა თუ არაფერი, საქართველოში უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. არანაირი ცხოვრებისეული პირობები, არც სამსახურები, არც ხელფასები. ელემენტარულად შუქიც კი არ იყო,რით უნდა ეცხოვრა და რით უნდა ეარსება? აღარც გაზრდილი შვილი ჰყავდა, დედამ წაართვა. ცხოვრებამ ბევრი სიმწარე აჩვენა და აქ ევროპაში, ცხოვრების და არსებობის პირობები მაინც ექნებოდა. აღარც სიყვარულს დაეძებდა და აღარც დიდ გრძნობებს გამოეკიდა,უბრალოდ ადგა და კანონიერად გათხოვდა.

უცხო ქვეყანაში სხვა ცხოვრების წესი იყო. სულ სხვა ადათი და ტრადიციები ჰქონდათ. შეეგუა, შეეჩვია.მოერგო მათ ცხოვრებას. ბევრი რამ არ მოსწონდა, ბევრიც მისაღები იყო. ასე თუ ისე, იბრძოლა და დაიმკვიდრა თავი. ქმარს გამოუცხადა, ჩემს ქვეყანაში წესია, კაცი ხელფასს ცოლს აბარებს და ის აწესრიგებს ოჯახურ პრობლემებსო. არ მოსწონდა კაცს ასეთი წაყენებული პირობა, მაგრამ სხვა გზა არ დაუტოვა ქალმა და დაჰყვა მის ნებას.

ბევრი დროც არ გასულა და რაღაც უცნაურ შეგრძნებას განიცდიდა თინა. გუნება შეეცვალა, დილით პირღებინების განცდა ჰქონდა. აქამდე უშვილო რომ ეგონა თავი, ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო და ამ გვიან ასაკში შვილს ელოდებოდა.

გაუხარდა,აბა როგორ არ გაუხარდებოდა. მთელი ცხოვრება შვილის ნატვრაში ამოსდიოდა სული. მაგრამ თავისი გაზრდილი ნაშვილები ბიჭი რომ უყვარდა, ნეტავ ისე ეყვარებოდა თავისი პირმშო, რომელსაც მუცლით ატარებდა? ..... მიხვდა ისევ კახუნაზე დარდობდა და ოცნებობდა.....

გაიარა ორსულობის პერიოდმა და ბიჭი შეეძინა. დიმიტრი დაარქვა. იმასაც დიდი რუდუნებით ზრდიდა. გულში ფიქრობდა: ეს ბავშვი ღმერთმა იმიტომ მაჩუქა, კახა დედამისმა რომ წამართვა და მარტო დავრჩიო.გულში არასოდეს გაუვლია,რადგან დიმიტრი გააჩინა, ერთი შვილი ჰყავდა. არა! ორი შვილის დედა იყო. გული სულ იქით, კახუნასკენ მიუწევდა. ისე ენატრებოდა, ზოგჯერ ძარღვებში სისხლი ეყინებოდა. მისი მონატრება და სიყვარული დიმიტრის გაზრდას შემოახვია და ორივე შვილის სიყვარულს მხოლოდ დიმიტრის მოფერებით ინაზღაურებდა.

ურეკავდა, ელაპარაკებოდა მოსკოვში კახას. იგებდა მის ამბებს. მერე დაჯდებოდა და ნერვიულობდა ჩუმათ.

იზრდებოდა დიმიტრი. დაჰკანკალებდა მასაც. ასწავლიდა ცხოვრების ავკარგს და გულის ერთ ნახევარს მას უთმობდა, ხოლო მეორე ნახევარი კახასი იყო. იმ ბიჭისა, ვინც დედობა აგრძნობინა, ვინც შვილის სიყვარულის გემო გააგებინა, ვინც საკუთარ თავს ერჩივნა. დედა იყო ორი ვაჟკაცის.

წლები გაფრინდა. ასაკიც მოემატა. სამშობლოში ხან წელიწადში ერთხელ ჩადიოდა, ხან ორ წელში ერთხელ მოხუცი დედის სანახავად. მომვლელი ქალი ჰყავდა დაქირავებული და აქედან უგზავნიდა ხელფასს და საჭირო თანხას, სახლში მოსახმარებლად.

დიმიტრიც გაიზარდა, უკვე მსახურობდა. კარგი შვილი ჰყავდა, ბედს არ ემდუროდა. უჯერებდა, წესიერი ბიჭი დადგა, არც სასმელისკენ ჰქონდა მიდრეკილება და არც ნარკოტიკისკენ. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მის გულში ისეთი ცეცხლი ტრიალებდა, ვერავის ვერ ეუბნებოდა. აგერ 28 წელზე მეტი გავიდა, რაც კახა ახლოდან აღარ უნახავს, მისი თვალის დამკვრელი არ იყო და მის გულში მონატრების ქარიშხალი მძვინვარებდა, ისე ძლიერ სურდა მისი ნახვა. უკვე ჩამოყალიბებული მამაკაცია ორმოც წელს გადასცდა... მას კი ისევ თექვსმეტი წლისა ახსოვდა, ცხვირში ისევ გრძნობს მის სუნს, ბავშვობაში მის ტანსაცმელს რომ ასდიოდა..... სულ გადაიწყვიტა იმედი: ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ, მე აქეთ ვარ ევროპაში, ის მოსკოვშია, როგორ ვნახო და რა ვქნა არ ვიცი, არადა ვეღარ ვუძლებ მონატრებასო.

მთელ დღეებს ოჯახში ატარებდა. ქმარ-შვილს სადილს უმზადებდა, სახლს ალაგებდა. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ საშინელი დაუკმაყოფილებ-ლობის გრძნობა ჰქონდა. ეძებდა გზებს, როგორმე გახალისებულიყო, მდგომარეობიდან გამოსულიყო. სახლში სამნი ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც მარტოსულად გრძნობდა თავს. ქმარი დილით მიდიოდა თავის ნაცნობ-მეგობრებში კაფეში ყავის დასალევად და ქვეყნის საქმეების ,,გასარჩევად". შვილს თავისი სამეგობრო ჰყავდა და მათთან გარბოდა. ეს კი მარტო იყო. მიდიოდა მაღაზიებში, ათვალიერებდა, ყიდულობდა. სულ რაღაცას ფუსფუსებდა და გულს აყოლებდა, მაგრამ მაინც მის სულს ვერაფერი ავსებდა, ვერ წყნარდებოდა.

ერთხელაც იფიქრა, კვირას ქართველ ემიგრანტებს დასვენების დღე აქვთ, წავალ გავივლი მეც ,გავიცნობ და კვირა დღეს მეც მათთან ერთად გავატარებ, ქართულად მაინც დავილაპარაკებ და შვებას ვიგრძნობო.

თქვა და შეასრულა. კვირა დღისით გადიოდა სახლიდან და გვიან ღამით ბრუნდებოდა. ხვდებოდა ქართველ ქალებს, საუბრობდა, ახალ ამბებს იგებდა. ხან თვითონ უყვებოდა საინტერესო ამბებს, იცინოდა. ცოტა გამოცოცხლდა, გუნება გამოუკეთდა. მთელი დღე იქ იყო, სერნობდა. მერე გვიან შეღამებულზე დგებოდა და სახლში მიდიოდა. ქმარი არ იყო ცუდი კაცი.

ესმოდა მისი, კარგად უგებდა. იცოდა ჰაერივით სჭირდებოდა თავის მშობლიურ ენაზე საუბარი და თავის ,,ხალხთან" ურთიერთობა. თან შეამჩნია, რომ უფრო ხალისიანი იყო და უთხრა წადი კვირაობით და გული გაირთე შენს თანამემამულეებთანო. თინას გულში ძალიან გაუხარდა, ქმარი ასე გაგებით რომ მოეკიდა მის გასვლას გარეთ.

ასე მოუწყო საკუთარ თავს, სახლის საქმეებისგან დასვენების დღე და ქართველ ქალებთან ატარებდა დროს. თუმცა გულში ,,მჯდომი" მტანჯველი ჭია ვერაფრით ვერ მოიცილა, ძალიან მტკივნეულად აწუხებდა.

ერთ დილას, სადილი როგორც კი მოამზადა, იფიქრა სანამ ვისადილებთ, რამეს წავიკითხავ, დროს გავიყვანო – მობილური ტელეფონის ზარის ხმა შემოესმა. ნომერს დახედა და გული აუფრიალდა, თავისი კახა იყო. ხელის კანკალით გახსნა და ვერ მოასწრო გისმენო ეთქვა, მოესმა ტირილის ხმა. კახა გულამოსკვნილი ტიროდა და ეკითხებოდა: – დედა როგორ ხარ, წუხელ სიზმარში გნახე, რაღაც ცუდი შეგემთხვა ვითომ და ხელებში ჩამაკვდი. გამომეღვიძა და ეს ისეთი შოკი იყო ჩემთვის, შენ ვერც წარმოიდგენ. დედა, ჩემო ტკბილო და თბილო ჩემო დედიკო..... – ხმით მოსთქვამდა მამაკაცი თავისი ბარიტონით. – ახლა მივხვდი, თურმე როგორ მყვარებიხარ, ახლა მივხვდი, როგორი უძღები შვილი ვყოფილვარ და ამდენ ხანს გულში დარდი და სევდა რომ მქონდა და ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა, თურმე შენ ყოფილხარ ჩემო გამზრდელო დედიკო..... მუხლებს დაგიკოცნი, ფეხქვეშ ჩაგივარდები, ოღონდ მაპატიე, ოღონდ შემინდე რაც გაგიკეთე და ამდენ ხანს გაწამე. მიყვარხარ, თურმე როგორ მიყვარხარ და როგორ მომნატრებიხარ ჩემო დედიკუნა... – თინა გადაირია,სიტყვა ვერ ჩააკვეხა, ხმამაღლა ტიროდა და ნერვიულად ლაპარაკობდა კახა რუსული აქცენტით.,

როგორც იქნა ამოიღო ხმა, დაელაპარაკა შვილს და უთხრა რომ, შენ ჩემი პირველი სიხარული და პირველი მერცხალი ხარ და ყოველთვის ასე იქნებაო. უთხრა ესეც მთელი ცხოვრება როგორ ელოდა ამ წამს, როცა მიხვდებოდი და მოინანიებდიო. ამან თავისი უთხრა, კახამ თავისი ამბები. საკმაოდ დიდხანს ისაუბრეს. თინამ დაამშვიდა, დააწყნარა, უთხრა დედა არასოდეს ისე არ ბრაზდება შვილზე, რომ რამე არ აპატიოს, რაც არ უნდა დააშავოსო. მერე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.გათიშა ტელეფონი და მიხვდა, ის ორი საათი, რაც ისაუბრეს, ფეხზე იდგა და დაჯდომა ვერ მოიფიქრა..ახლა კი მძიმედ ჩამოჯდა სკამის კიდეზე და ისე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ამდენი წლების დაგროვილი დარდი თან ამოაყოლა. არ უნდოდა შეემჩნია, მაგრამ სიხარულმა ერთიანად წალეკა, უნდოდა ეყვირა და მთელ მსოფლიოსათვის შეეტყობინებინა თავისი აღმაფრენა. ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, სურვილი ჰქონდა – გაქცეულიყო ქუჩაში და ნებისმიერ გამვლელს ჩახუტებოდა უფლისადმი მადლობის ნიშნად.

სიხარულით აღარ იყო. ჯერ განელებული არ ჰქონდა აღტაცება, რომ ერთხელაც კომპიუტერში შეტყობინება დახვდა:

– დედა ძალიან მენატრები, ვეღარ ვძლებ უკვე.გადავწყვიტე ერთი თვით შენთან ჩამოვიდე და ჩემი ძმა გავიცნოო.

წაიკითხა და სავარძელში გადავარდა. ეგონა გული გაუსკდა.სიხარულით უნდოდა დაეყვირა დაძალა ვერ მოიკრიბა ხმა ამოეღო. სხეულის შიგნით სული უკიოდა.

– როგორც იქნა, ღმერთო მადლობა! როგორც იქნა გამოჩნდა სხივი ჩემს ცხოვრებაში. ღმერთო მალე გამითენე ის დღე, ჩემს ბიჭს გულში რომ ჩამახუტებო – თვალებიდან მდუღარე წვიმა წამოუვიდა და მიხვდა გულზე დაწოლილი უშველებელი ლოდი როგორ გადაუგორდა და განთავისუფლდა. ამდენი წლების შემდეგ პირველად ამოისუნთქა თავისუფლად და შვებით.

27 ოქტომბერი 2018 წ.

მონაზონი: იოანა ონიანი (დარიკო ონაინი)

სევდიანი მონატრება

უფლის ნებითა და წყალობით, წილად მხვდა რწმენის გამოცდა, ქმნის მოთმინება, განსაცდელის გადატანა, სულგრძელობისა და სასოების ქონის უნარის დაფასება.

45 წლის განმავლობაში, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლითაგანს, უარყოფითს ვებრძოდი და ვებრძვი, ვინაიდან, ჩემი პირველი ტკივილი: მწუხარება და სასოება შევისისხლხორცე 1975 წლის 29 ნოემბერს, მაშინ ,როდესაც ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი მძიმე ხვედრი მშობლის დაღუპვისა. ჩემი არსებობის პერიოდში ყველაზე ძვირფასი დღეები და საათები იყო; ბედნიერი "მწყემსი გოგონა" სოფლის სხვადასხვა მეურნეობის საქმეს ვეწეოდი; დავდიოდი სკოლაში ... გავიდა დრო, გავხდი ასპირანტი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გავახარე მშობლები ,და-ძმანი, განსაკუთრებით კი მამას უხაროდა. შემპირდა, რომ ჩემი ასპირანტურის დამთავრებას მთელს ქალაქს შეატყობინებდა: შამფურზე შეწვავდა გოჭებსა და ციკნებს. მაგრამ, ამაოდ. სამწუხაროდ, მხოლოდ ჩემს ასპირანტურაში ჩაბარებას მოეწსრო.

60 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. ეს ამბავი ჩვენი ოჯახისა და ნათესავებისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა, ვინაიდან ჩემი მშობელი მამა იყო სოფლის თავკაცი, სარწმუნოების ერთ-ერთი ქომაგი, ყველა მოსახლის-კომლის სულისა და ხორცის მკურნალი, ეს ყველაფერი გამოიხატა სოფელ ჩუკულის მთვარანგელოზის სახელობის ტაძრის ახალი ეზოს შეძენაში. ტაძრის ეზოში შეკრებილი იყო 9 სოფლის მკვიდრი. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკუთარი ძალისხმევით სამი ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი დაამტკიცებინა.

ჩვენთან,სვანეთში, კომუნისტების ვერაგობის გამო ყველა ეკლესია უმოქმედო იყო და, შესაბამისად, მოძღვარიც არ არსებობდა.

1975 წლის ივლისში, ასევე, ტრაგიკულად დაიღუპა დედის მამიდაშვილის შვილი-ჟორა ბაბლუანი. ის იყო ლენტეხის ღვინისა და საკონსერვო ქარხნის დირექტორი: საკუთარი მუშის გადასარჩენად ხუთასტონიან რეზერვუარში ჩავიდა. ამოყვანის დროს ,უჰაერობის გამო, სამწუხაროდ, ორივე დაიღუპა.

ჟორას წესის აგებისთვის სოხუმიდან წამოიყვანეს მოძღვარი, რომლის დანახვამაც მამაჩემში დიდი რწმენა და სიხარული გამოიწვია. წესის აგების დასრულების შემდეგ მოძღვარს სთხოვა, ეკურთხებინა ის ახალი სასაფლაო, რომელიც მან გამოაყოფინა მთავრობას. მოძღვარმაც ეს დიდი სურვილი სიამოვნებით შეასრულა.

ჰოი საოცრებავ,მოძღვრის მიერ ნაკურთხ სასაფლაოზე, პირველმა მამამ დაიდო სამარადისო ბინა.

მამაჩემი იმდენად კეთილი, თბილი და უბოროტო ადამიანი იყო, რომ მთელმა ლაშხეთმა განიცადა მისი გარდაცვალება და აწუხებდათ შეკითხვა, თუ, ვინ ჩაუდგებოდა სათავეში მულზონს პირიბეს დაღუპვის შემდეგ, ვინ განაგებდა და უპატრონებდა სოფლის სალოცავებსა და შემოსულ შესაწირავს.

მამა სანთელს მულზონის წევრებს უნაწილებდა, ახმარდა ტაძარს შესაწირს და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. გარდაცვლილებს შემოწირული სანთლით კელაპტრებს უმზადებდა და, ამგვარად, აცილებდა მიცვალებულს სამარის კარამდე. კომუნისტების პერიოდში ეს იშვიათი მოვლენა გახლდათ, ვინაიდან ყველა ერიდებოდა ტაძარში შესვლასა და ლოცვას.

ჩემო მონატრებულო მამა, ამ ორმოცდახუთი წლის განმავლობაში, ბევრი რამ შეიცვალა, არამარტო შენს მრავალრიცხოვან ოჯახში, არამედ სრულიად საქართველოში, ბევრი რამ უნდა გამცნო, კერძოდ, შენს მიერ დატოვებული ხუთი შვილი, 13 შვილთაშვილი უფრო დავაჟკაცდა და

დაფრთიანდა. ბევრი სიხარულიცა და მწუხარებაც ვიწვნიეთ უშენოდ: შენი პირველი სანუკვარი შვილიშვილი-რეზის სანატრელი შვილი, იაგული, შენი გარდაცვალებიდან ცხრა თვის შემდეგ დაიღუპა. ამ ამბავმა ყველა დაგვამუნჯა. საბედნიეროდ, მწუხარებას სიხარულიც ბევრი მოჰყვა უფლის ნებითა და განგებით: ცამეტი შვილთაშვილი დაგიოჯახდა და მათი მონაგარი შეადგენს ოცდარვა შვილთაშვილს. ასე ბედნიერად და ლაღად გავატარებდით ბავშვობას, რომ არა ის ამბები,რაც ჩვენს ოჯახს დაატყდა: დედა და შენი უფროსი ქალიშვილი-რეზი ერთდროულად გამოგვეცალა ხელიდან. მათ მიჰყვა ოლია, ჯამბული, ქელეშბი გახდონი, ია. მათ გარდაცვალებას იმდენი ტკივილი და სევდა არ მოჰყოლია, რამდენიც შენი შვილიშვილის,ფატიმას ვაჟის, 22 წლის ვაჟკაცის – გოგა წიკლაურის მოულოდნელ გარდაცვალებას. ყოველივე ეს ყველასთვის შეუხორცებელი ჭრილობაა, განცდა მწუხარებისა და მწარე ტკივილისა. ძალიან ვწუხვარ და განვიცდი იმ ფაქტს,რომ ამ ავბედითმა ჟამმა არ გვარგუნა თქვენს საფლავებთან ერთდროულად აღდგომის მილოცვა: რეზისა და გახდონის საფლავი გარდაბანში, ოლიასა და ქელეშბის – თეთრიწყაროში, ჯამბულისა და იას – თბილისში, გოგასი-თიანეთში, თქვენ კი – სვანეთშია, შენს მიერ არჩეულ ადგილას. ვაი, რომ, მშობლებო, თქვენს საფლავზე სანთლის დანთების საშუალება არ გვაქვს. დედა სულ იმას ნატრობდა, რომ შენს გვერდით დასაფლავებულიყო, ასეც მოხდა.

1987 წლის უბედურმა სტიქიამ სვანეთის მოსახლეობა საქართველოს სხვადახვა კუთხეში გაფანტა, მათ შორის იყო ჩვენი ოჯახიც. ჩვენი ოჯახი წყალტუბოში დაფუძნდა, რა თქმა უნდა დედასთან ერთად.

1998 წელს, როცა საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, 9 თებერვალს მიიცვალა დედა და გადავწყვიტეთ, თავისი ანდერძის თანახმად, სვანეთში, მამის გვერდით დაგვეკრძალა. ვაი, რომ სამი წლის შემდეგ, ჩვენი სოფლის, ჩუკულის მთა ადგილიდან მოწყდა და მთლიანად დაფარა სოფლები და ის ახალი სასაფლაო, სადაც თქვენი ნეშთი განისვენებდა..

ვწუხვარ იმის გამო,რომ დღემდე ვერაფრით მოხერხდა საფლავების მოძებნა და გასუფთავება.

ჩემო მონატრებულო მამა, შენმა ნაბოლარა შვილმა ამ ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ბევრი ეკლიანი და სევდიანი გზა განვლე: უშენოდ დავამთავრე ასპირანტურა, დავიცავი დისერტაციები, საკანდიდატო, სადოქტორო, გავხდი მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი, პროფესორ-აკადემიკოსი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ახალ-ახალი იდეების განმახორციელებელი, ერთ-ერთი უნივერსიტეტის, სრულიად საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, რექტორიც კი.. მაგრამ, ბოლოს ბედმა მიმუხთლა და 2012 წლის მარტში ჩემი ბედის ბორბალი სულ სხვანაირად დატრიალდა: მძიმე დაავადების გამო ლოგინს მივეჯაჭვე, დავკარგე ჯანმრთელობა, მხოლოდ მეტყველება და აზროვნება შემეძლო. სამი წლის შემდეგ, უფლის ნებითა და წყალობით, აღმკვეცეს მონაზვნად. აღკვეცის შემდეგ აღმიდგა სხეულის მოძრაობა და დღემდე ვცოცხლობ, ვარსებობ უფლის შემწეობით. უფალმა მომცა ძალა და ენერგია უფრო ღრმად ჩავფლულიყავი ღვთიურ, მართმადიდებლურ სარწმუნოებაში. ყოველთვის, ყოველ საათსა და წუთში თან მდევს უფლისა და ის მონაზვნური, ღვთიური მადლი, რაც უფალმა დაუწესა თავის მოყვასს. ერთადერთი ჩემი ოცნება და სურვილია, ვიყო უფლის მადლიერი, მოშიში, შემაძლებინოს შენს საფლავთან ახლოს დედათა მონასტრის დაარსება და ჩვენი მიტოვებული სალოცავების აღორძინება.

ამა წლის 21 იანვარს სრულდება შენი უსაყვარლესი რძლის, ია ქარდავას, გარდაცვალების წლისთავი.

ჩვენო მკურნალო, ულამაზესო, უსაყვარლესო, ერუდირებულო და ინტელექტუალურო, მხევალო, ყველას გვენატრები, ყველას გვახსოვხარ, ყველას გვაკლიხარ, განსაკუთრებით კი, დედას, შვილებსა და შვილიშვილებს, დედმამიშვილებს, ძმიშვილებს, მულიშვილებსა და მაზლიშვილებს. ვიხსენებთ იმ ბედნიერ დროს, როცა ყველანი ერთად ვცხოვრობდით.შენ იყავი ყველას მშობელი და მფარველი. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდი ჩვენს მიმართ. შენ იყავი მოთმინების, სულგრძელობის, სასოების, სტუმართმოყვარეობის ეტალონი.

ჩვენ არასდროს დავივიწყებთ იმ ბედნიერ სტუდენტურ წლებს, რომლებიც შენს გვერდით გავატარეთ.

ვწუხვართ და განვიცდით ,ასე უეცრად რომ გამოგვეცალე ხელიდან.

მართალია, ძალიან დარდობდი, მაგრამ მაინც ნატრობდი საყვარელ მეუღლესთან (ჯამ-ბულისთან) წასვლას. გედარდებოდა შვილები და შვილიშვილები; ანდრია, გიორგი და საბა ჯერ ძალიან პატარები არიან და მეც ასე ნაადრევად რომ წავიდე, ვეღარ მოვესწრები მათ დავაჟ-კაცებას.

ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს შენმა სულმა შენს მეუღლესთან ერთად და იქ განისვენოს, სადაცა მართალნი განისვენებენ.

გვიყვახრარ, გვენატრები, გვაკლიხარ!

განსაკუთრებით სევდიანი, ტკივილიანი და მწარე წეილწადი შეიქნა შენი შვილიშვილის, ფატიმასათვის. მისგან უეცრად წავიდა თავისი ერთადერთი, საამაყო, ულამაზესი, 22 წლის ვაჟ-კაცი, გოგა წიკლაური. ის იყო არა მარტო თიანეთის, არამედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი და სტუდენტი.

ყველასათვის საყვარელი, მისაბაძი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნება.

მეხის გავარდნას ჰგავდა 2019 წლის 19 ნოემბერი, გოგას დაღუპვის ამბავი, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის.

ყველასთვის ტკბილ და, ამავდროულად, მწარე მოგონებად დარჩება გოგას ომახიანი ხმა, სიყვარულით სავსე, მხიარული გამოხედვა, ათლეტური აღნაგობა. ცისფერი თვალებიდან მუდამ სიკეთესა და სითბოს ასხივებდა. მოუშუშებელი ტკივილია გოგას დაკარგვა დედულეთისთვის, თითოეული ახლობელი ადამიანისთვის, ვისაც კი მასთან შეხება ჰქონია,

განსაკუთრებით მძიმე შეიქნა გოგას გარდაცვალება თავისი ჯგუფელის, ახლო ნათესავის-თვის, გიორგი ტვილდიანისთვის, რომელიც სვანეთიდან ყვირილითა და ზარის მოთქმით ჩამოვიდა. იგი მწარედ მოსთქვამდა მის დაკარგვას, იხსენებდა სტუმრობას სვანეთში და ამაყი იყო მისით.

ბედნიერები არიან ოლია და ქელეშბი, რომ შენს იმ ქვეყნად წასვლას, ფატიმას გამწარებას, ვერ მოესწრნენ.

მაგრამ, ჩემო გოგა, მათ ტკბილად ჩაგიხუტეს გულში ცათა-სასუფეველში.

ეს იყო ჩემი სევდიანი მონატრება იმ ადამიანებისა, რომლებიც ასე ძალიან დამაკლდა და ჩემს გვერდით ვეღარ ვხედავ!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თვქენი სულები, სადაცა მართალნი განისვენებენ. მე კი აქედან ვილოცებ თქვენი სულების საოხად!

ნანა მომცელიძე – ფილოლოგი, იურისტი, მწერალი, მხატვარი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი.

პატრიოტიზმი უფლისკენ მიმავალი გზაა

2021 წლის 30 იანვარს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიან საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა არაჩვეულებრივი პოეტის, ჩვენი აკადემიის ღირსეული წევრის, ქალბატონ ეთერ ჭელიძის პოეზიის საღამო.ეს დღე საკმაოდ უჩვეულოდ დაიწყო.აკადემიაში სტუმრებს შეუძღვა მამა გაბრიელის და წმინდა გიორგის ხატები.მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა კი აკადემიას საჩუქრად გადასცა უნიკალურად შესრულებული ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტი.ეს ფაქტი შემთხვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.ეთერ ჭელიძის შემოქმედება ხომ ერთი დიდი პატრიოტული ბირთვია ქართულ პოეზიაში. მის ლექსებს,სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილს,ყოველთვის თან სდევს უფლის მადლი. მისი შემოქმედება ერთი ამოსუნთქვაა ლექსად ნათქვამი. იგი ამთლიანებს და ადუღაბებს საქართველოს მიწა-წყალს და ქართულ ერთობას.აკი ამბობს კიდეც: "ვით ქარის ყანას მიყრილ თავთავებს,ისე ვაგროვებ ქართულ ერთობას."

ქალბატონი ეთერის პოეზია მოწოდებაა, სიმართლეა, დიდი პატრიოტიზმია და მთის მდინარესავით თავისუფალია. გამორიცხულია წაიკითხო მისი ლექსები და არ აენთო, არ შეგაჯანჯღაროს და არ დაგაყენოს სამშობლოს სადარაჯოზე. ყოველი ლექსის წაკითხვისას გრძნობ, რომ იპოვი იმ პატრიოტულ მარცვალს, რაც აგანთებს მამულის სიყვარულში. ხედავ, როგორ ეფერება ყოველ სტრიქონს პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილს:

"სად გადაგმალო მამულო ჩემო
შუშის კედლები მაკრთობს,
ზღვით მოვარდნილი აფრის ხმაურში
ვერავინ ვნახე სანდო...
სად გადაგმალო სიწმინდევ ჩემო
სისხლცრემლ მდინარე ხატო,
ცის არმიაში ჯარისკაცს ვეძებ
ვინც არასოდეს დაგთმობს."

ამ სიტყვების მერე უკვე საუბარი ზედმეტია ეთერ ჭელიძის პატრიოტულ სულზე და მის სიყვარულზე სამშობლოს მიმართ.ამიტომ მე მას ვუწოდებდი ქართულ პოეზიაში პატრიოტული ლირიკის დედას. შემთხვევით კი არაფერი ხდება. მისი შემოქმედების შემფასებელი და დამფასებელი, უფალთან ერთად, მის მეგობრებთან ერთად, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი და მისი თავმჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი გახლდათ, რომელმაც ქალბატონი ეთერი დააჯილდოვა თამარ დედოფლის ენდალმით.

მაყვალა გონაშვილი, ხათუნა ელიაშვილი, ალექსანდრე ციხელაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, „თამარ დედოფლის ენდალმები“ გადაეცათ პოეტ ეთერ ჭელიძეს და პოეტ გულნაზ ხარაიშვილს

ამ დღეს აკადემიაში, როგორც ყოველთვის, საღამოს უძღვებოდა ჩვენი პრეზიდენტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი. მინდა ვთქვა, რომ არა ეს ქალბატონი, ჩვენ ამ მძიმე პანდემიის პირობებში, როგორც მრავალი ორგანიზაცია ფაქტობრივად მკვდარია, ისე მოკვდებოდა ჩვენი აკადემიაც. მაგრამ მისი შემართების შედეგია ის ფაქტი, რომ რეგულარულად იმართება აკადემიაში მცირე საღამოები. არ ჩავარდნილა ანთოლოგიის და ჟურნალ „ათინათის“ არცერთი გამოცემა. ამიტომაც დაფასდა მისი მუხლჩაუხრელი შრომა-მოღვაწეობა და გახდა რჩეული.ამ დღეს ქალბატონი გულნაზი დაჯილდოვდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირიდან თამარ დედოფლის ენდალმით.

ბევრმა ღირსეულმა აკადემიის წევრმა მიიღო ამ დღეს დაუვიწყარი ჯილდო.უნიჭიერესი ქალბატონი, ხათუნა ელიაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ბეჟან ხარაიშვილის პრემიით.ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიენიჭა უდიდეს მხატვარს, ალექსანდრე ციხელაშვილს.

ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა დიდი სიყვარულით გადასცა ჩვენს ემიგრანტ პოეტებს ჯილდოები. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს საბერძნეთში ლია პეტრიაშვილს გადაეცა ბეჟან ხარაიშვილის პრემია. მარიკა ბარათაშვილის პრემიით დაჯილდოვდა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლელა კობერიძე-ჭიაურელი.

პოეზიის საღამოს და დაჯილდოებას ესწრებოდნენ აკადემიის წევრები: ლამზირა შეყილაძე, ლია ოსიაშვილი, ნანა მომცელიძე, ნუგზარ მელაძე, რეჟისორი თათია ახალშენაშვილი და ალექსანდრე ციხელაშვილის ოჯახის წევრები.საღამოს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა დიდი პატრიოტი და არაჩვეულებრივი ადამიანი,ეთერ ჭელიძის ბიძაშვილი,ბატონი ივერი ჭელიძე. ძალიან ბევრი მოსაფერებელი სიტყვა გაჟღერდა საღამოზე.

ქალბატონო გულნაზ, მინდა მოგილოცოთ ეს უდიდესი ჯილდო განსაკუთრებით თქვენ და შემდეგ აკადემიის ყველა წევრს. მინდა ვუსურვო უდიდესი წარმატება ქალბატონ ეთერს და ვუსურვო მუდამ ყოფილიყოს მისი ლექსებით და საქმით სამშობლოს სადარაჯოზე,რადგან პატრიოტიზმი უფლისკენ მიმავალი გზაა.

დაგლოცოთ უფალმა, გფარავდეთ ყველა ხატი და სალოცავი

სიმონ
სიმონიკა სხირტლაძე

წლების წინ, ანუ მაშინ, როცა დღევანდელი ხელისუფალნი დაბადებულნი არ იყვნენ და, შესაბამისად, ამერიკის "სულში ჩაწვდომისკენ" არავინ მოგვიწოდებდა, იაპონელებს ქართველების დღეგრძელობის ფენომენი გამოუკვლევიათ და უთქვამთ, ქართველები ღვინოს ისე არ დალევენ, ღმერთი რომ არ ახსენონ, არ დაილოცნენ და მათი დღეგრძელობის საიდუმლოც სწორედ ამაშიაო.

სიმონ სხირტლაძე სწორედ ამ დალოცვის მეფე ყოფილა. იმ სუფრაზე, სადაც სიმონიკა იყო, ავი სიტყვის თქმას ვერავინ ბედავდაო. "თამადების უსტაბაში" სადღეგრძელოს თქმის უფლებას, თურმე, ყველას აძლევდა. ერთი-ორჯერ ისეც მომხდარა, რომ თანამეინახენი სიმონიკას მჭერმეტყველებაში გასჯიბრებიან, მაგრამ "ბრძოლა" დიდხანს არ "გაგრძელებულა" და მეტოქეებს სიმონიკას ძარღვიან ქართულის უპირატესობა უღიარებიათ...

სიმონ სხირტლაძეს მხოლოდ ლხინის კი არა, ჭირის სუფრის თამადობაც ეხერხებოდა, თურმე. ძველები იხსენებენ, მისი ნათამადევი ჭირის სუფრა მართლაც მიცვალებულის გაპატიოსნება იყოო. "სამოთხემდე ფანარი არ დასჭირდებაო", - ასე სვამდა, თურმე, ხანშიშესული მიცვალების შესანდბარს. ახალგაზრდას კი უკვდავების სირმაყაითანს შეაბამდა (სიმონიკას სიტყვებია) და მის სულს ადგილის დედასა და ოჯახის ანგელოზს აბარებდაო...

სიმონიკა სხირტლაძე სიკვდილს, თურმე, "წუთისოფლის სიმუხთლეს" ეძახდა...

საერთოდ, თამადობა სიმონიკასთვის დიდად საპასუხისმგებლო საქმე ყოფილა. სუფრაზე ერთ გაუბრალოებულ სიტყვას არ იტყოდა, ქეიფს ისე არ დაამთავრებდა, ხარის ქედი, ზედაშე, მშრომელი კაცის მარჯვენა, წინაპართა საფლავების სიწმინდე და მამული რომ არ ედღეგრძელებიანო.

‘‘ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი, ბულბულს დავსვამ ჭიქაზე. ვარდის ტოტზე დაჩვეული, ჩვენთან ჯდომას ინატრებს,” - ასე იწყებდა სიმონიკა თამადობას და მერე, ამატებდა, თურმე - ისე უნდა ვითამადო, რომ “კრიხულა” შევაჩერო, ალიონზე სუფრა შევკრა, ქვაზე ჭიქა ავამღერო. მთელი ღამის დანახარჯი კაპიტონას დავწერო.

ერთ ქორწილში სიმონ სხირტლაძეს ნიკო კეცხოველიც შესწრებია და აღტაცებულს უთქვამს - სად მეცნიერებათა აკადემიაში დისერტაციის დაცვა და სად - სიმონის სუფრაო.

მეოცე საუკუნის 30 წლებში სიმონ სხირტლაძეს ამბროლაურის რაიონის სოფელ ნამანებში პედაგოგად წასულა. იმხანად სოფლის სკოლაში ქართულის მასწავლებელი ვინმე მაკარუკა ყოფილა. მერე, წლები რომ გასულა, ეს მაკარუკა სიმონიკას თვალმოჭუტულს გაუხსენებია: “ი წყეულ მაკარუკას ქართული ნამეტანი დაუცოდვილებია. ჯერ რა პროგრამით ასწავლიდნენ, ილია და აკაკი უკუღმა ჰქონდათ გადმოტრიალებული. ბავშვებმა რუსთაველის არც ერთი აფორიზმი არ იცოდნენ, ვაჟა-ფშაველა მხოლოდ გაეგონათ. ვაი, ჩვენი ბრალი, ქართულის გაკვეთილზე მაკარუკას რა უნდოდა, ლეხერაში ახო უნდა გაეტეხა, ან ხიათაზე ეთიბა...”

ერთი სიტყვით, ამ სოფლის სკოლაში სიმონიკას ისეთი ამბები დაუტრიალებია, რომ გაკვეთილებზე დასწრება ჯერ მშობლებს დაუწყვიათ, მერე - მთელ სოფელს. ვიღაცას ამბროლაურში ამბავი ჩაუტანია, ნამანევში რაღაც საპროტესტო მოიძრაობა დაიწყოო. სიმონიკა განათლების განყოფილებაში დაუბარებიათ, რას შვრები, კაცო, გაკვეთილებს ატარებ თუ მიტინგებს აწყობო.

- პოლიტსემინარზე თქვენს ბუუტურს, ჩემს გაკვეთილებზე დასწრება სჯობს, საბჭოთა ხელისუფლებას ბრიყვები არ სჭირდებაო, - ჩაუცინია სიმონიკას და თვალი მოუჭუტავს...

ერთხელ, ერთ ახლობელს, ელგუჯა ბაკურაძეს სიმონისთვის 100-ლიტრიანი მუხის კასრით “ხვანჭკარა” მიურთმევია. სიმონიკას მადლობა ასე გადაუხდია: “ჩემო ელგუჯა! მოგესალემბი უდიდესი მადლიერების გრძნობით! შენგან გამოგზავნილი ღვინო ქალწულივით ხელუხლებელია. გთხოვ, ძმურად, თბილისში რომ ჩამოხვალ, ჩვენს სასიქადულო მეგობრებთან ერთად შევსვათ თითო ჭიქა ღვინო და ერთხელ კიდევ გავაწნათ სილა ამ წუთისოფელს...’’

ნინო რეხვიაშვილი

ნუკრია
(ჩანახატი)

დეკემბრის ბოლო რიცხვებია. რაჭაში დიდი თოვლი მოვიდა. თუმცა სახელოვანი მონადირისა და გულოვანი ვაჟკაცის გიგა გუტაშვილისათვის, ეს რა თქმა უნდა, წინაღობას არ წარმოადგენდა. იგი საახალწლოდ, სოფელ გლოლაში დედის მოსანახულებლად მიდიოდა, "ნივის" მარკის ავტომობილი თითქოს პატრონის გულის ცემას მიყურადებული, გიგასავით ბობოქარი ძალით მიაკვლევდა სოფლისაკენ მიმავალ გზას. საგლოლოზე, სად იყო და სად არა, პატარა, ახალგაზრდა არჩვი შეამჩნია, რომელსაც ძაღლები მოსდევდნენ, მან კი საშველად პირდაპირ გიგასთან მიაშურა, გიგამ იგი მანქანაში ჩასვა, მოეფერა და სოფელში მიიყვანა. ბუნებაზე უზომოდ შეყვარებული ოჯახისათვის უკეთესი საახალწლო საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო, ზამთრის არდადეგებზე გიგას შვილები გოჩა და გელა იმ დროს გლოლაში იყვნენ. მათ უცხო არსების დანახვამ უსაზღვრო სიხარული მოჰგვარათ. უვლიდნენ, ეფერებოდნენ, ბებოსთან ერთად რძეს საწოვარათი ასმევდნენ, სითბო – სიყვარულით განებივრებული არჩვი ოჯახს შეეჩვია, შეეჩვია ასევე ეზოს ბინადარს, მეძებარ ძაღლს, ცუგრიას. ისინი ისე დამეგობრდნენ, რომ ცუგრია ოჯახის წევრების გარდა არჩვს არავის აკარებდა, იცავდა და მეგობრობას აგრძნობინებდა. ბავშვებმა ნუკრია დაარქვეს. ნუკრია ისე შეეჩვია ოჯახურ გარემოს და ოჯახის წევრებს, რომ მიუხედავად იმისა, ყოველთვის შეეძლო ღობეზე გადამხტარიყო და ტყისთვის შეეფარებინა თავი, ეს არასდროს გაუკეთებია, მისი ჭკვიანი თვალები სულ მადლიერების გრძნობით იყო სავსე. უამრავი მნახველი ჰყავდა, მოგეხსენებათ, ალბათ გლოლა კურორტ შოვთან მიმდებარე სოფელია, რის გამოც ზაფხულში ბევრი დამსვენებელი მოდის, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დამეგობრებულ ძაღლს და არჩვს ხედავდნენ, მათთან სურათებს იღებდნენ და ეფერებოდნენ. ნუკრია, თითქოს ამ რეჟიმს შეეჩვიაო, ფოტოაპარატის წინ პოზირებდა კიდეც, თუმცა, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი წლის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ გაიგო, რომ გუტაშვილების ოჯახში არჩვი ბინადრობდა, ვინაიდან მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად გარეული ცხოველის სახლში ყოფნა აკრძალული იყო, ერთ მშვენიერ დღესაც ორი უცხო პირი მივიდა და აუწყათ, რომ ნუკრია ზოოპარკში უნდა გადაეყვანათ. ეს ოჯახისთვის, ნუკრიასა და ცუგრიასთვის ერთნაირად დიდი ტრაგედია იყო, იგი ოჯახის წევრად ითვლებოდა, "ვბანდით, ვვარცხნიდით, ვეფერებოდით, თვალებით გველაპარაკებოდა, სულ ხალისიანი და ბედნიერი იყო, მასთან გატარებული 1 წელი არასდროს დაგვავიწყდება, ეს სრულიად განსხვავებული პერიოდი იყო ჩვენს ცხოვრებაში" – იხსენებენ გოჩა და გელა. ნუკრია ზოოპარკში წაიყვანეს. გავიდა ექვსი თვე. ანეტა ბებო მონატრების გრძნობამ შეიპყრო და შვილს, გიგას სთხოვა ჩვენი ნუკრია შვილივით მომენატრა, თბილისში წამიყვანე და მანახეო, მართლაც, გიგამ დედას თხოვნა შეუსრულა, ნუკრია მასაც ხომ სიგიჟემდე ენატრებოდა. მივიდნენ ზოოპარკში და არჩვების ადგილსამყოფელს მიაშურეს. რას ხედავენ, ყველა არჩვი ერთნაირია. როგორ გინდა გაარკვიო რომელია შენი ნუკრია. ანეტა ბებო ჩვეული წესით, პურით და მარილით ხელში მოაჯირთან მივიდა და არჩვებს შესძახა, ნუკრია, ნუკრიაო, ცოტა ხანში ხედავენ რომ არჩვებს ერთი მათგანი გამოეყო და გახარებული, აწყლიანებული თვალებით მნახველებისაკენ გადახტა, იგი ისტერიულად ეჯახებოდა მოაჯირს, გარეთ გამოსვლას ლამობდა, გმინავდა, საზარელ ხმას გამოსცემდა და თვალებიდან ცრემლი ღაპა–ღუპით სდიოდა, ასევე ტიროდნენ დედა–შვილიც. ამ სურათის მნახველი ბებია ისე ცუდად გამხდარა, ძლივს მოუბრუნებიათ. გული დაწყდათ, სახლში შვილივით ნაფერები და მოვლილი ნუკრია გაველურებულიყო. ტანზე ალაგ–ალაგ გადატყავებული კანი მოუჩანდა, ჩლიქები დახეთქილი ჰქონდა, გიგა გაბრაზებულა და საყვედურით ზოოპარკის დირექტორისთვის მიუმართავს. სახლში დაბრუნებულ ანეტა ბებოს კიდევ ერთი სასწაული დახვდა, ჭიშკართან ცუგრია ელოდებოდა, ენაგადმოგდებული და მეტყველი თვალებით პატრონს

შეჰყურებდა და ნუკრიას ამბის გაგებას ლამობდა, ბებომ ცუგრია გულზე მიიხუტა და ყელში ცრემლმობჯენილმა უთხრა, ცუგრი, ნუ ნერვიულობ, შენი მეგობარი ნუკრია კარგად არისო. ცუგრია წკმუტუნითა და კუდის ქნევით ეზოს ბოლოსკენ გაიქცა. მიუხედავად ოჯახის დიდი მონატრებისა, ნუკრიას სანახავად აღარავინ წასულა, რადგან ცხოველისთვის ეს დიდ ტრაგედიას ქმნიდა, ოჯახის წევრები მხოლოდ მასთან გადაღებული სურათებით იხსენებდნენ წარსულს, ანეტა ბებოს საფლავის ქვაზე სწორედ ნუკრიასთან გადაღებული სურათია ამოტვიფრული.

იმედი

ივლისის ცხელი დღე გათენდა...

ქალაქს ბუღი ასდის, ცხელი ატმოსფერული ჰავა მიწისძვრისაგან ნაცარტუტად ქცეული შენობების კვამლში გახვეულა და შიშისა და ძრწოლვის მარწუხებში მოექცია მოსახლეობა. განსაკუთრებით გაუჭირდა ბავშვებს, მოხუცებს, ავადმყოფებს... აბობოქრებული ზღვის ტალღასავით მიწიდან ამოხეთქილი ძალა აკვანივით არწევდა შენობა-ნაგებობებს, ზიგზაგისებურად, ზღვის ზედაპირივით ლივლივებდა გავარვარებული ასფალტი. ხალხი ღამეს ავტომანქანებსა და სახელდახელოდ გაშლილ კარვებში ათენებს. - გვიშველეთ! ქალი გაითიშა! გაისმა სასოწარკვეთილი შეძახილები და მშობიარე ღონემიხდილი, დედის მკლავზეა მისვენებული. ვინაიდან გოგონას მეუღლე პრეფექტურაში მუშაობს, მშობიარის ქუთაისში ტრანსპორტირება უფრო სწრაფად მოხერხდა. ქალი ახალგაზრდაა, 20 წლის, ეშინია და უფალს შველას სთხოვს. თუმცა, ცოტა ხანში გონება დაკარგა... გამოკვლევების შემდეგ მთავარმა ექიმმა მშობლები და მეუღლე კაბინეტში შეიყვანა და სიტუაცია აუხსნათ,-- მშობიარე მძიმეა, სამწუხაროდ, არჩევანის წინაშე ვდგავართ, - ქალი ან ბავშვი!.. რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ! თქვა ექიმმა და თავადაც განერვიულებულმა თავი დახარა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, სიმწრის ოფლში გახვეული მშობლები მოწყალების მომლოდინე თვალებით შეჰყურებდნენ სიძეს, რომელმაც უყოყმანოდ, დაუფიქრებლად წარმოსთქვა: - ქალი, ქალი გადამირჩინეთ! შვილი კიდე გვეყოლებაო. და აი, მშობლების მეორედ დაბადებაც, შვებით ამოისუნთქეს და თვალცრემლიანი გადაეხვივნენ სიძეს. დაიწყო ბრძოლა სიცოცხლისათვის, ღმერთის ძალით, გოგონა მკურნალობას დაემორჩილა და ნაადრევი ფიზიოლოგიური მშობიარობის შედეგად ბიჭი გაჩნდა, იმედი დაარქვეს... არა და გადარჩენის იმედი არ იყო... სამშობიაროს კართან ატუზული ოჯახის წევრები ხმას ვერ იღებენ. ბავშვი 8 თვიანია, 1.600 გრ, ქალიც სუსტადაა. იმედი გაჩენისთანავე სასწრაფოდ ინკუბატორში მოათავსეს. ნირწამხდარი მამა პროფესორთან მივიდა, - ექიმო, იქნებ შვილი გადამირჩინოთ! ექიმმა, ისე რომ განერვიულებულ კაცს ზედაც არ შეხედა, მაგიდაზე ქაოტურად დაყრილ ფურცლებში იქექებოდა, ცალყბად უპასუხა, ყველაფერს ვაკეთებთ და მეტი რა ვქნათ, მკვდარი გააჩინეთ და გაცოცხლებას მთხოვთო?.. გამწარებული მამისთვის ამაზე მძიმე მოსასმენი რა უნდა ყოფილიყო, რომ არა თანმხლები პირები, ყელში სწვდებოდა და არავინ იცის რას შეამთხვევდა ეს უხეში, ეგრეთ წოდებული ექიმი. ამ დღიდან მოყოლებული ბიჭუნა ღვთისმშობელმა კალთაზე დაისვა და მთელი ცხოვრება ხელის გულზე ატარა. იგი ისეთი ჯანმრთელი აღმოჩნდა, რომ წონაშიც ყოველდღიურად იმატებდა და საერთო მდგომარეობაც უმჯობესდებოდა. იმედი მისივე მდგომარეობაში მყოფ გოგონასთან ერთად მკურნალობდა. თავფეხშექცევით იწვნენ ვაკუუმში და ერთად სწავლობდნენ ჭამას თუ ტირილს...დედა კი გვერდით განყოფილებაში იწვა, ცოტა რომ მოძლიერდა, მედ პერსონალს სთხოვა შვილი ეჩვენებინათ. ინკუბატორის ოთახში სწორედ იმ დროს შევიდნენ, როდესაც იმედის ზონდის საშუალებით საჭმელს აწვდიდნენ. უყურა გოგონამ უსუსურ მდგომარეობაში შვილს და გულმა ვეღარ გაუძლო, წაიქცა! ასე იყო თუ ისე ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ იმედი ძნელად გასაზრდელი იყო, ღვთისმშობლისკალთა გადაფარებულმა გაჭირვებას თავი დააღწია და დღეს ეს ბიჭუნა მოწიფული ვაჟკაცია, ისეთი, უცხო თვალი რომ შენატრებს, ნეტა შენს დედასაო! ბედნიერია დედა, რომ სიმწრითა და განსაცდელით გაზრდილი შვილი დღეს საუკეთესო და საამაყო ჰყავს.

ჯუმბერ ლეჟავა ლეგენდაა

ჯუმბერ ლეჟავა გულის სიიდან არ ამოიშლება

ეკატერინა ნიჟარაძე-მაჭავარიანი

ეს ამბავი, ზოგს უკვე აღარც ახსოვს და შეიძლება არც გაუგია. არა და რა დაგიმალოთ, მართალია დიდი ხნის წინათ მოხდა, რასაც ეხლა მოგიყვებით, მაგრამ მზარავს, როცა ვიხსენებ. ზღვაზე წასვლა ყველას გვიყვარს, ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ღზვა ამშვენებს ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია, ბევრ ზღვის ნაპირზე, უფრო სწორედ ზღვის ნაპირას წყალში შევსულვარ.

ბედნიერება მქონდა მემოგზაურა წყნარი ოკეანის ზღვებში სამხრეთ ჩინეთის, იაპონიის, ხონგაის ყურეში ატლანტის ოკეანის ზღვებში: ხმელთა შუა ზღვაში, შავი ზღვის, მალტის, აზოვის. მარმარილოს ზღვა, ბოსფორის სრუტე

ინდოეთის ოკეანის ზღვებში: წითელი ზღვა, არაბეთის.

ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ზღვები: ნორვეგიის, გრელანდიის, აღმოსავლეთ ციმბირის.

მოგზაურობა გემით მდ. ვოლგაზე, მდინარე დუნაიზე.

ბაიკალის ტბით, ონეგის, ლადოგის ტბებზე, გუძინის ნაპირზე ნიაგარაზე და ა.შ.

ზღვაზე წასვლა ყველას გვიყვარს. ჩვენს ქვეყანას, ხომ შავი ზღვა ალამაზებს. ზღვის ცისფერ წყალს, რომ ვუყურებდი სულ მიკვირდა, რატომ ჰქვია შავი ზღვა. და აი, ერთ დღესაც ცა გაშავდა წამოვიდა კოკისპირული წვიმა და უცებ ზღვის წყალი გაშავდა. რამდენიმე დღე შავ ზღვას ვუყურებდი და მაშინ მივხვდი ჩვენმა წინაპრებმა, რატომ დაარქვეს ეს სახელი.

პირადად მე ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია და ბევრ ზღვებსა თუ მდინარეებში, უფრო სწორედ ზღვის ნაპირს წყალში შევსულვარ, მაგრამ ამას დიდი ცურვა არ ჰქვია, მარტო ვჭყუმპალაობდი. ესეც იმიტომ, რომ 15 წლის, რომ ვიყავი მთელი ოჯახით ქობულეთში ვისვენებდით: დედა, დიდედაჩემი, ჩემი და დალი და დეიდაშვილი მედიკო. ვცხოვრობდით კარლო კალანდაძის ოჯახში. გვერდით სახლში კი ისვენებდნენ საკონცერტო გასტროლებზე ჩასული: სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი და გურამ საღარაძეები, ემანუელ აფხაიძე, ბიძაჩემი ლევანი, რომელიც მათ კონცერტებს მუსიკალურად აფორმებდა. ერთ დღესაც ნაპირიდან ცოტა ღრმად შევუცურე ზღვაში. მიხაროდა, რომ ასე გავთამამდი, უცებ ვიღაცამ დაიწყო ჩემი წყალში ჩათრევა შეშინებულს არ ვიცოდი რა მომემექმედა. ისე შემეშინდა, რომ გამომიყვანეს ზღვიდან. ბევრი წყალიც მქონდა ნაყლაპი. ძლივს მომასულიერეს არა და თურმე გურამ საღარაძემ „გაგეხუმრეო“. კარგი ხუმრობა კი იყო. დღეს როცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ეს შემთხვევა მე კარგად მახსოვს, იმიტომ, რომ მის მერე ნაპირს ვეღარ ვცილდები აი, გურამს კი აღარც კი ახსოვდა, თუ მისი ხუმრობა „რა ძვირად“ დამიჯდა, ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევით, რომ უვერტიურასავითაა ის. რაც ეხლა უნდა მოგიყვეთ. ვინც კარგად იცოდა ცურვა და წყლისაც არ ეშინოდა ნაპირიდან 50 მეტრზე მეტის გაცურვის უფლება არ ჰქონდა, მას მესაზღვრეები აკონტროლებდნენ.

და აი, 1994 წელს ოქტომბრის თვე იდგა შავი ზღვა თავისი მშვიდი ტალღებით სიამოვნებას გვრიდა დამსვენებლებს. თუმცა დამსვენებლების რაოდენობამ ისე იკლო, რომ ზღვის პირას კანტა-კუნტად დაინახავდით. მათ დღის 1 საათი იქნებოდა სასტუმრო „მედეასთან“ თამრიკომ ჩემი მეგობრის ლალი კობახიძის ქალიშვილმა გადაწყვიტა ზღვაში წყლით გაეგრილებინა მზეზე გარუჯული ტანი, თამრიკოს ცურვით ბევრი იყო გაოცებული, რამდენჯერმე ზღვაში საზამთროც შეუტანია იქ გაუჭრია და ცურვის დროს კარგად მიურთმევია. საოცარია, ზღვა, საზამთრო და ასე ლაღი მოძრაობა წყალზე.

რამდენი საათი შეუძლია ზღვის წყლით სიამოვნება მიეღო. და აი, იმ დღესაც შეცურა ლამაზი ზღვის კოსტუმით. თევზივით მიცურავდა. კარგა მანძილი რომ გაიარა მიიხედ-მოიხედა და ზღვის ნაპირი არსად ჩანდა. არა და ზღვის წყალმა თითქოს შეიტყუა ღრმად იგი და თამრიკო მიხვდა,რომ მხარი ეცვალა. მას შეეძლო ზურგზე დაწოლილს თვაალი მიეხუჭა და ასე სვენებ, სვენებით კარგი მანძილი გაეცურა. ამჯერადაც ასე მოხდა საით გაეცურა აღარ იცოდა. დრო ძალიან სწრაფად გადიოდა, უკვე მოსაღამოვდა. თითქოს მზეს მისდევდა, მაგრამ ისე სწრაფად ჩაესვენა მზე, რომ ამ სიამოვნებით თითქოს თავბრუ დახვეული ჯადოქარივით, რაღაც ძალა არ ეშვებოდა. და თამრიკოც ლაღად სირინოზივით, თავისუფლად მოძრაობდა. წყნარ, მშიდ ძღვის ზედაპირზე. აი, პირველი ვარსკვლავიც გამოჩნდა და ცაზე მკრთალად გამოსახული მთვარე უკვე გაცოცხლდა. ცის თაღი თანდათან ივსებოდა ვარსკვლავებით, თამრიკო მიხვდა, რომ ზღვაზე ასე ლაღად მისი ცურვა შეიძლება რამე ხიფათში ჩააგდოს, არა და პირველ რიგში, რომ ზღვის ნაპირას დარჩენილი მისი მეგობრები შეწუხდებოდნენ მისი დაგვიანებით.. ასე მთელი ღამე წყლის ზედაპირზე მყოფს შეცივდებოდა თუ არა უფრო ღრმად ჩაყვინთავდა წყალში და თითქოს თბებოდა... თამრიკომ ის არ იცოდა რომ წყლის ზედაპირზე დღისით თუ სითბო 30 გრადუსამდე იყო ღამით 11 გრადუსით შემოიფარგლებოდა. ძალას კი მთვარე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს ენერგიას კოსმოსიდან სთავაზობდნენ. თამრიკო ხან წითლდებოდა, ხან თავის საყვარელ ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა. აი, გამოჩნდა უკვე რიჟრაჟზე დიდი იტალიური გემი თამრიკო მიუახლოვდა გემს გემიდან გამობოლვით შავი ფერით შეიმოსა. ეგონა გემი აიყვანდა, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მას არ გქონდა უფლება სასაზღვრო ზოლში გემის შეჩერების. უკვე დილით რიჟრაჟზე პირველი მზის სხივი მას შეესალმა და სიხარულის შეგრძნებით იმედი მიეცა. ამ დროს იქ დაინახა შორიდან ზღვაზე მოძრავი ბარჟა. თამრიკო უკვე თურქეთში იყო ეს ბარჟა სოხუმიდან მიემართებოდა ტრაპიზონში. მისი მგზავრები დილაადრიან კარტოფილის ფრცქვნით იყვნენ დაკავებული. მათ შორიდან დაინახეს, შავი რაღაც ჯადოქარი მასა ატეხეს ყვირილი რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო მათი შთამბეჭდავი ამ მაზუთში ამოსვრილი მაშინ გაიფანტა, როცა ბარჟას მიუახლოვდა. ავიდა ბარჟაზე და ორი კაცი, ერთი ქალი და ბავშვი სიცილით იგუდებოდნენ თუ საიდან გაჩნდა ამ შუა ზღვაში... დიასახლისმა მისცა საპონი და თამრიკო ისევ გადახტა ზღვაში და საპონით სულ ჩამოერეცხა მისი სიშავე. ულამაზეს მართლა ანგელოზს გავდა, დააპურეს ,თავისი ტანსაცმელი შემოაცვეს და სთხოვეს მათთან ერთად ტრაპიზონში გაყოლოდა. ამ დროს მთელი ბათუმისა და თბილისის მთავრობა ათორიაქებული ეძებდნენ თამრიკოს. თბილისიდან არჩილ გოგოლია ვეჩეს საშუალებით დაუკავშირდა ბათუმის მთავრობას.

უკვე მოსაღამოვდა თამრიკომ დაინახა ზღვაზე, კატერები ცაში კი ორი ვერტალიოტი. ბარჟის მეპატრონეებმა თამრიკოს აუკრძალეს რაიმე ზედმეტი მოძრაობა, რომ მაშველებს არ დაენახათ. ერთი კატერი ძალიან ახლოს მიუახლოვდა ბარჟას, მესაზღვრეებმა ჰკითხეს „ხომ არ შეგიმჩნევიათო ახალგაზრდა გოგო და მათ უარზე თამრიკო მიხვდა, რომ ეს ძიება მის გამო იყო უცებ წამოხტა და პირდაპირ ზღვაში აღმოჩნდა მეზღვაურებმა თამრიკო წყლიდან ამოიყვანეს თბილ პლედში გაახვიეს და ასე წამოიყვანეს. ეს ისე სწრაფად მოხდა რომ მადლობის თქმა ვერ მოა-

ხერხა. მთელი გზა კატერებს თან თოლიების დიდი რაზმი მიაცილებდა. თითქოს თამრიკოს პოვნა მათაც გაიგეს...

გათუმში სასაზღვაო სამმართველოს უფროსი, ექიმები, სასწრაფოს მანქანა უამრავი ხალხი შეეგება თამრიკოს. იმ წუთას თბილი ტანსაცმელი ჩააცვეს, ექიმებმა გასინჯეს, ყველა ეფერებოდა თამრიკო ზღვაში გატარებულ ღამეს, სიზმარში მოსვენებას არ აძლევდა.

დღეს უკვე, როცა თამუნა ბებია გახდა თურმე მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი თავისი შვილებისათვის და არც შვილიშვილებისათვის არ მოუყოლია. ფიქრობს რომ ამ ამბავს ზღაპრად, მის ფანტაზიად ჩაუთვლიან.

ეს ნარკვევი კი, როცა მოუყევი ჩვენი ოჯახის უახლოეს პიროვნებას ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, იუნესკოს მსოფლიო დესპანს, მსოფლიო სპორცმენს, გაეროს ბუნების დაცვის ელჩს გინესის მრავალგზის რეკორცმენს, მსოფლიო ველომოგზაურს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენის კავალერის მსოფლიო 2009 წლის ადამიანს, მსოფლიო მრავალი ქალაქის მოაქალაქეს, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელს, 5 აკადემიის აკადემიკოსს ასეთმა პოპულარული პიროვნება ძალიან დაინტერესდა და მთხოვა ის რაცა მოუყევი დამეწერა ნარკვევად და დამებეჭდა ჟურნალ „ათინათში“.

დღეს, როცა აღარ არის ცოცხალი ბატონი ჯუმბერი ვასრულებ მის თხოვნას და ყოველთვის ვფიქრობ ქართველი ქალის ასეთ გმირულ შემართებაზე.

* * *

ნიციდან სწრაფმავალ მატარებლით პარიზისკენ გამოვემგზავრეთ. ერთ-ერთ სადგურზე ერთი ზანგის ქალბატონი ამოვიდა რამდენიმე ხელჩანთით. ჩემი შვილი ერეკლე წამოხტა მიეხმარა, ჩანთები ვაგონის შემოსასვლელში თარიზე დააწყო და ამით მთელი ვაგონის მგზავრების ყურადღება მიიპყრო. ზანგმა ქალბატონმა დიდი მადლობა გადაუხადა, მგზავრობა ძალიან სასიამოვნო იყო. რამდენიმე საათში პარიზში ვიყავით. პარიზს ჩვენ ვამბობთ, ფრანგები კი პაღის უწოდებენ. ჩვენი ბარგი ერეკლემ ურიკაზე დააწყო და ტაქსების გაჩერებასთან შეაჩერა. აღმოჩნდა, რომ ის ჩემოდანი, რომელშიც მისი ტანსაცმელი ეწყო დაიკარგა დაიკარგა ყველასათვის ძალიან საწყენი იყო იმ ჩემოდნის დაკარგვა. ვურჩიე დაბრუნებულიყო და იქნებ ვაგონში მოიძებნებოდა. სულმოუთქმელად გაიქცა ერეკლე. ვაგონი აღარ იდგა, მაგრამ აი, საოცრებავ, ის ზანგის ქალბატონი იდგა თავის ბარგით და ყარაულობდა ერეკლეს ჩემოდანს. „დარწმუნებული ვიყავი, რომ მოძებნებოდითო. ერეკლემ მადლობა გადაუხადა და როცა ჩემოდნით ხელში დავინახეთ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „სიკეთე თავის გზას არ დაკარგავსო“, ასე ამბობენ ხალხში და ამჯერადაც ამ ნათქვამმა გაამართლა.

მარინა ყიფიანი

ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას!

ჯ--ერაც არ მინდა დავიჯერო" მეხის გავარდნა",
უ--ლმობელ სიკვდილს თუ შეეძლო მისი დაჩაგვრა,
მ--რავალი ჯილდო-რეკორდებით უბადლო სპორტსმენს,
ბ--რმა ბედისწერა მუღალატა, როგორ დაჯაბნა.
ე--რის და ქვეყნის სასახელო მამულიშვილო,
რ--აგულმა უნდა აიტანოს შენი დაკარგვა,
ლ--აჟვარდ სივრცეში ზეცას ასწვდა სული ძლიერი,
ე--მახსოვრებიქართველობასდაარდაგკარგავს.
ჟ--ამთაცვლასახელსდანატოვარსვერასდააკლებს,
ა--ხალთაობასგაუნათებსგზასმომავლისას,
ვ--ამაყობ, მეციმსაქართველოსერთიშვილივარ,
ა--სეთვაჟკაცებსრომიგლოვებსჩვენგანწასვლისას.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

თვალთახილვა (აზრები)

ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

* * *

უღირსი სიამაყე სიკვდილის ტოლ-ფასია, ღირსეული კი - უკვდავებისა.

* * *

ადამიანებს უნდა დაუმტკიცო, რომ არსებობ!..

* * *

დგება მომენტი, როცა სიტყვები ძალზე უძლურია. დგება ენით აუწერელი მდგომარეობა... როცა სიტყვა მკვდარზე უფრო მეტად მკვდარია.

* * *

თუ არ იწრთობი, არაფერი გამოვა შენგან.

* * *

მაკვირვებს, რატომ გვიცნობენ სხვები უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს...
საკუთარი სარკე ტყუის?..

* * *

რაგინდ ოცნებებმა გაგიტაცოთ, სჯობს, სიღარიბის და სინამდვილის ირგვლივ იტრიალოთ; მიწის ოხშივარი ცხვირიდან არ მოიშოროთ.

* * *

მწვერვალზე ასვლისას ფრთხილად იყავით... არა იმიტომ, რომ მაღალია ან საშიში, არა, იქ სხვანაირი გამოცდა გელოდებათ...

* * *

ეს - დედამიწაა, ზედმეტ „ტვირთს“ რომ დაატარებს და არა რომელიმე ადამიანი მასზე...

* * *

ადამიანში რეალობა ტალღისებურად, მომენტ-მომენტ გამოსხივდება, ამის შენარჩუნების ძალა კი არ შესწევს...

* * *

ნურასოდეს ეცდები, საკითხი გააშუქო ბოლომდე, სულერთია, ამას მაინც ვერ შეძლებ. სჯობს, დავტოვოთ იდუმალების საბურველში გამოხვეული.

* * *

ზოგჯერ, ყოფიერების ბურუსიდან თავი უნდა ამოყო, მიიხედ- მოიხედო, კიდევ ერთხელ შეაფასო, რათა რეალური ცხოვრება თვალსაწიერიდან სამუდამოდ არ დაკარგო.

* * *

კეთილშობილება წვრილმანებში უნდა ვეძიოთ...

* * *

სიტყვას და გამოხატვას ყოველთვის აქვს აზრი: მე არ ვიტყვი, სხვა იტყვის; სხვა არ იტყვის, კიდევ სხვა - ექო გაიმეორებს და ვინ იცის, იქნებ, კეთილგონიერებას ყურში მისწვდეს...

* * *

სიტყვა ტემბრისა და ინტონაციის განუსაზღვრელ ტონალობას შეიცავს და ინტერპრეტაციების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

* * *

ნიჭიერს ყოველთვის აჯობებს ჭკვიანი... ჭკვიანი ნიჭიერი კი ყოველთვის მოხერხებულად ხმარობს ლაგამს.

* * *

არ უნდა დაგავიწყდეს უფლის გამონაშუქ სულს რომ დაატარებ და არც ის ადამიანური ხორცი რომ გასხია - რომელთაც სათანადო პატივი უნდა მიაგო.

* * *

ყოველივე ზედმეტი უნდა გადააგდო.

* * *

ქმედებას ხომ მოჰყვება უკუქმედება. ბუნების კანონზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს დააკანონებს. რომ მოძალადე დაიღუპება, არავითარი წინასწარმეტყველება არ სჭირდება ამას.

* * *

მორჩილებამ შეიძლება თავ-ბედი გვაწყევლინოს.

* * *

იუმორი და კომედია ფარი და ხერხია ადამიანური ტრაგიზმისაგან თავდასაცავად და მის შესაფუთავად. ხშირად, მოცინარიც და მოტირალიც - ორივე თანაბრად შესაბრალებელია, სწორედ ადამიანური ტრაგიზმიდან გამომდინარე...

* * *

შენში პატარა ბავშვი არასოდეს ჩაკლა - ეს თვითმკვლელობის ტოლფასია.

* * *

არასოდეს იფიქრო, რომ რაიმე აღმოაჩინე და არ გაგიხარდეს!..

* * *

უნდა შეგეძლოს ადამიანების გახარება..

* * *

ქართველები ნიჭიერი ხალხია... დახატეთ, წერეთ ლექსები და პოემები, შექმენით მუსიკა, რაც გნებავთ, ოღონდ! - საკუთარ დედებს ნუ შეაგინებთ!..

* * *

ცნობადი ხის ნაყოფის სწრაფი გასინჯვა კრახით მთავრდება (ნოვალისის მაგალითი).

* * *

სანამ მუშა-ცხენის ტვირთს იტვირთავდეთ, კარგად დაფიქრდით...

* * *

საშოვარზე და მძორზე გამოსული მდედრი და მამრი ცხოველი არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ასევეა ადამიანებშიც (საუბედუროდ)...

* * *

ნუ ვამბობთ, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების უმრავლესობა არის უინტერესო და მითუმეტეს - ბრბო.. გენიოსი შენთვის არის გენიოსი, ბუნებისთვის ყველა ერთნაირად საინტერესოა.

* * *

შენს მოღვაწეობას და ამბიციას ადამიანები არ უნდა გადააყოლო!..

* * *

გაუღიმე ბედისწერას!..

* * *

ძალიან ადვილია „ერთ მხარეზე“ დგომა. ყველა მხარეს დგომა და ყველაფრის გათვალისწინებაა ურთულესი...

* * *

უბრალო ადამიანებთან ფრთხილად, დაკვირვებულად და გააზრებულად ისაუბრეთ... მათ შორის ბევრი გენიოსია!..

* * *

ადამიანები „საშველს“ დაეძებენ, არადა, ბევრჯერ ის ხელში უჭირავთ...

* * *

კაცობა რა გგონია???

- ჭამა, ჩაცმა, დროსტარება თუ ბიოლოგიური ნიშნით კაცობა?..

* * *

წუმპეში უნდა იფართხალო, რეალურობას რომ არ გასცდე...

* * *

შეუძლებელია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, სხვა განზომილებაში არ მოხვდე და იქედან არ შეაფასო აზრი და არსი ყოფიერებისა…

* * *

დაუცველ (დამოკიდებულ) სამყაროში ადამიანთა გარკვეული კატეგორია ფსიქიკური აშლილობის ზღვართან იმყოფება. მართალია, სხვადასხვა ადამიანს ეს ზღვარი სხვადასხვა დონეზე აქვს, თუმცა დამოუკიდებლობის და თავისი ბედისწერის ფლობის შემთხვევაში ეს საზღვარი მაქსიმალურადაა დაშორებული სახიფათო ზონიდან.

* * *

ადამიანის კმაყოფილების სასმისი ზომიერად თუ არ შეივსო, თრობას გამოიწვევს. ზედმეტმა და სწრაფმა შევსებამ დაბნეულობა,არეულობა და გადაგვარებაც შეიძლება გამოიწვიოს.

* * *

ვინმეს რაიმე რომ დაუმტკიცო, ხანდახან, წლებია საჭირო და მოთმინება...

* * *

შენ და დრომ უნდა დაამტკიცოთ, რომ მართალი ხარ...

* * *

მოწიფულობის ასაკში დგება პერიოდი - შეჩერების, ხელის ჩაქნევის , უიმედობის, შიშისა და დეპრესიის. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ იხსნება სუნთქვა, რომელშიც მთელი ცხოვრებაა ჩაბუდებული.
ამ დროს ადამიანი გადის სოციალურ-როლური ან თუ გნებავთ ბედისწერით განსაზღვრული მდგომარეობიდან, წყვეტს მასთან დაკავშირებულ ცრუ თუ ნამდვილ ჯაჭვებს. თავისი მნიშვნელობა და როლი განვლილ ცხოვრებაში უმტკიცებს რწმენას გარდაუვალობისა, მისი მონაწილეობის აუცილებლობისა ზოგადსაკაცობრიო ყოფიერების უწყვეტ ჯაჭვში. თავისუფლად იძლევა განზოგადოებულ, ობიექტურ, სამართლიან შეფასებებს სიცოცხლის არსის, მიზნისა და დანიშნულების შესახებ,- უერთდება რა მარადიულ ღირებულებებს.

* * *

სენსაცია და სანახაობა ადამიანებს იმდენად ხიბლავს, ხანდახან საკვების მაგივრობასაც სწევს...

* * *

სანამ დეფიციტად გადაიქცეოდეს, დროზე აიღე, რასაც გთავაზობენ.

* * *

არ მეგულება ადამიანი, რომელიც მომავალს განჭვრეტს და იტყვის, რა გველოდება ერთი დღის, თუნდაც, ერთი საათის შემდეგ და ამ პირობებში შეიძლება, უდიდეს კანონზომიერებებს დავუპირისპირდეთ?

* * *

დაუოკებელი სწრაფვა ცოდნისადმი მანამ იპყრობს ადამიანს, სანამ ეს ცოდნა თავად არ დაიპყრობს მას...

* * *

ცოტაა ადამიანები, რომლებიც მომხდარ ან მოსალოდნელ ფაქტებს რეალურად განიცდიან და მათ, როგორც გამოცდილებას, ისე აგროვებენ და იყენებენ.

* * *

ზოგიერთი ადამიანი ცოდნით ვერ ძღება...

* * *

არ აღმოჩნდე სულელის მდგომარეობაში, რომელიც ყველას ჭკუას ასწავლის, მათ შორის ბრძენსაც.

* * *

ზედმეტად წარმატებული და ამბიციური ადამიანები უფალსაც არ უყვარს, რამეთუ ხშირად უფლის წინაშეც მედიდურობენ.

* * *

მიაგნო ნორმას - ეს ღვთის წყალობაა.

* * *

მთავარი ის კი არ არის, რას ნახავ, არამედ ის, თუ რას დაინახავ მასში.

* * *

თუ სხვა ადამიანმა უკეთ იცის, შენ რა გინდა და ამის შესახებ გაგაგებინებს, ის მტერია?..

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც იწელებიან იმად, რაც არ არიან. ისინი ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებენ და ჩანან.
არიან დიდი სულიერი სიღრმის ადამიანები, რომლებიც, ბევრჯერ, ისე ამთავრებენ სიცოცხლეს, საზოგადოება მათ ვერ ამჩნევს...

* * *

გონიერება უნებისყოფო ადამიანებს ვერ ეუფლება.

* * *

ის, რაც უნდა დაგვემართოს, ჰაერში რიალებს, ჩვენ კი მისი დანახვა არ გვინდა...

* * *

ყოველი ადამიანი შინაგანი მოძრაობის ფორმით და არეალით უნიკალური და განუმეორებელია.

* * *

როცა დიდება გინდა, დაფიქრდი რად გინდა იგი...

* * *

შენება ყოველთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ის სილამაზესთან, გეგმაზომიერებასთან, მხატვრულ აზროვნებასთან,ხელოვნებასთან ასოცირდება.
ნგრავა კი - ძალადობასთან, უხეშობასთან, განადგურებასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთნი მხოლოდ ამ უკანასკნელით არიან ნიშანდებულნი.

* * *

ადამიანები გაურბიან თავიანთ არსებაში დაბუდებულ მხეცთან პირისპირ შებმას.

* * *

ქებამ არ უნდა გაგაბრუოს, სრულიად პასუხისმგებლობად უნდა მიიღო, - გაამართლო იგი სხვა ადამიანების სასარგებლოდ და შვებათა მოსაგვრელად.

* * *

ყველაზე დიდი მტრები სხვა სარწმუნოებაში და ეროვნებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საკუთარ თავში.

* * *

ძალიან იოლია ცხოვრება, როცა გონებას არ აწვალებ.

* * *

სხვასთან ერთად საქმის წამოწყებისას, იდეალურ ვარიანტად მიმაჩნია, რომ ეს საქმე იყოს პარტნიორთათვის თანაბარმნიშვნელოვანი, ხოლო რისკები საერთო.

* * *

ადამიანები რომ შედგეს, ცხოვრება უნდა შედგეს. ცხოვრება რომ შედგეს ადამიანები უნდა შედგეს.

* * *

ადამიანს თავისუფლების შემზღუდავ ურჩხულად მოეჩვენები და შეიძლება დაუფიქრებლადაც გაგწიროს, თუკი მისი დიდი შეცდომის ან წარუმატებლობის უნებლიე მოწმე ან, თუნდაც, მესაიდუმლე ხართ.

* * *

გახსოვდეს, შენი ტალანტის სულ მცირე გაბრწყინებისასაც კი, დამდგარი მოლოდინები დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს.

* * *

ადამიანი, რომელიც თავისი თავის მნიშვნელობას მხოლოდ ადგილწარმომავლობით საზღვრავს და ცდილობს საზოგადოებაში ამ ადგილის პრესტიჟულობით წარმოჩინდეს, აზროვნებით სიღატაკეს და სულის სიმდაბლეს ამჟღავნებს.

* * *

არშემდგარი ადამიანები არასრულფასოვნების კომპლექსებით მხეცებთან შეჯვარებული მანიაკების ხროვაა.

* * *

ყველაზე საშიში ადამიანები ნიჭიერთა შორის უნდა ვეძებოთ...

* * *

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გაზრდამ, „წარმატებების“ მიღწევის მცდელობებმა შეიძლება კაცობრიობა დაღუპოს. დროა, გონების განვითარების პარალელურად, ვიმსჯელოთ გონების „გონივრულობაზე“.

* * *

ვინც არ ამბობს, ის მეტს ამბობს...

* * *

სჯობს, ერთ ენაზე ისაუბრო და იაზროვნო ღირსეულად!..

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-38-ში

მიზეზი, მიზანი, საშუალება, შედეგი

მიზეზი — გრძნობა; მიზანი — ამბიცია;
საშუალება — გონება; შედეგი — ემოცია.

უფრო დაწვრილებით გავშიფროთ ეს. ვფიქრობ, ეს ღირსი არის ამისა.

♦ **მიზეზი** თავისთავად მოიაზრებს თავის ცნობიერ აღქმაში საწყისობის ჭეშმარიტად დამსახურებულ პრეტენზიას, თავდაპირველობას, ქვაკუთხედს, რომელზედაც ყველაფერი იგება. მისი ჯეროვნად არ შეფასების შემთხვევაში გარდაუვლად მოხდება რეალობიდან, ჭეშმარიტებასთან კონტაქტიდან გადავარდნა არარეალობაში, ილუზიაში, მცდარობასთან კონტაქტში შესვლა. ეს არის ის საფუძველი, საძირკველი, ურომლისოდაც აბსოლუტურად ყველაფერი უინტერესო, უაზრო, უსაშველო და უშედეგო ხდება.

♦ **მიზანი** თავისთავად მოიაზრებს თავის ცნობიერ აღქმაში საჭიროებისკენ, ჭეშმარიტად ღირსეულისკენ და ამ ღირსეულის ღირსებების საკუთარ „მე“-ში შეცნობასა და გამისნაირებას. თავისი ჭეშმარიტი ფუნქციონალური გაგებით მიზანი უკვე ნიშნავს თავდაპირველისკენ, ჭეშმარიტად უპირატესობის მქონისკენ სწრაფვას. არც ისე ძნელი გასაგები და მისახვედრი ხდება, რომ თუკი ამბიცია თავისზე უპირატესსა და პირველად გრძნობას არ დაემორჩილება, საკუთარი შემუშავებული გეგმითა და არადამოკიდებულობრივი სულისკვეთებით, ვერანაირად ვერ მოახერხებს სასურველ რამეს. ეს არის ის მამოძრავებელი, ევოლუციის წინ გამწევი ძალა, ურომლისოდაც აბსოლუტურად ყველაფერი უღიმღამო, უსიცოცხლო, ხელოვნური, დაგეგმილ-გათვლილი, პროვოცირებული და ამბიციური ხდება.

♦ **საშუალება** თავის ცნობიერ აღქმაში მოიაზრებს პროცესის მიმდინარეობის, მოქმედებაში მოყვანის უნარის მქონეობის ცნებას, შესაძლებლობებს. აქაც ფრიად ადვილი მისახვედრი ხდება, რომ თუკი საშუალება მიზანს არ მოემსახურება საკუთარი შესაძლო გამოვლინების პოტენციალით, თვითკმაყოფილებაზე გადართვით, არასასურველის მეტს ვერაფერს იქმს. ეს არის ის პოტენციური ენერგია, რომლის საშუალებად (მიზნის საშუალებად) არ გამოყენების შემთხვევაში აბსოლუტურად ყველაფერი უკონტროლო, პროვოკაციული, ძალმომრეობითი, მავნებლური, არაპროგნოზირებადი და სპონტანური ხდება.

♦ **შედეგი** თავის ცნობიერ აღქმაში მოიაზრებს დასკვნილობას, რაღაცის დასრულებულობას, ჩადენილი ქმედების სიტუაციურად, ხილულად დანახვასა და გაგებას ქმედების შემდგომ მიღებული სტატიკური მდგომარეობისა. აქ კი თვალნათლივ ჩანს, რომ თუკი შედეგი ჩადენილი მოქმედების ანალიზისთვის არ გამოიყენება, საშუალების სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებას, კორექტირებას არ ემსახურება, აბსოლუტურად ყველაფერი უმიზნო, უსამართლო, უიმედო, მტკივნეული, პრობლემატური და მტრული ხდება.

მაშასადამე, მიზეზი გამოდის ერთადერთი ცნება, რომელსაც აქვს უფლებაც და თუ გნებავთ, ვალდებულებაც იმისა, რომ პირველი, წამყვანი იყოს ამ ოთხ ცნებათა შორის. სხვა ნებისმიერი სამი ცნებიდან პირველობისა და წამყვანობის თავის თავზე აღების, უფრო სწორად, დაბრალების შემთხვევაში კარგი ვერაფერი გამოვა.

მიზნის მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს ბრაზი. რამეთუ მიზანს უჩნდება პრეტენზია ერთადერთ სწორ ვარიაციად მონათლოს თავი და უკლებლივ ყველასა და ყველაფერს აი, ეს ვარიაცია მოსთხოვოს. რა თქმა უნდა, ის ამას ვერ ღებულობს და ყველა ალტერნატივაზე უკიდურესი გაღიზიანება და გაბრაზება იპყრობს. **ფაქტიურად, აქ არის განკითხვის მექანიზმის ფესვი**.

საშუალების (შესაძლებლობების) მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს ვნება, რამეთუ საშუალებას უჩნდება პრეტენზია, რაც მოეპრიანება ის აკეთოს და ყველა და ყველაფერი ამის საშუალებად გამოიყენოს. **ფაქტიურად აქ არის სქესობრივი ლტოლვის ფესვი**.

შედეგის მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს შენარჩუნების სურვილი, ანუ სიხარბე. რამეთუ შედეგს უჩნდება პრეტენზია რაღაც მოქმედებათა შედეგად მიღებული სტატიკური მდგომარეობა აღარანაირად აღარ შეაცვლევინოს არავისა და არაფერს. გარდაუვლად საჭირო საარსებო აუცილებლობითა და არაარსებითით საკუთარი სიამოვნების მინიჭების მიღებას კი შედეგი მისაკუთრებით, ძალადობით, ძალმომრეობით ცდილობს. **ფაქტიურად აქ არის კერძო (მატერიალური) საკუთრების და სექსუალური ვნების, როგორც მატერიალურობის გამოვლინებულობისა და ეგოცენტრულობის ფესვები**.

„ბრაზი, ვნება და სიხარბე გვერდიგვერდ იკავებს ადგილს გულში და აფერხებს სულიერების გზაზე წინსვლას“ — ღმერთების უზენაესი პიროვნების, კრშნას რჩევა არჯუნასადმი („ბჰაგავადგიტა“).

მიზეზის მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს ობიექტურობა. რამეთუ მიზეზს უჩნდება პრეტენზია ერთადერთ სწორ მართებულ გზად მიიღოს რეალობა და ყველას და ყველაფერს ამის შესაბამისად მიუდგეს. რა თქმა უნდა, ყოველივეს ობიექტური რეალობა განაგებს და განსაზღვრავს და მიზეზიც უსაზღვროდ გაწონასწორებული და ნათელით ავსებული ავსებს და მოიცავს (მატერიალური ენით რომ ვთქვათ — იპყრობს) ყველას და ყველაფერს. **ფაქტიურად აქ არის განათლების მექანიზმის ფესვი**, რაც თავად ხდება გარანტი ჭეშმარიტი საკეთებლის, ანუ სიკეთის ქმნისა ე. ი. კეთილშობილებისა; ღმერთის ერთგულებისა და სიწმინდის დაცვისა; სულის აღარ გაბინძურებისა და განწმენდა-გასპეტაკებისა. ვფიქრობ, სწორედ ამ ყოველივეს მიღწევა არის ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ნამდვილად ჭეშმარიტად მისაღწევი, მოსაპოვებელი აბსოლუტურად ნებისმიერი და ყველა ცოცხალი არსებისთვის, რომელიც საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას და რეალიზაციას რაიმეში ეძებს.

ჭეშმარიტად სწორ, მართებულ გზაზე დადგომის შემთხვევაში და ამ გზის მიყოლის შემთხვევაშიც კი, ადრე თუ გვიან „მე“-ში დგება ერთგვარი ბალანსის, შიდა ჰარმონიულობის მდგომარეობის მიღწევის პერიოდი. რის შემდეგაც ბალანსირებული სული ისეთი შეგრძნებით იმუხტება თითქოს უმიზნოდ, უსაქმოდ დარჩა. სწორედ აქედან, ჰარმონიულობის მდგომარეობიდან, ხდება ხოლმე სიწმინდის დაცემა, რამეთუ ევოლუცირების მუდმივობის კანონი ძლიერი მამოძრავებელი ძალით აიძულებს სულს რაიმე მოიმოქმედოს, თითქოს სულ ერთია რა. ამ დროს ხდება მიზეზ-შედეგობრივი თანამიმდევრულობის დარღვევა და ეთიკის ნორმების უცერემონიო ღალატი. ამას ადამიანურ ენაზე ცოდვა ეწოდება. საინტერსოა, რა არის ის ფასეულობა, „მე“-ს ის ნაწილი, საიდანაც ეს ცოდვა, ეს დარღვევა იღებს სათავეს? რაღაც დონეს მიღწეულ სულს უჩნდება სურვილი — გადახედოს იმას, რასაც მიაღწია. დიახ, ცოდვა დანახვის სურვილით ხორციელდება და შემდგომ უკვე ხორციელ მატერიალურ სახესაც ღებულობს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ ავხორცობა. რა თქმა უნდა, ყველა ინდივიდს ამ სიტყვის ინდივიდუალური აღქმა ექნება. ამიტომ მოდით, რეალურად განვმარტოთ, რას წარმოადგენს ეს ცნება. ავხორცობა საკუთარ გონებაში წარმოსახული ცნობიერების განხორციელების, მატერიალიზირების სურვილებია, ეს სურვილები კი სულში წარმოქმნილი ემოციებია. საშუალებები, რომლებიც შეიძინა სულმა (შესაძლებლობები), სურს რეალურ პრაქტიკულ დონეზე გამოსცადოს. ავტომატურად, უზენაესი მიზეზი ყოველივესი დავიწყებას ეძლევა და გონებას თვითონ სურს იყოს მიზეზი იმისა, რასაც მოიმოქმედებს. ეს მაინც, შეიძლება ითქვას, სიამოვნების მიღების ვირუსით დაავადების სიმპტომებია და სული საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებით ავადმყოფდება. ამბიცია ამ სურვილის (ემოციათა) აღსრულების სამსახურში დგება და სული საკუთარი სურვილების მონა ხდება. ასე კარგავს ინდივიდუალური სული აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ, ღმერთისკენ მიმავალ გზაზე ორიენტაციას და ჭეშმარიტ გრძნობებთან კონტაქტს. ამასთანავე, ის კარგავს თავის უფლებას საკუთარი ნების რეალიზაციაზე და სულიერი ჭუჭყისგან გასუფთავებისთვის განკუთვნილ გარემოში, სანსარაში ხვდება, სადაც იგი იქამდე იქნება მართული ამ გარემოს მაკონტროლებელთა, ეთიკის არ დარღვევის მეთვალყურეთა მიერ, ვიდრე ამ ჭუჭყის (კარმის) შესაბამის ევოლუცირებას ვერ შეძლებს და არ გასუფთავდება საკუთარ „მე“-ში ჰარმონიულობის მდგომარეობის აღდგენით.

საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებით დაავადებულობის უტყუარი გარეგანი და შინაგანი სიმპტომები შემდეგში მდგომარეობს:

1. ხელოვნური სერიოზულობის ნიღბის ტარება, ხელოვნურობა.
2. სხვათა შეხედულებებზე დამოკიდებულობა. ფარისევლობა.
3. ნეგატიურის დაფიქსირების მცდელობა, ჩასაფრებულობა, რაც საკუთარი უპირატესობის შეგრძნების აწევას თუ არა დაწევას არ გამოიწვევს.
4. შეშინებულობა. შიში სინამდვილის, ნიღბის ქვეშ არსებულის გამოჩინებისა.

სერიოზულობის ნიღაბი რატომ ჩამოიცვა ინდივიდუალურმა სულმა პრინციპში უკვე ითქვა, ისიც მეტნაკლებად ნათქვამია სხვათა შეხედულებებზე დამოკიდებულება რამ გამოიწვია. ვისაც არ აინტერესებს რას ფიქრობს მასზე ის, ვინც უფრო მაღალია ეთიკური და ესთეტიკური ხარისხით, მაშინ მას უნდა აინტერესებდეს რას იფიქრებენ მასზე მის დაბლა მდგომნი ან მისი ტოლნი ეთიკურად, რათა ამან პირველობაში ხელი არ შეუშალოს, ავტორიტეტი არ შეელახოს და საკუთარი სურვილების რეალიზაცია უპრობლემოდ შეძლოს. ვგონებ, ნეგატიურის ძიების მცდელობაც აბსოლუტურად გასაგებია, რამეთუ უკეთესი რომ ეძებოს, საკუთარი „მე“-ს გადახედვა მოუწევს, მას კი ჯერ ამისთვის არ სცალია, რამეთუ ჯერ საკუთარი სურვილები აქვს განსახორციელებელი.

მაშასადამე, რჩება ერთი საკითხი **შიში.**

შიში

შიში როგორც სრულყოფილების არ ქონის ანუ არასრულყოფილების რაოდენობისა და ხარისხის მაჩვენებლობრივი ფასეულობა და მისი ძირითადი ფორმები და გამოვლინებები. შიშის ანატომია და გენიოლოგია.

რატომ არ შეიძლება რომ მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულს მიეცეს საკუთარი სურვილების შესრულების საშუალება სრული 100%-ით?

მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულში (ადამიანში მაგალითად) თვითგადარჩენის ინსტინქტი მეტისმეტად დიდ, გადამწყვეტ როლს თამაშობს. ის, რაც მატერიალური სხეულის არსებობას საფრთხეს უქმნის, მასში პანიკურ შიშს იწვევს. სწორედ ეს შიში აიძულებს მატერიალური სხეულის მქონე ცოცხალ არსებას ისწრაფოს სიტუაციის კონტროლირებისაკენ. ეს კი, ეთიკის დარღვევის პირველი აქსიომატური მიზეზია. სინამდვილეში კი, რეალურად ის გარემოს კი არა, საკუთარი „მე“-ს კონტროლირებას უნდა ცდილობდეს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში. შიშის მოხსნის ორი გზა არსებობს: 1. საკუთარი თავის გარშემო ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც ამ შიშს დაავიწყებინებს და შეამცირებინებს. 2. შემეცნების გზით იმის აღქმა, თუ რა არის მისი შიშის მიზეზი და ახსნა ამისი ღმერთის სამყაროს, ჭეშმარიტების კანონებით, თუ რატომ უნდა ეშინოდეს, რამეთუ ღმერთი (სამება) და სამყარო საკმარისად ზრუნავენ მის უსაფრთხოებაზე და ეს შიში, უბრალოდ, ღმერთისადმი უნდობლობის შედეგია და მეტი არაფერი.

პირველი გზა ალბათ იქითკენ წაგვიყვანს, რომ ინდივიდუალური სული უნდა დაემსგავსოს ისეთს, როგორისაც ეშინია ან უნდა შეიძინოს, ის რისიც ეშინია. ეს დაცვის სისტემა მიიყვანს რაღაც დონის კონტროლირებამდე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ რადგანაც არ იცის რატომ ეშინია, ეს შიში რაღაც დოზით ყოველთვის იარსებებს და თავდაცვის ეს საშუალება ნელ-ნელა თავდასხმის სურვილში გადავა. ამოქმედდება ფორმულა: „ყველაზე კარგი თავდაცვა არის თავდასხმა“. რამდენადაც შეძლებს იმით შეაშინოს სხვები, რისიც ეშინია, მით მეტი იქნება თვითდაჯერებულობა. ესე იგი გამოდის, რომ ყველანაირი ძალადობის სათავე უბრალოდ შიშია და მეტი არაფერი. ერთი ფრაზა მუდმივად თან მდევდა და, ვგონებ, თეორემის დონეზეც მტკიცდება. იგი შემდეგში მდგომარეობს: „რისიც გეშინია, სწორედ ის დაგემართება და არ აგცდება“. ვგონებ, უდავოა ის, რომ ადამიანის არსებობის ფუნქცია შემეცნება, სამყაროს აღქმა, საკუთარი არასრულყოფილების აღქმა უნდა იყოს და თუ შიში ამ არასრულყოფილების შედეგია, მაშინ ადვილად აიხსნება ის, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ის, რისიც ეშინია ინდივიდუალურ სულს. ეს ბარიერის გადალახვასავით არის და თან ეს აბსოლუტურად ზუსტი დოზით ეძლევა ადამიანს. არავის ეძლევა ისეთი წინააღმდეგობა, რისი დაძლევის უნარიც არ გააჩნია. ძალიან მომწონს სერგეი ნიკოლოზის ძე ლაზარევის გამოთქმა ამასთან დაკავშირებით: „Бог не по силам препятствия не дает“.

ე. ი. რაც უფრო მეტი და დიდი სურვილების ახდენა მომინდება, მით მეტად იქნება ჩემზე გამოყოფილი წინააღმდეგობები, ასე ვთქვათ, ბედისწერის მიერ. თუ მინდა მივიღო ის, რაც მინდა და მსურს (ე. ი ჯერ კიდევ არა მაქვს), უნდა დავძლიო ის წინააღმდეგობები, რაც ამ სურვილებს შეესაბამება, გავიარო ის, რაც არ მინდა (ის რისიც მეშინია), ხოლო სურვილები, რომლებიც ამიხდა, რაც გამაჩნია და მომეცა, იმის ტოლფასი წინააღმდეგობები ანუ შიშები, გამოდის, უკვე დაძლეული მაქვს.

<u>სურვილს რაც შეეხება: სურვილით კი მინდება ის ვაკეთო სხვებთან მიმართებაში, რაც არ მინდა გააკეთონ სხვებმა ჩემთან მიმართებაში.</u>

მეორე გზა უფრო სერიოზულია, თემატურია, მაგრამ ძნელია და მაღალშედეგობრივი. პირველი გზაც აკეთებს ამას, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ხანი სჭირდება და აღქმის სიღრმისეული ხარისხი, შეგნების დონე ძალიან განსხვავებულია. არადა, საბოლოო ჯამში, მაინც უნდა მივიდეს ადამიანი იქამდე, თუ რისი ეშინია შეგნებული ცოდნის აღქმის დონეზე (კონკრეტული სიტუაციებიდან ძირეულ ფასეულობებამდე). ერთი თუ ტეხილებით სიარულს ჰგავს, მეორე ვექტორული პირდაპირი სვლის ანალოგიურია. უფრო გასაგებად რომ ვთქვა — მეშინია რაღაცის ამ რაღაცის შესაბამის ფასეულობის არასწორად შეფასებულობის გამო და უნდა შევისწავლო ეს ფასეულობა, ჩემი შეხედულება ამ ფასეულობის გარშემო და შეხედულებათა ცდომილება უნდა შევასწორო. შიში თუ ჰარმონიასთან ვერშერწყმის, ჰარმონიის დარღვევის შედეგია, მაშინ ალბათ დამეთანხმება ყველა, რომ ინდივიდუალურ მატერიალიზირებულ სულთა სურვილებიც ვერ იქნება ჰარმონიისთვის, სამყაროსთვის, ღმერთისთვის მისაღები. მათი მიმართულების შეცვლის ერთადერთი საშუალება ისევ და ისევ იმის მიცემაა ინდივიდუალურ სულთათვის, რაც მათ სწორ ორიენტაციას ხელს უშლის, რათა აქამდე ცნობიერებაში უპრაქტიკოდ თუ ვერ აღიქვა, ახლა, პრაქტიკულად მათთან შეხვედრის შემდეგ, მაინც იძულებული გახდეს და გადახედოს.

გამოდის, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ცხოვრება გვასწავლიან იმას, რაც ჩვენ ამ შიშისგან გაგვათავისუფლებს და ამ შიშებს ჭეშმარიტ სიყვარულად გადაგვიქცევს. თუ ამის შინაგანად ჭკუისმიერ დონეზე გააზრება მოხდება, ინდივიდუალური სული შემეცნების გზას დაადგება, მაგრამ... აქაც არის მაგრამ. თუ შემეცნება თვითმიზანში (შემეცნებულობით ტრაბახში და მისით ამპარტავნებაში და პატივმოყვარეობაში გადავა) რეალური შემეცნების, საკუთარი „მე"-ს შეცნობის უნარი შესუსტება, შეფერხდება, შემდეგ გაჩერდება და ბოლოს შეწყდება და ისევ პირველ გზაში, სიტუაციების შესაბამისად შიშებთან ბრძოლაში გადავარდნა მოხდება და თუ აქაც იგივე ამპარტავნებაში და პატივმოყვარეობაში გადავა, აქაც ამუშავდება ზემოთ აღწერილი პრინციპი, ინდივიდუალური სული გადავარდება გაბოროტებულ სისასტიკეში. ავტომატურად გაიზრდება შიშიც. რაც მეტია ინდივიდუალური სულის მიერ გამოვლენილი ძალადობა, მით მეტია შიში. სადაც არაა ძალადობა, იქ შიშიც ვერ იარსებებს.

მაშასადამე, აბსოლუტური ჰარმონია, ეს არის აბსოლუტური სიყვარული და თუ ჰარმონიამდე შიში და მისით გამოწვეული ძალადობა უშლის მისვლას, სიყვარულის საპირისპირო ცნება შიში და ძალადობა ყოფილა და არა სიძულვილი. სიძულვილი ხომ მხოლოდ შედეგია შიშისა და ძალადობისა.

<u>მაშასადამე, მეორე გზის თანახმად, ჯერ უნდა ვიპოვოთ რისი მეშინია და შემდეგ გავასწორო ჩემი შეხედულებები იმ ფასეულობის შესახებ, რომელიც მოიცავს იმ რაღაცას, რისიც მეშინია</u>.

თუ სქემატურად მოკლედ ჩამოვაყალიბებთ შიშების რაობას, შემდეგი სახის განშტოებებს მივიღებთ:

ა) შიში მატერიალური ნაწილის დაზიანებისა და დაკარგვისა; შიში მატერიალური სხეულისა და მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვისა, გარდაცვალებისა, რომელიც სიკვდილად, დასასრულად აღიქმება; ავადმყოფობებისა; მატერიალური გაჭირვებებისა და ა. შ. და ა. შ.

ბ) შიში სულიერი ნაწილის დაზიანებისა და დაკარგვისა, ე. ი. შიში სულიერი სხეულის და სულიერი კეთილდღეობის დაკარგვისა, სულიერების გაჭუჭყიანებისა, კარმული ჭუჭყის გაზრდისა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №10 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-ში

ბრალის ანალიზი

ა) ბრალის ზოგადი ანალიზი

საინტერესოა, ადამიანს რატომ არ სურს ბრალის გაანალიზება, მით უფრო, დაუპირისპირდეს ბრალის ვნებას. ჩვენს საზოგადოებას არ ეტყობა, რომ მას ეს სურს... პირიქით, თითქოს მას აწყობს ეს ვნებიანობა. თითქოს ბრალი შეიცავს მამოძრავებელ იმპულსს, რომელიც მას აძლევს ენერგიას, რათა მობილიზებული იყოს შემხვედრ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში ან ურთიერთობებში, რომლებიც ყოველთვის შეიცავენ საფრთხეს...

ადამიანს ქვეგანწყობაში აქვს ტენდენცია, მოძებნოს მიზეზი და ყოველგვარი წარუმატებლობა გადააბრალოს სხვას. არის თუ არა ეს განტვირთვა ან პიროვნული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მცდელობა, თუ უფრო სხვა რამ? – ზოგადად, ცხოვრებაში ნეგატიური ენერგიების ზემოქმედებისაგან სასიამოვნო, თუნდაც ღვარძლიანი, ნიშნისმოგებითი გათავისუფლება, რომლისგანაც ადამიანი შვებას გრძნობს? სავარაუდოა, ეს განტვირთვები – ნეგატივის გატანა-გადატანა, ზედმეტი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, ფილოგენეზურად, ფსიქიკის დაცვის საპასუხოდ აღმოცენდა... ზოგჯერ, ეს გადაბრალება აბსურდამდეც კი მიდის, მაგრამ ადამიანს „რაღაცნაირად“ ეს აწყობს, – სიამოვნებს, კომფორტშია ამით. არის თვითბრალის ფორმები, განსაკუთრებით მორალურ საზოგადოებებში, რელიგიაში, თუმცა, ბრალის ზედმეტად მიმართვა საკუთარი პერსონისადმი – პიროვნული ბირთვის დარღვევაა და ნორმად არ ჩაითვლება. ზედმეტი თვითბრალი პიროვნების არასრულფასოვნების მაჩვენებელია და ფსიქიკური დარღვევის ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ.

საუბედუროდ, ბურუსში გახვეული ადამიანი ბრალს დებს ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ტრიალებს, და ასე, ბრალით შეიარაღებული გამოდის სოციუმის წინაშე; ასეთ შემთხვევაში, ადამიანებთან კავშირ-ურთიერთობის ნიუანსებშიც კი, ბრალი ღვივის და სჭვივის, ხოლო, როდესაც ადამიანი ჩახვდება თავის ბრალს, იწყებს გაანალიზება-გააზრებას და განიცდის მას, იწყებს დაცემული მდგომარეობიდან ღვთაებრივ განზომილებაში გადასვლას, რაც შეუძლებელია ბრალის შესაბამისი გაცნობიერების გარეშე. უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ისტორია ბრალის წარმოების ისტორიაა. ბრალი ვნებათაგანია, რომელიც სათანადო გაუანალიზებლობის შემთხვევაში ცოდვებს წარმოშობს. თავად აგრესიული განწყობილებიდან ფორმირებული ბრალი, უნდა განვიხილოთ, როგორც აგრესიის წამახალისებელი. ისტორიული ყოფის ადრეულ ეტაპზე ადამიანი რეალიზებული იყო დესტრუქციულ, დეჰუმანიზებულ გამოვლინებებში. წინა პლანზე გამოდიოდა ბრძოლის, თავდაცვისა და თვითგადარჩენის ინსტინქტები. ახერხებს თუ არა ადამიანი, კრიტიკულ სიტუაციებში შეინარჩუნოს ჰუმანურობა? აღწერილია შემთხვევები, როცა გა-

მოუვალ მდგომარეობაში ადამიანი ეგუება თავისი სიცოცხლის განადგურებას, მაგრამ! შენარჩუნებული აქვს ჰუმანურობა – ადამიანური სახე-მორალი, რაც უფრო იშვიათია. სხვა შემთხვევაში სასიცოცხლო (გადარჩენის) ტენდენცია ფარავს ყოველგვარ იდეალს და ჰუმანურობას – ადამიანი იღებს ცხოველის „ფორმას“, განიცდის რეგრესიას – იშლება ფსიქიკა, მეხსიერება, შთამომავლობის შენარჩუნების ინსტინქტი, შთაგონებადობა და ა.შ.

ბრალით – გადაბრალებით ადამიანს გააქვს უარყოფითი ენერგია თავის გარეთ და გარკვეულწილად, თავისუფლდება მისგან; ამით იქმნის კომფორტს, განიცდის შვებას, ერთგვარ სიამოვნებას. ბრალის გატანა-გადატანა მას ფილოგენეზურად გამოუმუშავდა. ბრალისა და დადანაშაულების მდგომარეობაში თავის ჩაყენება ადამიანს უქმნის უდიდეს დისკომფორტს, უსიამოვნებას, თრგუნავს, უზღუდავს თავისუფლებას, ხდის ფსიქოპათიებისადმი მიდრეკილს. ბრალის გატანა უნდა ჩავთავალოთ, როგორც ადამიანის მცდელობა უარყოფითი ენერგიებისაგან თავის გათავისუფლებისა – დაცლისა, რომელიც დამამძიმებლად მოქმედებს მასზე. სინამდვილეში, ადამიანი არის „დაურეგულირებელი“ ენერგიების მსხვერპლი. ღვთაებრივი ბუნების შეძენის შემდეგ იგი იძენს საკუთარი ბრალის გაანალიზებისა და ენერგიების დარეგულირების უნარს – უნარს ბრალის ენერგიები ჩაანაცვლოს ღვთაებრივი ენერგიებით. იცავს რა, სამართლიანობის პრინციპებს, ხვდება კიდევაც „ჭეშმარიტი კომფორტის“ – ღვთაებრივი ენერგიების ზონაში. ადამიანის თავდაცვითი განწყობილება, მზადმყოფი აგრესია და ბრალი, მის მიმართ დაშვებული შესაძლო აგრესიისა და ბრალის შემთხვევაში, ჩადებულია ინსტინქტებში. როცა ადამიანი სიზმარში ნახულობს მის მიმართ განხორციელებულ აგრესიას, უვითარდება შესაბამისი რეაქცია – ანადგურებს მოწინააღმდეგეებს. თუმცა, სიზმრიდან გამოსვლის შემდეგ მორწმუნე ადამიანი ნანობს ჩადენილ სისასტიკეს. აქ არაფერი გასაკვირი არ არის. აგრესია ადამიანის სახეობის შემანარჩუნებელი ინსტინქტია. ადამიანს აგრესია და ბრალი აიძულებს, იმოქმედოს მიზანშეწონილად და მიზანმიმართულად სტრესული და საფრთხის შემცველი სიტუაციების დროს. თავდაცვითი – ბრძოლის ჟინით და წყურვილით გაჟღენთილი აგრესიები და ბრალი, რომლებიც შედარებით მშვიდობიანობის დროს არ ჩანს, ნუ ვიტყვით, რომ გამქრალია; იგი ბობოქრობს ადამიანში, გამოსჭვივის ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებში – ოჯახში, ქუჩაში, სხვადასხვა საზოგადოებებში, პოლიტიკაში და ა. შ. ღმერთმა არ ქნას!.. თორემ ვულკანივით ამოხეთქავს საბედისწერო სიტუაციებში, – დაუჯერებელ, აღვირახსნილ, შემაძრწუნებელ, გაუგონარ სისასტიკედ მოევლინება, არა მარტო მოწინააღმდეგეს, საკუთარი საზოგადოების წევრებსაც. ამის კარგი მაგალითია 90-იან წლებში „მხედრიონის“ და მისი მსგავსი დაჯგუფებების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი მოქმედებები და აგრესიები საკუთარი მოსახლეობის მიმართ; ასევე, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამოვლენილი, ბევრ შემთხვევაში, ყოვლად უსაფუძვლო აგრესია და ბრალი, რომელმაც შეავსო სამარცხვინო ისტორია ქართველი ხალხის ცხოვრებაში და შეიძლება განვიხილოთ უზნეო ხელისუფალთა ტიპიურ აგრესიად და ბრალად...

ბ) ბრალის ანალიზი კონსტრუქციულ და დესტრუქციულ ძალთა ჭრილში

ჭეშმარიტების მძებნელ ადამიანს თავისი დროის წესწყობილებაში ძნელად შეიძლებოდა, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი განხორციელებისათვის, მისთვის დამაკმაყოფილებელი რამ ეპოვნა. მოთხოვნილებითი დაუკმაყოფილებლობის და წინააღმდეგობის გამო, მოაზროვნე ადამიანები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას; თავიანთ აზროვნებით ფორმებში აფიქსირებდნენ შეურიგებლობას და აყალიბებდნენ ბრალს მიუღებელი სინამდვილის მიმართ. იყვნენ რა, უდიდეს ადამიანურ ღირებულებათა მატარებლები, ამ წინააღმდეგობას და გადაკეთების სურვილს

უკეთესი მერმისისათვის, აქცევდნენ გამოხატვის ადამიანურ ფორმებსა და ჩარჩოებში; წინააღმდეგი იყვნენ ადამიანის ჩაგვრის, შეურაცხყოფის, ყოველგვარი შევიწროების, უფლებების დარღვევის. შორს იყვნენ ნგრევისა და განადგურების შემცველი იდეებისა და აზროვნებისაგან. მათი ბრალის ფორმები აზროვნების განვითარების, მომწიფების, უკეთესისკენ – სრულყოფისკენ სწრაფვის იდეებით იყო გაჟღენთილი. სრულიად საპირისპიროდ მოქმედებდნენ ნგრევისა და განადგურების, კაცთმოძულეობის ჟინით და იდეებით შეპყრობილნი. დაშლის, დანაწევრების, განადგურების ბრალი მიმართული იყო მხოლოდდამხოლოდ დესტრუქციული ქმედებებისაკენ. ისინი არ ინდობდნენ სხვათა და არც საკუთარ კულტურას; მათ შეეძლოთ ერთი ხელის მოსმით გაეცამტვერებინათ აღმშენებლობითი რუდუნებით შექმნილი კულტურა და შედევრები; გაენადგურებინათ მილიონთა მასები და ამით დამტკბარიყვნენ. ამ ძალის წარმომადგენელთა მსახვრალი ხელი მრავლად ატყვია კაცობრიობის წარსულს.

დღევანდელ წეს-წყობილებაში არაფერი შეცვლილა; საზოგადოებრივი სექტორის ეს ორი წარმომადგენელი – გონება-მოაზროვნეები და დესტრუქციული ბრალის წარმომადგენლები ერთმანეთის პარარელურად აგრძელებენ მოღვაწეობას. ამ ჭრილში ისახება დღევანდელი მსოფლიოს აზროვნებითი ქსოვილის ფაქტურა და არავინ იცის, ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი და მაპირობებელი აზროვნებითი მოდულები წარიმართება თუ არა დამანგრეველ-გამანადგურებელ ძალთა მაინდუცირებელი მიმართულების საწინააღმდეგოდ...

გ) ფსიქიკური ბირთვის დეფორმაციებით გამოწვეული ბრალის ანალიზი

ფსიქიკურ დეფორმაციებში იგულისხმება გენეტიკურად ჯანსაღი ფსიქიკის შელახვა სოციო-გენეზური ფაქტორებით, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქიკური ტრამვები, მძიმე დაავადებებით გამოწვეული ნერვული აშლილობები, ბუნებრივი და ხელოვნური კატაკლიზმებით გამოწვეული სტრესი, ოჯახური ტრაგედიები, თავისუფლების შეზღუდვა-დაკარგვა, ძირითადი სასიცოცხლო პირობების დარღვევა, ხანგრძლივი შიმშილი, გარემოს ძლიერი დაბინძურება, აღზრდის დეფექტები და სხვა.

ორგანიზმის თვისებაა, აისახოს სიცოცხლის ოპტიმალურ ზღვარში – იგი მოძრაობს, ნორმალურად ვითარდება და ფუნქციონირებს შესაძლო კომფორტის ზონაში და გაურბის უსიამოვნებას. ადამიანის ფსიქიკაში, გარემოსთან ურთიერთობის შედეგად, დაგროვილია უარყოფითი და დადებითი გამოცდილება, რაც აისახება ფსიქიკის შესაბამის ინსტანციებში და საჭიროების დროს თავ-თავის ადგილზე მუშაობს. დადებითი გამოცდილება განვითარების სტიმულია, უარყოფითი გამოცდილება განვითარების შეფერხების – დესტრუქციის შემცველია. ფსიქიკაზე განსაკუთრებული ზეწოლის შემთხვევაში ამუშავებას იწყებს მასში შემონახული დესტრუქციული ინსტინქტები. სხვადასხვა ფაქტორებით გამოწვეულმა ფსიქიურმა დეფორმაციებმა თავისი არასრულფასოვნებით და, ზოგადად, ავთვისებიან განწყობილებათა გამო, შესაძლოა ძალადობრივ, ტერორისტულ, ტირანიულ და რევანშისტულ ბრალში იჩინოს თავი. არ არის გამორიცხული, ფსიქიკური ბირთვის დაზიანებამ ადამიანი თვითმკვლელობისადმი მიდრეკილ ფსიქოპათად – მაზოხისტად ან შიზოიდად აქციოს. საინტერესოა, რომ თვითგანადგურების დესტრუქციული ინსტინქტი ადამიანში შემონახულია და ამუშავებას იწყებს, სწორედ, არასათანადო – კრიზისული, სიცოცხლისათვის შეუფერებელი პირობების დადგომისას. პიროვნებას ამ დროს ნეგატიური ენერგიები საკუთარ არსებაში შეაქვს და კუმულირებას ახდენს. თვითბრალი, თვითდადანაშაულება, თვითგანადგურება – დესტრუქციული ინსტინქტების დამსახურებაა. (ამ წიგნის მიზანს არ შეადგენს ფსიქიკურ დარღვევათა და დაავადებების აღწერა. ამ საკითხს აუცილებლად უნდა შევხებოდით იმდენად, რამდენადაც ბრალწარმოებას აძლიერებს ფსიქიკური დეფორმაციები).

დ) სხვათა და თვითგანადგურების დესტრუქციული ინსტინქტებით გამოწვეული ბრალი და მათი ანალიზი ზოგადკანონზომიერების ჭრილში

კამიკაძეთა, ტერორისტების და სხვათა – განადგურებისა და თვითგანადგურების ჟინით შეპყრობილთა ბრალი, მხოლოდ თვითგანადგურების დესტრუქციული ინსტინქტების ამუშავებას არ მიეწერება. მასში რაღაც ზოგადკანონზომიერებითი, თუნდაც, აპოკალიპსური ელემენტების არსებობაც უნდა იგულისხმებოდეს... თუ გლობალურად შევხედავთ მოვლენებს – როგორც ფენომენებს, ისინი რაღაც განზოგადებულ, ფართომასშტაბიან შეხედულებებთან მიგვიყვანს, რომელიც დედამიწაზე მომხდარ კატაკლიზმებს, ომებს, ტრაგედიებს, თუნდაც ერთეულ შემთხვევებს და მათ შორის ტერორისტულ აქტებს, მხოლოდ სხვათა და თვითგანადგურების დესტრუქციული ინსტინქტების არსებობით ვერ აგვახსნევინებს... ამას დღევანდელი „მსოფლიო ადამიანი“ ინტუიციით ხვდება, თუმცა როგორც ხდება ხოლმე (შესაძლოა, სწორედ, ზოგადი კანონზომიერებით), – თავის შთაბეჭდილებას ახშობს, თითქოს მიზანშეწონილი არ არის, ეს წარმოდგენები გამოამზეურეს.... ამის გამო, მოვლენების სწორი სახელდება-შეფასება არ ხდება და ასე გაგრძელდება დიდხანს. ეს „თვალდახუჭულობაც“ ალბათ ჩადებულია ინსტინქტებში ხანგრძლივი დროით სატარებლად. პროცესებს თანამედროვე მსოფლიოში „მარტივი მომხმარებლობა“ მართავს. ყოველგვარი აზრი და შეხედულება ფაბრიკაციაა, უფრო მსხვილ და ძლიერ საწარმოში დამზადებული და მასებზე თავს მოხვეული... სავსებით დასაშვებია, რაღაც სხვა მოვლენის საპასუხოდ, კამიკაძეთა და ტერორისტების „მონაცემები“, ასევე, მათ მიერ გამოწვეული შედეგები ინტეგრირდება და დიფერენცირდება ზოგადკანონზომიერების ჩარჩოებში და ეს ქმნის მსოფლიო მოვლენების სურათს. შეიძლება დღევანდელობისათვის ეს მსჯელობა გამოუსადეგარია, თუმცა პატარა, ნიუანსური წარმოდგენაც კი აზროვნებაში (თავისი რაციონალურობით) უმიზეზოდ არ ჩნდება და ის თავის დროზე აუცილებლად გაცხადდება და მნიშვნელობას მიიღებს...

ე) პათოლოგიური ბრალის ანალიზი

ამ წიგნში აღწერილი ბრალის ზოგიერთი ფორმა შეიძლება მივაწეროთ ფსიქოპათიით გამოწვეულ ბრალს. აქვე, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცივილიზაციას და მის მართლმსაჯულებას აქვს დიდი დილემა, – მიაკუთვნოს ფსიქოპათიის ზოგიერთი ფორმა ფსიქიურ დაავადებათა ჯგუფს და დატოვოს სხვადასხვა დანაშაულებებისადმი მიდრეკილი ფსიქოპათების საკმაოდ დიდი მასა მართლმსაჯულების გარეშე, თუ გაასამართლოს და დასაჯოს ისინი სხვადასხვა დანაშაულებების ჩადენისას.

პათოლოგიური ბრალი გამუდმებულად ეძებს გამოსასვლელს – რეალიზაციის გზებსა და საშუალებებს. ადამიანში მოცირკულირე, დაუკმაყოფილებელი, ხშირად შეჯვარებული (ჰიბრიდული) ენერგიები იმყოფება საზოგადოებრივი კანონების, მენტალობისა და მორალური ზემოქმედების პრესის ქვეშ. გარკვეულ დრომდე, ეს ენერგიები პიროვნებისაგან გაუცნობიერებლად კუმულირდება, აღწევს მაქსიმალურ სიძლიერეს და ამის შემდეგ ამოტივტივდება (ამოცურდება) ცნობიერებაში და გაცხადებულ სახეს იღებს – გაცხადებულ მოთხოვნად ფიქსირდება. არ ვიცით, შინაგანი ბრძოლით და წინააღმდეგობით, თუ წინააღმდეგობის გარეშე, პიროვნება მისი „მონა“ ხდება. სრულიად თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ამ შემთხვევაში, პიროვნების განწყობა თანხვედრაშია მასთან, რაც ორგანიზმს აწყობს... პათოლოგიურ ბრალს აქვს თავისი ორგანული მიზეზი, რაც შესაბამის ფიზიოლოგიურ ძვრებში გამოვლინდება. სავარაუდოდ, უკვე შეჯვარებულმა ჰიბრიდულ ენერგიათა იმპულსმა (ძირითადად, სექსუალურმა და კვებითმა), ზედდებული ენერგიით ააგზნო შესაბამისი უბნები თავის ტვინში

და იქცა „აკვიატებად“. როდესაც ეს აკვიატება (აქ მოქმედებს „შემავალი“ და „გამომავალი“ ენერგიები ერთდროულად და ქმნიან ძლიერ დაძაბულ ველს, რომლის განტვირთვასაც ორგანიზმი დაუოკებლად ითხოვს) ოდესმე რაღაცნაირად „რეალიზდება“, – აკვიატებული მოთხოვნა წარმატებით სრულდება, ის თავის ტვინში ფიქსირდება როგორც „წარმატებულად განხორციელებული გამოცდილება“ – თანმხლები სიამოვნების განცდებით. ამის შემდეგ ამ ენერგიების შეკავება შეუძლებელი ხდება... „დაკმაყოფილების“ ეს ენერგიები ნებელობით სფეროს გადაჯეგავენ, გადაქელავენ და ძირითად „სასიცოცხლო“ ენერგიად – იმპულსად გვევლინება ასეთ ფსიქოპათიურ პიროვნებებში, რომლის წინაშე ყოველგვარი კანონი, აკრძალვა, მორალი და ზნეობა უძლურია... ამ პათოლოგიურმა ბრალმა, ამ ბოლო დროს, საქართველოში, საუბედუროდ, ამერიკელი სმიტების ოჯახი, მცირეწლოვანი ბავშვები, და სხვები იმსხვერპლა... ეს ფაქტები ამ საჭირბოროტო საკითხის ზედმიწევნით შესწავლას და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. საჭიროა, ფართო მსჯელობა გაიმართოს სპეციალისტთა მონაწილეობით, რათა მოხდეს ღრმა ანალიზი და განზოგადება. არაპროფესიონალური, ზედაპირული, უსულგულო დამოკიდებულება ამ საკითხებში საზოგადოებას, სამწუხაროდ, არ წაადგა...

ვ) პათოლოგიური თვითბრალის ანალიზი

სრულიად სხვა სახის ენერგიებთან და მათი მოძრაობის სულ სხვა ფორმასთან გვაქვს საქმე პათოლოგიური თვითბრალის შემთხვევაში. აქ შეიძლება ვისაუბროთ, გენეტიკური განწყობილებებიდან გამომდინარე, სასიცოცხლო იმპულსების დაბალ ენერგეტიკულ დონეებზე, ძირითადი სასიცოცხლო იმპულსების შეზღუდულობაზე; შესაბამისად, ბრალის გატანა-გადატანის და გამოთავისუფლების დაბალ დონესა და უუნარობაზე. ეს, დაბალ ენერგეტიკულ რეგისტრში მყოფი ენერგიები ცირკულირებენ ორგანიზმის შიგნით. ორგანიზმს ძალა არ ყოფნის ნეგატიური მუხტებიდან გათავისუფლდეს, რაც სავარაუდოდ დეპრესიას, აპათიას, შიზოიდურ მდგომარეობასა და ჩახვეულობას განაპირობებს. არის შემთხვევები, ნეგატიური ენერგიები შესაბამის გარემოსა და სტრესულ სიტუაციებში (რაც შეიძლება ჯანმრთელ ოგანიზმშიც აღიძრას – გააჩნია სტრესს და ფსიქიკურ ზეწოლას) აღძრავენ თვითგანადგურების ინსტინქტს, რაც მაზოხიზმსა და სუიციდურ განწყობილებებში გამოვლინდება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წერილები

ლუარა სორდია

და საქართველო მაინც მეძახის
„ნიკო სამადაშვილის პოეზია“

ნიკო სამადაშვილმა ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის პროვინციადქცეულ საქართველოში იცხოვრა. სისხლით, ტირანიით, ახალი კერპების შექმნით, ყალბი ორიენტირებით ცნობილი ეპოქა არა პრინციპულ, ობიექტურ, სიმართლის მსახურ შემოქმედთ, არამედ მედროვეთ, უნიჭოთ, ხელისუფლების მეხოტბე – მეტაშეთ სწყალობდა. იდეევნებოდა მართალი სიტყვა, დროის უკუღმართობა – უკეთურობათა მამხილებელთა თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა.

ნიკო სამადაშვილი იყო ამა ქვეყნის თავადთა უკომპრომისო ოპოზიცია: „ის არ ცეკვავდა ფეხის ცერებზე, არც ყურს უგდებდა ეპოქის ჭიდილს“ (ღვინის სარდაფში) (1,56).

თავის გამორჩეულობას პოეტი თვითონვე, უსვამდა ხაზს: „გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს და ყოველ დილით სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან? ან სინათლეში მოიწყინოს, მერე გათავდეს. ასეთი ყოფა ცხენზედ შემჯდარ ეშმაკს დაღლიდა“ (გათხრები) (1,66).

ნიკო სამადაშვილი ეზიარა არა წუთისოფლის წარმავალ, ეშმაკეულ სიბრძნეს, არამედ საღვთო, მარადიულ ჭეშმარიტებებს.

გენიის მომმადლებელი, ნიჭის მზრდელი უზენაესია–დიდი ნუგეში და ნათელი, ქაოსებში მოარული სულის შუქი და სასოება, წმინდა სულებისთვის ხელის შემშველებელი: „შენ ელვარებდი ნაღვერდალივით, შუქს სცემდი ღამეს და სასოებას, რამდენი შვება მოჰქონდათ, ღმერთო, შენს გულს, შენს ფიქრებს, შენს მყუდროებას... ო, რა ნუგეშით შემოვცქეროდით ქაოსის იქით გაშვერილ ხელებს. ტყის ყვავილების სუნთქვით დაგვზარდე, თან დედასავით გვაყრიდი ნათელს, ისეთი გზნებით რეკდი დიდ ზარებს, როგორც ხატისგან შეშლილი მნათე“.

პოეტის რწმენით, თვით სამარის ლოდიც ვერ დაფარავს სულის სამრეკლოს და ახალ სიტყვებში განსხეულებულ ქვეყნიერებას: „დავიხოცებით, დაგვსუნთქავს ლოდი, გარემო ყვითლად დაიფერება, შორს გამოჩნდება ჭროღა სამრეკლო და შენი ჩუმი ქვეყნიერება“ (გენია და სამრეკლო) (1,67-68).

მორწმუნეობა, მაცხოვრის მორალის გათავისება, ეროვნული იდეალები როდი იყო მთავარი ათეიზმის ბაცილებით დასნებოვნებული, სისხლით მოსული ტირანებისთვის: „გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლით ლოცვებით მთვრალი, ყრმა მაცხოვარის ნაფეხურებს რომ გაჰყოლოდა. შორს იღრუბლება. ანთებული ლოცვები დამაქვს, ვით ნაწვიმარი მთების ზვავი, გულის ნაქარი. ზედმეტსახელად პოეზიის გერი დამარქვეს. თითქოს ჩემს მრწამსში არ ღვიოდა გუდამაყარი... ქართულ აგურის იატაკზე დამხობილ პოეტს ორტოტა ცეცხლი მეკიდება, ვატყობ, ვრინდდები“ (ისევ ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (1, 110).

პოეტის უმთავრესი ესთეტიკური პრინციპების გამჟღავნებაა, შემდეგი სტრიქონები: „...სიზმრების ნიშზე ანთებული მგზავრის ფარანი. განცდების ზვარი ლაჟვარდების უსურვაზებში მივარდნილი ქვეყნიერება, ულეველ გზებზე ატეხილი მშვენიერება“ (სტრიქონების ქარაფი, ციალა თოფურიძეს) (2, 69-70).

სიზმარს, გამონაგონს დიდი ხელოვნების ერთ–ერთ უმთავრეს ინგრედიენტად მიიჩნევდნენ. სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი.

პოეტი მოგზაურია მიწაზე, ზეცაში, ცათა ცაში, ქვესკნელში, უდაბნოში, მიღმურში, სულის ლაბირინთებში, ის არის უდაბნოს „ბედუინი“, როგორც გალაკტიონი.

დიდი შემოქმედი, კლასიკური მწერლობის მიხედვით, ხალხის მოძღვარია, მართალი გზების მაჩვენებელი, ზნეობრივი მასწავლებელი.

ნიკო სამადაშვილისთვის პოეტი მარადისობის გზებზე მოარული, მთელი კაცობრიობის სიბრძნის მომხელთებელი „მოგვია“, „ასურეთელი მოგვის დარი ფარეში ... გულთამხილავი“ (სახლი ნარიყალაზე) (1, 244).

მისი „ლექსის ფარანი“ ხილვაა, ზმანება.

პოეტი ხედავდა სხვათაგან უხილავს: „...ბინდების გაღმა წყალივით ჩანდა მარადისობის ჩუმი უდაბნო“ (ფილტვების სიყვითლე) (1,51).

დიდი პოეტები ხომ საღვთო სიბრძნის ადეპტები, „ფიქრგანდობილები“ (გალაკტიონი) არიან, რომლებმაც მსოფლიოს უნდა ამცნონ ბედის საზღვრის, ხილული სამყაროს მიღმა მოხელთებული ჭეშმარიტებები, კოსმიურის, დაუსაბამოს, პლანეტებს იქით დაფარული საიდუმლოებები და „უხილავი“ შთააგონებდა თითქოს: „...უნდა მსოფლიოს კიდევ, გაენდო (დაუსაბამობის ხილვა) (1,43).

ნიკო სამადაშვილი ერთდროულად იყო მომადლებული ჭვრეტის, სმენის განსაკუთრებული უნარით: „...აქ არის ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“, ამბობს ერთგან (1,231).

პოეტს ესმოდა ათასწლეულების ხმები, აწამებდა აეთისტური ეპოქის ტრაგედიები: „...ისმის ზუზუნი ათასი წლების. მას უწოდებდნენ ფიქრების ფარეშს და ჩაძმარებულს ბინდების ნარზედ. ის ჰგავდა ღმერთის გლავის აფიშას, გაკრულს ამ ტიალ დედამიწაზე“ (საით, ვინ იცის) (1, 217, 218).

„წუთისოფლის გაღმა“ დარეკილი ზარებით, ხილვების სამყაროში დავანებული ლანდებით, სიზმრებით ივსებოდა ყოველი ღამე: „ყოველ ღამე სიზმრებში ვარ, გულს ლოცვებით ვატიალებ. საყდარი სჩანს, ზარებია და მეც ლანდებს დავტრიალებ. სადღაც მნათე ზეცის თაღს რეკს, წუთისოფლის კარგა გაღმით... ქაოსები გზებს კენკავენ, ასე ხდება ყოველ ღამით“ (მილულვა) (1, 91).

ნიკო სამადაშვილის „შთაგონების აგარაკში“ ისმის „ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი, ელდაშეწზნულ ყვავილთა მწუხრი... პანაშვიდებთან ქარის ბალადა“, იხილვება „გუბე– გუბე განგების ჩრდილი. მონასტრის ეზო“ (თამარის მღვიმე) (1,68).

პოეტს ესმოდა „უსასრულობის ქარბუქების ღმუილი“ (დაგასაფლავეს დიდ მუნათით და მიგატოვეს) (1,156), ცისარტყელების ცეკვა (ფილტვების სიყვითლე) (2,133).

ნიკო სამადაშვილის ლექსებში შეიგრძნობა „დაკარგული, ღიმშეშლილი და გადარეული გრძნობა“ (ნიკო იაშვილს) (1,210).

„უსაზღვრების დაბლობებს შუა ჩანდა ბინდების გრძელი ორღობე“, წერდა ლექსში იცოდე“ (1, 142).

ნიკო სამადაშვილისთვის პოეზია იყო ბედისწერაზე გამარჯვების გზა: „მძიმე სახადის დარად მღრღნიდა ეს პოეზია, თითქოს რაღაცას მოველოდი, ბედის დამთრგუნველს“ (მუხლდაქანცული მივყვებოდი ყაყანა ქარებს) (1,128).

შემოქმედის ურთულეს გზებზე მიანიშნებს ბინდები, ნამქერი: „სადღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი, ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა“ (არავის ერჩის) (1,195).

პოეტის შუბლის ფიცარზე მთელი სამყაროს ტრაგედიები ირეკლებოდა და დედამიწიზე ადამიანის მოვლინების აზრს ეძებდა: „...საკინძგახსნილმა შუბლის ფიცარზე ვის არ უყურე, ვის არ ეხვეწე, ბოლოს კი დარდი: დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემოვეხეტე?“ (წაშლილი კვალი) (2,141).

ნიკო სამადაშვილს ეიმედებროდა მომავლის მართალი მსჯავრი, რომ საუკუნეები მიაშუქებდნენ მის ნაღვაწს „სანთლებს, ჩირაღდნებს“: „ჩემს სიმღერებში შეანთებენ საუკუნენი სანთლებს, ჩირაღდნებს, ფეხაკრეფით, ჩუმის ზმანებით“ (დაჯდება მარტო) (1, 215).

ის იყო „ლაჟვარდების სხვენის“, ქვესკნელის, კოსმიურის ჭვრეტის უნარით მომადლებული, ლიცვით, მარტვილობით გაბრძნობილი: „შენ კი მწირივით მიილტვოდი მღვიმეებისკენ, მისტერიები დაგყვებოდნენ ამორძალებად, თვალი მეჭირა ქარებშეშლილ ღამეებისკენ და მათხოვრობდი ეზო–ეზო მარადისობას“ (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა) (1,269).

„გულის გეჯიდან“ ნახადი სტრიქონებიდან მოდიოდა „წმინდა და საკვირველი სერენადები“: „რა კარგი იყო, რა კეთილი ფიქრების შარა“ (პოეტესა) (1,170), ამბობს პოეტი.

თითქოს საკუთარი პოეტური პორტრეტი შექმნა ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ შემდეგ ტაეპში: „ის კამკამებდა, ვით ქრისტეს ლოცვა, ბნელ გრიგალების კოშკების იქით, ტანზე კვირაძლის სიმღერა ეცვა, თან შრიალებდა, რგორც ტირიფი“ (ერეკლე ტატიშვილს) (1,126).

პოეტს გამუდმებით უბერავდა „ზენა ქარი“, ანუ შთაგონება (წარსულის კვალი) (1, 79).

წმინდა წერილის მიხედვით, ნიჭი სამების მესამე წევრის – სულიწმინდის მადლია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 1,10) (3,374).

შთაგონების მოვლინება შუა საუკუნეების ესთეტიკაში ქარის დაბერვის, საღვთონიავის, სიოს მოვლინების სახით გამოიხატებოდა.

შთაგონებაზე მიგვანიშნებს ვაჟა–ფშაველას „ციური ნიავი“, აკაკი წერეთლის „მახარობელი

ნიავი“, „სულიკოში“, გალაკტიონის „მზერადიადი სიონი“, „ლურჯა“ ცხენების“ ეფემერული და ფერადი ქარები“, ქარის დაბერვა და ოცნების აჩანჩქარება“, ტერენტი გრანელის „იდუმალი ქარი“.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში გამუდმებით უბერავს „ზენა ქარი“ ანუ ევლინება შთაგონება (წარსულის კვალი) (1,79).

„ზენაქარის აურაცხელი სიმღერებია“ ლექსში „ჩემი თბილისი“ (1,92-93).

„შერყეულივით მიმაქვს ქონება. მიყურებს ქარი. ჩიფჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაპარს“, წერს ლექსში „მოვკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს“ (1, 183).

„როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები, შენს სამყაროსთან რომ მოვიდე, განა ღირსი ვარ“, ნათქვამია ლექსში „მე ვიცი“ (1, 231).

„ის ყურს უგდებდა ქარის სიმღერას. მისი სხეული სათნე იყო და ძველებზე ჩუმად ისხდნენ ლექსები. ღვთისმშობელს ქრისტე კვლავ უჩურჩულებს, ცოდოა, ცოდო, არ გაიმეტო (ჭანდრებთან) (1, 131), ასე უკავშირდება ერთმანეთს უფალი და მის მიერ მოვლენილი შთაგონება, როგორც წყალობა.

ლექსში „წაშლილი კვალი“ ერთდროულად ფიგურირებს შთაგონების ზენა ქარი და საწუთროს მნგრეველი ქარი: „შენ ზენა ქარი სახლშიც გიბერავს, ხშირად გაღვიძებს გულის ტირილი. გახსოვს საწუთროს ქარმა რომ უცბად განათებული ცა გადაგლიჯა“ (წაშლილი კვალი) (2, 141).

სულ შორს და წინ ისტრაფოდა ფართო თვალსაწიერის პოეტი: „შენ შორს მიდიხარ და ერიდები გზის ნაპირებთან ხრამსა და ფლატეს, ნუ მეშინიან, წინ გასწი მარდად, განთიადებმა თუ გიღალატეს“ (შენ შორს მიდიხარ) (1,236).

ერთი მხრივ ებრძოდა ცოდვების ზღვას, ამასთან, უყვარდა „სიზმრის ჩვენება“, პოეზია და „ოკეანეს სიმფონია“ (ნაწყვეტები სინანულიდან) (1, 191).

პოეტი აცხადებდა: „პოეზია გულამოსკვნილი სიმღერა არის, ის ხელოვნების ცისკრის ციმციმზე და მარადისობის ატეხილ ზარების ჰანგებზე როკავს. პოეტი ქარივით ამოვარდება, რომ სამყაროს ნისლმოდებული კალთები შეაშრიალოს“ (ქარაგმა) (2, 73).

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში უმთავრესია მარადიული პრობლემების დასმა და მათზე დამაჯერებელი პასუხების ძიება: „მარადისობა დიდხანს მეფობდა. პოეზია მარადისობამ დაასნეულა“ (მთვლემარე ცისკარი) (4,27).

ძალზე ხშირად იხსენება ქართველი პოეტის შემოქმედებაში პაგანინი, ბეთხოვენი, ბახი, არც „ზღვის სიმფონიის“, „ზამთრის სიმფონიის“ ხსენებაა შემთხვევითი“.

„ამბობენი: მუსიკამ შობა ქვეყნიერება! ვინ იცის?... როცა სამყაროს აშენებდნენ, ხუროთმოძღვრები თურმე დაიქანცნენ. ხელები დაუდუნდათ. ამ დროს ცის ოთხივ კუთხით მუსიკის ჩანჩქერები აგუგუნდნენ, ყველას ძალღონე გაუასკეცდა, საწუთროს მოჩუქურთმება დაამთავრეს და ჭერი ჰანგების დუღაბით გადახურეს. იმასაც დასძენენ, რომ ვარსკვლავები მოქანდაკეთა ცრემლებიაო.

„მუსიკამ შეიტყუა ადამიანი დედამიწაზე. მუსიკას შესწევს უნარი ადამიანის დამყაყებული სულიდან გამოხადოს სიხარულის უშრეტი სურნელება.

„...ჩვენი დედამიწა... რა კარგი საკონცერტო ადგილია, მაგრამ... რამდენმა მოდგმამ ისე უფერულად ჩაიარა, ისე უშენოდ იტორღიალა, რომ ერთი სალამურიც არ დაუკრავს, ერთი სტვირიც არ ჩაუბერია,„ წერს პოეტი (შადრევანთან) (4, 58).

„...ხანდახან სივრცეების გასწვრივ ჩამორეკილ ზარის ნიაღვრებს მერცხალივით უნდა ჩაუქროლო“, ამბობდა „ფერისცვალების“ ავტორი და „საღამო ხანი ზარებს რეკავდა, ჟრუანტელს გვრიდა ცის ხმის სიამე!“...

ნიკო სამადაშვილის ერთ–ერთი კუმირი ფრიდრიცხ ნიცშე „ყველა ნაწერებიდან“ „სისხლით დაწერილს“ გამოარჩევდა.

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად“ (დიდოსტატის მარჯვენა), აცხადებდა კონსტანტინე გამსახურდია. „ვწერდი სისხლით“, ნათქვამია გალაკტიონის „ხელოვნებაში“, „ცრევლი და სისხლი“ იღვრება ტერენტი გრანელის პოეზიიდან.

ნიკო სამადაშვილის ლექსები „ამოვლებულია სისხლის ენდროში“ (შენი სურათი) (1,171). „სისხლების თქეშია მისი ლექსების ბილიკებზე“ (ხვალ) (1,160). „და მაჯაჯია სისხლის პერანგი“, აღმოხდება „ბედგაძარცულ პოეტს“ (გადამეყვლიფა გული დარდებით) (1,157).

„ყოველი ლექსი გულის კურთხეულ სისხლში უნდა იყოს ამოვლებული ...ქაღალდზე დაცემული დიდი შემოქმედების სისხლის წვეთი გერჩივნოს უნიჭო ადამიანების აჭრელებულ თაბახებს“,

ხაზგასმით ამბობს პოეტი (1,61).

გულის სისხლთან ერთად, ძვლიდან გამოთლილი სალამურია ნიკო სამადაშვილის პოეზიის მეტაფორული მახასიათებელი: „ათასი წლების ნახირი წავა, ძოვით შუქს გაღმა, სივრცეებს იქით, მაგრამ, ვერავინ ვერ დარწმუნდება, ძვლიდან სალამურს როგორა ვთლიდით“ (გრძნობა) (1, 234).

თითქოს შუქია პოეტის მიერ დათხეული სისხლის საფასური: „შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს, თითქოს მე ვიყო გამოქვაბული და ჩემს ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს“ (ჩემი პორტრეტი) (1, 223).

პოეტს სჯეროდა მხატვრული სიტყვის ყოვლისშემძლეობა, ესმოდა მარადისობის ზარები, ხედავდა ცის გახსნას, ხვდებოდა მზეს, ლაჟვარდებში ნავარდობდა: „ცა გაიხსენება და უცბად, მძლავრად აგრიალდება მარადისოდის ბოხი ზარები... მე შემიძლიან ზეცა დავქორო მარადისობის ზარების ტაშით. მე შემიძლიან, რომ ცას დავეყრდნო და მზეს შევხედე. რომ ცის ლაჟვარდებს გავუხვიო ჩემით იმედით და ლაჟვარდები დაგიგო ქვეშ და დაგიფინო, როგორც მწუხრი“ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (1, 237- 238).

ბედის ღრუბლის გაფანტვის მაცნე იყო პოეტის სამრეკლოდან მომავალი ზარის ხმა: „ბედის ღრუბელი ბინდის იქით ყრუთ იფლობოდა, გაოგნებული სამრეკლო კი რეკდა და რეკდა“ (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს“ (1,261).

ნიკო სამადაშვილის ლექსებში გამუდმებით ირეკება მრავლისმთქმელი ზარი: „ისეთი გზნებით რეკდი დიდ ზარებს, როგორც ხატისგან შეშლილი მნათე“ (გენია და სამრეკლო) (1,52).

მართლაც, მისი შემოქმედებიდან ირეკება მწუხარების, დარდის, სიხარულის, გაფრთხილებით ზარებ.

ლექსში „სიმართლე“ (1,170). პოეტის უმთავრეს დანიშნულებად მიჩნეულია არა მიუღებელი ცხოვრებისათვის ზურგის შექცევა, არამედ რიჟრაჟების ხილვა, სიმართლის მსახურება: „ვინ მისცა პოეტს ან უფლება, ან სამართალი, რომ დაემდუროს ამ თვალუწვდენ კაცობრიობას. ან გაებუტოს ბნელ ფიქრებით შემოკვართული, ან დაემსგავსოს ძველი ბოსლის ხნიერ ობობას. თავში ქვა იცეს, როგორც უნდა წარმართოს ბედი, თუ რიჟრაჟებსაც ზურგს შეაქცევს, მოიღრუბლება, ასეთი კაცი იყურყუტებს ხრიოკ ქედივით, როგორც ცრემლებით მოქსოვილი ქარის თქმულება“.

გალაკტიონმა პოეტს „გრიგალი–შერყევა“ უწოდა (კოსმიური ორკესტრი), ნიკო სამადაშვილი ამბობს: „პოეტი ქარივით ამოვარდება, რომ სამყაროს ნისლმოდებული კალთები შეაშრიალოს“ (ქარაგმა) (4, 73).

„ფერისცვალების“ შემქმნელი ლოცულობდა ლიტერატურაზე, ამასთან, დანტესის სახით. შეაჩვენებდა ყველა უკეთურს, სიტყვის ოსტატთან დაპირიპირებულ ჯალათს: „ლოცულობს კაცი და ავედრებს დაღუპულ ლექსებს, დიახ, ოდესღაც ისიც ენთო სინათლის დარად, ის დაღმუოდა მტკვრის ნაპირზე ვერაგ დანტესებს“ (პოეტის ლოცვა) (1, 185).

ცხოვრებისა და პოეზიის, ამაღლებული იდეალებისა და პრაგმატიზმის დაპირისპირება მრავალგზის იჩენს თავს ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში: „...ახლა დავდივარ ბედგაძარღული... ჩემი ლექსები ხეზე შეფრინდნენ, მათი ჟივილი სადღა არ ყრია, მთელი მსოფლიო მართლაც ბინდდება, ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ“ (გადამეყვლიფვა გული დარდებით) (1, 155).

„ბრმა წმინდანების“ გაგების იმედი არ ჰქონდა, სანთელივით მანათობელი სიტყვების, გუდამაყარით მაღალი მრწამსის პატრონს. „...ვლოცულობ ჩემთვის და ანთებული სანთლები მომაქვს ბრმა წმინდანებთან, როგორც ჩემი გულის ნაქარი, ზედმეტსახელად პოეზიის გერი დამარქვეს, თითქოს ჩემს მრწამსში არ ღვიოდა გუდამაყარი“ (ისევ ვლოცულობ) (ჟ1, 110-111).

„ლექსის ფარაონს“ ეშინოდა, რომ „ჯიბგირობას“ დააბრალებდნენ (ლეოს წერილი) (1, 96).

„მარადისობის მღვიმეების ბინადარს“ ბრბო ამაოდ ურჩევდა: „კმარა, შესდექი, მოეშვი წერას... ხმაც შეიცვალე, სახის იერიც“ (უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ) (1,31).

ჯვარცმულ პოეტს ქვებზეც გამანადგურებელი წარწერა ელანდებოდა: „რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას... დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა“ (ჩემი დღე) (1,18-19).

„მარადისობის კოშკების“ პატრონი, „ჰანგებით მდიდარი“, პოეზიისთვის სისხლდათხეული პოეტი „სახრეგადაწნული“ იყო, „ტყის ქარიშხლების“ სამიზნედ ქცეული, სამშობლო არ ცნობდა, პირიქით, ემტერებოდა (თელა და ჩიტი) (1,20-21).

კატორღად ქცეოდა მამული, შებორკილი და ჩაწიხლული იყო უკეთურთაგან (რევიზიის დროს) (1,41).

„გულქვა მსოფლიო“ აიძულებდა „უბე ლექსები, „ზამბახთა ჩრდილი“ გადაეყარა, მაგრამ მომავლის უტყუარი მსჯავრი ანუგეშებდა: „ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები

მოჰქონდათ ქარეგს“ (მარადისობის უარყოფა) (1,254).

ნიკო სამადაშვილი ამხელდა განდიდების მანიით შეპყრობილთა „დაფხრეწილ ფიქრებს“, „სიყმაწვილეს, ქცეულს ფუტუროდ“ (მოგონება და სინანული) (1,239)., თვითონ კი „მარადისობის ზარებს“ რეკავდა, „გამოქვაბულში“ ზარებს აგუგუნებდა.

„მღვიმეში“ დაოსებულიყო შემოქმედებით და იქაც მთვარე უნათებდა (თვალს არ აშორებდა) (1,253).

მისი სულის შუქი არა ვიწრო, ლოკალურ არეალს, არამედ მარადისობას ანათებდა: „...მე ვანათებდი ჭრელ თვალების მეტეორივით, მარადისობის ხშირ მარგილებთან) (მარგილები) (1,260).

ყოფითობაში „მოკლული ქედანივით“ უიღბლოს, ბახტრიონის სიმაღლე–სიდიადის პოეზია ადიადებდა: „მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცბად ჩემი ოცნება, ვით ბახტრიონი“ (გაყრა) (1,21).

შეუცნობლობა – დაუნახაობით გაწამებულს, პოეზიის გერად მიჩნეულს, სჯეროდა, რომ თავის კვალს დატოვებდა მისი „ფიქრების წარღვნა“ და მომავალი კუთვნილ ადგილს მიუჩენდა: „პოეზიის გერი დამარქვეს... გადაყრილ ნიჩბებს ატივტივებს ბედი ვერაგი. თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფირექმის წარღვნა და ტალღებიდან ჰქოჩრილი ქარის პერანგი ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით დაიფერფლება...“

მართლაც, ახდა პოეტის წინაგრძნობა, არათუ შეამჩნია ობიექტურმა მკითხველ–სპეციალისტმა მისი პოეზია, განსაკუთრებით გამოარჩია, გაითავისა და თანამდევად გაიხადა მისი „ფიქრების წარღვნა, ფიქრთ გაზაფხული, ფიქრის წარღვნა, ფიქრების დიდი ხმელეთი, ლექსების წალკოტი, სიტყვის ბაჯაღლო“...

„პოეზია მარადისობის ატეხილ ზარების ჰანგზე როკავს“ (ქარაგმა) (4,7), ამბობდა „მარადისობის კოშკების“ პატრონი ნიკო სამადაშვილი, ზოგადსაკაცრობრიო, იდეალებზე უტყუარი პასუხების მიმგნები როგორც ერეოვნული, ისე მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ჭეშმარიტი ოსტატი.

„ბედმოკრძალებით“ დაღუპული პოეტი წინასწარ ხედავდა, რომ მისთვის „კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები, მარადისობის ჭუჭრუტანები (მოსწყდა) (1, 158).

ნისლის, ბნელი გრიგალების“ მიუხედავად, „პოეტის სიმღერა და უკვდავება“ მაინც გახმიანდებოდა დროთა ვითარებაში, უზენაესისგან მომადლებული ნიჭის შემოქმედება მისი პოეზია ზეცაში დაივანებდა სამარდისოდ, ასეთი იყო მაღალი იდეალებისთვის მსხვერპლშემწირველი ავტორის რწმენა: „...გაივლის დრო და დიდი ხნის მერე, ღმერთნი იტყვიან, ნიკო გვეწვია, შემოეხვევა ცის უწვდენ მერქანს ჩემი ცხოვრება და პოეზია“ (გაივლის დრო და) (1, 213).

პოეტის „ფიქრების დიდი ხმელეთი (შდრ. გოეთეს, „სულთა დიდი სანერგე ბაღი“) ჩვენი მარადიული პოეზიის დიდი სიამაყეა.

დამოწმებანი

1. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, საარქივო გამოცემა. „ლიტერატურის მატიანე“. თბ. 2004
2. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2010
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. ნიკო სამადაშვილი, შეხვედრები და სინანული, „მერანი“, თბ. 1995

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

100 DEUTSCH-GEORGISCHE ANTITHESEN

In diesem Artikel sind deutsch-georgische Atithesen dargestellt worden. Als ein sprachliches Phänomen werden die Antithesen in der modernen Linguistik neben der Antonymie für den Ausdruck der Gegenüberstellung betrachtet.

Durch die Antithesen werden mit der subjektiven Wahrnehmung bedingte kontrastive Relationen zwischen den sprachlichen Einheiten ausgedrückt und eben das liegt ihrer Āhnlichkeit mit der Antonymie zugrunde.

Die Antithesen werden nur in den syntaktischen Konstruktionen abgetrennt werden**.** Nach ihrer Natur sind sie okkasionel, von der Position des Individums abhängig, stylistich gefärbt und ebenso subjektiv, bei ihr tritt der pragmatische Wertungskomponent in den Vordergrund.

Bei der Forschung der Antithesen wird der Begriff des sprachlichen Subjekts ausgesondert werden. Als Stütze der Forschung dieser Erscheinung soll die kulturelle Volkserrungenschaft des konkreten Sprachträgers und zugleich die durch nationale Kultur bedingte pragmatische Dimension genommen werden.

Die Antithesen sollen in der Regel in zwei wahren linguistischen und linguokulturologischen Schnitt untersucht werden. Bei den Antithesen ist es zugelassen, die Wörter der zwei verschiedener lexikalisch-grammatischen Klassen gegenüberzustellen, aus dennen keine die in der Wirklichkeit existierende “Gegensätzlichkeit”ausdrückt.

Die bezeicnete Gegenüberstellung wird nur durch den Kontext bedingt, ohne die Wortpaare eine wechselseitige Bedeutung realisieren zu können. Der ergibige Boden der Aussonderung dieses Phänomens bilden Sprichwörter, Ausdrücke, wo die Antihesen durch die Redeteile ….. dargestellt werden können, wodurch nach ihren lexikonischen Bedeutung nicht nur die Semantik der Gegenüberstellung realisiert wird, sondern auch gegenseitige unterschiedliche Begriffe bezeichnet werden. In den analogischen Fällen werden die oppositionellen Relationen mit Hilfe solcher Textglieder-Indikatoren abgetrennt werden, zwischen welchen sich die Bedeutungen einseitige Widerständigkeit zeigen.

Mit Hilfe der zahlreichen Analyse der lexikalischen Materialien wurden aus den unterschiedlichen Texten für die Realisierung der Antithesen relevante sowohl semantische als auch formelle Eigentümlichkeiten, solche stereotypische Umkreisung geäuβert, die obligatorisch sind die Antithesen in den georgischen und deutschen Sprachen zu realisieren. Die Voraussetzung für die Realisierung der Antithesen soll in den beiden Sprachen das im Mikrokontext gegebene Paar angerechnet werden, dessen Glieder mit ihrer Bedeutung die Grundlage für die Gegenüberstellung der Bestandteile der Antithesen näher bestimmen und dadurch seine Formierung bedingen.

Hier sind in der Zahl 100 deutsch-georgische Antithesen./Gegensäze gegeben, um diese Erscheinung zu veranschaulichen:

1. **Adler fangen keine Fliegen. Ujischosagan jischiani ar nachula, ar ikneba.**

2. Besser arm in Ehre, als reich in Schande. Sdjobs sizozkhlesa nadsrakhsa, sikvdili sakhelovani.
3. Besser ein eckiges Etwas, als ein rundes Nichts. Sul araphers zota mainz jobia.
4. Besser biegen, als brechen. Chatrevas chakola sjobiao.
5. Besser einen Spatz in der Hand, als die Taube auf dem Dach. Dgevandeli kverzchi mirchevnia khvalindel katams.
6. Besser ein Arbeiter, der denkt, als tausend Kopfloser. Atas utaos erti taviani sjobs.
7. Billig stinkt, teuer blinkt . Kargisa kidva dsvirad sjobs, sed gamogeba sartisa.
8. Besser zweimal fragen, als einmal irregehen. Zlis saphikrebeli da zamis gasaketebeli.
9. Berg und Tal kommen nicht zusammen, wohl aber die Menschen. Mtha mthas ar shexvdeba, thorem kazi kazs sheekrebao.
10. Der Elefant macht keine Mücken tot. Songuli mumlitha shepkrobad phrthasa ar gashlis somit.
11. Der Esel und die Nachtigal haben beid ungleichen Schall. Viri charboda zkhenthana, mez bedauri shenthana.
12. Den Kopf halt kühl, die Füsse warm, das macht den besten Doktor arm. Thavi siziveshi, phekhebi sithboshi, janmrthelobis sazindaria.
13. Den Einen sien Uhl ist, den Anderen sien Nachtigall. Sogs mgvdeli moszons, sogsaz mgvdlis zoli.
14. Der Esel schick', wochin du willst, kein Pferd wird draus, das etwas gilt. Ar gathethrdebis korani, raz unda khekho qvishitha.
15. Der Geist ist willig, aber das Fleisch ist schwach. Suli dslieria, khorzi ki susti. suli
16. Die Geldmünze ist klein, gilt aber viel. Pataraa. magram dsvirad phasobs.
17. Der sichere Besitz einer Sache von geringem Wert ist besser, als Unbestimmte. Sjobs phlobde iseth nivths, romelsaz mzireodeni girebuleba aqvs, vidre umnishvnelo.
18. Der Eine lacht, der andere macht.Vin khalisobs da vin sakmianobs.
19. Das Hemd ist mir näher als der Rock. Kuchi dsmase akhloao.
20. Die Eile ist vom Teufel, die Ruhe von Gott. Sitsknare gmobili sjobs sichkaresa kebulsa.
21. Die Wurzel der Wissenschaft ist bitter, um so süβer ihre Frucht. Stsavlis dsiri mtsare aris kentseroshi gatkbildebis.
22. Das einen Tod, des anderen Brot. Mgeli kvdeboda da zkhvari kuntrushis gunebase ikoo.
23. Der eine säet, der andere schneidet. Erthi thesavs meore ki keravs.
24. Der eine hat die Mühe, der andere hat die Brühe.Vin gaikhara da vin chamso.
25. Der eine fängt den Hasen, der andere iβt ihn. Vin kurdgels ichers da vin chams.
26. Der Mensch denkt, Herr Gott lacht. Kazi bchobda, gmerthi izinoda.
27. Er heckt keine Taube einen Adler. Busi phaskunjis adgils ver daichers.
28. Eine goldene Zunge verbirgt eine schwarze Seele nicht. Ena tkbili –shavi guli, erths ambobs –meores phikrobs.
29. Eulen hecken keine Falken. Ujishosgan jishiani ar nakhula, ar iqneba.
30. Eine Taube heckt keinen Adler. Antsli ar mogvzems kurdsensa.
31. Er schoss nach einem Spatz und erlegt einen Kranich. Mtsiphes esrodnen da mkvakhe zvioda.

32. Er hat Geld wie Heu, wenn ich zu wenig Geld habe. Mas phuli okhrad /chechqivith aqvs, me gakhvretili shaurianiz ki ar maqvs.
33. Er hat weder Amt noch Verstand. Arz thanamdeboba aqvs da arz goneba.
34. Ein Sperling in der Hand ist besser, als zehn Taube auf dem Dache. Nu mpirdebi zashi tseros, khelshi mome begurao.
35. Es gibt mehr Tannen als Zedern. Zkhovrebashi uphro meti zudia, vidre kargi..
36. Ein Lot Gold wiegt mehr, als ein Zentner Recht. Phuli /oqro uphro phasobs,vidre samarthali.
37. Ein kleiner Regen mag einen grossen Wind legen. Zuli patara aris, magram did khes ki tsaaqzevso.
38. Ein schwarzes Huhn legt auch weisse Eier. Dsrokha shavia, magram thethr rdses itsveliso.
39. 39.Frauen haben lange Kleider und kurzen Mut. Qals thma grdseli aqvs da chkua mokle..
40. Fleissige Hand erwirbt, faule Hand verdirbt. Mushas sachmeli, aramushas arapheri.
41. Geringe Ursache, grosse Wirkung. Didi qvekana moutsvavs enasa mabesgarasa..
42. Goldner Hammer bricht eisernes Tor. Oqros chakuchi alakaphis karebs amtvrevso.
43. Grosser Prahler, kleiner Tuer. Trabakhi lachari kazis saqmeao.
44. Gib ihm eine Handbreit, so nimmt er die ganze Elle. Eshmaks rom neki misze-tans tsaigebso
45. Gebrauchter Pflug blinkt, sthend Wasser stinkt. Tskali, rom dagubdeba, akroldebao.
46. Heute zechen, morgen nichts zu brechen. Khan sul arao, khan sul varkhalalao.
47. Heute rot, morgen tot.Ase, chemo ,anaseo, khan ise da khan aseo.
48. Honig im Munde, Galle im Herzen. Thethri kbili da shavi guli.
49. Heute oben, morgen unten. Ase, chemo manesao, khan ise da khan aseo.
50. Heute Kaufmann, morgen Bettelmann. Ase, chemo manaseo, khan ise da khan aseo.
51. Heute mir, morgen dir. Ase, chemo manaseo, khan is da khan aseo
52. Immer bleibt der Affe ein Affe werd er König oder Pfaffe. Ar gathethrdebis korani raz unda khekho kiritha.
53. Je mehr du schläfst , je minder lebst du. Adre adgoma meti sizozkhle ariso.
54. Je mehr du mir etvas versprichst, desto weniger du es hilfst. Bevr laparaks, saqmis ketheba jobiao.
55. Je mehr man macht, desto mehr man verlangt. Raz uphro bevrs aketheb, mith uphro mets gthkhoven.
56. Kein Unglück so gross, es hat ein Glueck im Schoss. Vis gaugonia lkhini utirali dachiri uzinari.
57. Lieber Neid, denn Mittleid. Dae, damdsrakhon da nu shemibralebeno.
58. Man entgeht wohl der Strafe, aber nicht dem Gewissen. Kanons gaeqzevi, sindiss ki vera.
59. Mann ohne Weib, Haupt ohne Leib, Weib ohn' Mann, Leib ohne Haupt daran._ Kazi ar varga uzolo, arz egre zolmoreuli.
60. Mancher zielt ins Blaue, trifft aber ins Schwarze. Dedaberma khelkavi gadaagdo da kurdgeli moklao..
61. Nach dem Mittag sitz ein Weilchen, nach dem Abendessen geh ein Meilchen. –Sadilis Shemdeg zota khans chamojeki, vakhshmis s shemdeg ki zota gaiare..

62. Obgleich er vergangenes Jahr Probleme hatte, ging er dieses Jahr auf wohlverdienster Urlaub.Miukhedavad imisa, rom gasuli tseli misthvis problematuri iko, is damsakhurebul pensiaze mainz gavida.
63. Rede nicht vom Hut, wenn der Schuh drückt. Thathars thavs chridnen da mutsuki ar matkinotho..
64. So geht es in der Welt: der eine hat den Beutel, der andere hat das Geld. Mada vis aqvs da phlavis vis aqvso.
65. Stellt man das Licht zu hoch, so löscht er der Wind, stellt man es zu niedrig, so löscht es das Kind. Avaphurtkhe, ulvashs mokhvda, davaphurtkhe, tsversao.
66. Sie hat weder schon viele Anträge bekommen, noch abgelehnt. Arz mtsvads tsvavs da arz shamphurs.
67. Schlechter Arbeiter wird nie gutes Gerät finden. Sarmaz kazs thavisi phekhi nathkhovari egonao.
68. Trägheit geht langsam voran, Armut holt sie bald ein. Sisarmaze sigaribis gasagebiao.
69. Trocken Brot mit Freuden ist besser, als Gebratenes mit Kummer. Sjobs uchmelobith sikvdili, sakveduritha chamasa.
70. Topf von Ton und Topf von Eisen sollen nicht zusammen reisen. Mgeli da kravi erthad ver modsovs.
71. Ungülck im Spiel, Glück in der Liebe. Visaz thamashshi bedi ar tskalobs, sikvarulshi aqvs bedio.
72. Ungebetener Gast ist eine Last. Daupatijebeli stumari dsaglze uaresiao.
73. Viel Stroh , wenig Korn. Roza sitkva khshirdebao, mashin saqme mzirdebao.
74. Viele Worte, wenig Werke. Enatartara-khelebpatara. E
75. Von Eulen kommen nicht Sperber. Ara mjera, rom chrichinam kverzkhi dado.
76. Verschiebe nicht auf morgen, was du kannst besorgen. Dgemekhvalio kazsao thovli moadga karsao.
77. Verregnet der Weibersommer, gibt’s einen trockenen Herbst. Tsvimian saphkhuls, mshrali shemodgoma mosdevso.
78. Vögel, die zu früh singen, fängt am Abend die Katze. Dedis tsin gamqzev kvizsao, mgeli gamokhravs kbilsao.
79. Verboten Wasser ist süsser als offen Wein. Akrdsaluli khili uphro tkbiliao.
80. Von auβen fix und innen nix. Sevith sisil-pipilo da qvevith tani titvelio.
81. Was des einen Eule, ist das anderen Nachtigall. Sogs mgvdeli mostsons, sogs mgvdlis zoli.
82. Was der Frau ins Herz geht, reizt dem Mann nur die Haut. Raz qals gulshi tsvdeba, is mamakazs phekhze hkidia.
83. Was dem einen recht ist, ist dem anderen billig. Kvelas erthnairi uphlebebi unda hqondes.
84. Was den einen eine Eule ist, das ist für den anderen eine Nachtigall. Sogs mgvdeli mostsons, sogsaz mgvdlis zoli.
85. Was der Mutter ans Herz geht, das geht dem Vater nur bis an die Knie. Raz dedas gulshi tsvdeba, is mamas phekhze hkidia.
86. Was der Mensch sät, das wird er ernten. Mokhuzi imas moimkis, raz sikrmith dauthesiao.

87. Was hilft der Tittel ohne Mittel. Ragaa igi tsodeba uphulod.
88. Wer den Pfennig nicht ehrt, ist des Talers nicht wert. Vinz mziredis kadri ar izis, bevrsaz ver daaphasebs.
89. Wer eine kleine Summe nicht achtet, verdient es auch nicht, eine grössere Summe zu besitzen. Vinz mziredis phasi ar izis, is bevrsaz ver daaphasebs.
90. Wer Rosen pflücken will, darf der Dornen nicht achten. Vardi ueklod aravis moukrephia.
91. Wer nicht brennt, der qualmt. Raz ar itsvis, is khrcholavs.
92. Wenn der Wächter nicht wacht, so wacht der Dieb. Roza ar phislobs daradji, phislobs qurdi..
93. Wenn man ihm den kleinen Finger gibt, nimmt er gleich die ganze Hand. Chathrevas chakola djobiao.
94. Wer Wind sät, wird Sturm ernten. Vinz qars dathesavs, is qarishkhals moimkis.
95. Wer heute noch gesund ist, kann morgen schon tot sein. Ase chemo manaseo, khan ise da khan aseo.
96. Wer viel verspricht, hält wenig. Bevri vezade shenthvisa, dslivs movakherkhe chemtvisa.
97. Wie der Herr so's Geschrei. Raz alkhanaa, is chalkhanaa.
98. Willst du den Genuss, so nimm auch den Verdruss. Tu lkhini gvinda gvthisagan, chirniza shevitsknarotha.
99. Wo Verdacht einkehrt nimmt die Ruhe Abschied. Sadaz echvia, iq simshvide ar aris.
100. Wo die Pfuscher haben Brot, leiden wackre Meister Not. Mada vis aqvs da phlavi vis udevso./ Erthi aris mthokhnelio, ozdakhuthi mzokhnrlio.

რატიანი ლალი

100 გერმანულ- ქართული ანტითეზა

რეზიუმე

ანტითეზები, როგორც ლინგვისტური ფენომენები, გამოხატავენ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართებებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ენის ერთეულებს შორის სუბიექტური აღქმების შედეგად. ანტითეზების თავისებურებას გარკვეულწილად განსაზღვრავს ენის მატარებლის კულტურული საფუძველი. ანტითეზები ემყარება მოვლენათა და საგნების დაპირისპირებას, რომელსაც სუბიექტი მოიაზრებს, რაც დამატებით მნიშვნელობას იძენს.

Ratiani lali

100 GERMAN-GEORGIAN ANTITHESES

Resume

Antptheses, as linguistic phenomena, express conflicting relationships that arise from the subjective perception of linguistic units.The peculiarity of the antitheses is determined in a certain way by the cultural basis of the language carrier. The antitheses are based on the confrontation of the appearances and objects, which the subject conceives of, which gains additional meaning in the context.

სოსო სიგუა

გოლგოთის გზით

„გოდების კედელი“ – ეს ცნობილი სიმბოლური ხატი მოხმობილია ჩვენში განვითარებული საბედისწერო მოვლენების ასახსნელად და წარმოსადგენად ვრცელ რომანში, რომელიც ეს-ესაა წავიკითხე.

წიგნის ავტორია გიორგი სოსიაშვილი – ცნობილი მეცნიერი და მწერალი, რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, მოთხრობა და ნოველა.

მწერალმა დღევანდელ ქაოსურ რეალობაში გამოძებნა თავისი ხაზი, სტილი და პრობლემატიკა. იგი ადრევე დაუპირისპირდა უსაგნო, ხელოვნურ, გამოგონილ თემებს. არჩია, რომ ყოფილიყო მშობლიური ტრადიციების ერთგული, ოღონდ მოახდინა მათი მოდერნიზება და მისადაგება დღევანდელი სატკივარისათვის. ამჯერად კი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოაქცია ერთ ლოკალში – ეს არის სამაჩაბლოს ტრაგედია.

„გოდების კედელი“ მასშტაბური წიგნია, დაწერილია ელასტიური სტილით, ნათელი და ბუნებრივი ენით. გამოყვანილია პერსონაჟთა მთელი მასა – სხვადასხვა ეროვნებისა, ასაკისა, მრწამსისა, ბიოგრაფიისა. მათი გაერთიანება მწერალმა შეძლო ასოციაციური კომპოზიციით, რაც თხრობას ანიჭებს სიმსუბუქეს. ასეთი სტილი ტრადიციული ნარატივის დარღვევაც არის, რათა მოვლენების დინამიკა ადექვატურად გადმოიცეს – თავად ამღვრეული, მშფოთვარე და არეული დრო აგრძნობინებს ავტორს თუ რა ფორმას მიმართოს.

ბოლო ოცდაათი წელი, რაც დაიშალა სსრკ-ს იმპერია, ქართველი ხალხი მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელთა დაძლევას ან დაძლევის ცდას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ასეთი ტრაგედიები მწერლობას აძლევს უხვ მასალას, რადგან ეპოქის დრამატიზმი უფრო გამოკვეთს სიუჟეტებს, ადამიანთა ღირსებასა და სიმდაბლეს. მწერალი ამ მოვლენების ფიქსატორია და განმსჯელი.

თავისუფალი პოეტიზებით ბევრი შედევრი შექმნილა, მაგრამ ჩვენ თვალწინ გვიდგას ტრაგიკული ფაქტები, რაც უკავშირდება ერის ბედსა და პოლიტიკას. ამიტომ უფრო გვიზიდავს დრამატული მოვლენების ასახვა, რომელთაც არ სჭირდება გამოგონება. რეალობის სიმართლე უფრო განამტკიცებს მხატვრულ სიმართლეს ამიტომ ექნება გიორგი სოსიაშვილის წიგნს შესაბამისი მასშტაბის რეზონანსიც.

ჩვეულებრივ, მეცნიერები, რომლებიც გადადიან ლიტერატურაში, ვერ ელევიან თავიანთ დარგში მიღებულ ცოდნას. ეს მით უმეტეს ითქმის ისტორიკოსზე. მაგრამ გიორგი სოსიაშვილი არ აღმოჩნდა თავისი სპეციალობის ტყვე. მან ზომიერად, მეტისმეტად ძუნწად მოიშველია ისტორიული ფაქტები, ისტორიული სახელები. საერთოდ უარი თქვა

დოკუმენტების გამოყენებაზე, რათა მხატვრული თხრობა, სიუჟეტი, ცხოვრებისეული მასალა მსუბუქად ყოფილიყო გადანაწილებული, რათა გამოეხატა ტრაგიკული მოვლენების არსი.

ამ მოვლენებს კი ადამიანები განასახიერებენ, არამხოლოდ ლიდერები, არამედ – მასის რიგითი წევრებიც. წიგნს ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს – აბიათარ და ბაქარ მჭედლიძეები – მკაცრი პაპა და მორჩილი შვილიშვილი. ერთი წარსულს, ისტორიას გვამცნობს, მეორე აწმყოა – მშფოთვარე ჟამი. მათ გარშემო იკრიბება პერსონაჟების მასა. ესენი არიან მღვდელი ზოსიმე და ანტონი, ებრაელი ტატო, გერშონი, ქურდი ქაზიმა, ქისტი ჯარაფი, ოსი ბათირა, ჩეჩენი ჯაბრაილი, იოსები, ოსები, ინგუშები, პანკისელები, ჩეჩნები, რუსები. ისინი მონაცვლეობენ ცხადსა და სიზმარში, ციხესა და მონასტერში, წარსულსა და აწმყოში. სდევთ ფათერაკები, დაპირისპირებანი, სასჯელი, სიკვდილი და მკვლელობა.

ერთმანეთს გადაებმის უამრავი ფაქტი, სახელი, ეპიზოდი, რომელთაც მწერალი აერთიანებს ასოციაციური სიუჟეტით. ეს ერთგვარი ნოველისტური პრინციპია. მაგრამ ეპიზოდები ცალკე

თავებად არ არის სახელდებული. ამიტომ ისინი მთლიანი თხრობის მდინარებაში იძირებიან. წიგნი პირველი პირით არის დაწერილი. დრამატულ ამბებს ჰყვება ბაქარი. პირველი პირითაა გადმოცემული სხვა პერსონაჟთა ნაამბობიც. ასეთი ხერხი დინამიურია და მოქნილი. ამას ერთვის დიალოგური სტილი. მწერალი ხშირად მიმართავს დიალოგს. ზოგ ეპიზოდს პირდაპირ დაილოგებით იწყებს და უმთავრეს შესატყვისად იკვეთება მოქმედება.

ბაქარს მამა აფხაზეთში დაღუპვია. თავადაც აწვალებს ფიქრი თვითმკვლელობაზე. მაგრამ მკაცრი პაპის გახსენება გადააფიქრებინებს.

მოხუცი აბიათარი წვრთნის შვილიშვილს, აცნობს ცხოვრებას, წარსულს უყვება თავის და ქვეყნის თავგადასავალს, ჯუღელის მიერ ოსების დაწიოკების ამბავსაც იხსენებს, მსჯელობს ოსებისა და ქართველების ურთიერთობაზე, იმ კონფლიქტებზე, რაც ადრე ბოლშევიკებმა, ახლა კი რუსებმა გამოიწვიეს.

აბიათარის საუბარი უფრო მონოლოგია, რომელსაც კონიუნქტურული ელფერიც დაჰკრავს. ასეთივეა კავკასიის ხალხთა მეგობრობის იდეა, რასაც მხარს უჭერდნენ ი. ჭავჭავაძე, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ზ. გამსახურდია. ოღონდ ეს არ იყო, ცხადია, ბოლშევიკური გაგების ხალხთა ერთიანობა, წარმოქმნილი როგორც გენეტიკური, ისე კულტურული ფორმებით.

ეს იდეალია, რომელსაც ამჟღავნებენ ამ რომანის პერსონაჟებიც – სხვადასხვა ერის შვილები. ეს ერთიანობა ქმნის ანტირუსულ ბარიერს, უფრო სწორად - შექმნილია. მაგრამ კავკასია ერთიანი თამარის შემდეგ არ ყოფილა, მით უმეტეს, როცა ჩაერია ჯერ ისლამი და შემდეგ - ცარიზმი. მაინც ცნობიერმა უნდა გადაფაროს ველური ინსტინქტების ამბოხი, რომლის უამრავი მაგალითია ნაჩვენები რომანში.

აბიათარის მსჯელობები, მოგონებები საინტერესოა. ისინი აყალიბებენ ყრმა ბაქარის ცნობიერებას. მაგრამ, ვფიქრობ, სჭირდება კორექტირება და შეკვეცა, მით უმეტეს, რომ ეპოქის პანორამის ასეთი გახსენების ხერხი გამოყენებული აქვთ რევაზ მიშველაძეს და ლადო მრელაშვილს (ბოლო რომანში). ზოგი მათგანი შეიძლება ავტორმა დამოუკიდებლად, ცალკე ნოველადაც წარმოგვიდგინოს. აბიათარმა იცხოვრა საბჭოთა მოქალაქის ცხოვრებით, ტანჯვა-წვალებით. არ დაჰკლებია ციხე, ციხის კოშმარი, მკვლელობის ბრალდება და სასიკვდილო განაჩენი, ისევე როგორც მის ვაჟს ვანოს, ბაქარის მამას. მხოლოდ ერთი სამართლიანი რუსის მონდომებით გადაურჩნენ დახვრეტას. პაპა აბიათარი გახდა ბაქარის იდეალი, მისი გამზრდელი და გზის მაჩვენებელი. პაპის გარდაცვალების შემდეგ მარტოდ შთენილ ბაქარს ზმანებაში დედა ეცხადება, რომელიც მას არც უნახავს. ეს იყო გაღწევა დეპრესიის ნისლიდან, მარტოობიდან, მიუსაფრობიდან, როცა ეჭვიც კი ეპარებოდა, რომ აბიათარი მისი ნამდვილი პაპა იყო. დედის ხილვა და მისი ძიება სიცოცხლეს აზრით ავსებს. მაგრამ უკვე გვიან იყო – მონასტრის ეზოში შვილს მხოლოდ დედის საფლავი დახვდა... ამის შემდეგ იწყება ბაქარის დამოუკიდებელი გზა ცხოვრებაში, რასაც დრამატიზმს აძლევს სამაჩაბლოს მოვლენები. მწერალს თხრობაში შემოჰყავს ახალი, სხვადასხვა ეროვნების პერსონაჟები. მათ შემოაქვთ განსხვავებული ინფორმაცია, რაც პირველი პირით ხორციელდება. არსებითად, ეს არის ნოველისტური შენაკადი, რომელიც ერთვის ასოციაციურ სიუჟეტს. მაგ., ერთ-ერთი მათგანი ჩეჩენი ჯარაფი, მუსლიმანი, პანკისელი ქისტი – მიუხედავად ამისა, ქართველად რომ მიიჩნევს თავს, რადგან აქ ცხოვრობს. იგი აფხაზეთის და ჩეჩნეთის ომის მონაწილეა, სადაც სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მას აშფოთებს ფიქრი იმაზე, რომ „სასაფლაოდ ქცევას უპირებენ კავკასიას“. მასაც ჰყავს თავისი აბიათარი - ბრძენი ბიძა ხასო, რომელმაც მკაცრი ტრადიციების აღმსრულებლად გაზარდა. საინტერესოა ჯარაფის დიალოგი გაბოროტებულ ოსთან. პერსონაჟებს შემოაქვთ ომის სისასტიკის ახალ-ახალი სურათები. ერთმანეთს უკავშირდება აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ჩეჩნეთის ტრაგედიები. თითქოს გრძნობენ, რომ ამ კოშმარის სცენარი სხვაგან დაიწერა. მაგრამ უკვე სისხლია დაღვრილი, დახოცილია ნათესავები და მეგობრები. ამიტომ ფიქრობენ შურისძიებაზე და ყველგან მტერი ელანდებათ (მაგ., აფხაზ-მეგრელი თელია, ელიზბარი, შრამიანი ჩეჩენი).

ცხოვრება გოდება და გოლგოთის გზით სვლაა. სამაჩაბლოს ამბებს, სისხლიან ისტორიებს უყვება ამირანი ჯარაფსა და ბაქარს. შემდეგ მას ენაცვლებიან კაზიკა და ბათირა, ხასო და ჯაბრაილი და ასე გრძელდება რომანის ასოციაციური ხაზი, ეპიზოდები, სიუჟეტურად რომ ბაქარს უკავშირდება ან თავად ბაქარი მონაწილეობს.

ზოგან ისევ გაკრთება დედისა და აბიათარის ლანდები.

რომანის ბევრი ეპიზოდი შთამბეჭდავია და მაღალმხატვრული. მათ უნდა მივაკუთვნოთ შამილისა და ბაისანგურის ისტორია, რომელსაც ხასო უყვება პანკისში ბაქარსა და ჯარაფს. მათთან იხსენიება ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, 23 თებერვლის ჩეჩნეთის ტრაგედია, ოსების ტრადიციული ორპირობა, ქისტების სიმამაცე და ერთგულება.. მთავარი პერსონაჟი ყველა დრამატული მოვლენის ეპიცენტრში ხომ ვერ იქნება. ამიტომ მწერალი ხედვის მასშტაბს აყალიბებს ბაქართან დაკავშირებული ახლობლების მონათხრობებით, ისინი ერთმანეთს უმატებენ ახალ ეპიზოდებს, რაც წარმოგვიდგენს მთლიან პანორამას. ასეთი ხერხით ნაწილობრივ იჩრდილება მთავარი პერსონაჟი. მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო სრული ხდება დრამატული პერიპეტიები. ეს კი გამართლებულია ავტორის კონცეფციითა და ასოციაციური სიუჟეტით. ასეთ დროს შეიძლებოდა შრიფტის მოშველიებაც, მათი ცვალებადობა.

ციხის ამბები ცალკე ისტორიაა.

ციხეში მსხდარან აბიათარი, ვანო, ბაქარი ანუ ყველა თაობას მოუწია თავისუფლების აღკვეთამ და შავ სამყაროსთან ნაცნობობამ. ბაქარი რუსებმა დაიჭირეს, ჩეჩენთან მეგობრობის გამო, ტერორისტობა დააბრალეს, სცემა გამომძიებელს, გაამწესეს ტამბოვში. ბაქარმა შური იძია ჯარაფის მოკვლის გამო. მწერალს კარგად აქვს ნაჩვენები ციხის სისასტიკე, იქაური ბინადარნი. აქაც არის ნაპოვნი ნათელი სხივი, ცალკეული კეთილი ადამიანები (მაგ., ოჯალანი), რუსებს შორისაც კი (მაგ., აფანასიევი). ეს მაშინ, როცა „გოდების კედელი“ რუსების მიზეზით დაერქვა ამ წიგნს.

აი, როგორ მსჯელობს აფანასიევი:

„რუსეთში მოვიდა, შეიძლება მოიყვანეს ადამიანთა ჯგუფი ან თაობა გაზარდეს ისეთი, რომლის წარმომადგენლებმა კაცობრიობას რუსი ადამიანი შეაძულა, შეაზიზღა“.

წიგნის ერთი ნაწილი ეძღვნება 2008 წლის ტრაგედიას. ამჯერადაც ავტორი ამოდის მასის უბრალო წევრების ცხოვრებიდან. იგი ხატავს, აჩვენებს, ზოგჯერ განსჯას ჩაურთავს. მაგრამ მთავარია საერთო პანორამა.

აგვისტოს ომი იყო მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც მოჰყვა სოხუმისა და ცხინვალის ჩამოცილების დაკანონება რუსეთის მიერ. რომანის ავტორი ცხოვრობს სოფელ დიცში, სასაზღვრო პუნქტში. მან უშუალოდ გადაიტანა ომის კოშმარი, ხედავს რუსთა და ოსთა ძალმომრეობას, რომლებიც ყოველდღიურად იტაცებენ ქართულ მიწებს მშვიდობიანობის დროსაც კი. მიუხედავად ამისა, მწერალი არ ავლენს ტენდენციურობას. იგი სწორად სჯის და მართებულ სურათებს გვაცნობს, ზოგჯერ იდეალიზმშიც გადადის და ეძებს ნათელ სხივს იქ, სადაც მხოლოდ სიბნელე სუფევს...

ავტორი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სხვადასხვა ეპიზოდით, სხვადასხვა პერსონაჟის თვალით ასახავს აგვისტოს ომსა და მის შედეგებს. ისიც მართალია, ოსები რომ არ ყოფილიყვნენ, რუსები სხვა ხალხს შექმნიდნენ კონფლიქტის გამოსაწვევად.

საინტერესოა ბაქარის შეხვედრა ბავშვობის მეგობარ ოს ბათირასთან. ისინი ჯერ ტელეფონით ლაპარაკობენ, შემდეგ – მავთულხლართთან ხვდებიან და შემდეგ ოსს გადაჰყავს ქართველი ქართველთაგან დაცლილ სოფლებში. „ომი არ უნდა მომხდარიყო“ – ასეთია რიგითი ოსების აზრი, თუმცა უნდობლობა, რაც მოჰყვა სისხლსა და ნგრევას, ვერ დაუძლევიათ.

რომანის ბოლო კარი უცხოელის ჩანაწერებია, რომელთაც ეცნობა ბაქარი. ისინი აგვისტოს ომის სურათებია. სიმბოლურია რომანის ფინალი – ბაქარის ჩასვლა იერუსალიმში, ბავშვობის მეგობრის ებრაელი ტატოს ნახვა. სამაჩაბლოც ის იერუსალიმია, რომელიც დაკარგეს ქართველებმა. მაგრამ ყველა ბაქარის მსგავსად ცოცხლობს მისი დაბრუნების იმედით და მოლოდინით.

ბაქარი ტატოსთან ერთად წვალებით ადის გოლგოთაზე, რომელზეც ჯვარი აჰქონდა მაცხოვარს. აქ არის პაპის - აბიათარის ლანდიც:

„იუდას ამბორიც, მეგობართა განდგომაც, დამცირებაც, სულში ჩაფურთხებაც, წამებაც, გოლგოთას გზაც, ეკლის გვირგვინიც, ჯვარზე დალურსმვაც... ყველაფერი ღირს ამ ადგილად, ტატო, – მაცხოვრის საფლავზე შესვლის წინ ჩავჩურჩულე – ყველაფერი ამ ადგილის გამო იყო. ჩვენც გვაქვს სადღაც ასეთი ადგილი, რომლის გამოც ვიტყვით, რომ ეკლიანი გზა ამისთვის ღირდა“.

როგორც ამბობდა ზვიად გამსახურდია, ეს იგივე ქართველთა გზაა. დღეს, როცა ყოფით მეტყველებაში, მასმედიასა და ლიტერატურაში ქართულ ენას მოეძალა ბარბარიზმები, ვულ-

გარიზმი, ინგლისური ლექსიკა და კონსტრუქციები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის სიტყვას, რომელიც უნდა ეცადოს მშობლიური ფორმების დაცვას.

ამ მხრივ სანიმუშოა გიორგი სოსიაშვილის ენა და სტილი. იგი წერს ნათელი, სადა, ხატოვანი ენით, ზომიერად, დიალოგებში იყენებს მასიდან შემოჭრილ ლექსიკასაც, რათა მეტყველება არ იყოს სტერილური, მწიგნობრული. ასეთ დროს თითქოს ყურს ჭრის დიალექტიზმი – „ვიყა“, რომელსაც იყენებს არა ერთი, არამედ - რამდენიმე პერსონაჟი.

მწერალი ხშირად მიმართავს დიალოგს. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ უფრო ეფექტურია, როცა აღწერს საგნებსა და მოვლენებს, აღწერს ისე, რომ წარმოდგენა შევძლოთ.

აქაც იგი რჩება რეალისტური ხატვის ერთგული, რომელსაც განავრცობს ხოლმე ისტორიასა და სიზმრის სამყაროში მოგზაურობით. საგნის ხატი არ იბურება არც ლირიკული ნაკადით, არც ინტელექტუალური განსჯით. მწერალი იცავს სიზუსტეს და ენას არ აქცევს ბარიერად, რათა მოქმედება იოლად აღვიქვათ:

„ვიარე, ვიარე, ტუფლები დამეხა, ფეხები დამისისხლიანდა, მუხლები მეკეცებოდა. ალღო ისეთი მაქვს ბავშვობიდან, უკან სიბნელეში გზას ადვილად გავიგნებდი. თენდებოდა, მინდორ-მინდორ ავედი სოფელში. ჩემი ძაღლი ზედ შემომახტა, წკმუტუნი დაიწყო, ძლივს მოვიშორე. ძაან მყავდა შეჩვეული. სახლში შევედი. დედაჩემმა ვერ გაიგო, მის საწოლს დავხედე, დავაშტერდი. ოდნავ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. ტანისამოსი ავკრიფე, უბეში შოთები ჩავილაგე და წამოვედი, მაგრამ სად წავსულიყავი. ვახტოს მიტოვებულ სახლში რომ ავსულიყავი, უეჭველი დამიჭერდნენ. თავზე დამათენდა“...

თხრობაში საგრძნობი როლი აქვს სიზმარს, რომელიც აკავშირებს ცხადსა და ზმანებას. თითქოს თავად რეალობაც ქანაობს რეალობისა და ილუზიის ზღვარზე. ეს ხერხი ბევრჯერ არის გამოყენებული. მწერალი მას კარგად ფლობს და ეფექტურად იყენებს. ეს ერთგვარი ბუნდოვანების სამოსელიც არის, რათა პოეტურობა შეჰმატოს ტექსტს, თხრობას ჰქონდეს მეტი სიღრმე, იდუმალება და მოტივირება.

სიზმარი არაცნობიერი პროცესია. იგი რეალობის ჰიპერტროფული გაგრძელებაა, რომელსაც ხშირად სიმბოლური სახე აქვს. სიზმარი ცალკე ეტიუდია, რომელიც აკავშირებს და ამაგრებს ასოციაციური ეპიზოდებით აგებულ კომპოზიციას, სიუჟეტურ ხაზს. სიზმრით იწყებს ბაქარი დედის ძიებას, როცა გრძნობს უთვისტომობას და ჰგონია, რომ საიდანღაც არის მოყვანილი. დეპრესია, ეჭვი და ოცნება იქცევა შავად მოსილ ქალად, რომელიც შვილს მიეფერა. ქალმა უთხრა, რომ ღმერთი მონასტერმა აპოვნინა. ეს იმას ნიშნავს, რომ დედის კვალი მიდის მონასტრისკენ.

მართლაც – ბაქარი დედის საფლავს მიაგნებს მონასტრის ეზოში.

ბაქარმა როცა გაიგო, რომ ჯარაფი რუსს მოუკლავს, იმ ღამეს ესიზმრა აბიათარი – ახალგაზრდა კაცი, ჯაბრაილი და ჯარაფი, სისხლის მდინარეში რომ გადაეშვა. აბიათარი და მისი ძმაკაციც არღუნის წყალს გაჰყვნენ. ბაქარი მარტო დარჩა, რომელსაც მტანჯველი ფაქტი სისხლის მდინარედ წარმოესახა.

შემდეგ ასეთი სიზმარიც ნახა – ვითომ პანკისში ჩავიდა და იქ ჯარაფი დახვდა, თითქოს იგი კი არ მოკლეს, არამედ პანკისში დაბრუნდა.

ზოგი სიზმარი დასრულებული მხატვრული ტექსტია, რომელიც ჩაბმულია თხრობის სტრუქტურაში. მათი სიუხვე და სიმძაფრე სამოქმედო იდეად იქცევა (მაგ., ბაქარი სიზმარში დაწერილ წერილს ცხადში აღიდგენს და მიდის მონასტერში, რათა იქ ადრესატს გადასცეს)...

საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ ეს არის ჩემი პირველი შთაბეჭდილება.

წიგნი მრავალ პრობლემას ეხება და წამოჭრის, გვაცნობს პერსონაჟთა მასას, მათ სისასტიკესა და გულჩვილობას, რაც გადადის ერის ტრაგედიასა და გამარჯვების რწმენაში. სიმბოლურად რომ გამოიხატა ბაქარის ასვლით გოლგოთის მთაზე, როგორც ადის ლაშარის გორზე მკერდში დაჭრილი ვაჟა-ფშაველას ლუხუმი.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

გარდასახვის იდუმალება!

აქ შემოდგომის გარდასახვაა
ახლის საწყისის დიდი სათავე,
მზე მიილია, სხივთა კონებმა
მარადიულში ჰპოვეს სადავე.
მიწის საფარი გამეფდა ახლა
ხატებით მზისა ბუნების ალი,
დედის საზღაურს უკან აბრუნებს
ჩააცვა ფარჩა დღეს ფოთოლთ კრძალვით.
შემოდგომაა ფერთა სიწმინდე
სიმაღლე ფერის – სულის განწყობა,
ეს ზეგავლენა სამყაროს შვენის
დიადი გრძნობის გამოსაცნობად.
სხივმა აჩუქა ფერთა საგზალი
ფოთოლთა ცვენა თითქოს ახალი
მოხდენილი და საოცრად ღრმაა
აქ არსებული გრძნობის ამბავი.
მართვის უფლება მათია ისევ,
ჩაიძირება მიწაში ძალით
უსასრულობის შეგრძნებას მალავს
სიცოცხლე ისევ აღსდგება ხვალის.

განხილვა

დრო კვირტთა და ფოთოლთა მარადიული სიღრმისა!

სამშვენებელი – მარადიული ალი!

ფოთოლში სამყაროს საწყისია!

კვირტით იწყება, ყუნწი – ყანწია!

კვირტშია დამალული სიცოცხლის არსი და ზრდა-განვითარების უნარი აქედან მოდის.

ჩანასახია კვირტში ანუ ემბრიონი.

აქ იმალება საიდუმლოებაც.

კვირტიდან გამოდის ფოთოლიც, ფერიც, ნაყოფიც, აქ ახალგაზრდობის აღდგენის მადლია.

ფოთლის შეცნობა-შეგრძნების ფორმა, თითქმის ჩატეულია აქ ყველაფერი.

დედამიწა შეკრულია ზეცასთან და ფოთლის მეშვეობით უბრუნებს მადლს.

შემო-დგომით კი ფერებში გარდასახვა ხდება, შემოდგა ფერი, დამწიფდა.

დროის შემეცნების დონე, მისწრაფება ხდება, ხე ინფორმაციაა!

ნათელი ენერგიები კვირტიაა.

გარდასახვის იდუმალებაა მასში და ჭეშმარიტების პოვნა.

ბუნებასთან შერწყმა შობს ადამიანს ახლიდან – განახლება ხდება,

უმთავრესს უნდა სწვდებოდეს ადამიანი.

უდიდესის შექმნის განცდაა კვირტი. თავბრუდამხვევი სიყვარულის ნაყოფი, ჭეშმარიტი კავშირი აქვს ზეცასთან, სილამაზეში განიცდის არსებობას და აზრით და გრძნობით უკავშირდება.

უნდა ჩავწვდეთ ამ დანიშნულების დედააზრს, ხელებგაწვდილი ტოტები ხეებიდან იშლებიან, ხილული და უხილავი სამყარო მიწიდან და ზეციდან იღებს ძალებს და ივსება.

მიწის წიაღში ჩასული თითოეული მარცვალი კვირტს წარმოშობს.

აქ კავშირი მყარდება.

სიცოცხლის არსი, ჭეშმარიტება, სიხარულში და სიყვარულშია.

კვირტს უნიკალური შეგრძნებების უნარი აქვს და ის მუდმივობაში არსებობს, მისი გარდასახვის უნარიც აქედან მოდის და სრულყოფილებასაც არ კარგავს.

დაბადებისას ცის უსასრულობისაკენ მიემართება, სასწაულ სანახაობას ქმნის გაზაფხული და კვირტთა პალიტრა, ცდილობს დედამიწის გზავნილი დაუბრუნოს კოსმოსს, სივრცეს, ცას, რათა შინაგანში არსებული ენერგია უბოძოს და მისცეს სილამაზე.

ბუნებაში ეს ყველაფერი აღმაფრენით ხდება, ნაწილდება, აქ სულიერი ყოფიერების წესია და მისი დარღვევა არ ხდება.

ამაღლებული ჟღერადობა, შინაგანი რიტმი ახდენს ჟანგბადის გამომუშავებას ხეში, მცენარეში, ფოთოლში. შერწყმა ხდება ერთმანეთით, მთლიანობას წარმოქმნიან და მშვენიერებაში იძირებიან მუდმივად.

ჯერ კიდევ შეუცნობელის შეცნობას ვახდენთ.

შთაგონებაა გრძნობებისათვის მუდმივობის კანონი. – პერიოდულობის სისტემა!

მზე სარკესავითაა, ირეკლავს დედამიწიდან სილამაზეს და შემდეგ ისევ უკან აბრუნებს, სიცოცხლეს აძლევს.

ამ განცდას სიყვარულის უხილავი სხივები ავლენენ, რომელიც სინათლის ტალღებად გადმოდის.

კოსმოსის უსასრულობა დედამიწის უსასრულობას უტოლდება და ისინი ურთიერთკავშირში ძლიერდებიან, როგორც ინ იანი, მათ მუდმივობის ფორმა აქვთ და განუყრელნი ათენებენ და აღამებენ დღეებს.

შემოდგომით კი ისევ დააფრქვევს კოსმოსი დედის გულიდან გაღებულ სიყვარულს.

შეჩერებული მზერა, უკვე შემოდგომაა და ფოთოლში გარინდული მზის სხივი, აქ შეწყვილებული სინაზე და სიძლიერეა. მედიდური სული, რომელიც დედის წიაღისკენ იკვლევს გზას.

ფესვში შეღწეული უსასრულობა, განუყრელი თანამგზავრი, მდუმარებაში ჩაშვებული სიბრძნე – გაყვითლებული ფოთოლი – სიბრძნეში ნაშობი სასწაულია! სულის იდუმალება და საკრალური მოძრაობა მის უსასრულობაში.

აქ წარმატებული მიზანია ჩადებული!

დრო კვირტთა და ფოთოლთა მარადიული სიღრმისა!

ახლოდან შევხედოთ იმას

რაც შორს გვგონია, მარადიულობა ადგილის დედის – დედამიწის მოწოდებით იწყება.

ჯადოსნურია მცენარეთა არსში ფოთოლი, ახდენილი ოცნებაა ღმერთის!

იდუმალები და შეუცნობელნი არიან ისინი ამ სივრცეში, ბუნებაში ავლენენ თავიანთ დაფარულ მიზნებს, უდიდეს პოტენციალს, სივრცეა სადაც მათი განვითარება მიმდინარეობს და დედამიწისა და სამყაროს ფერხულში არიან ჩაბმულნი, სიცოცხლეს აწარმოებენ!

სასწაული ძალაა აქ, სიცოცხლის ენერგია ღვთაებრივს უტოლდება.

ყოველი წყარო წელიწადის ოთხივე დროის მოქმედებაა და ღმერთის არსს წარმოადგენს.

სიჭაბუკე და სიმწიფე სიყვარულშია შობილი და ეს ყოველთვიურია, შემდეგ სიბრძნეში გადადის.

აქ ერთი განსხვავებაა, – ბუნებაში ეს პროცესი ხანგრძლივობას მოიცავს და წელიწადზე გადის.

გულში კი ამ პროცესებს ძალიან სწრაფი და მარტივი ფორმა აქვს, როგორც კი შეიგრძნობ, ის უკვე შენშია და მისი გაღვიძება, განახლება, აყვავებას აღარ საჭიროებს დროის გარკვეული მონაკვეთი, პერიოდი.

შეცნობაზეა დამოკიდებული – შეიცნობ! – შენიაა.

ამაღლების პროცესები მიმდინარეობს.

წელიწადის ოთხი დრო, გულის ოთხი პარკუჭია, როგორც სამყარო ახდენს ზეგავლენას ყოველ პერიოდზე და მის არსზე, ასევე მოქმედებს გულის პულსის მუშაობა მის პარკუჭებზე და ადამიანის განვითარებაზე.

მარადიული გაზაფხული მიმდინარეობს, მუდმივად ვითარდები, მუდმივად იხსნები, იღება შენი გულის კარები და გადადიხარ უკვდავებაში.

მოძრაობა სიცოცხლის ფორმაა.

როგორც მთვარე ახერხებს სამყაროში ახალ ახალ დაბადებას, ზრდა განვითარებას, შევსებას, ისევე ხდება ეს პროცესი ადამიანში!

ბუნებაში ფერთა ცვლილება აღმოცენების ტოლია, ფოთოლთა სხივთა სხივება, სხივის აღდგენა – ახალგაზრდობაა, იმედი ხვალის.

ეს არის უსასრულობის გახსნა სხივმოდებული ალით, მარადისობის დაბადება ხდება.

სხივი კვირტთა სამოსელი – კვართი!

მარადიული ბუნების აღწერაა აქ.

უფლის კვართი ამ სხივთა შემოქმედებაა, უფალი იესო ქრისტეს აღდგომა, განათება, გამოსხივება.

აქ სულის სიწმინდეა, ცეცხლის, ჟანგბადის, მიწის, წყლისა და სიყვარულის ნაერთი.

გულის სიბრძნის ნიმუშია კოსმიური ფოთოლცვენა, ს ა მ შ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი.

ეს არც ნოველაა და არც ჩანახატი.

აქ სინამდვილეა!

11/01/2021წ.

მარიამ ჯალაბაძე - დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა გეოგრაფიის განხრით. ამჟამად ვმუშაობ ქ.რუსთავის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის #16 საჯარო სკოლაში პედაგოგად.

შიდა ქართლის ანთროპოგენური ლანდშაფტები

(კვლევა სამაგისტრო ნაშრომიდან)

ანთროპოგენური ტრანსფორმაციის თავისებურებათა შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართველ და უცხოელ გეოგრაფთა მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრობლემის სირთულის გამო, ისინი მაინც ვერ მოიცავენ საკითხთა სრულ სპექტრს. ლანდშაფტთა ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ოდენობრივ-ხარისხობრივი პარამეტრების დადგენა შესაძლებელია სტაციონალურ გამოკვლევათა პირობებში, ან კიდევ დეტალური საველე სამუშაოების ჩატარების და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, სადაც თავს მოიყრის ყოვლისმომცველი გეოგრაფიული ინფორმაცია. ჩვენ ავირჩიეთ კვლევის მეორე გზა, რომელიც მოიცავდა ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა: ა. ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი, ბ.ლანდშაფტთა თანამედროვე მდგომარეობა, გ. საკვანძო უბნებზე ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური და ანთროპოგენური ლანდშაფტების მიერ დაკავებული ფართობების გამოთვლა პროცენტებში და ა.შ. ლანდშაფტთა ანთროპოგენური ტრანსფორმაციის შესწავლა მნიშვნელოვანია რეგიონის მეურნეობის შემდეგი განვითარებისთვის. საკვლევი რეგიონის ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენურ სახეცვლილებებს საკმაოდ დიდი ისტორიული ფესვები გააჩნია, მაგრამ ძირეული ტრანსფორმაცია მაინც XX საუკუნეზე მოდის. შიდა ქართლის რეგიონში შუა და ფეოდალურ ხანაში აშენდა რამდენიმე მსხვილი საირიგაციო სისტემა, მათ შორის ტირიფონის, რომლის სიგრძეა 42 კმ. იგი გასდევს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირს, გადაკვეთს პატარა ლიახვსა და ჭარბულის ხეობებს და აღწევს სოფელ პატარა ხურვალეთამდე, არხი რწყავს 30 ათასზე მეტ ჰექტარს გარდა აღნიშნულისა აგრეთვე ტაშისკარის, მუხრანისა და სკრა-ქარელის სარწყავი სისტემები.

ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედება ძირითადად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, სატყეო და საქალაქო მეურნეობით, წიაღისეულის მოპოვებით და სხვა. უნდა აღინიშნოს რომ საკვლევი რეგიონის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაეილი პრაქტიკულად სახეშეცვლილ ან ძლიერ გარდაქმნილ ლანდშაფტებს უკავიათ. მიწების პრივატიზაციის პროცესმა ეკოლოგიური სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა.

ლანდშაფტთა ფუნქციონირება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც უპირველეს ყოვლისა მათზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით არის განპირობებული. ბუნებრივ და სახეცვლილ ლანდსაფტებზე ზემოქმედება მრავალგვარია, კერძოდ: დროის გარკვეული მომენტისთვის, კომპეტენტური, ტერიტორიული მომცველობის და სხვა. ბუნებრივია მცირე ხანგრძლივობის ან ლოკალური ზემოქმედება ნაკლებ უარყოგით ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს, ვიდრე გლობალური. ბუნებრივ ლანდშაფტებზე ზემოქმედება შეიძლება იყოს ინტენსიური, ზომიერი, ექსტენსიუ და სხვა. საკვლევ რეგიონში ინტენსიურია ზემოქმედება სელიტებურ, სამთამადნო რესურსების მოპოვების ტერიტორიაზე და სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოყენებულ ლანდშაფტებსი. ცალკეულ შემთხვევაში ანთროპოგენური ზემოქმედება (რწყვა, მოსავლის აღება და სხვ.) შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მიზანმიმართული და გეგმაზომიერი. ლანდშაფტთა ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ოთხ ტიპს გამოყოფენ, ესენია:პრაქტიკულად მთლიანად სახეცვლილი, ძლიერ სახეცვლილი, საშუალოდ და სუსტად სახეცვლილი (ნ.ელიზბარაშვილი 2000) საკვლევი რეგიონის ვაკისა და გორაკ ბორცვიანი მთისწინეთის ლანდშაფტების უდიდესი ნაწილი ბუნებრივ-აგრარულ კომპლექსებსა და სელიტებურ ტერიტორიებს უკავიათ, ისინი თავისი შინაარსით სახეცვლილ ლანდშაფტთა პირველ და ნაწილობრივ მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან.

საშუალოდ სახეცვლილ ლანდშაფტებს საკვლევი რეგიონის ქვედა მთის და საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების დიდი ნაწილი უჭირავთ. სუსტად სახეცვლილი ლანდშაფტები, რომელთაც თითქმის შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი სახე წარმოდგენილია მოცემული რეგიონის მაღალმთიანეთში, კერძოდ სუბნივალურ და ნივალირ სარტყლებში.

ლანდშაფტური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ბუნებრივი ლანდშაფტების შემადგენელი ცალკეული კომპონენტები და მთლიანი კომპლექსები სხვადასხვა ხარისხით შეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. პროფ. ა. ისაჩენკო (1990), ბუნებრივი ლანდშაფტების ოთხ კატეგორიას გამოყოფს: 1. პირობითად უცვლელი, ზემოქმედებას არ განიცდიან კომპონენტები, სამეურნეო საქმიანობა პრაქტიკულად არ ხორციელდება. საკვლევ რეგიონში ამგვარია ნივალური და სუბნივალური ლანდშაფტები. 2. უმნიშვნელოდ შეცვლილი – ექსტენსიური სამეურნეო საქმიანობით – ნადირობა, თევზჭერა, შერჩევითი ჭრა, ცალკეულ კომპონენტზე უმნიშვნელო ზემოქმედებით კომპონენტშორისი კავშირების შენარჩუნებით თვითაღდგენის პროცესების ინტენსიური ხასიათი. ამგვარია მოცემული რეგიონის სუბალპური, ალპური და ტუგაის ტიპის ლანდშაფტთა უმრავლესობა. 3.ძლიერ სახეშეცვლილი,განიცდიან ხანგრძლივ და სტიქიურ ზემოქმედებას. კომპონენტები სახეშეცვლილია, დარღვეულია სტრუქტურა და კომპონენტთა შორის კავშირები. ამგვარია განხილული რეგიონის საშუალო და დაბალმთის ლანდშაფტების უმეტესი ნაწილი. 4.კულტურული ან რაციონალურად სახეცვლილი, მათში კომპონენტშორისი კავშირებიმიზანმიმართულად არის შეცვლილი, საჭიროებს ფუნქციონირებისთვის მუდმივ რეგულირებას. (ვაკის მიმდებარე ბორცვიანი მთისწინეთის აგრეთვე სელიტებური ლანდშაფტები).

ლანდშაფტების დაყოფა ანთროპოგენური ზემოქმედების მიხედვით მოცემული აქვს ნ. ბერუჩაშვილს (1992), რომელიც სახეცვლილ ლანდშაფტთა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1.პრაქტიკულად თითქმის მთლიანად გარდაქმნილი ლანდშაფტები, სადაც ბუნებრივ-ანთროპოგენურ კომპლექსებს უჭირავს დაახლოებით 95-100%, 2.ძლიერ სახეცვლილი ლანდსაფტები, აქ ბუნებრივ-ანთროპოგენურ კომპლექსებს უკავიათ 80-95%, 3.საკმაოდ გარდაქმნილი ლანდშსაფტები, სადაც სახეცვლილია ბტკ-ს 50-60%, 4.სასუალოდ სახეცვლილი ლანდშაფტები, სადაც ბუნებრივ-ანთროპოგენურ კომპლექსებს დაახლოებით ტერიტოსრიის 20-50% უჭირავს, 5.სუსტად სახეცვლილი ლანდსაფტები, რომლებმაც მთლიანად ან თითქმის შეინარჩუნეს პირვანდელი სახე.

ბუნებრივ-ანთროპოგენური კიმპლექსები (0-დან 10-ბალამდე) ''ანთროოგენეზისის' ხარისხის მიხედვით მოცემული აქვს ზ. სეფერთელაძეს (1993). იგი გამოყოფს ა. უმნისვნელოდ ანდა პრაქტიკულად თითქმის სეუცვლელი 0-1 ბალი, რომელიც დამახასიათებელია მაღალმთიანი გლაციალურ-ნივალური ზონებისათვის და აგრეთვედაცული ტერიტორიებისათვის, ბ. მცირედ სახეცვლილი 1-4 ბალი, მაღალმთიანი ალპური და სუბნივალური ზონებისთვის არის დამახასიათებელი, გ.საკმაოდ ანთროპოგენეზირებული – 7-9 ბალი, მოიცავს ვაკე გორაკ-ბორცვიან და მთისწინეთის ზონებს, ე. თითქმის სრულიად ანთროპოგენეზირებული – 9-10 ბალი, ადამიანთა უსუალოდ განსახლების ადგილები, ასევე ქალაქები და დაბები.

წინამორბედ მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინების და ჩვენს მიერ საკვლევ-საექსპედიციო და კარტოგრაფიიული მასალების დამუსავენის რიგი აერო და კოსმოსური სურათების დეშიფრირების საფუძველზე გამოთვლილია ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური და ანთროპოგენური ლანდშაფტების ფართობები საკვლევი რეგიონის ფარგლებში და განსაზღვრულია ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი.

რელიეფის ანთროპოგენური ფორმებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველია ხელოვნური გამოქვაბულები. თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე ისინი გვხვდებიან მდინარეების - ძამას, ტანას, თეძამის, კავთურას და სხვათა ხეობებსა და აგრეთვე, მდ. მტკვრის ხეობაში. მათ ათარიღებენ ანტიკური ხანით და შუასაუკუნეებით. ანტიკური ხანის ყველაზე ცნობილ გამოქვაბულთა კომპექსს წარმოადგენს უფლისციხე, კლდეში გამოკვეთილი რომაული ტიპის თეატრით.

სხვა გამოქვაბულეიდან შეიძლება დავასახელოთ ქ. ხაშურთან და სოფ. ბაზალეთის მიდამოების სამარხი ყორღანები (გორასამარხები), ძველი ხელოვნური ტერასების ფრაგმენტები მდინარეების – ძამას, თეძამის, ხეკორძულას და სხვა ხეობებში.

რელიეფის თანამედროვე ფორმებს წარმოადგენს ხელოვნური წყალსაცავები - სიონისა და ჟინვალის, აგრეთვე უფრო მცირეებიც (კეხვის და სხვ.), რომლებსაც სარწყავი წყლის დასაგროვებლად იყენებდნენ. თვითონ სარწყავი სისტემებიც რელიეფის ანთღოპოგენური ფორმაა. მრავალსაუკუნოვანი გზები, სამთომოპოვებითი საწარმოები (კარიერები, მიწისზედა და მიწისქვეშა გამონამუშევრები) – კვაისა, კავთისხევი, ძამა და ა.შ. აგრეთვე ქალაქების - გორის, ხაშურის, კასპისა და ა.შ. თანამედროვე დაგეგმარება – ყველაფერი ეს ასევე თანამედროვე ანთროპოგენური რელიეფის მრავალფეროვანი ფორმებია.

ამჟამად საქართველო დასახელებულია ,,მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 25 ცხელ წერტილს'' შორის. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია ემუქრება არა მარტო მის ბუნებას, არამედ მოსახლეობასაც. ირღვევა არა მარტო ადამიანის კონსტიტუციური უფლება - იცხოვროს ჯანმრთელობიშთვის უსაფრთხო გარემოში.

ამჟამად არსებულ წყალშემკრებ ნაგებობებს არ შეუძლია სწრაფად მზარდი ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. 1987 წლის შემდეგ არცერთი მათგანი არ განახლებულა და არ გაფართოებულა. მათგან თითქმის ყველა, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არ ხდება მათი რეკონსტრიქცია და რემონტი, წყალსაქაჩი სადგურები ხშირად არ მუსაობს ელექტროენერგიის დეფიციტის გამო. დიდია წყლის დანაკარგები, არაოფიციალური მონაცემებით ის შეადგენს 25-30 %-ს.

წყლის დაჭუჭყიანების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სისტემები საკანალიზაციო (სამრეწველო წყლები და სამედიციმო დაწესებულებების ჩამდინარე წყლები). კერძოდ, ზედაპირული წყლების ყველაზე დიდი დამაბინძურებს წარმოადგენს კომუნალური სააკანალიზაციო წყლები (ისინი შეადგენენ დაჭუჭყიანებული წყლების საერთო რაოდენობის 90%-ს). საყოფაცხოვრებო კომუნალური კანალიზაცია ზედაპირულ წყლებს აჭუჭყიანებს ორგანული ნაერთებითა და ფოსფატებით. ყველაზე მეტადაა დაჭუჭყიანებული მდინარეები - ქვაბლიანი, ოცხე, მტკვარი, ქსანი, ბორჯომულა და გუჯარეთისწყალი.

დიდია ავტოტრანსპორტის როლი გარემოს დაბინძურებაში. შიდა ქართლის რეგიონზე რამოდენიმე სტრატეგიული ავტოსტრადაა: თბილისი – ხაშური – ბორჯომი, გორი – ხაშური - ქუთაისი, გორი-ცხინვალი – როკი – ჩრდილოეთ კავკასია. გარდა ამისა, რეგიონის ტერიტორიაზე არის დაახლოებით 1500 კმ გრუნტის გზები. ყველაფერი ეს თავის გავლენას ახდენს გეოეკოლო-გიურ გარემოზე. გზების გასწვრივ გამუდმებით წარმოიქმნება მეწყრები, ღვარცოფული ნაკადები, რაც მოითხოვს გამუდმებულ ყურადრებას ავარიული უბნების დროულად აღდგენისადმი.

ავტოტრანსპორტის მოქმედების პროდუქტებიდან ყველაზე დიდი ზეგავლენას გარემოს მდგომარეობის სეცვლაზე ახდენს შიდაწვის ძრავების მუსაობის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვი და აგრეთვე ავტომანქანის მოძრავი ნაწილების შედეგად მიღებული მტვერი. გამონაბოლქვი აირები შეიცავს რიგ ტოქსიკურ ნაერთებს, ისეთებს, როგორიცაა წყალბადის ჟანგეულები და დიოფსიდები, პოლიციკლური და არომატული ნახშირწყალბადები, ზოგიერთი მძიმე მეტალი.

ავტომანქანების გამონაბოლქვი აირების მძიმე მეტალებიდან ყველაზე საშიშია, გამოყოფის მოცულობის მხრივ, ტყვია (Pb) , ვანადიუმი (V), სპილენძი (Cu), ნიკელი (Ni) , ქრომი (Cr) და სხვა. ყველა ეს მეტალი შედის ნავთობის გადამუშავების პროდუქტებში (როგორც ბენზინში, ისე დიზელის საწვავში).

ავტომანქანის სავალი ნაწილების გაცვეთისას გარემოში ხვდება მტვერი; იგი შეიცავს რეზინის წვრილდისპერსიულ ნაწილებს, რომელთა ყველაზე უფრო ტოქსიკურ ელემენტს წარ-მოადგენს ჭვარტლი და თუთიის (Zn) ნაერთები.

სატრანსპორტო მაგისტრალის ვაკის ზემოქმედება გარემოს მდგომარეობაზე შედგება ორი ძირითადი – მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური კომპონენტისაგან.

მძიმე ლითონების გაზრდილი შემცველობის მქონეა უმეტესად ტექნოგენური და აგროლანდშაფტები. შიდა ქართლის ტერიტორიაზე გადის მაგისტრალური მილსადენები: ნავ-თობსადენები: ბაქო-თბილისი-სუფსა და გაზსა-დენი: ვლადიკავკაზი-თბილისი-ქუთაისი. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები BritiSh Bertoieum-ის მაგისტრალური ნავთობსადენის ბაქო-

თბილისი-ჯეიჰანის ასაშენებლად, რომლის ნაწილი გადის საკვლევ ტერიტორიაზე ბაკურიანის რაიონში. ყველაფერი ეს კი ადგილობრივი ეკოსისტემების დარღვევებისა და განადგურების სერიოზულ საფრთხეს ქმნის მილსადენებზე ავარიის შემთხვევაში, განსაკუთრებით საშიში და საგანგაშოა ეს მდგომარეობა თუკი გავითვალისწინებთ, რომ ისინი გადიან უნიკალური კურორტისა და მინერალური წყლის საბაადოს - ბორჯომის ახლოს.

ტრანსპორტის შემდეგ გარემოს გამაჭუჭყიანებლებს შორის შეიძლება დავასახელოთ მრეწველობა. მართალია, წარსულში, როდესაც მრეწველობა მთელი დატვირთვით მუშაობდა, სამრეწველო გაჭუჭყიანების წილი ჯამურ გაჭუჭყიანებაში შეადგენდა 30%-ს, ახლა, ამ დარგის კრიზისული მდგომარეობის გამო იგი შეადგენს 5%-ს.

საქართველოს ტყეები გამოირჩევა დიდი სახეობრივი მრავალფეროვნებით (დაახლოებით 400 სახეობა), და იმითაც,რომ დასავლეთ ევროპის ტყეებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირდ ხელოვნურად არიან გაშენებული, ისინი პირველადები არიან, ეს კი განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს – ტყის საზღვრებში მრავალი საუკუნის მანძილზე წარმოიქმნება ერთიანი ეკოსის-ტემები, მაგრამ ტყის გაქრობასთან ერთად მათი გაქრობაც გარდაუვალია. განადგურებულის აღდგენა კი შეუძლებელი იქნება.

საქართველოს ბაღების 40% შიდა ქართლის წილად მოდის. თუმცა 1990-91 წლებსი ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესებისა და საბაღე კულტურების აფეთქების გამო რეგიონის ბარების 30%-ზე მეტი გაიჩეხა და მათ ადგილზე დაითესა ხორბალი (პავლიაშვილი, 2003). ამჟამად მიმდინარეობს ბაღების აღდგენა კარალეთის სანერგე მეურნეობის ბაზაზე

მიუხედავად CITFS-ის კონვენციასთან მიერთებისა, რომელიც არეგულირებს ცხოველთა იშვიათი სახეობებით ვაჭრობას, უკანონო ვაჭრობა მაინც ფრიად არის გაშლილი. საზღვარგარეთ გააქვთ ცხოველთა იშვიათი ჯიშები (კუდიანი ამფიბიები, მტაცებელი ფრინველები და ა.შ.) და ენდემური ყვავილების ბოლქვები, კერძოდ, კავკასიის სალამანდრა, რომელიც გაქრობის პირას არის მისული. 1959-დან 1985 წლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა ლანდშაფტების სტრუქტურის მკვეთრად შეცვლას. პირველ რიგში ჩვენი ინტერესის საგანს ანთროპოგენური ლანდშაფტების დინამიკა წარმოადგენს.

გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებისა და ჰიფსომეტრიული ნიშნულების მიუხედავად საქართველოს პრაქტიკულად ყველა ლანდშაფტი ანთროპოგენულ პრესინგს განიცდის, რომელშიც ჩართულია 20-დან 79%-მდე ბტკ-ებისა. ,,განსაკუთრებით ინტენსიურად ხდება რელიეფის ბრტყელი და სუსტად დახრილი ზედაპირების ლანდშაფტების გარდაქმნა. ამ ზონაში ტრანსფორმირებულია ლანდსშაფტების 60-დან 80%-მდე. ანთროპოგენური ზემოქმედე-ბის თანამედროვე ტემპის შენარჩუნებისას 15-20 წლის შემდეგ ვაკე უბნებში ბუნებრივი ლანდშაფტები მთლიანად იქნება შეცვლილი, ანთროპოგენური ლანდშაფტებით''.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-38-ებში
და ანთოლოგიის მე-5-10 ტომებში)

განხილვა მეფე ლუარსაბ II-ის სიკვდილის შესახებ

როცა შაჰ-აბასმა, ლუარსაბ II-სთან ერთად, თბილისი დატოვა და ირანისკენ გაემართნენ, შაჰმა მას მეთვალყურე მცველები დაუნიშნა, მისგან ასეთი ქმედება იმას გვეუბნება, რომ ლუარსაბი მისთვის ძვირფასი ტყვეა, რადგან ის ქართლიდან წაიყვანა, გონებაში ქართლის საქმეც მოგვარებულად მიიჩნია. ლუარსაბისათვის მცველების დანიშვნა, შაჰისაგან ერთგვარი შიშისგან მომდინარეობდა, მასზედ გულშემატკივარ ქართველებს მალულად გზიდან არ გაეტაცათ, ისევ ქართლში დაბრუნებულიყვნენ და ვინ იცის, შაჰის წინააღმდეგ აჯანყებაც წამოეწყოთ. როცა შაჰმა ლუარსაბ II ირანში ჩაიყვანა, პირველი, რაც მისგან მოითხოვა – სარწმუნოების შეცვლა იყო, რაზედაც მტკიცე უარი მიიღო. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ შაჰმა ლუარსაბი პირდაპირ გულბაყალის ციხეში მოათავსა. შაჰი მას განზრახ ცუდ პირობებს უქმნიდა იმ მიზნით, რომ მისი ნებისყოფა მოედრიკა და თავის სურვილზე დაეთანხმებინა. მაგრამ ქედ-უხრელი იყო მეფე ლუარსაბი. მკითხველის ყურადღებას ერთ მოვლენაზე გავამახვილებ. ქეთევან დედოფალი, შაჰ-აბასმა, ირანში 1614 წელს ჩაიყვანა, იმ დროიდან 1624 წლამდის. ეი 11 წელი ირანში იყო, როგორც საპატიო ტყვე. როგორც ცნობილია ისტორიული წყაროებით ქეთევან დედოფალი თავის მოძღვარ მოსესთან ერთად ხშირად დადიოდა კათოლიკურ ტაძარში სალოცავად. უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფალი იმ წლებში შაჰისაგან შეზღუდული არ იყო. თუ შედარებას მოვახდენთ ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ II-ს შორის ირანში ყოფნის მდგომარეობაზე, განსხვავებას დავინახავთ. იმ კუთხით, რომ ქეთევანს საშუალება აქვს კათოლიკურ ტაძარში სიარულის, ლუარსაბ II მთელი შვიდი წელი ციხის კედლებსაა ამოფარებული. რადგან ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფოდან ჩასული ქრისტიანული ელჩებისაგან მოთხოვნამ – გაეთავისუფლებინათ ქრისტიანული ქვეყნის ქრისტიანი დედოფალი და შემდეგ შაჰის ცოლობაზე ქეთევან დედოფლისაგან უარის თქმამ დააჩქარა მისი სიკვდილი. როცა ლუარსაბ II-ეს შაჰის ბრძანებით მთელი 7 წელი ციხეში ჰქონდა გატარებული, ამ დროის მანძილზე შაჰი დარწმუნდა, რომ ლუარსაბ მეფე ქრისტიანულ სარწმუნოებას არასოდეს შეიცვლიდა. რადგან ლუარსაბ II-ე სარწმუნოების შეცვლაზე უარს ამბობდა. მას ქართლში დაბრუნებაც აღარ ეწერა იმის გამო, რომ ისევ ქრისტიანად მყოფი ლუარსაბ II-ე შაჰის გეგმებს ქართლში ვერ შეასრულებდა. შაჰს დიდი მცდელობა დასჭირდა ლუარსაბის ირანში ჩასაყვანად, მას იმედი ჰქონდა – სარწმუნოებას შეაცვლევინებდა, არ გამოუვიდა, რამაც მისი ქართლში დაბრუნება გამორიცხა, რადგან შაჰს ლუარსაბის გადმობირების ყველა გზა ამოეწურა, რაღა დარჩა? ჩემი ვარაუდით, 1622 წელსაც იგივე მდგომარეობა უნდა შექმნილიყო, ქრისტიანული სახელმწიფოს რუსეთის ელჩობას ინფორმაცია ექნებოდა ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის ირანში ტყვეობისა. შესაძლოა, შაჰი რუსეთის ელჩობას ელოდებოდა, იცოდა ლუარსაბ II-ის გათავისუფლებას მოსთხოვდნენ, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს წარმომადგენლები, ქრისტიანი მეფის შესახებ. ამან დააჩქარა შაჰისათვის ქედმოუხრელი ლუარსაბ მეფის სიკვდილი და შაჰი ელჩებს განუცხადებდა, ლუარსაბს მძიმე სენი შეეყარა და გარდაიცვალაო. (შაჰმა ლუარსაბის მოკვლა ჯერ მაშინ სცადა, როცა ლუარსაბმა 1610 წელს, თბილისიდან დელუ მაჰმად-ხანის ჯარები გააყვანინა და ყაზაყლარს წერილი მისწერა, მოეკლა ლუარსაბი).

ლუარსაბ მეფე 1615 წლიდან 1622 წლამდის, სიცოცხლის დასასრულამდის სარწმუნოების შეუცვლელად ცხოვრობდა ირანში, გულბაყალის ციხეში. მას რომ სარწმუნოება შეეცვალა, ეს იქნებოდა დასტური იმისა, რომ ლუარსაბ II-ე შაჰის წინადადებას დათანხმდა და აქედან გამომდინარე, შაჰის ინტერესებიც უნდა შეესრულებინა. ე.ი. თუ ლუარსაბი ქრისტიანულ სარწმუნოებას უარყოფდა და მიიღებდა მაჰმადიანურს, ეს იქნებოდა ის წინა პირობა, რომ შაჰისთვის სან-

დო პირი გამხდარიყო. ასეთ საფუძველზე შესაძლო იყო 1619 წელს, როცა ქართლის გამგებელი ბაგრატ - მირზა გარდაიცვალა, მის ადგილას სარწმუნოებაშეცვლილი ლუარსაბ II-ე დაენიშნა. მტკიცე რეალობა კი ის იყო, რომ ლუარსაბ II-ე ქრისტიანულ სარწმუნოებას არასოდეს შეიცვლიდა და ქართლის გამგებელიც, შაჰის თვალსაზრისით, ვერასოდეს გახდებოდა.

ლუარსაბ II-ე, როგორც კი მოევლინა ამ ქვეყანას, ის იმ წუთიდანვე სპეტაკი და წმინდანი იყო, და როგორც კი გახდა საჭირო, თავის მეობის დამტკიცება, არ დაახანა და მორჩილად გაჰყვა შაჰს ირანში, რომელმაც იცოდა რა მოელოდა მისგან, როგორც კი ლუარსაბმა თავის გონებაში განსაზღვრა, თავის ქვეყნისათვის თავი გაეწირა, რომ ცოტა მაინც დაეშოშმინებინა შაჰის ავი ზრახვანი ქართლისთვის. ეს ნაბიჯიც იმ წუთიდანვე წმინდანობაში აითვალა, რომ თავისი რწმენის ერთგული დარჩებოდა სიკვდილამდის და სიკვდილის შემდეგ მისმა ცად ამაღლებულმა სულმა თავის ხალხს დაანახვა, თუ როგორი შვილიშვილი ჰყოლია მეფე სიმონ I-დიდს. ეი წმინდანის სიმტკიცე სულიერებაშია, იგი საკუთარ თავს ფიზიკურად ვერ იცავს, მაგრამ თავისი შეწირულობით აკეთებს უდიდეს საქმეს, როცა რწმენასა და სულიერ სიჯანსაღეს აფუძნებს ერის ფსიქოლოგიაში, რაც დიდი ამაგი და ღირსებაა თავისი ქვეყნის სამსახურად. წმინდანის მდგომარეობა და გადაწყვეტილება ზნეობრივ კანონებს ემსახურება, მისი დამცველი და შემნახველია. რაც უდიდესი პირობაა ხალხის მარადიული არსებობისთვის. არის მეორე აუცილებლობაც, ერს, ხალხს, საზოგადოებას, მიწა-წყალს დაცვა, დახსნა და ფიზიკურად გადარჩენაც ხომ სჭირდება. ამ მისიის შემძლეც ხომ ვიღაცა უნდა ყოფილიყო, თუ ერის მარადიული არსებობისთვის ზნეობრივი მხარე გამოძებნილია, აუცილებელია ფიზიკურად გადარჩენის მხარეც გამოიძებნოს, რამეთუ ამ ორივეს ერთობლიობაშია ხალხის, ერის, მარადიული არსებობის წესი.

ლუარსაბ II-მ, ამ უსპეტაკესმა კაცმა, თავისი წოდებრივი მოვალეობა, მეფური შეუვალობა ვერ დაიცვა, შიშით აბობოქრებულ ნაწილ დიდებულთაგან ჯვარდაწერილი ცოლი ვერ დაიცვა, გააშვებინეს. მაგრამ დაიცვა და ბოლომდის შეასრულა ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი სიყვარული, სიმტკიცე და რწმენა.

ლუარსაბ II-ს ჰქონდა უნარი და ბოლომდის შეძლო, დემეტრე თავდადებულის თანამსგავსი გმირობა ჩაედინა, მაგრამ ამით საშველი ხომ ვერ დაადგა მის სამეფოს – ქართლს და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს. ეი კიდევ იყო, რაღაც დიდი გასაკეთებელი, რაც შაჰ-აბასის მიმართ, ჯერ ერთგულების დამტკიცებაში გამოიხატებოდა, ნდობის მოპოვებაში, ქართლში დაბრუნებაში, გოლგოთის მსგავსი მოთმინებით აღჭურვაში, თავის თანამოძმეზე, მოძულე მხარის მიმართ შემრიგებლური მდგომარეობის გამონახვაში, ბოლოს კონსპირაციული აჯანყების გამარჯვებით დამთავრებაში.

იმ ეპოქაში საქართველოს მოსახლეობა ზნეობრივად ამაღლდა და განმტკიცდა ქეთევან-დედოფლის მოწამებრივი აღსასრულით.

საქართველოს მოსახლეობა ამაღლდა და სულიერი რწმენის საფუძველი შეექმნა ლუარსაბ II-ის მოწამებრივი აღსასრულით.

საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურად გადარჩა და თავის მიწა-წყალზე არსებობის უფლება შეინარჩუნა გ. სააკაძის მოთმინებითა და თადარიგიანი ომებით.

თუ ვინმეს თხოვნას შეეძლო მოელბო შაჰის გული, ლელა-თინათინი უნდა ყოფილიყო, რომ ლუარსაბ მეფის განთავისუფლება თუ არა, გულბაყალის ციხის ნესტიან კედლებში არა ჰყოლოდა.

მართალია, შაჰს ბევრი ცოლი ჰყავდა და ყველა მათგანისათვის რომ ესმინა, ამას შაჰის პოლიტიკური მიმართულება არ ითვალისწინებდა. და მაინც, როგორც თვითონ ბებიით ქართველს, ქართლის მეფის დისთვის და თავისი მეუღლისათვის, ანგარიშის გაწევა ემართა, თუნდაც იმ კუთხით რომ ციხის კედლებიდან მაინც გამოეყვანა. 1622 წელს, როცა შაჰმა ლუარსაბ II-ე სიკვდლით დასაჯა, როგორც მიწიერი, იმას მაინც ჩახვდა, რომ ლელა-თინათინს თავის ძმის მკვლელთან დიდხანს გაძლება აღარ შეეძლო და მაშინ შაჰმა, კახეთის მმართველად დანიშნულ ფეიქარ-ხანს გადაულოცა. (იმ ხანად ფეიქარ-ხანი ხორნაბუჯში იდგა, იქიდან აწვდიდა ინფორმაციებს შაჰ-აბასს საქართველოს შესახებ. ლელა-თინათინი კი, როგორც საჩუქარი, ისე გაუგზავნია მისთვის.)

ვისი რჩევისა და თხოვნის მომსმენი იყო შაჰ-აბასი, როცა თავის შვილებსა და შვილიშვილებს, მხოლოდ ეჭვიანობის ნიადაგზე, გამოუძიებლად სიკვდილით უსწორდებოდა, შაჰი თავის მეუღლეს ლელა-თინათინს არ უსმენს, ნიშნავს ანგარიშს არ უწევს, რომ ძმის ლუარსაბის მდგომარეობა შეუმსუბუქოს. შაჰი თავისი საკუთარი შვილიშვილების დედებს, რძლებს არ უსმენს,

ნიშნავს არ ინდობს, რომ უსაფუძვლო ეჭვიანობის ნიადაგზე, თავისი შვილიშვილები შეიწყალოს, და სიკვდლით არ დასაჯოს.

თუ შაჰის ნება არ იყო ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში, გ. სააკაძის რჩევა რას შეცვლიდა, ან რაში ესაჭიროებოდა? მით უმეტესი, როცა შაჰი ლუარსაბს შვიდი წლის მანძილზე აიძულებდა, რომ სარწმუნოება შეეცვალა, რომ ვერაფრით გატეხა, მისთვის სიკვდილს დაიშურებდა? გავიხსენოთ, შაჰმა ლუარსაბის მოკვლა, მოჰამედ-ხან ყაზაყლარის ხელითაც სცადა 1610 წელს. და თეიმურაზ I-ის ხელითაც სცადა 1614 წელს. ურთიერთსაწინააღმდეგო წერილების გამოყენებით, სანამ კახეთზე ლაშქრობას განახორციელებდა.

ასეთ თვითნება მტარვალს, ლუარსაბის II-ის მოსაკლავად ვისგანღა დაჭირდებოდა თხოვნა, სააკაძისგან? იმ კაცისგან, რომელიც თავის ოპოზიციონერ თანამოძმეებს შერიგების ხელს უწვდის და არც ერთი თავის მოძულე პირი არ დაუსჯია? შაჰს თავის სახელმწიფოს იმიჯის შემარყეველი სააკაძე როგორ დაესაჯა, ყველა გზას ეძებდა. იმ ხანად შაჰის ავი თვისებები თუ ვინმემ იცოდა, ერთერთი თეიმურაზ I იყო. შაჰისთვის სააკაძის სიკვდილში ხელის შემწყობი ხომ აღმოჩნდა, იმ მიზნით, რომ ქართლ-კახეთში მეფობა შეენარჩუნებინა, ერთად გამონახეს საერთო აზრი, სააკაძის რეპუტაცია ხალხის თვალში შეერყიათ და ამ საფუძველზე, მისი ლიკვიდაცია მოეხდინათ.

შაჰ-აბასის ხასიათებში ჩახედვისათვის, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. 1614 წელს, როცა შაჰი თავისი ჯარებით საქართველოსაკენ გამოემართა და კახეთის საზღვრებს მოადგა, თავისი მოენეებით ხმა გაავრცელა, რომ ვითომ ოსმალეთზე სალაშქროდ ემზადებოდა, რომ ეს ინფორმაცია თეიმურაზის ყურამდის მისულიყო. მცირე ხნის შემდეგ შაჰმა „ცალკე კაცი გააგზავნა თეიმურაზთან და შეუთვალა, როგორც გაცნობეს, ოსმალეთზე სალაშქროდ ვემზადები, მე რომ მშვიდად ვიყო, რომ მათი მომხრე არ გახდები, შვილი მძევლად უნდა გამომიგზავნოო.“ დიდ გასაჭირში ჩავარდა თეიმურაზ მეფე. ბერი ეგნატაშვილი განმარტავს იმ ვითარებას და ამბობს, „დაუჟინეს კახთა”, ესე იგი, კახეთის დიდებულებმა აიძულეს ჯერ ალექსანდრე და შემდეგ ლევანი შაჰთან გასაგზავნად მოემზადებინა. (არსებობს ასეთი აზრი, რომ შაჰ-აბასი თეიმურაზ I-ისაგან მხოლოდ ორი შვილის გაგზავნას ითხოვდა, ქეთევან დედოფალს თვითონ გადაუწყვეტია წასულიყო შაჰ-აბასთან, რომ შაჰის კარზე თავის შვილიშვილებს პატრონი ჰყოლოდა), გულდასმით გავაანალიზოთ თეიმურაზ I-ის მდგომარეობა იმ კონკრეტულ მოვლენებში, თუ რა მოთმენას და დათმენას ითხოვდა მეფისგან, შაჰის წაყენებული ულტიმატუმი შვილების დათმობის შესახებ. როგორი გასაჭირი ადგას მეფეს, თავის ქვეყანა მსხვერპლს ითხოვს მეფისგან, უფრო სწორად მტერმა დააყენა ასეთი ხარკის გაღების წინაშე. რომ კახეთის მეფე მუდმივ მორჩილებაში ჰყავდეს, თუ არ იქნება მეფე შაჰის მუდმივ მორჩილი, ვაი, მეფის ბრალი, შვილებს გაუწყვიტავს, რომ დაუმორჩილებელი მეფის შვილებიც, შაჰის მორჩილებას ვერ იზამენ. რა ექნა თეიმურაზ მეფეს? მტერს თადარიგიანი და მტრული დახვედრა სჭირდებოდა რომ ეგრძნო, შაჰსა და მის ჯარებს ქართული სიმტკიცე, რომ სეტყვის მსგავსად მოდიოდნენ და კახეთში კლდის მსგავსი სიმტკიცე უნდა დახვედროდა, რომ დამსხვრეულიყო მათი დროებითი სიმაგრე. დიდებულები გვერდში კი უდგანან მეფეს, მაგრამ რა ენაღვლებათ, მათ შვილებს ხომ არ ითხოვდა შაჰ-აბასი, მეფის შვილებს ითხოვდა. რჩევა ეკითხებოდათ? მზად იყვნენ, ისეთ აზრებს გამოასხივებდნენ, ვითომ ქვეყანა გადარჩენილიყო, სინამდვილეში თავისა და თავიანთი ჯალაბის გადარჩენის თადარიგს იჭერდნენ და აიძულებდნენ მეფეს, თავიანთ მოფიქრებულ აზრზე დათანხმებულიყო.

როგორც კი ქეთევან დედოფალი შვილიშვილებით შაჰთან გამოცხადდა, შაჰმა ელჩი მოჰამედ-ბეგ თალიში სასწრაფოდ ოსმალეთის სულთანთან გააგზავნა და ადრე გავრცელებული ხმები ნამდვილი რომ არ ჰგონებოდა, აცნობა ნამდვილი მიზეზი კახეთზე ლაშქრობისა. ასეთი იყო შაჰის თვისებები მაშინაც, როცა დაუდ-ხან უნდილაძე გაგზავნა თეიმურაზთან და მწუხარება შეუთვალა თავისი დედის, ქეთევან-დედოფლისა და შვილების მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ, თავისივე ჩადენილ ამ უსასტიკეს დანაშაულით გამოწვეული. შაჰის შესახებ მკითხველს კიდევ ერთ მოვლენას შევახსენებ, რაც მის ავანტიურისტულ ხასიათს წარმოაჩენს.

კახეთზე ლაშქრობების მიზეზს, ისქანდერ მუნშის განმარტებით, თეიმურაზს აბრალებს, ვითომ იმის გამო, რომ შაჰს ირანში არ ეახლა. ასეთი ერთპიროვნული იყო შაჰის სურვილები და გადაწყვეტილებები.

თეიმურაზ I-ს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებდა შაჰის ჯარებთან შეტაკებას გარდა წიწამურის ომისა, სადაც მეფემ უდიდესი მარცხი აგემა ირანულ ჯარებს, შაჰ-აბასი ასეთ კაცს კახეთის აოხრებას აბრალებს. კაცმა, რომელმაც შაჰ-აბასს მარტყოფის აჯანყებით გაუნადგურა 27 ათასი მეომარი და შეურყია სახელმწიფოებრივი ძალმოსილება, ჩაუშალა აღმოსავ-

ლეთ საქართველოს განადგურების გეგმა, ასეთი კაცის მიმართ ბრალდებების წაყენება გაუჭირდებოდა? ლოგიკა მკაცრი და თანმიმდევრულია, რომ შაჰ-აბასის დავალებით წამოვიდა დაუდ-ხან უნდილაძე, რომელსაც მოჰქონდა შაჰის შედგენილი პროგრამა თეიმურაზ I-თან წარსადგენად. შაჰი ურჩევდა, გონი მოეკრიბა და ირანული ორიენტაციის მიმართ ერთგულება გამოეჩინა, საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძისთვის დასაეჭვებელი ბრალდება უნდა შეეთხზათ, ამ საფუძველზე სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ. რადგან შაჰმა დაუდ-ხან უნდილაძე გამოგზავნა, ამით თეიმურაზ I გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მას ან სააკაძის საწინააღმდეგოდ უნდა ემოქმედა, ან ქართლ-კახეთის მეფობა დაეთმო. როგორც ჩანს, სამეფო გვირგვინს მაგიური მიზიდულობაც აქვს და ამან განსაზღვრა ყველაფერი. რადგან სააკაძე ქართველ ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ასეთ კაცთან, დასაპირისპირებლად მხოლოდ მძიმე ბრალდება უნდა წაეყენებინათ, მძიმე ბრალდების ინიციატორი კი შაჰ-აბასი იყო. ე. ი. თეიმურაზ I-ს, შაჰის იდეით, სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულების პროგრამა პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა.

სააკაძის მოკვლისათვის შაჰი თავის სახელმწიფოს ნახევარს დათმობდა და ბრალდების შეთხზვა გაუჭირდებოდა?! შაჰმა იცოდა, 1612 წელს სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება ბააკა ხერხეულიძემ ჩაშალა. 1615 წლის შეთქმულება ქაიხოსრო ჯავახიშვილისგან მოწყობილი, სააკაძის ერთგულმა ხალხმა ჩაშალა. თვით შაჰის მიერ გამოგზავნილი შიკრიკი, რომელსაც უბეში მისი წერილი ჰქონდა სადაც ეწერა, „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი აჰყარეთ", – ვერც ერთს ეღირსა და ვერც მეორეს, რაც სააკაძის სიფხიზლემ და თადარიგიანობამ განაპირობა. ის, რომ ამ წერილის შინაარსი ქართველ ხალხს გააცნო, თუ რა ეწადა შაჰ-აბასს ქართლის მოსახლეობისათვის, მათი ეროვნული ენერგია ერთ მუშტად შეკრა, და სულ რამოდენიმე დღეში ყიზილბაშური არმიები მარტყოფის ველზე განადგურდნენ.

სააკაძე თავის თავზე არ ფიქრობდა იმდენს, რამდენსაც მისი თანამოაზრენი ფიქრობდნენ მის სიცოცხლეზე, რადგან მის ერთგულ ხალხსაც ჰქონდა გამოცდილება, რამდენჯერ გადაურჩა სააკაძე სიკვდილს. ამიტომ მისი გარემოცვა მას უყურადღებოდ არ ტოვებდა. მით უმეტეს, როცა მარტყოფის ველზე, მისი ორგანიზებით, მტრის 27 ათასი მეომარი განადგურდა, ასეთი კაცი ქართველ საზოგადოებას მხსნელად და გადამრჩენად მიაჩნდათ, და უფრო მეტი, როცა იცოდნენ, შინაური თუ გარეული მტრის თვალი მის მიმართ სულ ჩასაფრებული იყო, ასეთ კაცს უყურადღებოდ დატოვებდნენ?!

* * *

1609 წელს, ტაშისკარის ომში ოსმალოებზე ქართველების გამარჯვებით კმაყოფილი შაჰ-აბასი ირანში იწვევს ლუარსაბ II-ს, მისადმი პატივისცემის აღსანიშნავად. ამ წვეულებაზე ლუარსაბმა თბილისში დაბანაკებული დელუ-მაჰმად-სანის გარნიზონის გაყვანა მოითხოვა. შაჰს სხვა გზა არა ჰქონდა, ვინაიდან ოსმალეთთან საომარმა ვითარებამ არასასურველი ხასიათი მიიღო. ახლა მოძლიერებულ და გამარჯვებულ ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს უარი ვერ უთხრა და შაჰმა თბილისიდან გაიყვანა ირანული გარნიზონი. მალე ბოღმა ველარ დაიოკა, წერილი მისწერა ყაზახის პროვინციის მმართველს მოჰამედ-ხან ყაზაყლარს, შეეკრიბა ჯარი, შესეოდა ქართლს, მოეკლა ლუარსაბ II-ე, მისი სამეფო აეოხრებინა და შემდეგ დაპატრონებოდა. ამ ორ მხარეს შორის ბრძოლა შედგა, შაჰ-აბასი ელოდებოდა, რომ ლუარსაბ II-ე გაიწირებოდა და მის მოკვეთილ თავს შაჰს წინ დაუდებდნენ: მოხდა პირიქით, მოჰამედ-ხან ყაზაყლარის თავი აღმოჩნდა შაჰის ფეხებთან.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, არაქელ-თავრიზელი, მოგვითხრობს შაჰ-აბასის მეთოდებზე, წერილების შესახებ, რაც ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ს შორის წასაკიდებლად გამოუყენებია. თეიმურაზს სწერდა; – მოკალი ლუარსაბი II-ე და მისი სამეფო შეიერთეო. იგივე შინაარსის წერილი მისწერა ლუარსაბსაც, მოეკლა თეიმურაზი და მის სამეფოს დაპატრონებოდა. საქართველოს მეფეებმა გონიერება გამოიჩინეს, წერილები ერთმანეთში წაიკითხეს და მტრის პოზიციების განხილვას შეუდგნენ. შაჰი ფიქრობდა, თუ დასავლეთ საქართველოს ერთი მეფე ჰყავს, აღმოსავლეთ საქართველოში რა საჭიროა ორი მეფე? ჯობია, ერთი იყოს და ჩემი მორჩილიო. ამდენად, შაჰ-აბასმა ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზ I-ის წაკიდება წერილების საშუალებით სცადა. თუ რომელიმე გაიწირებოდა, მისთვის უკეთესი. ერთი მეფის ტარება თავის ჭკუაზე უფრო იოლი იყო. დავაკვირდეთ, შაჰმა, 1622 წლამდის, სანამ ლუარსაბს სიკვდილით გაუსწორდებოდა, წერილების საშუალებით, ორჯერ დააყენა სიკვდილის პირისპირ. ე.ი. შაჰი თავისი მიზნების და იდეების მოწინააღმდეგეს ხელში თუ ვერ ჩაიგდებდა, წერილებით ურთიერთ გადაკიდების გზას მიმართავდა და მის სიკვდილს ცდილობდა.

ლუარსაბმა, ამ უსპეტაკესმა ადამიანმა, ისეთი რა ზიანი მიაყენა შაჰს, (მისი მოთხოვნა, – ირანულ ჯარს თბილისი დაეტოვებინა, პოლიტიკური მოტივით იყო შაჰისთვის მიუღებელი, თორემ ირანის გავლენაში მყოფ ქართლში მას ჯარის არც გაყვანა გაუჭირდებოდა და არც შემოყვანა.) რის გამოც პირდაპირ სიკვდილის წამალი გამოუწერა ლუარსაბს. დავაკვირდეთ შაჰ-აბასს, რომელსაც სააკაძემ მარტყოფის აჯანყებით სახელმწიფო ძალმოსილება შეურყია, ქსანზე გამარჯვებით ჩაუშალა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის ოცნება, ვინაც ასეთი ზარალი მიაყენა, ასეთი კაცის მოკვეთილი თავისათვის შერყეული ირანის სახელმწიფოს ნახევარს კიდევ დათმობს? თავისი შელახული მდგომარეობის აღსადგენად, მეფე თეიმურაზ I-თან საერთო ენის გამონახვა გაუძნელდებოდა? თუ სააკაძის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდების გამოძებნა გაუჭირდებოდა?

1615 წელს შაჰ-აბასს ლუარსაბ II-ე ირანში რომ წაეყვანა, რამდენი ძალისა და სურვილის გამოხმობა დაჭირდა, სარუს-ხოჯასი და შადიმანის მეშვეობით, ბოლოს თავისი ცოლისა და ლუარსაბის დის – ლელა-თინათინისაგან წერილის მიწერაც გამოიყენა ლუარსაბის დასაყოლიებლად. შაჰი წერილით იმუქრებოდა, თუ ლუარსაბ II-ე არ გადმოვა და გორში არ მეახლება, მის სამეფო ქართლს, მოურავს ან ალექსანდრეს (იმერეთის მეფის შვილი) გადავულოცავო.

ეს ვითარებები იმ დროს იმერეთის სამეფოში მყოფი თეიმურაზ I-ის თვალწინ ხდებოდა, ლუარსაბ II-ე ფიქრობდა, შაჰ-აბასს ქართლიც კახეთის მსგავსად რომ არ აეოხრებინა, ჯობდა შაჰთან გამოცხადებულიყო გორში, რადგან ქართლი იმ დროს ირანული არმიებისათვის ნაკლები წინააღმდეგობის გამწევი იყო. მეფე ასეთი ნაბიჯით ნაწილობრივ მაინც ჩააცხრობდა შაჰის ავ ვნებას ქართლის სამეფოს მიმართ. (მის გულში ამ დროს სამშობლოს სიყვარულის უსპეტაკესი გრძნობა თრთოდა.)

იმ ხანად ლუარსაბის შაჰთან გამოცხადებაზე ყველაზე დიდ წინააღმდეგობას თეიმურაზი უწევდა, – ნუ ეახლები შაჰს, მისგან სიკვდილი გარდაუვალიაო. შაჰი კახეთზე ლაშქრობების დროს თეიმურაზსაც იწვევდა ირანში, მისი მიზანი იყო, კახეთში სამეფო დინასტია გაენადგურებინა. თეიმურაზი ხვდებოდა ამას და ირანში ჩასვლაზე უარს ამბობდა. როცა იმერეთში მყოფმა ლუარსაბმა გადაწყვეტილება მიიღო, წარმდგარიყო შაჰის წინაშე და წასასვლელად გაემზადა, თეიმურაზი წინ გადაეღობა, ხელი აეღო განზრახვაზე. მე ეს ეპიზოდები იმის გამო მოვიყვანე, რომ მან, თეიმურაზმა, ძალზედ კარგად იცოდა, როცა შაჰი ლუარსაბს ირანში ჩაიყვანდა, ირანიდან მისი დაბრუნება გამორიცხული იყო და უეჭველად სიკვდილი ელოდა. ვინმეს გაუჩნდება აზრი იმისა, რომ თეიმურაზ I-მა არ იცოდა, რა მოელოდა შაჰ-აბასისაგან ირანში ჩაყვანილ ლუარსაბ II-ს? სწორედ ესაა სამწუხარო, რატომ გაიზიარა თეიმურაზმა შაჰ-აბასის გეგმა სააკაძის იმიჯის შელახვისათვის ბრალდებად ლუარსაბ II-ის სიკვდილი რომ წაუყენეს. აქ პასუხი მხოლოდ ერთია, რადგან შაჰ – აბასმა მოახერხა თეიმურაზ I-ისა და ნაწილ დიდებულთა ზავის პირობით გადაბირება, სადაც თეიმურაზ I-ის ინტერესიც შედიოდა, რომ მას, ქართლ-კახეთში მეფობა განუმტკიცდებოდა, მოიფიქრეს და სააკაძის მოსაკლავად, მიზეზად ლუარსაბ II-ის სიკვდილი შეუთხზეს.

გ. სააკაძისაგან ქართლის სამეფოს კახეთის სამეფოსაგან გამოყოფის მიზეზები და საფუძვლები.

დიდო მოურავო, გაქვს მიზნად
რომ შენს ქვეყანას მოუნახო
გადარჩენისა და ერთიანობის წამალი,
მაშინ ისიც უწყოდე ასეთ გზაზე
მოგელის ჭირ-ვარამი მრავალი.

1 როცა 1614 წლიდან 1617 წლამდის შაჰ-აბასმა, კახეთის მხარეში ოთხი ლაშქრობა ჩაატარა, და მის ლაშქრობებს შეეწირა 300-ათასი ადამიანი, 400 ათასი კი ირანში გადაასახლა.

როცა კახეთიდან, შაჰ-აბასის ბრძანებით, გაიზიდა მრავალი ხელით ნაკეთი განძეულობა.

როცა შაჰ-აბასის ბრძანებით კახეთის მხარეში აიჩეხა ვენახები, განადგურდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, რომ შემდგომ მთებში და საქართველოს სხვადასხვა მხარეში გახიზნულ მოსახელობას, დაბრუნების შემთხვევაში, საარსებო საშუალება მოსპობოდათ.

როცა „წიწამურის ომში“ ქართველებმა მტრის 7-ათასი მეომარი გაანადგურეს.

როცა „მარტყოფის ომში“ ქართველებმა მტრის 27-ათასი მეომარი გაანადგურეს.

როცა „მარაბდის ომში“ ქართველებმა მტრის 14 – ათასი მეომარი გაანადგურეს,

როცა ლისის ბრძოლაში ქართველებმა 60 კაცით 700 ირანელი გაანადგურეს,

როცა ქსნის ომში ქართველებმა 2400 კაცით მტრის 12 – ათასი მეომარი გაანადგურეს, ამ მარცხით შაჰმა ხელი აიღო აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობაზე.

როცა თარეშული ბრძოლებით მტრის ჯარებისაგან განთავისუფლდა თბილისის ციხე (დედა ციხე,) გორის ციხე, ბირთვისის ციხე, განჯის ციხე.

როცა სამხრეთ საქართველოდან მტრისგან განთავისუფლდა აწყურის, ახალციხის და ფარავნის ციხეები.

როცა ამ მოვლენებს წინ უძღოდა, შაჰ-აბასისაგან ლუარსაბ II-ის წამებით აღსასრული.

როცა წინ უძღოდა, შაჰისაგან ქეთევან დედოფალის და მისი ორი შვილიშვილის წამებით აღსასრული.

როცა პაატა სააკაძე აღმოსავლეთ საქართველოს ხსნას შეეწირა. როცა მტრის ჯარების ბოლომდის განადგურებისათვის, ხმლის ერთი ძლიერი მოქნევაღა იყო საჭირო და ამ საფუძველზე ქართული ეროვნული მისიაც გამთლიანდებოდა, რა სიკეთეების მომასწავლებელი იყო შაჰ-აბასის ზავის პირობაზე დათანხმება?

შაჰ-აბასისაგან წაყენებული ზავის პირობა, ქართველთა მხარისაგან გაუთვალისწინებელი დათანხმება რომ იყო მალევე გამოჩნდა, შაჰმა, ზავის პირობით, რომ თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთში მეფობას განუმტკიცებდა, სიტყვა გატეხა, მან სიმონ II-ე ქართლიდან არ გაიწვია, თბილისი და ქვემო ქართლი მის განკარგულებაში იყო, თეიმურაზ I-ი შიდა ქართლში და კახეთში მეფობდა.

როცა 1587 წელს შაჰ-აბასმა ირანის ტახტი დაიკავა.

1605 წლიდან 1625 წლამდის (მარტყოფის აჯანყებამდის) შაჰ-აბასის დიდება ზენიტში იყო ასული, შეიძლება თამამადაც ითქვას, ირანის სამეზობლო, ქვეყნებში მსგავსი წარმატების მქონე სახელმწიფო არ იყო. შაჰ-აბასის გეგმებით ირანის სახელმწიფოს აღმა სვლამ უმაღლეს მწვერვალს თითქმის მიაღწია, ასეთი დიდების მწვერვალის მეორე მხარე, დაბლა სვლა, წარუმატებლობა ანუ ქვეყნის დასუსტება იყო, რაც სააკაძემ მარტყოფის აჯანყებით ირანის სახელმწიფოს მიაყენა. აკი ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ-მუნში და თურქი ისტორიკოსი მუსტაფა-ნაიმა ერთნაირად აფასებენ მარტყოფის აჯანყებას და ამბობენ, – ორმოცი წელი ირანის ქვეყანას ასეთი ზარალი არ მოსვლიაო. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა შაჰმა ხმამაღლა გაავრცელა თავის მიზანი და ჯილდოდ გამოაცხადა, ვინც სააკაძის მოკვეთილ თავს მოუტანდა, ის თავის სახელმწიფოს ნახევარს დასთმობდა. თუ ვინმეს შაჰის გულის გახარება ეწადა, საამისო დრო დამდგარიყო. ამ საქმის აღსრულება უძნელესი იყო.

შაჰ-აბასს აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დამორჩილება და დამონება ეწადა. საამისოდ შეემზადა და საქართველოში გამოგზავნა 90 ათასი მეომარი, აქედან 65-70 ათასამდის გაუნადგურდა, ამ საფუძველზე საქართველოს მიმართ დამპყრობლური გეგმები ჩაეშალა. ახლა ამოდენა ზარალის მქონე შაჰი, თავის დაზარალებული ქვეყნიდან ნახევარს კიდევ დათმობს, ოღონდ სააკაძე განადგურდეს. (ეი შაჰმა თავის სახელმწიფოს ნახევარი სასწორის ერთ პინაზე დადო, მეორე პინაზე სააკაძის მოკვეთილი თავი)

როგორი გაჭირვება და კრიზისი გაჩენილა სააკაძის აჯანყებით შაჰის ქვეყანაში, რომ ასეთ დათმობაზე წასულა ირანის „ლომი“. ე.ი. იმ ეპოქაში ვერავინ შეძლო შაჰ-აბასის იმპერიული სახელმწიფოს შერყევა, გარდა ნოსტელი გ. სააკაძის თადარიგიანმა ომებმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაკა დიდებულიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

ხაშურის ოკუპაციის მუზეუმი „ოკუპაციის 100 წელი“

წელს, 2021 წლის თებერვალში საბჭოთა ოკუპაციიდან 100 წელი შესრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით ხაშურის ოკუპაციის მუზეუმში 22 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით ტარდება კვირეული - ,,ოკუპაციის 100 წელი“.

კვირეულის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან არსებულ ოკუპაციის მუზეუმში საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის მოეწყო თემატური ლიტერატურის გამოფენა და მიმოხილვა.

ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს აქვს საშუალება მობრძანდეს, დაესწროს, მოისმინოს და დაათვალიეროს ის დოკუმენტები და ფოტომასალა, რომელიც მუზეუმშია დაცული.

ასევე, კვირეულის ფარგლებში, მოსწავლეებისთვის გამოცხადდა კონკურსს თემაზე ,,საბჭოთა ოკუპაცია საქართველოში“, რომლის მიზანია მოსწავლეებში საბჭოთა ოკუპაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა შექმნეს ნამუშევრები (ნახატები, პოსტერები, ილუსტრაციები, ვიდეომასალები (2-3 წუთიანი) და გადმოგვიგზავნეს ჩვენს facebook-ის გვერდზე

ოკუპაციის თემით დაინტერესება დიდია ახალგაზრდებში. მათ აქვთ ინფორმაცია იმ ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რომლებიც საუკუნის წინ განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმის მიერ. და ჩვენი მიზანია მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ადამიანებს იმ დროს განვითარებული მოვლენების შესახებ.

ოკუპაციის მუზეუმი ქალაქ ხაშურიში გაიხსნა 2018 წელს, აგისტოს ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის და „ მეგობრობის ხიდი - ქართლოსი“-ს ხელშეწყობით ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკის შენობის ნულ სართულზე , სადაც კომუნისტური რეჟიმის დროს განთავსებული იყო მილიციის შენობა და აქვე იყო დაკავების საკნები. კედლებზე დღემდე ამოტვიფრულია პატიმრების მიერ გაკეთებული წარწერები, რაც მათ გაუსაძლის ყოფას ასახავს. მუზეუმში არის ორი დარბაზი - ერთი დარბაზი ასახავს 1921 – 1991 წლების რეპრესიების მოვლენებს, სადაც გამოფენილია სახელმწიფო არქივში დაცული მასალები, ხოლო მეორე დარბაზში გამოფენილია 1991 – 2008 წლებში განხორციელებული რეპრესიების ამსახველი ფოტო-მასალა.

ხაშურის ოკუპაციის მუზეუმში 22 თებერვალს გაიხსნა კვირეული, რომელიც მუზეუმის დარბაზში ონლაინ ღონისძიებით აღინიშნა. კვირეული გახსნა და ფართო საზოგადოებას გააცნო ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა მაკა დიდებულიძემ. 23 თებერვალს, კი მოწვეული იყო ააიპ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის თავმჯდომარე. ხაშურის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი ლაშა მესხი, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ოკუპაციის პერიოდზე.

24 თებერვალს, კი ჩვენს მკითხველებს და დამთვალიერებლებს შევთავაზეთ რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმი, რომლის სიუჟეტი ეხება ექვთიმე თაყაიშვილის ურთულეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც ძირითადად მოიცავს მის მიერ 39 ყუთში განთავსებული საგანძურის დაცვისა და მისი დაბრუნების ისტორიას საფრანგეთში ემიგრაციის პერიოდში 1921-1945 წლებში.

25 თებერვალს ასევე ონლაინ რეჟიმში მოწვეული გვყავდა კასპის ოკუპაციის მუზეუმის დამფუძნებელი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნინო ნიპარიშვილი.

კვირეულის ფარგლებში მოეწყო მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატების და ვიდეო- რგოლების ჩვენება ჩვენს FB გვერდზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ხაშურის მეშვიდე, ქ. ხაშურის პირველი საჯარო სკოლის, სოფელ ოსიაურის და სოფელ ხცისის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

კვირეული დახურვის დასკვნითი ღონისძიება ასევე ონლაინ რეჟიმში ჩატარდა 26 თებერვალს. მსმენელს საშუალება ქონდა მოესმინა იმ მძიმე პერიოდის ისტორია და რეპრესიების მსხვერპლთა ოჯახების შესახებ მიეღო ინფორმაცია.

https://www.facebook.com/khashuri.library
ააიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო
გაერთიანების დირექტორი მაკა დიდებულიძე
თებერვალი
2021 წელი

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

თორნიკე სელუმაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საოპერაციო რისკის შეფასების მეთოდები და შემცირების ალტერნატიული მიმართულებები

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში განხილულია საბანკო-საკრედიტო სფეროში საოპერაციო რისკების შეფასების არსებული მეთოდები, რომელიც შედარებით გამოყენებადია წამყვანი საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ზოგადად და კონკრეტულად კი ბანკების მიერ. დასაწყისში დახასიათებული ბაზელის კომიტეტი მიერ (ე.წ. „ბაზელის სტანდარტებით“) საოპერაციო რისკის ძირითადი წყაროები, კერძოდ - პერსონალი, პროცესები, სისტემები, საგარეო გარემო, საოპერაციო რისკის შიდა და საგარეო წყაროები. შესწავლილია საოპერაციო დანაკარგები, რომელიც დაყოფილია პირდაპირ და ირიბ დანაკარგებად.

შემდგომ განხილულია ბაზელის კომიტეტის მიერ რეკომენდირებული საოპერაციო რისკის გადაფარვაზე კაპიტალის სიდიდის გაანგარიშების სამი ძირითადი მიდგომა - მიდგომას საბაზო ინდიკატორის საფუძველზე, სტანდარტული მიდგომა, მოწინავე მიდგომა. დასასრულს მოცემულია საკრედიტო ორგანიზაციებში საოპერაციო რისკის მართვასთან მიმართებაში რეკომენდირებულია რისკის შეფასების შემდეგი ავტორებისეული მეთოდები: ფაქტიური ზარალის განაწილების სტატისტიკური ანალიზი, ბალლურ-წონითი მეთოდი (შეფასებითი ბარათების მეთოდი), მოდელირება.

საკვანძო სიტყვები: საოპერაციო რისკი, საოპერაციო დანაკარგი, საბაზო ინდიკატორი, რისკის მართვა, ფაქტიური ზარალი.

როგორც საბანკო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, საოპერაციო რისკი წარმოადგენს ბანკის შიდა პროცესებში, თანამშრომლების ან სხვა პირების ქმედებებში, ინფორმაციული სისტემების მუშაობაში, ან საგარეო ზემოქმედების შედეგად ნაკლოვანებებისა და შეცდომების შედეგად ზარალის წარმოქმნის ალბათობას.

საბანაკო საკრედიტო პრაქტიკაში, ბაზელის კომიტეტი საოპერაციო რისკის წყაროების შემდეგ კლასიფიკაციას გულისხმობს:

- პერსონალი (კომპანიის თანამშრომლების ქმედების განზრახვა, რომლებმაც შეიძლება მის საქმიანობას ზიანი მიაყენოს);
- პროცესები (ბიზნეს-პროცესების შესრულების ან თანამდებობრივი უფლებამოსილებების აღსრულების მსვლელობაში შეცდომები და ოპერაციების არაკორექტული შესრულება);
- სისტემები (ინფორმაციული სისტემების შეფერხების ან სერვისის მიუღწევადობის შდეგად მიმდინარე საქმიანობის დარღვევა);
- საგარეო გარემო (საგარეო გარემოდან მომავალი ზეწოლები ან სხვა სახის მუქარები, რომლებიც არ შეიძლება კომპანიის მიერ იქნას მართული).

საოპერაციო რისკის შიდა და საგარეო წყაროებს (მიზეზებს) წარმოადგენენ:

- საკრედიტო ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული იურიდიული და ფიზიკური პირების შემთხვევითი ან წინასწარდასახული ქმედებები (ბანკის პერსონალის მიერ თავიანთი სამსახურებრივი ვალდებულებების არაკეთილსინდისიერად შესრულების რისკი,

პერსონალის გადატვირთვის რისკი, მონაცემების შეყვანისას შეცდომების რისკი, კლიენტის მიერ არასქორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების რისკი და ა.შ.);

- საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ქვედანაყოფებისა და მოსამსახურეების უფლებამოსილებების განაწილების ნაწილში ორგანიზაციული სტრუქტურის არასრულყოფილობა (ბანკის არასწორი ორგანიზაციული სტრუქტურის რისკი); საბანკო ოპერაციების და სხვა გარიგებების, მათი დოკუმენტირებისა და აღრიცხვაში ასახვის განხორციელების წესებისა და პროცედურების გაუმართაობა (მეთოდოლოგიის რისკი, სამართლებრივი რისკი და ა.შ.); მოსამსახურეების მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების დაუცველობა; შიდა კონტროლის არაეფექტურობა;
- სისტემებისა და მოწყობილობების ფუნქციონირებაში შეფერხება, სხვა სიტყვებით ტექნოლოგიური რისკი;
- საკრედიტო ორგანიზაციის კონტროლის გარეთ არსებული არაკეთილსასურველი საგარეო გარემოებები (აქტივების მოპარვის რისკი, ბანკის პროცესებში მარასანქცირებულად შეღწევისა რისკი და ა.შ.);
- სხვა დანარჩენები.

საოპერაციო დანაკარგები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

<u>პირდაპირი დანაკარგების სახით:</u>

- აქტივების ღირებულების შემცირების სახით;
- მატერიალური აქტივების ვადამდეადრე ჩამოწერის (ამოღების) სახით;
- სასამართლოს დანახარჯების, სასამართლოს გადაწყვეტილების მოხედვით სასჯელის, საზედამხედველო ორგანოების საჯარიმო სანქციების და ა.შ. მეშვეობით ფულადი გადახდების სახით;
- კლიენტებზე და კონტრაგენტებზე, ასევე საკრედიტო ორგანიზაციის მოსამსახურეებზე საკრედიტო ორგანიზაციის ბრალით მიღებული ზარალის არასასამართლი წესით კომპენსაციის მიზნით ფულადი გადახდების სახით;
- სამეურნეო საქმიანობის აღდგენაზე და შეცდომების, ავარიების, სტიქიური უბედურობებისა და სხვა ანალოგიური გარემოებების შედეგების აღმოფხვრაზე დანახარჯების სახით;
- რისკის წარმოქმნისა და რეალიზაციის მიზეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებული დანარჩენი დანახარჯების სახით.

ირიბი დანაკარგები (პირდაპირ ფულად ეკვივალენტში გამოუხატველები, მაგრამ ფინანსურ სდეგზე ირიბად ზემომქმედები):

- საქმიანი რეპუტაციის დაკარგვა;
- დაგეგმილი შემოსავლების ბოლომდე მიუღებლობა;
- საქმიანობის შეჩერება არაკეთილსასურველი გარემოების შედეგად ()ტექნოლოგიური შეფერხება;
- კლიენტების გადინება და ა.შ.

ქვეყნის პრაქტიკაში ამაღლებული საოპერაციო რისკის სფეროს წარმოადგენან ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც მრაფალი ფინანსური ორგანიზაციის საერთო ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვან წილს შეადგენენ.

<u>რისკის მართვა:</u>

საოპერაციო რისკის მართვის სისტემა ბევრად უფრო რთულის, ვიდრე, მაგალითად, საბაზრო ან საკრედიტო რისკებისა, გამომდინარე შემდეგი მიზეზებიდან:

- საოპერაციო რისკი ფინანსური ორგანიზაციისათვის შიდა რისკს წარმოადგენს, ამიტომ მოცემული სახეობის რისკის წარმოქმნის მიზეზების უნივერსალური ჩამონათვალის შქმნა მეტად რთულია;
- საოპერაციო რისკი რაოდენობრივი მეთოდით შე4ფასება ძალიან რთულია.

საოპერაციო რისკის მართვის სისტემის მნიშვნელოვან შემადსგენელს კონტროლი და რეგულარული ანგარიშგება წარმოადგენს. საოპერაციო რისკის მართვის ქვეშ შესაძლო საოპერაციო დანაკარგების მინიმიზაცია გაიგება. მისი უზრუნველყოფა ხორციელდება:

- ღონისძიებების კომპლექსის მეშვეობით, რომლებიც საოპერაციო დანაკარგებამდე, და (ან) პოტენციალური საოპერაციო დანაკარგების სიდიდის შმცირებაზე (შეძრუდვაზე) მიმყვანი გარემოებების ან შემთხვევების დადგომის ალბათობის შემცირებაზე მიმართული;
- საბანკო ოპერაციებისა და სხვა გარიგებების განხორციელებისას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის უწყვეტადობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში ღონისძიებების მეშვეობით;
- გაუთვალისწინებელი სიტუაციების შემთხვევაზე სცენარების დაგეგმვისა და შემუშავების მეშვეობით;
- ოპერატიული აღდგენითი ბიზნესის უზრუნველყოფის მეშვეობით, საგანგებო სიტუაციების დადგომის შემთხვევაში; გამოვლენილი რისკის კრიტიკული ზონების შეზღუდვასთან და ნეიტრალიზაციასთან მიმართებაში ღონისძიებების შემუშავებისა და რეალიზაციის მეშვეობით;
- ოპერაციების განხორციელების საბანკო ტექნოლოგიების, წესებისა და პროცედურტების განვითარების მეშვეობით;
- ინფორმაციების დაცვის მეშვეობით;
- ავტომატიზაციის სისტემების განვითარების მეშვეობით;
- დანარჩენი ღონისძიებების მეშვეობით.

საოპერაციო რისკის მონიტორინგის მიზნით საოპერაციო რისკის დონის ინდიკატორების (გარემოებების ფიქსირების) სისტემა, ანუ საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გამოყენებადი საოპერაციო რისკის დონესთან დაკავშირებული მაჩვენებლები გამოიყენება. რისკის ინდიკატორის განსაზღვრისას ბანკში რისკის ობიექტურად გაზომვადი რაოდენობრივი მაჩვენებლის არსებობის შესახებ ჰოპოთეზის ფორმირება ხორციელდება, დანაკარგების გარკვეული ჯგუფის მახასიათებელია. საოპერაციო რისკის დონის ინდიკატორების სახით შეიძლება გამოყენებულნი იქნან: არშემდგარი ან დაუმთავრებელი საბანკო ოპერაციებისა და სხვა გარიგებების რაოდენობის, მათი სიხშირის ან მოცულობების გადიდების შესახებ მონაცემები; კადრების გადიმება; დაშვებადი შეცდომებისა და დარრვევების სიხშირე; დანარჩენები.

თითოეული ინდიკატორისათვის რეკომენდირებულია ლიმიების (ზღვრული მნიშვნელობების) დადგენა, რაც საკრედიტო ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკების გამოვლენის უზრუნველყოფისა და მათზე თავისდროულად ადექვატურად ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა.

რისკის შეფასების მეთოდები:

ბაზელის კომიტეტი საოპერაციო რისკის გადაფარვაზე კაპიტალის სიდიდის გაანგარიშებისათვის გვთავაზობს სამ მიდგომას:

1. მიდგომას საბაზო ინდიკატორის საფუძველზე:

მოცემული მოდგომა – საოპერაციო რისკის დონის (დარეზერვების კოეფიციენტის) უშუალოდ ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბებისაგან (მთლიანი შემოსავალისაგან) პირდაპირ დამოკიდებულობაზეა დაფუძნებული.

თანამედროვე პირობებში საოპერაციო რისკის ქვეშ კაპიტალის დარეზერვების კოეფიციენტი ბოლო სამი წლის განმავლობაში მთლიანი შემოსავლის საშუალო სიდიდიდან 15%-ს შეადგენს.

2. სტანდარტულ მიდგომას:

საბაზრო ინდიკატორის საფუძველზე მიდგომიდან განსხვავებით, სტანდარტული მოდგომა საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით საოპერაციო რისკის წარმოქმნის თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა და იგი ბანკის საქმიანობის სტანდარტული სახეობების ჭრილში მთლიანი შემისავლიდან დასარეზერვებელი კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავს.

ბაზელის კომიტეტი ბანკის გვთავაზობს საქმიანობის რვა ძირითადი სახეობის ჭრილში დარეზერვების შემდეგ კოეფიციენტებს:

საქმიანობის მიმართულება:	**რეზერვი მთლიანი შემოსავლიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში:**
კორპორატიული ფინანსები	**18%**
სავაჭრო ოპერაციები	**18%**
საცალო საბანკო მომსახურება	**12%**

კომერციული საბანკო მომსახურება	**15%**
მომსახურეობები გადახდებისა და ანგარიშსწორებების განხორციელებასთან მიმართებაში	**18%**
აგენტური მომსახურეობები	**15%**
აქტივების მართვა	**12%**
საცალო ბროკერული ოპერაციები	**12%**

3. მოწინავე მიდგომებს:

მოწინავე მეთოდები საოპერაციო რისკის შეფასებისადმი მიმართებაში რისკის ანალიზის საკუთარი მოდელების გამოყენებას ითვალისწინებს. ანკებმა შეიძლება საზედამხედველო ორგანოების ნებართვის საფუძველზე საოპერაციო რისკის შეფასების საკუთარი მოდელები გამოიყენონ იმ პირობისას, რომ ისინი გარკვეულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. რისკის შეფასების შიდასაბანკო მეთოდები საოპერაციო დანაკარგების მიხედვით ბანკის როგორც მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში სტატისტიკაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

საკრედიტო ორგანიზაციებში საოპერაციო რისკის მართვასთან მიმართებაში რეკომენდირებულია რისკის შეფასების შემდეგი მეთოდები:

1) ფაქტიური ზარალის განაწილების სტატისტიკური ანალიზი:

ფაქტიური ზარალის განაწილების სტატისტიკური ანალიზის გამოყენებაზე დაფუძნებული მეთოდები, მოცემულ საკრედიტო ორგანიზაციაში წარსულში არსებული საოპერაციო ზარალის სიდიდეებიდან გამომდინარე, პოტენციალური საოპერაციო ზარალის პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევიან. აღნიშნული მეთოდების საწყისი მონაცემების სახით გამოყენებისას რეკომენდირებულია უკვე არსებული საოპერაციო ზარალის შესახებ მონაცემების ანალიტიკურ ბაზაში დაგროვებული ინფორმაცია იქნას გამოყენებული.

2) ბალლურ-წონითი მეთოდი (შეფასებითი ბარათების მეთოდი);

ბალლურ-წონითი მეთოდის არსი საოპერაციო რისკის შფასებაში მისი მინიმიზაციის მიმართებაში ღონისძიებებთან შედარებაში მდგომარეობს. ექსპერტული ანალიზის საფუძველზე, საოპერაციო რისკის მართვის მიზნებისათვის ინფორმატიული მაჩვენებლები შეირჩევა და მათი შეფარდებითი მნიშვნელობა (წონითი კოეფიციენტები) განისაზღვრება. შმდეგ არჩეული მაჩვენებლები ცხრილებში (შეფასებით ბარათებში) შეიყვანება და სხვადასხვა შკალების გამოყენებით ფასდება. მიღებული შედეგები წონითი კოეფიციენტების გათვალისწინებით დამუშავდება და საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებების, საბანკო ოპერაციების ცალკეული სახეობებისა და სხვა გარიგებების ჭრილში შედარებები ხორციელდება. ბალლურ-წონითი მეთოდის (შეფასებითი ბარათების მეთოდის) გამოყენება, საოპერაციო რისკის შეფასებასთან ერთად, საოპერაციო რისკის მართვაში სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

3) მოდელირება:

მოდელირების მეთოდის ჩარჩოებში ექსპერტული ანალიზის საფუძველზე, საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულების, საბანკო ოპერაციების ცალკეული სახეობებისა და სხვა გარიგებებისათვის, საოპერაციო ზარალამდე მიმყვანი გარემოებების ან შემთხვევების წარმოქმნის შსაძლო სცენარები განისაზღვრება და ზარალის წარმოქმნისა და სიდიდის სიხშირის განაწილების მოდელი შემუშავდება, რომელიც შემდეგ საოპერაციო რისკის შეფასებისათვის გამოიყენება.

რისკის შემცირების ხერხები:

საოპრაციო რისკის შეზღუდვის მეთოდების სახით შეიძლება იქნას შეთავაზებული:

- გარიგებების განხორციელებასთან მიმარტებაში ფუნქციების დაყოფა, რომლებიც თითოეულ ოპერაციაზე პერსონალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური ოპერაციის თავიდან ბოლომდე სხვა ქვედანაყოფებთან შეთანხმების გარეშე განხორციელების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით, ცალკეული დამოუკიდებელი ქვედანაყოფების თანამშრომლების მიერ უნდა ხორციელდებოდეს;
- კონკრეტული გარემოს შექმნა, ანუ დამოუკიდებელი მაკონტროლებელის მხრიდან დადასტურების ან ინფორმაციის ორმაგად შყვანის გზით ოპერაციების ხელმეორედ გაკონტროლების მიზნით,ყოველდღიურ ოპერაციებში კონტროლის ჩაშენებული სისტემის არსებობა;

- საოპერაციო, ტექნიკურ და ფიზიკური უსაფრთხოების ღონისძიებების შემოღება (მაგალითად, დაშიფრვის, პაროლებისა და ა.შ. მეშვეობით ინფორმაციისადმი ფიზიკური და ლოგიკური მიღწევადობის შეზღუდვის გზით);
- მონაცემების შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის უზრუნველყოფა, სატელეკომუნიკაციო და გამოთვლით ქსელებში დუბლირებადი სიმძლავრეების არსებობა, მონაცემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციებში მოქმედებების გეგმებისა და სცენარების შმუშავება და ბიზნესის ოპერატიულად აღდგენის შსაძლებლობის არსებობა, საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების განხორციელებისას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში უწყვეტადობის უზრუნველყოფა;
- ფინანსურ ბაზრებზე ბანკის საქმიანობისათვის მისაღები საოპერაციო რისკების მისაღები დონის განსაზღვრა, ოპერაციების უმეტესობისათვის საკმარის ლიმიტად შეიძლება ამა თუ იმ საქმიანობის ან გარკვეულ აქტივები/პასივებში დაბანდებული მოცულობების ჩარჩოებში ბრუნვის შემზღუდავი მოცულობითი ლიმიტი იქნას გამოყენებული. მიზანშეწონილი შეიძლება იყოს საოპერაციო რისკის ქვეშ განხორციელებული ცალკეული ოპერაციების სიდიდეების ლიმიტირება;
- ოპერაციის გაფორმების იურიდიული კონტროლი (ხელშეკრულებების და დანარჩენი დოკუმენტების);
- კონტრაგენტის მიერ გარიგების შესრულების დადასტურება, ანუ კონტრაგენტისაგან გარიგების შესრულების შესახებ კავშირის საიმედო არხების მეშვეობით მხოლოდ დადასტურების მიღების ფაქტის საფუძველზე ანგარიშსწორებების განხორციელება;
- საოპერაციო რისკებზე დაკვირვება რისკების მისაღებ დონეზე მხარდაჭერის მიმართებაში ღონისძიებების მიღების მიზნით;
- რისკის გარკვეული დონის კონტროლისა და მართვის დამტკიცებული პროცედურების გამოყენების სისწორის, ადექვატურობისა და სისრულის, ასევე საქმიანობის შედეგების დამოუკიდებელი შეფასების კონტროლი.

გამოყენებული ლიტერატრა

1. Mosiashvili valeri, Chelidae Medea, Abutidze Gocha – Banking, Tbilisi, “Dani” 2020.
2. Tsaava George, Burdiashvili Rati, Mosiashvili Valeri. RISKOLOGY: Strategic management of financial risks, Tbilisi, “Dani” 2020.
3. Paul Hopkin, Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management. Printed and bround by GPI Groupe (UK) LTD, Croydon, CDRO 4YY https://lccn.loc.gov/2018000956 [Last seen 11.10.2020];
4. https://hbr.org/2012/06/managing-risks-a-new-framework [Last seen 12.10.2020];

მათემატიკა

ლალი ქელბაქიანი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

ელასტიურობა და მისი გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში

ეკონომიკაში დიფერენციალური აღრიცხვის გამოყენების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ელასტიურობის ცნება. ელასტიურობის კოეფიციენტი ასახავს საკვლევი ეკონომიკური მაჩვენებლის ფარდობით ცვლილებას იმ ეკონომიკური ფაქტორის შესაბამისი ცვლილების დროს, რომელზეცაა დამოკიდებული (როცა სხვა ფაქტორები არ იცვლება).

განვიხილოთ $y = f(x)$ ფუნქცია. ვთქვათ, x ცვლადის Δx ცვლილება იწვევს y ცვლადის Δy ცვლილებას. ისმის კითხვა: როგორ გავზომოთ y-ის მგრძნობელობა x-ის ცვლილების მიმართ? ერთ-ერთი მახასიათებელი იმისა, როგორ რეაგირებს ერთი ცვლადი სხვა ცვლადის ცვლილებისას, არის მისი წარმოებული. იგი ახასიათებს ფუნქციის ცვლილების სიჩქარეს არგუმენტის ცვლილებისას. თუმცა ეს მაჩვენებელი ეკონომიკაში მოუხერხებელია, ვინაიდან მისი სიდიდე დამოკიდებულია ზომის ერთეულზე. ამიტომ ეკონომიკაში არგუმენტის ცვლილების მიმართ ფუნქციის ცვლილების მგრძნობელობის გასაზომად სწავლობენ არა ცვლადების აბსოლუტურ ცვლილებებს, არამედ მათ ფარდობით ან პროცენტულ ცვლილებას.

$y = f(x)$ ფუნქციის ელასტიურობა ეწოდება y და x ცვლადების ფარდობით ცვლილებათა შეფარდების ზღვარს:

$$E_x(y) = \lim_{\Delta x \to 0} \frac{\Delta y / y}{\Delta x / x} = \frac{x}{y} \lim_{\Delta x \to 0} \frac{\Delta y}{\Delta x} = \frac{x}{y} f'(x)$$

ასეთ ელასტიურობას უწოდებენ ასევე წერტილოვან ანუ ზღვრულ ელასტიურობას.

ელასტიურობას აქვს მარტივი გეომეტრიული ინტერპრეტაცია. განვიხილოთ კლებადი ჩაზნექილი ფუნქცია და ვიპოვოთ ამ ფუნქციის ელასტიურობა მის ნებისმიერ C(x,y) წერტილში.



საკმაოდ მარტივი მსჯელობით დავადგენთ, რომ ელასტიურობა ტოლია

$$E_x(y) = -\frac{CB}{CA}$$

ამრიგად, გეომეტრიულად კლებადი ფუნქციის ელასტიურობა ესაა CB და CA მონაკვეთების შეფარდება ,,-'' ნიშნით, სადაც CB არის C წერტილში გავლებული მხების მონაკვეთი OY ღერძთან გადაკვეთის B წერტილამდე, ხოლო CA - მხების მონაკვეთი C წერტილიდან მხების OX ღერძთან გადაკვეთის A წერტილამდე.

ზრდადი ჩაზნექილი (ნახ.2) და ზრდადი ამოზნექილი (ნახ.3) ფუნქციების ელასტიურობების აბსოლუტური სიდიდე აგრეთვე CB/CA ფარდობის ტოლია, ელასტიურობის ნიშანი კი განისაზღვრება CB და CA მონაკვეთების მიმართულებით. კერძოდ, თუ A და B წერტილები მდებარეობენ მხებზე C წერტილის ერთიდაიგივე მხარეს, აირჩევა ,, +'' ნიშანი, თუ სხვადასხვა მხარეს, მაშინ ,, - '' ნიშანი.





ნახ.2 ნახ.3

შევნიშნოთ, რომ დისკრეტულ შემთხვევაში ელასტიურობის ზემოთ მოყვანილი განმარტება იცვლება და ამ დროს განიხილება პროცენტული ელასტიურობა:

$$E_x(y) = \frac{(y_2 - y_1)/y_1}{(x_2 - x_1)/x_1}$$

ეკონომიკურ ანალიზში განიხილავენ ელასტიურობის სხვადასხვა სახეს.

<u>მოთხოვნის ელასტიურობა ფასით:</u>

$$E_p(q) = \frac{dq}{q} : \frac{dp}{p} = \frac{dq}{dp} \cdot \frac{p}{q}$$

გვიჩვენებს რაიმე დოვლათზე მოთხოვნის ფარდობით ცვლილებას (გამოსახულს პროცენტებში) ამ დოვლათის ერთეულის ფასის 1%-ით ცვლილების დროს და ახასიათებს მომხმარებლის მგრძნობელობას პროდუქტზე ფასების ცვლილებისას. თუ $|E_p(q)|>1$, მაშინ მოთხოვნას ეწოდება ელასტიური (სავსებით ელასტიური, თუ მოთხოვნის ელასტიურობა უსასრულოდ დიდია), თუ $|E_p(q)| < 1$, მაშინ მოთხოვნას ეწოდება არაელასტიური, ხოლო თუ $|E_p(q)| = 1$, ამბობენ ,რომ გვაქვს მოთხოვნა ერთეულოვანი ელასტიურობით.

მოთხოვნის ელასტიურობის ცნებას ფართო გამოყენება აქვს საფასო პოლიტიკის ანალიზსა და პროგნოზირებაში. თუ D=f(p) მოთხოვნის ფუნქციაა, მაშინ მოთხოვნის ელასტიურობა ეს არის საქონლის ფასის 1%-ით ცვლილებისას მასზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილება:

$$E(D) = \frac{\Delta D}{D} 100\% : \frac{\Delta p}{p} 100\%$$

როცა $\Delta p \to 0$, გვაქვს:

$$E(D) = p\frac{D'(p)}{D(p)}$$

ანალოგიურად შეიძლება შემოვიტანოთ მიწოდების S(p) ფუნქციის ელასტიურობის ცნება. გავითვალისწინოთ, რომ მოთხოვნის ფუნქცია კლებადია, ხოლო მიწოდების - ზრდადი.

<u>მოთხოვნის ელასტიურობა შემოსავლით:</u>

$$E_I(q) = \frac{dq}{q} : \frac{dI}{I} = \frac{dq}{dI} \cdot \frac{I}{q}$$

გვიჩვენებს რაიმე დოვლათზე მოთხოვნის ფარდობით ცვლილებას, გამოსახულს პროცენტებში, მომხმარებლის შემოსავლის 1%-ით ცვლილებისას. როცა ელასტიურობა დადებითია, მაშინ საქმე გვაქვს საქონელზე (ხარისხიან) მოთხოვნასთან, ხოლო უარყოფითი ელასტიურობა ახასიათებს დაბალხარისხიან საქონელს.

<u>მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობა ფასით:</u>

$$E_{p_j}(q_i) = \frac{dq_i}{dp_j} \cdot \frac{p_j}{q_i}$$

გვიჩვენებს ერთ რომელიმე დოვლათზე მოთხოვნის სიდიდის ფარდობით ცვლილებას, გამოსახულს პროცენტებში, როცა ფასები სხვა - შემცვლელ ან დამატებით დოვლათზე - იცვლება 1%-ით.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობის დადებითი ნიშანი მოწმობს დოვლათთა ურთიერთშენაცვლებადობაზე, ხოლო უარყოფითი - დოვლათთა ურთიერთდამატებითობაზე.

<u>რესურსების ელასტიურობა ფასით:</u>

$$E_{p_i}(R_i) = \frac{dR_i}{dp_i} \cdot \frac{p_i}{R_i}$$

ახასიათებს რაიმე რესურსზე (მაგალითად,შრომა) მოთხოვნის სიდიდის პროცენტულ ცვლილებას ამ რესურსზე ფასის (ხელფასის) 1%-ით ცვლილების დროს.

ერთი რესურსის სხვა რესურსით შენაცვლების ელასტიურობა ახასიათებს ერთი რესურსის (მაგალითად, კაპიტალის) სიდიდის აუცილებელ ცვლილებას (პროცენტებში) , სხვა რესურსის (მაგალითად, შრომის) რაოდენობის 1%-ით ცვლილებისას, ისე, რომ გამოშვების მოცულობა არ შეიცვალოს.

განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნის ელასტიურობას: მოხმარებაში დოვლათის ურთიერთჩანაცვლებადობა, ხვედრითი წონა შემოსავალში, სუბიექტური აუცილებლობა, დროის ფაქტორი.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა მით მეტია, რაც უფრო მაღალია დოვლათების ურთიერთჩანაცვლებადობის მაჩვენებელი. დოვლათის ურთიერთჩანაცვლება ჩვეულებრივ, ხასიათდება შემცვლელების არსებობით, მათი რაოდენობით, აგრეთვე დოვლათის აგრეგირების ხარისხით. რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მომხმარებელს, შეცვალოს მოცემული დოვლათის მოხმარება სხვა დოვლათის მოხმარებით, მით მეტია ამ დოვლათზე მოთხოვნის ელასტიურობა. დოვლათის აგრეგირების ხარისხი განისაძღვრება ამ დოვლათის ცნების სიფართოვით, ანუ იმით, თუ რამდენ განსხვავებული სახის დოვლათს შეიცავს იგი. მაგალითად, დოვლათი „რძის პროდუქტი“ შეიცავს რძეს, მაწონს, არაჟანს, კეფირს და ა.შ. რაც მეტია დოვლათის აგრეგირების ხარისხი, მით ნაკლები შესაძლებლობა აქვს მომხმარებელს, მოცემული დოვლათის მოხმარება შეცვალოს სხვა დოვლათის მოხმარებით; ცხადია, მით უფრო მცირეა მოთხოვნის ელასტიურობა. მაგალითად, სარეცხ საშუალებაზე მოთხოვნის ელასტიურობა უფრო დაბალია, ვიდრე სარეცხ ფხვნილზე, ხოლო საპონზე მოთხოვნის ელასტიურობა უფრო დაბალია, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე მარკის საპონზე მოთხოვნის ელასტიურობა.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა $E_p(q)$ მით უფრო მეტია, რაც მეტია მოცემულ დოვლათზე დანახარჯების ხვედრითი წონა მომხმარებლის შემოსავალში. მაგალითად,

ასანთზე მოთხოვნა პრაქტიკულად არ შეიცვლება მაშინაც კი, როცა რამდენჯერმე გაიზრდება ფასი მასზე. ეს მიუთითებს მის დაბალ ელასტიურობაზე.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებად აუცილებელია მოცემული დოვლათი სუბიექტისთვის. ჩვეულებრივ, მიაჩნიათ, რომ ფუფუნებიას საგნებზე მოთხოვნა უფრო ელასტიურია, ვიდრე პირველადი მოხმარების საგნებზე. თუმცა არის გამონაკლისი: ამ დროს გადამწყვეტი ფაქტორია მომხმარებლის სუბიექტური დამოკიდებულება მოცემული საგნების მიმართ. მოთხოვნა ფუფუნების ცალკეულ საგნებზე ტრადიციების, მოდის ან რაღაც სხვა სუბიექტური მიზეზებით შეიძლება იყოს საკმაოდ მაღალი და ამან გამოიწვიოს მასზე მოთხოვნის დაბალი ელასტიურობა. მაგალითად, 3 მარტს ან 14 თებერვალს ყვავილებზე მაღალი მოთხოვნა ამცირებს მასზე მოთხოვნის ელასტიურობას.

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა მით მეტია, რაც უფრო დიდია დროის მონაკვეთი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთხოვნის გრძელვადიანი ელასტიურობა უფრო მაღალია, ვიდრე მოკლევადიანი. ეს იმით აიხსნება, რომ დროის გრძელ მონაკვეთში მომხმარებელმა შეიძლება შეიცვალოს ჩვევები და მოძებნოს მოცემული პროდუქტის უფრო მეტი შემცვლელი. ამასთან, მარაგის შექმნა და პროდუქტის ცვეთის დრო არ არის მხედველობაში მიღებული, მაგრამ ისინი არსებით გავლენას ახდენენ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე და ხშირად აქვეითებენ ელასტიურობას დროის განმავლობაში, როგორც ხანგრძლივი მოხმარების საქონლისათვის, ასევე პირველადი მოხმარების საგნებისთვისაც.

საინტერესოა კავშირი ელასტიურობასა და მთლიან ამონაგებს (მყოდველის დანახარჯებს)

შორის. ცხადია, რაიმე დოვლათის გაყიდვიდან ამონაგების ელასტიურობა მჭიდრო კავშირშია ამ დოვლათის მოხმარების ელასტიურობასთან. გავიხსენით, რომ R=PQ. მაშინ ნამრავლის წარმოებულის ფორმულიდან გამომდინარე გვექნება:

$$E_p(R) = E_p(Q) + E_p(P) = E_p(Q) + 1 = 1 - |E_p(Q)|$$

ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა უარყოფითია, როგორც კლებადი ფუნქციის წარმოებული. აქედან ჩანს, რომ ფასის მიხედვით შემოსავლის ელასტიურობა უარყოფითია იმ საქონლისთვის, რომელზეც მოთხოვნა ელასტიურია და დადებითია იმ საქონლისთვის, რო-

მელზეც მოთხოვნა არაელასტიურია. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოთხოვნა არაელასტიურია, მაშინ ფასის ცვლილება იწვევს ამონაგების ცვლილებას იმავე მიმართულებით. ამიტომ ამ დროს გამყიდველისთვის მომგებიანი იქნება მოუმატოს ფასი საქონელზე, ელასტიური მოთხოვნისთვის კი პირიქით, უნდა შეამციროს ფასი, რათა გაზარდოს ამონაგები.

როცა მოთხოვნა ელასტიურია, მაშინ ამონაგები იზრდება რაოდენობის მომატებითა და ფასების შემცირებით. არაელასტიური მოთხოვნისას კი, პირიქით, ამონაგები იკლებს. მაგალითად, კარგი მოსავლის დროს ფერმერების შემოსავალი მცირდება, რადგან დაბალია მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ანალოგიურად, სარკინიგზო მგზავრობის ბილეთებზე ფასის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტში შენატანის შემცირება,თუ მოთხოვნა მომსახურეობაზე იქნება ელასტიური.

ძალზე საინტერესოა კავშირი ფასებსა და მონოპოლისტის ზღვრულ დანახარჯებს შორის. ცნობილია, რომ კონკურენტული ფირმა ფუნქციონირებს წმინდა კონკურენციის პირობებში , ე.ი. ის თვითონ ადგენს ფასს თავის პროდუქციაზე, რომელიც ზღვრული დანახარჯების ტოლია: $p_c = MC$, მონოპოლისტი კი ადებს ფასს, რომელიც ზღვრულ დანახარჯზე მეტია: $p_m = MC(1+s)$, სადაც s არის დანამატი დანახარჯებზე, რომელიც შეიძლება შეადგენდეს 10%, 20%, 30 % და ა.შ. ცხადია, ჩნდება კითხვა, როგორ შევარჩიოთ ამ დანამატის სიდიდე? აღმოჩნდა, რომ იგი მჭიდრო კავშირშია ელასტიურობასთან. მართლაც მოგების მაქსიმიზაციის პირობიდან გვაქვს:

$$\pi' = R' - C' = MR - MC = 0$$

გამოვთვალოთ ზღვრული ამონაგები:

$$MR = R'(q) = (p(q)p)' = p(q) + qp'(q) = p(1 + [qp'(q)]/p) = p(1 + 1/E) = p(1 - 1/|E|)$$

გავუტოლოთ ზღვრულ დანახარჯს. შედეგად მივიღებთ დამოკიდებულებას:

$$p = MC \Big/ \left(1 - \frac{1}{|E|}\right)$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ რაც უფრო მაღალია მოთხოვნის ელასტიურობა, მით უფრო მცირე უნდა იყოს დანამატი ზღვრულ დანახარჯზე.

ამ ფორმულიდან ნათელი ხდება, თუ როგორ მიმდინარეობს მონოპოლისტის მიერ ბაზრის სეგმენტაცია მომხმარებელთა დისკრიმინაციის გზით დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით. ჩვეულებრივ, განიხილება ერთგვაროვანი ბაზარი, სადაც ყველა იხდის ერთეულ საქონელზე ერთსა და იმავე ფასს. თუ მონოპოლისტი შეძლებს რაღაც ნიშნით დაყოს მომხმარებელი რამდენიმე ჯგუფად, მაგალითად, რკინიგზის ან ავიაბილეთების ყიდვისას ცალკე ჯგუფად გამოყოს სტუდენტები,მაშინ მისთვის ხელსაყრელი იქნება სხვადასხვა ჯგუფისთვის დააწესოს სხვადასხვა ფასი და ამით მოახდინოს ბაზრის სეგმენტაცია. ამასთან, ერთიდაიგივე საქონლის ან მომსახურეობის ორ ბაზარზე გაყიდვიდან ჯამური ამონაგები იქნება მაქსიმალური, თუ თითოეული ბაზრიდან ზღვრული შემოსავლები თანაბარი იქნება. ამრიგად,

$$MR_1 = p_1\left[1 - \frac{1}{|E_1|}\right] = p_2\left[1 - \frac{1}{|E_2|}\right] = MR_2$$

$$p_1/p_2 = \left(1 - \frac{1}{|E_2|}\right) \Big/ \left(1 - \frac{1}{|E_1|}\right)$$

აქედან

მაშასადამე, მყიდველები, რომელთა მოთხოვნა საქონელზე ნაკლებად ელასტიურია, მასში გადაიხდიან დიდ ფასს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნის ელასტიურობის საკითხის ცოდნა მნიშვნელოვანია მეწარმეებისთვის, ბიზნესმენებისთვის და სხვა ეკონომიკური სუბიექტებისთვის ფასების დადგენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ლიტერატურა:

1. დ.ნატროშვილი, ლ.გიორგაშვილი, გ.ჯაშიაშვილი, მათემატიკა ეკონომისტებისთვის. თბილისი, 2008.
2. Красс М.С., Чупрынов Б.П. Математика для экономистов. СПб, Питер. 2005.

ანოტაცია

ეკონომიკაში დიფერენციალური აღრიცხვის გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა ელასტიურობა. ელასტიურობა არის ცვლადის მგრძნობელობის საზომი სხვა ცვლადის ცვლილების მიმართ. ბიზნესსა და ეკონომიკაში ელასტიურობას იყენებენ იმის შესაფასებლად, როგორ იცვლება ინდივიდის, მომხმარებლის ან მეწარმის მოთხოვნა-მიწოდება ფასისა თუ შემოსავლის ცვლილების შედეგად.

სტატიაში განხილულია ელასტიურობის სხვადასხვა სახე, ასევე ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ელასტიურობას; კავშირი ელასტიურობასა და მთლიან ამონაგებს შორის; კავშირი ფასებსა და მონოპოლისტის ზღვრულ დანახარჯებს შორის.

ინტერვიუ

ლია პეტრიაშვილი
ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (საბერძნეთში)

ინტერვიუ

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაშია გაფანტული ქართველი ემიგრანტები. საქართველოს მძიმე ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია დიდი მიგრაცია და დაცარიელდა თითქმის ჩვენი სამშობლო. ამის განვრცობას აღარ დავიწყებ, რადგან ყველასთვის ცნობილია ემიგრაციაში ხალხის წასვლის მიზანიც და მიზეზიც....

დღეს ჩემი რესპოდენტია ესპანეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი **მაია სიჭინავა**.

მაია სიმღერებს წერს ქართველი პოეტების ლექსებზე და თვითონვე ასრულებს, მღერის გიტარის თანხლებით, რომლებიც განთავსებულია იუთუბზე და პირადად მოვისმინე მისი შემოქმედება. მისმა ნამღერმა სიმღერებმა, ჩემში აღძრა მეტად დადებითი ემოცია და სამშობლოს ნოსტალგია ისევ ძალუმად ააგიზგიზა.

მაია რამდენი წელია რაც ემიგრაციაში ბრძანდებით და რაში მდგომარეობდა თქვენი მიზანი: დაგეტოვებინათ სამშობლო და წასულიყავით თქვენთვის უცხო ქვეყანაში, უცხო ტომის ადამიანების გარემოცვაში.

20 წელი გავიდა რაც დავტოვე სამშობლო მაგრამ მხოლიდ ფიზიკურად, სულიერად მასთან ვარ. ეს ის პერიოდი იყო როცა ქვეყანას და ხალხს ძალიან გაუჭირდა

ეკონომიურად, ჩემი ოჯახიდან მე ვიტვირთე ეს განსაცდელი რადგან ჩემი მშობლები ასაკოვნები იყვნენ.

მე თვითონ ემიგრანტი ვარ და ვიცი რას ნიშნავს ეს სიტყვა სიგრძით-- სიგანემდე. ვიცი რა ძნელია სამშობლოს მონატრება – ნოსტალგია და რა საშინელებაა, როდესაც წლების განმავლობაში ვერ ნახულობთ ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, თუნდაც მეზობლებს. ვინ გელოდებათ ოჯახში და თუ ახერხებთ მათ მონახულებას, სტუმრობას სამშობლოში?

პირველი ხუთი წელი ვერ ჩავედი უსაბუთობის გამო და როცა მომეცა საშუალება წასვლის, ისე ჩავედი წინასწარ არავინ გამიფრთხილებია, ხომ წარმოგიდგენიათ რაც მოხდებოდა, ვერ გადმოგცემთ იმას რაც განვიცადე, ეხლაც ვერ ვიკავებ ცრემლებს…

მაია, ემიგრაციაში უქმად არ კარგავთ დროს და ეწევით შემოქმედებით საქმიანობასაც. წერთ სიმღერებს სხვადასხვა პოეტების ლექსებზე. პირველად თვალში მომხვდა თქვენი სახელი ჩემი ერთერთი საყვარელი პოეტის –დევი დედაბრიშვილის ლექსთან მიმართებაში. მისი ლექსი აამღერეთ და მოვისმინე. მომეწონა, რადგან ბატონი დევი, როგორ კილო-კავზეც წერს საკუთარ ლექსებს, ზუსტად მიესადაგებოდა თქვენი ნამღერიც. მეორედ უკვე უფრო ახლოს მოხვედით ჩემამდე და ჩემი ლექსი ,,სალაღობო" აამღერეთ. ამის მერე დავინტერესდი თქვენით, შევედი იუთუბზე და რამოდენიმე სიმღერა კიდევ მოვისმინე. საიდან იღებს სათავეს და რატომ დაიბადა თქვენში სიმღერების შექმნის იდეა?

პირველი სიმღერა 14 წლის ვიყავი რომ დავწერე, მერე სტუდენტობისას ვწერდი შემდეგ ფილარმონიის გოგონათა კვარტეტი "ხმები"-ს რეპერტუარში ჩემს სიმღერებსაც ვმღეროდით და როცა ესპანეთში ჩამოვედი 17 წელი ვეღარ დავწერე ვერაფერი.

2018 წლის 15 იანვრიდან მოხდა საოცრება და ისევ დავიწყე სიმღერების წერა და დღემდე ვერ ვჩერდები. თითქმის ყოველ მეორე დღეს ვწერ სიმღერებს სხვადასხვა პოეტების ლექსებზე. მადლობას ვუხდი მათ ჩემი ასე ამღერებისთვის და რომ არა ინტერნეტი ალბათ ეს არ მოხდებოდა. გავიცანი საოცარი სულის ადამიანები ვირტუალურად და ერთ-ერთი პოეტი დევი დედაბრიშვილია, რომელიც ჩემი აზრით მთის, თემის და საქართველოს ფესვია.

მე ქართველი ვარ და საქართველოს ყველა კუთხეზე, ქალაქზე რაც საქართველოს და ქართველებს შეეხება იმაზე ვმღერივარ და თქვენი ლექსიც "სალაღობო" იმიტომ მომეწონა.

როდესაც საკმაო რაოდენობის სიმღერა დაგიგროვდებათ, თუ ფიქრობთ, რომ ჩაწეროთ ალბომი ? გააქვთ რაიმე გეგმები ამ თემასთან დაკავშირებით?

სიმღერები მართლაც ბევრი დამიგროვდა უკვე სათვალავი ამერია ალბათ ათასს გავცდი ამ სამ წელიწადში. ვამბობ გინესის წიგნში შევალ ასე თუ გავაგრძელებ თქო.

მინდა რამოდენიმე ალბომი გამოვუშვა. ერთი ალბომი საქართველოს ყველა კუთხეზე და მის ქალაქებზე, ქალაქურ სიმღერებზეც, ასევე სიმღერები ხალხურ მოტივებზეც, დავწერე რამოდენიმე საგალობელიც, ავამღერე "ათი მცნება" და "ცხრა ნეტარება", ავამღარე ქართველი კლასიკოსების უმრავლესობაც და შოთა რუსთაველიც. ამდენი ალბომის გამოშვე ძალიან რთულია.

როგორია თქვემი ოჯახური მდგომარეობა?

მყავს მეუღლე, დედა, დები, საყვარელი დისშვილები და მათი შვილები.

ესპანეთში კერძოდ რომელ მხარეში იმყოფებით, რომელ ქალაქში? არის თუ არა თქვენთან შექმნილი ქართული სათვისტომოები და თუ ურთიერთობთ ქართველებთან? თუტარდება კულტურული და შე,ოქმედებითი ღონისძიებები და თუ მონაწილეობთ თქვენი შემოქმედებით?

ეს რეგიონი სადაც ვცხოვრობ კასტილია ლეონია და მისი ისტორიული ქალაქია ბურგოსი. სამწუხაროდ აქ არ არის შექმნილი ქართული სათვისტომო და არ ტარდება ღონისძიებები. შემოქმედებითად უფრო ესპანელებთან ვთანამშრომლობ. ავამღერე აქაური პოეტების ლექსები, მიმიწვიეს რადიო-ტელევიზიაში, მეც დავწერე ესპანურად ლექსები და ავამღერე, ვმღეროდი ესპანურ ანსამბლში და ამჟამად ამ პანდემიის გამო ყველაფერი გაჩერებულია.

მაია, თითქმის ყველა ქართველი ემიგრანტის ოცნებაა სამშობლოში დაბრუნება. თქვენ თუ გაქვთ სურვილი დაუბრუნდეთ საკუთარ მიწა-- წყალს და რა არის თქვენი სამომავლო გეგმები, რაზე ოცნებობთ ?

აქ დასარჩენად არ ჩამოვსულვარ და ყოველი წელი ჩემი დაბრუნების წელია, მაგრამ დაბრუნებას არ დაადგა საშველი, იმედია დავბრუნდები და ეს მალე მოხდება. მინდა სითბო, სიყვარული, მონატრება ჩავიტანო და სიმღერით ჩემს ხალხს და საქართველოს მოვეფერო.

დღესდღეობით ნებისმიერი ქართველი ადამიანის ყურადღება მიპყრობილია საქართველოს პოლიტიკური ვითარებისკენ. ამჟამად ძალიან რთული პროცესები მიდინარეობს და როგორია თქვენი მოსაზრება ამ ყველაფრისადმი, რაც ხდება ჩვენს სამშობლოში?

რთული პერიოდი იყო რომ წამოვედი და ოცი წელია ეს სირთულეები არ განელებულა, ძალიან განვიცდი მეც და ყველა ემიგრანტი. დაბრუნება გვინდა მაგრამ ვერ აეწყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა. თითოეული ქართველი ხომ მარგალიტია ქვეყნისთვის დახალხზე ზრუნვა უნდა იყოს უპირველესი.

როგორ ფიქრობთ რომელი გზა გადაგვარჩენს:

1. რომელიმე ლიდერს გამოვუცხადოთ ნდობა და გავყვეთ მის მიერ მითითებულ გზას, თუ

2. ერს მოვუწოდოთ, რომ ერთადერთი ხსნის გზა არის უფლის გზა, მივყვეთ მას და მივყვეთ ,,უფლის სიტყვას" და აღვასრულოთ ის, რათა გადავრჩეთ ჩვენც და გადავარჩინოთ კაცობრიობა?

ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში არსებობს ორი გზა მიწიერი და სულიერი, მოკვდავთათვის ერთადერთი ხსნა და იმედი უფლისადმი სიყვარული და რწმენაა!

როგორია ის ოცნება, რომლის განხორციელებას ყველაზე მეტად ნატრობთ?

ჩემი ოცნებაა საქართველოში მოისპოს სიღატაკე და ყველა ქართველი ბედნიერი იყოს.იცხოვროს თავისი ბუნებრივი ლაღი ცხოვრებით...

ამ სიტყვებს რომ ვამბობ ყელში ბურთივით რაღაც მეჩხირება, ვტირი და მინდა რომ ვიტირო...

მაია, დიდ მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსთვის. გისურვებთ სამშობლოში მალე დაბრუნებას, შემოქმედებით აღმავლობას, მუზების სიმრავლეს. ღმერთმა დაგლოცოთ.

დიდი მადლობა თქვენ რომ მომეცით საშუალება ამ ფორმით საქართველოსადმი გამომეხატა ჩემი განცდები...

ინტერვიუ წარმატებულ ემიგრანტ ქალბატონებთან

დარეჯან ღამბაშიძე

(საბერძნეთი)

საქართველოს ისტორიაში, ბევრჯერ ყოფილა ავბედითი ჟამი და ერთი ასეთი, სწორედ 90-იანი წლები იყო.ქართველი ერი ნელა-ნელა ემიგრაციის გზას დაადგა, რაც დღემდე გრძელდება.

ენთუზიაზმით შეპყრობილი, გონიერი ადამიანები ვერც ემიგრაციაში ისვენებენ და ყოველთვის ეძებენ გზებს, იპოვონ საკუთარი შესაძლებლობები. ქალბატონო დარეჯან, ბევრი კარგი საქმის წამომწყები და ინიციატორი ხართ, მაგრამ ყველაზე უპირველესი და საშვილიშვილო საქმე, თქვენს მიერ დაარსებული -- ვახტანგ მეექვსეს სახელობის საკვირაო სკოლაა, სადაც საბერძნეთის ემიგრაციაში დაბადებული ქართველი ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენაზე წერა-- კითხვას და სასკოლო პროგრამას იწყებენ იაკობ გოგებაშვილის დედა ენით.თქვენი სკოლის პედაგოგების დაუღალავი ენერგიით სწავლობენ სამშობლოს სიყვარულს ისე, როგორც ეკადრებათ ნამდვილ ქართველებს.

კითხვა 1. როგორ დაიბადა საკვირაო სკოლის გახსნის იდეა ?

მოგესალმებით, მადლობა თქვენს ჟურნალს მოწვევისათვის!

ყველას გვახსოვს 90-იანი წლების საქართველო, გვახსოვს როგორ იცლებოდა ქვეყანა ქართველებით, როგორ ტოვებდნენ ოჯახის წევრებს, ნათესავებს და ახლობლებს. საზღვარგარეთ წამსვლელი ავტობუსები სავსე იყო, ჩვენი თანამემამულეებით, რომლებიც საქართველოში გაუსაძლის მდგომარეობას გაურბოდნენ და პრობლემების დასაძლევად უცხო ქვეყნებში ეძებდნენ შვებას.

გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ სამშობლოს დატოვებისას არ მქონია, საკუთარი თავის დათრგუნვის შეგრძნება, რადგან ყველაფერი წინასწარ მქონდა გათვლილი და სამი თვით ვაპირებდი ქვეყნის დატოვებას, ამის გაფიქრების უფლებას ისიც მაძლევდა, რომ თან მახლდა ჩემი შვილი, რომელიც მიადვილებდა ემიგრაციაზე ფიქრს. ვიცოდი მივემგზავრებოდი საკმაოდ ცხელ ქვეყანაში, რადგან ზაფხულში მომიწია წასვლა, ათენში დარჩენა, არც კი მქონია პროგრამაში. ჩემი უახლოესი მეგობრის დახმარებით ათენიდან ახლოს, ერთ-ერთ ულამაზეს კუნძულს პოროსს მივაშურე, უფლის ნებით და ჩემი მეგობრის დახმარებით სამსახურიც მალე დავიწყე, ათენში“ ტავერნებში „მუშაობა ჩასულებისათვის პრესტიჟულიც კი იყო. არ ვცხოვრობდი მთელი კვირა ვინმეს სახლში და ერთი კვირა დღის დასვენებას არ ველოდებოდი. მქონდა გარკვეული სამუშაო საათები, შემეძლო ზღვის სანაპიროზეც სეირნობა, ბანაობა და საღამოს 11 საათის შემდეგ, მქონდა თავისუფალი

დრო, რაც ზაფხულისთვის მშვენიერი იყო.იდგა 1993 წელი, ჩემი პირობა ვერ შევასრულე, სამი თვის შემდეგ ვერ დავბრუნდი სამშობლოში, რადგან საქართველოში კვლავ გაუსაძლისი უყო ცხოვრება.თუმცა ჩამოვდიოდი და კვლავ უკან ვბრუნდებოდი. გადავწყვიტე კუნძულზე აღარ წავსულიყავი და დავრჩი ათენში. ასე გავიდა 27 წელი.

1. ერთ დღეს ჩემს სახლთან, არც თუ ისე ახლომდებარე ეკლესიიდან მომესმა ქართული წირვა, ეს 2000 წელი იყო. მეგონა მომესმა, მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი დავრწმუნდი, რომ ქართულად გალობდნენ. ეკლესაში შევედი, ვნახე საკმაოდ ბევრი ქართველი ემიგრანტი,ვერ გადმოგცემთ მაშინდელ ჩემს მდგომარეობას,ვგრძნობდი, რომ მიწაზე არ ვიდექი, ასე გაოგნებული ვიდექი ტაძარში, როცა ერთი ემიგრანტი ქალბატონი მოვიდა და გამეცნო. მიამბო, რომ სათვისტომო ჩამოუყალიბებიათ და დღეს პირველი დღე იყო ემიგრანტებთან შეხვედრის. ძალიან გამეხარდა, რა თქმა უნდა დავთანხმდი და პირველივე შეხვედრაზე, ჩემი დიდი ხნის ფიქრები გავამჟღავნე, ვთქვი რომ კარგი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა საკვირაო სკოლა. სათვისტომომ იფიქრა, ამაზე და გავხდი წევრების მიერ პირველი არჩეული საკვ ირაო სკოლის დირექტორი.უკვე 20 წელია სკოლს არსებობს, მიუხედავად ბევრი პერიპეტიებისა, სკოლას მაინც ვინარჩუნებდი. ვიბრძოდი და ვიბრძვი, მისი გაძლიერებისათვის და განვითარებისათვის, ძალიან დამეხმარა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიასპორის დეპარტამენტი, მოგვაწოდეს სასწავლო სახელმძღვანელოები, მომეცა შანსი პროექტში გამარჯვებისა“ დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“. მივიღე დაფინანსება, რითაც მთავარი საჭიროებებით აღვჭურვე სკოლა.ჩემთვის და ჩვენი სკოლის პედაგოგებისათვის მთავარი ღირებული გოგებაშვილის დედაენაა. 20 წლის მანძილზე 450 ბავშვს ვასწავლეთ წერა, კითხვა, მეტყველება და აზროვნება. სკოლაში მომუშავე პედაგოგებმა კარგი გამოცდილება მიიღეს, ისინი ბავშვებში დებენ ეროვნულ სულს და ზრდიან სამშობლოსა და ადამიანთმოყვარე პიროვნებებად. სკოლა პირველი ქართული განათლების აკვანი იყო, მთელს ელადაში.

კითხვა 2 მე თქვენ კარგად გიცნობთ და აგრეთვე შეძლებისდაგვარად ვიცნობ თქვენს ყოველ საქმიანობასაც. არიან ადამიანები, რომლებიც მუდმივ ძიებაში არიან და ერთი ასეთი ადამიანი ხართ თქვენც., რომელმაც ქალაქ ათენში შექმენით ორგანიზაცია ,,ქართული სახლი" და მისი პრეზიდენტი ბრძანდებით. რა იყო მიზანი,,ქართული სახლის" დაარსებისა და რას ემსახურება ის?

სათვისტომომ 2 წელი იარსება, რამაც ჩემში გულისწყვეტა გამოწვია, ამიტომ გადავწყვიტე ყველა დოკუმენტი, ჩემს სახელზე გადამეტანა და თავიდან ჩამეტარებინა არჩევნები. ასეც მოხდა დავაფუძნე სათვისტომო „იბერია“ და სკოლაც მას დავიქვემდებარე, ათენში ქალბატონების სიმრავლეა, ისინი სხვადასხვა პრობლემებს აწყდებოდნენ სამართლებრივ საკითხებში და არა მარტო. ბევრ შემოქმედ ქალბატონს მხარში დგომა სჭირდებოდა, ამისათვის დავაარსე ორგანიზაცია „ქართული სახლი“

„სადაც მათ შეეძლებოდათ კვირა დღეს მოსვლა და თავიანთ საზოგადოებრივ თუ კულტურულ საკითხებზე მსჯელობა, ღონისძიებების გამართვა, ან მასში მონაწილეობა.თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ ყოფილა ემიგრაციაში, არც ერთი შემოსული პრობლემა „ქართულ სახლს“ რომ არ მოეგვარებინოს, თუმცა ბუნებრივია სიძნელეებიც არსებობს.

კითხვა 3. ქალბატონო დარეჯან, ჩვენს თანამემამულე ემიგრანტ ქალბატონთან-- ანა ბალამწარაშვილთან ერთად თანაავტორობით, დააფუძვნეთ, ,ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრი", რომლის ოფისიც მდებარეობს ერთი ქალაქ ბრიუსელში, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ანა და მეორე ოფისი არის ქალაქ ათენში თქვენი ხელმძღვანელობით, რომლის წევრიც გახლავართ მეც. რას გაიხსენებდით, , ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის" შესახებ და რაში მდგომარეობს მისი შექმნის აუცილებლობა.

2017 წელს, ჩემს მეგობარ ბელგიელ ემიგრანტთან ერთად დავაფუძნეთ „ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრი“ ბელგიასა და ათენში. ცენტრის დანიშნულებაა მომსახურეობა

გაუწიოს მსოფლიოში მყოფ, ჩვენს თანამემამულეებს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში. ცენტრმა საკმაოდ დიდი მუშობა გასწია პანდემიის დროს, გვქონდა კავშირები ქვეყნების კონსულებთან, საელჩოებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან. დავეხმარეთ სამშობლოში დაბრუნებაში, საკვების მიწოდებაში, გადაადგილებაში და სხვა.ცენტრი გეგმავს საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებს და ასევე სხვადასხვა საჭირო საკითხებზე ნიშნავს შეკრებებს, მუშაობს, სხვადასხვა პროექტებზე. პანდემიის გამო გვიჭირს მუშაობა,თუმცა ონლაინ შეკრებები იმართება საბჭოს წევრებს შორის.

კითხვა 4. თქვენი თაოსნობით ქ. ათენში ორჯერ ჩატარდა, ,ქართული პოეზიის ფესტივალი", სადაც მოწვეული გყავდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ქართველი ემიგრანტი პოეტები, რომლის დამსწრე და მონაწილე მეც გახლდით. ვიტყვი, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი, მეტად ღირსშესანიშნავი-- ქართული სულის, ქართული პოეზიის ზეიმი და ნამდვილად დაუვიწყარია. გასაგები მიზეზების, ანუ პანდემიის გამო ვერც გასულ წელს, გაზაფხულზე ჩატარდა და ალბათ ვერც წელს ჩატარდება. სამომავლოდ, პანდემიის დამთავრებ8ს შემდგომ, თუ ფიქრობთ, რომ ისევ გააგრძელებთ ასეთი ლამაზი ფესტივალის ჩატარებას?

რაც შეეხება ქართველი ემიგრანტი პოეტების შეკრებას დიახ, ორჯერ ჩატარდა ათენში, მესამედ უნდა ჩატარებულიყო ბელგიის საერთაშორისო ცენტრში, მაგრამ პანდემიის გამო ესეც შეჩერდა. ეს შეკრება ეძღვნება დედაენის დღეს, არ მაქვს მოლოდინი, რომ ამ წელს გვექნება ღონისძიება, მაგრამ როგოერც კი პანდემია დამთავრდება, ეს პროექტი აუცილებლად გაგრძელდება.

კითხვა 5. ბელგიაში მცხოვრებ ქალბატონ ანა ბალამწარაშვილთან ერთად, საქართველოში, კერძოდ ქალაქ რუსთავში, გახსენით, ,ემიგრანტთა სახლი". რამ განაპირობა ამ სახლის გახსნა და რა არის მისი დანიშნულება.

მე და ქალბატონმა ანამ გავხსენით ქ. რუსთავში „ემიგრანტთა სახლი“ საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი გარი ჩაფიძეა. „ემიგრანტის სახლი მუშაობს დაბრუნებულ ემიგრანტებზე და არა მარტო... ამ ზაფხულს ჩავატარეთ ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის საღამო, რომრლსაც დავარქვით „ეზოს პოეზია“ და ასევე ბატონმა გარიმ დააჯილდოვა ქალბატონი თინათინი იაკობ გოგებაშვილის მედლით და სიგელით. მოწვეული გვყავდა დაბრუნებული ემიგრანტები ა.შ.შ. ინგლისიდან, ათენიდან, ბელგიიდან, მათაც გადავეცით „ემიგრანტის სახლის“ სიგელები. დაბრუნებული ემიგრანტების პრობლემებზე ემიგრანტის სახლი შეძლებისდაგვარად ზრუნავს.

კითხვა 6 სამომავლოდ თუ გაქვთ რაიმე მნიშვნელივანი ჩანაფიქრი და გეგმები, რომლის განხორციელებასაც აპირებთ?

ჩვენ დავიწყეთ მოხუცთა სახლების გახსნა საქართველოში, პირველი სახლი გაიხსნა გრემში, რომელსაც ქ.ანა ხელმძღვანელობს,ძალიან გვინდა რამდენიმე, ასეთი სახლის გახსნა. მარტივი ნამდვილად არაა, თუმცა არც შეუძლებელი. ჩვენი გეგმები დიდია, ბელგიაში კიდევ რამდენიმე ღონისძიება დავგეგმეთ. გვაქვს 21 ქვეყანაში „ემიგრანტის სახლი.“ გვყავს წარმომადგენლები. წინასწარ მიჭირს საუბარი, ასეთ სიტუაციაში მომავალ პროექტებზე, თუ პანდემია მშვიდობით გავაცილეთ, კვლავ შევუდგებით

,ჩვენი გეგმების განხორციელებას.

კითხვა 7. თქვენი ინტერვიუ დაიბეჭდება ჟურნალ, ,ათინათში", რომელსაც უშვებს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერთა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, მისი პრეზიდენტის, ქალბატონის -- გულნაზ ხარაიშვილის რედაქტორობით. ვიცი, რომ თქვენ პირადად

იცნობდით აწ განსვენებულ მეცნიერს, აკადემიკოსსა და დიდ მოგზაურს ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. რას გაიხსენებდით ბატონ ჯუმბერის შესახებ?

ფოტოზე: ლ. პეტრიაშვილი და დ. ღამბაშიძე.

დიახ, ბატონ ჯუმბერს პირადად ვიცნობდი, მე მისი ცხოვრების შესახებ, თავად ბატონი ჯუმბერისგან მაქვს ბევრი საინტერესო ისტორიები მოსმენილი. როდესაც მან შექმნა საოცარი შესაძლებლობების მქონე ადამიანთა კლუბი, მე ამ კლუბის მდივანი ვიყავი, ემიგრაციაში წასვლამდე. ბატონი ჯუმბერი ათენშიც ვნახე, ის მოგზაურობის დროს მოხვდა საბერძნეთში. ძალიან კარგი და ლამაზი დღე გვქონდა. გავიხსენეთ, ჩვენი ერთად ყოფნის დღეები, საღამოს ბერძნულ სუფრაზეც გავაგრძელეთ შეხვედრა, მან სკოლას აჩუქა ჯუბა ბაბუს ზღაპრები, ეს იყო თბილისში საბავშვო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში შეხვედრისას, სადაც ქალბატონი გულნაზი და ბატონი გარი ჩაფიძეც იყვნენ მოწვეულები.

ქალბატონო დარეჯან უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსათვის. გისურვებთ მრავალი ახალი, ნაყოფიერი იდეების დაბადებას, შექმნას და განხორციელებას. ულევ წარმატებებს გისურვებთ.

წარმატებას ვუსურვებ ჟურნალ „ათინათი“ს ვუსურვებ, ამ საინტერესო და პოპულარულ ჟურნალს მკითხველის სიმრავლეს, საზოგადოებრივ აქტივობას, მხარდაჭერას, იმ შემოქმედებითი ადამიანების მიმართ, ვისთვისაც, ეს ჟურნალი სულიერი ღირებულების წყაროს წარმოადგენს.

პატივისცემით „ქართული სახლის „პრეზიდენტი ათენში დარეჯან ღამბაშიძე.

ინტერვიუ მიჰყავდა **ლია პეტრიაშვილს**

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტს (საბერძნეთში)

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე

.. ფიქრით ...

ისევ ჩუმად გაგიხსენებ,
გავუყვები ფიქრთა ტალღას,
ისე ჭრელი ხდება იგი,
თითქოს ქარი ყვება ზღაპარს.
იმდენ რამეს გავიხსენებ
აღარ მელოდება რული,
ვიდენ წვეთად ნამის მძივებს,
განახლდება სიყვარული.
გადავაფრენ ცხრა მთას იქით,
ნუთუ ისევ მესტუმრება?!
ისევ ვუშვებ შორს, ვარსკვლავთან,
როცა იგი მენატრება.

🖤

🖤
იასმნებით შემომაფრქვიე, ყვავილთა გუნდა იასამნისფერი,
შემომანათე, გამჭოლი მზერა შენი ელფერით.
მიუხვედრელი, შორს მოშრიალე რჩები შროშანი,
აქეთ კი გელის ნელი გალობით, შენი მგოსანი.
იასამნების სურნელს მაინც გამოატანე,
შენი ღიმილი, მონატრებული, განშორებული,
მხოლოდ შენს გვერდით აყვავდება სულის სავანე,
წყლით აივსება ბროლის ლარნაკი საიასამნედ. 🖤🖤

ძ ა მ ი კ ო ს

ჩემო ძამიკო, ჩემო იმედო როგორ მახარებ,
ყოველ დილას რომ ჩემს სიახლოვეს გამოანათებ.
მადლობა უფალს, ამ ცხოვრებაში მოგვცა ერთი გზა,
შენი გულისთვის ვარ , ჩემო კარგო, ყველაფრისთვის მზად.
ღმერთმა დაგლოცოს და ყველამ გაქოს, შენზე ამბობდნენ:
,,რა ყმაწვილიო! ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლე,
შენ, მხოლოდ, ჩემო დედმამიშვილო! 🖤

ნუცა მესხი

წყლის წვეთი

ცეოცვის ხეთი ვარცვადი.
ანა ოკუნჯასთან სოკ. სხვანაირი გოგონა ჭვს. ლაპაზი, ლოკანოვანი და თვალებიშმა. ის უფალს ვადგობს ოსლის ამ სასწაულთვის


გოგონა ასანთით

გორმეტმო
ჰაეკაია ვახინჯი
ასსების თავში იყო ის ძვირფასი ქვა, ჩოვეღიც ოცა-თებდა გონებას, ანჯებდა ბედნიერ-ბას და სიკოცხლის სიყვარულ ღით ავსებდა.

მელოჩე

ფარვანა

ენძელა
ენძელა ამბობდა, რომ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს, რომ ის ფრთხილად სადაც ასრულ და ამბავია.

ჯადოსნური გოხესი



ყველაფერი სწორია ხასაც ამბავი ქვა
აკეთებს

ვეოცხლის ამბავი
ცხოვრება
ბოდო კეთილ

ოთხმაბათი
ხუთშაბათი
პარასკევი
შაბათი

თოვლის ფანი


ნეხვის ხოჭო.
ნეხვის ხოჭოვ გაიფიქრა, შოგზაურობა გონებას ანათებსო.


ბუღბუღი


წინიბუა

ქარის წისქვილი


ყვავის ლოგინები

მანანეკი იხვის ქუდი


ბედ-იღბალი
ყველას კარგ ბედ-იღბალს გისურვებ თქვენი ნოცა

ყვავა
ოთხშაბათი
სამშაბათი

ჩაიდანი

სკეჩავი ნიმში
სკეჩავი ნიმში თავის ნავიანად ეჩით ბუნო ნაჩიებად იქცა


მეფის ხალი
სამოსი

დარდების სამოსახლოში

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

შენს ნაყარ მიწას

მოვალ საფლავზე, და ნაყარ მიწას,
შიშველი ხელით ავაგუნდავებ,
დარდით ეს გული, სასთუმალს მიწვა,.
უხმო ცრემლები უკვე მგუდავენ...
ძმაო კეთილო, ძმაო, მთის ჯიხვო,
რას აედევნე, ძმებს ფეხის კვალში,
იმედის ტოტებს,ბედი რას მიხმობს,
რა დაინახა, ამ პოეტ ქალში.
ხშირად ვსაუბრობთ,მე და ფიქრები,
ცვივა სიკვდილი, ფანტელებივით...
კლდის ქვის ნატეხი ვეღარ ვიქნები,
თუმც მად წამოსვლას, ჯერ არ გპირდებით.
ძმებო, რამდენი, საქმე დატოვეთ,
გაუკვდავება მინდა ყველასი,
ამირან ძმაო, გულში დამტორეს
და მენატრება, სუნთქვა გელასი.
ორმოცის შემდეგ, იმ გზას გაყევი,
შენთვის სანთლებს, რომ ანთებდნენ სხვები...
გარდაცვლილებთან, ლუკმა გაყავი
ტკბილად იყავით, ხუთივე ძმები!!!

ელზა ლაბაძე და ამირან ხარაიშვილი

მიდიხარ?

წახვედი? მიდიხარ, ამირან?
კიბეზე ფეხი არ დაგიცდეს,
ვიცი, რომ შენ მადეთ არ გინდა,
სუსხია, მადაც არ გაცივდე.
ფიქრებით კვალდაკვალ მეც მოგდევ,
გაგიშვა? სად წახვალ არ ვიცი,
კოვიდით არავინ არ მოკვდეს,
ამ დარტყმას ძალიან განვიცდი.
ამირან, ჩემთვის ხარ პატარა,
ბუთხუზა, თბილი და კეთილი...
თმის ფერით? ცოტათი ჭაღარა,
ამჯერად, მუხის ტოტს შეცლილი.
ელზა და ამირან გაიყო,
სიყვარულს შეცივდა ძალიან.
მეუღლე არასდროს გარიყო,
ის შენთვის ძვირფასი ქალია.
გიყვარდა, უყვარდი მეუღლეს,
კეთილი და ბევრჯერ თავნებაც...
ყინული როგოღა გაულღვეს,
იმძლავრა, დარდების ყანებმა.
წახვედი? მიდიხარ? დედასთან,
მამასთან, ძმებთან და გელასთან...
ჯობია აქ, დარჩე ელზასთან,
ვიდრე მად ქარშხლის ელვასთან.
დათა თუ შემოგხვდა ცის გზაზე,
ან მამა, ბეჟანი, თამაზი,
ლევიკო, ძმაზე არ გაბრაზდე,
კოვიდთან ვერ გახდა მამაცი.
ოხ! ძმებო, ღალატი თქვენიდან,
ვის უთქვამს, ვის გაუგონია.
სისხლი მდის ამ დარდის ვენიდან,
ჩემს გულში ცრემლი და ომია!

სიასამური

ქურქი მაქვს სახლში, ჩემი შვილის ნახმარ ნაცვეთი,
განსაკუთრებით ვეფერები ვეალერსები...
რაც მან დამტოვა, გული დამრჩა, დარდით ნაფლეთი
და სიკვდილამდე, ამ ტკივილებს ვერც დავეხსნები.
ჩემთვის ის ქურქი ძვირფასია, არვინ მომთხოვოს,
ავიღებ დავდებ, მეკიდება სახეს ალმური,
ამაზე კარგი, საჩუქარი, რა ვისახსოვრო...
ისე ძვირფასობს, როგორც ბეწვი, სიასამურის!!!

ბედის გასაყარზე

ღამეს ვდარაჯობდი ვარსკვლავიანს,
ზეცას შევყურებდი, ცერად...
ცისკარს ვაღვიძებდი ხალებიანს,
და ვაჟს დავეძებდი ქერას.
ნისლმა გადაფარა, ცის ჭერი და...
უკუნს გაებუტა მთვარე...

ფიქრის ვარსკვლავები გამოვჭერი და
დილა გამომიღებს კარებს.
ასე ვიწრიალე ფიქრის სასახლემდე,
ღამის სიზმარივით მახსოვს...
იმ წლებს დავაკვირდი, ბედის გასაყრამდე...
ერთად რომ ვშრომობდით ვახო!!!

ცის შვილები

ზეცის შვილებს, მოვიკითხავ,
პირველ რიგში ჩემს ძმას ბეჟანს...
ცუდად არვის განვიკითხავ,
არც შევიბავ, მე სხვის ეჟვანს.
მახსოვს სული, ყველა ზეცის,
ვინც ჩემს თვალწინ გარდიცვალა...
დარდის წლები, ამ წელს ერწყმის,
ბედმა ვინ არ გამაცალა.
ახალ წელს რომ დაიბადა,
ის, ძმა იყო ხვთის პოეტი...
დარდი სულ მე დამებედა,
ცრემლიდან ვერ გამოვედი.
ხუთი ძმა მყავს ზეცის სახლში,
მშობლები და ქმარი შვილი...

ალბათ ვიყავ ისევ ვალში,
ამიტირდა კვლავ ძმიშვილი.
ცას ესტუმრა ანგელოზად,
დათა ბეჭებგანიერი...
ბედმა ისე გამომროზგა,
შვება არ მაქვს წამიერი.
უმცროსი ძმა დევის ბარტყი,
იწონიდა, ორას კილოს...
გულო, მიკვირს რად არ გატყდი,
კეთილო და ძალზე ტკბილო.
გთხოვ იმედით იციცინო,
არაფერმა გაგაოცოს..
თქვენც ილოცეთ მამიშვილნო,
აღარავინ დამეხოცოს!

არასოდეს

არ არსებობს, სულ წვიმებმა შეგაწუხოს
არ არსებობს, რომ წავიქცე ცივი ფიფქით,
დღეს ასეა,მოწყენილი ეს საწუთრო,
ხვალისათვის, პურის სარჩო გამოგიფქვით.
გელოდებით, გამოვაცხვე ნაზუქები,
განა პურის, წიგნებია, სიბრძნით სავსე,
რწმენის შუქო,გულში თუ არ ჩამიქვრები
და თუ ისევ, ცრემლის სასმელს არ შემასმევ,
გაზაფხულზე, კვლავ დავთესავ მწვანე ჯეჯილს,
ღამით ცაზე, გაუღიმებ ცისარტყელას,
გულს მოვარჩე ბედისწერით გადაჯეგილს,
ვაპატიებ, გამეტებით ვინც დამწყევლა,
დამემუქრონ, ციხეშიდაც ჩამაჯინონ,
სიკეთისთვის, მომისაჯონ ათი წელი.
სიყვარულში, თუნდ მსოფლიო შემაჯიბრონ,
ნისლის შემდეგ, რწმენის მზის სხივს, მაინც ველი!!!

ისევ ვცდილობ

ვდარდობ, ზეცას არ უჭირდეს,
მეცხრე ცაზე ან რა ხდება.
ეშმა სულს გზებს არ უჭრიდეს,
სული უფალს ხომ ბარდება???
მე ეს რწმენა მაძლევს ძალას,
გულს ვამშვიდებ უკვდავებით,
დავიძინო იქნებ ახლა,
ფიქრო, ნუღარ გაავდრდები.
მჯობნის, ჯობნი რამ დალია,
მჯობნის ბედი რაღას ვიზამ...
გული ბედით დაღლია,
კვლავ სიკეთეს ვსახავ მიზნად.
ტკივილების გადამკიდეს,
თუკი რამე შემეშალოს,
არაფერი გაგიკვირდეთ,
სუფრა თუ არ გაგიშალოთ.

ისევ, ვცდილობ მოვძლიერდე,
კვლავ სტიმული მოგცეთ ყველას...
და თუ რამ მაქვს დაგირიგებთ,
თუმცა უკვე გამიძნელდა.
ნუ ჩხავი ხარ, ყვავს შევძახე,
ვიღა დაგრჩა ჩასაკორტნი...
ჩემი გული დავანახე,
მისგან ნაკორტნ-- დანაპოტნი.
დაიჩხავლა, უსულგულოდ,
ტოტებ- ტოტებ გადაფრინდა,
ვიღაც უნდა გამოგულოს
და ახალ ლეშსს დააფრინდა.
აირია დედამიწა,
ნეტავ ცა თუ არის მშვიდად...
გვამი ბევრი დამიწდა და,
სული ღმერთთან გადავიდა!!!

დუმს სასაფლაო

„დუმს სასაფლაო“, დუმილით კვნესის,
და უმოძრაო სხეული ტკივა.
გარდაცლილებზე, რას ამბობთ ესმის,
განიცდის მასთან ნეტავ ვინ მივა.
თუ მამა არის, ელის მეუღლეს,
ციდან უყურებს რა მიიტანა.
თუ, დაინახავს, საფლავს მოუვლელს,
ეჭვით უყურებს გადაიტანა???
თუ შვილი არის, ელის დედიკოს,
თვალცრემლიანს და სასოწარკვეთილს,

დარდით მშობელი არ მომკვდარიყოს,
დედისგან იღებს, სხვები გაკვეთილს.
და თუ ძმა არის, დაიკოს ელის,
ელის თაიგულს, გულის სალბუნად,
დის ცრემლებია, ჩანჩქერი ღელის
ძმების წასვლამ, რომ გაანადგურა.
თუ დედა არის, გოგო პატრონობს,
ვაჟიც შეუვლის უტყვი სიტყვებით...
არ უნდა დარდი გააბატანოს,
ხეზე დახტიან სულის ციყვები.

ზეცავ

ძილის დრომაც არ მომგვარა ძილი,
დამაძინე, გთხოვ სიმშვიდით ზეცავ...
ღამე არის ზოგჯერ სიზმრით ტკბილი,
ზოგჯერ ძილშიც სევდის კაბა მეცვა.
დამესიზრმოს, ცა კამკამა ლურჯი,
მზე რომ ათბობს დედამიწის სხეულს...
ჭოტი ხეზე იჯდეს, როგორც მუნჯი,
არ ვხედავდე, ქარს კვლავ გადარეულს.
დამესიზმროს, გაზაფხული თეთრი,
აფეთქებულ ყვავილების თოვა,
დამანახე, ძმა, სახელი ვერ ვთქვი,
დამაჯერე, რომ ისევე მოვა.
დამესიზმროს, შემოდგომა უხვი,
დახუნძლული ქართულ ჯიშის ვაზი...
გარდაცვლილებს თუ პარაკლისს ვუხდი,
მაშინ სევდა გულზე რაღას მაზის.
ყველფერი იყო... აღარ არის,
შემაგუოს ჩემმა ღმერთმა ამას...
გამომიღოს დილამ ცისკრის კარი,
ვარიგებდე, იმედების წამალს!!!

გავებუტე

ფიქრის სახლში, ფიქრის თავთავს დავყრი,
რომ ისევე გამოვლეწო წლები...
დარდის ღრუბელს, ჩემი რწმენით გავყრი
თუმცა, ძილში ცის სულებთან ვწვები.
სიზმარეთში მათთან ერთად ვცხოვრობ,
დღისით, ისევ გაუღიმებ ცისკარს,
ქარიშხალი მინდა მოგაშოროთ,
დილის მზის სხივს საბნად გადავიკრავ.
არ მიდარდოთ, რადგან ცრემლში ვცურავ,
ამ მარწუხებს, ისევ თავს დავაღწევ,
იმედებით, დარდიანებს ვკურნავ,
ბევრია და ... კალმით როგორ აღვწერ...
ზღვას შევები, ისევ გამოვცურავ,
და ნაპირზე, ფეხშიშველი ვივლი...
ქალი ვარ და ვუძლებ დარდს, კაცურად,
გზები მხვდება, ყველგან გადათხრილი.
არასოდეს დამიხურავს ქოლგა,
მარტო ეულს, კვლავ ფიქრები მხიბლავს,
ჩემი დარდით, აბა, როგორ მოგკლავთ,
გავებუტე, ამ ჩემ მწარე იღბალს!!!

მოგონების ბინდი

სიზმარეთი მოვიარე ღამე,
დილის სუსხმა დამიარა ტანში...
ბედია არის, ბოროტი და მავნე,
თორემ ჩემს ძმებს რა უნდოდათ ცაში.
ჯიხვის ყანწით მოქეიფე ბიჭებს,
და თამადებს, წყვილთა ქორწილებში...
ახლაც ახსოვთ, ხვანის ტყეში ფიჭვებს,
დროს ტარება, მართლაც არწივებში.
სიძლიერის, ერთგულების, საძმოს,
ჰქონდათ ლხინი, კალოობას მინდრვად,
ახლა უკვე ტკივილებით ნაძოვს,
ტყეს შემორჩა, მოგონება ბინდად.
პოეზიის არწივს, ჩემს ძმას ბეჟანს,
ჰქონდა მართლაც ხვთაბრივი ნიჭი.
ლევი წყვეტდა, რქიანს ყველას ეჟვანს,
გახსენებაც, მათი ძალზედ მიჭირს.
რაც თამაზიმ მადლი თესა ირგვლივ,
რად შეაღო, ცის კარები დათამ,
ყველა ცხოვრობს,მართლაც თავის იღბლით,
ამიტომაც, სევდის ძაფებს ვართამ.
ძმების ძალა ჩემში გადმოვიდა,
ჭირთა თმენა, გამძლეობა, ბედის...
ჩემი ცრემლი, ნისლად ცად ავიდა,
დედამიწამ ამოივსო ფერდი.
დევის ბატყის, ამირანის გულზე,
დაეყარა ქვების ნამსხვრევები...
იცი ძმაო, იებს გაზაფხულზე,
შენ მოგიტან, ნაზს და განსხვავებულს!!!

და კვლავ

მაინც იმედით, ვაგრძელებ ცხოვრებას,
სიკვდილო, ჩემთან ნუ ითარეშებ,
სიცოცხლეს ჭირდება განმეორება,
და კვლავ ვიცხოვრებ დარდის გარეშე.
გარდაცვილელების ცხოვრებით ვცხოვრობ,
ფიქრით სიზმრებში, მათთან ვარ ღამე.
ამ იმედებით დღე მაინც ვშრომობ,
მარადისობა რადგან ვიწამე.
ჰოდა, მომავალს რწმენით ავასებ,
ისე ავავსებ, ვით ქვევრის ღვინოს,
სულებს ლექსს ვუძღვნი, ისე ვაფასებ,
ან მონატრებით რათ მოვიწყინო???
რაა სიცოცხლე, რწმენის გარეშე,
სულის ვარდებო, ნუღარ დაჭკნებით...
ჩემს ახლოს ქარო, ნუ ითარეშებ,
წადი შენი გზით, ნუ მევაჭრები!!!

სიზმარში

ისე როგორ გავებუტო ღამეს,
ერთხელ მაინც არ ვიკითხო, ძმები.
აღარ ვითვლი მათ შეხვედრის წამებს,
მთის ნისლივით, მთის ჩრდილის ქვეშ ვწვები.
დასევდილა ცივი ღრუბლით ზეცა,
ვარსკვლავები კანტიკუნტად მოჩანს...
მოვარდნილ ცრემლს, ტალღებივით ვკეცავ.
დარდით გული აღარაფრით მორჩა.
დაველოდე ღამეს სევდით მოსილს,
იქნებ მთარემ გაამიშუქოს ისევ ...
ცას ღრუბლები, სევდის ფერით მოსვრილს,
ცივი თოვლი კალთას ამოუვსებს.
ამ ფიქრეფში ძილმა ჩამჩურჩულა,
მოგატარებ, ფიქრის სასახლეებს...
მთვარე ვნახე, სავსე სულ ბუნჩულა,
მზე მიწვდიდა, თავის სხივის ხელებს.
ვარსკვლავებით გადიჭედა ზეცა,
დავინახე ანგელოზთა დასიც...
ჩემს დედიკოს ჭრელი კაბა ეცვა,
მწვანე იყო, ფერი ქონდა ხავსის .
ჩემი ძმები, ერთად იდგნენ ხუთი,
დათა, იყო უფლის სახლში მარტო...
ჩემი შვილის სევდით შენაფუთი,
სიზმარეთსაც ვფიქრობ ისევ დავტოვ.
ძილმა მითხრა, შენი შვილი ახლა,
ამირანთან, დატრიალობს ახლოს.
ბიძის მოვლა დაევალა გელას,
ფრინველის ხმით, ჟღურტულობს და გალობს...
გამეღვიძა, დამძიმებულ გულით,
დილის სხივმა მომაცოცხლა თითქოს,
დავრჩი ისევ დარდით განაგული,
თოვს და ყინვას ანდა ვინ გამილღობს???

სიკვდილო

საცოდავი ხარ სიკვდილო,
დავფიქრდი გაანალიზებ...
სადამდე უნდა ირბინო,
სიცოცხლეს არ მიხალისებ.
არ გიყვარს არვის დანდობა,
არა ხარ, სამართლიანი...
მეც გამიმწარე დედობა,
შენით ვარ თვალცრემლიანი.
ახლა ამირანს მიწვდი და...
ვერ გაძეხ დათას სიკვდილით...
მე ცუდს არაფერს გიწერდი,
არ გქონებია სინდისი.
ასეთი გულქვა როგორ ხარ,
ყოფილხარ კლდე და ქვითკირი...
გულს დამისერავ, ვიცი ხვალ,
ძმას რუსთავიდან მივტირი!

შეეწირე

(ჩემს ძამიკოს, ამირან ხარაიშვილს)

შეეწირე ამ საშინელ დავადებას,
სულ უხილავს,კოსმიურს და რაღაც უცხოს...
ძმისი ასე უპატრონოდ გადაგდება,
გამიძნელდა, ეს ტკივილი სხვებზე უფრო.
დავიტირე, საყვარელი მეუღლე და...
შვილი გელა, მაზლიშვილი, მერე დათა,
რატომ მადგამს, ბედისწერა სევდის უღელს,
როცა უნდა, სასიკვდილო სახრეს მარტყავს.
ამირანი ძმა, შვილივით გამოზრდილი,
იავნანას, რომ ვუმღრდი დედასავით,
გულკეთილი, ვაჟკაცური, მზეზე თბილი,
ბავშობაში, ამაყი და ბუნტისთავი.
რას გზავნიან,პლანეტიდან, ეს, რა ფრინავს...
ეწებება მთელ სხეულზე როგორც წებო,
თუ გესტუმრა, გვაშინებს და აღარ გვძინავს,
ლამისაა ბოდიშებით შევეგებოთ.
შენც გაჯობა, ძმაო დევს, რომ გეძახოდნენ,
წახვედი დასიკვდილს, ფეხით ეახელი.
ეს ყინვები, ერთ წელს მაინც ჩემშიც მოდნეს,
მტერსაც აცდეს, ქარი წვიმით განახელი!

არ ავჭრი იმედს

არ ავჭრი იმედს ძველი რძესავით,
ეკლებით სხეულს არ დავისერავ,
მე ვერ ვიყვირებ, კარგო შენსავით,
რადგან ყოველთვის უფალის მჯერა.
და თუ სიმინდებს ავჭრი ნამგალით,
მოსულს მოვჩეხავ, ნედლებს კიარა,
სიკეთე არის ჩემი საგზალი,
მტრისგან წყენამაც სულ გამიარა.
თუმც გულის მძივი ბევრჯერ ამაწყდა,
რა არ გადახდა... ამ ჩემს ნაისრ გულს,
ბოლოს ეს, ჩემში ასე გადაწყდა,
მტერსაც მივხედავ, ბედით დაჩაგრულს!

არ შეშინდეთ გამოცდაა

არ შეშინდეთ მთავარია,
შეხვდით ამ დროს შემართებით,
მე გავმაგრდი რახანია,
შინდებიან წარმართები.
შეუძახეთ შიშის ზარებს,
დაამშვიდეთ გულის ძარღვი,
აღარ აყვეთ მქროლავ ქარებს,
გულს დარდებით ნუღარ დაღლით.
გამოცდაა, არ შეშინდეთ,
გამოგვცადა თვით უფალმა,
სიყვარული არ მოგვშივდეს,
არ დაგვძლიოს სიძულვილმა.
იზეიმებს იმედები,
მზეც ამოვა ძველებურად.
ნუღარ მიედ- მოედებით,
თორემ ერი განადგურდა.

ხის ფოთოლი

(რვა დეკემბერის მწარე დღე)
ა= მ= ი=რ=ა= ნ=ს

ჩამოცვივდა ხის ფოთელი ძირულის პირს,
დაიტირა მთებმა უხმოდ ამირანი.
დიდი გლოვა, ბუნებამ თქვა აღარა ღირს,
აქ, დამრჩენი, აბა, ერთი ან ვინ არის.
შეეწირა საუკუნის დავადებას,
შეწირული თურმე ხვდება სამოთხეში...
დღეს თუ ცოდვით ცრემლით წყალი ადიდდება,
გარდაცვლილი დაივანებს უფლის სახლში.
ჰოდა ძმაო, გზებზე გქონდეს, სულ ნათელი,
ლომგულ ვაჟკაცს, ვერ გადაგღლის ცის
აღმართი.
დაგვიტოვე ბილიკები განათელი,
ვწუხ! კოვიდს, რომ შენი თავი ვერ წავართვი!!!

თეთრი მტრედი

ცას ზედ გულზე, დაუხატავს თეთრი ვარდი,
ქათქათაა, ნაზია და უნაკლოა,
 რა იციან, რომ აწუხებს ქვეყნის დარდი,
თუმცა იგი, ღმერთის სახლთან, სულ ახლოა.
ვარდს ხშირ-- ხშირად, შეეცვლება სახის ფერი,
ყორნისფერი დაჯაბნის და შავი ხდება,
ქარი ურტყავს, გამეტებით ელვის სახრეს,
ვარდი დუმს და ამ დუმილით ავადდება.
მაინც ითმენს, სეტყვები კი გულში ხვდება,
ჭრილობები უკვე ბლომად ამჩნევია,
მას რწმენაა აქვს, გადარჩება, არ მოკვდება,
ქარის ძრწოლვას,ოდითგანვე ნაჩვევია.
გაათენა ასე გლოვით, დარდის სახლში,
დილის მზემ კი შეუმშრალა სველი მკერდი,
სურნელება დააფრქვია,ისევ ხალხში,
დამშვიდებით აღუღუნდა თეთრი მტრედიც!

მულიშვილებს

(გია, ლია, ლეილა ნოზაძეებს)

დღეს თქვენ ციდან მოგეფერათ გოგოებო,
დედა თამრო, უსიტყვოდ და უხმაუროდ,
იქ, იმღერეს, ყველამ ერთად სალაღობო,
ცაში ყველა წმინდა სული შინაურობს.
დედას შვილო, ვერც ვერავინ ვერ შეგიცვლით,
დედის ალერსს, სუნი ასდის გაზაფხულის,
დედას პური, არის მუდამ პური იფქლის,
დედა არის ხვთიშობელის მონათლული.
კარგები ხართ, გია, ლია, ნანა, ლელო,
არ გაგარჩევთ დამიჯერეთ, ჩემს დათოში,
თქვენით მინდა, შემოდგომით ჩავირთველო,
გეფერებით, თუმც დარდით ვარ განათოში!!!

ეს, რა დღეში ვართ

ფრთები, რომ მქონდეს გავფრინდებოდი,
იმედის მარცვლებს დავთესდი ყველგან,
და თუ ჩემს მხრებზე დამეყრდნობოდით,
დაუფიქრებლად, მოგცემდით შვებას.
ალერსის სიტყვებს, დავარიგებდი
და ტკბილ ზღაპრებსაც, მოგიყვებოდით...
მტერო, დღეს შენ მე, შეგირიგდები,
შენთან მუდმივად დავმოყვრდებოდი.
რადგან ცხოვრება ომი ყოფილა,
წამიერების ფუყე წერტილი...
ბარი დიდ მთისგან გამოყოფილა,
მივჩერებივარ გულდაწყვეტილი.

სულში დაბარდნის

ნოემბრის ფოთელს, გავხართ, ცახცახებთ...
მოღვენთილს, ყვითელს,ჯან-- გამოცლილებს.
კარგად იქნებით , თვითონ ვაცხადებ,
ღმერთი განსაცდელს,კვლავ აგაცილებთ.
არ ღირს დარდისთვის თავის განწირვა,
ახლა მომიწევს ამბის მოყოლა,
ბედი მიგიყვანთ მდინარის პირას,
ის გორგალივით, ჩუმად მოგორავს.
ჩაივლის ისე ვითარც მდინარე,
თან წაიყოლებს ავდრებს მოვარდნილს...
და გაზაფხული პირმომცნარე,
ქათქათა ყვავილს სულში დაბარდნის.

იქნებ არ ტირის ცაში დედები

ქალის ღირსებას წონიან ბოლოს,
როცა შვილს აღზრდის ერის დარაჯად...
ყველამ შეიგნოს ბოლოს და ბოლოს,
დედაა შვილის სულის ფარაჯა.
დედაშვილობა დიდი განძია,
დედის ალერსი თაფლზე ტკბილია.
დედაშვილობა არის ტანძია,
დედა ყოველთვის ძალზე თბილია.
დედის ღირსება შვილის აღზრდაა,
ფრთხილი დარაჯი დედაა ღამის...
დედა ყოველთვის ახალგაზრდაა,
თუ შვილი ხარობს, დედით და მამით.

რა დააბერებს დედას ბედნიერს,
თუ ბედისწერამ ცა არ დაამხო,
დედის სიცოცხლეს თუნდაც წამიერს,
ბედს შეუძლია სული გააძროს.
ამ დროს ჯობია რწმენით იცოცხლო,
არ დაამძიმო სული ობოლი.
შენით იმედი გამოაცოცხლო,
ლამაზ ზღაპრების ხშირად მოყოლით.
იქნებ მაღლაა, ფუტკრის ნექტარი,
ზეაცაში არის სულის ედემი...
იქნებ ცხოვრება არის ნეტარი,
და არ ტირიან ცაში დედები.

მე რაღა ვქნა ქარის ხელში?

(ბეჟან ხარაიშვილს)

ჭალოვანის ბილიკებზე დარჩა,
ბეჟან შენი ნაფეხური ძმაო,
ქაქიჩოს ხევს გოგო ბიჭი არჩანს,
აღარ ისმის ბეღურების ხმაო.
ბარბაწმინდის ნაგრევებთან ჩიტი,
ბუმბულს იცვენს, დაიწიწკნა ფრთები...
ერთ დროს ლექსის, რწმენის სავსე ბიჭი,
ცაშია და ნაღვლიანობს მთებიც.
მივედი და ჩიტი გვერდზე გახტა,
არ ისურვა მოფერება ჩემგან,
დამეტაკა ფრჩხილით როგორც კატა,
ნუ ჩამიშლი ჩემ ბეჟანის გეგმას.
შევეცდები დარდიანო ჩიტო,
ბეჟანივით დაგიკრიფავ კენკრას...
გულსაც მოქცემ, ჩემთვის არ დავიტოვ,
მეც ხომ მხედავ რომ დავდივარ კენტად.
ნუ წუხდები, შენ ვერ შეძლებ იმას,
ფრინველების ენა შენ არ იცი...
შენს ძმას ახლა, ხვანის მთებში ძინავს,
გავფრინდები მისი სული მიცდის.
აქ, რად დამხვდი, დარდიანო ჩიტო?
აქ, მან ლექსის შედევრები დადო.
და ნისკარტით ეგებ გამოვჩხრიკო,
საიდულო მხოლოდ მე ერთს მანდო .
არ დამხვდა და შიშმაც ამიტანა.
დავტრიალდი, ძებნა მეც დავიწყე,
რა დაწერა, ნეტავ ამისთანა,
ფიქრის სკივრში დარდი გადავიწყე.
ნუ ეძებო, ხმა მომესმა ციდან
ალბათ ქარმა სადღაც გადამალა.
მწუხრის ცრემლი თვალზე გადმომცვინდა,
კიდევ ერთხელ მე ძმა შემებრალა.
ბარბაწმინდას მოვეფერე ლექსით,
ხელნაწერი აქვე დამრჩა ქვასთან...
მე რაღავქნა ამ ქარების ხელში,
როგორ წავრსდგე ჩემს გარდაცვლილ
ძმასთან???

გელა დათა

გულმა ისევ ვერ გაუძლო ყოფას,
რადგან თქვენი სული მიაქვს ნიავს...
ვერ ვისვენებ, დღედა-ღამე ვშფოთავ,
გელას, დათას, ტკივილები გქვიათ.
ერთს ვიხსენებ, მეორე დგას რიგში,
გელა, დათა, გასკდეს ლამის გული...
თუ, ბანაობთ აქ, ძირულის ძირში,
ერთად დათა, კლავებგადაბმული.
იმერეთის მზეჭაბუკო დათა,
და გელა კი ქართლის ლომა ჯიხვი,
უბედობით ნეტავ ვინ მომნათლა,
ბედისწრავ, ვალს რად ვეღარ გიხვდი.
ტკივილების უსასრულო კალომ,
ქარიშხლებმა გული გამომგულეს ...
იქნებ შვილო, ისევ თქვენ მიწამლოთ,
მოგეფეროთ, ლექსით ჩამოსულებს.

გახსენება

ლეილა გაფრინდაშვილი

ჩემო....

12 თებერვლის დილა, დაღლილი გავიღვიძე, დედაზე ფიქრი და მონატრება ამყვა თან. იმედიანი ვიყავი, მიუხედავად ასაკისა, არ ველოდი... ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, თავზარ-დამცემი, რომ დედა აღარ მყავს. მართლაც არ ჰქონია დედას ასაკი... დედა დედაა და მორჩა... ატრიალდა მწარე ფიქრები, განცდა, რომელმაც ჩემი სახე დამაკარგვინა, მე აღარ ვიყავი მე... ყველა დედა მზრუნველია, მაგრამ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ მე ზე-მზრუნველი დედა მყავდა. 37 წლის იყო მამა, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა. მე 9 წლის, ხოლო ჩემი ძმა 5 წლის, დავვობლდით. უსაზღვროდ ჰყვარებიათ ერთმანეთი. ამ ტრაგედიის შემდეგ დედა ერთი თვე ლოგინად ჩავარდა, მაგრამ ახლობლების თანადგომით როგორმე დასძლია თავს... დედა როდესაც დაქორწინებულა, ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა, მაგრამ ოჯახის გამო დაუტოვებია სამსახური. ბაბუა გვყავდა ოჯახში, სამი მამიდა, მერი,შურა და ქსენია კი დაოჯახებულები იყვნენ. დედასი და მათი ურთიერთობა რომ დეტალურად აღვწერო, შეიძლება, ვინმეს დიდი შეთხზული ზღაპარი ეგონოს, ამიტომ თავს ვიკავებ. მოკლედ ვიტყვი, უსაზღვრო სიყვარულით, ურთიერთ-პატივისცემით, ურთიერთთანადგომით იცხოვრეს სიცოცხლის ბოლომდე.

,,ჭიათურმანგანუმის ფაბრიკა "ნოფში" გადავწყვიტე მუშაობის დაწყება, რადგან ანა-ზღაურებაც კარგი იყო და თან სამცვლიანი სამუშაო განრიგიც ხელსაყრელი იყო ჩემ-თვის, ვიფიქრე, ღამის ცვლები ხშირად მო-მიწევს, რაც საშუალებას მომცემს დღისით ოჯახს მივხედო. როგორ გავბედავდი ახალ-გაზრდა ქალს ეს ნაბიჯი ისე გადამედგა, მუ-ლებს და მათ ქმრებს არ დავკითხვოდიო“-გვიამბობდა დედა. მამიდებს თავი შეუკავე-ბიათ, ჩვენი ხელფასებიდან დაგეხმარებითო, მაგრამ საბოლოოდ თანხმობით ბარუსი ბიძიასი, რომლის სიტყვასაც ფასი ჰქონდა, შეთანხმებულან. ასე დაიწყო დედამ მუშაობა. ბაბუა მეურნეობას უვლიდა, მამიდები და მათი ქმრები, ჩემი საუკეთესო ბიძები: ბარუსი (ბორის) გამყრელიძე, აკაკი მგალობლიშვი-

ლი, ლევან ჭიღლაძე დედას გვერდში ედგნენ ზურგს უმაგრებდნენ... (მათ სულს ვენაცვალე) ამ შრომისა და სიამტკბილობის წყალობით მე და ჩემი ძმა ხელისგულზე გვატარეს, ჩვენ უმამობა არ გვიგრძვნია, გვესათუთებოდნენ, გვასწავლიდნენ და, რაც მთავარია, ზნეობისა და ადამიანობის მაგალითს გვაძლევდნენ თავიანთი საქციელით. წირქვალი, ჩემი დედულეთი, ჩემი ბაბუა კონსტანტინე ჩიტიძე, ჩემი გივი ბიძია, ელენე და თინა დეიდები გვესიყვარულებოდნენ, ასეთ გარემოში კი, რა თქმა უნდა, მე და ჩემი ძმა გურამი, თავს ბედნიერად ვგრძნობდით.

წავიდა დედა და თან გაიყოლა გულწრფელი ცრემლები, მოფერებები, თბილი სიტყვები... დამსახურებისამებრ! გმადლობთ, ძმაო გურამ, რძალო ხათუნა დედას ამაგის დაფასებისთვის, ძმის შვილებო: მაკა, თიკო, რუსუდან,შვილებო:ინგა, ეკა, ბებოს მოფერებისა და დაღვრილი გულწრფელი ვრემლისათვის. გმადლობთ ყველას, ვინც გაიზიარეთ ჩემი ტკივილი, ტკივილი, რომელიც შემიმსუბუქეთ მოსვლით, სატელეფონო ზარებით, სტიკერებით, კომენტარებით, ვინც ვერ გამოხატეთ, მაგრამ გული დაგწყდათ...

დედა, შენი ერთგულებით, სიყვარულით, უზღვავი ენერგიით, უსაზღვრო თავდაუზოგავი შრომით, მიზანდასახულობით, პრინციპულობით, სტუმართმოყვარეობით, პატიოსნებით, ნიჭიერებით, მზრუნველობით (და არა მარტო შვილებზე, ზოგადად ყველაზე, ვისაც რაღაც ეტაპზე სჭირდებოდი), დიდი მაგალითი გვიჩვენე, შენდენს იშვიათად თუ ვინმე შეძლებს, მათ შორის ვერც მე, შენი შვილი, მაგრამ იცოდე, ძალიან, ძალიან მიყვარხარ!!! როდესაც დაუძლურდი, დიდხანს არ დამტოვოთო, გვეტყოდი. არ დაგტოვებ დედა, ფიქრებით მუდამ ვიქნები შენთან, ისევე მოგეფერები და მოგესათუთები, როგორც უძლურების ჟამს გეფერებოდი, რაღაც სახელებს გარქმევდი: კუწკუწა, ფუჩფუჩა... (ჩემი ძმა კი კონსტანტინოვიჩს გეძახდა)... ჩემო იშვიათობავ, სიამაყევ, ჩემო სიყვარულო, გმადლობ, რომ ასეთი დედიკო მყავდი, ჩემო... ჩემო... ჩემო...

ლამზირა შეყილაძე

ნაფლეთ და ნაფლეთ

დეკემბერია და ცივი ქარი
რაღაც უცნაურ ტკივილებს მისევს.
საფლავს ვემხობი უშენოდ მკვდარი,
შენზე დარდები შიგნიდან მიტევს.

ვერ მიგაწვდინე შვილო, ჩემი ხმა,
გულიდან სისხლის ცრემლები ჟონავს.
მოუსავლეთში მივყვები ახლა,
ცრემლით დატბორილ, უამურ დრო-ჟამს.

ჩემს ყოფას ახლა სახელს ვერ ვარქმევ,
გამოვიკეტე საკუთარ ქერქში...
და წარამარა, ნაფლეთ და ნაფლეთ,
ტანჯული სული ამომდის ყელში.

რას ვიფიქრებდი, მეგლოვა შენზე,
შავი ძაძებით, ძალღონით დაცლილს...
თუ უნდა მევლო ცივ ბილიკებზე,
უიმედოდ და უშენოდ დაღლილს.

სიცოცხლის წყურვილს უარყოფს გული,
მკვდარი ჩიტივით მიჭირავს ხელში.
ძარღვებში ისე ღრმავდება წყლული,
გამწარებული მჯიღს ვიცემ მკერდში.

გონებას მირევს ის დრო და ჟამი,
უშენოდ ყოფნა როს მომისაჯეს.
ცივი საწუთროს ვარ პატიმარი,
უმზეოდ ვიხდი უმძიმეს სასჯელს.

ნათელა ღაჭავა

გოგი თოფურიას ხსოვნას

ყველგან დაგეძებ, ვერსად გიპოვე,
ნეტავ ვიცოდე, ახლა სადა ხარ,
ზეცას წახვედი, სულ დამივიწყე,
მე კიშენს გამო, დარდით აღარ ვარ.

დამტოვე მარტო, მაგრამ იცოდე,
შენ ჩემს ხსოვნაში არ გამიქრები,
სახლში , ქუჩაში დაგეძებ ისევ,
ამ ჩემს მზერაში, მუდამ მიკრთები!

მეჩვენე სიზმრად, ნუ ქრები უცებ,
გთხოვ, შენი სული ნუ გამიწყრება,
ვფიცავ, მე შენთვის მუდამ ვლოცულობ,
ვერასდროს შევძლებ შენს დავიწყებას.

ვფიქრობ და გნატრობ შენ უსაშველოდ,
ნუ დამიღამებ ნატვრით ამ თვალებს,
მოდი მეჩვენე, სიზმრად ღიმილით,
ამ სიყვარულის ვერ ვშლი ნაკვალევს.

ვეღარ გავუძელ ამ მონატრებას,
გვქონდა ძლიერი, ერთგული გრძნობა,
მკვდარიც მიყვარხარ, უსაზღვროდ ისევ,
ვფიქრობ, მაქვს ღმერთის უსაზღვრო წყრომა.

პირველ სიყვარულს ვერ დავივიწყებ,
უკანასკნელიც ისევ შენა ხარ,
მე ისევ გელი, მოხვალ და მეტყვი:
,,მიყვარხარ, შენი ბედისწერა ვარ!"

ძნელი ყოფილა ძალზედ უშენოდ,
მე დიდი გრძნობით მიყვარდი გულში,
შენით დაიწყო ჩემი სამყარო,
შენით მთავრდება ისევე სულში.

1 დეკემბერი 2009 წ.

ვეფხია შუბითიძე

წავიდა ნამდვილი ქართველი, კარგი მამა, რამდენი ადამიანის ძმა, ზეციურ საქართველოში, იქ სადაც მართალნი განისვენებენ.

გულნაზი ხარაიშვილი

სული უკვდავია

ქალბატონი ნელი გელაშვილი და მისი საამაყო შვილიშვილი ზეცის ბინადრნი არიან. პატარა ივიკომ შეძლო დიდი სიყვარული დაეტოვებინა. იგი სახელგანთქმული სპორტცმენი იყო. მასზე, (ბაბუა) ბატონი ივერი, დიდ იმედებს ამყარებდა და ასეც იქნებოდა, თავის ბედისწერას რომ არ წაეყვანა. თუმცა, რაც იცოცხლა ივიკომ, დატოვა ლამაზი კვალი ქართულ სპორტში. გავა დრო და ივიკოზე ლეგენდები შეიქმნება, მხოლოდ ამას დრო ჭირდება. დრო უნდა გავიდეს. აი, მაგალათად ჩემი აწ გარდაცვალებული ძმა ოცდაათი წლის შემდეგ თავისი პოეზიით გახდა უკვდავი, მისმა პოეზიამ დროს გაუძლო. რაც შეეხება, ბებია ქალბატონი ნელის და პატარა ივიკოს ისტორიას, როდესაც, გავეცანი ასეთი რწმენა დამეუფლა. როცა ივიკო თავისმა ცუდმა ბედისწერამ ცაში წაიყვანა, მწამს საყვარელმა ბებომ სულეთის კარები გაუღო და ახლა თავის საყვარელ შვილიშვილს ამოგზურებს იმ ქვეყანაში, სადაც მართალნი განისვენებენ. ბებომ და შვილიშვილმა თავისი ლამაზი წარსაულით უკვდავებაში გადაინაცვლეს. ქალბატონ ნელის, სიყვარულით შექმნილი ოჯახი ქონდა. თავისი დიდსულოვანი, სიყვარულის ცეცხლანთებული გული დაუკავში-რა, ბატონ ივერი ჭელიძეს, პიროვნებას, რომელსაც საქართველოს სიყვარულში მართლაც ბადალი არ ჰაყავს. ქალბატონი ნელი გელაშვილი, მეცნიერი მუშაკი იყო. მან არა -ერთი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა და დაუტოვა სვანეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. მისასალმებელია, იცხოვრო ისე და გქონოდეს ორი სახელი. ერთი აქ, დატოვო და ერთი თან გაგყვეს ცათა სასუფეველში. ასეთი იყო ქალბატონი ნელი გელაშვილი და პატარა ივიკო ჭელიძე.

ნელი გელაშვილი

ივიკო ჭელიძე

შენ ისე გვიყვარდი

თინა ხარაიშვილი შუმილოვაა.

თინა, საყვარელო, შენ ისე გვიყვარდი, საკუთარი დედმამიშვილივით, ყველა ძირითადი ოჯახის დიდი საქმე შენთან ერთად წყდებოდა. ჩვენი ტკივილი შენი ტკივილი იყო და სიხარული კი ისე გახარებდა, როგორც დას, მეგობარს და საყვარელ ნათესავს. იყავი ყველასთვის დინჯი და მოწესრიგებული, ყვალას გზას უკვალავდი. ისე წახვედი ერთი უბრალო წყენა არავის მოაგონდება შენგან. გიყვარდა ყველა და უყვარდი ყველას. გაზარდე თეონა, ასწავლე სიყვარული. ასწავლე ,ის, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე მდიდარი ის, არის ვისაც სიყვარული შეუძლია.სხვისი დახმარება და მიმტეობლობა შეუძლია. ვიცი და მწამს შენ და ჩემი ბიძაშვილი ავთანდილ ხარაიშვილი ლოცავთ თქვენს დანატოვართ. შენი თეონა უაღრესად თბილი დედაა, ზრდის ორ არაჩვეულებრივ შვილს. თქვენს შვილიშვილებს ავთო და თინა.

გზა ნათელი გქონებოდეთ გარდაცვლილებს,
მფარველობა არ მოაკლოთ დანატოვრებს,
მოეფერეთ, უმფარველეთ შვილიშვილებს,
სიყვარული მათ ხომ ბლომად დაუტოვეთ.

დღეს 26 თებერვალია

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი ნუგზარ ნადარაიას დაბადების დღე. ახლა ბატონი ნუგზარი ზეცაშია, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის სახელით ვულოცავ, დაბადების დღეს. ბატონო ნუგზარ, თქვენ იყავით პიროვნება, რომლის ხელმძღვანელობითაც ყოველ წელს უწმინდესის დაბადების დღეზე შევდიოდით საპატრიაქოში. უწმინდეს, უყვარდი და გაფასებდა. თქვენით ხდებოდა, რომ უწმიდესს მასზე მიძღვნილ ლექსს უკითხავდი და უწმინდესიც მლოცავდა. არც ერთი წელი არ გამოგიტოვია რომ ჩემი ათკაციანი აკადემიის წევრებიც არ მოგეწვია. შარშან თითქოს გამოსამშვიდობებელი წელი იყო, ახალგაზრდებს თხოვეო, მითხარი, სერგი ლომაძეს და კახა ბაციკაძეს. პირველი შემთხვევა იყო, რომ ახალგაზრდები დააყენე უფრო წინ და არ შევაწუხოთო, მე სიტყვის გარეშე წამოვედი. მიხაროდა, მთავარი იყო, უწმინდესთან ვიყავით, მე რძალი და შვილიშვილიც მახლდა. შარშან იყო, მომაპატიჟინებინე შენი კურსელი ჩემი ბიძაშვილი ნათელა ხარაიშვილი. ოცდაათი წლის უნახავი ბიძაშვილი მაშინ ვნახე, იქით გამაცანი, ამდენი წლის უნახავი ვეღარც კი ვიცანით ერთმანეთი. ერთ მომენტსაც გავიხსენებ, ერთ წელიწადს, ლამზირა შეყილაძე სიაში არ იყო და დაცვამ არ შეუშვა, რა არ გააკეთე, ვინ არ შეაწუხე, რომ ლამზირა შემოეშვათ. სასწაული ის, იყო, რომ მე, რომ ლექსი ვთქვი, უწმინდესმა თითონ მოითხოვა, იმ, შვილგარდაცვლილ ქალბატონს სიტყვა ათქმევინეთო. არ, არსებობდა, ჩემს სხდომებზე არ მოსულიყავი, შემაქებდი ხოლმე, კარგად უძღვები საქმეს და აბა შენ იციო. არც დავსწრებივარ აკადემიის გასვლით ღონისძიებაზე, რომელიც მთაწმინდაზე ჩაატარე, და ვიცე პრეზიდენტობის დიპლომი ისე გამომიგზავნე. მადლობა, როცა გადაგიხადე, იმსახურებო მითხარი. ხუთი მაისის საჩუქარი ბატონ ალეკო დოლბაიას გამოატანე ,,ქებაი და დიდებაი,, ორ მეტრიანი ხატი შენს სახსოვრად შემომრჩა. ყოფილი რაიკომის მდივანი, არერთი პატრიოტული საქმეების იდეის ავტორი და შემრულებელი დიდი დანაკლისი ხარ ბატონო ნუგზარ. და ბოლოს გილოცავ, დაბადების დღეს, იგივე სიტყვებს გავიმეორებ, აკადემიის სახელით. გზა ნათელში იქნები, სიცოცხლეშივე უფლის მიმდევარო.

გულნაზ ხარაიშვილი

მული კი არა და იყავი

**********'

თამრო, შენ ჩემ ქმარმაზლზე, უფროსი იყავი. ჩემი მეუღლე (ვახტანგ სხირტლაძე) და მაზლი (ჟორა სხირტლაძე) თითქმის შენი გაზრდილები იყვნენ. რამდენჯერ მიყვებოდი, მათ ბავშობაზე. მე პირადად შენი მოწონებული რძალი ვიყავი.

სიყვარულის მეტს ვერაფერს გავიხსენებ შენზე. დედისერთას, დედაშენი (კლავდია ბიცოლა) ჩიტის რძეს არ გაკლებდა. სუფთა კიწკიწა ბიცოლასგან მეც ბევრი რამე მისწავლია. შვილების აღზრდაშიც დამხმარეებია და ბევრი სიკეთე მახსოვს. შენ ჩემო, ლამაზო მულო, მეუღლის ბიძაშვილი კიარა, საკუთარი და იყავი ბიძაშვილების. სიტყვა ბიძაშვილი ამოღებული იყო, ჩვენი საუბრის ლექსიკონიდან. პირველი ტკივილი სიძიდან მიიღე, (ტრისტანიმ) შენი გული დასერა. მერე ჟორა, ვახო, რამაზი, გელა, ამათმა წაგართვეს სიხარული. თამრო, ჩემო სიამაყე, ღმერთმა იცის როგორ მიყვარს, შენი შვილები და შვილიშვილები. გზა ნათელში იყავი ჩემო, სიცოცხლის ბოლომდე მოსაგონარო, მოეფერე ჩემს მაგივრად ჩემს ქმარშვილს, ჩემი დათა გულში ჩაკარი. აკი მომისამძიმრე და მითხარი, რა ყველაფერი შენ შეგხვდაო, „ყველას უყვარხარ და ალბათ სიკვდილსაც უყვარხარო“ ეს, შენი სიტყვებია და ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი. შემხვდა თამრო და თან რამდენი. არ გამახარა ბედისწერამ.

რძალი ასე სცემს პატივს
გარდაცვლილ დედამთილს.

==========:::

შენ კვალს, ნატერფალს,
მზის სხივი ფარავს,
სახლს ამჩნევია შენი თითები,
გარდაცვალება, შეჩერდეს კმარა,
მიდის და მიდის გოგო-ბიჭები.
წახვედი? წადი, მთლად ვალმოხდილი,
შენს ქალობაზე ისაუბრებენ...

საფლაზე მოვალთ, დარდით მოხრილი,
ძმების სულები ახლოს იფრენენ.
შენი სინაზე, შერჩება ირგვლივ,
ყველაფერს თამარ, რაც კი შენია,
ფიქრით სულებთან,
ხშირ- ხშირად ვივლი...
ეს ჩემი ბედის განაჩენია!

სამადლობელო

ლია პეტრიაშვილი

სამადლობელო

30 იანვარს, ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიან საერთაშორისო აკადემიაში, აკადემიის პრეზიდენტის ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილის თაოსნობით შედგა, პოეტი ქალ-ბატონის ეთერ ჭელიძის პოეზიის საღამო./ გულწრფელად ვულო-ცავ ქ. ეთერს ამ ლამაზ დღეს და მრავლად ქონდეს მომავალშიც/

ღონისძიების მსვლელობის დროს, რამოდენიმე ადამიანს გადასცა ჯილდო – საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავ-შირის თანათავჯდომარემ, არაჩვეულებრივმა მწერალმა და პოეტმა ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა. დაჯილდოებულთა სიაში, ჩემდა გასაოცრად, აღმოვჩნი მეც, რაშიც ლომის წილი მიუძღვის ისევ და ისევ ქ. გულნაზ ხარაიშვილს.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო, გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით სასი-ქადულო ქალბატონს – მაყვალა გონაშვილს და ჯ. ლეჟავას აკადემიის დედა-ბურჯს ქალბატონ გულნაზს ჩემი წარმოჩენისთვის და დაფასებისთვის.

გულით გამიხარდა: ორი წლის მოლოდინის მერე, ჩემამდე ჩამოვიდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საწევრო ბილეთი და კიდევ უდიდესი სიხარულის გრძნობა მომანიჭა, რომ ქალბატონმა მაყვალამ გადმომცა ჯილდო – ბეჟან ხარაიშვილის პრემია, აგრეთვე სასიქადულო წიგნი ,,ლექსი მოყმისა და ვეფხვისა". აღფრთოვანებული ვარ საჩუქრებით და ჩემი ღირსად ცნობისთვის კიდევ ერთხელ გიხდით უღრმეს მადლობას.

ვულოცავ ყველას, ვინც ამ დღეს დაჯილდოვდა და ასეთი დიდი სიხარული ერგოთ.

და მაინც, ვინ იყო ბეჟან ხარაიშვილი, ვისი სახელობის პრემიაც მერგო?

იგი გახლდათ მარად ახალგაზრდა ქართველი პოეტი, რომლის გული სავსე იყო და ენთო სამშობლის სიყვარულით.

ბეჟან ხარაიშვილი იყო ერთგული მსახური ეროვნული ტრიადის – ,,ენა, მამული, სარწმუ-ნოება". იგი ერთგული იყო ქართველთა ტოლერანტული ბუნებისა, ის უმღეროდა საქართველოს უკუნისამდე დღეგრძელობას.

მისი შემოქმედებიდან ქართული პატრიოტული კლასიკის შედევრებში დამკვიდრდა ლექსები ,,ჩემი მამულია", ,,არაგვს" და კიდევ მრავალი ლექსი.

მის პოეზიაში არის ეროვნული ფენომენის სრულყოფილი წვდომა, სამშობლოსათვის თავშეწირვის იდეა, ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის, მომავლის ორიენტირების ძიება, სისხლისა და მიწის ყივილი, ეროვნული ნოსტალგია.

მას არ დასცალდა ბოლომდე დახარჯულიყო და მისი ნიჭიერება მოეხმარა ქართული პოეზიის სამსახურში.

ბეჟან ხარაიშვილი, სრულიად ახალგაზრდა, 30 წლის გულანთებული პოეტი გარდაიცვალა.

მისი სახელი მინიჭებული აქვს ხარაგაულის რაიონში ერთ-ერთ საჯარო სკოლას. დაარსებულია აგრეთვე მისი სახელობის პრემია, რომელიც მე მომენიჭა მწერალთა კავშირის ეგიდით და ქ. გულნაზი ხარაიშვილის თაოსნობით.

/ მასალა ბ. ხარაიშვილზე მოძიებულია და გამოვიყენე – ქ. ლუარა სორდიას პუბლიცისტური წერილიდან,, ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი", რომელიც ეძღვნება ქართველი პოეტის ბეჟან ხარაიშვილის კლასიკურ შედევრებს/

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, დაბადების დღეს ულოცავს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ **მაყვალა გონაშვილს**

* * *

(მწერალთა კავშირის თავჯდომარეს,
ქალბატონ მაყვალა გონაშვილს)

სინაზე გშვენის, უფლის მადლით, მირონცხებულო,
იის სურნელით გაგილეწავს, ქალური კალო...
ყურძნის მტევანო, ფუტკრის თაფლში ამოწებულო,
ვინ შეგედრება, სილამაზით პოეტო ქალო.
აისის ნამის ბრწყინვალებავ, ვარდო, ბაღნარო,
რიოშო არა, მარგალიტო და ფირუზ-ლალო,
უმხურვალესი ცხელ ზაფხულის შენ, ნიავ-ქარო,
ლომისის მადლმა გიმფარველოს პოეტო ქალო.
იასამანო, გაზაფხულის ასურნელებავ,
სამშობლოსათვის, ერთგულო და დილისა ცვარო,
დედო სულისავ, ნატურმოტო, მშვენიერებავ,
ეფაქიზები ერის შვილებს,პოეტო ქალო.
დედა ხარ, დედა, ეგ, ქალობა,მისაბაძია,
ოლიანდრები გიღიმიან, შენ, ცისკრის კარო,
ფული? სხვას მისცემ, თუ კი უჭირთ რაც გაბადია,
ამიტომ გლოცავ, საყვარელო,პოეტო ქალო.
ლელიანს კაფავ, საქმისათვის ყოველთვის ჩქარობ,
ომში ნაჭედო, ნატურმოტო, ფოლადის ნალო,
ლექსის მჭედელო, ბრძოლების დროს სამშობლოს ფარო,
მეამაყები, დედოფალო,პოეტო ქალო!!!

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ქალბატონო მაყვალა, უზადოდ აღფრთოვანებული ვარ თქვენი საიუბილეო საღამოთი „გრიბოედოვის თეატრში“. მე აქ საქართველოს შუაგულში, სწორედ იმ ქუჩების ცხოვრების ყოველდღიურ მშიერ-წყურვალ, დაკონკილ, თვალცრემლიან ხელგამოწვდილ, თმაგაწეწილ, გულამღვრეულ, უსამართლო, მოძალადე, ძალადობის მსხვერპლებს ვხედავ და მეც სწორედ მათსავით მდის ცრემლი, მათსავით მტკივა გული, როგორც სამშობლო და სახლკაარ დაკარგულის, ზოგჯერ არათუ ღვთის პურს არ იმეტებენ ჩვენთვის, არამედ ჰაერის სუნთქვასაც კი გვიშლიან.

დიახ, აქამდე მივედით ჩემო ხელიხელსაგოგმანებელო ქალბატონო.

მაპატიეთ, რამეთუ მთელ საღამოში ისე შინაგანაც ვიყავი ჩართული, რომ ჩაბნელებული პარტერიდან, რომელსაც თქვენი გაკაშკაშებული სცენა ათინათივით ასხივონებდა წარმოგვედგინა ქართული მუხამბაზი, გაჩირაღდნებული სანთლებით ხელში, და „ათინათელები“ შეგხმიანებოდით; „გინდ გვეძინოს, მაინც სულში გვიზიხარ თვალს ავახელთ, საქართველოს „ზიზი“ ხართ!“

„ათინათელთა“ შენ უზადო „ლიზი“ ხარ!
სად გეძებოთ როცა თვალში გვიზიხართ!
დღევანდელი, – ამ საღამოს პრიზი ხართ!
ღმერთმა გაგიმარჯოთ!

მწერალთა კავშირის თავჯდომარის მაყვალა გონაშვილის საღამო გრიბოედოვის თეატრში

06.05.2019. 18:00

ქალის ღირსებავ, დედის მცნებავ ნიჭჩაუმქრალო,
უსათნოესი სიტყვის ძალავ, გრძნობათ სამყაროვ,
გეამბორები ჩემო ტკბილო ოცნები ქალო,
მაყვლის ბუჩქიდან მომავალო ღვთიურო წყაროვ!
ლომისის მადლის მქუხარებავ, არაგვის ჭავლნო,
ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთის მდინარეთ წყალნო,
მოჰქუს მაგ კლდე-ღრეთ ჭირნახული საჭურჭლედანო,
მაყრების გუდად მოკიდულნო, ქართულო მთანო...
მთათა სიმტკიცე მთიელთ გარდა, ვინ უნდა სთქვანო?
წმინდაო დედავ, საქართველოს ჩვილთა აკვანო,
ფეხქვეშ დაგიგებ დიდ სიყვარულს ერის გამტანო,
ცხოველი სვეტის მოკაშკაშე სახე-წარმტანო,
და სიამაყევ სულიერო, დაო, ამტანო,
ქებათა-ქება ამ ეპოქის: „ტანო-ტატანო!“

* * *

სიყვარულის მომღერალო, სული გელტვის ენამჭევრს,
ქართულ სიტყვის მატიანევ, პოეზიის მესაჭევ,
შენთვის ტურფა გაზაფხული (ფიფქით რომ არ ეტანჯე),
გადიფოთლა, გადიშალა, – სიკეთით დაეხარჯე...
სულის ტკივილს რა გაუძლებს? – „საფარა“, თუ „ხერთვისი“?
იდუმალი „სვეტი-ცხოვლის“ ალაგია შერთვისი...
ზღაპრულ ნაშენთა სამოთხე, – სხივმოსილი სამანი,
სულის წვაში გაჩენილი ცეცხლი იასამანის
აალება ხარ ვარდების, იის მდელოს აყრი ცრემლს,
საქართველოს ტკივილისთვის ყლაპავ ადუღებულს, ცხელს,
ალბათ ბედმა ეს ინება, სათნოების ლამპარო,
ტკივილები ცრემლთან ერთად, სიკეთით რომ ატარო..
უკვდავების დიდი სუნთქვა, ხიდი შორის ნაგები,
ეს შენა ხარ – დედა ღვთისა არის მარტო გამგები...
კაცობრიობას ფაქიზი სიტყვით ესაუბრები,
მიწის სამოთხის გაზრდილო, მოიშორე დარდები...
შენს იარებს მკერდი ანთებს, დიდ ჭადრაკულ კოცონად,
დედამიწა ტირის ქალწულთ, პირტიტველათა წონად!..
და შენ, სულო პოეტურო, სათქმელს რომ არ იტოვებ,
ცოდვა-მადლს აღიარებ და, – უფალი მოგიტევებს!..
„გურჯ“-„ჯორჯია“, თუ „გრუზია“ – სულის შინაგანი წვა,
აგიზგიზდა! – „ლელო-ბურთის“ თამაში რომ დაიცვა...
და პოეტურ სულის კალამს აღიარებს მაისი, –
მზის სხივები გვირგვინგყოფენ ალპურ ედელვაისით!..

2019.4.V.18:00

* * *

პოეტურ გრიგალს თან მოჰყვები მძლავრი ქარიზმა,
და სასომხეთმა ეს შეიცნო, თუნდაც პარიზმა,
სად კვაზიმოდოს სულიერი ტანგო ტრიალებს...
სიცოცხლისათვის! – მთელ მსოფლიოს აზრს აბრჭყვიალებ,
და ეწირები, ვით წმინდანი, ცრემლნატიალევთ...
... და შენი ერის მებრძოლ დროშად მთლად, რომ აღმდგარხარ,
ხერხეულიძეთ დედასავით მტკიცედ დამდგარხარ...
ნეტარო ქალო, ქართლის დედის როლში ჩამდგარხარ...
და საქართველოს მომავალის მცნება აღმხდარხარ...
პოეტურ გრიგალს თან მოჰყვები დიად ქარიზმად...
... და სულის გაზეთს ახმიანებ ევროპეიზმად!..

მალვინა ჭელიძე

ლ ე ქ ს ი ს ა კ ვ ა ნ ი

დღეს პოეზიელში
იუბილარი გვყავს
ემიგრანტი
მ ა ლ ვ ი ნ ა ჭ ე ლ ი ძ ე
****
ბიოგრაფია

,,დავიბადე მესტიის რაიონში, სოფელ უშგულში. სკოლის დამთავრების შემდეგ დავამთავრე სამედიცინო კოლეჯი. წლების განმავლობაში ვმუშაობდი მედდად, პარალელურად კი მუსიკის მასწავლებლად, უშგულის საშუალო სკოლაში. აქტიურად ვიყავი ჩართული კულტურულ ღონისძიებებში. დღესდღეობით კი რვა წელიწადია რაც ვიმყოფები ემიგრაციაში"

****

ლ ე ქ ს ე ბ ი

და რამდენი დარდი ვზიდე,
ამ დროების გადამკიდე....
როს უფალი ძალას მატებს,
სიმშვიდეში ღამეს ვათევ.
ეს დრო ისე გამეპარა
გული სევდით დამეღალა.
ზეცის თაღზე მიდგმულ კიბეს,
სიმშვიდით და რიდით მივდევ.
დრო... სიყალბის გაყრის ნაცარს,
ერთგულების ეძებ მარცვალს.
მოიშორე ცრუ და ფლიდი...
გახდი უფრო მხნე და მშვიდი.
რაც არ უნდა ქარი ქროდეს,
სუსხიანი იყოს დარი,
შორეული მონატრების....
მოგონების მომდევს ჯარი.
ხან მზის სხივებს ეფიცხები,
ხან ღრუბელი მიმოფანტე....
ხან წვიმაში გალუპული
წაიქეცი ,დაეინარცხე.
ყველა დარდს და ყველა ტკივილს,
ჩაურაზე გულის კარი,
სიმშვიდე და უფლის რწმენა
გულში უხმოდ ჩაიკარი.
მიაპობდი ღამის ტალღებს ,
ოცნებების იყავ მგზავრი,
იდუმალი მონატრება....
იყო შენი თანამგზავრი.
დრომ გაცვითა ყველა გრძნობა,
შეიცვალა დარდის ფერი...
გზას გინათებს მთვარის შუქი
იდუმალი ყველაფერი.
დამაქროლებს სადღაც ქარი...
ღამის ჩრდილში ბილიკის მივდევ,
დაღლილი და სევდიანი
ამ ცხოვრების გადამკიდე.
დრომ თავისი წაიღო და....
მიიხურა უხმოდ კარი,
შემიყვარდა სიმარტოვე...
გახდა ჩემი თანამგზავრი.
.ყველა დარდს და ყველა ტკივილს,
ჩაურაზე გულის კარი,
ხვითის რწმენა და სიყვარული,
გულში უხმოდ ჩავიკარი.
მარადიულ სიყვარულით
გაუღია ზეცის კარი,
ტირის ქალი უბედობას
ვაი მისი ცოდვის ბრალი....
და გოლგოთას გზაზე მავალს
ღმერთის რწმენა იცავს
ამინ.....
სათნოებით,სიმარტოვის....
სევდიანი ვწერე ბწკალი....
ღმერთო ყველა დაიფარე ,
ყველა.... ჩემი საფიცარი.
ღამე იყო სევდიანი,წვიმიანი
თანაც წყნარი,
მიყვარს დილა მშვიდობისა და

სიყვარულის საწინდარი....
ფიქრები და თეთრი ღამე
გახდა ,ჩემი თანამგზავრი,
ხან დავხოხავ,ხან დაფრინავ
და რამდენის ტვირთი ვზიდე,
ღმერთო ყველა დაიფარე
ამ ცხოვრების გადამკიდე.

******

იდუმალი ხარ გულო ჩემო,
ბევრის ამტანი,
ხან ზეცას წვდება შენი სიდიადე,
ხდები უსუსურიც ლოცვად დამდნარი.
ზღვის ტალღებს შენივთული,
მრისხანე როგორც ავაზა,
პატარა ნაკადული ხარ
რომელიც მიედინება ლამაზად.
რამდენჯერ გაგიცრუეს იმედი,
სიცრუის შეგიკრეს კამარა,
გატირეს ,ცრემლებით გატირეს,
და მაინც ვერაფერმა დაგღალა.
ვეღარ ხვდები რა ხდება, გულო....
რატომ გატკინეს, მწარე ჯვარი დაგასვეს,
მერე გაინაპირეს.
რამდენ სითბოს იტევს ეს დალოცვილი,
რამდენ სიყვარულს,
სხივად ანთიხარ ვერაფერმა გაგაბოროტა,
მკერდზე მიკრული დამყევხარ და
მეიმედები,
გთხოვ მიერთგულო, სიყვარულის
შევქმნათ ბალადა.
გული იცინის ....გული კვდება
დარდით ხუნდება,
გული მზეობს და სიყვარულით
აგუგუნდება,
გული მზის სხივად გაბრწყინდება
და დამითბება,
ხან ატირდება,უიმედოდ გაირინდება.
ჩემთან იარე,უფლის გზაზე
ერთად ვიაროთ,
და სატკივარი
ერთმანეთის გავიზიაროთ,
მსურს ....მღელვარებას აგაცდინო
გულო ზვიადო,
ზღვის ტალღებივით ბობოქარო
ღამის წყვდიადო.
გულო კეთილო, იდუმალო
მეიმედები,
უფლის კარამდე მიმიყვანე,
გთხოვ.....გევედრები.
უთხრათ სათქმელი,
რამდენი რამ გამოვიარეთ,
მისი ნუგეში დაგვიამებს
ყველა იარებს.
დარდი და სევდა
ვერასოდეს გაგვატიალებს,
მასთან ჩურჩულში...
იმედებით... მიგვეძინება,
სულში სუსხი და ქარიშხალი
აღარ იქნება.
გული იცინის, მაშინაც კი
როს ეტირება,
ბევრის ამტანი აღარასდროს აღარ
ბერდება,
და დღეც მზიანი გაგვითენდება,
ღამე კი მშვიდად
მინავლდება, მიეძინება,
და სამუდამოდ მიერთგულებს
ჩემთან იქნება.
ზღვის ტალღებს შეენივთა
მრისხანე , როგორც ავაზა,
პატარა ნაკადული ხარ,
რომელიც მიედინება ლამაზად.
ნუ ჩამიქრები,
სიყვარულით ერთად ვიაროთ,
და ქვეყნად
ყველა ბოროტება
გავატიალოთ...
უფალს მივენდოთ,
უფალს დიდება , უიმისოდ ხომ
ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება.!!!

*****

გაზაფხულის სილამაზე,
სულში სევდად მეღვრება,
მოგონება გამიახლა
და ხელიდან მეცლება,
სილამაზე ათასფერთა...
აყვავებულ კვირტების,

როცა ხარობს ირგვლივ ყველა,
სიხარულით ივსები.
ზაფხული კი სილამაზის,
ბრწყინავს ათას ფერებად,
იმედი და სიხარული....
ხდება სულის მშვენება.
და რამდენი უიმედო
გზები გამოვიარეთ,
ხვალინდელი დღის იმედით,
ვიშუშებდით იარებს.
და რამდენი მოგონება,
მეხატება ფერებში,
სიავისდა სიყვარულის ,
და იდუმალ ედემში.
მაგრამ როცა ირგვლივ ყვავის....
ყვავის ვარდის კოკრები,
სურნელებით დაითვრები,
დარდით აღარ მოკვდები, ..
და ზაფხულის სილამაზით
დარდსაც გააქილილიკებ,
იმედით და სევდით სავსე
მიუყვები ბილიკებს.
შემოდგომის ფოთოლ ცვენა,
სილამაზის ფერებად
ჩემი დარდის ფერია და
ჩემი სულის მშვენება.
მოტრფიალე სილამაზის
დამირწიე აკვანი....
მომაყარე ფოთლები და
მომიყევი ზღაპარი.
გამიწიე მეგზურობა,
მუდამ ერთად ვიაროთ....
სუსხმაც ვეღარ შეგვაფერხოს
ჩემო თანაზიარო.. ...
მიიწურა დეკემბერი
თეთრად გადაიპენტა,
დრომ თავისი წაიღო და
სევდამ გული დაღალა,
რამდენ რამეს გაუძლი
გულო .....ჩემო პატარავ.
ეს ზამთარიც გადაივლის
დარდებად და ფიქრებად,
შევეცდები განუგეშო
თუმცა გამიჭირდება.
დრო რას შეცვლის
თუ შენს გულში მუდამ არის ავდარი,
იყოს თუგინდ გაზაფხული,
ან ზაფხული დამთბარი,
თუგინდ იყოს შემოდგომა
სიყვარულის სადარი,
ანდა იყოს სუსხიანი,უიმედო ზამთარი.
დრო,დრო შეცვლის და ბევრ რამეს,
თუნდაც იყოს ავდარი,
მალე მოვა გაზაფხული,
მზის სხივებით დამთბარი.....
და რამდენი უიმედო გზები გამოვიარეთ,
ხვალინდელი დღის იმედით,
ვიშუშებდით იარებს.

****

წარმატებებს გისურვებთ ქ-ნო მალვინა და თქვენს დღეს გილოცავთ „ჯუმბერ ლეჟავას სახ.აკადემიის“ სახელით.

პატივისცემით

გ ე რ მ ა ნ ე ს ა ზ ა ნ ო ე ლ ი

საზოგადოება პოეზიელის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. პროექტის ,,ლექსის აკვანი“ ავტორი და რედაქტორი ამავე სახელწოდების პოეტური ტომეულებისა. გაზეთ სახალხო განათ-ლების რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი... საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასო-ციაციის, თავმჯდომარე იმერეთში. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფი-ლიანი აკადემიის წევრი. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

2021 წელი.

ეაზავხულებაპ ეილოცავ, ჩემო ნაქამთვილოვ! ეანყარჩევლად ერთვნებაპა... ყველაპ ნაერთოდ, ვინც ნაქამთვილოძი ცხოვრობპ. დაე, ნიყვარულმა და ნიმპყვიდემ დაინადგურონ ერძი. დამპყვიდლეპ ცა და ლედამიწა. ლმერთო, იმედი ნხივმა ძვანათონ თითეულ ოჯახძი. ამაღლდეპ ნყლიერიება ვიდრე მაცერიალური. თითეულმა ადამიანმა ძინაეანად იერძნონ ეულძი ეამოზავხულება...

სარჩევი

ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
წმინდა გიორგის მკვდრეთით აღდგინება 2
წმინდა გიორგის კირის ორმოში წამების სცენა 3
წმინდა გიორგი. ტყვეთა განთავისუფლება 4
გულნაზ ხარაიშვილი. მამა გაბრიელ 5
ლამზირა შეყილაძე. რომ ყველაფერი კარგად იქნება. *უწმინდესს და უნეტარეს ილია II-ს* 6
გულნაზ ხარაიშვილი 7
მაყვალა გონაშვილი 8
ეთერ ჭელიძე 12
ჯგუფი ზღვარი
სერგი ლომაძე 14
კახა ბაციკაძე 16
გიორგი ზუხბაია (ზუხბა) 17
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 18
ედუარდ უგულავა 20
გერონტი მესხი 22
ხათუნა ჩიტაძე 24
მალვინა ჭელიძე 26
მზია ელიაძე 27
ეთერი ზარიძე 28
ლალი ჩიმჩიური 30
მარი კუბლაშვილი 33
მამუკა ოჩიაური 36
ჯაბა შუბითიძე 42
ნუკრი ლობჟანიძე 44
ირინა ფეერაძე 46
ლეილა ვადაჭკორია 48
ნიკა ფუხაშვილი 50
ეკატერინე ნადირაშვილი 52
იზა ჭკადუა 55
გიგი თეთრაძე 56
ლალი ევლალია პერპერიდი 58
მარი მიმილური 65
ირაკლი გოცირიძე 68
ლია შენგელიძე 72
ნანა მომცელიძე 74
ნიკა ჭიკაიძე 76
ნონა გაგნიძე 78
გიორგი კუბლაშვილი (იმპერატორი) 82
ნელი სანეგლიძე 84
თეა გურგენიძე 88
მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე 93
ლია პეტრიაშვილი 94
ნანა ჩარკვიანი 98
ლამზირა შეყილაძე 104
ნინო უძილაური 106
შორენა გაბელაშვილი 108
ანამარია ლილუაშვილი 110
მაყვალა გერმანოზაშვილი 113
თამარ ჯაჭვაძე 116
გერმანე საზანოელი 118
მამა ამირან ამირანაშვილი 120
გივი სიხარულიძე 123
მანანა კორძახია 124
დავით იოსებაშვილი 125
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 126

<u>ერდავინყება მოლვაწეთა</u>

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 144
ბეჟან ხარაიშვილი 146
გურამ ჭავჭანიძეს
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 148
ლეილა გაფრინდაშვილი 149
ნელი გიუნაშვილი 149
ქეთი მინაძე (1972-2020) 150
გურა-ანგურა 154

<u>თარგმანები</u>

მაყვალა გონაშვილი. მარ ბაჯიევი. პოემა 155
Ratiani Lali. Evlalia Perperidi 158

<u>ახალგაზრდა განყოფილება</u>

ნათია დაშნიანი 160
ლელა კობერიძე-ჭიაურელი 162

<u>პროზა</u>

რეზო ადამია. პაემანი სიკვდილთან. ტერენტი გრანელი 168
გარი ჩაფიძე. სიყვარულის ლაბირინთი 171
გულნაზ ხარაიშვილი
სიყვარული 175
ღირსეული სტუმრები 176
მეწისქვილე ვარ 178
უცნობი ქალბატონი 179
დაგვიფარე უფალო 180
ნელი სანეგლიძე. ფაზისის აკადემიის სხდომა. ნენო 181
ინგა გოგიბერიძე
ცისკრის ვარსკვლავი 182
კოღო 182

"არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!" 183
მინიატურები 184
ცისკრის ვარსკვლავი 184
"არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!" 185
გიორგი კეკელიძე 187
ლია პეტრიაშვილი. დედობილი 191
მონაზონი: იოანა ონიანი (დარიკო ონაინი). სევდიანი მონატრება 197
ნანა მომცელიძე. პატრიოტიზმი უფლისკენ მიმავალი გზაა 200
სიმონ. სიმონიკა სხირტლაძე 202
ნინო რეხვიაშვილი. ნუკრია (ჩანახატი) იმედი 204

ჯუმბერ ლეჟავა ლეგენდა

ეეეუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი. ჯუმბერ ლეჟავა გულის სიიდან არ ამოიშლება 206

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 209

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი. სულიერ ფასეულობათა ანბანი 214

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). ბრალის თეორია 218

წერილები

ლუარა სორდია. და საქართველო მაინც მეძახის „ნიკო სამადაშვილის პოეზია“ .. 223
რატიანი ლალი. 100 გერმანულ-ქართული ანტითეზა 228
სოსო სიგუა. გოლგოთის გზით 233
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე. გარდასახვის იდუმალება! 237
მარიამ ჯალაბაძე. შიდა ქართლის ანთროპო-გენური ლანდშაფტები 240

ისტორია

ნიკო ხერკელაძე. ცრემლში ნალესი ხმალი 244
მაკა დიდებულიძე. ხაშურის ოკუპაციის მუზეუმი „ოკუპაციის 100 წელი“ 250

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, თორნიკე სელუმაშვილი. საოპერაციო რისკის შეფასების მეთოდები და შემცირების ალტერნატიული მიმართულებები 252

მათემატიკა

ლალი ქელბაქიანი. ელასტიურობა და მისი გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში 257

ინტერგიუ

ლია პეტრიაშვილი
ინტერვიუ (მაია სიჭინავა) 262
ინტერვიუ წარმატებულ ემიგრანტ ქალბატონებთან (დარეჯან ღამბაშიძე) . 265

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე 269
ნუცა მესხი 270

დარდეგის სამოსახლოში

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 272

გახსენება

ლეილა გაფრინდაშვილი. ჩემო.... 279
ლამზირა შეყილაძე. ნაფლეთ და ნაფლეთ 281
ნათელა ღაჭავა. გოგი თოფურიას ხსოვნას 282
ვეფხია შუბითიძე 283
გულნაზი ხარაიშვილი
სული უკვდავია 284
შენ ისე გვიყვარდი 285
დღეს 26 თებერვალია 286
მული კი არა და იყავი 287

სამადლობელო

ლია პეტრიაშვილი. სამადლობელო 288

მილოცვა

მაყვალა გონაშვილს
გულნაზ ხარაიშვილი 289
მზიური დათიაშვილი-აფციაური 290
მალვინა ჭელიძე 292

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და გარეკანის მეორე გვერდზე „წმინდა გიორგი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

მათემატიკის განყოფილების რედაქტორები: სოსო ფოჩხუა – პროფესორი და ლალი ქელბა-ქიანი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრე-ზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ედვარდ უგულავა – პოეტი
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი

ΜΡ·
ΘΥ·
ΙΕ· ΧΕ·